

მამია ფალავა

შავშური  
ჩანაწერები



## მამია ფალავა

წიგნში ავტორი მოგვითხრობს თურქეთის საქართველოში სხვადასხვა ექსპედიციების (2005, 2009, 2010) შთაბეჭდილებებს, ნახულსა და განცდილს, საუბრობს ექსპედიციის წევრებისა და ჭოროხის ხეობის მკვიდრ ქართველებზე, ხალხზე, რომელთაც მთის ფერდობებზე გაუშენებიათ სოფლები და დაუცავთ ქართული ენა და ქართული ყოფა...

წიგნში ასევე საუბარია თურქეთის საქართველოში გაბნეულ მატერიალური კულტურის ძეგლებზე, მათ მდგომარეობაზე...

ნაშრომი კარგ სამსახურს გაუწევს თურქეთის საქართველოში დაინტერესებულ მკითხველს.

## შავშური ჩანაწერები

რედაქტორი: პროფესორი შოთა ზოიძე

რეცენზენტები: ასოც. პროფესორი გურამ ბახტაძე



გამომცემლობა  
„ჭოროსი XXI“  
თბილისი - 2011

ISBN 897-9941-407-13-0

© გამომცემლობა „ჭოროსი XXI“

## წინასიტყვაობა

ეს წიგნი კარგა ხანი ვწერე. ვწერდი შავშეთის სოფლებში მუშაობისას, ვწერდი სასტუმროში, ოჯახში, უნივერსიტეტში... ვწერდი ყველგან, სადაც საამისო განწყობა დამეუფლებოდა.

ამ წიგნით მინდოდა მკითხველისათვის მომეთხრო იმ განცდებისა და შთაბეჭდილებების შესახებ, რომელიც მეუფლებოდა თურქეთის საქართველოში მუშაობისას; მომეთხრო აქ გაბნეული ქართული ხუროთმოძღვრების არაჩვეულებრივ ძეგლებზე, რომელთა სიდიადეც ძარღვებში სისხლს გიჩერებს პირველმნახველს; მომეთხრო თურქეთის საქართველოს მშვენიერი სოფლებისა და იქ მცხოვრები ალაღმართალი ადამიანების შესახებ... ვცდილობდი, ყველაფერი პირველი ნახვის შთაბეჭდილებებში მყოფს დამეწერა და არა დამშვიდებულს, ცივი გონებით (ამ მდგომარეობაში სამეცნიერო ნაშრომის დაწერა შეიძლება მხოლოდ); ვფიქრობდი, ასე უფრო კარგად მოვახერხებდი მკითხველთან დიალოგს.

წიგნში ასევე შევეცადე, მომეთხრო იმ ადამიანებზე, ვისთან ერთადაც დავდიოდი ამ მხარეში, ვისთან ერთადაც ვიზიარებდი ველზე ყოფნის სიძნელებს, მათზე, ვის იმედადაც მივდიოდი უცხო ქვეყანაში სამუშაოდ, ვინც ჩემთან ერთად გაფართოებული თვალებით უყურებდა ჭოროხის ქვეყნების სანახებს... ჩემი ეს შრომაც უპირველესად ამ ადამიანებს ეძღვნება, მათ დაუზარელ შრომას და ამტანობას, მათ ცდას, რომ დაეიწყებინათ გამოეტაცათ და შთამომავლებისათვის შეენახათ თურქეთის საქართველოში ჯერ კიდევ გადარჩენილი ქართული მეტყველება, ფოლკლორი, ყოფა, მატერიალური კულტურის ძეგლები, აქაურთა ყოველდღიურობა. მათი შრომის წყალობით აღარ დაიკარგება შავშური, კლარჯული, ტაოური კილოები, ზეპირსიტყვიერება, ეთნოგრაფია... ჭოროხის ოდესღაც დიდი ქართული ქვეყნების გადარჩენილი სინამდვილე; ეს ადამიანები ყოველდღიურად ისმენდნენ ჭოროხის ლეგენდას, იწერდნენ, რომ შემდეგ საქართველოსთვის მოეთხროთ. გულწრფელად ვიტყვი, დიდ საქმეს აკეთებდნენ ჩვენი ექსპედიციის წევრები.

ახლა, როცა თურქეთის საქართველოში ჩვენი საქმიანობის ერთი ეტაპი შევაჯამეთ, მადლობას ვუბნები ამ საქმის ყველა მონაწილეს:

- ქალბატონ მერი ცინცაძეს – ჩვენს მასწავლებელს და უფროს მეგობარს, ენათმეცნიერსა და მკვლევარს, ჩვენს დამრიგებელს...
- ქალბატონ თინა შიოშვილს – პროფესორს, შესანიშნავ ფოლკლორისტსა და პიროვნებას.
- მალხაზ ჩოხარაძეს – ასოცირებულ პროფესორს, მრავალგვარი ინტერესების მქონე კაცს...
- ზაზა შაშიკაძეს – ასოცირებულ პროფესორს, ახალგაზრდა ისტორიკოსს, თურქოლოგს, საოცარ პიროვნებას...
- შოთა მამულაძეს – პროფესორს, არქეოლოგს, მეგობარს, დაუზარელ მშრომელს...
- თამაზ ფუტკარაძეს – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ასოცირებულ პროფესორს, ეთნოგრაფს, ალაღმართალ კაცს.
- ნუგზარ ცეცხლაძეს – ენათმეცნიერს, ჭოროხის აუზის ტოპონიმის მკვლევარს, დაუზარელ მოგზაურს.
- რამაზ ხალვაშს – პროფესორს, ლიტერატურათმცოდნეს, კაცს, რომელსაც შეუძლია საკითხის ყველა კუთხიდან ხედვა და ახალ გარემოში ახალი ქუდის დახურვა.
- ვარდო ჩოხარაძეს – დოქტორანტს, მზარდ მეცნიერს, რომელსაც საინტერესო კვლევები ელოდება წინ.
- ტარიელ დიასამიძეს – ჩვენს მძღოლს, კაცს, რომლის პროფესიონალიზმზე იყო დამოკიდებული ჩვენი ყოველდღიურობა ექსპედიციის პერიოდში.
- ჩვენი ექსპედიციების მუშაობაში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ: ნარგიზა სურმავა – ენათმეცნიერი, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, გურამ ყიფიანი – პროფესორი ილიას უნივერსიტეტიდან, ახალგაზრდები: თორნიკე ფაღავა და კახა ფუტკარაძე.

მადლობა მათ თურქეთის საქართველოში ერთად გატარებული დღეებისათვის.

მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს უნივერსიტეტს ყველაფრისათვის: რასაც ვაკეთებდით და რაც გაგაკეთეთ, მისი სახელით და სახელისათვის ვაკეთებდით. მადლობა მას ჩვენზე ზრუნვისათვის!

და ბოლოს, მადლობა მინდა ვუთხრა შავშებს, კლარჯებს, ტაოელებს... გულთბილი მასპინძლობისათვის, ჩვენიანობისათვის...

ჩემს წინასიტყვაობას ვერ დავასრულებ, თუ გამორჩეულად არ ვეტყვი მადლობას ბატონ აზიზ ახვლედიანს, რომელმაც შთაგვაგონა თურქეთის საქართველოს კვლევა და რომელიც გულისყურით ადევნებდა თვალს ჩვენს საქმიანობას, გვარიგებდა, გვაქებდა, გვაქეზებდა, უფრო მეტი გაგვეკეთებინა...

ყველაფრისათვის მადლობა თქვენ, ბატონო აზიზ!

აქვე მადლობას ვეტყვით ბატონ ნური ვერძაძეს, უნივერსიტეტში მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (შემდეგ: – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, შემდეგ – ქართველოლოგიის ინსტიტუტის) შექმნის ინიციატორსა და მის პირველ ხელმძღვანელს, ცენტრისა, რომლის კვლევის პრიორიტეტად იქცა ჭოროხის ქვეყნების შესწავლა...

დასრულდა შავშეთის კვლევის ერთი ეტაპი.

შავშეთის კვლევა გრძელდება. გრძელდება ჭოროხის ქვეყნების შესწავლა...

მამია ფალავა  
22 მარტი, 2011 წელი.

## ჩანაწერი პირველი

2005 წლის 23 ივლისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მუდმივმოქმედი ფოლკლორული, დიალექტოლოგიური და ეთნოლოგიური ექსპედიცია სპეციალური მისიით შავშეთში გაემგზავრა. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ პროფესორები: მამია ფალავა (ხელმძღვანელი), თინა შიოშვილი, რამაზ ხალვაში, დოცენტები: მერი ცინცაძე, მალხაზ ჩოხარაძე, ზაზა შაშიკაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თამაზ ფუტყარაძე, მძლოლი ტარიელ დიასამიძე, თორნიკე ფალავა და კახა ფუტყარაძე.

სიმბოლურია, რომ ჩვენი ექსპედიცია შავშეთში დაემთხვა აკადემიკოს ნიკო მარის მიერ შავშეთსა და კლარჯეთში მოწყობილი ექსპედიციის 100 წლისთავს.

ნიკო მარის მიერ ჩაწერილი ტექსტები იყო ერთადერთი წყარო, რომლითაც სარგებლობდნენ ქართველ მეცნიერთა თაობები თურქეთის საქართველოს შესწავლისას, მათ XX საუკუნის სამოციან წლებამდე სხვა მასალაზე ხელი არ მიუწვდებოდათ (სამოციანი წლებიდან ხელმისაწვდომი გახდა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მეცნიერის, გიორგი ჯობაძის ნაშრომები), ჭოროხის ქვეყნებში გასვლასა და მუშაობაზე კი ოცნება თუ შეიძლებოდა. 90-იანი წლებიდან შესაძლებელი გახდა, ქართველ მკვლევარს სამეცნიერო მიზნით ემოგზაურა შავშეთში, კლარჯეთსა და მიმდებარე ქართულ ქვეყნებში, ასევე თურქეთის რესპუბლიკაში ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. მოეწყო არაერთი ინდივიდუალური თუ ჯგუფური ექსპედიცია (შუშანა ფუტყარაძე, მამია ფალავა, ნუგზარ ცეცხლაძე, ოთარ ფუტყარაძე, ოთარ ცეცხლაძე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუდმივმოქმედი ექსპედიციის გასვლები...), მიმოქცევაში შემოვიდა ახალი მასალები. თურქეთის საქართველოს (ისტორიული სახრეთ საქართველოს) მკვიდრთა ყოფისა და კულტურის შესასწავლად, ახალი პერსპექტივები გადაიშალა ქართველი მკვლევრის წინაშე.

კომპლექსური ექსპედიცია შავშეთში პირველად მოეწყო. ექსპედიციის წევრებმა ორი კვირის განმავლობაში მოიარეს შავშეთის სოფლები, ჩაიწერეს დიალექტოლოგიური, ფოლკლორული, ეთნოლოგიური, ტოპონიმიკური მასალები, გადაიღეს ფოტო და ვიდეომასალები, რომელთა ერთი ნაწილი უკვე გამოქვეყნდა (იხ. თ. შიოშვილი 2005; მ. ფაღავა, მ. ცინცაძე 2007; რ ხალვაში 2007), შეიქმნა ფოტოკოლაჟი „იმერხევი“ (ავტორი მ. ჩოხარაძე, რედაქტორი მ. ფაღავა), მზადდება ვიდეოფილმი რამდენიმე ნაწილად... სამეცნიერო ცენტრში დაიბადა იდეა, შექმნილიყო მონოგრაფია „შავშეთი“, რომელშიც განხილული იქნებოდა პრობლემები:

1. შავშური კილო;
2. შავშური ფოლკლორი;
3. შავშეთის ტოპონიმია;
4. შავშეთის მატერიალური კულტურის ძეგლები;
5. შავშეთის ეთნოგრაფია;
6. შავშეთი ქართულ და ოსმალურ საისტორიო წყაროებში...

მონოგრაფიას დაერთვის ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური მასალები ლექსიკონითურთ.

შევადგინეთ სამწლიანი პროექტი, რომელიც საკონკურსოდ წარუვადგინეთ „საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს“, მაგრამ იგი ვერ დაგაინტერესეთ პრობლემით. ნუ იკითხავთ და, თურმე „ამდენი კვალიფიციური მეცნიერის სამი წლით აღნიშნული პრობლემის საკვლევად მოცდენა მეტისმეტია“; თურმე, „პრობლემა არაა აქტუალური, იგი საკმაოდაა შესწავლილი“... თურმე, არც 150 000 ლარის დახარჯვა ღირს შავშეთის შესასწავლად (ბიუჯეტი გაბერილიაო, ასკვნის „შავშეთმცოდნე“ ექსპერტი...). ამავე „გამჭრიახი“ ექსპერტის დასკვნით, არც „თურქეთის ლაზეთის“ (ტერმინი ჩვენია – მ.ფ.) შესწავლაა აქტუალური ქართული მეცნიერებისათვის. მაშ, რაღააო აქტუალური? – იკითხავთ გაკვირვებული და მართალიც იქნებით. ასიმილაციის გზაზე დამდგარი კუთხისათუ მხარეების შესწავლა თუ არაა აქტუალური და მნიშვნე-

ლოვანი ქართველთმცოდნეობისათვის, მაშ, რაღაა აქტუალური?! ჩვენ, „გულუბრყვილოებს“, პირიქით გვეგონა.

შავშეთი ისტორიული საქართველოს ვრცელი ქვეყანაა, მის ყოველმხრივ შესწავლას თაობების შრომა დასჭირდება, ჩვენ ვფიქრობდით, მოკრძალებულ წელიწადში შევიტანდით (და შევიტანთ კიდევ. ჩვენი დამაწყევარი დადგა „ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ ექსპერტების იმედად) ამ მამულიშვილურ საქმეში: შევაგროვებდით მასალებს, დავსვამდით პრობლემებს... და მომავალი თაობებისათვის ხელმისაწვდომს გავხდით შავშეთს, ლაზეთს, განსაკუთრებით – „თურქეთის ლაზეთს“, ასევე თურქეთის საქართველოს სხვა ქვეყნებს.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ ვიტყვით: თურქეთის საქართველოს შესწავლა ქართველთმცოდნეობის გადაუდებელი ამოცანაა და ჩვენმა თაობამ თავისი სიტყვა უნდა თქვას. როგორც არ უნდა შეუშალონ ხელი, იგი მაინც შეასრულებს ამ მისიას.

დასასრულ, მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი ამირან კახიძე ექსპედიციის მოწყობაში თანადგომისათვის.

ქვემოთ მოგიტოხრობთ ექსპედიციის მუშაობის შესახებ შავშეთში.

## გზად ბათუმიდან შავშათამდე

22 ივლისს, როგორც იქნა, დავასრულეთ საექსპედიციო სამზადისი – შეკეთდა ავტომანქანა, თურქეთის საკონსულოში გაგვიმზადეს პასპორტები (მადლობა თურქეთის რესპუბლიკის გენერალურ კონსულს ბათუმში **შევქი მუთეველიოღლუს**), რაშიც **თამაზმა** იყოჩაღა, შევიძინეთ აუცილებელი საკანცელარიო ნივთები, აუდიო და ვიდეო კასეტები, რვეულები... გა-

დაწვდა, **23 ივლისს** დილით **9** საათზე შევიკრიბებოდით უნივერსიტეტის ეზოში და დავადგებოდით გზას.

ექსპედიციის მარშრუტი განსაზღვრული გვაქვს – დაახლოებით იმავე გზას გავივლით, რაიც გასული საუკუნის დასაწყისში **გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევზე შემდგარმა ნიკო მარმა და მისმა ექსპედიციამ გაიარეს**. ე. ი. **ვიმუშავებთ ისტორიულ შავშეთში**. ბაზად შავშეთის დღევანდელი ადმინისტრაციული ცენტრი, მცირე ქალაქი **შავშათი** ავირჩიეთ.

წინასწარ ვიცით, რომ ქართული ენა ოდენ იმერხევის სოფლებშია შენახული, ასევე **უსტამისსა და ჩაქველთაში**, სხვა სოფლების მკვიდრთ მშობლიური ენა დაუკარგავთ. ამის მიზეზი ბევრგანაა საძიებელი. უპირველესად იმაში, რომ აქედან მოსახლეობის ნაწილი თურქეთის რესპუბლიკის შიგარაიონებში გადაასახლეს, თურქები კი სიამოვნებით დასახლდნენ შავშეთის ნოყიერ მიწებზე, რამაც დააქარა დარჩენილი ქართული მოსახლეობის ასიმილაცია. ნ. მარის მოგზაურობისასაც კი შავშეთის ბევრ სოფელში ქართული აღარ იცოდნენ. „დღიურებიდან“ მოვიყვანთ რამდენიმე ამონარიდს:

„იმერხევიში ყველგან არ იციან ქართული. ცუდად ან საერთოდ არ იციან ქართული **დიობანში, შოლტისხევში, აგარაში** (წყალსიმერთან ახლოს). შოლტისხეველს შევხვდი **ზაქიეთიდან ბაძვირეთისაკენ** მიმავალ გზაზე. მან ვერ გაიგო კითხვა: **დაილაზე მიხვალ? აუცილებელი გახდა თურქულად ამეხსნა**“ (ნ. მარი 1911.: 76);

„**ქართული ენა დავიწყებიათ ოპიზაში**“ (ნ. მარი 1911.: 157);

„**ჭედილში** (ჭედილაში - მ. ფ.) ქართული ენა სუსტად განვითარებული აღმოჩნდა. ახალგაზრდებმა და ბავშვებმა თითქმის არ იციან ქართული. მოხუცი ქალები ლაპარაკობენ ქართულად. სამოცი წლის მოხუცი, რომელიც ქართულის კარგ მცოდნედ ითვლება, მესაუბრა, მაგრამ ყველა ფეხის ნაბიჯზე თურქულზე გადადიოდა...“ (ნ. მარი 1911.: 114);

„ქართულ ენას ასე თუ ისე ხედებიან **ახალთასა და ჭედილის** მცხოვრებნი. მე ვესაუბრე ერთ მოხუცს **პორტადან**

(ფორთა? – მ. ფ.), რომელსაც ასე თუ ისე ესმის ქართული, მაგრამ არც ერთი ფრაზის დამთავრება არ შეუძლია თურქულის გარეშე. არაფერს ვამბობ თურქულის შერევის შესახებ ადგილობრივ ქართულ დიალექტთან“ (ნ. მარი 1911.:130).

ანალოგიური ცნობები გვხვდება სხვა მოგზაურთა და მკვლევართა ჩანაწერებშიც...

დავუბრუნდეთ ძირითად სათქმელს.

დაახლოებით დილის ათის ნახევარი იყო, უნივერსიტეტის ეზოდან რომ გამოვედით და სარფის საბაჟოსაკენ ავიღეთ გეზი. გზად **მალხაზს** შევუარეთ ხელვაჩაურში და თავისი ბარგითურთ ჩავისვით მანქანაში. მალე სარფის საბაჟოსაც მივადექით. აუცილებელი საბაჟო ფორმალობების გაელის შემდეგ გადავლახეთ საქართველოს საზღვარი...

ჯერ კიდევ დილაა და უკვე საშინლად ცხელა...

ქართველებისაგან განსხვავებით, თურქი მებაჟეები უფრო ბიუროკრატები არიან. ჯერ პასპორტები გაგვისინჯეს გულმოდგინედ, შემდეგ ათასგვარი ქალაქი შეავსეს მანქანისათვის, დაზღვევაც გადაგვახდევინეს – 75 აშშ დოლარი. რატომ დაგვიზღვიეს მანქანა, ნამდვილად არ ვიცი...

როგორც იქნა, დავტოვეთ თურქეთის სარფის საბაჟო და ხოფისაკენ გავწიეთ, აქედან კი – ბორჩხისაკენ. ბორჩხასთან მისვლამდე ჩხალისწყალზე თაღოვანი ხილია, კარგად შემონახული ჩვენამდე. გადავწყვიტეთ, მცირე ხნით მუხლი გაგვემართა. მანქანა გავაჩერეთ. სურათები გადავიღეთ. ხილიც გადავზომეთ ნაბიჯებით; ვინ იცის უკვე მერამდენედ...

მალხაზი სერიოზულია, ძალიან სერიოზული. გულმოდგინეთ გვაწვობს ხილზე ექსპედიციის მთელს შემადგენლობას და ისტორიულ ფოტოს გვიღებს. **ჩხალის** ანკარა წყალი თევზითაა სავსე. გვახარებს წყალში მოთამაშე კალმახების ხილვა, რაც ასე აკლია ჩვენს მდინარეებს. ჩანს, აქაურები უფრო თხილდებიან მდინარეს და, საერთოდ, ბუნებას. თვალს სიამოვნებს ხეობის სისუფთავე...

ბორჩხაში აღარ გაჩერებულვართ, პირდაპირ ართვინისაკენ წავედით. ყოველდღიურად იცვლება ჭოროხის ხეობა. **დე-**

ნირელის კაშხალი თითქმის დასრულებულია. თორნიკეს სპეცილური დავალება აქვს შოთა ბოლქვაძისაგან (აწქვის დირექტორია, ჩვენი მეგობარი და მეზობელი), – უნდა გაიგოს კაშხლის სიმძლავრე, სხვა ტექნიკური მონაცემებიც. დაპირდა, გაგიგებო. პოდა, ხომ ვერ მოატყუებს, პირს ხომ ვერ გაიტყუებს? ამიტომაც გვთხოვს თორნიკე, რომ გაგჩერდეთ კაშხალთან და მოვიპოვოთ ჰესის შესახებ მასალები. ახლა ვჩქარობთ. წინ დიდი გზა გვიდევს. ვპირდებით, დაბრუნებისას შევასრულებთ შოთა ბიძიას თხოვნას...

შუადღისას უკვე შავშათში ვიყავით. სასტუმრო „საპარაში“ დავბანაკდით. ფასი მისაღებია ჩვენთვის – 10 ლირა (ახალი ანგარიშით) დღე-ღამეში. ამ 10 ლირაში შედის საუზმეც – „ყავალთი“, როგორც თურქები ეძახიან.

ისე, კაცმა რომ თქვას, ძნელია თურქული ფულის ანგარიში. სულ მილიონებში უნდა ითვალო: სადილი 2.5-3 მილიონი ლირს, წყალი – 2.5, აირანი – 550 000... ჩანს, თავად თურქებშიც შეწუხდნენ ამოდენა ციფრებით და ექვსი ნული ჩამოაცილეს ლირას. ანუ 1 000 000 ლირა 1 ლირა გახდა. ახალი ბანკნოტებიც დაუბეჭდავთ, მაგრამ ზოგიერთი ისევ ძველებურად ანგარიშობს. რას ვიზამთ, ჩვეულება ხომ რჯულზე უმტკიცესია...

მალხაზი ყველაფერს იღებს, – ვიდეთი თუ ფოტოაპარატით. თორნიკე და კახაც თანამშრომლობენ მასთან...

## ტბეთის საკათედრო ტაძარში

სადილის შემდეგ ტბეთში წავედით, ტბეთის საკათედრო ტაძრის სანახავად. შავშათიდან 14 კილომეტრია ტბეთამდე. სათლელის ციხესთან გადავუხვიეთ და სათლელის ხეობაში შევედით. ლამაზი, მწვანეში ჩაფლული ხეობაა.

გავიარეთ ხეობა, შემდეგ საჯირითო მინდორი (ახლა სათიბებია) და მივადექით ჯვეიზლის (ასე უწოდებენ დღეს ტბეთს). ორასამდე კომლი ცხოვრობს ამ სოფელში.

ნახულმა გული ჩაგვწყვიტა.

ტბეთის საკათედრო ტაძარი დანგრევის პირასაა. ბევრი აღარაფერი დარჩენილა. ჩანს, იგი გრანდიოზული ნაგებობა ყოფილა – ჯვრის ტიპის გუმბათოვანი ეკლესია. ჩამოქცეულა გუმბათი, ჩრდილო კედელი წაქცეულა (დაზიანებული ყოფილა იგი გ. ყაზბეგის მოგზაურობის დროსაც), სამხრეთის კედელია გადარჩენილა. ქვებზე ჩანს ჩუქურთმები, სხვადასხვა ტიპის ჯვრები...

XIX საუკუნის 70-იან წლებში ტბეთი ნახა გიორგი ყაზბეგმა. ტაძრის სიდიადით აღფრთოვანებულია მოგზაური. მოვიყვანთ რამდენიმე ამონარიდს მისი წიგნიდან:

„შენობის შიგნითა ნაწილს მთლიანობაში აქვს გრანდიოზული შესახედლობა და უფრო დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს, ვიდრე მცხეთის, ზარზმისა და საფარის ტაძრები...“

„ტბეთის მონასტერს შეუძლია რომიც კი დაამშვენოს, – ისე კარგია მისი საერთო ხედი და საუცხოოა მისი დეტალები...“ (იხ. გ. ყაზბეგი 1995).

ტბეთშიიტბეთში ქართველობა (უფრო სწორად, ქართულად მოლაპარაკენი) აღარ სახლობს. აქაურებმა იციან, რომ აქ ქართული ტოპონიმებია (ტბეთს ზემოდან მთა რომ დაჰყურებს, სამაჩუეთი ჰქვია), ქილისაც ქართულია. იციან ზოგიერთი ქართული სიტყვაც: თუთა, ტვერი (ტყეალ აგვიხსნეს)... სამეურნეო იარაღები, ტაძრის მახლობელი სახლის ეზოში რომ ეწყო და აქაურთა თურქულ მეტყველებაში დაღეპილი ქართული ლექსიკა გვაფიქრებინებს, რომ ამ სოფელში მოსახლეობის დიდი ნაწილი მშობლიურენადაკარგული ქართველები არიან.

დავინტერესდი ტოპონიმით „ბუღა გდოლი“ (ხარის ტბა). გამახსენდა აჭარაში კარგად ცნობილი ლეგენდა ტბის ხარის შესახებ. ნუთუ აქაცაა მსგავსი თქმულება? აუცილებლად მო-

ვიკითხავ. ვფიქრობ, ჩემი ეჭვი არაა უსაფუძვლო. ჩვენ ხომ აჭარის ახლო რეგიონში ვართ, რეგიონში, რომელიც, აჭარასთან ერთად, ისტორიულად ქმნიდა სამხრული მეტყველებისა და, საერთოდ, სამხრული ყოფის ტიპს. ასე რომ, მსგავსი გადმოცემების არსებობა აჭარასა და შავშეთში (სხვა მხარეებშიც) არაა მოულოდნელი.

ტბეთის საკათედრო ტაძარი ოქროსმადიებელთა მადას შეეწირა. სოფელში ამბობენ, განძისმადიებლებმა დაანგრევინესო ქილისა, სომეხმა განძისმადიებლებმა. ძნელი სათქმელია. შარშან ამ ტაძარს ჯერ კიდევ ჰქონია გუმბათი... ეკლესიის ეზოდან გათლილი ქვები, ზოგიც ნაქანდაკევი წაუღიათ: ზოგს სახლის მშენებლობაზე გამოუყენებია, ზოგსაც კიდევ ღობე გაუმაგრებია. ამბობენ, ზოგიერთი ქვა წარწერიანიც იყო...

ნახულით შეწუხებული და გულდამდულრული დავბრუნდით შავშათში.

სადამოთი სავანეში მოდ სსსტუმროს კაფეში შევედით. ვახშმის მოლოდინში „საპარას“ მეპატრონესთან გაგაბით საუბარი. ამ უკანასკნელმა იქვე მჯდომი იმერხეველი ქართველი გაგვაცნო. ახალგაზრდა **ემინ ჯაფარიძე** აღმოჩნდა... სოფელში მიგვიწვია **ემინმა**. მობრძანდით, ჩვენთან ყველამ იცის ქართულიო. სიამოვნებით მივიღეთ ბატონი ემინის მოწვევა.

## ბაზვირეთი

**24 ივლისს** სამუშაოდ **ბაზვირეთში** | **ბაზვირეთში** წავედით. იგი ხეობის ყველაზე მაღალი სოფელია, შავშათიდან 35 კილომეტრით დაშორებული. ტოპონიმში გვაქვს სამხრული კილოებისა და ქართულ სამწერლობო ენაში ფართოდ გავრცელებული **ძიზ** ბგერათმონაცვლეობა (შდრ. **ძეიზე, ძროხა|ხროხა, ძახილი|ზახილი, საბძელი|საბზელი**...). ჩვენი დროით დილის 8 საათი იქნებოდა, საუზმის შემდეგ რომ დავტოვეთ სასტუმრო.

საუზმეზე მინდოდა მეთქვა. მთელს თურქეთში სხვადასხვა სახის **შორვის** გარდა სხვა საუზმეს ძნელად თუ ნახავს კაცი. ჰოდა, სასტუმრო „**საპარაშიც**“ უკვე მეორე დღეა, დილით შორვას გვიმზადებენ. **თორნიკეს** შესახედავად არ მოეწონა შეჭამანდი, პროტესტი გამოთქვა და არც ჭამა. **კახამ** იუაუკაცა და პირველ დღეს, მიუხედავად იმისა, რომ კერძი აშკარად არ მოეწონა, მიირთვა. **თორნიკესაც** აქეზებდა, ჭამეო. არც მე მიჭამია. საერთოდ, იშვიათად ვჭამ წვნიანს. **თორნიკეს** მეორე დღეს **კახაც** აჰყვა. მე კიდევ ვაძალებდი, ცოტა მაინც ეჭამათ. არ მინდოდა, უზმოდ წამეყვანა მთაში. მეშინოდა, მანქანამ არ აწეინოთ-მეთქი მშივრებს. თორნიკე გაიბუტა. მეც გავუბრაზდი... ჩვენს კინკლაობაში მალხაზიც ჩაერთა:

– რა უბედურებაა, შენ თავად არ ჭამ და ბავშვს აძალებ! ეს ხომ თორნიკეს უფლებების დარღვევაა? – იხუმრა.

– გამიხდა მოზარდის უფლებების დამცველი-მეთქი, – ჩავილაპარაკე ჩემთვის.

კაცმა რომ თქვას, დროულად კი ჩაერთა საქმეში. მოიგო თორნიკეს გული და მამა-შვილის კონფლიქტიც ამოიწურა...

დავუბრუნდეთ სათქმელს.

შერთულთან ცენტრალური გზიდან **იმერხევის** ხეობაში შევედით (ცნობისათვის: **იმერხევის** ხეობას **ფაფართის** ხეობასაც უწოდებენ, იმიტომ რომ ეს მდინარე სათავეს **ფაფართის მთებში** იღებს). გავიარეთ **ჩიხორის გადასახვევი, დასამობი**... და შავშათიდან 21-ე კილომეტრზე გზაგასაყარზე მოფუსფუსე მამაკაცს ვკითხეთ:

– **წყალსიმერის გზა** აქედანაა?

– **ჰო, ჰო, – გვიპასუხა მან.**

ჩვენც გადავუხვიეთ მარცხნივ და შევედით **ხევეწრილის** (**წხევეწრულის** – ასე გამოთქვამენ ადგილობრივები) ხეობაში. ათი კილომეტრის გავლის შემდეგ კვლავ მარცხნივ გადავუხვიეთ და ბაზვირეთის აღმართებს შევუდექით. მარჯვნივ დარჩა სოფლები: **ხევეწრული, ზაქიეთი, სულ ზემოთ დაბა.**



**ხევწრულის** ხეობიდან ბაზგირეთის ხეობაში გადასასვლელზე პატარა ციხე დგას. მას **ხევწრულის ციხეს** ეძახიან.

ციხე, როგორც ჩანს, საფორტიფიკაციო დანიშნულებისა იყო. აქედან აკონტროლებდნენ ალბათ **ბაზგირეთისა** და **ხევწრულის** ხეობებს.

ციხე საგრძნობლად დაზიანებულია. გზის გაყვანისას მოუშლიათ იგი. კარგად ეტყობა ციხის ნაშალს დროისა და ადამიანის ხელი. სევდიანად გადმოჰყურებს დღეს ბაზგირეთისა და ხევწრულის ხეობებს ერთ დროს მათი დარაჯი. დარდებს აგიშლის კაცს მისი ნახვა...

გაჭირვებით ავედით ციხეზე. წინ თამაზი მიდის, უკან ჩვენ მიყვებით. ზემოდან ქვები დაგორდა ჩვენივე გაუფრთხილებლობით, კინადამ მიმსხვერპლა. გადავრჩი. დავათვალიერეთ, თუმცა დასათვალიერებელი არცთუ ბევრია, გადავიდეთ რაც საინტერესოდ გვეჩვენა და გზა გავაგრძელებთ.

ექსპედიციის წევრები თანდათან ერთგებიან საქმეში, განსაკუთრებით ეს ითქმის ახალბედებზე:

თორნიკე და კახა პირველ საექსპედიციო გამოცდას აბარებენ; ახლის ნახვით გამოწვეულ აღტაცებას ვერ ფარავენ...

რამაზი პირველად ამ მხარეში და ხარბად ათვალიერებს შემოგარენს...

ნუგზარი რაღაცას გვისხნის, თან აქაურ ნაცნობებს იხსენებს...

მალხაზი აპარატურას ჩასჩინებს, თან გადასაღებად შესაფერის ადგილს არჩევს.

მერი და თინა საუბრობენ...

ზაზა თვლემს, თამაზი ფიქრობს, მანქანა კი გაჭირვებით მიიკვლევს გზას ხეობაში...

როგორც იქნა, მივალწიეთ **ბაზგირეთს**. სოფელი სამი ნაწილისაგან შედგება: **ქომო სოფელი** (ქვემო სოფელი, შდრ. ქოსოფელი), **შუა სოფელი** და **ზემო სოფელი**, – **გამიშეთი|გამეშეთი**.

გულლიად შეგვხვდა ბაზგირეთი. ესაა რომ სოფელი სათიბად იყო ჭალებში გასული. შუადღით ძლიერ დაცხა. მთაში

მანც სხვაგვარი ხვატი იცის. ბაზგირელები დასასვენებლად დაბრუნდნენ ოჯახებში.

პირველმა შემხვედრებმა, მოხუცმა ქალბატონებმა, თბილად მიგვიღეს. მერი და თინა მათთან დასხდნენ სამუშაოდ. არცთუ იოლია ქალბატონებთან კონტაქტში შესვლა, თუმცა ხშირად არც მამაკაცები ეხსნებიან იოლად პირველშემხვედრს.

ქალბატონმა მერიმ დიქტოფონი და კალამი მოიმარჯვა. ბაზგირული მეტყველების აუდიოჩანაწერებიც დაგეჭირდება, მომავალში ჩაწერილი ტექსტების შემოწმება რომ შევძლოთ.

მერი ცდილობს ლაპარაკში აიყოლიოს რესპოდენტი. აინტერესებს ყველაფერი, ქორწილით დაწყებული, შეიღების საქმიანობით დამთავრებული:

**„ოცი წლისა გვევთხვე, ელჩები მოვდენ, კაცი სამი წლითაა პაწად ჩემზე, გავზარდვ. კაცმა ამომიჩრია, ის ჩვიდმეტის იყო. საქონელ ერთად ვაძუებდით. სოფელში რომ იყო, დევნახვედი დევლაპარიკებდით...“**

მერი გამალებით იწერს ყოველ სიტყვას. შენიშნა მისი ფუსფუსი სარე ბულბულმა, – 79 წლის ქალბატონმა და გადაულაპარაკა მეზობელს:

– **მეხსუს მაღაპარაკებენ აგზე, ახლა მივხდი.**

დავტოვეთ ქალბატონები ქომო მაჰალეში.

მე, თორნიკე და მალხაზი ზემო სოფლისაკენ წავედით.

ნუგზარი ამ სოფელში შინაური კაცია.

თამაზი და მისი რაზმი (კახა, ზაზა და რამაზი) ცალკე წავიდნენ.

ტარიელი მანქანას დარაჯობს, მანქანას, რომელიც ხათრით მუშაობს და სიურპრიზებსაც გვიმზადებს.

მთელი ბაზგირეთი ქართულად ლაპარაკობს, მაგრამ არ მოსწონთ მათი ქართული.

– **„ჩვენი ბევრი გადაბრუნებულია, გურჯიჯა აღარ დარჩა“**, – გვითხრეს წყენით.

– „**დრო რამდენიც გადის, იკარგვის ქართული. ერთი ენა არ ვინმარე, არ ვინმარე, დამავიწყდა**“, – გვითხრა ნეჯათ ზუმბაძემ, არცთუ ცუდმა მექართულემ.

მალღა აუწყევით სოფლის ორღობეებს. მომავალ შუახნის მამაკაცს გამოველაპარაკეთ. ყოფილი მოლა აღმოჩნდა, სოფლის ყოფილი იმამი, ალი ზუმბაძე. პატრიოტი კაცი ჩანს ხოჯაყოფილი. რომ გაიგო, ქართველები ვიყავით, სიამოვნებით გაგვიბა საუბარი. დაწვრილებით გამოგვკითხა საიდან მოვდიოდით და რას ვეძებდით ამ მთებში.

– თქვენ გეძებდით-მეთქი ამ მთებში. თქვენი გაცნობა გვანტერესებს-მეთქი. ბათუმის უნივერსიტეტიდან ვართ პროფესორები, თქვენი ლაპარაკი, ფოლკლორი, ისტორია გვანტერესებს, ადგილების სახელებიც გვინდა ვიცოდეთ... – მივუბეძე.

– ჩემი ძმაც მასწავლებელია, ორეთმენი, ოცდაათი წელი იმუშავა, ახლა ემეკლია (ამაგდარი, პენსიონერი), აი ის სახელი მისია (გვიჩვენა მოზრდილი ფიცრული), ახლა მასთან მივალ, ბენზინი'და წამოვლო...

ჩანს, ამ სოფელში სრული „დემოკრატიაა“. ღოცულობს ის, ვინც ამას საჭიროდ თვლის. არც ალკოჰოლზე ამბობენ უარს. ჩემს კითხვაზე:

– ხოჯა არ გიკრძალავთ დასალევს? – ირონიულად მიპასუხეს:

– **ხოჯა მაგ საქმეში ვერ ჩიერება. მისი საქმეა, ილოცოს.**

ამასობაში შუადღის ღოცვის დროც მოვიდა. მუეძინმა ეზანით მორწმუნეებს სალოცავად მოუხმო. ვატყობ, არ ჩქარობენ ბაზგირელები. ერთმა მოსწრებულად შენიშნა:

– ხოჯის საქმეა, დღეში ხუთჯერ იყვიროს (ხუთჯერ ღოცვა ევალება დღეში მორწმუნე მუსლიმანს. ხუთჯერ მოუხმობს მათ ხოჯა ჯამეში), ჩემი საქმეა, მუუსმენ თუ არა; მაგაში უხდის თავრობა თვეში 600 დოლარსო.

ვერაფერს იტყვი, ლოგიკურია.

ყურადღებას იქცევს აქაურ გვარ-სახელთა წარმოება: **თეთრიენთი, ცვარიენთი, ჯიგანიენთი, მეჭმედიენთი...** (გვარსახელთა ანალოგიური წარმოება გვხვდება ზემო აჭარაშიც).

– **ზუმბაძე** ვართო, – აგვიხსნა ხოჯაყოფილმა.

საუბარში მისი ბიძაშვილიც ჩაერთო, დაწყებითი კლასების ყოფილი მასწავლებელი **ნეჯათ ზუმბაძე**. იგი დევნილობაში ყოფილა საკმაო ხანს. ადამიანის უფლებებს ვიცავდიოთურქეთში. აქ ბევრი ვერ ამბობდა, რომ ქართველი იყო, ეშინოდა. ქურთი, ბერძენი, სომეხი... ყველა ერთ დღეში იყო. მათ უფლებებზე არავინ ზრუნავდა. ჩაგები მოძრაობაში, მაგრამ მალე იძულებული გახდი გერმანიაში გავქცეულიყავი. ან ძალიან დიდი ჯარიმა უნდა გადამეხადა, ანდა სამი წელი ციხეში უნდა ვმჯდარიყავი. ემიგრაცია ვამჯობინე. მერე ევროკავშირმა საყვედური უთხრა ჩვენს მთავრობას ადამიანთა უფლებების დარღვევის გამო და მეც დაებრუნდიო...

ნეჯათ ზუმბაძის ოჯახში მიგვიწვიეს. მასპინძელს სამი შვილი ჰყავს. სამივეს განათლება თბილისში მიუღია, ერთი დღესაც თბილისში საქმობსო, – აგვიხსნა ნეჯათმა.

უკვე შუადღე იყო. სადილზე მიგვიწვია დიასახლისმა. აქაც ისეთივე კერძები სცოდნიათ, ჩვენთან, მთაში, რომ იციან: **ბორანი** (აქ **მონრაკულს** ეძახიან. ამავე ტერმინს აჭარაშიც ხმარობენ), **თაფლი**, **ფშნილაი** (ყველის სახეობაა), **ქათმის შეჭამანდი** (ჩახოსხილის მსგავსი)... და **ჩაი**, რა თქმა უნდა.

მალხაზი ყველაფერს აგემოვნებს: განთქმულ ბაზგირულ **თაფლს**, **მონრაკულს**... ხომ უნდა იცოდეს აქაური კერძების გემო...

ეზოში ოცდაათამდე სკა უდგას მასპინძელს. ჩანს, მეფუტკრეობას მისდევს. თურქეთში მოწონებით სარგებლობს და კარგადაც ფასობს აქაური თაფლი. კარგი შემოსავლის წყაროა იგი გამრჯე კაცისათვის. მასპინძელი გვიყვება ბაზგირული ფუტკრის თვისებებზე. ჩანს, ამ მთების ყვავილი მდიდარი და ნოყიერია, ამიტომაც განსაკუთრებულია აქაური თაფლიც.

ბაზგირეთში დღეს პურსა და ფეტვს აღარ თესავენ, მხოლოდ იონჯა მოჰყავთ პირუტყვისათვის. მოჰყავთ სიმინდი და

კარტოფილიც. სხვას ყველაფერს ყიდულობენ. სოფელში მეურნეობის ძირითადი დარგი მეცხოველეობაა. მრავლად ჰყავთ აქ საქონელი. ზაფხულობით იალადებზე მიჰყავთ, იქ აძოვებენ და საზამთროდ აგროვებენ რძის ნაწარმს: **ფშნილას, ძაღს, ნადულს...** შემოდგომაზე ბაზგირელები ყიდიან საქონლის ხორცს და ოჯახისათვის საჭირო ნივთებს ყიდულობენ. ამიტომაცაა, რომ მთელი სოფელი ჭალებად უქცევიათ. თივას ამზადებს ბაზგირეთი დღესაც, საზამთროდ ემზადება.

ბაზგირეთში, და არა მარტო აქ, მოშლილია ძველი ქართული ტრადიციული მეურნეობა. აქ აღარ მისდევენ მემინდვრეობას, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მეხილეობასა და მებახჩეობას. გადაშენების გზაზეა ხორბლისა და ხეხილის ენდემური ჯიშები... თავისთავად იშლება ქართული ყოფა. ამის მიზეზები ქვეყნის განვითარების დღევანდელიობაში უნდა ვეძიოთ.

ძველებური აქ სახლებია მხოლოდ კარგად შენახული – ხის დიდი სახლები, ორიგინალურად ნაშენები. როგორც აგვისსნეს, მთელს იმერხევში და, საერთოდ შავშეთში, აკრძალულია ქვითკირის სახლების შენება. ამ თვალსაზრისით აქაური სოფლები ერთგვარი მუზეუმებია. სახლები უმეტესად ორსართულიანია, ხშირად გადადგმული, ორნახევარი სართულიც. პირველ სართულზე საქონლის სამყოფია მოწყობილი, მეორეზე – საცხოვრებელი. ყველა სახლს აქვს აივანი. „აივნისიანი სოფელი" შეიძლება ვუწოდოთ აქაური დასახლების ტიპს..

სადილობისას საუბარს შევეყვით. ყურადღება მიიქცია იმან, რომ მასპინძლის მეტყველებაში გარკვევით ისმოდა ფარინგალური თანხმოვანი **ჭ: ფეჭი, ბაჭალა, ჰევი...** არადა, რამდენიმე წლის წინათ მე ვამტკიცებდი ამ ბგერის არარსებობას. ამ ხეობაში წინადაც ვყოფილვარ, აქაურებს სხვაგანაც შევხვედრივარ, მაგრამ მაშინ **ჭ** ვერ შევნიშნე, ვერ აღვიქვი ეს ბგერა. ახლა სმენა გამახვილებული მქონდა, სპეციალურად ვაყურადებდი აქაურთა ქართულს... ვერც ქალბატონი **შუშანა ფუტკარაძის** ცნობა მივიჩნიე მთლად სარწმუნოდ...

– თქვენ ოცდაცამეტი ბგერა გაქვთ, ჩვენ ოცდაათხმეტით, – შეგვნიშნა მასპინძელმა. იგი განათლებული კაცია, ქართული წერა-კითხვაც ესერხება.

მართალი ყოფილა ბატონი **თედო უთურგაიძეც**, რომელმაც იმერხეველთა მეტყველებაში თავადაც დააფიქსირა ეს ბგერა. სადოქტორო დისერტაციის ოპონენტობისას, მისებურად, რბილად შენიშნავ მომცა და მირჩია, კიდევ დაკვირვებოდი იმერხეველთა ქართულს. მახსოვს, პირად საუბარში მითხრა: არ შევცდებოდით მე და ცოცანა (გიორგი ცოცანიძე), ჩვენ ხომ **ჭ** არით გავიზარდეთო.

ახლა კი მჯერა, რომ ბატონი თედო და ქალბატონი შუშანა სწორად აღნიშნავდნენ **ჭ** არის არსებობას იმერხეულში (შავშურში).

– შავშეთში ქართული არ იცოდა? – ვეკითხები ნეჯათს.

– ზოგი ვინცხა რომ განათლებულია, იცის: სოფლის სახელი ძველია, ანა-ბაბოძს სახელი ქართული, სიტყვებიც იციან ბევრი-ბევრი, ჰამა ვერ ლაპარაკოფს. აქ, ართვინში, თურქი არაა... – მპასუხობს ნეჯათი.

– აქ არიან ქართველები იმერქვეში, შავშეთში არ არის გურჯი, ისენი თურქი არიან – ლაპარაკში ჩაერთო ოსმან იმიქი.

ქართული რომ არ იცის, იმიტომ არ არიან შავშელები გურჯები – ასეთია ოსმანის ლოგიკა, ასეთია მექართულე შავშეთის ლოგიკა ზოგადად.

– ქართული რომ დეფიწყენ, ვბღუხდები, ჰამა რა'ნა ქნა? – ასკენის ნეჯათი.

მწარე სინამდვილეა, მაგრამ ვერაფერს გააწყო.

– ზველადაც არ იცოდენ შავშეთში გურჯიჯა; ჩვენებურად დეველაპარიკებია, იმა გონია მაგინეფს. აქოვრობაში ჩვენებურად, გურჯიჯა ვლაპარაკოფთ... – იტყვის მოგვიანებით ალი.

ამ საუბარში ჩვენი მანქანაც ამოვიდა. ბატონი **ტარიელი**, შესანიშნავი პროფესიონალი და პიროვნება, გაუწვალებია ავტოს. უჭირს ჩვენს გაუმართავ მანქანას ბაზგირეთის აღმართებში სიარული. არც ექსპედიციის წევრებს ადგათ კარგი

დღე. საშინლად ცხელა. სოფლის აღმართებიც გულზე აწვე-  
ბათ მიუჩვენებლებს...

ორღობეში სოფლელებს მოეყარათ თავი. სოფლის კოლო-  
რიტი მურთაზაც გამოჩნდა, კაცი კეთილი ბუნებით და გა-  
მორჩეული შესახედაობით, უცნაური ქცევით.

მურთაზას ქალაქში უშრომია, სტამბოლთან ახლოს „შეი-  
დი ყათი“ სახლიც აუშენებია, მაგრამ ახლა მშობლიურ სო-  
ფელში ცხოვრობს. სახლი ბაზგირეთშიც აქვს მურთაზას,  
კარგა მოზრდილი ოდა, აქაური, იმერხეული. სოფლის მოშო-  
რებით, გაღმა მთის კალთაზე ახალი სახლიც გაუმართავს,  
წყალიც გაუყვანია და გზაც, ახლა კი სოფლის მადლა, **საზ-  
გირელზე** აშენებს ოდას, საზაფხულოდ მინდაო, იხემებს.

– ფული ბევრი აქვს მურთაზას, – ხუმრობენ სოფლელები,  
– სად დახარჯოს, არ იცის...

– ქრია მურთაზა და დასახლებას (ცოლის შერთვას) აპ-  
ირებსო, – ამბობენ მეორენი.

– წყალი გეიყვანა სოფელში მურთაზამ, მიწას რომ დავაყ-  
რით, გეხსენებთ, მურთაზამ გააკეთაო...

– მაგას ჭკვა დათესილი აქ და თიბავს ჭკვასო, – დაამატა  
მესამემ...

ყველას უყვარს მურთაზა, ამიტომაც გულიანად ეხუმრები-  
ან. მურთაზაც გულიანად იცინის, არაფერს კადრებს აბეზარ  
მეზობლებს.

მურთაზა გიჟი არ არის, იგი დიდი ბავშვია, თავისებური,  
მეოცნებე, რომანტიკოსი. ცხოვრობს მურთაზა თავისი მარტო-  
ობით, მარტობასთან ვერშეგუებულად.

ნუგზარი კი გულს უკეთებს, ბათუმში ეპატიჟება, ჩვენე-  
ბურ ქალს შეგრთავო, პირდება.

მადლა მთაზე წავიდეთო, შემოგვთავაზეს ბაზგირლებმა,  
კარგი სანახებიაო იქ. მურთაზაც ჩვენთან ერთად წამოვიდა.  
ფეხით შევუდექით აღმართებს. აბა ჩვენი მანქანა საკუთარ  
თავს თუ აიტანს, დიდად დაგვაყავლებს, სადა აქვს ჩვენი ტა-  
რების თავი...

გვიჭირს გამეშეთის აღმართების ავლა. შუადღის სიცხე  
და აბეზარი ბუხებიც გვაწუხებენ. მიუხედავად ამისა, მაინც  
ვესაუბრებით მასპინძლებს.

– ძველი ქილისას ნანგრევებიო აქ, წარწერებიანი ქვებიც  
ენახეთო, – წამოიწყო ნეჯათმა, კუთხოვანი ასოებით რაღაც  
ეწერაო ზედ. „სიგარეტის კოლოფზე გადაწვერე და ბორჩხას  
ქართული წერა-კითხვის მცოდნე ადვოკატთან წვედე, მინდო-  
და მისთვის მეჩვენებია, წიკითხა და გემეგო რა ეწერა, მაგ-  
რამ რათ გინდა, ადვოკატი სტამბოლ დამხდა წესული, შემ-  
დეგ ნაწერიც დაგკარქე. წარწერა ფიქალზე (რბილ ქვაზეო  
გაგვიმარტა) იყო და იშლებოდა, ბოლოს კი თლათ დეიკარ-  
ქაო“.

ბუნებრივია, დავინტერესდით. მაჩვენეთ ქილისა-მეთქი, –  
ვთხოვე.

მიმავლებს **ოსმან იშიქი** გვიხსნიდა:

– აი იქ, დაბლა, **ვანტანგის მინდორიაო** (ვანტანგ გორგას-  
ლის მინდორი, არტანუჯიც ხომ აქვეაო, გაგვიმარტეს), ზემოთ  
კი **თამარის სასვენიაო**...

სოფელს საკუთარი მითოლოგია აქვს. იგი თავისი მითო-  
ლოგიით ცხოვრობს, ხშირად თავისივე სამყაროში ჩაკეტილი,  
გარე სამყაროსაგან მოწყვეტილი. აქაურმა კაცმა იცის, რომ  
მთებს გადაღმა ერთ მხარეს აჭარაა, მეორე მხარეს კი – მა-  
ჭახელი, მაგრამ იქ ხომ არასოდეს ყოფილა. გადმოცემებით  
იცის მხოლოდ, რომ „გურჯისტანი, იქვრობა, ღამაზი ყოფი-  
ლა“.

არავინ იცის, „თამარის სასვენი“ მართლა არის თუ არა  
მადლა სერზე, არც იმის დამტკიცებაა შესაძლებელი, მარ-  
თლა **ვანტანგ გორგასალს** უკავშირდება თუ არა „**ვანტანგის  
მინდორი**“, მაგრამ ბაზგირელებს ასე სჯერათ და ესაა მთავა-  
რი. ჩვენ რა უფლება გვაქვს, არ დავიჯეროთ...

– მადლა **ბუღა გოლიაო**, – გვიხსნის მურთაზა.

– ხომ არ გაგიგონიათ, **ბუღა გოლში წყლის ხარი** რომ  
ცხოვრობს-მეთქი, – ვიკითხე.

გაგვიგონიაო და ასეთ ამბავსაც მოგვიყვამ:  
– სოფლის ჯარი და გოლის ჯარი დაჭედებულან. გოლი-  
ის ჯარ უჯობნებია. მერე

პატრონს ხარის რქები დანით გუუწმენდია. როცა მეორე  
დღეს დაჭედებულან, დუუსისხლიანებია წყლის ხარი სოფ-  
ლის ხარს. წყალში რომ ჩესულა, სისხლით წითლათ შეღები-  
ლა გოლი...

– შემდეგ გოლი ხომ არ გადმოსულა და სოფელი ხომ არ  
წაუღეკავს-მეთქი?

– არა, გოლი არ გადმოსულა და არც სოფელი წაუღეკ-  
ავსო...

ავედით მადლა, მთაზე, **საზვირელს** რომ ეძახიან აქაურე-  
ბი.

საზვირელზე ქალები და ბავშვები მდელოზე გაშლილ  
სუფრას შემოსხდომოდენ. ერთი ბავზვირელი მოვიდა და მერი  
და თინა მიიპატიუა:

– ჩვენი ქალები და ბავზვირები ქადებ ჭამენ, წამოდთ, თქვენც  
მიირთვიეთო...

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი ქალბატონები აქტიურად იწერ-  
დნენ ბავზვირულ მასალებს გულსარე დუზგუნისაგან (ჯივა-  
ნიშვილი), სეგვიე თემურისაგან (სვარიზაშვილი) და საინურ  
მეიდანისაგან (ყასუმოდლი):

აველ საზვირელაზე,  
ერთი დავაკიუინე.  
მე რომ შენ არ'ნა წამოგყვე,  
აქ რაღა დემექინე!

\* \* \*

გაველ კურტუკლი სერზე,  
დავჯდენა წითელ ქვაზე.  
მოდო, ერთად ვიაროთ  
ჯანჯირში კლავი-კლავზე!

\* \* \*

ჯანჯირიდან დანბევი  
გეძარ, გახვალ ზიარეთ.  
ჰინ არ დამავიწყდება,  
ჩვენ რომ ერთათ ვიარეთ...

გაღმით კარხხალის დაკბილული მთები ჩანს, ზვიგენის  
კბილებს მოგაგონებს მნახველს. საზვირელზე მინდორია, მინ-  
დორზე რაღაც ნანგრევები ჩანს. რა უნდა იყოს? უფრო სა-  
საფლაოებს გვაგონებს. ოთხი აკლდამაა ერთად ქვებით და-  
ფარული. იქვე ახლოს სხვა სასაფლაოებიცაა...

– ამ ალაგს ქილისეს ვუძახთ. დაბლა ბავზვირეთის დაილ-  
აა, – ჯანჯირ დაილა, – მაცნობს ოსმანი.

ქილისეს ეძახიან საზვირელზე იმ ადგილს, სადაც სასაფ-  
ლაოებია.

– მადლა ლეკობნი დაილაზეც არის ნაქილისარიო, – გვე-  
უბნება ოსმანი. ნაქილისარი არი, მარა რაღა გაწავლო, მაქინა  
მეღტაით და ნახავთ.

განძისმადიებლებს საუკუნოვანი სიმშვიდე დაურღვევიათ  
აკლდამის მკვიდრთათვის, შეუწუხებიათ ჯერ კიდევ დარჩენი-  
ლი ნაშთები, ფეხისა და თავის ქალის ძეგლები. ამოუთხრიათ  
და მიწაც აღარ მიუყრიათ, იქვე დაუტოვებიათ...

სოფელში იმასაც გაიგონებთ, რომ ცოდვას მეზრების  
გათხრა, რომ იქ ოქრო არ არის, „ვინცხამ ამოთხარეს,  
დედხოცენ. თავის ქერქები, ხაპერის ქერქები, ყრია პაწაა. მოკ-  
დენ, დედხოცენ“.

შევწუხდით ამის მნახველნი და გამგონნი.

ჩანს, აქ სამაროვანია. კარგი იქნებოდა, არქეოლოგი  
გვხვებოდა. ახლა ვგრძნობ, შეცდომა მოგვივიდა ექსპედიცი-  
აში არქეოლოგი რომ არ ჩავრთეთ. რაღას გავაწყოთ, სამო-  
მავლოდ უნდა გადავდოთ ამ სამარხების დათვალიერება-შეს-  
წავლა. აუცილებლად მოვალთ ისევ საზვირელზე...

– დაბლა მადარებიაო, – გვეუბნება მურთაზა.  
წაყვანა ვთხოვეთ.

მე, თორნიკე და მურთაზა ძნელად სავალი გზებით ჩავედით მადარებში. ღვიის ბუჩქებს ჩავეყვით. ვერ ვიფიქრებდით, აქ თუ ღვია ხარობდა. ღვიას ეძახიან აქაურებიც.

აქ უბრალო მადარა არ არის. ადამიანთა სადგომები უნდა იყოს უძველესი. **პარეხებია** თავისი ფორმით. ვინ იცის, იქნებ აქ თავს აფარებდნენ ჩვენი წინაპრები, შემდეგ კი – განდევნილი ბერები. ვინ იცის, იქნებ...

მადარებს ზემოთ მინდორია, მინდორი ქვებითაა მოფენილი. ქვების სასაფლაოა-მეთქი, ვიფიქრე. დაკოდილი ქვებია ირგვლივ, ნაღვეწი. დევების ნაომარ ველს ჰგავს აქაურობა. შეიძლება, ოდესღაც აქ ქვებსაც ამუშავებდნენ...

გარეგნული კავშირი ზემო აკლდამებსა და ქვემო პარეხებს შორის აშკარაა. ყველაფერს მომავალი კვლევა გაარკვევს. საკვლევი აქ მართლაც ბევრია და ღირს კიდევ შესასწავლად.

თორნიკე ფოტოაპარატით გულმოდგინედ იღებს ქვაბებს.

წვერმოშვებულები, ჩამუხლული მურთაზა პირველყოფილ ადამიანს გვაგონებს...

ჩამოვედით დაბლა სოფელში, დაღლილები და დასიცხულები. ღრუბელი წამოვიდა, საწვიმარი ღრუბელი.

– შეიძლება გაწვიმდეს და გზებიც დაიმეწყროსო, – აგვიხსნეს, – გაგიჭირდებათო ჩავლა.

თამაზი და მისი რაზმი ჯერ კიდევ არ ჩანს.

ექსპედიციის შეგროვებამდე კიდევ ერთი ამბავი გავიგონე. ბაზვირული ხუმრობა:

**„ზაქიეთელი დათვზე წესულა სანადიროთ. შეხდა დათვი. დუშიზნა, ესროლა და ააცილა.**

**გაპერსებული დათვი წამოვდა კაცისკენ, დიეგლიჯანა. კაცმა თოფი მიიღო და დათვს დიემუქრა, არ მომეკარო თვარა თავს მოვიკლაფო...**

**აბა, კადო, ყეზა არ მოგივდესო, უთქმია დათვს და წესულა..."**

სოფელში თბილისელი ტურისტები ამოვიდნენ, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. შემოირბინეს და

წავიდნენ. ეთნოგრაფიულ ექსპედიციას ატარებდნენ მომავალი ისტორიკოსები.

ისე წავიდნენ, თვალის შეველებაც კი ვერ მოასწრეს სოფელზე...

მომავალ კვირას ქორწილია ბაზვირეთში. მთელი ექსპედიცია დაგვპატიუეს. გამეშეთიდან მოჰყავთ პატარძალი. საინტერესოა აქაური ქორწილი, აუცილებლად ვეწვევით...

ქორწილამდე ქალბატონმა თინამ მიაგნო სასიძოს, 28 წლის აიჰან სეჩერს (გენჩაროლდი) და ჩამოათქმევინა, რას უძღეროდა თავის „ნათქვამს“, ანუ „თვალჭირულ“ ბაჭალას:

გადი ყანი ღირუხე,  
გადი-გამოი, მიყურე.  
ე რა ხალუმი იყავ,  
ღღისით-ღამით მატირე!

\* \* \*

დილაღ გამუელ კარზე,  
მიხვიდოდი თი გზაზე.  
რა ფენა გიხდებოდა  
თეთრი ელბისე ტანზე!

\* \* \*

სობაზე დავდე გუგუმი,  
დათვმა დეიწყო ბუბუნი.  
მე და შენ რომ შევეყრებით,  
მაშინ'ნა ვქნათ დუგუნი...

მალე მთელი ექსპედიცია შეგროვდა და შავშათისაკენ წამოვედით.

გულით გვიმასპინძლა ბაზვირეთმა. საინტერესო სოფელია. ბევრი რამ შეიძლება ნახოს აქ კაცმა. დღეს საკმაო მასალა ჩავიწერეთ, „ცის მახლობლად“ მობინადრე შავშებისაგან, გულის კარიც რომ გაგვიღეს და სულ რამდენიმე საათში შეგვაყვარეს საზვირელი თუ საკუპრია, სახახვია თუ ჯანჯირი, ქვაკიბე თუ კურტუკლი სერი... ისიც გაგვიმხილეს, რომ

ბაზვირეთში აგვისტოშიც მოსულა თოვლი და შაირიც მოაყოლეს:

ბაზვირეთი ვის უქია,  
მარიობის თვეში უბუქია...

კიდევ ბევრი დაგვრჩა ჩასაწერი. სურვილი გვიჩნდება, ისევ დაგვბრუნდეთ აქ, უფრო ხანგრძლივი დროით. შესასწავლსა და საძიებელს რა დალევს სოფელში... მოვლივართ და მოგვეყვება სარა ბუღბუღის იმპროვიზებული შაირი:

საკუპრიაზე ხარებო,  
ქვაკიბეში დარებო,  
ჩვენ თქვენთან გამოსვლა გვინდა,  
არა გვაქ კი ფარებო...

## ზიოსში „ორთაბათუმი“ ვნახეთ

**25 ივლისი** გათენდა. საუზმის შემდეგ ვალუტის გასაცვლელად წავვედით. **400** აშშ დოლარი გადავცვალეთ თურქულ ლირაზე. **530** ლირის ნაცვლად კარგა ხნის ანგარიშის შემდეგ **750** ლირა მოგვითვალა გადამცვლელმა. ზედმეტი უკან დავუბრუნეთ. გაუკვირდა „ვალუტნიკს“. დაბნეულმა, გაკვირვებულმა და თანაც ჩვენი გულწრფელობით გახარებულმა, დაიბრუნა თავისი კუთვნილი. უკვირდა თურქს, მაგრამ არ გვიკვირდა ჩვენ, – მე თორნიკესა და ზაზას. ზაზამ დაიჭირა თურქის, შეიძლება გათურქებული შავშისაც, დაბნეულობა და წაიტრაბახა: ასე ვიცითო ქართველებმა...

კარგად მოვიქცეთ. ღირდა **220** ლირად ჩვენი გალაღება.

ბარემ ერთ შემთხვევასაც მოვითხრობთ, თორნიკესა და მე რომ შეგვემთხვა. თურქეთში საერთოდ და შავშათშიც ქურდობა იშვიათი მოვლენაა. მაღაზიისა თუ სხვა რაიმე ქონების მეპატრონეს შიში არა აქვს. ერთხელაც, უკვე ქალაქს შერეულეები, მე და თორნიკე ჩავედით რაღაცების საყიდლად. ღირა აღარ გვექონდა და დოლარის გადაცვლა გადავწყვიტეთ.

გადამცვლელი პუნქტის მეპატრონემ ფული მოგვითვალა. გარეთ გამოსვლაც ვერ მოვასწართ, ეზოში ჩხუბი ატყდა, საშინელი, ჯგუფები ებრძოდნენ ერთმანეთს, იგინებოდნენ, ყვიროდნენ. ჩვენი „ვალუტნიკიც“, ისე რომ სეიფი არც დაუკეტავს, გავარდა გარეთ და ჩაება აყალ-მაყალში. შევშინდი, ვინმემ დრო არ იხელთოს და არ გაქურდოს-მეთქი სალარო, „მცველად“ დავდექი, არავინ შემოვიდეს-მეთქი. კარგა ხანს გაგრძელდა ჩხუბი და ყაყანი. ჩვენც ვიდექით და ველოდებოდით, როდის დაბრუნდებოდა პატრონი. როგორც იქნა, დასრულდა ხმაური, „ვალუტნიკიც“ დაბრუნდა, არც შეუხედავს სალაროსათვის და არც მიმხვდარა, თუ რატომ ვიყავით დაყუდებული მისი მაღაზიის კართან.

ზაზამ ამიხსნა შემდეგ, აქ ქურდობა იშვიათად ხდება და არც არავინ ერიდება ქონების უყურადღებოდ დატოვებასო. ჩვენ კი ერთი სიცოცხლე გავათავეთ, სანამ ეს ახალგაზრდა კაცი უკან დაბრუნდებოდა და თავის ქონებას შეხედავდა...

ეს ისე, სიტყვამ მოიტანა.

შემდეგ ავტოსალონში წავვედით, ჩვენი „ფორდის“ მორყეული სავარძლები რომ გაგვემაგრებინა როგორმე. ახლა ვიგრძენი ზოგიერთის დაუდევრობა. წამოსვლისას თითქოს ყველაფერი შეაკეთეს, სალონი კი მოუწესრიგებელი დაუტოვებიათ, და არა მარტო სალონი...

ბევრი იყაყანეს თურქმა ხელოსნებმა, სანამ ჩვენი მანქანის შეკეთებას ხელს მოჰკიდებდნენ. როგორც იქნა, შეგვიკეთეს მანქანა. დილის 11 საათი იქნებოდა სახელოსნოდან რომ წამოვედით, საწვავი მოვიმარაგეთ და **ზიოსისაკენ** წავვედით. **შერთულიდან 8** კილომეტრის გავლის შემდეგ მარცხნივ გადავუხვიეთ ბაზვირეთის გზაზე, დაახლოებით **5** კმ-ის შემდეგ ისევ მარცხნივ შევუხვიეთ და დავადექით **ზიოსის|დიოსის** გზას. აქედან კიდევ **7** კილომეტრია სოფლამდე გასავლელი.

გზას არა უჭირს, გაუძლებს კაცი, მანქანამ თუ გაუძლო.

**შავშათიდან** ზიოსამდე **33** კილომეტრის გავლა საკმაოდ გაგვიჭირდა, მანქანის საბურავში წვეტიანი ქვა შეერჭო და დაიშვა. დაიწყო ჩვენი წვალება. როგორც იქნა, მოვარგეთ სა-

თადარიგო საბურავი. აქაც ვიგრძენით ვიდაცის დაუდევრობა. მანქანაში სხვა „დომკრავი“ ჩაუდვიათ და არა ისეთი, „ფორდის“ მინიბუსს რომ სჭირდება. სოფლის მისასვლელზე კიდევ ერთხელ დაიშვა საბურავმა... შუადღე გადასული იყო, გასავათებულები, ნერვებმოშლილები და ხალისდაკარგულები ზიოსში რომ შევედით.

მზიანი დღე იყო. ცხელოდა. წყალი დავლიეთ, სული მოვიბრუნეთ და სოფელში გავედით სამუშაოდ.

ზიოსი ტიპური ქართული სოფელია ორღობეებითა და დასახლებით. არც სახლებია განსხვავებული შავშეთის სხვა სოფლებისაგან. ამ სოფელშიც მეურნეობის ძირითადი დარგი მესაქონლეობაა. „**მოლი ბევრია, მოჭარ და მიაართვი ჩომასო**“, – აგვიხსნა მოხუცმა ქალბატონმა. ჩომას კი არ უნდა დაუყარო, „**უნდა მიაართვა**“ ბალახი. გამოთქმაშიც ჩანს ზიოსელების სიყვარული პირუტყვისადმი. ჩომა, საქონელი (ნახირი) ოჯახის მარჩენალია, ამიტომაც უნდა მოეფერო მას, მოკრძალებით მოექცე.

ჩომას ზაფხულობით მთაზე, ძალაღებზე **წაასხმენ** საბალახოდ. იქ ოქტომბრის შუა რიცხვებამდე რჩებიან. მთაში ამზადებენ **ძაღს, ფშინილას, ნადუღს** და რძის სხვა ნაწარმს.

ზიოსელებს, და საერთოდ შავშებს, უყვართ **ჭარი** და **ჩომა**. ძალაღებზე ხარებს აჭედებენ. ისინი ამაცობენ მუხლმაგარი ხარებით. ხარის კულტია აქ ყველგან...

ძალაღებზე ზიოსელები ხვდებოდნენ მაჭახლელებს.

ზიოსელებისა და მაჭახლელების ურთიერთობაზე გვიყვებოდნენ **მოლლოღლებისა** (ბექაძე) და **გურჯიოღლების** ოჯახებში...

– **დღედე ბათომ წვედოდა. მე არ მოვწრებივარ. ჩიქუნეთ გესული ვარ. მაშინ რუსი იყო და გვიჭირვიდენ. ჩემი ბიჭი ამბოფს, ბათუმ’და გეგდე, მუხიკაი’და ამოვტანოვო.**

– **ჩიქუნეთური ძაილების მხრიდან არის გოლი. იქიდან გამოვდოდა ბუღა, დიეჭედებოდა ჩვენ ბუღას, ვერ მიერეოდა, შევედოდა მორევიში...**

– **მისილოღების ძაილას ვეტყვით ჩუენ. სულეიმანი იყო მისილოღლი, დადიოდა, სხვებიც დადიოდენ, – აბდუღაფ, ხაფიზაფ... ვიცოდი თელი, იმათ ძაილებში ახლა ევრატელები არიან, მაჭახლელები, – მოგვიყვა მოხუცი ზიოსელი ახმედ მოლლოღლი.**

საინტერესოა, რომ მაჭახლელებსა და ზიოსელებს საერთო ძაილა ჰქონიათ, დღესაც დადიან აქ მაჭახლელები, მაგრამ ვერა ჩიქუნეთლები, **ევრატელები დადიან თურქეთის მაჭახლიდან.**

ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ იმერხევი მთის იქეთა ხეგია მაჭახლელის წარმოდგენით (შდრ. იმერეთი). ისე მაჭახელი და იმერხევი ერთი ქვეყნის – შავშეთის ნაწილებია ისტორიულად.

– **შუამთობა ჩვენ არ ვიცით, მარიობას ვეტყვით. დავდივართ საქორიას...**

– **საზვირელ ვეტყვით იმ ადგილ. რომ გათოვდებოდა, გაწვიმდებოდა, ჭარები შევედოდენ მაღარაში. კაცი იქ არ სახლობდა...**

ამ მხარეში მრავლადაა მაღარები, ქვაბები. ისინი არაერთგზის იხსენიებიან საისტორიო თუ ლიტერატურულ წყაროებში. აქაურთათვის დღეს ეს მაღარები მითურ სამოსელშია გახვეული. ბევრი გადმოცემა და თქმულება უკავშირდება მათ. ისინი მართლაც ინახავენ ბევრ საიდუმლოს, რომელთა გახსნაც ჩვენი მეცნიერების ვალია.

– **ყაზიად გადმოიტანდენ ბათომიდან. ერთი თენეკა ყაზიადი სამი მარჩილი ღირდა ბათომ. ზათინ გურჯების შეერი იყო ბათომი. ალი დედე ბექაძე იქ იღებდა ყველაფერს.**

– **აფშეს დუშუბახ, ტელეფონია-თქვა.**

– **ქორწილობა დიდი დუგუნია აქა.**

– **სხლის ჯიშებია: მოჩოჩთაფ (ხაპსაც ჰქვია იგივე სახელი), ქირეზაფც არი, ვაშლებია: ორთასულაფ, წოწოლაფ, მაჭენლულაფ... – მიხსნის ახმედ ბექაძე.**



ზიოსელობა გამოთქმაში გვხვდება **მაჭუნელი** (<მაჭახელი). ეს ფორმა არ დასტურდება ჩვენთვის ცნობილ ისტორიულ წყაროებში.

შემდეგ მოხუცმა ახმედ ბექაძემ ერთი „საიდუმლოც“ გაგვანდო:

– **ოთხი თორუნი მყავს ბიჭიდან, ხუთი – გოგოვდან. თორუნები გაჩდენ, ბიჭი გამძულდა. თორუნები მიყვარან. ბაბოვ, რა გინდაო, მეტყვიან...**

– **შეშასავეთ დადიან ფალაზები, გვარი'და დეიწავლო, გვარი...** – შემოელანძდა მოხუცს მეზობელი ფალაზები (გვარსახელია, ზიოსში სახლობენ), გაუნათლებლები არიანო.

დიდხანს ვისაუბრეთ ბატონ ახმედთან. გადავღალეთ ავადმყოფი მოხუცი (არცთუ დიდი ხნის წინ დამბლა გადაუტანია და უჭირს მოძრაობა, ყავარჯნით ახერხებს გაჭირვებით). ჩვენს საუბარში ახმედის ვაჟიც მოვიდა ჭალიდან, მემედი.

დიასახლისმა სადილზე მიგვიწვია, მაწონიც მოგვართვეს სხვასთან ერთად. მაწონს კოვზით მივირთმევდით ღრმა თეფშიდან. დალიეთო, გვირჩია დიასახლისმა.

– **ხელით ხვრიტოს, კადა. მაწონი კოვზით ხვრიტო'ნა, გემო იმა ქონდეს,** – ჩაერია საუბარში მემედი.

საყურადღებო ზმნური ფორმაა **ხვრეტს. ხვრეტა ხვრების** მნიშვნელობით, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სხვა სამხრულ კილოებში არ დასტურდება.

**ჩანართი 1.** ბატონი ალ. ჭინჭარაული XXVI დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიაზე შეეხო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სადაურობის საკითხს. მკვლევარი მსჯელობს **ხვრეტ** (**ხვრეპ**) ზმნური ფუძის გავრცელების არეალზე, კერძოდ, აღნიშნავს: „**ხვრეტ** დასტურდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, „ვეფხისტყაოსნისა“, საბას, ჩუბინაშვილების ლექსიკონებსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში“. მეცნიერი იმოწმებს შესაბამის მასალას: „მოავლინე და ჩემი თამარ და ზედა მადგეს, **მანურეტდეს** მე და იქმოდის ჩემ წინაშე **სახურეტელსა**“ (O.II. მფ. 13,5). რაკი ამ ერთ წინადადე-

ბაში საკვლევი ზმნის ორი სხვადასხვა ფორმა უხმარიათ, ჩანს, რომ ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ამ ზმნის სხვა ფორმებიც ბუნებრივი იყო.

იქით და აქათ მომისხდეს, **მანვრეტეს სახვრეტელია** (ვეფხ. 354). „მაჭამეს დუმა და ჳალი, **მანვრეტეს** ხინკლის წვენია“ (დავითიანი“, 328,4)“. ავტორი გვამცნობს, რომ „აღმოსავლეთ საქართველოს მთის ყველა დიალექტში ეს ზმნა მეტ-ნაკლები სიხშირით და ფორმათა მეტ-ნაკლები ნაირგვარობით დასტურდება“. რაც შეეხება **ხვრეპ** ფორმას, იგი სალიტერატურო ქართულში გვიან ჩნდება“.

**ხვრეპს** დასავლური დიალექტების კუთვნილებად მიიჩნია ბატონ ალექსის. ბოლოს დაასკენის: „**ენიდან სრულიად უსამართლოდ გაძევებულმა ხვრეტამ დიდი საქმე გააკეთა. ის ერთ-ერთი მოწმეა იმისა, რომ დიდი რუსთაველი აღმოსავლეთ საქართველოდან (ალბათ უფრო კახეთიდან ან ჰერეთიდან) იყო**“ (იხ. ალ. ჭინჭარაული 2006.: 65-66). იმერხეულ კილოკავში გამოვლენილი **ხვრეტ** ფორმა **ხრების** მნიშვნელობით, ვფიქრობთ, ხელს უშლის **ხვრეტის** საფუძველზე რუსთაველის წარმომავლობის მტკიცებას.

გაირკვა, რომ მემედი მუსიკის მოყვარულია. ვირტუოზულად უკრავს აკორდეონზე, მღერის კიდევ ქართულ სიმღერებს თურქული აქცენტით. დიახ, თურქული აქცენტით. მის სიმღერას აღმოსავლური ინტონაცია შეჰპარვია, მაგრამ სასიამოვნოა, რომ ქართულად მღერის. მღერის შაირებს სიყვარულზე, ქალზე, სიცოცხლეზე...

**„ელია, გოგო, ელია,  
ე, რა წმინდა წელია,  
სამი წელიწადია,  
დასახლება მწადია...“**

ამ სიმღერას იმერხევეში ყველა მღერის თავისებურად, აქაურებმა რომ იციან, ისე.

ქართული სიმღერების აუდიოკასეტები ვაჩუქე მემედს. გაიხარა. მისმა მეუღლემ სასწრაფოდ ჩართო. ანსამბლ „რუსთავის“ შესრულებით ქართული ხალხური სიმღერების ჰანგებით

აივსო ბექაძეების ოდა. შევატყვე, როგორ შეუტოკა გული ამ სიმღერებმა მასპინძლებს.

ჩემს შემდეგ ჩამოსვლაზე ამ სიმღერებსაც უნდა მდეროდეთ-მეთქი ზიოსელები, – კიდევ უფრო შევუნთე ცეცხლი ისედაც აღმოდებულ მასპინძელს.

მცირე დუმილის შემდეგ მემედმა გულწრფელად მითხრა:

– **ამფრათ ვერ მუაფერეფო.**

მემედი თავის მხარეში ცნობილი დამკვრელია. ოჯახში გერმანული აკორდეონი აქვს, ოცნებობს რუსულზე, კარგი ხმა აქვს, – მიმტკიცებს.

მეც ვეთანხმები, თუმცა უნდა ვაღიარო, არაფერი გამეგება აკორდეონის.

შემდეგ ახალგაზრდა ბექაძემ ბიძაშვილის ოჯახიდან რუსული აკორდეონი მოატანინა უფროს ვაჟს. ასეთი მაყიდვინეთო ბათუმში, გვთხოვა...

ანტიკვარული აკორდეონია, სპილოს ძვლით გაწყობილი. სად ვიშოვიდით ასეთს ბათუმში?

საუბარში ვახსენე, მეც სოფლელი ვარ და ძალიან მიყვარს სოფელი-მეთქი.

– ჰადავრი ხარო, – მორიდებით შემეკითხა მასპინძელმა.

– ორთაბათუმიდან-მეთქი, – ვუპასუხე მე. ბათუმთან ახლო სოფელია-მეთქი.

უცებ აენტო მემედი. რაღაც ეშმაკურად იღიმებოდა. მცირე პაუზის შემდეგ მითხრა: ჩვენ საცეკვაო მუზიკას „**ორთაბათუმ**“ ვეტყვით. ჩვენთან ყველა ცეკვავს ამ მუზიკაზეო.

მოემზადა მემედი საცეკვაო მუსიკის დასაკვრელად. მეც დიქტოფონი ჩავრთე.

გარმონჯი ხმამაღლა აცხადებს:

– **ორთაბათუმლებო, თქვენიდან ჩვენმა დიდმა დედებმა მუზიკა ისესხეს და ახლა'ნა დიგიბრუნოთო...** – დაუკრა... დაუკრა ჩვენებური საცეკვაო, ხორუმის ერთ-ერთი ვარიანტი. **ორთაბათუმური ხორუმი**, რომელიც ორთაბათუმში, და, როგორც ჩანს, მთელს საქართველოშიც, დაივიწყეს. მაგრამ შეინახეს იგი ზიოსელებმა, იმერხეველებმა ზოგადად, ჩვენმა

მოძმეებმა ჭოროხის ხეობაში და ახლა, დიდი ხნის შემდეგ, ორთაბათუმლებს, და მთელს საქართველოსაც, გვიბრუნებენ ამ ვალს და მე მატანებენ.

და მეც მივიღე ეს ვალი, გახარებულმა და გაამაყებულმა.

მოვდიოდი და ვფიქრობდი... მიხაროდა, რომ აქ, იმერხევის ამ მთის სოფელში ჩემი წინაპრების ნაკვალევი აღმოვაჩინე. როგორც ჩანს, დასავიწყებლად არ ყოფილა გამეცებული „**ორთაბათუმურად**“ საცეკვაო, ჩვენი **ორთაბათუმური ხორუმი**.

უფრო მოსალოდნელი იყო აქ მაჭახლური ხორუმი ყოფილიყო. იმერხეველებს ხომ მაჭახელთან ძველი ახლობლობა აკავშირებთ. ჩანს, არც ორთაბათუმი იყო მათთვის უცხო...

გბრუნდებოდი ზიოსიდან და მემედის ვაჟკაცური ხმა მაცილებდა:

„**ორთაბათუმლებო, თქვენიდან ჩვენმა დიდმა დედებმა მუზიკა ისესხეს და ახლა'ნა დიგიბრუნოთო!**“

ეს ჩემი წინაპრების ის „ვალი“ იყო, სიამოვნებით რომ დავიბრუნე...

იუმორი უყვართ ზიოსელებს. განსაკუთრებით ბაზგირელებზე ყვებიან ათასგვარ სასაცილო ამბავს. მაგალითად ასეთს:

– „**ბაზგირელებ გემასხრებიან: თქვენ თაზე მაღლა კი ხართ, ჰამა ჭკვა არ გაქვანო!**“

– „**ბაზგირელი ნისლიანში ცხვარ აბუფეს. დათვი მუა და მეგემ ცხვარი მიყავს. კაცი თვალ წამოკრავს, ეგონება, ვინცხა მაშინებსო. ეტყვის კი: გიცან, გიცან, ქომობნელი ხარ, ჯამიკარზე მოხვალ და შენ დაგამტრეფო, – დათვ ეტყვის. იმაღ დათვი კაცი გონია!**“

– „**ერთი ბერი გოდრით მივა გზაში. კამდონი დეეწევა. შოფერი დუჟედუნებს იმა, ეტყვის კი, გემასხრება: გოდორი არ მეთხნა კი, ამეს აამიმიფესო. ად ბერიც დგას გოდრით, არ იხსნის მანქანა არ ავამიმიფო. სხვა კაცი ეტყვის: რაზე არ იხსნი სიცხეში, მეთხენი და დადე ემეზეო. შოფერმა მითხრა კი, არ აამიფოლო...**“ (თინამ ჩაიწერა).

ზიოსიდან ხევწვრილში|ხევწრულში (ასე გამოთქვამენ ადგილობრივები) გავედით. პირველსავე შემხვედრს ნუგზარმა უთხრა:

– ილმაზი ავად არის და მის სანახავად მივდივართო (რადაცით ხომ უნდა გაგვემართლებინა შებინდებისას ჩვენი მოულოდნელი სტუმრობა).

– ჰე, ჰე, ავად არი, – გვიპასუხა ხევწრულელმა.

უკვე ბინდდება. ხევწვრილში მუშაობას ვეღარ შევძლებთ.

ყველანი კმაყოფილი ვართ დღის ნადავლით. კარგი მასალა მოვიპოვეთ. განსაკუთრებით თორნიკე ამაცობს. ლექსებით ჩავიწერეო, სიმღერებიც. გვიკითხავდა კიდევ მის მიერ ჩაწერილ შაირებს:

**„გემცინე, დიგინახო,  
უბეში'ნა შიგინახო“...**

\* \* \*

**„უბი სერი გევიარე,  
დაბი სერი მეგონა,  
ნუ მამტყუნებ, ჩემო ტაიაგ,  
გულში ცეცხლი მენტობა...“**

ვიდეოზეც გადავიღეო ყველაფერი. მეტი დამაჯერებლობისათვის ჩაგვირთო ფირი. ახალგაზრდა ქალი მღეროდა:

**„მაწონი შევაყენე,  
ე, რა ჯავე გამოდგა,  
დედაე კი მოვარჯულე,  
ბაბაე ჯაზი გამოდგა...“**

\* \* \*

**„ავდექ ჩვეელ ახორში,  
დავჯექ ძროხის წველაზე,  
შენ თუ მე არ მითხუე,  
დავდგენა შენ წყველაზე...“**

სხვაც ჩაეწერა რაღაცები თორნიკეს.

ხევწვრილში სოფლის იმამს შევხვდით. ჯამე დავათვალიერეთ, ვისაუბრეთ. ახალგაზრდა იმამი წუხდა, ამით ჯამე არ უყვართ, არ უვლიან, სალოცავადაც არ დადიანო.

ჩანს, სოფელს სხვა პრობლემები უფრო აწუხებს, ვიდრე ჯამეში ლოცვაა. ატამან დავლაძემ, სოფლის მკვიდრმა, აგვისსნა: „ჯუმაზე ხომ დავდივართ, სხვა რა უნდაო“.

მართლა რა უნდა მეტი ერზრუმელ ხოჯას?...

უკვე ბნელდებოდა, შავშათში რომ დავბრუნდით. გადავწყვიტეთ, სადმე გვევახშმა. ქალაქკარეთ, ბუნებაში, რესტორანია, „ჯანლი ბალიქ“ (ცოცხალი თევზი) – გვაუწყებს გზაზე გაკრული აბრა. მივედით რესტორანში. მართლაც, ცოცხალი კალმახები ჰყავთ აუზში. მიხვალ, აირჩევ, შენს თვალწინ დაიჭერენ და შეგიწვავენ. დავუკვეთეთ კალმახი და ხბოს მწვადები, სხვაც ზოგი რამ. უნდა ვაღიაროთ, რომ ბრწყინვალედ წვავენ თევზს... მწვადის შეწვა კი მალხაზმა არავის დაანება და თავად ითავა. უნდა გენახათ, როგორ ტრიალებდა ცეცხლთან და თან რა გულიანად ტრაბახობდა, კაცმა ყველაფერი უნდა იცოდესო, თანაც კარგადო...

იქვე ტარიელიც იდგა, ცნობილი გურმანი (გარეგნობაზეც ეტყობა) და ნერწყვებმომდგარი უყურებდა მალხაზის ფუსფუსს...

სუფრის გაშლამდე თორნიკემ, მე, რამაზმა და კახამ ფეხბურთი გავაჩაღეთ, თამაზი, მერი, თინა და ნუგზარი საუბრობდნენ რაღაცაზე და მოთმინებით ელოდნენ გემრიელ ვახშამს...

გვიან დავბრუნდით მშობლიურ სასტუმროში.

26 ივლისს აღრიანად მოვემზადეთ ველზე გასავლელად, მაგრამ დღესაც მანქანამ გვიმტყუნა. ამჯერად მუხრუჭები მოეშალა. ხევწვრილიდან შავშათამდე 30 კილომეტრზე მეტი გაჭირვებით გავიარეთ; ვიდრე მძლოლი შეარჩევდა შესაფერის ადგილს მანქანის შესაკეთებლად, ხევწვრილში ვიმუშავეთ.

ამ სოფლის ერთ უბანს „მეგრელები“ ჰქვია. ამუბნელები სიჯიუტით გამოირჩევიან და იმიტომ ვეძახით ასეო, – აგვისსნეს.

ჩვენთვის მაინც აუხსნელია, საიდან აქ მეგრელები? ან რა შუაშია სიჯიუტე? ლაზები რომ თქვან, კიდევ გასაგებია, მაგრამ მეგრელები აქ?...

ხევწვირში მეგრელიშვილები სახლობენ. ჩანს, მათ უბანს ეძახიან მეგრელებს.

სოფელში თუთა უკვე შემოსულიყო. ქალებს ეზოში ცეცხლი დაენთოთ და ბექმეზს (ასე უწოდებენ ბაქმაზს) აღუდებდნენ. ბექმეზის დამზადება ხანგრძლივი და რთული პროცესია: თუთას ყრიან დიდ ქვაბში, რომ აღუდებდა და სანახევროდ მოიხარშება, წურავენ, წვენს ასხამენ სუფთა ჭურჭელში და შესქელებამდე აღუდებენ. გაციების შემდეგ რჩება თაფლივით ბლანტი არომატული სითხე.

**ბექმეზი** საერთოდ არომატული და გემრიელი საჭმელია, თუთის **ბექმეზი** განსაკუთრებით.

**ცნობისათვის:** ბექმეზს სხვადასხვა ხილისაგან ამზადებენ. ჩვენში იციან მსხლის, ყურძნის, ჟოლის **ბაქმაზი** (ორთაბათუმში **ბეთმეზს** ეძახიან). განსაკუთრებით გემრიელია ადესა ყურძნისა და თუთის ბაქმაზი. მასსოვს, სოფელში ყურძნის ბექმეზს ხარშვისას თეთრ გოგრას (წაბლა ხაპს) ჩაატრიდნენ და **ღეჩერს** აკეთებდნენ. ძალიან გემრიელია ბადაგში მოხარშული ხაპი...

საუბარი გავაბით მასპინძლებთან.

ესმა თორუნჯი, მოხუცი ქალბატონი, იტყვის:

– **ამათ ლაპარაკი თურქია ერევა, კიდევ ვგნებულობთ ერთმანეთს, კაბა.**

თინამ აიყოლია ბებია და შვილიშვილი თანრივერდები, რომელთაც ქართული სიმღერა წამოიწყეს თურქულ კილოზე:

აველ კოთელა სერზე,

გადავხედე მერე თას.

მე რომ ბაბად არა მყავს,

რაინა ვქნა იმგვარ თას?

\* \* \*

ე რავად ბუქი მოვდა,  
ყავარი'ნა ახადოს.  
ვინცხა ჩემ კაც შეხედავს,  
ღმერთმა ფელჯი გახადოს!

\* \* \*

კარდალაში უმი ზე,  
კიდონ ამუელ თაზე.  
შენ რომ მე არ მომყვები,  
დავუდები შენ წყევლაზე...

– **გურჯიჯა ბევრი ვილაპარაკე. ჩემი სიტყვა და შენი სიტყვა ერთმანეთ არ უდგება,** – დაიწვილა მერისთან ერთმა ინფორმატორმა.

თამაზი რძის დამუშავების ადგილობრივი ტექნოლოგიით დაინტერესდა.

ბუზდოლაბში რძეს ვინახავთო, – აღნიშნა ქალბატონმა. თამაზმა დაათვალიერა ოჯახის **საოხტურეც** (სადაც, არ გაითვალისწინო, უცხოს ჩეულებრივ არ უშვებენ) და ბუზდოლაბის მნიშვნელობაც გაარკვია, თუმცა არაფერი იყო გასარკვევი. ისე, კაცი ბოლომდე უნდა ჩაეძიო და გაარკვიო საკითხი, მაშინაც კი, როცა იცი, ბუზდოლაბი მაცივარია და სხვა არაფერი. ძიებას ყოველთვის აქვს აზრი.

ჩვენი ფუსფუსი მოცლილი კაცის საქმედ ჩათვალა ერთმა ფალაზმა, რომელმაც სევდიანად შენიშნა: – **რაფერ მოცლილები ხართ? სომ ხედავთ, რამდენი საქმე გვაქო.**

მოცლილები ნამდვილად არა ვართ, მაგრამ ვადიარებთ, რომ აქაური კაცი მართლაც ბევრს შრომობს, დიდიდან საღამომამდე ჭაპანწყვეტაშია.

იმერხვევლთა ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იუმორი იჭერს. ბაზგირლები ზაქიეთლებზე და სხვა სოფლებებზე ხუმრობენ და პირიქით.

მასსენდება ასეთი რამ. ბაზგირეთში დაილაზე მიმავალ მოხუცზე იხუმრეს: „**აღ დედე ასთორმეტი წლისაა** (ღმერთმა

იცის რამდენი წლის იყო, ისე, ღრმად მოხუცი კი ჩანდა), **პალი აქ, მარა რათ გინდა, ხაპერში ჭკვას ვერ ჭუჭკავს** (თავში არაფერი აქო).

საინტერესო ფრაზეოლოგიზმია „**ხაპერში ჭკვას ვერ ჭუჭკავს**“.

ხევწვრილელები ლაზებზე ხუმრობენ: „**ლაზების ჭკვა შეადღემდე ისაქმებს, შეადღე უკან არაო**“.

ასეთი ამბავიც გვიამბეს ბაზგირეთში:

– **ქორწილი დღეს სიძე სახლის ყავარზენა გვედეს.**

– მერე იქედან უნდა გადმოხტეს? – გააკვირვებით იკითხა რამაზმა.

– **გადმუხტეს, აჭარელი ხომ არაა?!** – არ დაინდო რამაზი ბაზგირელმა.

შემდეგ თამაზი უმტკიცებდა რამაზს, რომ შენს სათრევად მოიგონაო ბაზგირელმა ეს ადათი.

აღმოჩნდა, ბაზგირეთში სიძის ყავარზე გასვლის ტრადიცია მართლაც ყოფილა. ყავარზე გასული სიძე აყრის დედოფალს ტკბილეულს.

**მღრ.** აჭარაში დედამთილი აყრის დედოფალს ტკბილეულსა და ხურდა ფულს. იმერხევში მსგავს წესს ყავარზე გასული სიძე ასრულებს.

ხევწვრილში ქალბატონებს ვთხოვე, ეგებ „გურჯი ვაიზები“ ჩაგვაწერინოთ-მეთქი.

– არ ვიცით! ვილოცავთ, მაგრამ ვაიზები არ ვიცითო.

დაბლა წამოვედით ფეხით. ტარიელს მანქანა უკვე შეეკეთებინა. რამაზი და ზაზა მდინარის ანკარა წყალში ნებივრობდნენ. ამის დამნახავ თორნიკეს ვედარ ვაკავებ, მეც ჩამიშვიო.

ნება დავრთე. თამაზსაც ვთხოვე, კახაც რომ ჩაეშვა. თამაზი თავს იკავებს, კახა ფეხს იტკიებს და ეშინია, რაიმე არ დაიშავოს. ბოლოს კახაც ჩაუშვეს მდინარეში.

უნდა გენახათ, როგორ იხალისეს ბაშეებმა: იბანავეს, კოდმიდანაც გადმოხტნენ... დაამტკიცეს, რომ მაგარი მოცურავეები იყვნენ.

ზაზას არ სჯერა ეს საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტება. რამაზს რომ ჯობნით, ეს სულაც არ ნიშნავს კარგად ცურავთო, – ეხუმრება ბავშვებს...

ექსპედიციის მუშაობა ახალი „აღმოჩენებითაა“ აღსავსე, განსაკუთრებით მათთვის, ვინც პირველადია. ექსპედიციაში პირველმონაწილენი, ისიც უცხო მხარეში, ადვილად აღმოაჩენენ ხოლმე ახალს. ასეა ჩვენს სინამდვილეშიც...

რამაზი ბევრ განსაკუთრებულს ხედავს აქაურთა მეტყველებაში. მართალია **ჭ** ყველამ შევნიშნეთ, მაგრამ მან **ჭ**ც „დააფიქსირა“, სხვაც მრავალი...

გაგივლით-მეთქი, – ვუმტკიცებ მათ. მჯერა, გაუვლით.

მერიმ დღეს კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ მტკიცედ დგას. ხევწვრილიდან მომავლები მდინარის პირას გაგჩერდით სასადილოდ. ციცაბო ბილიკი იყო ჩასავლეელი. მერიმ ვაჟაკურად დაძლია დაბრკოლება გზიდან მდინარემდე და მდინარიდან – გზამდე...

დღევანდელი დღე უფრო პიკნიკი იყო, ვიდრე ექსპედიციის მუშაობა.

რას ვიზამთ, ასეც ხდება. და მოხდა კიდევ.

## ზაქიეთში

**27 ივლისს** დილით ზაქიეთში წავედით.

ზაქიეთი მთის სოფელია, შავშათიდან 36 კილომეტრში, ხევწვრილს ზემოთ, დაახლოებით ბაზგირეთის სიმაღლეზე. სოფელი 9 მაჰალესაგან შედგება. ასვლა ჭირს, თორემ ლამაზი სოფელია ზაქიეთი.

ზაქიეთს გაღმა მთას „**ზადლის საფინავი**“ ჰქვია. მოქმედმა აგვიხსნა, „**პური გადავარდა და ზადლი გადაყვა**“ – იმიტომ ჰქვია ეს სახელი. სხვაგან „**ქალის საფინავი**“ დასტურდება... საინტერესო ტოპონიმებია.

დაბლა სოფელი დაბაა. ძველად ამ სოფელს ტბა ერქვაო, – აგვისსნეს (ტაბა>დაბა? ფონეტიკურად დასაშვებია ასეთი ცვლილება).

ზაქიეთში ასულებს პირველივე ზაქიეთელი თბილად შეგუხვდა. ერთი ის იყო, აქეთ მომავლებს საეჭვოდ აგვედევნა მანქანა, გეოდეზისტები ვართო, აგვისსნეს. გამონდა, რომ ჩვენ უფრო ვაინტერესებდით... თუმცა, უნდა ითქვას, რომ თავაზიანად გვესაუბრნენ, გამოგვკითხეს ვინაობა, ჩამოსვლის მიზეზი... და თავიანთი გზით წავიდნენ. ჩვენ ტურისტები ვიყავით და იმერხევისა და, საერთოდ, შავშეთის სოფლების მშვენიერი სანახებით ვტკბებოდით. ტურიზმი ხომ მარტო ისტორიული ძეგლების დათვალიერება არ არის, უცხო მხარის ცხოვრების გაცნობაც ზოგადად ტურიზმია... ჩვენც აქაურ სოფლებში დავდივართ, ვათვალიერებთ, ვიწერთ, ვიღებთ, ვეცნობით ადგილობრივ მცხოვრებლებს, მათ ყოფას, კულტურას... ვსწავლობთ შავშურ სოფელს, რაც ტურისტს ზოგადად არ ეკრძალება.

აბა, თურქეთის რესპუბლიკის ამ მიყრუებულ სოფელში, ამ გაგანია სიცხეში ტურისტი მარტო ჩორბის საჭმელად და აირანის დასალევად ხომ არ ჩამოვა?

თუმცა აქაურ ხვატში აირანი მისწრებაა პირდაპირ, სიცხით შეწუხებული კაცის გამაცოცხლებელი საშუალება...

სოფლის შესასვლელთან, გზის განაპირას შუახნის მამაკაცი ჭალას თიბავდა. ჩვენს დანახვაზე პანტა ბლის ჩრდილში ჩამოჯდა, ჩვენც შემოვეხვიეთ... ზაქიეთელი აჰმედ ჩაქურიძე აღმოჩნდა, კარგად ლაპარაკობდა ქართულად. „ეს ფიჯი ბალი“, – აგვისსნა. ებახე „ფიჯი ბალი“ (პანტა ბალი), გემრიელი კია და... უნდა ითქვას, ზაქიეთში (სხვა სოფლებშიც) ბალი ბევრია, თანაც – გემრიელი.

ყველამ მოესინჯეთ თირფანი. არცთუ იოლი საქმეა. თამაზი და ნუგზარი კარგად ახერხებენ, რამაზმაც იცის თიბვა კარგად, მაგრამ ახლოსაც არ გაჰკარებია ცელს, ბავშვობიდან მეჯავრებო...

მალე სოფლის ცენტრში შევედით. ერთ ოჯახში მიგვიწვიეს, დაისვენეთო. მასპინძელი, ყოფილი პედაგოგი, მაჰმუდ აითურქი (ჩაქურიძე/ჩაქერიძე) კარგი მოსაუბრე გამოდგა. ბევრი ვისაუბრეთ, ჩაითაც გაგვიმასპინძლდა...

ბატონმა მაჰმუდმა გაგვაცნო სოფლის შემოგარენი. აქ სულ გურჯები არიან. იქ შავშეთი არია, ისენიც გურჯები ყოფილან წინდაწინ... ქართული დავიწყნიათ, თურქულად ლაპარაკობენ... აღარ უყაბულებიან ქართველობა...

ასეთია ბატონი მაჰმუდის ხედვა.

შემდეგ სოფელში გავედით...

ჭალობა და სოფელი სამუშაოდაა გასული.

შუადღისას, როცა მთის მწველი მზე გაუსაძლისი ხდება, მთიბაგები შინ ბრუნდებიან და ისვენებენ. ამ მომენტს კარგად ვიყენებთ და ვცდილობთ, საუბარში ჩავითრიოთ მომავალი რესპოდენტები. მათაც მოსწონთ ჩვენთან ურთიერთობა.

მალხაზმა მოახერხა და რამდენიმე ზაქიეთელი დაითანხმა, ემღერათ. მოღზე გავედით და ჩრდილში ჩამოვსხედით, მალე აკორდონიც მოიტანეს. აღმოჩნდა, აჰმედ ჩაქურიძე კარგად უკრავდა და მღეროდა კიდევ.

ზაქიეთლებმა იმღერეს ქართულად და თურქულად, შემდეგ იცეკვეს თავისებურად, ზაქიეთურად. ასე სხვაგან არ იცეკვებენო, გვითხრეს, თურქები ასე არ იცეკვებენო.

ხორუმის მსგავსი როკვა იყო მათი ცეკვა...

ზაქიეთური სიმღერის ასეთი ტექსტები ჩავიწერეთ:

შავ ქოშეში ბალი მაქ,  
გოგოვ, შენზე თვალი მაქ.  
ანანასი გვერდები და  
გეგებრისა ფერდები,  
შენგან გაღმა გევდეწა,  
გევდარ, მომაგონდები...  
ანდა:  
შენ რომ მომაგონდები,  
გევხრუკვი და გველანძვი,  
მივალ ნეკრი საკაფვად,

დავკაფო'ნა ცხემლები,  
შენ რომ მომაგონდები,  
მომდინდება ცრემლები...

ისე, კაცმა რომ თქვას, მაიცდამაინც თურქები ამათ არ მოსწონთ. „არც მათ დავწონდებითო“, – გეტყვიან... აქ პირდაპირ მოწონება-არმოწონებასთან არა გვაქვს საქმე. ეს უფრო მეტია, ვიდრე უბრალო მოწონება. თურქებისაგან „**შორს დგომით**“ ცდილობენ, თავი დაიცვან, გაუძლონ, არ აირიონ თურქებში. ასე იქცეოდნენ ისტორიულად, ასეა ახლაც. სხვა გზა არცაა.

ბარემ ჩვენს დიალოგსაც გავიხსენებთ ზაქიეთლებთან:

– **ბათომი ჰითეკენაა ახლა?**

– ბათუმი გურჯისტანია, საქართველო, მისი ნაწილი.

– **აღლა რაზი ოლსუნ, კარგია. გორბაშოვ მაღლობა უთხარით, ერთათ რომ ხართ** (ზაქიეთლებს მიხეილ გორბაშოვი დემოკრატიისა და თავისუფლების თავკაცად მიაჩნიათ. დიდი ავტორიტეტი აქვს გორბაშოვს ზაქიეთში).

ერთი რამ კიდევ უნდა აღვნიშნოთ:

ამ მოზრდილ სოფელს **ზაქიეთი** ჰქვია, მაგრამ არაგინ იცის **ზაქი** რა არის. ზაქიეთში და მთელ შავშეთში **კამენს ჯამუშს** ეძახიან, მის შვილს კი **კოტოს|კოტიას** (ასეა აჭარულშიც). ახლა ამ კუთხეში იშვიათად შეხვდებით კამენს. ერთხელ მყავსო ნახული, გვითხრა ერთმა რესპოდენტმა.

შუადღის შემდეგ ზემოთა გზით ზაქიეთიდან დაბაში გადავდივით.

ღამაზი სოფელია დაბა, ხეხილიანი, გაშლილი საძოვრებითა და სათიბებით. საშინელი სიცხეა, ბუდი ასდის დასიცხულ მიწას. სოფელში ჩამიჩუმიც არ ისმის. ჭალაში მომქანცველი შრომის შემდეგ ისვენებს სოფელი.

სოფლის თავში (ჩვენ ზემოდან ჩავედით სოფელში), შემადლებულ ადგილას ძველი სასაფლაოებია. ადგილმდებარეობა გვაფიქრებინებს, რომ აქ ძველად სამლოცველოც უნდა ყოფილიყო. ჩვენს აზრს ამტკიცებს ისიც, რომ შეინიშნება შენობის საძირკვლის ნაშთები...

ფეხით ჩავედით ქვემო მაჰალეში. ჯამიკარზე გავჩერდით. მოსუცი ქალბატონი იყურებოდა აივნიდან, გავესაუბრეთ:

**ეს დერეფანია**, – მიგვითითა ეზოზე. **ეს სახლი, ეს სოხახი** (გზა), ეს კიდევ **კარაპანი** (მოდობილები), **აბდესხანა** (აბდესის ასალები, ლოცვისწინა განბანვისათვის განკუთვნილი ადგილი, პირსაბანი)...

სოფელში ბევრი გვარი ცხოვრობს: **მაზმანოღლები|მაზმანთები** (მაზმიშვილები? – მ.ფ.), – გურჯისტანშიცააო ეს გვარი, აქიდან წვედენო, აგვისსნეს, **ჰაჯიენტები, კილდიენტები, ხატიჯენტები** (მოსულები არიან მაჭახლიდან), **სურათიენტები, ჭედელოღლები** (მჭედლიშვილები? – მ.ფ.)...

ხეხილის სახელებიც ჩავიწერეთ: **მოჩოჩთაო, თავრეჯულაო** (მსხლის ჯიშებია), **პანტა...** **ჭურში ჩადებ, ჯავესავეთ გახდება, ზამთარში კადა...**

**დაბურ** მეტყველებაში იშვიათად ისმის **ჟ**. უფრო **ჯ** ისმარება.

ასეთ ფაქტს შევესწართ **დაბაში**:

იქინდის (საღამოს ნამაზი) დრო იყო. სოფლის იმამმა მორწმუნეებს ჯამეში მოუხმო სალოცავად.

**მოლა კითხულობს იქინდი ზამანი: ვინცხა ლოცულობს, ადექით, ილოცეთ, – ამას ამბოფს... ვინცხას უნდა მივა; ვინცხას ლოცვა უნდა ილოცავს, ზამან გეღდი, – აგვისსნეს.**

არაგინ შესულა, მარტომ ილოცა.

ლოცვის შემდეგ იმამმა ექსპედიციის წევრები ჭიქა ჩაიზე მიიწვია ოჯახში. განათლებული კაცი გამოდგა სოჯა, ერზრუმის უნივერსიტეტი ჰქონია დამთავრებული. ხოჯამ იჩიფლა, არაგინ დადისო ჯამეში, ზამთარში თუ შემოვალ თითო-ოროლა...

ძნელი სათქმელია, რატომ აიცრუეს გული ჯამეზე დაბელებმა. ნუთუ სხვა უფრო მნიშვნელოვანი სადარდებელი გაუჩნდათ? ალბათ გაუჩნდათ. სადარდებელს რა გამოუღვევს სოფელს. ვედარ შეველის ჯამეში ლოცვა შრომით წელმოწყვეტილ გლეხკაცს, საშველი არ უჩანს მის გაჭირვებას...

სოფლის ცენტრში ადგილობრივებს ვესაუბრეთ. აქ არავინ ჩერდება, „შეჭერში წადიანო სასაქმოდ“. მიზეზიც აგვისსნეს: „აქ ფუში არ უძლება კაცსა, ჩვენში ფუხრობა მეტიაო“.

ბევრს შრომობს აქაური კაცი. დიდი შრომა უნდა საქონლის მოვლა-პატრონობას, შეშაც უნდა მოიმარაგოს ზამთრისათვის (უსაშველოდ გრძელი ზამთარი იცის აქ), თივაც, სხვაც მრავალი ოჯახში სახმარი.

ზამთრის მომბეზრებელ გრძელ დღეებს ფიქრსა და დარდში ატარებს აქაური კაცი: ფიქრობს შეჭერში წასულ შვილსა და თორუნებზე, ოცნებობს, მალე გავიდეს ზამთარი, რომ ზაფხულში კვლავ დაბრუნდნენ შვილები, რომ ახმაურდეს და გაცოცხლდეს სახლი...

თავის დარდს ეფერება გლეხი კაცი.

სტუმარი უყვართ სოფელში. სიყვარულით ხვდებიან გურჯისტანიდან მოსულებს. აინტერესებთ, რა ხდება მთის გადაღმა მემღეკეთში...

დაბაში ძველად პური და ქერიც უთესიათ. დღემდე ახსოვთ ხორბლის ჯიშები, აქ რომ მოჰყავდათ: **ბუღაა, წმინდა...** ახლა აღარ თესავენ. სოფელში დარჩა მემინდვრობის იარაღები – **კეფრი, ხარმანა მაქინა...** მეტყველებაში დაიღეკა მემინდვრობის დავიწყებას მიცემული დარგის ტერმინოლოგია: **კალო, საბზელი...**

დაბაში ახლა **ალთუნა სიმინდს** თესავენ. ჰქონდათ **შიდეკვირადც**, მაგრამ გადაშენებულა. არადა, აქაური პირობებისათვის მისწრებააო, აგვისსნეს. აქ მალე ზამთრდება და გათოვლებამდე ზოგჯერ ჩვეულებრივი სიმინდი ვერ ასწრებს დამწიფებას, ხშირად ყანაც აუღებელი რჩებათ...

ასეთი ლეგენდა გავიგონეთ დაბელთაგან:

„**ძველათ სოფელი დაბლა ყოფილა, დელეში**“. ერთხელ ხარი დაკარგულა. საძებნელად წამოსულან სოფლიდან. „**მეგემ გარს უზონია, უზონია, წყალი დუუღეგია, დაწოლილა**“. გოლის ნაპირში უპოვიათ ხარი. მოწონებიათ აქაურობა და „**მემრე აქ დასახლებულან**“.

ჩვენს კითხვაზე: გოლში ხარი ხომ არ ცხოვრობდა-მეთქი, გვიპასუხეს: „**არა, გოლში გარი არ ცხოვრობდა**“.

თქმულების შინაარსიდან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო აქ „გოლის გარის“ არსებობა. შესაძლებელია, დროთა განმავლობაში ტრანსფორმაცია განიცადა თქმულებამ...

ხარის კულტი, რომელიც ამ თქმულებაშიც ჩანს, მთელ სამხრეთ საქართველოში (და არა მარტო სამხრეთ საქართველოში) დასტურდება. ხშირად სოფელი იქ სახლდება, სადაც „**გარი დათაღია**“. ხარიც კიდევ საუკეთესო ადგილს ირჩევს, უმეტესად ტბის ახლოს...

შავშელისათვის, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეების მცხოვრებთათვის, ხარი ნაყოფიერებისა და ძლიერების სიმბოლოა. აქ „**გარებს ჭედვენ**“, ზაფხულობით მთაში გარეკავენ საიაღალოდ, იქ სადაც „**გარი დათაღია**“. „**გარების ჭედვა**“ ტაოელებსაც უყვართ, კლარჯებსაც, სხვებსაც. „**გარების საჭელი**“ ყველა ფეხის ნაბიჯზეა სამხრეთ საქართველოში.

საუბარში ძველი წიგნები ვახსენეთ. ძველ ამბებზე დაბაში მათებური წარმოდგენა აქვთ. ანკარას დეიბეჭდა წიგნი, იქ წერია ძველი ამბებიო (მხედველობაში აქვთ კირზიოლლუს ნაშრომი).

კირზიოლლუ არ არის სანდო-მეთქი, მთელი კავკასია ყივჩაყების ჩამომავლად გამოაცხადა...

ასეაო, დაიჩემა. ვერაფრით გადავათქმევინეთ. გაუკეთებია თავისი საქმე კირზიოლლუს შრომას და ესაა...

ბოლოს ერთმა დაბელმა გულწრფელად აგვისსნა: – **ძველ ქითაბებს არ შეინახდენ. გიავრის ქვააო, რომ თქვან, აქა არ გააჩერებენ, გეიტანებენ. ძველ ქითაბსაც არ შედნახვენ ჩვენი ხალხი...**

... და არც შეუნახავთ.



## უბესა და უბურ ხანძთაში

**28 ივლისს** დიდიდან უბეში მივიღვართ სამუშაოდ.

**უბე** მთის სოფელია შავშათიდან 39 კილომეტრში. შავშათიდან მიმავლებმა შერთულთან მარჯვნივ გადავუხვიეთ და გზას დავადექით. გავიარეთ: **ჩიხორის, დასამობის, ბაზგირეთის, ჩაქველთას, ყვირაღას** გადასახვევები (შერთულიდან 13 კილომეტრი გამოვიარეთ) და მარცხნივ შევუხვიეთ, შემდეგ – **სვირევანი, ფარნუხი** და **უბეში** ავედით (უბეში სხვა გზითაც შეიძლება ასვლა: **შავშათი> შერთული>ბაზგირეთის გადასახვევი>ხევწვრილის გადასახვევი>ხევწვრილი >ზაქიეთი> დაბა>უბე**. ეს მეორე გზა უფრო გრძელია, პირველად გამველქისათვის უსაშველოდ გრძელი).

დღეს კარგად ვიმგზავრეთ უბემდე. ჩვენდა გასაკვირად, არც მანქანა გაფუჭებულა, მხნედ აიარა სოფლის აღმართები. უბის მისადგომებთან ვისაუზმეთ და რამდენიმე ჯგუფად მოვედეთ სოფელს.

ლამაზი სოფელია უბე, ტაფობზე გაშლილი. იგი რამდენიმე მაჰალედ იყოფა. მე, თინა, მალხაზი და თორნიკე გაღმა მაჰალეში, გორგვაძეში წავედით. ბილიკებით ავედით უბანში. ეზოში შევედით. ცეცხლი დაენტოთ და ბეთმეზს აღუდებდნენ. შუახნის ქალბატონი ფუსფუსებდა კოცონთან. ჩვენს დანახვაზე სამი ახალგაზრდა ქალი გამოვიდა ეზოში. ჩემი ბავშვები არიანო, – გაგვაცნო ქალბატონმა. ადვილად გაგვიშინაურდნენ ახალგაზრდები. ერთმა (უმცროსმა) მარიობაზე ქორწილი გვაქვსო და დაგვპატიუა. მივულოცეთ წინასწარ. მარიობამდე ჯერ დროა, იქამდე ნამდვილად ვერ დავრჩებით. მალე აირანი მოგიტანეს, მიირთვითო, – გვთხოვდნენ.

ჩვენც მივირთვით.

ამ სოფელში განსაკუთრებით თავაზიანი საუბარი იციან. გამორჩეულად, განსაკუთრებული მოწიწებით გამოთქვამენ „ბატონო“-ს, „უბატონოდ“ კი არ დაგველაპარაკებინან:

– მოვედი, ბატონო!

– მიირთვი, ბატონო!

– ახლავე მოვალ, ბატონო!

აქ თავაზიანად ექცევიან საქონელსაც. ჩომას კი არ დაუყრიან თივას ან მოლს, „მიართუმენ“...

ეზოში ასე სამოციოდე წლის მამაკაცი გამოვიდა. გაგვეცნო:

– დევრიშოლლებს გვეტყვიან. გურჯი სოფელი – დევრიშოშივილი იშტე, ამას გვეტყვიან. მე იბრაჰიმამ მქვია.

შემდეგ სოფელი გაგვაცნო ბატონმა იბრაჰიმამ:

– აქა ემეები მცხოვრობენ: ჩაფრასტები, ტივიძები, კორტოხაძეები, მოლლოღლები, ზორბებიც არიან. ამ ადგილ გოგვიეთი ქვიან, იმ მინდორ – ტივიძენი, აყოლებას – კოვიძები, აქა შუა მეჭვლეს – დოლმები, იმაზე ზომო – კორტოხაძენი, ამოხვალ – ზორბები. აქ თურქეთის სახელები არ არი. იმ გაღმა მთას სარტყელად ქვია, იმას – საბევი ჯვარი. ჰერაღდა გეგებებიან ის არი, საგებები ჯვარი. მას აგრათელე ქვია, იმას – ფრიალო დელე. მადლა მთას ვაკსელი ქვია, ზაქიეთი. ზომოთ ზაქიეთური დაილაა, დაბის ზეიღამ დაბური დაილაა, ბოსელთა. ბაძგირეთ ეხვალ, გედეღარ ლეკობანი, ლეკობან გედეხვალ – მაჭეხელი, მაჭეხელ გედეხვალ იშტე – ბათუმი.

ერთი საინტერესო ამბავიც მოგიყვია იბრაჰიმამ.

– მარტო ჩვენი დაილის იქეთიღამ და ხემწრული დაილის უკნეღამ ერთი ჩვენი რუ არი, იმას უკნეღამ თორმეტი ცალი ფეგი არი (სახლის ჩასადგამი ალაგები), ედა, ჩვენ ემეე გაგონილი გვაქ: ჩხოკობიხან ახლა ღმერთისთუნ, ბატონისთუნ შეპირობების წასლიხან, ედა, ამოსლიხან დიორო დავინახო, ყურბანიღა დავეკლო, შეპირებია. ავა ქი ღმერთის თერეფიღამ ემეე არ დაფარებულა, ისევ ანთია. არ დაფარებულა და... ახლა ტილობა არ არი. მაშინ ტილობა ბევრი იყო. ამედლო უბიღამ ტილი და აჰა ყურბანიო და... ღმერთს ეწყინა და... აბა ღმერთი თვალში თით არ გკრავს! წამოიდენ და მემრე ზამთარში წამოიდა ქარიშხალი, ერთი ბუქი და წამეილო ისინი და ევე დელეში ჩეიტანა და დაჰა შიშისგან დაილაში ვედარ ვედენ და ისე დარჩა ფეგები...

სიტყვამ მოიტანა და ვიკითხე, ბაზვირეთის თავზე მალარები ვნახე და ხომ არ გაგიგონია მათ შესახებ რაიმე-მეთქი.

მასპინძელმა მომიგო:

– იქ არის მალარები, მე არ ვყოფილვარ იქ. მალარები ჩვენთანაც არის, წავიდეთ, გიჩვენებთ!

გაგვიძღვა და სახლის უკანა ეზოში მშრალი წყობით ნაშენი ქვის ნაგებობა გვიჩვენა. აქ ხალხი ცხოვრობდაო ძველად, ურუმები, მათ ააშენესო ესენი. მალარა ახლა დანგრეულია, სამხრეთით ერთი კედელია შერჩენია, სხვა აღარაფერი. ჩანს, დიდი შენობის ნაშთია...

– აქ ალთუნი ხომ არ იქნებაო, – მკითხა იბრაჰიმმა.

– არა, ასეთ ადგილებში ალთუნს რა უნდა-მეთქი, – მივუბე...

მთელ თურქეთში ეკლესია-მონასტრებსა თუ ციხეებში ოქროს ეძებენ. ვიღაც მიზანმიმართულად ავრცელებს ხმებს, რომ ასეთ ადგილებში განძს მალავდნენ. ამ ხმების გავრცელებას კონკრეტული მიზანი აქვს: ხალხი ადვილად იჯერებს და ანგრევს, აზიანებს კულტურის ძეგლებს. ვისთანაც ამ თემაზე ვისაუბრეთ, ყველას ვუმტკიცებდით, რომ ქილისაში ოქრო არ იქნება, ტყუილად არ ეძებნათ და არ ენგრიათ.

თაობიდან თაობას ანდერძით გადაეცემა, რომ ამა და ამ ადგილას იპოვეს განძი მაძიებლებმა და გაზენგილდნენ...

ოქროს ძიებაში დაინგრა ტბეთი!

ოქროსმაძიებლების ნაკვალევი დაგვხვდა საზვირველზე, იქ სადაც „თამარის სასვენია“.

ოქრო უძებნიათ **ენი რაბათში, ანჩაში, ლაზეთში – პეტრას** მიუვალ ციხეზე... ოქროს ეძებენ ყველგან, ძიებისას კი გულმოდგინედ ანგრევენ ათასწლოვან კედლებს, საფლავში სიმშვიდეს ურღვევენ წინაპართა ძვლებს...

მასპინძელმა მომიჩუბა, საქმე მაქვსო და დაგვმორდა. რატომღაც არ მოგეწონეთ ამ კაცს, თითქოს არც გვენდობოდა, რადაცისა თუ ვიღაცის ეშინოდა, თითქოს თავს ძალას ატანდა და ისე გველაპარაკებოდა...

ჩვენ მაღლა ავუყევით ორღობეს. ერთ ოჯახს მივადექით. სანდომიანი ქალბატონი მოგვეგება.

– საიდან ხართო? – გვკითხა მორიდებით.

– გურჯისტანიდან, ბათუმიდან ვართ-მეთქი, – მივუგე.

– გურჯისტანში, თიფლისში, ჩემი დარჯი სწავლობდა და დოქტორი (ექიმი) გახდაო, – ბრძანა ქალბატონმა.

– რა პქვია თქვენს ვაჟს? – შევეკითხე მე.

– მეჰმედაჲ!

– როდის სწავლობდა თიფლისში თქვენი მეჰმედაჲ?

– საქართველოსა და რუსეთის ერთობის დროს.

– თქვენს შვილთან ერთად ხომ არ სწავლობდნენ **ხასან ჩელიქი, ალი ალთუნი, გიგი თევზაძე?**

– კი, სწავლობდნენ, ერთად იყვნენ!

– ვიცნობ თქვენს მეჰმედას, სად არის ახლა, რას აკეთებს? თითქმის ოცი წელია არ მინახავს.

– ანკარას არის, დოქტორობას იჯერებო, – მითხრა მეჰმედის დედამ, ქალბატონმა შაინაზმა.

**ცნობისათვის:** 1981-1985 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე გავდიოდი ასპირანტურის კურსს. იმ პერიოდში გაიცანი შეველი ქართველები: ალი ალთუნი (ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე სწავლობდა უნივერსიტეტში), ხასან ჩელიქი, მეჰმედ ილდიზი, გიგი თევზაძე (სამივენი სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდნენ). მათ ქართულ ენას ასწავლიდნენ ჩემი უფროსი კოლეგები და მეგობრები, – ამჟამად პროფესორი შუქია აფრიდონიძე და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მურად კემულარიია. მათთან ერთად ვცხოვრობდით ბაკების სტუდენტთა შივ. მოგვიანებით ჩამოვიდნენ ალის ძმა და და. ალის ასპირანტობის შემდეგაც ვხვდებოდი, იგი თბილისში ცხოვრობდა კარგა ხანს, სხვებს კი საქართველოდან წასვლის შემდეგ აღარ შევხვედრივარ.

მაღე მეჰმედის მამა, ბატონი ალი ქებაძე (ილდიზი), ჩაგვეერთო საუბარში. სახლში მიგვიწვია. ცხელოდა და აივანზე

დავსხედით. დიდხანს ვისაუბრეთ. ორი ღარჭი მყავსო, ანკარას საქმობენო ორივე.

გაიგო რა მის შვილს ვიცნობდი, სცადა დაკავშირებოდა ანკარაში, გაუხარდებო, მაგრამ ვერ მოახერხა.

სადილის დროა, მზადაა უკვე და მიირთვითო, – მიგვიპატიუა მეძმედის დედამ.

უარი ვუთხარი, უკვე ვისადილეთ-მეთქი.

ნუ გერიდებათ, სადილი მზადა მაქვს. ჩემს მეძმედას შვიდ წელიწად თუ უვლიდით, აჭმევ-ასმევდით, ინახავდით... გურჯისტანიდამ მოსულისთვინ რამეს რაფერ დევშურეფ! ჩემი გული და სახლი ღიაა თქვენთვისო... ღამითაც ჩვენთან დარჩითო, – შემოგვთავაზა ქალბატონმა შაინაზმა, სახლი დიდი გვაქვს და თქვენი სტურობითაც გაგვახარებთო...

ეს იყო მადლიანი და მადლის დამნახავი დედის გულწრფელი შეპატიუება. ჩვენ გვეპატიუებოდა და მთელს საქართველოს მადლობას უხდიდა შვილზე გაწეული ამბავისათვის.

წამოსვლა დავაპირეთ. მეძმედის მამა, ბატონი ალი, გაღმა მაჰალემდე გამოგვყვებოდა. გზად სოფლის სანახებს გვათვალისწინებდა. სოფელს ზემოდან მაღალი მთა დაჰყურებს. მთის უკან ხანძთაო, – ბრძანა ბატონმა ალიმ.

**ხანძთის** გაგონებაზე პანიკაში ჩავცვივდით, მაგრამ მასპინძლის სიტყვებმა – „**ხანძთელი პროფესორი იყო, აქ გენჯები მოიყვანა და აკითხებდაო**“ – გვაგრძობინა, რომ საქმე ახალ ამბავთან გვეკონდა, ცუდად გაგონილ ახალ ამბად მივიჩნიეთ **ხანძთელის უბური** ამბავი... მაინც საინტერესოდ გვეჩვენა. მოვიყვანთ ბატონი ალის ნაანბობს:

**გრიგორი ხანძთელი... პეტრიწი წყარონი იქიდან გამოქცეულა თამამლის... იმ ადგილ ხანძთა ქვია. იქიდან გამოქცეულა, აქ უკითხვებია. ქილისა გუუკეთებია. თექრენ აქიდანა სელჩუქლი თურქებ გუუწუხებია, გაქცევლა. ქილისაც დაფლატულა, დანგრევლა. იმათვინ, ქართველებისთუნ ეს ადგილი წმინდა არი, იციან...**

– იქედან რატომ გამოქცეულა? – ჩავკითხე.

– **რატომდა, ოდა მუსლიმანული ყოფილა. პროფესორ გრიგორ ხანძთელი რქმევია, იმ პროფესორს, – დაასრულა ბატონმა ალიმ.**

საუბრის თემა შევცვალეთ.

– ხასან ჩელიქიჩ ჩამოსული ყოფილა სოფელში, გზაზე მისი არაბა იქნება გაჩერებული, ნახეთ, გაუხარდებო, – ბატონმა ალიმ.

აღმოჩნდა, ხასანი შავშათში იყო წასული საყიდლებზე, საქონლის ასაღებად, ამიტომაც ვერ მოვახერხეთ მასთან შეხვედრა.

გამოვემშვიდობეთ კეთილ მასპინძელს, ბატონ ალის. მალე ჯამიმაჰალეში გავედით. სასიხარულო ამბავი დაგვახვედრეს: **ხანძთაში** წასასვლელად ყველაფერი მზადაა, თქვენ გელოდებოდითო.

წავედით ხანძთის სანახავად.

**უბიდან 7-8 კილომეტრშია ხანძთად წოდებული ადგილი, სათავის (უბური ძაილა) ზემოთ.**

სოფლიდან **სათავეზე** ავედით, იქედან მარცხნივ ავუხვიეთ და მაღლა-მაღლა წავედით. 3-4 კილომეტრის გაგლის შემდეგ მივაღებეთ ხანძთას.

– ესაა, ბატონო, ხანძთა, – აგვიხსნა გიღმა, ახალგაზრდა უბელმა.

უფრო მაღლა, კლდის თავზე ვაკეა, რომელსაც „**ხანძთის მინდორს**“ ვუძახითო...

ყველაფერი მაინტერესებს, რაც ხანძთასთანაა დაკავშირებული. მინდა, არაფერი გამოძრჩეს. გადავწყვიტეთ, ხანძთის მინდორზე ავსულიყავით. უბელი ხალილ დუმანი (**ძაჯალიძე**) გაგვეყვებოდა.

**ზაზა, რამაზი, თორნიკე, ხალილი და მე** წავედით ხანძთის მინდორზე. ძნელი ასასვლელია. კლდეებზე გადის **ბაწარი**. როგორც იქნა, ავედით.

ხანძთის მინდორი კლდის თავზეა, იმ კლდის თავზე, უბეს რომ დასგომია ზემოდან დარაჯად. მინდორი წიწვოვანი ტყი-

თაა დაფარული. აღვნიშნავთ, რომ ხანძთის მინდორი რამდენიმე იარუსიანია და კიბისებური ფორმა აქვს. რაიმე ნაშენის კვალი აქ არ ჩანს. ძნელი წარმოსადგენია, აქ თუ ოდესმე მონასტერი იყო, არც გიორგი მერჩულის თხზულება უჭერს მხარს ამ სექტორში გრიგოლ ხანძთელის მიერ მონასტრის დაარსებას. ვფიქრობთ, ადგილის სახელის დამთხვევასთან გვაქვს საქმე. შეიძლება ეს სახელი უფრო გვიანდელია, ვიდრე გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ეპოქაა.

ხალილი გვიმტიცებდა, რომ ბაბოს ახსოვს, აქ ქილისას ნანგრევები რომ იყო.

ნუგზარ ცეცხლაძე გაიხსენებს, რომ დაბლა იპოვეს ჯვრიანი ქვები, ერთი მათგანი პროფესორმა მიხეილ ქურდიანმა წაიღო თბილისში.

ხალილ ღუმანმა ბიძაშვილს დაურეკა ხოფაში და ტელეფონზეც მაღაპარაკა მასთან. მან ამისნა, რომ სადღაც ნაძვებში შენობის ნანგრევებია, მაგრამ თქვენ ვერ მიაგნებთო. სამ დღეში ბუბა კუდავა ჩამოდის და მას უნდა ავეყვო ხანძთაშიო. ეს კაცი თავად თხრიდა თურმე აქ, ოქროს ეძებდა...

ჩვენ დავათვალიერეთ ირგვლივ ყველაფერი, მსგავსი ვერაფერი შევნიშნეთ...

აღრე მე ვამტკიცებდი, ხანძთის არათუ ტაძარი, ტოპონიმიც არ შემორჩენილა-მეთქი. ტოპონიმი აღმოჩნდა, რაც სასიამოვნოა, მაგრამ ჩვენი ვარაუდი, რომ ეს გეოგრაფიული სახელი გვიანდელია, ისევ ძალაში რჩება. **უბურ ხანძთას** საერთო არ უნდა ჰქონდეს გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობასთან...

ხალილმა ახლო-მახლო მთების სახელებიც ჩამაწერინა:

**ქოთეთრისი** (<ქვათეთრისი), – შავშათს ზემოთ.

**ცხისძირი** (ციხისძირი). გამოკვეთილად გამოთქვა ნეიტრალური ხმოვანი გ.

**დადო** – უბური თა (უბელების მთა).

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ დაფიქსირდა ტოპონიმი **დადო**, – ახლა უბურ მთას რომ უწოდებენ.

ვახუშტის მიხედვით, **დადოს** მთებითაა გაყოფილი იმერხევი მაჭახლისაგან. დადოს მთა მართლაც მაჭახლისკენაა, მაგ-

რამ **დადო** ერთ ადგილს ჰქვია ახლა. დროთა სვლაში დავიწროებულია ტოპონიმის მნიშვნელობა...

ხანძთის მინდვრიდან წამოსულები მცირე ხნით სათავეზე გაგზავრდით, წყალი დავლიეთ, სული მოვითქვით. სოფელში რომ ჩამოვედით, უკვე დამდებოდა.

ჯამიკარზე ქალები საქმობდნენ.

– რას აკეთებთ-მეთქი, – ვიკითხე.

– **ვხოცავთო**, – მიპასუხეს (ჯამის იატაკს წმენდდნენ).

**„ხოცვა“ „წმენდის“** მნიშვნელობით იხმარება აჭარულში, შავშური კილოს მაჭახლურ კილოკავში, იხმარებოდა ძველ სამწერლობო ქართულშიც.

– ეს ხალები **გარცხილია**, მეზობლებმა **გარცხეს** (შდრ. დ. გურამიშვილი: „მისი სული სატანამა, თუ არ კუპრში, რაში **გარცხოს?**“ „უწინდელი გათხუენილი დარჩა კაბდო, აღარ **გარცხეს**“).

– ჯამე დავასუფთეთ, ხვალ ჯუმა არი, **მივხოცეთო**, **მოვხოცეთო**, – ბრძანა ჯამიკარზე მოფუსფუსე ერთმა ქალბატონმა.

უბელმა **რესმიე ყარამ** ქალბატონ მერის ასეთი საიდუმლოც გაანდო:

– **ჩვენი გენჯები არ არიან მოკითხავე, მოლოცავე. ლოცვა-კითხვა გენჯებს არ უყვარან, მოზღებსაც. მოლოცვა ბერებს უყვარან.**

იმავე ქალბატონმა გულისტკივილით ბრძანა: „**ჩემ ბავლებმა გურჯიჯა იგნებენ და ვერ ილაპარაკებენ, იგნებენ და ვერ ულაპარაკნიათ**“.

იმდენად კარგად ლაპარაკობენ ქართულად, რომ ზოგჯერ „**ჩაის ჭამენ**“-მეთქი, – ვხუმრობდი შემდეგ.

კარგად მიგვიდეს უბელებმა. დამით ჩვენთან დარჩითო, – შეგვიპატიჟეს. აღარ შევაწუხეთ, შავშათში დაბრუნება ვარჩიეთ.

აქვე **ხანძთისა** და **შატბერდის** ლოკალიზაციის ჩვენეულ ვერსიასაც შევთავაზებთ მკითხველს.

მივეყვით მოვლენებს.

ხანძთისა და შატბერდის შატბერთის სავანეების ლოკალიზაციის საკითხს არაერთი მკვლევარი შეეხო. სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა მრავალი მოსაზრება, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავიც. აზრთა სხვაობის მთავარი მიზეზი ისაა, რომ უამთა სვლაში დავიწყებებს მიეცა ერთ დროს მნიშვნელოვანი საეკლესიო და სამწიგნობრო ცენტრების ადგილმდებარეობა. ხალხის მესხიერებას არ შემოუნახავს თვით საგეოგრაფიო სახელი შატბერდი. ხანძთა კი ჰქვია სოფელ უბის ზემოთ (უბურ დაილაზე) ერთ ადგილს, მაგრამ აქ საეკლესიო ცენტრის არსებობა არაა სავარაუდებელი.

დ. ბაქრაძე აღნიშნავს: შატბერდი „... მდებარეობს ჭოროხის ხეობაში, მაგრამ სახელდობრ სად, არ ვიცით და ვერ გვიპოვნია... ჩვენ ვფიქრობთ, რომ შატბერთად უნდა იგულისხმებოდეს დოლისყანა (ლოდისყანა), თუმცა ახლა, როგორც მე ადგილობრივ დაგრწმუნდი, ეს სახელი დაკარგულა” (იხ. ვახუშტი ბაგრატიონი 1885.:129-130).

როგორც ვხედავთ, დ. ბაქრაძემ შატბერდად ჯერ დოლისყანა მიიჩნია, შემდეგ კი თავად უარყო ეს მოსაზრება.

ნ. მარის ვარაუდით, შატბერდი უნდა იყოს უსახელო სავანე, რომელიც მდებარეობს სოფელ ფორთის მიდამოებში, სახელდობრ – ფორთის სამხრეთ ზონაში, რომელიც ამჟამად ფორთის ბაღების სახელით არის ცნობილი. ხოლო ხანძთა უნდა იყოს ფორთის ჩრდილოეთით მდებარე ნუკას საყდარი (ნ. მარი 1911, 125; 139).

ნ. მარის ეს მოსაზრება მთლიანად გაზიარებული არაა. მკვლევრის ცთომილება გამოწვეული უნდა იყოს გიორგი მერჩულის თხზულების გაუთვალისწინებლობით.

გ. თაყაიშვილი უფრო შორს მიდის და აღნიშნავს, რომ ხანძთისა და შატბერდის არსებობა სავარაუდებელია არა კლარჯეთში, არამედ ეფფრატის ხეობაში (ექვთ. თაყაიშვილი 1890.: LXI-LXXIII).

ჩვენთვის უცნობია, რა წყაროს ეყრდნობოდა ავტორი, როდესაც ამ დასკვნას აკეთებდა. ეფფრატის ხეობაში ხანძთისა

და შატბერდის მდებარეობა დღემდე ცნობილი არც ერთი ისტორიული თუ ლიტერატურული წყაროს მიხედვით არ ივარაუდება.

ხანძთისა და შატბერდის მდებარეობის გასარკვევად ბევრი იღვაწა პ. ინგოროყვამ, რომელმაც ნ. მართან ერთად ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა გიორგი მერჩულის თხზულებისა და, საერთოდ, ადრეფეოდალური ხანის მწერლობისა და ისტორიის შესწავლაში.

მოვიყვანთ ამონარიდებს პ. ინგოროყვას შრომიდან:

„ხანძთის მონასტერი...მდებარეობდა ძველ ქართულ მხარეში, კლარჯეთში (ჭოროხის ხეობაში...), მე-9-10 საუკუნის სატახტო ქალაქის არტანუჯის ახლოს” (იხ. პ. ინგოროყვა 1954.:14).

„მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა გიორგი მერჩულის თხზულების სრული დედანი, საბოლოოდ და მტკიცედ დადასტურდა, რომ ხანძთა და შატბერთი კლარჯეთის მხარეში მდებარეობდნენ, ჭოროხის ხეობაში, არტანუჯისა და ანჩის მეზობლად, სახელდობრ, კლარჯეთის იმ ზონაში, სადაც მდებარეობს ოპიზა” (პ. ინგოროყვა 1954.:306).

„ხანძთა არის სწორედ ის უსახელო სავანე, რომელიც მდებარეობს სოფელ ფორთის სამხრეთ ზონაში” (პ. ინგოროყვა 1954.: 311).

შეგნიშნავთ: რამდენადაც ფორთაპორტა ადრეც იხსენიება (იხ. პ. ინგოროყვა 1954.:314 და შემდეგ), კერძოდ, წინა არაბულ ხანაში (V-VII საუკუნეებში) აქ საეპისკოპოსო ცენტრი იყო, შეუძლებლად მიგვაჩნია მისი გაიგივება ხანძთასთან. გიორგი მერჩულეს თხზულებაში არაა აღნიშნული ხანძთის ადგილას წინათ რაიმე ტაძრის არსებობა, მით უმეტეს – კათედრალისა. მწერალს რომ სცოდნოდა აქ ასეთი მნიშვნელოვანი ცენტრის არსებობა, აუცილებლად აღნიშნავდა ამ ფაქტს თავის შრომაში.

გავიხსენოთ, თხზულებაში ნათქვამია, რომ იშხნის საკათედრო ტაძარი დანგრეული იყო და იგი უფლის მინიშნებით

განაახლა საბა იშხნელმა. ამიტომაც საბას მწერალი იშხნის „მეორედ მაშენებელს“ უწოდებს. ასეთ რამეს არ წერს გიორგი მერჩულე ხანძის შესახებ. ვფიქრობთ, ეს მნიშვნელოვანი ფაქტია.

„ძველი შატბერტი საძიებელია არტანუჯის მხარის იმ უბანში, დოლისყანის მახლობლად, სექტორში, სადაც მდინარე იმერხევი ერთვის ჭოროხს“ (პ. ინგოროყვა 1954.:317).

ამ მოსაზრების გაზიარება გაჭირდება რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, დოლისყანა არ მდებარეობს იქ, სადაც მდ. იმერხევი ერთვის ჭოროხს. უფრო მეტიც, მდ. იმერხევი საერთოდ არ ერთვის ჭოროხს, იგი შავშეთისწყლის შენაკადია, ერთვის შერთულთან. მეორეცაა და, დოლისყანის მახლობლად სხვა დიდი საეკლესიო ცენტრი არ არსებობს.

პ. ინგოროყვას ეს ცთომილებები უპირველესად იმითაა გამოწვეული, რომ მკვლევარს ამ მხარეში არ უმოგზაურია და ადგილზე არ უნახავს კლარჯეთის სავანეები. მისი კვლევა მხოლოდ ლიტერატურულ წყაროებს ეყრდნობოდა.

ხანძისა და შატბერდის ლოკალიზაციის პრობლემას სხვა მკვლევრებიც შეეხნენ, განსაკუთრებით დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში (XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოკიდებული), მაგრამ ისინი უმეტეს შემთხვევაში იმეორებენ ზემომოყვანილ მოსაზრებებს. სიცხადისათვის მოვიყვანო ზოგიერთ მათგანს.

გ. ჯობაძე წერს: 1. მერჩულეს მიხედვით ხანძია მდებარეობს ოპიზასა და მიძნადოროს შუა; 2. შატბერდი მდებარეობს არა ოპიზასა და მიძნადოროს შორის, არამედ არტანუჯსა და დოლისყანა-ბერთას შუა (ვიმოწმებთ: ირ. გივიაშვილი, ი. კობლატაძე 2004.:70).

შ. ამირანაშვილის დაკვირვებით, ფორთა ხანძიაა (იხ. შ. ამირანაშვილი 1971.:176).

ნ. ალექსიძე და დ. ხოშტარია თვლიან, რომ ენი რაბათის „... ძველი სახელი დაკარგულია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს შატბერდი – გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებული

ლი დიდებული მონასტერი...“ (ნ. ალექსიძე, დ. ხოშტარია 1991.:127). ავტორთა მსჯელობას დამაჯერებლობას ისიც ჰმატებს, რომ ისინი ითვალისწინებენ გიორგი მერჩულის თხზულების მონაცემებსაც.

ნუკას საყდარი კი დგას „... მიუვალ ადგილას, სტალაგმიტივით აღმართული კოლსალური კლდის მომცრო შვერილზე, რომელიც სპეციალურად ამოყვანილი სუბსტრაქციით გაუფართოებიათ. ჩრდილოეთ ფასადით ეკლესია კლდეს ეკვრის და ნაწილობრივ გამოკვეთილია მასში, ხოლო სამხრეთ და აღმოსავლეთ ფასადები უშუალოდ აგრძელებს კლდის ვერტიკალურ კედლებს“ (ნ. ალექსიძე, დ. ხოშტარია 1991.: 130).

იმერხევიში, სოფელ უბეში, ჭალაში არის ეკლესიის ნანგრევები. მისი მხილველი შ. ფუტყარაძე მორიდებით გამოთქვამს ვარაუდს: „იქნებ დღევანდელი ჭალა არის ის დავაკება, სადაც პირველად ააშენეს ხანძის მონასტრის ხის სენაკები და ხის ეკლესია, შემდეგ კი დიდი ტაძარი“ (შ. ფუტყარაძე 1993.:189).

რ. ჟორდანიას აზრით, პორტა ხანძიაა (იხ. რ. ჟორდანია 1997.:6). ბატონი რეზო თავის დასკვნებში განიცდის ვ. ჯობაძის გავლენას და ეს არცაა გასაკვირი. იგი ხომ ზოოლოგია, ორნითოლოგია და არასოდეს უკვლევია ისტორიული გეოგრაფიის პრობლემები. გზად გაიარა ამ მხარეში სხვა საქმესთან დაკავშირებით, სიტყვამ მოიტანა და ხანძის „ლოკალიზაცია“ მოახდინა.

ირ. გივიაშვილი და ირ. კობლატაძე თვლიან, რომ ხანძია ფორთაა, შატბერდი - ენი რაბათი (ირ. გივიაშვილი, ირ. კობლატაძე 2004).

რომ შევაჯამოთ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები, სურათი ასეთია:

დ. ბაქრაძე: შატბერდი დოლისყანაა (მოგვიანებით თავადვე უარყო ეს მოსაზრება);

ნ. მარი: შატბერდი უსახელო სავანეა ფორთის მიდამოებში, ხანძია კი ნუკას საყდარი;

ე. თაყაიშვილი: ხანძთა და შატბერდი ევფრატის ხეობაშია საძიებელი;

ჰ. ინგოროყვა: ხანძთა ის უსახელო სავანეა, ფორთის მიდამოებში რომ მდებარეობს, შატბერდი კი დოლისყანის მახლობლადაა;

ვ. ჯობაძე: ხანძთა ოპიზასა და მიძნაძოროს შუა მდებარეობს, შატბერდი კი – არტანუჯსა და დოლისყანა-ბერთას შუა;

შ. ამირანაშვილი: ფორთა ხანძთაა;

ნ. ალექსიძე, დ. ხოშტარია: შატბერდი აწინდელი ენი რაბათია;

შ. ფუტკარაძე: სავარაუდოა ხანძთის მონასტერი დღევანდელ ჭალაში (უბის მახლობლად) მდებარეობდეს;

რ. ჟორდანიას: პორტა (ფორთა) ხანძთაა;

ირ. გივიაშვილი, ირ. კობლატაძე: შატბერდი ენი რაბათია, ფორთა – ხანძთა.

ხანძთისა და შატბერდის შატბერთის ლოკალიზაციისათვის ყველაზე სანდო წყარო გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაა“. აღნიშნული თხზულების მონაცემებისა და ჩვენი ამ მხარეში არაერთგზისი მოგზაურობის შთაბეჭდილებების შეჯერებით თავს უფლებას ვაძლევთ, მკითხველის ყურადღება მივაქციოთ აღნიშნულ საკითხებზე.

გიორგი მერჩულის თხზულებაში ხაზგასმულია, რომ ხანძთის კლდეები „უფიცხლესია“ კლარჯეთის კლდეთა შორის; და რომ მონასტრისათვის ბერებმა დააგაგეს ეს უფიცხელი კლდეები. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი ასე აღწერს ხანძთის ადგილმდებარეობას: „და არს იგი უგზო და მიუვალ რადთურთით სოფლისა წესითა მცხოვრებელთაგან, რამეთუ დადოთა მათა შინა მაღალთა არს მკვიდრობა მათი. და მორტყმულ არს ერთ კერძო მთად იგი და ერთ კერძო შავშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლგად გარემოადგს ზღუდის სახედ უძრავისა. და ესრეთ ყოვლითა კერძო შეზღუდვილ არიან მათა მიერ და ხევენებისა და წყალთა მათგან საშინელად ადგილთა მავალთადას. და მონასტერსა

მათ შინა არა არს სათიბელი ქვეყანად, არცა ყანად სახნავი...“ (ვიმოწმებთ: გიორგი მერჩულე 1981:245).

მოყვანილი ვრცელი ამონარიდიდან ჩანს, რომ ხანძთა არის „უგზო და მიუვალ“, რომ „დადოთა მათა შინა მაღალთა არს მკვიდრობა მათი“, რომ იგი ერთი მხრიდან „მორტყმულ არს“ მთები, რომ „ყოვლითა კერძო შეზღუდვილ არიან მათა მიერ და ხევენებისა“, რომ ძნელი მისასვლელია, რომ მონასტერს არა აქვს „სათიბელი ქვეყანად, არცა ყანად სახნავი“... ყველაფერი ეს ზუსტად აღწერს იმ მიდამოებს, სადაც მდებარეობს აწინდელი ნუკას საყდარი, რომლის სექტორშიცაა ფორთა და ოპიზაც. ჩანს, ისტორიული ხანძთა მერმინდელი ნუკას საყდარია, მოგვიანო ხანაში სახელშეცვლილი. უპირველესად აღვნიშნავთ, რომ ნუკას საყდრის მიდამოებში მართლაც არ არის სათიბი და სახნავი მიწები, რაც არ ითქმის ფორთაზე, რომლის ახლოს ბაღებიც ყოფილა. აღნიშვნად ღირს ის ფაქტიც, რომ ხანძთის სამონასტრო ადგილი ბერებმა დააგაგეს მიიმე შრომით. ვისაც ფორთა უნახავს, დაგვეთანხმება, რომ მისი ადგილმდებარეობა არ მოითხოვს დიდ შრომას სამონასტრო ადგილის დასაგაკებლად, რასაც ვერ ვიტყვით ნუკას საყდარზე...

კიდევ ერთი რამ იქცევს ყურადღებას: გიორგი მერჩულე თავის თხზულებაში არ ახსენებს ფორთას; თუ რატომ, დაბეჯითებით რაიმეს თქმა ძნელია. უნდა ვივარაუდოთ, რომ გიორგი მერჩულის მიერ აღწერილ ეპოქაში იგი უკვე აღარ იყო მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრი. ყურადღება მივაქციოთ ერთ ფაქტს: როცა გრიგოლმა სამონასტრო ცხოვრება დაიწყო, იმ მხარეში მხოლოდ ოპიზის მონასტერი იყო. ჩანს, ფორთას თავისი ფუნქცია უკვე დაკარგული ჰქონდა, არადა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არაბობამდე იგი საეპისკოპოსო კათედრალი ყოფილა.

გიორგი მერჩულის თხზულებიდან კიდევ ერთ ეპიზოდზე მივაქცივთ მკითხველის ყურადღებას: ნაწარმოებში აღნიშნულია, რომ აშოტ ერისთავთ-ერისთავმა ხანძთის ახალი ეკლესია

სიის შენება დაიწყო. „ხოლო იყო მას ჟამსა ხანძთას წინამძღვრად მამად არსენი, ნათესავით აზნაური, ამისითა განზრახვითა იქმნა დაწყებად ახლისა მის და შვენიერისა ეკლესიისა ფიცხელსა მას კლდესა ზედა, რომელიცა ფრიადითა შრომითა და ქვითკირითა მყარითა მრავალთა ჟამთა დაავაკეს და ესრეთ შეჰრაცხეს შემზადებად ადგილისა მის, ვითარმცა სრულიად აღეშენა. არამედ აკურთხენ ქრისტემან ამონა, სიბრძნით სრულიად მაშენებელი, და შემწენი ყოველნი... ხოლო ქვაჲ და კირი ფრიად შორით მოაქვნდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა. და ყოველი სასწორითა იწონებოდა, რამეთუ იყიდდეს მაშენებელნი იგი” (გიორგი მერჩულე 1981.: 257-258).

ეს ამონარიდი ჩვენთვის საინტერესო ცნობებს შეიცავს, კერძოდ:

1. რომ ეკლესიას აშენებენ „ფიცხელსა მას კლდესა ზედა”, რომ „ფრიადი შრომით” და „ქვითკირითა მყარითა” დაავაკეს ადგილი. აღენიშნავთ, რომ ნუკას საყდრის სამხრეთი კედელი სპეციალურად ამოყვანილ სუბსტრატიაზე დგას. როგორც ვხედავთ, ამ მონაცემით ნუკას საყდრის მდებარეობა ზუსტად ემთხვევა ხანძთისას.

2. საშენი მასალა – ქვა და კირი, შორიდან მოჰქონდათ ზურგით ძნელად სავალ გზაზე. თხზულების ეს მონაცემიც მთლინად ემთხვევა ნუკას საყდრის მდებარეობას. იგი დღესაც ძნელად მისადგომია და არც სამშენებლო ქვაა ახლოს საგულეებელი;

3. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მშენებლობას ხელმძღვანელობდა გრიგოლ ხანძთელის მოწაფე ამონა. საფიქრებელია, იგი ის ამონა ვახთანგ მოძარღულის ძეა, „სინური მრავალთავის” ანდერძში რომაა მოხსენიებული, როგორც წიგნის ერთ-ერთი გადამწერი (იხ. მრავალთავი 1959; ივ. იმნაიშვილი 1975.:10; ზ. სარჯველაძე 1984). იგივე ამონა უნდა იყოს პეტრესთან, ანდრიასა და მაკარისთან ერთად ოპიზის მაშენებელი. **ბასილი ზარზმელის** თხზულებაში ვკითხულობთ: „ად-

ემენა წმიდაჲ და დიდი უღაბნოდ ოპიზად მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი” (ბასილი ზარზმელი 1981.:150). ჩანს, ხანძთისა და ოპიზის ახალი ტარები ერთდროულად აშენებულა, რამდენადაც ორივეს მშენებლობაში მონაწილეობს ამონა, ვახთანგ მოძარღულის ძე, რომელიც შემდგომ მოღვაწეობას იერუსალიმში, საბაწმინდის ლავრაში, აგრძელებს.

ეს ეპიზოდიც ამყარებს ჩვენს ვარაუდს ხანძთის მდებარეობის თაობაზე.

კიდევ ერთი საყურადღებო ცნობაა დაცული „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში”. მხედველობაში გვაქვს შემდეგი: გრიგოლმა უბრძანაო დიდ ზენონს: „**ძმაო, შთავიდეთ ვენახად, რომელ არს გზასა თანა ოპიზისასა, რამეთუ ჟამი იყო სოფლისაჲ**”. ამ ვენახებში შეხვდნენ ისინი მაკარი ოპიზელს. მათ ერთად გაათიეს ღამე. დილით „**მაკარი წარვიდა ოპიზად, ხოლო მამად გრიგოლ და ზენონ აღვიდეს თვისად მონასტრადვე**”.

მოყვანილი ამონარიდიდან ჩანს, რომ გრიგოლი და ზენონი „**შთავიდნენ ვენახად**” (აქ უდავოდ იგულისხმება ფორთის ვენახები, რომელნიც ხანძთიდან, აწინდელი ნუკას საყდრიდან, ოპიზისაკენ მიმავალ გზაზეა), მეორე დღეს კი „**მაკარი წარვიდა ოპიზად**”, გრიგოლი და ზენონი „**აღვიდეს თვისად მონასტრადვე**”.

ვხედავთ, რომ ფორთის ბაღები ხანძთასა და ოპიზას შორისაა. თხზულებიდან ისიც ჩანს, რომ ბაღები საკმაოდ დაშორებულია ორივე მონასტრისაგან იმდენად, რომ იქ წასულ ხანძთელ ბერებს მაკარისთან ერთად ღამის გათევაც კი მოუხდათ ვენახებში. მეორეცაა და, ხანძთა ვენახების ზემოთ მდებარეობს. ნათქვამია, რომ „**გრიგოლი და ზენონი „აღვიდეს თვისად მონასტრადვე**”, ხოლო „**მაკარი წარვიდა ოპიზად**”. თუ გავითვალისწინებთ ოპიზის, ფორთისა და ნუკას საყდრის მდებარეობას (ისინი ერთ სექტორში მდებარეობენ), განლაგება ასეთია: **ოპიზა და ფორთა** დაახლოებით ერთ ზოლზეა



(ფორთა შედარებით მაღლა), ნუკას საყდარი კი ორივეზე უფრო მაღლა დგას.

ყოველივე ეს გვარწმუნებს, რომ დღევანდელი ნუკას საყდარია სწორედ ძველი ხანძთა.

გიორგი მერჩულის თხზულებაში კიდევ ერთი ცნობა იქცევს ყურადღებას: როცა გრიგოლ ხანძთელმა იგრძნო „განსლვია ხორცთაგან“, თავის ძმებს უბრძანა, კერეონები მიეტანათ მახლობელი უდაბნოებისათვის, „რომელ არიან ოპიზა და ფრთენი მისნი – ბერთა და მახლობელი მისნი მიძნადორთა და წყაროსთავი თანამკვიდრით მათითურთ. ხოლო შატბერდი დაღაცათუ სხვათა მათ უდაბნოთა მცირედ შორავს...“ (გვ.318).

მოყვანილი ეპიზოდებიდან ჩანს, რომ ხანძთა და ოპიზა მახლობლად მდებარეობენ, მახლობლადვეა ბერთა, მიძნადორი და წყაროსთავი, ხოლო შატბერდი „სხვათა მათ უდაბნოთა მცირედ შორავს...“.

რომ შევაჯამოთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ცნობები ხანძთის შესახებ, სურათი ასეთია:

1. ხანძთა მდებარეობს უგზო და მიუვალ ადგილას, „დადოთა მათა შინა მაღალთა არს მკვიდრობა მათი“.
2. მონასტერს ერთ მხარეს ერტყმის მთა, მეორე მხარეს კი „შავშათისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლვათა გარემოდგს ზღუდის სახედ უძრავისა“; „და ესრეთ ყოველითა კერძო შეზღუდვილ არიან მათა მიერ და ხევნების და წყალთა მათგან საშინელად ადგილთა მავალთადას“.
3. ხანძთას არა აქვს არც სახნავი და არც – სათიბი.
4. ხანძთა გაშენებულია „ფიცხელსა მას კლდესა ზედა“, რომელიც დიდი შრომით და „ქვითკირითა მყარითა მრავალთა ჟამთა დაავაკეს“.
5. ტაძარი მდებარეობს ფორთის ბაღების ზემოთ. იგი საკმაოდ დაშორებული ჩანს მისგან. ხანძთის მეზობლადაა ოპიზა, ბერთა, მიძნადორი და წყაროსთავი.
6. ოპიზის გზაზე (იგულისხმება ხანძთიდან ოპიზისაკენ მიმავალი გზა) გაშენებულ ვენახებთან ახლოს (ფორთის ბა-

ღებთან ახლოს) გიორგი მერჩულე რაიმე მონასტერს არ ახსენებს.

ყველა მონაცემით ხანძთა აწინდელი ნუკას საყდარია და არა ფორთა, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს.

ბოლოს, ხანძთის მდებარეობის გასარკვევად, „ჟამთააღმწერლის“ შრომაში დაცულ ერთ ცნობაზეც გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას, კერძოდ:

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს ერთი სასწაულის შესახებ, თეგუდარის ლაშქარს რომ შეემთხვა: თეგუდარი აიყარა და „მომართა მათა დადოსათა“, კარხხალთა და კარისათა“, რომელიც შავშეთსა და აჭარას შორისაა და დადგა თავსა შავშეთისასა ფიჭუთას“. თეგუდარმა გაიგო, რომ ოპიზა „უპირველესი ათორმეტ უდაბნოთა შორის“ იყო „სადმართოთა კრებულთა აღსავსე იგი საყოფი ნათლიმცემლისა“. ესმა რა „სიდიდე უდაბნოსა ოპიზისა და შემეობა მისი პატროსნითა ხატითა, და კანდელთა მიერ აღსავსეობა“ გამოავჩვენა ათასი მხედარი მის მოსაოხრებლად. ლაშქარი კარხხალის გზით წავიდა... იოანე ნათლიმცემელმა, რომლის სახელობისაც იყო ოპიზა, „დაიცვა მისი სამყოფი“ და „მოუვლინა ნისლი და სიბნელე, და ვერღარა ვიდოდეს ფერკითა საძაგელითა, რამეთუ მიახლებულ იყვნეს უდაბნოსა. და დადგეს მთისა მის ძირსა, რომელსა ეწოდების ძეგლი, რომელსა ზედა შენ არს ეკლესია წმიდისა გიორგისი, რომელ არს შორის ოპიზას და მიძნადორსა“. მაშინ იოანე ნათლისმცემელმა „მოავლინა ქარი სასტიკი მთისა დადოსა და ხოშაკაკალა სეტყუა და წუმა მძაფრი, და აღდგეს დღევანი ვითარცა შუა ზღვასა, და წარმოეცა წყალი მძაფრი და იქმნა მდინარე დიდი, რომელიც გასწორდა ვიდრე წუერადმდე ძეგლისა, რომელი აწცა იხილვების დიდი იგი ნაღუარევი, რომელიც შთავალს მართლ ზედა-ზედა წყალსა შავშურსა...“ ყველა თათარი დაიღუპა ერთის გარდა, რომელიც თეგუდართან გაიქცა ამბის მისატანად... (ჟამთააღმწერელი 1959.:259-260).

ჟამთააღმწერლის თხზულებიდან მოყვანილ ამონარიდში რამდენიმე ჩვენთვის საინტერესო ცნობაა, კერძოდ:

1. ძეგლის მთაზე აშენებულია წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია (გავისხენოთ, რომ ხანძთის მონასტერი წმინდა გიორგის სახელობისა იყო);

2. ეკლესია მდებარეობს ოპიზასა და მიძნაძოროს შორის (გავისხენოთ, ხანძთაც მდებარეობს ოპიზასა და მიძნაძოროს შორის);

3. მაშინ მოვარდნილი დიდი წყლის ნაღვარევი „აწცა იხილვების“ (ნუკას საყდრის ორივე მხარეს ნაღვარევი ახლაც შეინიშნება);

**ყველა მონაცემით ვამთავრებ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის, ანუ აწინდელი ნუკას საყდრის, შესახებ.**

ბოლოს აღვნიშნავთ, რომ ხანძთის ლოკალიზაციისათვის მნიშვნელოვნად გვეხმარება იმის გარკვევა, თუ ვის სახელზეა აშენებული ფორთის გუმბათოვანი ეკლესია.

ამის შემდეგ შეიძლება შატბერდის მდებარეობის გარკვევაზეც ვიმსჯელოთ. გიორგი მერჩულის სიტყვებით, შატბერდი „სხუათა მათ უდაბნოთა მცირედ შორავს“ ( სხვაგვარად, შატბერდი სხვა უდაბნოთაგან მოშორებით დგას).

გავისხენოთ ერთი ეპიზოდი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“: მამა გრიგოლმა ხელმწიფეს ურჩია, მოენახულებინა კლარჯეთის უდაბნოები. მეფე და დიდებულები დათანხმდნენ ბერს და სთხოვეს, თავად წასძღოლოდა ამაღას. სვლა მეფის სასახლიდან, არტანუჯიდან, იწყება. გრიგოლმა მეფე და მისი თანმხლებნი პირველად შატბერდში მიიყვანა. რამდენადაც პირველად შატბერდში მივიდნენ, სავარაუდებელია, რომ სხვა საეკლესიო ცენტრებთან შედარებით იგი არტანუჯთან ახლოსაა.

**არტანუჯთან ახლოს მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრი ენი რაბათია (დაახლოებით 16 კილომეტრში).**

საფიქრებელია, აწინდელი ენი რაბათი ოდინდელი შატბერდია სახელშეცვლილი.

მეფე და მისი ამაღა არ ასულან ანჩაში (30 კილომეტრზე მეტია არტანუჯიდან), არამედ შატბერდიდან წამოსულებს

შეუერთდა ზაქარია ანჩელი ეპისკოპოსი. იქიდან მივიდნენ ჯმერკსა და ბერთაში, – წმინდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიებში, შემდეგ – ოპიზაში, აქედან კი – ხანძთაში, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. ხანძთაში მოვიდნენ მიძნაძოროს წინამძღვარი დავითი და მისი მოწაფეები – ილარიონი, წყაროსთავის მაშენებელი და შემდგომ მცხეთის კათალიკოსი და მამა ზაქარია – ბარეთელთა მაშენებელი. ამის შემდეგ მეფემ და მისმა ამაღამ მოილოცეს მიძნაძორო, წყაროსთავი და ბარეთელთა (გიორგი მერჩულე 1981: 254-258).

მაშასადამე, მეფისა და მისი ამაღის მარშრუტი ასეთია: არტანუჯი> შატბერდი>ჯმერკი>ბერთა>ოპიზა>ხანძთა>მიძნაძორო>წყაროსთავი>ბარეთელთა.

ამ მარშრუტიდანაც ჩანს, რომ ხანძთა მიძნაძოროსთან და წყაროსთავთან ახლოსაა. მიძნაძორთან ახლოსაა დღევანდელი ნუკას საყდარი.

დღევანდელი ენი რაბათის ადგილას, ჩანს, უწინ დიდი საეკლესიო ცენტრი იყო. ტერიტორიულად ენი რაბათის მიდამოები სააგარაკედ გამოსადეგია. ძეგლის მდებარეობა ამართლებს გიორგი მერჩულის სიტყვებს: აშოტ კუროპალატმაო „შეწირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილნი აგარაკად ხანძთისა“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისტორიული შატბერდი დღევანდელი ენი რაბათია.

**ჩვენს ხელთ არსებული ყველა მონაცემის გათვალისწინებით, ხანძთა ნუკას საყდარია, შატბერდი – ენი რაბათი.**

და ბოლოს, შევეხოთ ხანძთისა და შატბერდის (შატბერდის) ეტიმოლოგიის საკითხს:

ხანძ-თაში გამოიყოფა ხანძ ძირეული მასალა და თ(ა) მრავლობითობის სუფიქსი. იგივე ძირი დასტურდება ხანძარში.

აჭარულში შ. ნიჟარაძე ადასტურებს შეხანძვას გადახარშვის, გადახრაკვის, ზედმეტად მოხარშვის მნიშვნელობით.

„ცოტა გამუნელებ ცეცხლი, ცავ, არ შეიხანძოს შეჭამანდმა“ (იხ. შ. ნიჟარაძე 1971.:387).

ჩანს, ხანძი ძირი ანალოგიური მნიშვნელობით იხმარებოდა სხვა სამხრულ კილოებშიც.

**შეხანძვასთან** ერთად იხმარება **დახანძვა**, **ხანძვა**... მისი ძირითადი მნიშვნელობაა **დახრაკვა**, **ჩახრაკვა**, **ჩაწვა**. იტყვიან „ჩეიხანძა საჭმელიო“, ან „კურადებია (ყურადებია) და „მიწა დეიხანძაო“.

**დახანძვა**, **შეხანძვას** ეძახიან მზის სიმხურვალით მიწის ზედაპირის თუ ხეხილის ნაყოფის **შეხრაკვას**.

ხანგრძლივ სიცხეებს რომ დაიჭერს, ქვეყანა **გედეიხანძვის**.

თუ გავითვალისწინებთ **ხანძთის** (ნუკას საყდრის) მდებარეობას, იგი სამხეური ადგილია, მზის გული, დასაშვებია, ეს ადგილები ადამიანის ხელითაც **დაიხანძა**, **დაიხანძრა**, **გადამწვა**.

ამდენად, **ხანძთა დახანძული**, **დახანძრული**, **გადამწვარი** ადგილია.

**შატბერდიშატბერთი**: ამოსავალი ფორმა უნდა იყოს **შატბერთი** (<შატბერთა?). იგი **თან**იანი მრავლობითის ფორმა ჩანს. **შატბერ** ფუძე დასტურდება გვარსახელში **შატბერაშვილი**. საფიქრებელია, რომ **შატბერ** რთული ფუძეა (**შატბერ(ა)**), რომლის მეორე ნაწილი – **ბერა**, ცნობილი ფუძეა ქართულში, საძიებელია **შატ**ის მნიშვნელობა. აღვნიშნავთ, რომ **შატ**ი იხმარება ხევსურულში, მოხეურში, თუშურში, შესაძლებელია სხვა დიალექტებშიც, რამდენიმე მნიშვნელობით: 1. **მარყუვი** (ა. ჭინჭარაული 1960); 2. **სადილე**, **დილის კილო**, **მარყუვი** (ო. ქაჯაია 1967). 3. **შატი** – ნაქარგის ერთ-ერთი სახეა (ქეგელ). შდრ. ძველ ქართულში იხმარება **შატროვანი** ნაქსოვის მნიშვნელობით: **ვიხილე ტყუენავსა მას შინა შატროვანი ერთი ჭრელი M**; **ვიხილე ნატყუენავსა შინა ნაქსოი ჭრელი G** ისუ ნ. 7.21 (ვიმოწმებთ: ილ. აბულაძე 1973).

**შატბერდისეული შატ**ის რომელიმე ზემოაღნიშნულ მნიშვნელობასთან დაკავშირება ჯერჯერობით ნაადრევია. ვფიქ

რობთ, მომავალი კვლევა სამხრულ კილოებში და სამწერლობო ქართულში გამოავლენს დამატებით მასალას **შატ** ძირის მნიშვნელობის ასახსნელად, რაც ნათელს მოჰფენს **შატბერდის** ეტიმოლოგიას...

\* \* \*

უბეში ერთი ლამაზი, სევდიანი, სიმღერაც მოვისმინეთ **სუმან გუმიშის** (იბიშოდლი) შესრულებით. ქალბატონმა თინამ ჩაიწერა მისი ტექსტი, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

ეჰლოჯან

დელეს იქით ჯვალაია, ეჰლოჯან, ეჰლოჯან!  
ის ვერ ემიტანია,  
ის ვერ ემიტანია,  
შენ რომ სხვას უყურებ, ეჰლოჯან, ეჰლოჯან!  
ის ვერ გემიტანია,  
ის ვერ გემიტანია, ეჰლოჯან, ეჰლოჯან!  
სახლი-ნა გაგაკეთო, ეჰლოჯან, ეჰლოჯან!  
გავთალო-ნა დოღანი,  
გავთალო-ნა დოღანი...  
არ გეგეზარდა, დედაე, ეჰლოჯან, ეჰლოჯან!  
დეგეწვა-ნა აკვანი,  
დეგეწვა-ნა აკვანი, ეჰლოჯან, ეჰლოჯან!  
გემარე, გამომარე, ეჰლოჯან, ეჰლოჯან!  
ზემოდან ჩამომარე, ეჰლოჯან, ეჰლოჯან!  
ზემოდან ჩამომარე, ეჰლოჯან, ეჰლოჯან!  
ვერ ვიპუე შენთანა, ეჰლოჯან, ეჰლოჯან!  
ე დუნია მევიარე, ეჰლოჯან, ეჰლოჯან!  
ე დუნია მევიარე, ეჰლოჯან, ეჰლოჯან!

## სვირევანში

**29 ივლისს** მუშაობა სვირევანით დაიწყო. იგი უბესთან ახლოსაა, ფარნუხს ქვემოთ, შავშათიდან 29 კილომეტრში. პარასკევი დღეა. ვფიქრობთ, დღეს ჯამიკარზე ბევრი მოვა, განსაკუთრებით – მოხუცები.

ჯამიმაჰალესთან გავჩერდით. შეკრებილთ მივესალმეთ. აუხსენით, ვინც ვიყავით...

„ოქული (სკოლა – მ.ფ.) დაყაფანდა, გენჯები მიდიან სოფლიდან, ვინდა ძაროს ოქულში?“ – შემოგვივლეს სვირევანელებმა.

იმერხევის ჩვენ მიერ მოვლილ სოფლებში სკოლები აღარ მუშაობს. ახალგაზრდობა სამუშაოდ ქალაქში მიდის და შვილებიც იქვე შეჰყავთ სკოლებში. სოფელში დარჩენილი თითო-ოროლა ყმაწვილი შავშათში დადის სასწავლებლად. ამის მიზეზით ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა ქართული არ იცის...

– ხოჯა სადაურია? – ვიკითხე.

– ჯინალიდამ არიო, – მიპასუხეს.

– ქართული იცის?

– გურჯიჯა იცის, ჰამა არ ილაპარიკეფს. ისე გეფნეფს ყველაფერს.

– აქ ხორბლის რა ჯიშები ითესებოდა? – შევცვალე საუბრის თემა.

– ყარაყირჩილი (შავთავთავიანი), ბზეს ბევრ გაყრიდა, ჯარებით გავლევწავდით. ახლა ხარმან მაქინა გვაქ. ჰამა ახლა აღარ ვთესავთ ხორბალს.

– ახალგაზრდობა არ ჩანს, სად არიან?

– გენჯები, ჰო? წივდენ იქით-აქეთ.

**ინფორმაციისათვის:** იმერხევის სოფლებში რამდენჯერმე დავაფიქსირეთ ფორმა „წივდენ“, რაც უცნაური და იშვიათიცაა. შ. ძიძიგური ქობულეთურ კილოკავში ადასტურებდა წივდელს, მაგრამ ქობულეთურისათვის ასეთი ფორმა უცხოა, არ-

აა ბუნებრივი. იგი არ დაუფიქსირებია აჭარულის არც ერთ მკვლევარს. წივდენ გავიგონე დაბაშიც.

– ახლა პურ აღარ ვთესავთ, ძონჯას დავთესავთ, ჩომას მივართვამთ. თრაქტორით მოგვწნავთ, ჯარ აღარ ვინახავთ...

– აქ რა გვარები ცხოვრობენ?

– ლაზოდლი, თანთოდლი, ყარალოდლი, სუსანოდლი, პეტროდლი, მურუვენთი, ასტანოდლი, იქიენთი, კოლეტენთი, შარიენთი, იხეთოდლი, ისმეთოდლი, დაჩიენთი, ბაირახტაროდლი (ქოქოლეთიდამ მოსულა), უსუფოდლი, შარმათები, ქოსიენთი, ზახალევი, ჭივიენთი, მელიქიენთი, დავლაძენი, აიშიენთი, დოდვიენთი, გათენენთი, ფუტიენთი, მურეშენთი, ხარზვიენთი (ხარბვიენთი?-მ.ფ.), ფექრიენთი, ლეზგიენთი, სარაჯები, დავითიენთი.

ჩვენმა თანამოსაუბრემ გვამცნო, რომ ამ ჯამის ალაგას წინ-წინ ქილისა ყოფილა. დაახლოებით 30 წლის წინათ, ეკლესია დაუნგრევიათ და მეჩეთი აუშენებიათ.. ჩვენი ჯამე არია, იქაც ქილისა ყოფილა, – დასძინა ოსმან თანთოდლიმ.

– ქვა საიდან მოიტანეთ-მეთქი, – ვიკითხე.

– ყორე ამ ალაგისაა.

საუბარში მალარა ვახსენე. ვთქვი, რომ ზემო სოფელში, დაბაში, ქვაბი ვნახე. აქაც ხომ არაა ასეთი მალარა-მეთქი.

– არისო, – მითხრა ოზგანმა.

– მაჩვენეთ-მეთქი მალარა, – ვთხოვე თანამოსაუბრეებს.

წაგვიყვანეს. ამ ადგილს წალკოტი ჰქვიაო, აგვისსნეს. დაბლა, კაკლის ქვეშ, წყაროა, წყაროა, – დააკონკრეტა გამყოლმა, – დორდენი ალაგია აქ.

მივედით მალარასთან. აქაც ეტყობა ოქროსმადიებელთა ნაკვალევი. ყველა ოცნებობს, იპოვოს ასეთ ადგილებში გადამაღული საჭურჭლე და გაზენგილდეს. სოფელში ეჭვით უყურებენ ყველას, ვინც ყურადღებას მიაქცევს ამ ე.წ. მალარებს. ჩვენც განძისმადიებლებად გვთვლიან...

– თუ იცით, სადაა ალთუნი, გვითხარით. აქაური კაცი სანდოა, უდალატო, არავის გაყიდისო, – გაგვენდო ერთი.

ვერაფრით დავაჯერეთ, ოქროს რომ არ ვეძებდით.

„მალარა“ ქვებით ნაშენია კლდეში. ჩანს, ვიდრე ჩამოიქცეოდა („მალარა“ ღორღითაა დაფარული), დიდი ნაგებობა ყოფილა. კედელში ნიშაა დატანებული... შეიძლება, ეს ადამიანთა სადგომია, შეიძლება რაიმე სხვა დანიშნულებაც ჰქონდა, კვლევა უნდა.

ამ კუთხეში ბევრი „მალარა“, მკვლევრის მომლოდინე „მალარა“.

ოდნავ ქვემოთ მეორე „მალარა“. ჩანს, მიწისქვეშაა მოქცეული რაღაც ნაგებობა. შეინიშნება თლილი ქვების მშრალი წყობა...

– აქ ოქროს საბადოები არის და ბელქი აქ აღნობდენ ალთუნს. გეოლოგებმა თქვეს, აქ ალთუნიაო, მაღლა კი ფახირიო (სპილენძი). ბელქიც ასეა.

არ ვიცი, აქ რამდენი ოქრო ან ფახირია, იმას კი ვხედავ, რომ უძველეს ნამოსახლარზე ვდგევართ. ამ ჩამოშლილი ღორღის ქვეშ მოქცეული ღორღები რაღაც საიდუმლოს ინახავენ, რომლის ამოხსნა მნიშვნელოვანია ამ კუთხის ისტორიისათვის...

გაღმით, კლდის ქიმზე, ციხის ნანგრევები მოჩანს. მასპინძლები ჯუმის სალოცავად წავიდნენ, მალხაზმა და მე დრო ვიხელთეთ და ციხეზე წავედით. წყლის არხს გავყევით სოფლის გზამდე. საშინლად ცხელოდა და ამით სიცხესაც მოვარიდეთ თავი. ბოსტნები გავიარეთ. მაღლარი ვენახი გაუშვიათ ხეებზე. სავსე მტევნებმა და უკვე თვალშიშესულმა მარცვლებმა მიიქცია ყურადღება. ყურძნის ჯიში ვერავინ გვითხრა...

გზა გადავჭერით და ციხეზე ავედით. ისეთივე საფორტეფიკაციო ციხეა, როგორც სხვა მრავალი შავშეთისწყლის ხეობაში. აქედან კარგად მოჩანს ჩაქველთას ციხე და ზემოთ – მთელი ხეობა, გაღმით ყვირაღას ხეობასაც სწვდება ადამიანის თვალი. ყვირაღაზე „ქემრიანი კილიაო“, გვითხრეს, კარგად შენახული. კიდს ზემოთ ჯვრებიან კლდეზე, – გაგვანდო ერთმა.

– თამარას ცნობილოვ? აქავრი თამარას ყალეები არიან. ხევიდან დუუმწკრივებია კაცები, ხელიდან-ხელში აძლევენ ქვებ. ჩენი ყალე ისე უშენებია, – მოგვითხრო გუნგურ გიუნემი.

ღიას, ამ მხარეში ყველაფერი ძველი თამარას სახელს უკავშირდება. „თამარის სასვენიც“ ხომ აქ არის, ბაზგირეთს მაღლა, საზგირელზე.

შუადღეა. საშინლად დაცხა. დაღლილები დავბრუნდით ჯამიკარზე. ნამაზი დამთავრებულიყო, ახალგაზრდა იმამი ამყად დააბიჯებდა ხალხში...

წყურვილი გვაწუხებდა. წყალი ვერ კლავდა წყურვილს, არც მთლად კარგი წყალი აქვს სვირევანს.

ახლა მოგიკლავთ წყურვილსო, დაგვიბრდა ერთი და სახლში შევიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა და მუავე კიტრის წვენი გამოიტანა, ოღონდ წათხეში თუთის ძმარი და კუხი შეერიათ. ფაიფურის ჯამით მომწოდეს დასალევად არცთუ სასიამოვნო სითხე. დავლიე. ცოტა ხნის შემდეგ სასიამოვნო შეგრძნება დამეუფლა; რაც მთავარია, წყურვილი სრულიად გამიქრა.

– მოგეწონა? – მეკითხება მასპინძელი.

– კარგია. მთავარია, აღარ მწყურია.

– ჰე, ჰე, მასეა, – დამიდასტურა მასპინძელმა...

შემდეგ ხეობის მხარეს გაგვიყვანეს, ჩრდილში დავსხედით სასაუბროდ. ბევრი რამ მოვისმინეთ აქაურთა ცხოვრებიდან. ასეთი ამბავიც გვიამბო ერთმა:

გაღმა, ნაძვებში ადამიანების ქანდაკებებია, ეს გაქვავებულნი მაყარიაო, – აგვიხსნა. თურმე დედის უნებურად გათხოვდა ქალი. ჩაქველთადან ყოფილა მომავალი მაყარიონი. ყველა გაქვავებულა. ამბობენ, გოგო მტრის ოჯახში თხოვდებოდა და იმიტომაც დაწყევლა დედამო...

სვირენელები დღესაც გაჩვენებენ ტყეში გაქვავებულ მაყარიონს (თეთრი ღორღები ჩანს ნაძვნარში)...

ჩენი წამოსვლის დრო დგება. მერი, თამაზი და თინა გულმოდგინედ იწერენ მასალებს. ვეუბნები, დროა, წავიდეთ-მეთქი...

როგორი მასალები ჩაიწერეთ? – ვეკითხები ექსპედიციის წევრებს.

**მერი:** არ უჭირს, კარგი მასალებია!

**თინა:** ასეთი ფოლკლორული მასალა არც ერთ სოფელში არ ჩამიწერია. კარგადაა გადარჩენილი ამ სოფელში ფოლკლორი...

**თამაზი** – კმაყოფილია!

**რამაზი** ფილოსოფოსობს, აქაური სოფელი მუზეუმია ცის ქვეშო...

მართლაც ასეა, მაგრამ მუზეუმს გულისყურით დათვალიერება უნდა, მასალებს კი – შესწავლა...

საინტერესო ხალხია სვირევენელები. ისინი ღაზარესაც (ნაზარეს) უძღვრიან და ნისლსაც, მატავრსაც ულოცავენ და გათვალულსაც, სიმსივნესაც (თიასაც) „კურნავენ“ ლოცვით... აბა, როგორ არ მორჩება მატავრით შეწუხებული ასეთი გულიანი ლოცვის შემდეგ:

- შე მატავრო, სა მისხვალ?
- ადამიენსა!
- ადამიენსა რა საქმე გაქ?
- ბილი საჭმელად, ზვალსი სახრელად!
- იმისი ანაჲ, იმისი ბაბოჲ

გელია, დათვია,  
არც მოგართვამს ბილსა,  
არც მოგართვამს ზვალსა!  
ჯეგ მოქონდა შავი გველი,  
ავსჭარ, დავსჭარ დიდტარიანი დანით,  
ჩაყვარე დიდ კოჭობში,  
ვადუდე და ვაქაფქაფე.  
გვეტანე გადმა სერზე, მივეც ქარსა, ნიავსა.  
ასე, ისეა,  
სულეიმანის ბეჭედია, ამინ!

შვიდჯერ გადაუბერავენ ლოცვის შემდეგ და ავადმყოფიც განიკურნება. კაცმა რომ თქვას, შემლოცველი თუ მკურნალია, ჩვენი თინა შიოშვილი უკვე ცნობილი კითხვარი (მკით-

ხავი) უნდა იყოს, იმდენი შელოცვები შეაგროვა მთელს საქართველოში. ამბობენ, ხშირად თვითონაც ულოცავს თურმე...

მე დელის (სიმსივნის) ლოცვაც მომეწონა, იმერხეველთა რეპერტუარიდან:

დელი ელინდა,  
მელი მელინდა,  
თიის ქარი რას გელინდა?  
ქეთ-ქეთ ზადლი ჩამორბოდა,  
ფეჭწითელი, ბაუჟი,  
შე ურჯულო დელის ქარო,  
უკბინე და გოუშვი!  
მოდა-მოდა გოუშვი,  
საყედიმთო გოუშვი!  
იაგ, თიაგ, წარეგ, კუხეგ.  
რას ელეველი ცასავეგ,  
რას ბრუნეველი ჯარსავეგ?  
ეძარე, ჩეძარე,  
დააღაგლი ქვასავეგ!...

სვირევენელებმა ერთი საინტერესო თქმულებაც გვიამბეს. „ძველინდელი გურჯულიაო“ უმტკიცებდა ქალბატონ თინას მოქმელი, ნებიე იშელი (პეტროლლი):

„სამნი ზმანი ყოფილან. ორ ზმას ღარჭები ყოლიან, ერთ ზმას ბაჯალა. ეს სამი ზმა ქი არიან, ამათ ემოს ვეტყვით. ახლა ამ ემოს ღარჭებმა, ორივემ ამ ემოს ბაჯალაზე თვალი დეფიქრეს. ერთანე მეგემ სეფილი გამოდგა, ვერ გაამუღავნა, მეორე უძანლული (კარგი მილაპარაკე), იმან გაამუღავნა. რომელიცხამ კი გაამუღავნა, იმან ითხუა. რომელიცხამ კი ვერ გაამუღავნა, იმისი ანაჲ დადეთ გაგზანეს. ანამა ზორით ღარჭი დუგუნში წიყვანა. იმანა თვალნაჭირი დემანა, სიმწარე გულზე მოხდა, ავათ განდა. ამა შვიდ წელიწად ლოგინში იწვა, არც დოხტორმა, არც კითხვარმა ვერ გააკეთა. ერთ დოხტორმა მიხდა: იმას თვალი დუუჭირავს, იმად ავათ გამხდარა. ამისი თვალდაჭირული ბაჯალა რაგვარცხა კი დოდოფლობაში შეკაზმული იყო, აინი შეკაზმული მიყვანეთ, ამის ბალიშ-

ზე დააჯდუმლეთ, ისე დეინახოს კი, ჯანი მისცეს. იმას შეკაზმებენ, მეიყვანენ, დააჯდუმლებენ, ავადმყოფსა უბეში ხელ ჩუუყოფს, ერთ ხელსაც ხელში წააგლებს, იმაზე ყურება-ყურებაში ჯან მიცემს”...

ჯერ შუადღეა. სვირეენიდან წამოსულებმა გადავწყვიტეთ, კიდევ ერთი სოფელი გვენახა.

საშინელი სიციხეა. სუნთქვა ჭირს. მადლა-მადლა მივიწვევთ. გზები ასატანია. მანქანას არ უჭირს სიარული. დაილებზე ავედით. აქედან კარგად ჩანს ბაზგირეთი და მისი მიმდებარე სოფლები, შორს – უსტამისის ციხე. ჩანს დაბა... რაც მთავარია, არის ცივი წყალი და გრილი ჰაერი. გამთანგველი სიციხის შემდეგ აქაურობა გამაცოცხლებლად მოქმედებს ყველაზე.

ორგველივ თვალშეუდგამი სილამაზეა. ხელის გულივით ჩანს კარჩხალის დაკბილული მთები. მის კალთებზე აქა-იქ თოვლიც დარჩენილა...

ჩვენს სიხარულს დიდხანს გაგრძელება არ ეწერა. დაილაზე, სადაც გზა მთავრდება, საბურავი დაიშვა. დიდი გაჭირვებით გამოვცვალეთ. ცოტა გავიარეთ და ახლა რესორი გატყდა... ისევ მანქანა!!! ხვალ ალბათ ტარიელს დიდხანს მოუწევს სახელოსნოში ნერვიულობა. რას იზამს, სხვა გამოსავალი არ არის...

## ქორწილი ბაზგირეთში

**30 ივლისს** ექსპედიციის წევრები ბაზგირეთში ქორწილში ვართ მიწვეული. ბაზგირელი აიჰან სეჩერი (გენჩაროლდი) გამეშეთელ ქალზე ქორწინდება. გვანტერესებს აქაური ქორწილი: ზოგს პროფესიული ინტერესი გვაქვს, ზოგს სეირი უნდა, ზოგსაც უცხო ხალხში „ბლაყუნი“ უხარია... მექორწილეთა გგუფი ჩამოყალიბებულია: **მალხაზი** (ბათუმური დელეგაციის

მეთაური და მთავარი მექორწილე), **რამაზი**, **ნუგზარი**, **თამაზი**, **ზაზა**, **თორნიკე**, **კახა**, **ტარიელი** (რიგითი მექორწილენი).

მექორწილეებს ვთხოვე, დღესვე დაბრუნებულიყვნენ შავშათში.

მე, თინა და მერი სასტუმროში ვრჩებით და შეგროვებულ მასალებზე ვმუშაობთ.

დილით აღრიანად დაადგნენ ქორწილში წამსვლელები გზას.

მთელი დღე სასტუმროში გავატარე. ვუსმენდი აუდიოკასეტებს, ტექსტებს ვამოწმებდი, მასალები რვეულში გადამქონდა.

საყურადღებო მასალებია:

კარგად ისმის ფარინგალური **ჭ**, ისმის იგი ყველა სოფელში, მაგრამ მას უკვე აღარ აქვს დისტინქტური ფუნქცია, ვერ ქმნის ოპოზიციას **ხ**-ნთან. მნიშვნელობით არ განსხვავდებიან **ბაკალა** (გოგო) და **ბახალა**, **კელი** და **ხელი**...

ყველა სოფლის მეტყველებაში ფიქსირდება **ღ** და **ჟ**.

იშვიათად ხმარობენ კითხვით **ა** ნაწილაკს: ხალილაი იქ არია?

იშვიათად, მაგრამ მაინც, შავშელთა მეტყველებაში ფიქსირდება ტონური მახვილი სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალზე.

მთხრობითი ბრუნვის სუფიქსი სრულადაა წარმოდგენილი ხმოვანფუძიან სახელებთან: **დედამა**, **მამამა**...

დასტურდება უმლაუტის მსგავსი მოვლენა: **ხევწრული**, **ჩვენთუნ**, **ქრთეთრისი**...

იშვიათად დაჩნდება ანაპტისური ხმოვანი **გ**: **ცეხისძირი**.

სხვაც მრავალია საყურადღებო დიალექტოლოგიური და ენის ისტორიის თვალსაზრისით.

მასალები მნიშვნელოვანია ფოლკლორისა და ეთნოლოგიისთვისაც.

ასე რომ, მთელი დღე ვიშრომე...

შავშური საქორწილო ტრადიციის მრავალმხრივ საინტერესო ვარიანტი ჩაიწერეს შავშათში შუბლაძის ოჯახში ალიე გოჩიენთისაგან ქალბატონმა მერიმ და თინამ, რომელსაც აქვე მოვიყვანთ.

ალიე გოჩიენთი ყვება თავისი გათხოვების ისტორიას:

- „ჩემი ბაბოე ვის ელაპარაკება-მეთქი?
- არ ვიციო!
- მე გამევიდე-მეთქი?
- სა მიხვალო? – ბაბომ.
- კარები’და დაგვაგო-მეთქი.
- შედიო, არაფერი დაგვა არ გინდაო...

ამას (მიუთითებს ქმარზე, ბატონ ექრემზე) მეგერ უნდოდა ჩემი თავი. არ დამანახვეს. ისე წვევიდა, არ დუუნახავს, ერთი ემიაშვილი ყავს, იმისთინ შუუჩივლია, არ დამანახვესო.

- დილა რომ გახდება, ბალკონს დაგვისო, დაბერტყავსო, დედნახავო.

არაბაში შესულა, კამიონში შესულა, თავი ანას უნდოდა ჩემი თავი. სხვებიც იყვნენ, მარა ჩემ ბაბომ ჩვენი თერეფის უმფო მედწადინა. ელჩად ბევრი (=ბევრჯერ) არ მოსულა, ერთი-ორჯერ – თავისი ბაბოე. ბაბომ დედნახა, მეეწონა. ოცდაერთი წლის ვიყავ, არა?

- მივხდი მეც. წვევიდენ, თექრენ მოიდნენ, მეტანეს მარტო ბეჭედი და დასაკიდებელი. ბეჭედი ალთუნი იყო. ჩვენ მას ერთი ბეჭედი მივეციოთ. ის დაკარგა. ჩვენ გოგებმა, ისე არ გიხდებო და... დუგუნამდე გაზაფხულიდან ოქული რომ იწყება, დუგუნამდე ხუთი-ექსი თვე გევიდა, ჰინ არ დიმინახავს. ჩუმსაც არ ვიღებდი. ჩემ ანას, ბაბოს მოწონდა. ჩვენი სოფელი სხვაა, იმათი – სხვა, ხევწრტლს ზემოდან. მოქონდენ ჩასაცემელი. ერთი-ორი-სამი ყათი რაცხა მეტანეს, ისენი მოდიოდნენ.

მე ველაპარიკებოდი ჩემ დედამთილ, მამამთილ. დოდოფალი არ დედლაპარიკებდა.

დუგუნი იქნა. ალეთი არი – დუგუნამდე მისი მშობლები მოდიოდნენ. მოიდა დრო, სოფელში წვევდით ბითავი მეზობ-

ლები. ბევრი საჭმელები იყო: ყაურმა, ფაფა-მაფა, ფილავი, ბორელი, ფშნილასაც მაყრი, გამხმარი ქლიავი, ისენი თელი.

მაშინ სოფელში გზა არ იყო.

ნიქაჰი: ამას კითხავს, შენ ეს კაცი ქმარად გინდა, თუ არაო.

დაპატიუებდნენ მეზობლებ, მაყარი იქნებოდა. დადე, ამისი ემოსი დის ქალი, მოიდა; დადე სამიც იქნება, მარა იმდენ ცხენებს ვერ იპოვიდა.

დოდოფალი წამოყვანამდი დადეები წვევიდოდნენ დოდოფალთან. ქალები ამას დედნახევდნენ, რაცხებს აწუქებდნენ, ჩვენაც რაცხებს მივცემდით – ფული, ჩასაცემელი, ალთუნი, დაზმა.

დადესთან მე შემეყვანეს, დადესთან კულანდელი ალეთით ჩამაცვეს ლამაზათ, წასლიხან ჩამაცვეს ამის ბაჯის მოტანილი. ცხენით წამომიყვანეს. მას რაცხას გამაატანებენ, სკივრი. გამოყვანიხან ეხიეთ მიცემენ მამამთილ. ფარებ ართმენ იმას ხისიმები.

კარების დაკეცვაც არის. ვოქკათ, ამისი დამკეცები იქნება ამისი ძმები, ძმა თუ არა ყავს – ბიძაშვილები.

დედას მუუტანებენ საწუქარ. წამოყვანიხან დედა, მამა, ძმა, მამამთილიც იქნება.

- ამისი ახლო ქალები გამეყვანებენ, შეაუდუმლებენ ცხენზე. ქორწილი ბიჭის თერეფში იქნება, ერთ ღამეს გათენდება; ბევრი იქნებიან, მეზობლებთან დაწვებიან დაპატიუებული ხალხი.

დადე არაფერ არ აკეთებს. წინ იქნება ბიჭის დადე, შუაზე დოდოფალი იქნება, უკან გოგოს დადე იქნება, გული არ შუუწუხდეს, აწავლის.

- რა გაწავლეს?

მღერობენ, თურქულად მღერობენ, ჩემმა ნენემ ბევრი იცოდა; ამ დეეზე არ მომაგონდება. გზაში სიმღერა იქნება, მღერობენ, გზაში ჭიბონ უკრენ. ახლა ადგა ჭიბონი. სიმღერა ზოგი მასსოვს:



\* \* \*

ვაკეთეკენ მიმაგალი  
ქვაზე ფეხი წამოგეკარ;  
უკნესკენ მინავალი  
ჩემ დარ თვალი წამოგეკარ.

\* \* \*

ეს აჯარა ღომია,  
ჩიქინი ქმარი გეოლიაო.  
ის გააგდე და მე მომყევ,  
სირცხვილი ნუ გგონიაო.

\* \* \*

სადგირელის უკნედან  
მიბრუნდები, მობრუნდები.  
საცხან ღამაზს დედნახავ,  
შენ იქ გადაბრუნდები”.

\* \* \*

„ნიშნად ბეჭედი მუუტანა,  
ბეჭედს ქონდა ღურჯი თვალი.  
შენ, მუხსინეგ, შენ პირშავო,  
რუ უყავ ჩემი დოდოფალი”

\* \* \*

„დილას ავდექ, შინ არ იყო,  
მე რა ვიცი ი ზუნკალი,  
ტყვილ-ტყვილა ნუ ფიცავო,  
შენ სომეხო, შენ ფოშაო”...

წამოსლიხან ბიჭის მაყრები გოგოს მაყრებსა „გოდრიან” უძახიან. გზა განახევრდება, მაყარი დასხდებიან ორივე. დანხვერავენ, რაცხა უნდათ იგზე. ავით გაგხდითო, კუჭიო... რაცხა საჭმელი გვინდაო... გოგოს თერეფიდან რაცხა გაკეთე-

ბული ექნებიან, რაცხას ქი გააკეთებენ, ქალის თერეფი დუურიგებს.

ბიჭის სახლთან მოახლოდნენ; რომ მოვლენ სახლთან, ნეფეს თოფი ექნება, ესროლებს. მედყვანებენ ყვავილ ქვეშედამ დოდოფალ, სიძესაც. ხურდა ფარას შექერთან არეგლი დოდოფალ გადააყრის. დოდოფალ ვალა აქ. ამ დროს სიძე დედნახავს (იმდენ ხალხში რას დედნახავს?!).

ქვებს ჩააბრუნებენ, ფეხი არ გეემუროსო, გადაახურვენ, ჩამოახტუნებენ დოდოფალ, მაგარი იყვეს იმასავეთო, ავით არ გახდესო. მემრე ამიდან წამოსული „გოდრიანები” მოითხოვენ, საჩუქარი რა გაქვანო? ძროხას მოითხოვენ, ცხვარ მოითხოვენ, ყურზე რაცხას მოაბმენ, არ შეიცვალოსო, დოდოფლის არისო. ქალები ამას წაავლობენ ხელ, წედყვანებენ სახლისკენ (დადეები არა), ფქვილში ჩააყოფიებენ ხელ, ჩამაასმევიანებენ პირზე, არ მახსოვს, მურიან კედელზე. ძველ სახლებში ჯაჭვი იყო. ჯაჭვზე ხელ მიაყოფიებენ. მერე წედყვანდნენ დოდოფალ თავის ოდაში, მერე იშტე შუუტანებენ საჭმელ; ისინი შევლენ, გავლენ, საჭმელ მოგართმენ, შემოგიტანებენ, ჭამენ, დასხდებიან. ახლა ქალები, კაცები არეგლი არიან. მაშინ კაცები ადრი იქნებოდნენ.

მეორე დღეს საჭმელი გათავდება. დადამდება. ბიჭის თერეფის მაყარი (გოგოს-არა) ფულს გაყრიან, სინს მოარუნიებენ. ის იმას უყურებს, წინ-წინ ასე იყო. წერვენ. მერე დოდოფალიც საჩუქარ აძლევს, ვინ რამდენი მისცა, იმადა გორ: მოქსოვილი წინდები, ქალების ძაზმა, კაცების წინდები. მევრე დღეს მედყრებიან ქალები, ითამაშებენ – შენ გაჩუმდი, ვერ გიგირიგებია.

კაცები ფული გაყრიან, წავლენ. ქალები შედყვანებენ ოდაში დოდოფალ, მამამთილი პირ ახდის, რაცხას აჩუქებს იგზე; მამამთილ დანა აქ, პირის ახდისას დოდოფალ კითხავს, თავი მოგჭრა, თუ ენაო – ბევრი ღაპარაკი არ იცოდეს ქი. გელინის ღაპარაკი ადეთი არ იყო, ჰამა მე ბევრი საბრი არ მიქნია.

მედყრებიან მემრე ქალები, მისი ხისიმები, რაცხას ანუქებენ, მამამთილი რომ პირს ახდის, დოდოფალ წყალზე გეძყვანდენ, რისთვინ მიყავდენ, რა ვიცი. წყაროს აწავლიდენ. ეს ქალების საქმე იყო...

საინტერესო ისტორიაა, ტიპური შავშური სოფლისათვის.

უკვე ბნელდებოდა ბიჭები რომ დაბრუნდნენ ბაზგირეთიდან.

რამაზს გამოკვლევა ჩაუტარებია, – ხუთი ცეკვაო ბაზგირეთში, რომელთაც მარტო აქ ცეკვავენო. ძნელი დასაჯერებელია, ლაზური ხორუმი მარტო ბაზგირეთში რატომ უნდა იცოდნენ. თუმცა აქაურებს სჯერათ, რომ ესა თუ ის ცეკვა თუ სიმღერა მარტო აქ იციან.

მაღხაზი მრავალსიტყვით აღწერს ბაზგირულ ქორწილს. გამეშეთიდან, დედოფლის ოჯახიდან მოყოლებული, ყველაფერი გადავიდე, – შვილის გათხოვებით გულაჩუყებული მამა თუ ყავარზე გასული სიძე, მოწუწუნე დედა თუ გახარებული მამამთილი...

თამაზმა დეტალურად აღწერა ქორწილის რიტუალი: შუამავლობითა და ქალ-გაჟის დანახვებიდან ვიდრე ქორწილამდე არც მზითვეი დავიწყებია...

ნუგზარს დარჩენა უნდოდა თურმე, შეპატიჟეს და უარი როგორ ეთქვა, უხერხული იყო უბრალოდ.

აღფრთოვანებულია ტარიელიც. მოეწონა ბაზგირული ქორწილი. იცეკვა თურმე კიდევ ბაზგირელებთან ერთად...

თორნიკეს შია; კახა გამგელებულია; არც სხვები არიან უკეთეს დღეში.

ბაზგირული ქორწილიდან დაბრუნებულებმა მაღიანად მიირთვეს თეხის რესტორანში დაგვიანებული ვახშამი...

## უსტამისულებთან უსტამისურ დაილაზე

**31 ივლისს** სამუშაოდ უსტამისში წავედით.

უსტამისი სოფელია შავშათიდან 22 კილომეტრში.

შავშათიდან არტანუჯისაკენ მიმავალი გზის მეთვრამეტე კილომეტრზე მარჯვნივ ავუსვიეთ და ხუთკილომეტრიანი აღმართების შემდეგ შევედით სოფელში. გზად ერთი უსტამისელი ახალგაზრდა, ბინალი დაგვემგზავრა. ჩემი ძველები მაჭახლიდან არიანო გადმოსული, – გაგვაცნო მისი წარმომავლობა. ხელშესახებია შავშელებისა და მაჭახლელების კონტაქტები: საერთო დაილები, მიმოსვლა, ურთიერთმიგრაციები... აღსანიშნავია ისიც, რომ მაჭახლელები მისაბაძი ქართველები და მექართულები არიან იმერხეველთათვის.

ამ კუთხეში დიდი მნიშვნელობა აქვს, რას იტყვიან. აბა, სიგელ-გუჯარი და წერილობითი დასტური თუ სხვა მისთანა აქ არ მოიპოვება. ზეპირი გადმოცემით ესაუბრებიან ერთმანეთს თაობები. ხშირად მათი მეხსიერება რამდენიმე თაობას თუ სწვდება, ანუ არცთუ გრძელია...

ჩვენმა უსტამისელმა ბინალიმ გვამცნო, რომ დღეს უსტამისის დაილაზე გუშინ დაწყებული მარიობის დღესაწაული გრძელდებაო, მთელი სოფელი იქ იქნებაო ასული. ჩვენებურ შუამთობას აქ, შავშეთში, მარიობას ეძახიან. საინტერესოდ მეჩვენა ამ ახალგაზრდის მეტყველება. ვარი'ა, ხარი'ა...ფორმები, ინტონაცია რაღაცნაირი არქაული ელფერით, გამოკვეთილად ისმის ტონური მახვილიც.

ავედით სოფელში. არავინ ჩანს. ყველანი მთაში გაბარგულან. ორდობეში შუახნის მამაკაცი გამოჩნდა, მოკელობდა. გაგვეცნო, ქაზიმად მქვიაო. ჩაის ფაბრიკაში ვმუშაობდი სოფაში, ახლა ემექლი ვარო. დამბლა გადავიტანე და ჯერ კიდევ მიჭირს მოძრაობაო, – გვითხრა. სოფელში არავინაა, მთაში წავიდნენ მარიობაზე. დღეს მე წყლის რიგი მქონდა და ამიტომაც დავრჩი სახლშიო. უკვე დავასრულე მორწყვა, მაგრამ მანქანა არაა და ვერ მივდივარ დაილაზეო...

უსტამისში წყალი ჭირს. ბაზვირეთიდან გამოყვანილი წყლით ცოცხლობს სოფელი. მთელი უსტამისი სამხეური ადგილია და ყველაფერიც ადრე მოდის. კარგი ხილი, ბოსტნეული და ბახჩეული იცის აქ, მაგრამ რწყვა სჭირდება ყველაფერს, წყალზე კი რიგია მუდმივად... არ მორწყავ, შეიხანძვის ყელაფერი. ახლა სასმელი წყალი მაჭახლიდან გამოჰყავთ, სამუშაოებს მთავრობა აფინანსებს. დიდ იმედებს ამყარებს ამ პროექტის განხორციელებაზე სოფელი...

სახლში შეგვიპატიჟა, ვისადილოთო, – შემოგეთავაზა ქაზიმმა. მადლობა ვუთხარით. ცივი წყალი გამოგვიტანა დიასახლისმა.

რადაც თავისებური, არასასიამოვნო გემო აქვს აქაურ წყალს, თითქოს მლაშეა, მაგრამ სიცხეში ცივი მაინც სასიამოვნოა.

– სარდაფში ბუნებრივი მაცივარი მაქვსო, – გაგვიმხილა ქაზიმმა. იქ მიწყვია წყლით სავსე ბოთლები და ვაცივებო. მიწიდან გამოსული ცივი ჰაერით სახლსაც ვაგრილებო. გარეთ რომ ხვატია, აქ საამო სიგრილეაო.

დავათვალიერეთ სარდაფი. მართლაც სასიამოვნოდ გრილა. მიწიდან ცივი ჰაერის ჭავლი გამოდის.

– მე თვითონ გავთხარე და გავაკეთე ეს მაცივარიო, – წაიტრაბახა მასპინძელმა.

ასეთი ბუნებრივი მაცივარი მთისუბანში (ხულოს რაიონი, ხისბაძირის საკრებულო) მინახავს მხოლოდ.

გადავწყვიტეთ, დაილაზე წავიდეთ და მარიობას დავესწროთ, გზად უსტამისის ციხესაც დავათვალიერებთ.

– ჩვენ სამი თანე ვართ, ადგილი არ გექნებათ არაბაში. ასე თუ გინდნან თერჯიმნად მარტოე წამოგყვები, ამათ გავყრი აქა, – გვეუბნება ქაზიმი ცოლ-შვილზე.

მანქანაში მართლაც არ გვაქვს სამი ადგილი. ამიტომაც ქაზიმი მოგვეყვება მარტო.

შეუვლექით აღმართებს. ნელ-ნელა მივიწვეთ მადლა. უჭირს მანქანას... ხემო მაჰალეში რომ ავედით, „ტრავერსი“ ჩამოვარდაო, – გვამცნო ტარიელმა. ხასიათი გაგვიფუჭდა, მაგ-

რამ ხმას არ ვიდებთ, მოთმინებას მივეჩვიეთ, არც წუწუნით ეშველება საქმეს.

ისევ ტარიელის იმედი გვაქვს, რაღაცას მოიფიქრებს... და მოიფიქრა კიდევ.

მსხალზე ბაზვირით გამოაბეს მანქანა, დაქანეს და „ტრავერსი“ შეაგდეს თავის ადგილას. სათქმელად იოლია, მაგრამ საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი გამოდგა...

ერთი საათის შემდეგ უკვე უსტამისის დაილაზე ვიყავით.

დაილა ტაფობზეა გაშლილი. დუზზეა, როგორც აქაურები იტყვიან, გაშენებული.

ისმის მუსიკის ხმა, – ქართული თუ აღმოსავლური ჰანგები, უფრო სწორად – აღმოსავლურით გაჯერებული ქართული მუსიკა.

უკრავენ ქართულ საცეკვაოებს – ხორუმს (ორთაბათუმი), ყოლსამას... უკრავს ზიოსელი მკჰმედ ილმაზი.

ახალგაზრდობა როკავს. ხორუმს ცეკვავენ გახელებულები, დაბღვერილები, სერიოზული სახეებით, ღიმილიც კი არ გადაუვლით სახეზე...

ორთაბათუმურ ხორუმს როკავენ უსტამისელები...

მოვიარეთ ახლომახლო ქედები. მადლა მწვერვაზეც ავედით. გაღმა კარჩხალის მთები ჩანს. იმის უკან გურჯისტანია, შავშელთა მისაბაძი მაჭახელი და სანატრელი აჭარა.

ზემოდან დავეურებთ ფესტივალს, მოხეიმე უსტამისელებს. ეუბ ბუდღეუზი-დათუნაშვილი გავიცანით, უსტამისელი.

– დაბლა ტყეში რა იზდება-მეთქი, – ვკითხე ეუბს.

– ყოლაფერი იზდება აქ: ღვალო, სამყურად, ქუბად, ხალი, უინჭარი, იფხვრი, პატიტად, ანწლი, ხოზადიმლად, მოცვი, თიყურძნად, მაყვალი, სოჭი, ნაზვი, კატარი, უხრავი, კო, წიფელად...

საშინლად ცხელა. გვეხვევიან ბუხები, კალიები, მფრინავი ჭიანჭველები... იკბინებიან, გვაწუხებენ...

მთაში განსაკუთრებით შემაწუხებელია მწერი წვიმის წინ.

დაბლა ჩამოვედით. ეუბმა ოჯახში მიგვიწვია აირანის დასალევად. მოხუცი ქალბატონი შეგვეგება, მასპინძლის ოთ-

ხმოცს გადაცილებული დედა. თურქული საერთოდ არ ვიცოდ, – გვითხრა.

უსტამისში არიან მოხუცები, განსაკუთრებით ქალები, მშობლიური ქართული რომ იციან მხოლოდ. მამაპაპისეულ ოჯახებში ცხოვრობენ, მამაპაპური ადათ-წესებით. არ მიყვებიან ქალაქში შვილებს, ვერ ეგუებიან ქალაქს და უცხო ხალხს. მშობლიურ სოფელში ურჩევნიათ. იმიტომაც რომ: **„ქომოთეფში არ არი კად, იქ არ არი ქართული, იქ არ იციან ქართული, არ დუშუწავლიან“**. სოფლად დარჩენილი მოხუცი დედები დარაჯობენ მშობლიურ კერებს, უფლიან და სათუთად ინახავენ მშობლიურ ქართულს, ტრადიციებს. ისინი ავაღდებულეებენ ქალაქში წასულ შვილებს, სოფელში ზაფხულობით დაბრუნდნენ თორუნებთან ერთად, სოფლის წყალი დალიონ, მთის ანკარა წყარო, რომლის მსგავსს ქალაქში ვერსად დალევ და შვილებსაც დააღვინონ, ჭალა გათიბონ, მარიობას დაესწრონ, მთა-ბარი მოიარონ, შვილები არ მოწყვიტონ მშობლიურ გარემოს, სოფელი შეაყვარონ, მიწის სურნელი არ დაავიწყონ, რომ არ გაითქვიფონ უცხო ქალაქში, რომ მძლავრობდეს მათში ამაყი წინაპრების ძლიერი გენი...

დაბლა მინდორზე გრძელდება ზეიმი. უკრავს აკორდეონი, სეველიანად მღერის მემედაე ქართულ შაირებს:

ელია ბიჭო, ელია,  
ე რა წმინდა წელია!  
სამი წელიწადია,  
დასახლება მწაღია...

\* \* \*

შამ, შალახო, შალახო,  
მოგლეჯილო ბალახო,  
თეთრი ჩოხა მაცვია,  
არ წემესვა ტალახო...!  
შამ, შალახო, შალახო,  
მოგლეჯილო ბალახო,  
შალახო კაი კაცია,  
თეთრი ჩოხა აცვია...

სიმღერას ცეკვა ცვლის. როკავს მთელი სოფელი.

რამაზი, ტარიელი, თამაზი და ჩვენი პატარები ჩაებნენ ხორუმში. ხელიხელგადაჭდობილები ცეკვავენ. არ წყდება მუსიკა, ცეცხლი ეკიდებათ მროკველებს... ცეკვავენ „გულის გაკოჭამდე“. ერთი გულგაკოჭილი უსტამისელი გამოეთიშა ხორუმს. მალე – გულშეწუხებული რამაზიც...

ხორუმი ძნელი ცეკვაა. „ხოროში გარიდანაა ადვილი“, როგორც ორთაბათუმში იტყვიან.

– ცა მოიქუფრა. მალე წვიმაც წამოვა. ნიადვარმა შეიძლება გზები ჩამორეცხოს და საშიშია, მთაში არ ჩაიკეტოთ, – გვაფრთხილებენ.

ენქარობთ. არ ჩქარობს მხოლოდ რამაზი. ანდა სად ენქარება? ხალხშია, ლუღზე ეპატიუებიან, ცეკვავენ, ერთობა... სად წავა უკეთეს ადგილას?! ანდა, რა ან ვინ დარჩენია შავშათში, ამ სიამოვნებაზე რომ უარი ათქმევინოს...

მარიობით იკლავს შუამთობის ჟინს რამაზი. მთიელი კაცია და, შუამთობას ჩვეულმა, კარგად დაიჭირა მარიობის მუღამი...

როგორც იქნა, წამოვედით დაილიდან. გზად უსტამისის ციხეზე ავედით. გზიდან ერთ კილომეტრშია, არც მისასვლელადაა ძნელი.

ციხის ქონგურებს მივადექით.

უსტამისის ციხიდან თვალწინ იშლება მთელი ხეობა, შორს შავშათიც მოჩანს. საკვირველია, ვინ გეგმავდა ამგვარ სტრატეგიულ ადგილებში ასეთი ციხეების აშენებას. ვინ სწავლობდა ასე დაწვრილებით ხეობებს და ყოველ მარჯვე ადგილას აშენებდა სადარაჯო ციხეებს. შედიხარ ხეობაში და ხედავ, რომ ყოველი კუთხე კონტროლდება. მეციხოვნეთა შემწნევლად ძნელად თუ გაივლიდა ვინმე...

კირითა და დუღაბითაა ნაშენები ციხე, უფრო – ნაციხარი. საუკუნეებს შეუწირავთ მისი დიდება. ახლა ადამიანმაც გამოუცხადა ომი. ალთუნს ეძებენ და ამ ძიებაში ანგრევენ ჯერ კიდევ გადარჩენილ კედლებს. ოქროს ამო ძიებაში კი მშობლიურ მიწაზე შლიან წინაპართა ნაკვალევს, შთამომავ-

ლობას ართმევენ საამაყოს. მტრისაგან მოტყუებულნი, მტრობენ თავიანთ ისტორიას, სხვის წისქვილზე ასხამენ წყალს...

ციხის ქვემოთ რაღაც ნაგებობაა, თაღოვანი გადახურვით, უკვე ჩამოქცეული და გავერანებული. გვირაბისმაგვარი ნაშენი, სიგრძე 24 ნაბიჯი, შუაზე გატახრულია. პირველი საკანი შედარებით დიდია – 16 ნაბიჯი, მეორე შედარებით პატარა – 8 ნაბიჯი. სიგანე 6 ნაბიჯია.

შეიძლება, აქ ეკლესია ან მეციხოვნეთა საცხოვრებელი იყო, შეიძლება – საკუჭნაო ან სხვა მისთანა დანიშნულების საკნები... უნდა გაითხაროს, რომ ზუსტად დადგინდეს მისი თავდაპირველი ფუნქცია...

ქაზიმ მოლლოღლი გვიმტკიცებს:

– **უსტამისის ყალბე თამარა დედოფალმა გააკეთა. ასფალტი არ იყო, იქიდან ხელი-ხელ მუშუტანიან, ხელიდან ხელში ქვა მუშუცემიან, ისე გუშუკეობიან.**

**თამარა დედოფლის მეზერი თურქიეშია**, – უმტკიცებს მერის ბინალი თათუიშვილი. ასე სწამთ აქ და ვერც ვერავინ შეაცვლევინებს აზრს აქაურ კაცს.

და არც უნდა ეცადოს ვინმე...

ყურადღებას იქცევს თვით ტოპონიმი **უსტამისი**. იგი ადამიანის საკუთარ სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. **უსტამი** საკუთარ სახელად გვხვდება უცნობი ავტორის „**ევსტათი მცხეთელის წამებაში**“, სადაც ვკითხულობთ: „**და უსტამ, ციხისთავმან მცხეთისამან, ისმინა მათი ევსტათისთვის და მიაგლინა ერთი მხედართაგანი მოწოდებად ნეტარისა ევსტათისა. და ვითარცა მივიდა მხედარი იგი, მრისხანედ პრქვა: – გიწესს შენ ციხისთავი**“ (ევსტათი მცხეთელი 1981.:28);

„ხოლო **უსტამ** ციხისთავმან პრქვა მას“ (იქვე, 29)...

**უსტამისი** – ადგილი (სოფელი), რომელიც **უსტამს** ეკუთვნის.

შუალამე გადასული იყო „გოგჩე პანსიონში“ რომ დაებრუნდით.

## ივეთსა და იფხრეულში

**1 აგვისტოს** ექსპედიცია რამდენიმე ქართულ სოფელს ეწვია, ესენია: **ივეთი** (შავშათიდან 39 კილომეტრში), **იფხრეული** (შავშათიდან 36 კილომეტრში), **დიობანი** (შავშათიდან 36 კილომეტრში. ქოქლიეთის გადასახვევიდან მარცხნივ ერთ კილომეტრში), **წეთილეთი** (შავშათიდან 26 კილომეტრში). სოფლები შავშეთისწყლის სათავეებშია გაშენებული. ყველაზე მაღალი სოფელი **ფაფართია**, რომლის ზემოთ მთაში საქართველოს საზღვარია. ფაფართთან მისავლელი გზა ცუდია. წუხანდელი ნაწვიმარი იყო, გზა – ატალახებული, ამიტომაც ვეღარ გავბედეთ სოფელში ასვლა. ივეთში გაჩერდით პირველად. სოფლის ცენტრში სოფლელებს მოეყარათ თავი. უმეტესი მათგანი ზაფხულის არდადეგების გასატარებლად არის ამოსული აქ. ასეა სხვა სოფლებშიც. კარგად შეგვხვდნენ ივეთლები: ჩაით გავვიმასპინძლდნენ, გვესაუბრენ, სურათები გადავიღეთ, მასალები ჩაგვაწერინეს...

თამაზი და რამაზი, კახასთან ერთად, სოფელში გავიდნენ, ეგებ რაიმე საინტერესო ვნახოთ...

ივეთელთა მეტყველება არაფრით განსხვავდება შავშეთის სხვა სოფლების მკვიდრთა ქართულისაგან. ყველა შემთხვევაში გარეგნულად ასე ჩანს.

ივეთს ქვემოთ, მდ. იმერხევეზე, თაღიანი ხილია, საკმაოდ დიდი, კარგად შენახული. ვიღაც მაღლიანს უზრუნია ხიდის გადარჩენისათვის, ძველი ბურჯები გაუმაგრებიათ, რკინაბეტონით ჩამოუსხამთ ახლად.

ივეთი ჩვეულებრივი მთის სოფელია, მდ. იმერხევის ორივე მხარეს გაშენებული. სახლებიც ისეთივეა, როგორც მექართულე შავშეთის სხვა სოფლებში ვნახეთ.

ივეთლების ძირითადი საქმიანობა მეცხოველეობაა. ზაფხულობით საქონელს მთაში, ძაღლებზე მიერეკებიან, ბარში ჭაღას თიბავენ და თივას ამზადებენ.

სოფელში თესავენ სიმინდსა და ლობიოს, იშვიათად – ონჯას საქონლისათვის.

ხეხილიც მრავლადაა სოფელში: მსხალი, ვაშლი, ტყემალი...

ზამთარი დიდი და გრძელი იცის ამ მთაში. ამიტომაც აქაური კაცი მთელი ზაფხული და შემოდგომა ზამთრისათვის ემზადება: იმარაგებს საქონლის საკეებს, შეშას, ოჯახისათვის აუცილებელ ნივთებსა და სხვადასხვა პროდუქტს ყიდულობს...

ასეთია აქაური ყოფა, აქაური წუთისოფელი...

**იფეთიდან იფხრეულში ჩამოვედით.** ლამაზი სოფელია იფხრეული, მდინარის მარცხენა ნაპირას გაშენებული. ხალხი კეთილი და მიმნდობი... ცოტა რომ გავმინაურდით, ვიკითხე, აქ, ამ სოფელში, რაიმე ძველი ნაგებობა ხომ არაა-მეთქი.

**მადარა ქვემოთაა,** – მითხრა **მურად დემირმა,** ახალგაზრდა იფხრეულელმა.

**მურად დემირი** და **გუვენ არგიმიში** გაგვიძღვნენ და ჩავედით მადარაში. ეს არაა ბუნებრივი მადარა, ქვაბი, ეს ქვის მშრალი წყობით ნაშენი ვეებერთელა ნაგებობაა თაღოვანი გადახურვით. სიმაღლე ხუთ მეტრამდეა, შეიძლება – მეტიც.

ძველად აქ მრავალი ოთახი იყო. შენობა ძალზე დიდია, ოთახებს შორის გასასვლელი დეკუდია (ხვრელია). დღეს სხვა ოთახები ჩამოქცეულია, შესვლა წინა ოთახშიდა შეიძლება. ასეთ ამბავს გვიყვებიან სოფელში: ზემოთ ხვრელში ყოჩი ჩაუგდიათ, ქვემოთ, მდინარესთან, გამოსულა; ქვემოთ შეაგდეს ყოჩი, ზემოთ ხვრელში ამოძვრაო (ცნობისათვის: მადარიდან მდინარემდე ნახევარი კილომეტრი მაინცაა. ასე რომ, ცნობა ცოტა გადაჭარბებულია). დღეს სოფლის ჯამე რომაა, იქაც „**ზევლათ ასეთი მადარა ყოფილა**“. სხვაც ბევრია ასეთი მადარა სოფელში, მაგრამ **დაყაფანებულია**.

ჩვენ მიერ ნახული მადარა 200 კვ. მეტრი მაინცაა. იგი იმავე ტიპის ნაგებობაა, სხვა სოფლებში რომ ვნახეთ, თუმცა უფრო დიდია და კარგად მოღწეულიც.

დღეს ძნელია იმაზე საუბარი, თუ რა დანიშნულება ჰქონდა ამ მადარებს; ალბათ ადამიანთა სადგომებია ოდინდელი. ახლა მადარის ზემოთ კალოა, ბანია, ისეთი, აღმოსავლეთის

მთაში რომ იციან. სასურველია, გაიწმინდოს ეს „მადარები“ და აღდგეს მისი თავდაპირველი სახე. მაშინ შესაძლებელი გახდება მისი ადრინდელი ფუნქციის დადგენა. ვფიქრობთ, ბევრ საიდუმლოს ინახავს აქაური მიწა. თუ გავირჯებით, ზოგიერთი საიდუმლოს ამოხსნას შევძლებთ, რაც გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას შავშეთის მნიშვნელოვანი, მაგრამ ისტორიულად არცთუ ცნობილი, მიწისქვეშა „სოფლის“ შესახებ.

იქნებ ეს მიწისქვეშა სოფელი ისეთ საიდუმლოს ინახავს, რომლის ამოხსნაც მას საყოველთაოდ ცნობილს გახდის... ახსოვს ისტორიას ასეთი არაერთი მაგალითი.

ჩვენი აზრით, ეს მადარები საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიისათვის არანაკლებ საინტერესონი არიან, ვიდრე ტაო-კლარჯეთის დიდებული ტაძრები, ქართული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები.

მადარები დღეს ლეგენდაა ოდენ, ლამაზი ლეგენდა. რეალობა კი სულ სხვაა. ასეთი თქმულებები კი მას შემდეგ ჩნდება, როცა დავიწყებთ ეძლევა სინამდვილე.

მადარაში მატერიალური კულტურის რაიმე ნაშთები, თუნდაც უმნიშვნელო, ვერ ვნახეთ. ყველგანმადიებელ ალთუნის მოყვარულებს აქაც უნგრევეთ კედლები, აქაურობისთვისაც დაუტყვიათ ხელი.

სანტერესოა თვით სოფლის სახელწოდება – **იფხრეული**. **იფხლი** ძველ ქართულში ცნობილი ფუძეა, **გვიმრას** ნიშნავს (**იფხლი>იფხრი ლ//რ** მონაცვლეობით). **იფხრეულში იფხლის/იფხრის** მნიშვნელობა არ იციან, ტოპონიმმა შეინახა ძველი ფორმა...

სოფლის ბოლოს ციხეა, – **პარეხთა** (შავშათიდან 34 კმ-ში. **თამარის ციხესაც** ეძახიან და **ხოჯანეთსაც**).

პარეხთა საინტერესო სახელია – **პარეხ** ფუძით (შდრ. **პარხალი<პარეხ-ალი, პარეხნი, ბერთა პარეხნი**). ძველ ქართულ ენაში კარგად ცნობილი ტოპონიმები, **პარეხ** ფუძიანი გეოგრაფიული სახელები მხოლოდ ისტორიულ სამხრეთ საქართველოში გვხვდება). შესაძლოა, იფხრეულის **პარეხთა** და

ბევლი **პარეხნი** ერთი და იგივე გეოგრაფიული პუნქტი იყოს. აღენიშნავთ, რომ ამავე სექტორში ფიქსირდება ტოპონიმი **ქვაბები**, – ყვირაღას ხეობაში, შავშათიდან 28 კილომეტრში. ბუნებრივია, დაგვებადა კითხვა: ხომ არ ცხოვრობდნენ აქ აღრეფეოდალურ ხანაში წმინდა მამები?

სოფლის მეხსიერებას ამდენი არ შემოუნახავს. შესაძლებელია იფხრეულის დღევანდელი მკვიდრნი მოგვიანებით დასახლდნენ აქ, ბერებმა რომ დატოვეს პარეხები, მას შემდეგ.

**ჩანართი: X** საუკუნის ქართველი მწერლის **ბასილი ზარზმელის** თხზულებაში „**სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება**“ ვკითხულობთ, რომ ოპიზის აშენების შემდეგ მიქაელი უფლის შთაგონებით „მოვიდა მუნით და აღაშენა ... მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათა ადგილსა კლდოანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა **პარეხ უწოდიან**. ხოლო ესე სიტყუად მამათა მიერ მოვალს ჩუენდა, რამეთუ მიქაელ იყო აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მრავალთა და დიდთა, რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოფის, საკვირველ-მოქმედისა“ (იხ.: **ბასილი ზარზმელი 1981:329**). მოთხრობაში მოქმედება **IX-X** საუკუნეებში ხდება, თუმცა არსებობს სხვა შესხედულებაც, რომ თხზულებაში აღწერილი ამბები **VI-VII** საუკუნეებს განეკუთვნებაო (პ. ინგოროყვა), მაგრამ ახლა ეს არაა მთავარი. ირკვევა, რომ არაბთა შემოსევების შედეგად პარეხის მონასტერი აოხრებულა.

გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ხანაში (**VIII-IX** სს) **ბერთის პარეხებში** დასახლებულა მარტოლმყოფი ბერი მიქელი. იგი მიძნადოროდან „ხანძთად მოვიდა“ და „**დაემკვიდრა პარეხთა**“. მიქელი შავშელი ყოფილა, ნორგიალიდან, „მიძნადოროს მონაზვნად იქმნა, ხოლო **პარეხთა** შინა მრავალთა წელიწადთა ცხოვნდა და აღ-რად-ესრულა, მუნვე დაემარხა. და აწ საფლავი მისი და დიდებულისა მამისა ბასილისი, რომელიც შემდგომად მისსა **პარეხთა** მკვიდრ იყო, ერთგან არიან...“ (იხ. გ. მერჩულე **1981: 263-265**).

როგორც ვხედავთ, **გიორგი მერჩულეს** ნაწარმოებში ნათქვამია, რომ მიქელი დასახლებულა „**ბერთის პარეხებში**“. ბასილი ზარზმელის მოთხრობაში კი აღნიშნულია, რომ **პარეხში** მიქაელმა ააგო მცირე სამლოცველო. საფიქრებელია, რომ აქ სხვადასხვა **პარეხთან**, სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტთან უნდა გვეკონდეს საქმე. სხვათა შორის „**ბერთის პარეხნი**“ ხანძთის ახლო-მახლოსაა საგულეველი.

ჯერ ერთი, სახელის მრავლობითობის ფორმა „**პარეხნი**“ მიუთითებს, რომ იმ დროში **მრავალი პარეხი** არსებულა (ყველა შემთხვევაში ერთზე მეტი). მეორეცაა და გიორგი მერჩულეს ცნობით, **ბერთის პარეხები** (უმჯობესია „**ბერთა პარეხები**“) „მარტოლმყოფი ბერების“ სამყოფელია, მაშინ, როდესაც ბასილი ზარზმელის მოთხრობის პერსონაჟმა პარეხში ააშენა „**მცირე ეგუტერი**“ და „**შესაკრებელი მცირეთა ძმათა**“.

შეიძლება დაგუშვათ ასეთი ნაკლებსარწმუნო ვარაუდიც: მიქაელ პარეხელის მიერ აშენებული „**მცირე ეგუტერი**“ და „**შესაკრებელი ... ძმათა**“ არაბთა ბატონობის დროს დანგრეულა და მომდევნო ხანაში მარტოლმყოფი ბერების საცხოვრებლად ქცეულა.

ჩვენი აზრით, უფრო მისაღებია მოსაზრება, რომ სამხრეთ საქართველოში რამდენიმე პარეხი არსებობდა, რასაც გიორგი მერჩულესა და ბასილი ზარზმელის თხზულებების „**ბერთა პარეხნი**“ და „**პარეხიც**“ ამტკიცებს.

მართლაც, ისტორიულ სამხრეთ საქართველოში რამდენიმე **პარეხი** არსებობს:

ახალციხესთან ახლოს **პარეხის ეკლესია**;

კლარჯეთში დასტურდება ტოპონიმი **ბერთა** (რუკაზე აღნიშნულია როგორც ეკლესია). საფიქრებელია, რომ დღევანდელი **ბერთა** უნდა იყოს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ **ბერთა პარეხნი** (დროთა განმავლობაში ტოპონიმი გამარტივდა. გეოგრაფიულ სახელს მეორე ნაწილი რომ აკლია (უწინდელი მსაზღვრელ-საზღვრულია), ნათელია. **ბერთა** (ბერების) რა?

კლარჯეთში, ართვინს ზემოთ, არის **პარეხის უღელტეხილი**;

შავშეთში – იფხრეულის **პარეხის ციხე**;

დღევანდელ **კაჩკარის მთებს** (ტაოსა და ლაზეთის გამყოფს) ძველად **პარხალის** მთებიც ერქვა (იმავე მთებს **პონტოს მთებსაც** უწოდებენ, ზოგნი კიდევ – **ლაზეთის მთებს**)...

მაინც რას უნდა ნიშნავდეს **პარეხი**? აღვნიშნავთ, რომ გარდა ზემომოტანილისა, ძველი ქართული ენის ძეგლებში **პარეხი** რამდენჯერმე დასტურდება, ესენია: „მამათა ცხოვრება“ (A-1105 ხელნაწერი), იოანე მოსხის „ლიმონარი“ (გამოსცა ილ. აბულაძემ 1960 წ.) და სხვა.

**საბას** განმარტებით **პარეხი კლდე**, **გამოქვაბულია** (საბა 1948).

ილ. აბულაძის აზრით კი – „**პარეხი** „ნაპრაღია კლდეებს შორის“, ან – „**კიბის საფეხური**“ (ილ. აბულაძე 1973).

**პარეხ** ძირი გამოიყოფა ტოპონიმში **პარხალი**, რომელიც ასე დაიწლება: **პარეხ-ალ-ი** (შდრ. **პარეხელი**).

**პარეხ** ფუძე გვხვდება „ჩვენებურების“ მეტყველებაშიც – **პარეხა** (კაცის მეტსახელია).

**პარხალი** გვხვდება ქართულ საისტორიო თხზულებებშიც:

ა. **ლეონტი მროველი** წერს: „ისინი (მტრები – მ.ფ.) იკლებდნენ სომხეთის საზღვრებს, **პარხლის** ქვეყანას, რომელსაც **ტაო** ჰქვია, და ვერავინ შედიოდა სამტროდ კლარჯეთში, რადგანაც შეუვალი და მაგარი იყო კლდითა და ტყითა და კლარჯეთის მკვიდრნიც იყვნენ ვაჟკაცები და მებრძოლები“ (იხ.: **ქ. ცხ. I, 1955.: 48**).

ბ. **ვახუშტი ბატონიშვილი** აღნიშნავს, რომ „ართვინს ზემოთ, ჭოროხის დასავლეთით... არის **პარხალი**, ანუ ტაოს კარი, ანუ ტაო... და ეს ტაო არის მთიანი, გორიანი, დელოვანი-ხრამიანი, ღრანტოიანი, წყლიანი...“ (**ქ. ცხ. IV, 1973.:684**).

როგორც ვხედავთ, ორივე ისტორიულ ძეგლში **პარხალი** (**პარეხალი**) დახასიათებულია როგორც კლდიანი, გორიანი, ხრამიანი, ღრანტოიანი ადგილი.

ფიქრობთ, **პარეხი** (**პარხალი**←**პარეხ-ალ-ი**) აღნიშნავს ადგილს, სადაც **პარეხია**, **კლდეა**, **გამოქვაბულია**, **ნაპრაღია კლდეთა შორის**.

**იფხრევიდან წეთილეთს** ჩამოვედით. იქედან კი დავბრუნდით სასტუმროში.

\* \* \*

დღესვე დაგეგმილი გვაქვს სათლელის ციხეზეც ავიდეთ. იგი შავშათთან მისვლამდე სამ კილომეტრშია. ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს მას: „**ამათ მდინარეთ შესართავს ზეით მოერთვის ჭილღონის კვეს შავშეთისავე მდინარე სათლესი და ტბეთისა. ესეც გამოსდის არსიანსავე და მოდის ტბეთამდე აღმოსავლეთად, და მერმე, ვითარცა შავშეთის წინათი მდინარე, ეგრეთ ესეცა დის. ამ წყალზედ არის სათლე, ქალაქი მცირე და მოსახლენი ვაჭარნი მას შინა**“ (ქართლის ცხოვრება, IV, 1973.: 679).

აღმართი ავიარეთ და ციხის ეზოში შევედით. პირველი, რაც თვალში ეცემა მნახველს, არის განძისმაძიებელთა ნაკვალევი. უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრი უშრომიათ მათ, უნგრევი-ათ კედლებიცა და გადაუთხრიათ ეზოც. ციხე ერთ ჰექტარზე მეტი იქნება. იგი ბუნებრივ სიმაღლეზეა აშენებული. ეზოში, ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე, ეკლესიის ნანგრევებია, ჩანს სხვა ნაგებობათა ნაშთებიც. კარგადაა შენახული ფრიალო კლდეზე მკვიდრად ნაგები ციხის გაღავანი და ორი კოშკი. კედლების სისქე ორ მეტრზე მეტი იქნება...

ციხე მოუვლელია. ეკალ-ბარდითაა დაფარული. ჩანს, აღარავის ახსოვს იგი. ტურისტებმა თუ გამოიჩინეს ინტერესი, ციხესაც გაწმენდენ და ასავალ ბილიკსაც მოაწესრიგებენ და მის გამაგრებაზეც იზრუნებენ...



მაგრამ ეს მომავალში იქნება. ჯერ არ დამდგარა ამის დრო.

ოსმალურ წყაროებს შეუნახავთ ცნობა, რომ XVI საუკუნეში შავშეთის მხარის პატრონები ყოფილან **ძმები იოსებთ სპირიდონისძეები**. შესაძლებელია, მათ ეკუთვნოდათ ეს მკვიდრად ნაგები ციხეც. ოსმალთა მიერ შავშეთის დაპყრობის შემდეგ კუთხე სამ სანჯაყად – **შავშეთის, იმერხევისა და მაჭახლის**, – დაიყო და მათ ძმები **სპირიდონისძეები** განაგებდნენ. ჩანს, აქედან დაედო საფუძველი ოდესღაც ერთი რეგიონის (შავშეთის) სამ „ქვეყნად“ წარმოდგენას (ცნობა თურქოლოგმა, ბატონმა **ზაზა შაშიკაძემ** მოგვაწოდა, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას).

დღის ბოლოს **ნური ბეგ ხიმშიაშვილის** სასახლეს ვეწვიეთ სოფელ ველში, შავშათთან მისვლამდე. სასახლე ქალაქის მისადგომებთანაა, რამდენიმე ჰექტარი უჭირავს. ბეგის ჩამომავლები შეგვხვდნენ ქართული სტუმართმოყვარეობით. ყველაფერში ეტყობათ, რომ ამაყობენ დიდი წინაპრებით და ღირსეულადაც ატარებენ მათ გვარს. აქ ყველაფერი წარსულით სუნთქავს. ახსოვს ამ სასახლეს ბევრი რამ: მრავალი მოსული უნახავს, მტერიცა და მოყვარეც... ზეინაბ ხანუმი, მემკვიდრე ნური ბეგისა, თბილად გვღებულობს, უხარია ჩვენთან შეხვედრა, ცდილობს, გაგვიშინაურდეს, გვაცნობს მისი ოჯახის ისტორიას, ხიმშიაშვილების გენეალოგიურ ხეს, ჯერ კიდევ გადარჩენილ მამა-პაპისეულ ნიუთებს, იადიგარად რომ შეუნახავთ და უფრთხილდებიან... სურათებს ვიღებთ ზეინაბ ხანუმის ოჯახის წევრებთან ერთად, ვათვალიერებთ ირგვლივ ყველაფერს. ძველი სასახლის ნაშთიდა გადარჩენილა: შვიდსართულიანი იყო იგი (რაც ცოტა გადაჭარბებულად გვეჩვენება); ალბათ, ორ ან სამ სართულიანი იყო (ამჟამად ორი სართულია დარჩენილა). ალაყაფის თავზე შემორჩენილი თუ გადარჩენილი ოსმალური წარწერა გვამცნობს, რომ სასახლე 185 წლისაა.

აქვე ბარემ ერთ ამბავსაც გავიხსენებთ: პროგრესული კაცი ყოფილა ნური ბეგი. ქართველ მოღვაწეებს მისთვის რომ

მოესმინათ (თხოვდა შავშეთში ქართული სკოლა გახსენით და ჩემს სახლს დაეუთმო სკოლას უსასყიდლოდ), ალბათ ამ კუთხის ასიმილაცია ასე სწრაფი ტემპით არ წავიდოდა, არ დაიკარგებოდა შავშეთის ბევრ სოფელში ქართული ენა...

ბოლოს ისიც სათქმელია, რომ რამაზ ხალვაში, ჩვენი ექსპედიციის წევრი, ხიმშიაშვილების ნათესავი გამოდგა. დიდის ამბით მიიღეს ეს ცნობა ბეგის შთამომავლებმა. უნდა გენახათ, რა ამაყი იყო იმ საღამოს რამაზი. როგორი ინტერესით ათვალიერებდა ხიმშიაშვილთა დიდ დარბაზში გამოფენილ საგვარეულო ნიუთებსა და ოსმალურ სიგელ-გუჯრებს. თუმცა ვერაფერს ხვდებოდა, მაგრამ მაინც გულმოდგინედ უყურებდა, თვალს ვერ აშორებდა. კაცი იფიქრებდა, კითხულობს სულთნის მიერ ბოძებულ სიგელებს... წაიკითხავდა კიდევ, ოსმალური რომ სცოდნოდა... ჩემი დიდი ბეგის (ხიმშიაშვილის ქალი ყოფილა) ნამზითევი მიწები დღესაც გვაქვსო ხიხადირის ხეობაში, სოფელ ჭერში. ალბაც უბოძესო ჩემს წინაპრებს თავადმა მოყვრებმა, – წაგვეტრაბახა ტრაბახის ხასიათზე მოსული. ბეგის სასახლეში საზეიმოდ გაგვანდო რამაზმა საიდუმლოება, ალა ვარო. კარგად ჟღერს რამაზ-ალა ხალვაში! ვერაფერს იტყვი...

იმ ღამესვე იღუმაღმა პოეტმა გაღექსა რამაზის ბეგობის ამბავი და თორნიკეს ხელით გაუგზავნა ადრესატს. აი, ის ლექსიც:

„ბაზირეთის ქომოღამა  
ე რაფერი დიდი ტყვა,  
რამაზავ, შენი ბეგობა  
ე რა გვიან შეგვიტყვია!  
ზეინაბ ხანუმი ამბობს:  
„ცხვირ-პირ გიგავს ძმასა ჩემსა“.  
რას ბლაყუნობ, რას ებნევი  
ძირს „მუხტარს“ და მალლა ღმერთსა?!“

„მუხტარი“ მე შემარქვა თინამ. რამაზის გამღექსავის ვიწრობას საიდუმლოდ ვინახავდით, თორნიკე საიმედო „ფოსტა“

ლიონი" გამოდგა, მაგრამ მიხვდა რამაზი და პასუხიც ზუსტ მისამართზე გააგზავნა:

„ხოფას, ტბეთს და ბაზვირეთში  
სამგან არის მისი ბინა.  
მზეს სწუნობს და კაფიებს წერს  
ჩვენი ქალბატონი თინა.  
მე – ხან ცის და ხან მიწისა,  
იმერხევ ცას მივკაკანებ,  
შავშეთს შავი დარდი მიპყრობს,  
ვერც ვისვენებ, ვერც ვიძინებ“...

მართალია რამაზი. დავდივართ შავშეთში, ვეცნობით აქაურ სოფლებს და დარდით ვივსებით. ეს ძველი დარდია, მემკვიდრეობით რომ გვერგო ჩვენს თაობას ძველებისგან, გულით ნატარები დარდი, დღეს რომ გაცოხლდა და თავი ძალუმად შეგვახსენა. ეს დაკარგულის და ვერდაბრუნებულის სადარდებელია. ოპიზაში რომ მიხვალ და ქართულს ვედარ გაიგონებ, ტაძარს რომ დანგრეულს ნახავ, ამაყი ქართველი ფეოდალების ჩამომავალი, ათაბაგი რომ დაგიმტკიცებს, ყიფჩალი ვარო... და კიდევ რომელი ერთი დაკარგულისა და დანგრეულის მნახველი თუ გამგონე... იდარდებ, აბა რას იზამ... პოდა, ნურც რამაზის სადარდებელს გავიკვირვებთ. ერთად დავდივართ სოფელ-სოფელ და ვაგროვებთ დარდებს; საქართველოში რომ ჩამოვიტანოთ, იმიტომ ვაგროვებთ...

ასე დაღამდა პირველი აგვისტო.

## ყვირალას ხეობაში, „მიქელეთის კარს“ ზემოთ

**2 აგვისტოს** ყვირალას ხეობაში წავედით. ვინახულეთ **სვირევანი, მიქელეთი, ჯინალი, ყვირალა.**

ყვირალა მდ. იმერხევის მარცხენა შენაკადია, შერთულიდან 13 კილომეტრში ერთვის მას. იმერხევის ხეობაში, შავშეთიდან 25 კილომეტრში, მარჯვნივ შეუხვევ და შედიხარ ყვი-

რალას ხეობაში, სადაც გაშენებულია სოფლები: ჩიხვთა (35 კილომეტრი შავშეთიდან), მიქელეთი (37 კმ.), ჯინალი (43 კმ.), ყვირალა (46 კმ.). ვიცით, რომ ამ ხეობაში ქართულად მოლაპარაკენი აღარ სახლობენ. ვფიქრობდი, რამდენადაც აქაური მოსახლეობის დიდი ნაწილი მშობლიურენადაკარგული ქართველია, მათ თურქულში ქართული ლექსიკური ფენა მაინც იქნება-მეთქი, სხვა თუ არაფერი.

სვირევანთან ახლოს ხილია თაღოვანი, სიგრძე 26-27 ნაბიჯი იქნება. გაღმა სოფელში გვითხრეს, ხიდის წინ კლდეზე ჯვარია გამოსახული. აქვე ძველად გამოქვაბულები იყო. გზის გაყვანისას ჩამოშლილა კედლები, ქვაბის მსგავსი ნაშთები კიდევ შემორჩენილა კლდეზე.

მიქელეთის შესასვლელთან მშენებლებს ვეებერთელა კლდე „დაულეწავთ“ და გზა გაუყვანიათ. კარგი სანახავია. „მიქელეთის კარი“ ვუწოდეთ კაცის ხელით ნაკვეთ კლდეკარს. მიქელეთის კარის გაღმა ბუნებრივი ქვაბი ჩანს, მაგრამ მიუვალა, სპეციალური მომზადებისა და აღჭურვილობის გარეშე შეუძლებელია იქ მოხვედრა. ძნელი სათქმელია, ეს გამოქვაბული უწინ ადამიანთა სადგომი იყო, თუ სხვა რაიმე დანიშნულება ჰქონდა.

სპეციალურ კვლევას მოითხოვს შავშეთის ქვაბები...

აღვნიშნავთ, რომ ყვირალა ღრმა და ბნელ ხეობაში მიედინება. განსაკუთრებით ეს მიქელეთის მონაკვეთზე ითქმის. კალაპოტი ვიწრო და ღრმაა, ქვით შემოზღუდული, სიღრმე ზოგან ას მეტრამდე აღწევს. ადიდება იცის ამ მდინარემ. ავდრიანობისა და გაზაფხულზე თოვლის დნობის დროს მოქუხს ხეობაში და აყრუებს გარემოს. ამიტომაც უწოდეს ყვირალა (შდრ. ყვირილა – ზემო იმერეთში).

კლდეებს შორის უკვალავს ყვირალას გზა, კლდეში უკვეთიათ გზის მშენებლებს ადამიანთა სავალიც... თვალს იტაცებს ხეობის სილამაზე. სურვილი გინდება, ფეხით იარო, დატკბე და განიცადო ბუნება. გარემოს მშვენიერებას განსაკუთრებით პირველმხილველი შეიგრძნობს. პირველი ნახვის შთაბეჭდილება დაუვიწყარია კაცისათვის...

ავყევით ხეობას მთებში, ყვირალას დაიღებზე, 40 კილომეტრზე მეტი ვიარეთ შავშათიდან. დაილას ზემოთ, მაღლა მთაში, საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარია, საზღვრის იქით – ჩირუხი.

მთიბავს გამოველაპარაკეთ. ქართველები არა ვართ, ყიფჩაყები ვართო, – დაიჩემა.

აქ არავინ იცის ქართული. ბუნებრივად დაგვებადა კითხვა: რა უნდათ აქ ყიფჩაყებს? ვინ დაარწმუნა ეს ხალხი, რომ ქართველები არ არიან?

აქვე ერთი ამბავიც უნდა გავისსენოთ. შავშათში ახალგაზრდა კაცი გავიცანით, გუნდუზ ათაბაგი, დიდი ათაბაგების შთამომავალი. შავშათში მას აქვს ეთნოგრაფიული მუზეუმი. გუნდუზ ათაბაგის ბაბუა, ფუათბეგ, იყო შავშეთის ცნობილი ბეგი, კაიმაკამიც ყოფილა, შავშეთის გამგებელი. მისი ბაბუა, მუსა ბეგი, ასულა ტბეთში, იქ დასახლებულა. ახლაც აქვთ იქ მამულები ათაბაგებს. ბებია კახაბრელი იყო, ზეჰერ ხანუმი. ხოლო დედის მხრიდან ბებია ახალციხიდან, ახისხადან იყო. გუნდუზ ათაბაგის ბაბუა მაშინ იყო შავშეთის გამგებელი, როცა ეს მხარე ბათუმის ოლქში შედიოდა.

გუნდუზმა იცის, რომ ათაბაგია მისი ძველი გვარი. ისიც იცის, რომ ახალციხიდან (ახისხადან – ასე ეძახიან ახალციხეს თურქები) იყვნენ მისი დიდგვაროვანი წინაპრები, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ყიფჩაყია.

– ყიფჩაყი ვარ, ტიბეტიდან ვართ ჩამოსულიო, – გვიმტკიცებდა ათაბაგი.

საიდან სადარო... ამაზე ნათქვამი. გაგონება არ უნდა, რომ ქართველია, ქართული არისტოკრატის ჩამომავალი...

ვინ ჩაუნერგა ამ ხალხს, რომ ყიფჩაყები არიან? ნუთუ ასე კარგად იმუშავა თურქი ისტორიკოსის – კირზიოლდუს ფსევდომეცნიერულმა იდეამ, ნუთუ ამ მთებშიც ამოაღწია და შეასრულა კიდევ თავისი ვერაგული მისია?

შეუსრულებია და ეს არის...

მთიბავმა „ყიფჩაყმა“ ზოგიერთი ქართული სიტყვა იცოდა, დარწმუნებული ვარ, არც ერთი – ყიფჩაყური. ეს პანტალო, – მანვენა გარეული მსხალი, ეს – თივა, ეს კიდევ – წყალიო...

**აქაურები უფრო არ ისმენენ ქართულს, ვიდრე არ ესმით... დაბლა ჯინალია.**

**ჯინალი** საისტორიო წყაროებში ნახმარი **ჯინალია**: „მთასა დადოსასა, **ჯინალის** თავსა“– ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში“ (II, 260,26). **ჯინალში** ძირეულ მასალად გამოიყოფა **ჯინ** (**ჯინ-ალ**). საბას ლექსიკონში შეაქვს **ჯინი** – გოდორ-მარხილიო განმარტავს. შესაძლებელია **ჯინი**’ს საბასეული განმარტება დაედოს საფუძვლად **ჯინალის** ეტიმოლოგიას.

ჯინალის ჯამესთან სამი მამაკაცი საუბრობდა. ერთი მათგანი სოფლის იმამი აღმოჩნდა. ქართული არც ამ სოფელში იციან, მაგრამ იციან, რომ ერთ-ერთ კენკროვან მცენარეს „**მერცხალი**“ (მოცხარი) ჰქვია. ალბათ, სხვა ქართული სიტყვებიც იხმარება აქაურთა თურქულში. დავიჭერდით კიდევ ასეთ ლექსემებს, მაგრამ არ ისურვეს **ჯინალელებმა** ჩვენთან საუბრის გაგრძელება...

რას ვიზამდით. მდგომარეობას უნდა შევგუებოდით. ვერავის დაავალდებულებ, დადექი, მელაპარაკე, მომასმენინე შენი თურქული, ეგება ქართული სიტყვები გავიგონოო მასში.

ამ ხეობაში, ქვემოთ, კიდევ ორი სოფელია, – **მიქელეთი** და **ჩიხვთა**, ორივე მეთურქულე.

ჩამოვიარეთ ყვირალას ხეობა. დღესვე ჩაქველთას ნახვაც უნდა მოვასწროთ. ჩაქველთას გადასახვევი თერთმეტ კილომეტრშია შერთულიდან. თვითონ ჩაქველთა კი – 31 კილომეტრში შავშათიდან.

გზად ჩაქველთას ციხე დავათვალიერეთ. ფრიალო კლდეზე ნაგები ციხის ნანგრევებილა გადარჩენილა. ჩანს, იგი ერთ-ერთი სათვალთვალ ციხეთაგანია ამ ხეობაში. მეციხოვნენი აქედან დარაჯობდნენ ხეობას, აქედან ანიშნებდნენ სხვა მეციხოვნეებს შექმნილი შიშიანობის შესახებ.

ჩაქველთას ციხიდან ჩანს ხევწრულის ციხე; შორს, პორი-  
ზონტზე, ფრიალო კლდეზე, უსტამისის ბებერი ციხეა, უფრო  
იქით თვალი კარჩხლის მთებსაც ვხვდებით.

აველით სოფელ ჩაქველთაში. დასახლება საკმაოდ დიდია,  
მდინარის ორივე მხარეს გაშენებული. იგი რამდენიმე უბნად  
იყოფა. სოფლის ყოფილმა მუხტარმა მიგვიწვია ოჯახში. ოცი  
წელი მუხტარი ვიყავი, „ფული ვაწვინე“, ახლა ემეკლი ვა-  
რო. საქართველოშიც ვისაქმეო კარგა ხანს.

– კარგი მექართველეთა ჩვენი სოფელი და მთელი ჩაქველ-  
თაო.

ღიასახლისმა, ემსელა აქთემირმა ჩაი მოგვართვა... საუბ-  
არს შევეყვით. მალხაზი ცდილობს ყველაფერი გადაიღოს; მე-  
რი იწერს, მასპინძელს ათასგვარ კითხვას უსვამს, ყველაფე-  
რი აინტერესებს; ღიასახლისს უკვირს კიდევ, რა უნდათ ამ  
უსაქმურებსო. მაგრამ რა იცის მასპინძელმა, რომ ჩვენ უსაქ-  
მური ტურისტები კი არა, ექსპედიცია ვართ, ანუ საქმიანი უს-  
აქმურები...

სიტყვამ მოიტანა და მადარა ვახსენე, იფხრეულში ვნახე-  
მეთქი.

აქაც არისო მადარა, – გვითხრა მასპინძელმა და თან აგ-  
ვიხსნა მისი მდებარეობა: ციხის საპირისპიროდ ბაწარი გა-  
დის, იმას უნდა გაყვე ბოლომდე, შემდეგ მადლა ახვალ და  
იქ, კლდეში, გამოკვეთილი ქვაბებიაო: სიგრძე **500 მეტრამდეა**,  
შემდეგ კლდეში იტოტება. ეს მადარა თამარას დროსაა აშენ-  
ებული, კედლებზე ქართული წარწერებიცაა. ახალგაზრდობა-  
ში ბევრჯერ ავსულვარ, ახლა სიარული არ შემიძლია, თო-  
რემ გაგყვებოდიო.

სწეულია ჩვენი მასპინძელი, აშკარად უჭირს მოძრაობა.

წარწერების გაგონებაზე სუნთქვა შემეკრა. ქართული დამ-  
წერლობის სამივე სახეობის ნიმუშები დავწერე და ვაჩვენე,  
რომელს ჰგავს-მეთქი ქვაბის წარწერები.

ასომთავრულს დაადგა ხელი. ასეთი ნაწერებიაო ქვაბში.

უკვე 5 საათია. ზაფხულის დღეა და ჯერ კიდევ დროა და-  
დამებამდე. უნდა ვინჩართო და საღამომდე მადარაში ავიდეთ.

გამოვემზვიდობეთ მასპინძელს, სასწრაფოდ შევეკრიბეთ ექსპე-  
დიცია და დაბლა დავეშვიოთ...

ჩაქველთას ციხესთან **მე, თორნიკე, თამაზი, კახა, მალხა-  
ზი და ზაზა** მანქანიდან გადმოვვდით და მინიშნებული ბილი-  
კით ქვაბებისაკენ წავედით. დაახლოებით ათი წუთის სიარ-  
ულის შემდეგ ბილიკი დასრულდა, აქედან ცოტაც მადლა ვი-  
არეთ და კლდის ძირს მივადექით. კაცის ნაკვალევი აღარ ეტ-  
ყობა აქაურობას. არც მადლა ჩანს რაიმე. კლდე შეძლების-  
დაგვარად დავათვალიერეთ, ვერაფერი შევნიშნეთ. თორნიკე  
და ზაზა მადლა წავიდნენ, ფრიალო კლდეზე მიცოცავდნენ,  
წვალებით მიიკვლევდნენ გზას მადლა. შევმინდი, ფეხი არ  
დაუცურდეთ-მეთქი და... ვთხოვე, უკან დაბრუნებულიყვნენ. მა-  
ლე დადამდება, ქვაბებამდე ვერ ავალწიეთ...

უკვე ბნელდებოდა, ცენტრალურ გზაზე რომ გავედით და  
ექსპედიციას შევუერთდით. გაღმიდან დავათვალიერეთ კლდე-  
ები. მართლაც ჩანს კლდის ნაპრალებში ქვაბის მაგვარი. ზა-  
ზა და თორნიკე მიზანთან ახლოს ყოფილან. ქვაბის კართან  
მისულები გამოძიებრუნებია უკან.

გული მწყდება, ქვაბი რომ ვერ ვნახე. იქ თუ მართლა ას-  
ომთავრული წარწერებია, უფრო მეტად დამწყდება გული.

ვინ იცის, მომავალში როდის მოგვეცემა ამ მხარეში მოს-  
ვლის საშუალება.

აუცილებლად მოვალთ ამ ხეობაში სამუშაოდ, უფრო მომ-  
ზადებული მოვალთ, მადარასაც ვნახავთ და ქვაბების წარწე-  
რებსაც წავიკითხავთ, თუ არის ასეთი, რა თქმა უნდა.

ისევ დაბრუნების იმედით ვბრუნდებით სასტუმროში.

ბევრი საინტერესოა ამ ხეობებში მკვლევრისათვის. აქ თა-  
ვის საკვლევს იპოვის არქეოლოგი, ეთნოლოგი, ფოლკლორის-  
ტი, დიალექტოლოგი, ხელოვნებათმცოდნე, მუსიკათმცოდნე,  
ქორეოგრაფი... შავშეთის მთებში შეხიზნულ სოფლებში ჯერ  
კიდევ მრავლადაა გადარჩენილი ქართული ყოფის ის ელემენ-  
ტები, რომელიც სხვა კუთხეებში დავიწყებას მიეცა და რომე-  
ლიც გაგვიცოცხლებს ჩვენი წარსულის მივიწყებულ ფურ-  
ცლებს. საგანგებო შესწავლას მოითხოვს შავშეთის არქიტექ-

ტურა: საცხოვრებელი სახლები, ძველი ნაგებობები, ქვაბები (მადარები), მკვლევარს ელოდება აქაური ფოლკლორი, მეტყველება და ყოფა.

შედგებს ჩვენი თაობა შავშეთზე წიგნის დაწერას, დასვამს პრობლემებს, რითაც მომავალ თაობას აღუძრავს სურვილს, საფუძვლიანად შეისწავლოს საქართველოს ეს ისტორიული მხარე...

დღეს ექსპედიციის პირველი ნაწილი ამით დავამთავრეთ. წინ ორდღიანი მოგზაურობა გველის თურქეთის საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების დასათვალიერებლად.

## იმერხველთა საუბრიდან

- ჭალობაა, ახლა ხალხი თლათ გარეთაა.
- ზომოთ მიხუალთ?
- ზიოსი იქ ქომოთაა. გურჯისტანი ასეა (ხელით გვაჩვენებს - მ.ფ.), ინაწმინდა, ქომობანი.
- ბაზგირეთი თქვენში ქართულად რას ნიშნავს?
- კითხვა არ ვიცი, ჩვენ გვაქ დაწერილი ემეები, ჰამა...
- მე ყურანის სურები ეზბერად ვიცი. ნუსხას დაწერენ... ხოჯებმა იციან!
- ჩვენ პალიშაშვილ გვეტყვიან. ჩვენი ლაპარიკი და თქვენი ერთმანებ არ ეწყობა, ვიგეფთ ჰამა... თქვენი და მაჭახელის ლაპარიკი ეწყობა...
- არ ვიცი, არ მაგონდება ქი. ვინცხა რომ ძველი დედაბრები არიან იმათ'ნა კითხო...
- ჩვენ თანთოშიღებ გვეტყვიან. ჩემი სახელი ალი.
- სელამი, მოკითხვა უთხარით შვილებსაც. აქ არი მისი დოდოფალი. ეს სახლიც მისი ტადას სახლია.

- თქვენი გვარი ზუმბაძე იქნებაო. თქვენი კოპრაციების თავჯდომარე (გულისხმობს კიტა შავიშვილს - მ.ფ.) იყო მოსული, იმან მითხრა, რა სოდადი ხარო?

- ზუმბოლლი-მეთქი.
- არა, ზუმბაძე იქნებიო.
- კარგი-მეთქი. ასე გავხდი ზუმბაძე.
- აქავრი ადგილებია: სოტიანი, ფლატიანი, სურმაღავრი, კოთელა, საკუპრია (ჭარების საძოვარი), ინაწმინდა (მაჭეხლის გადასავლელზე ადგილია)...
- მაჭეხლელები მოდიან-მიდიან. იქ არი მინდიეთი, აკრია, ზედვაკე, ხერთვისი, ეფრატი, ქვაბითავი. იქითაჲ თელი ერთი არიან. ისენი აჭარულ ლაპარიკობენ, ჩვენი შერეულია.
- შენ ანთიკურ სიტყვებ ლაპარიკობ და იმა ვიწერო. ჩვენი გამგნე იყო (ნოდარ კომახიძეზე ამბობს - მ.ფ.).
- ახლა ჩვენშიც სამოცი წელი'ნდა აათავო და მერე გიგიშეებენ, ემეკლი გახთები.
- ჰაიდეთ, ახლა ევდეთ, ჩაი ვსუათ.
- ბაზგირეთში სამი მაჰალეა: ქომო უბანი, შუა უბანი და ზემო უბანი, - გამეშეთი.
- მომიხდა ასოთხი დავა, დოსიეს ეტყვიან. ერთ იმედან და სამასი მილიონი ფარა'და გედემეხადა, და ასოთხი ციხე'და მომეხადა. ის იმიწიეს...
- სულ უწინ ინჯირული იყო ბურსას, იმან გამუშვა ჟურნალი „ჩვენებური“, თურქულად „დერგი“ ქვია. ის სამოზდან-ვიდმეტში მოკლეს. ვინ მოკლა? თავრობამა. შვილზე გადაფარებული იყო. შვილი მაარჩინეს... „მე ქართველი ვარ“ თქმა, „მე სომეხი ვარ“ თქმა... არ იზამს, უნდა დამალო, დასაღია.
- ქართველები ცოტად ვართ, ისენი, ქურთები ბევრია. ქართველი ვარ, თქმელიც არ არი. ისე სამი მილიონი იქნება. კითხო, არ ამულავენებენ კი.
- სოფლი სახელი ქართული, ალაგების სახელი ქართული, სიტყვებიც იციან, ვერ გუუგნიან... ართვინში ქურთი არაა...
- ლაზი ვარო, ამბობენ და სომეხს ვერ ამბობენ.

- ჩემ ბაბუას ვკითხე კი და მითხრაო, მუსლიმანი ვართო.
- ქართული რომ დევივიწყენ, ცოტა ვბღეზდები, ჰამა რა'ნა ქნა?!
- ჩვენ ცოტა გვარები ემე გვაქ. ჩვენ სოფლიდამ ასე ოც-დაათი ოჯახი წესული არიან. იქედამ მოსულა სამი ეშხია, ქალი, ზალი, ბაკალა წუუსხმთან. შესხდენ ცხენებზე, დევიწყენ... ქალები წამაასხეს... ბევრი იქეთ არიან წესული, თოქათს...
- ჩვენ ისე ვიცით დიდვანებიდან, ამ ალაგ ქილისე ყოფილა. ამ ალაგ ქილისეს ვუძახით.
- დაბლა ბაზგირეთის დაილაა, ჯანჯირ დაილა.
- ახლა მიიღეფ? ზოგ ადგილეფში არიან აქაც. საქორა დაილაა იქა ჩვენი. ბაზგირული დაილა.
- ნაქილისარი? არი ჰამა მე რა ვიცი.
- დაილაზე არაბით ავდივართ. არაბა ვარი. ნაქილისარი არი, ჰამა რაგა გაწავლო? მაქინა მედტადთ და ნახავთ. არ ექებთ ალთუნს? თამამ...
- ახლა არი, მიერე ჯუმასა ფესტივალი...
- ი ჩემი ბაკალა არი, იმა ფენა იცის.
- ქართული ჩვენ ვიცით აქა, იმერხეველებმა იციან, შავშეთ არ იციან...
- მე რა ვიცი, ზამანდა უშენებიან. აქევრები დოდრი გურჯები არიან. იშტა ის რომ გედხსნა, გედგენ აქ ქართველები რომ იყვნენ. ესკიდან აქ ნენები ყოფილან იქევრი, დარჩენილან დანი. აქ არიან ქართველები იმერკვეში. შავშეთში არ არიან გურჯი. ისენი თურქი არია.
- თქვენ სიდან მოხველით? აქეთკე ხართ თქვენ?
- აქ ერთი ბაკალა თელევიზორში ლაპარიკოფს (გულისხმობს რუსთავი 2-ის წამყვანს, ნათია ლაზაშვილს. ბაზგირეთში ქართული პროგრამებიდან მხოლოდ ამ არხს აჩვენებს - მ.ფ.) გურჯიჯა ხებერს. ცქვიტ-ცქვიტად ლაპარიკოფს, ვერაფერ გეგნეფ, თურქულზე გადავროფ, იმა ვუყურავ. სა ექქარება იმა, ვერ გიმიგნია... ნელა ვერ ილაპარიკეფს?  
„ერთი'და დიგინახო,  
უბეში'ნა შიგინახო...

- შენ რომ ყურბეთში წესველი,  
მე რაფერ'ნა დიგინახო" (წაიმღერა მოსაუბრემ).
- ფესტივალზე ამოდი და იქ იმღერე აგინი...
- ბევრი ზამთარია აქა. ქორებ ავაგსობთ თივით... ჩვენ წესული ვართ და ნენები არიან, დედები... ჩვენ მალე წამოვდივართ.
- კითხვა არ ვიცი, დაწერილი ვერ გვიკითხავს.
- ახლა აქევრები იქ ესახლებიან, იქ ისწავლიან... იქიდან წამაასხეს ქალები და აქ მასხეს. ენწინ არ იყნენ ისენი, რუსები. ესკი ფესებით უტენვან კანდრაში ფშნილაო, ახლა ქვას ნახავ ჩაწყოფ, ჩატენავ. ფშნილამ ბუზდოლაბი'ნა დეინახოს. მაშინ მატლი ჩადიოდა, ისე ჭამდენ...
- ახლა ტადოს უყრია და მერე'და დავაყარო.
- ესკიდან მარილი ბათუმიდამ უწიკავთ ძრუგით. ბაზგირეთიდან ჩეარდენ, ჩევლოდენ ბათუმ. დალი, ფშნილაიმიაქვან, მარილი მოაქვან.
- ზველათავ არ იცოდენ შავშეთში გურჯიჯა.
- ჩვენებურად დეველაპარიკებია, იმა გონია, მაგინეფს. აქ ოვრობაში ჩვენებურად გურჯიჯა ვილაპარიკეფთ...
- ახლა ჩვენი ღარტები შიგა მემლექეთში საქმობენ, იქ დასახლდებიან. ჩვენც კუქუმეთში მივალთ, გურჯიჯა ხომ არ ვლაპარიკოფთ.
- დედე იქედამ გადმოსულა, მაჭხელ ეტყვიან, გაგონილი გექნებათ. რუსი რომ მოვდა, დედე წამოვდა. ორი ღარტი იქ გუუგდია, ორი წამუყვანია. ასე იტყოდა ბაბო.
- ი ბექმეზია...
- ბელქიდა მოკდენამდი ჩებიან?
- იცოდენ'ნა და... დაკტირდება იწავლი.
- შენი სახელი რად არი? იმა?
- ხოშ გელდის! გამარჯობა! მეგრელიშვილი ვარა.
- იქ დაბური დაილაა.
- ბაბო დაბურდა, ხაპერში ჭკვას ველარ ჭუჭკავს.
- ეს ჩაქურიეთია (გვაჩვენებს ზაქიეთის უბანს - მ.ფ.). მეგრელები გლახა თქმა არია!

– თირფანი მაქ, მერულიც. მერული მოსაღენკია. ზამთარი ძიმეა..

\* \* \*

– ხანუმი აქ არი და... ავზე გედემარე, მაჰალეა კიდო, მიქაზე...

– რამდენი წლისა? სამოცი და ათი. ოთხი თანე ბაკალა გათხოვილი არიან. თელი ემეში სხედან, ისტამბულ.

– არ ვარ გაწუხული.

– დიღხინა|დიღხინა ბალახია...

– თაზე არ ვარ. დაღლი ქოფს თაზე დავდივარ.

– არა, ხევწრულიდან. ნაჭვენე დერე. ჰვენიანი დერე, წყალი. ჩემი ქმარი ჩაქერიეთია (ჩაქურიძე), მაჰმუდ აითექი.

– ამათი ღარჭი იმდერეფს, აბა რას იქს. ჰემ მდეროფს, ჰემ სამობს... ამათთან შედით ავზე, ჩვენგან გაბუტულია, აქ არ შამუა. ისე იმდერეფს, აბა რას იქს, ყოლგან მდეროფს და...

– დონერს გააკეთებენ და, ხორც აასხმენ შიშაზე, ჭად ვეტყვი.

– ქართველი მანაც იცის, მეც ვიცი ჰამა, ბევრი ვერ გიგვიგინია...

– რე იქნა ი ფაჩავრა, რა უყავი?

– სიმინდ ვრცხი, ჭადინა გავაკეთო. გარცხვენ, მემრე წაასმობენ, დაფქვენ... ად გობია...

– სათავეზე მიხუალთ? მიორე კვირაჲ არი ფესტივალი.

– იქ შავშეთი არია, ისენიც ქართველი ყოფილა წინდაწინ... ქართველი დავიწყნიათ, თურქულად ღაპარიკობენ. აღარ იყაბულეს ქართველობა...

– ზველათ ბათუმიდამ მოსული იქა ბევრი არიან...

– ქართველებიდამ ეშინიათ, მაგრები არიან.

– იქვერი შარაბები მედტანეს, წითელი შარაბი. გერმელი იყო.

– ერთი თექა სახლი ჩანს დაბისა. მეგრელები ქომოთ არიან. ქართველი მეგრელები ვართო, ბათომიდა. ინადიანები არიან.

– აქ ბევრი ქურთი არიან. ის თერეფი ბევრი ემე...

– ერმენები ისტამბულ არიან. აქ ყოფილან, მემრე წესულან.

– ლაზების (sic) ქართველები არიან. თურქებ უყვარან ქართველები, ჰო! ქართველების (sic) მიღლეთ ვექილი ბევრი არიან. ახლა ოსდაერთი (sic) თანე არიან მეჯღლისში. ქართველები თელ უყვარან.

– ეს პოლისი იყო და ემექლი გახდა.

– ზეზე დავდგებით, ისე ვიმდერებო.

– დოუკარ და ვისამებო.

ქართული? ასე ვიცეკვებო ართვინში. თურქები არ იცეკვებენ, აქვერი ქართველებისაა ად ცეკვა (საცეკვაო დაუკრეს. კარგა ხანს იცეკვეს. შემდეგ სიმღერა დაიწყეს. მემელი უკრავდა აკორდიონზე და მდეროდა - მ.ფ.).

„შენ რომ მომაგონდები,

გეგხრუკვი და გეგლანძვი.

მივალ ნეკრი საკაფლაჲ,

დაგუაფონა ცხემლები,

შენ რომ მომაგონდები,

მომდინდება ცრემლები".

დალევლი ყოლაფერი მოგაგონდება, ასეა ხოშ?!

„სობაზე დავდეგ გუგუმი,

გაღმა დედწყო დუგუნი,

ვეღარ გემისვენია,

და როდის'ნა ვქნა დუგუნი".

\* \* \*

– ჰო, ჰო, იყო სახლი.

– ჩამეიდე, ჭო, რაჲა...

– მეგერა რუსმა გაღმაყარა შექერი, პური და აჭარლები გაღმაყარა თავისკე. მაჭახელი გაყოფილია. რუსმა გაატყვი-ლა აჭარა... სარფიც გაყოფილია. ოსმალისა იყო მანამდე...

ეს გუჯისტანი ყოლაფ ოსმანლისა იყო... თოფალ თემური არა, მოსქოვაფ დაწვა, იმა მერე წამოციმციმდა რუსი, ბელა გუუსდა ოსმალის თავზე. ად იქიდან, ნენედ იტყოდა, რუსები მოდიანო შეგვატყობიებდენ, დუუყრიდო ჩომას, ტყეში დევემალბოდი...

- ოსმალის მემრე რუსი მოდდა, სიდამ?
- გურჯისტანიდამ მოდი'ან უკან. თავისი ალაგი რუმ არაა, მიდიან. ჩენები ისხრეკენ რუსებსა. სომხები ბილა ყოფილან და წამუესხრეკიან.
- ქართველებ უქუმეთი არ ქონიან, არეველი ვიყავით.
- ზიოსი ქვია იმას.
- აქაც არი მადარები, დარანს ვეტყვით. ისა ჯენევიზების სამყოფია ბილა.
- განვენო?! (უკვირს, ოქროსმადიებლები ვგონივართ - მ.ფ.).
- იმათი საცხოვრებელი ამგვარი სახლი იყო. ჯენევიზები ემეები არიან, რუმების ძველები. აქ არი და ღორლები წაფარებულია. აჰადა თქვენ ნახეთ.
- დევრიშოღლებს გვეტყვიან, დევრიშიშივილი იშტე. მე იბრაჰიმიად მქვია.
- აქა ჩაფრასტები სცხოვრობენ, ტივიძნები, ზობები, კოვიძები... ამ ადგილ გორგვიეთი ქვია, საბეგიჯვარი, ზაქიეთი, ზაქივრი დაილა, დაბური დაილა, ლეკობანი, მაჭეხელი... გოგები მათქედენ, თაფლი მათქედენ, ყიდიდენ. სხალ გადმედტანდენ, ქლიავ გადმედტანდენ, ყიდიდენ...
- ვერხვები იზდება, სხლები, კატრები, ზომოთ ახვალ სოჭები, ცხრემლაფ, კო, უხრავი, კაკალი ბოლათ არი, წითელი ბალიც არი... ეს გზა ბაზირეთში გასლამდე გავა. თელგნისკე არი გზა. ენ ყოლაფ არბის გზა დიობნიდამ არი...
- ჯარი ამოსულა გოლიდამ და მემრე?...  
- ჰასან ჩელიგიიჩელიქი ახლა მოსულია. აქიდან თუ გეხვალთ, ნახეთ. სვირეგანში, დუთლუს ცხოვროფს.
- შენი სახელი? ბათუმიდამ ხართ? თუქნა ლაპარიკი იცით? ჰანი ქართველი ხართ ისაც?

- ყოლაფ ვერ გავაგნებებთ და... ედდა ჩემი ღარჭი... იშტა ალი ალთუნის ბაბოფ იყო, მილეთ ვექილი იყო. იშტა აჰმედ ალთუნმა ალიად გაგზანა, ჩემი ღარჭი თურუსტულად წევდა, რუს კონსულუსმა ქალადლები გიგვიკეთა, იქა იკითხა. დოხტური გახდა... იმა უკან გურჯისტანი გაარჩია...

- საჭმელი გავაჰაზირო?
- იმა უკან ვინცხამ კი იკითხეს, აღარ იყაბულეს.
- ჩემ ბიჭმა მითხრა, მეჰმედამა: ოთხასი წლის უკან ხრისტიანი იყო აქა, მერე მუსლიმანი გავხდით.
- შიმიდი, გრიგორი ხანძთელი... იქიდან (პეტრიველი წყაროდან) ქი გამოქცეულა, აქა უკითხვებია, ქილისა გუუკეთებია. მერე სელჩუქებს უწუხებია, ისი გაქცეველა. ქილისაც დაფლატულა, დანგრეველა. იმათვინ, ქართველებისთუნ ეს ადგილი წმინდა არი, იციან...
- ეს სასკივრეა, ეს ზედუბე, ეს უბე. ამ სირთის უკან ხანძთაა. ასე ზემოთკე ედარ. მოდი ჩამოგიკითხო კიდევ: ხანძთის გაღმა შოლტისხევი, ფოჯანათი (ჯალე-მაღე არია?).
- კაცი ღორი, გამჭრე'და იყოს, ბევრი ქონდეს... ჩვენ ასიმილა გავმხდარვართ... გურჯი ბლავეია. წადი, ჰემაც ღობიო, კადა...
- მაგარი კაცი რიზე-თრაფზონია. ჩვენი გურჯებიც იშტა წადან ვთქვია? შუქურჯი არიან. კაი წყალი-მალი, იქ დამსხდარან. სად ასულან, მაშალაჰ, კად ჰავა'ნა იყოს, კად წყალი, კად შეშა... მე მინდა ქი გურჯიც'ნა იყოს გამჭრე. ამფერის გურჯები მინდა მე: მაგარი, ღორი, ძალიან კად. ჩვენებ არვისიდან არ ეშინიან. სხვა უკნედან ლაპარიკოფს, წინედან არ ლაპარიკოფს...
- ხალილად აქ არია?
- მე აქ სოფელში ვარ.
- არაფრის, ბატონო.
- დეგეშველება. თავის თავს დაარჩენს, შენც დაგარჩენს.
- გურჯები გაგაგდებენ, გეადრებენ წევლენ. აჯარა მეტი ემეფ, ღორია.
- ამ ალაგ ქვია ხანძთა. ამ ადგილ - საყვეარა.



– ად ნართია, ჰემ ნართია, ჰემ ძაფია. ად კალათია. ძველათ ფოშები აკეთებდენ და ვიღებდით.

„ხეზე ევედ უხელოთ,  
ვერ ჩამოვედ უფეხოთ,  
ე რაფერ შიმეყვარდი,  
რაფერ წევდე უშენოთ...“

\* \* \*

– აქილამ ცეცხლ ანთებენ, რაც სათქმელი გაქ გადასცემდენ. ისე ერთმანეთსა უკავშირდებოდენ. მაშინ თელეფონი არ იყო, ცხენი არ იყო...

– ღარტები მოდიან, თხრიან, არ გამუა კი... ამ ადგილ წალკოტი ქვია.

– მღერა, ქორწილი თქვენი (ბათუმლების -მ.ფ.) და მაჭეხელელებისა ერთია. სოფლებში ქორწილი სოფლურია, ჰამა... ახალგათხოვილს ასე გააბრაზებენ:

„გოგოვ, გოგოვ, ფაციავ,  
ახალ კაბა გაცვია,  
მე შენი კაცი დევნახე,  
ე რა ბლაცვი კაცია...“

– ერთი სოფლისა რომ ვიყავით, იცნობდენ ერთმანეთს.

– მოვდა, დოსტობა ვქნათო, ვიყაბულეთ; ნიშნობა იქნა, ახლა - ქორწილი. ნიშნი გაცლაში ურუბა მუუტადთ ბიჭი თერეფ ერთი წლის უკან. ქორწილი გუშინ დედწყო. ბეჭედი აცმული აქვან ნიშანზე. ახლა გოგონა მივცეთ. ჩვენ საჭმელ მივცემთ. დადეები არიან, ამოვლენ, საჭმელ ჭამენ, ერთ დღედ მერე წედეყანებენ გოგოს. ნეფე აქაა, სახშია. ძველათ ასე არ იყო. ძველათ სიძე დედოფალ არ დევნახებოდა. ახლა გამეცვალა. ახლა ერთ ოდაში არ არიან, ხვალ შეხდებიან ერთმანეთს...

– დღესაც კიდევ სტუმრებსა საჭმელ დუუდემენ, ჭამენ. დღეს მეტი არ იქნება.

– ზველათ დედოფალ ცხენით წედეყანდენ, ახლა მანქანით. შექერ გადააყრიან, სიძე ყავარზე დახდება.

– აქედან მიდევენ გოგოს ახლობლები...

– მაჭეხლიდან, ზედვაკიდან ეგვიდე სიმინდი, წამუელ და... გამუელ, დავჯექ. თია გამომივდა. წამუელ დოსტურთან. წამუელ თრაფიზონს... კარგა ვარ, სულ დიდი მადლობა.

– კარგი ხარ ფენაო. არა დერდი არ მოქცეს ღმერთმა. ჩემი ფოთოლაფი ბათუმში'ნა ჩევდეს.

– მე აქვერი არა ვარ. მე ზიოსიდან ვარ, ჰასანი მქვია. მუშაობისთვის ამუელ აქა. საღამოზე დოდოფალი'ნა ჩევყვანოთ ქომო სოფელში...

– ქალები სამობენ შიან და ისენიც გამოწიეთ.

– ჩვენ უბური მაყარი ვართ.

– ამდენი არ ვიცი კი. ად ცეკვა ჩვენებურადა, აქ იცეკვებენ, იმერხევეში, შავშებმა არ იციან კი. ამ ცეკვას შემორბენილა ქვია. ქართული კიდევ ღართულად იციან, მატყლის ღართულად. ჰემშილ ხორუმიც იციან, იმის უწინ დელიხორომი იყო.

– ბევრი სალა'ში. მინდა წასლა ჰამა ვერ ავსულვარ, ვერ მიმიცლია, ყანას ვთიბ.

– გაღმა მუხობანია, იქით ჩიხისხევი, იქით ანაკერტია, იქით ნორგიეთი...

– ამეიარეთ ყალე არ სჩა'ნდა? ძველი სოფალი არ ვიცი, ახალი დემირი ვართ. ბელქი დედეს ეცოდინებოდა. იტყვიან, ჩვენ დიარბექირიდან მოვსულვართ. აქ სახელმწიფო საქონელი ყოფილა, მერე ჩვენთუნ მუუციან.

– ამ სოფლის სახელი ყონაგარა. ქართულ შავშეთის სახელია ყონაგარა. ხალხი ამოსულია მარიობას. ცეკვავენ, თამაშობენ... მე ერთი დედა მყავს, სამოცდათხუთმეტისაა, თურქული სწორი არ იცის. საღაცა რომ წევდეს, ორ-სამ პასუხს ვერ მოიტანს, სუფთა ქართულია...

– მე ვუთხარ, ცივი კოკა იყოს, დავლევ. ერთი კაცია, იმან თქვა, კოკა მიწიდან კეთდებაო.

– თქვენ საიდან ხართ ჩამოსულიო? ჩვენ აქვერი ვართ. მე მოსიაშვილ მეტყვიან, ემეში დურმუში წერია.. ნიზამეთინი მქვია, სოფელში ნიზოს მეტყვიან.

– ე ძვლებიო თამარა დედოფლის თორომებისაო. მე'და ემე'და ვქნათო, ჩამფლათნათო, ჩემი მეზარი ვერ იპოვნონო, იმას მერე თქვენი თავი'ნა დედოფლოთო. ფიქალზე დაწერილი იყო, ბევრი ემეე ქნეს და მედთხარეა.

– ჩვენი გვარი დათუნაშვილი. ქობულეთ ყოფილა, ჩამუელ, ჰამა ვერ ვიპუე.

– წყალი ქი მოქონდა კარჩხალიდან, ჩამოიტანდა, გაწვიმდებოდა.

– შენი ღარჭი რამხელაა? მე ერ თანე ვარ. თურქული არ ვიცი, გურჯიჯე ვიცი. ორი ბაჭალა მყავ და ერთი ღარჭი.

– ნენეე ქალაქში არ წამოსულა. მე ალთუნი ვარ, კაცი ბედინებიდან არი. ძველი სოფ ბოკვერი არი. სახელი - სებილე.

\* \* \*

– რუსების აშენებულა უსტამისის ციხე. კენჭ ვერ მათრობ, იმგვარად გუუკოჭვან.

– მე ჯეჰენემში ბილა წამოგყვებით, ჯენნეთში კარა. კად კაცები ხართ და იმიტომ.

– აქ გაჭრილია ყირხ ოდა და ისე ემე იჯებიან. მალარა ქვეშ გაჭრილია, ჰამა ჩაწვა ახლა. სა გადის იშტე არ ვიცი. ხე მოვგლიჯეთ, ქვეშ მალარა იყო. შავშეთს მიდისო, იტყოდენ. ამ ყალედან შავშეთ ყალემდე.

– ისა ზველებურია.

– ბხესა ჩვენ ჯარებით გავლეწევდით... იმ კვერში შეაბემდი ჯარებსა... უკანა ხანს გამევედა ხარმან მაქინა...

– ლობიოს ვებნევიო, სწორი რა არის, არ ვიცი.

– ჯარ აღარ ვინახავო.

– თითო ყანა ჭყინტი გვაქ. და მოხარშავ, და ღვიოროზე შეწვაე...

– ჩვენ სოფელში ცხოვრობს: ფანთოლდი, ყარალოლდი, პეტროლდი, მურუკი, ასტანოლდი, იქიეთი, კოლეტეთი, შარიეთი...

– კარეთ ვებნევიო. ზიარეთი ყოფილა. ის უთხრიან, იპუეს, არ იპუეს არ ვიცი.

– ქილისა იმათი ჯამეა, იქ რამე არ ჩადებენ...

– ვინცხა რაცხას ამბოფს, წადის და აფუჭებენ...

– აქ იგი, ემეა, მალარა, ძველი გაკეთებული. მივდენ, დაანგრიეს...

– ეს სოფელი რომ არ იყო, აქ ხალხი ცხოვრობდა...

– იმ ხაროში რაღაცას ინახავდენ...

– ქვეშ სხვა ბინები ყოფილა, ასე პარიკობენ, ტყვილია, მართალია არ ვიცი...

– იქაც ყალე იყო, დაანგრიეს. ის ყალე ორ მხარეს ინახავს.

– ბელქიდა მადენი გაადნეს, რა ვიცი. ფახირი ცხენებით, ვირებით უზიდვან. ბაზირეთ ევდენ, იქ დახედენ, ზალიან ბევრი ბორი არი. დასამობის ზეით ემე არი, ფახირი და ალთუნი.

– ყუი-მუი ამუუესიან.

\* \* \*

„სობაზე დავდეე გუგუმი,  
დათვმა დეიწყო ბუბუნი,  
ე რა ჯანი მიწუხდება,  
როდის'ნა იქნას დუგუნი"  
„ჰაიდე წევდეთ ბათუმში,  
იქ ვიყიდოთ შეშექინა,  
იმ გოგოს ად რათ უნდა,  
თავი-გული ამატკინა"...

– აქ ვარ, აქა, არსათ არ წევალ, შვილები მყავ...

– ჩაქველთური წყალია...

– რე ვიცი... ა'ვიცი და...

– ზომო ემე არიან, თურქები. იქა ბევრი მაჰალეებია...

– მალლა თურმანიზე არი, თურქა არი.

- დიდი ჯამე არი, სალოცველი, იგზე ვიყავი. ქობულეთ ვიყავი, რაცხაებ ვეწიკებოდი. რიზედან მანქანებ დუუდებდი, ვეწიკებოდი...

- ფული ვაწვინე, ემექლი გავხდი.

- აქა... ვაშლი მოვა, კაკალი მოვა, ყურძენი, სხალი. ყურძენი თეთრი, შავი, ადესად... ქერი მოდის, ვთესველით, აღარ ვთესავთ, ქართოვ ვთესავთ.

- აინი ვართ. აურაიდან გადმოსული ვართ, ბაბამა თქვა. ჩვენი დაილა იგზეა, ჩანს... ჩვენი ზველი სოიადი ბაირახტარია.

- ძველი გვარი აღარაა, ადგა. ახალი გვარები მოვდა, თურქული. ესკი გვარები არაა.

- ერთი, ორი, სამი თანე მაჰალეა. ამას გადმიეთი ქვია. იმას ლახიეთი, იმას ზედავრი მაჰალე ქვია, იმა მეგრელები, იმა დადიანთი. იმაში, ბათუმ არიან დადიანები.

- ამ დეღე ქი ჩადის, რაბათი დეღე ქვია. შერთული ქი გამეძარეთ, ყალე რომაა, იგი რაბათია. ყალე ახლა დაანგრის. ქვაზე ნაწერები იყო... რამით მეეთხარეს... იმ ადგილ მეთაბრა ქვია. ქვემოდან ქილისა იყო, ზეიდან ყალე. აქავრელებმა დაანგრის, ალთუნი ძებნეს.

- აქ თურქი მაგა არ გეიკითხავს. თურქი კაც კლავს და მაგა არ გეიკითხავს.

- ჰასანად ვარ ბაირახტარი, აქდემირი.

- რამე არაა დარჩენილი. აქვერობებში მაქ ყანა.

- მეთაბრას ეტყოდენ ამ ციხეს.

- აქვერელებმა დარგეს ნიგზები.

- ავჯობას ვიჯებოდით, ღორ, დათვ, მგელ ვკლავდით. ყრღ ღამ მოდიან, ჰამა ახლა დასაღია. ერთ დავ მოკლავ, ალთი ბინ ჯარიმაა.

- სოფლიერმა გააკეთეს ად ჯამე.

- მე არ მყავ შვილები.

- ზამთარში შავშათში ჩავდივარ. ისტამბულსაც მაქ სახლი, ქირაზე. აქ გავწუხდები, ჩავალ შავშათში... იმათი ბაბო დისტამბოლაა.

- ამოდ, ჰაიდე, ამოდ. აქ მუა?

- საქონელ ვასხამთ: ჩომა, ხარი ვასხამთ. რიზეში გავასხამთ, თრაფიზონ გავასხამთ, იქ ვაკლვევებთ. ძვირი ღირს ხორცი. კილო თურქის ფარა შვიდი მილიონი. აქ ცუდათ არ გეძღება, ბათუმურად არაა. აქ ფული ვერა ჰოხოვ ვერვის, არ მოქცემენ. შენ მაძღარი'ნა იყო. შენთან'ნა მოვდენ. ორმოცი მილიადი ასალები მაქ, ვერ მაძღვევენ.

- ჩომას ვყიდი, ჰო...

- დაილა გვაქ, სარიჩაირი. ჩვენაც იქ ვართ. ვლაპარაკობდით ხუღელებში. იმათ ეშინოდათ. იქვერი ქალი წეთილეთ არი.

- ძველებურიც არი, ახალიც არი. ად სახლი ირმი იქი წლისაა, ოზდაორი.

- ამ სხალ წარიას ვეტყვით. თოვლი ქი მუა, მაშინ მუა. იგი თვერეჯულაია (შდრ. თავრეჯულაი - მსხლის ჯიშია, აჭარაშიც ხარობს - მ.ფ.). არია სახელები, მე არ ვიცი. არის ზიზნაუტად, შექერ ვაშლი, ბერვად (შდრ. ბერად - მ.ფ.)...

- ეს თეთრი ღობიოა, ჩორბალული. შავშეთი (ღობიოს ჯიშია - მ.ფ.) აქ არ მოდის.

- აქ მოდიან, იქვერი ენა ვერ ვიწავლეთ. კახიეთი ვიცი... ამ სოფელში იყო, კაცი მუუკტა, ფარა დაშნა, მეგრედ გეეთხვა...

- მდერა? ძველებმა თუ ახლებმა? აბა არ იცოდენ. მე არ ვერეოდი მაქვერ საქმეფში. სიმდერას დუუდინგლავ, ყველაფერ დუუდინგლავ იშტა...

- შეატანე ბისქვიტი. დალიე ერთიც, ორიც...

- სახში შევალთ. ამალამა დარჩით აქა. ფესტივალზე არ'ნა გახვიდეთ? ახლა'ნა მოვდენ თქვენიდამა...

- ვოტკა არ მერხოლება, ბევრ დავღვევ. ახლა ალთმიშ წლისა ვარ. ვისკი დავღვიე...

- ად აჭარული ბულუთები. იმ ბულუთებ ხედავ? იქამდე მოსული ვარ აჭარაში. ჩვენი დაილაც იგზეა. იქედამ გადმასხი საქონელი.

- ყალეხე'ნა ჩეხვიდე, მანქანიდამა ჩამოხვიდე, ფეხის გზა არი, ბაწარი. გეფაროდა ციხის იქით დუხ მეტრო, გზაც არ

იქნება, ახვიდე'ნა ყალღეში შიგან. ხუთასი მეტრო შესვალ. მაღარა ციხის იქეთაა... იმისი წამოსული წვერი აქ გამოსულია. მაღარა ოსმალი დევლეთ უხმარია, თამარა ქალი ყოფილა, იმა უხმარია. იქა ქვიებზე მაღლა დაზები. ჩემ მუხთობი დროში იქა ჩავტენეთ დინამეთი და გავხეთქეთ ქვა და კლდეში შიგა სილაპი ამოვდეთ... კაც ქი მოკლავს სილაპი... მეღარაში მე წამუალ, მაღე იყოს, ჰამა იქ ვეღარ ამუალ, მიჭირს. დაზები არი იქა. ოსმანლური დაზები, რუსის დაზ ვეტყოდით. იქ ხეით ვიდექ და... მოვდა და მითხრა წვერიან კაცმა, ასე წვერი ქონდა, ჰიდამ ხარო, დაჟდა... ართვინიდამ ვარ-მეთქი, ჩაქველთას ეტყვიან-მეთქი. რაბათი ახლოაო? იმამ მითხრა, იქ იდამა ჩამოსული ვარო. ერთი-ორი ადგილი მითხრა, ოქრო არიო. ვნახეთ და არ იყო...

– თერორი იყო მაშინ, კაცებ კლევდა-მეთქი და დევლეთი მაძლევდა თოფებ-მეთქი, ის რას იქს-მეთქი. ფული თუ გაქ ყველაფერი გაქ...

– იფხრევლაც არი მაღარა, ყალღეც არი, ბრეველი არი. ყოლა მეღარეთ?

– ესკი ხრისტიანი ყოფილან. ქილისა ქი ყოფილა. იგზე ელიაწმინდა არი (მოგვითხრობს ტაოზე - მ.ფ.). წმინდა ემე არი... ქილისა არ ალი... ელიაწმინდის იქიდამე სერზე ისი არი... ასკერი ემე უქნიან. ემე არი ტყეში, კოკოლად არი. იმ ელიაწმინდის იქიდამე, სერზე იგი არი... ეუზ ელი წელია ემე-ეფში წედეს, პროფესორები მოვდენ, წედეს...

იქ სერზე, შუაზე, დუზია, ქუნდი ჯვარი ქვია. დიდი ოდა არი, დანგრეულია და...

– საზვირველზე ჩვენც გავდივართ.

– ა, იქ იყო, დევეითი არი ერთი გაღმით, იქაც ქილისაა, ნანგრევები არი, დაბლა რაბათი არი'ა, ემე არი. ერმენები ყოფილან, ჰო იქ ქილისები ქეები დამჩალა. იქიდამე წასულან, იმათ ჩვენი ემეები, დიდვანები დაჯმარებიან, თურქებიც დუჟტოციან და ბათუმ გადასხმაში უშველიან იმათვინ. აქ იდამ ბათუმ გედევლოდითა, ჩვენ იქ ჩევდოდით, ჩვენი დედები

იტყოდენ, დაჯოცილან ზოგნი, დაჯოცილან ერმენები. იქ არ მუუკლიან.

– იქ და ქილისა იყო, დადა ასკერი. ზველათ აქ ქი ქართველების დევლეთი იყო, იქიდამ უყურებდენ.

– აქ ქართველათ ვლაპარიკოფთ. შარშან აქ იყო ესა...

– ნალები დინდება, მერე ემე... დალი ცალკე გედრჩევა, მემრე მორე შედგება, კვეთ ჩაასხამ ყველი გახდება, ამედღეფ. დავხრესავთ იმა, შეში გობებში... შეთბება, დალით მოხრაკულ გააკეთეფ. ფშნილას შეშის კროჭში ჩავტენავთ.

– შენ რას უძახდი?

– დიდი ქი იყო, ვთლიდი, ჩემ არ გეველებდი. დედამთილი მეტყოდა ოროსპოო. მეც ვეტყოდი ოროსპოო... ღმერთმა ჯეჰენემში წიგეყვანოსო, – ისე ეტყვიან გონჯი ინსნები დედამთილ. კად იტყვის: გერმელათ გაცოცხლოს! არა დედო არ მოქცეს! ღმერთმა ქალი-კაცი ერთ ბალიშზე დაგაბეროს! საცხა წახვალ გზა-კვალი გიგირჩიოს...

– დიმიანხა, მიმიპარა იშტა, წამავლო ხელი... კად ბიჭი იყო ჰო, მიმღერებდა!

– თურქულად არ'ნა იყოს ჰინ?

– საქონელი ათი სული არიან. თივას ქორში, საბხელში, იქში ჩავყრით ჩვენ.

– თოვლი? უუუ აქ რამდენი გათოვდება?! ზამთარში ჩავალთ ახორში, მუალთ სახში...

– იმგვარ თავი ტკივა!!! ნახევარი მეცოდება, ნახევარი არა... ძიგარას ბრალია, აბა რა? ჩემი ღარჭი... ბევრია, ორმოზ-დახუთისაა. დელიყანდები ყავს. ქალი ფალაზოდლია და... ი დიდი ბიჭია, ამ პაწადა. ეს სამსონში მასწავლებელია, ორეთმენი...

– ღარჭები აღარ არიან, გენჯები აღარ არიან, ოქული დაყაფანდა. აქა ფაბრიკა არაა, არაფერი არაა, ღარჭიც არაა.

– შენი არხატაში რომ იყო, ი რე (sic) იქნა?

– მაშინ ჩვენი ნათესავი ხართ: მოლაშვილი-მოლლოდლი.

– მეგრელი ინადიო, ჩვენი ნენედ ისე ეტყოდა. აქ რაცხა სოადია, იქაც არიან...

- შარშან იშტე ფალაზად იყო, უხსნიდა თელეფონით...
- ამას წამოყვავია?
- ნახმარიც იყოს მომიტანონა. ამფერი აკორდიონები ბევრი მქონდა...

- ყველა ქართველებს სალამი. ეს სასამურადაა ორთაბათუმი, დუუკრადა, თქვენ ისამოთ'ნა (უკრავს ორთაბათუმური სორუმის მუსიკას, შიგადაშიგ შემოუძახებს: ...ჰუუუ, ჰუუ, ჰუ... ხმა მომე... ხმა მომე, ხმა... ჰუუ, ჰუ...)... თქვენიდამ გადმოსულია ეს და ჰაიდე. ჩვენ აქ დევწავლეთ, ახლა მე აქში დუუკარ ორთაბათუმურად და თქვენ გამოგიგზავნონა, დიგიბრუნონა... მე ჯაჰირ (მეჰმედ) იღმაზი ვარ, აკორდიონჯი, გარმონჯი, გვარიც მოლოდლი მაქ, მოლაშვილი...

- დახრესამდი შედეფ, შეინახავ. ანაგორათ გააკეთეფ კანდრას, ბუზდოლაფში შედეფ.

- ბაკალას რამზე ქვია. ბუზდოლაბი'ნა დედნახოს, ჰო?

- მაშინ ყველში მატლი ჩეფდოდა, ისე ჭამდენ. უწინ ჩობა ბევრი არ იყო, ერთი-ორი ძროხა იყო, ფშნილას აკეთებდენ, ჭამდენ, შესანახი არ იყო...

- ავი ბექმეზია, ლეჩერს მოჩოჩთად უნდა...

- ქესტანად ხაპი არი, მოჩოჩთად არი...

- სიმინდი კად მოდის, კად. ყანას დაგვწავთ ვარებით. ახლა თრაქტორით დაგვწავთ. ვარები ამოვწყვიტეთ...

- ახლა დაილაში არიან ვარები, აქ არ არიან ქი...

- აბა არ არიან, სავსე... ერთ თანე ბაკალას მოქცემთ, ერთ აგართვამთ ყარშიბერი...

- ახლა ზმები სახლებს თავისთინ აკეთებენ. კად იქნებიან, დანაწილდებიან. ბაბოდ გაარჩევს, გაანაწილდევს. წედიკინდლებენ, მეზობელი მუა, გაარჩევს: სახლ გუუყოფს, მემრე ყოლაფერ გუუყოფს მეზობელი...

„შავ ფოშეთში ბალი მაქ,  
გოგოვ, შენზე თვალი მაქ,  
შენ ანამ არ შეგვიტყვას,  
ე რა სოდ იყბალი გვაქ...“

## P.S. ექსკურსია ტაო-კლარჯეთის სავანეებში

ხვალ, 3 აგვისტოს, იუსუფელში ბათუმელი მეგობრებიც შემოგვიერთდებიან. გადაწყვეტილი გვაქვს, ერთად მოვიაროთ ტაონი და კლარჯეთის ნაწილი და მოვინახულოთ აქაური ქართული სიძველეები.

დილით ადრე გამოვეთხოვეთ „გოგჩე პანსიონს“ და არტანუჯისაკენ წავედით. შუადღემდე უნდა მოვასწროთ ენი რაბათისა და ანჩის ნახვა.

პირველად ენი რაბათში (შატბერდში) წავედით. შავშათიდან არტანუჯი 64 კილომეტრშია, იქიდან კიდევ ენი რაბათამდე – 16 კილომეტრი.

არტანუჯს გაცდებით და გრუნტის გზა იწყება. უჭირს მანქანას სიარული. რამდენიმე დღის წინ აქ აჭარის არ უმაღლესი საბჭოს დეპუტაცია მოგზაურობდა და მათ პატივსაცემად გზა სახელდახელოდ შეუკეთებიათ, მოუკირწყლავთ.

ენი რაბათი ლამაზ, ვაკე ადგილასაა გაშენებული. დაბლა ღრმა ხეგია. ზემოდან დაჰყურებს მონასტერი ხეობას. ჩანს, აქ დიდი სამონასტრო კომპლექსი იყო ოდესღაც. გადარჩენილია საკმაოდ დიდი ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია, დღეისათვის სანახევროდ დანგრეული და მოუვლელი.

აქ წინა მოგზაურობის დროს აგვისხნეს, რომ ეკლესიის ეზოში დიდი თლილი ქვები ეყარა, ეზო ტრაქტორით გაწმინდეს და ლოდებიც დაბლა ხევში გადაყარესო. აღმოსავლეთის მხრიდან დღესაც შეიმჩნევა სხვა დამხმარე ნაგებობების ნარჩენები. ეკლესიის მახლობლად ჯერ კიდევაა მიმოფანტული გათლილი ქვები. კარგია დაბლა ხევში ჩასვლა და გადაყრილი ქვების დათვალიერება. ეგებ აღმოჩნდეს რაიმე ჩვენთვის საინტერესო, იქნებ წარწერიანი ქვებიც იყოს...

ვათვალიერებთ ენი რაბათს. ჯერ კიდევ შერჩენია მას ძველი დიდება. თვალს იტაცებს ტაძრის სიღიადე...

შველას ითხოვს ენი რაბათი. გაწმენდა და გასამაგრებელი სამუშაოების ჩატარება ესაჭიროება, თორემ ვეღარ გაუძლებს და...

ენი რაბათიდან ანჩისაკენ წავედით. ანჩა არტანუჯიდან დაახლოებით 35 კილომეტრშია. შორი გზა გვიდევს ანჩამდე, ძნელად სავალიც...

თორნიკე ითხოვს არტანუჯის ციხეზეც ავიდეთო. კახამ ააგდო, მე ვიყავი და ძალიან მაგარიყო.

უკან დაბრუნებისას ავალთ-მეთქი, დავიბრდი. ძნელი ასასვლელია არტანუჯზე. სიფრთხილედ და დროც ჭირდება მას. ჩვენ სიფრთხილედ არ გვაკლია, მაგრამ დროში კი შეზღუდვები ვართ.

ამჯერად ალბათ ვერ ავალთ არტანუჯზე. დასანანი, მაგრამ ასეა. თორნიკეს გულს ვატკენტო, მაგრამ შემდეგ ჩამოსვლაზე არტანუჯის დაპყრობით დავიწყებთ ჩვენს მოგზაურობას. ამავე რეგიონში კიდევ რამდენიმე ტაძარია – ოპიზა, ფორთა და ნუკას საყდარი...

გრძელი და მომაბეზრებელი გზის შემდეგ, როგორც იქნა, ავედით ანჩაში. მანქანა გზაზე გავაჩერეთ და ფეხით წავედით მალა სათიბებში.

ანჩის საკათედრო ტაძარი დღეს მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ ნაწილები ოდესღაც დიდი სამონასტრო კომპლექსისა.

ამ ნანგრევების მნახველს სევდა გეუფლება. დრომ თავისი მსახვრალი ხელი დაატყო ტაძარს, არც კაცმა დააკლო ცდა...

ლამაზ ადგილასაა აშენებული ანჩის ეკლესია. დაბლა შავშეთისწყალი მიედინება. გაღმით, ხეობის მეორე მხარეს, მოჩანს მთის კალთები, სადაც ოპიზა, ფორთა და ნუკას საყდარია...

ვათვალიერებთ ანჩას, ვიღებთ და ვჩქარობთ. უკვე პირველი საათია. ბიჭები ალბათ ჩასული იქნებიან იუსუფელში და გველოდებიან. იქამდე ორ საათნახევარი მაინც გვჭირდება.

არტანუჯს გავცდით და ტელეფონის პირველი ზარიც გაისმა. ბათუმიდან უკვე ჩამოსულიყვნენ და იუსუფელში გველოდებოდნენ. უნდა გვეჩქარა...

გავიარეთ ჭოროხის ხეობა, ღრმა და სევდიანი. მოდის ჭოროხი, წყნარი, დაფიქრებული. დიდი დარდი აქვს ჭოროხს. დაბლა არტანუჯს უმზადებენ და მალე აღარ ექნება საშუალება ჩაუტანოს ზღვას მთის ნაშალი, საუკუნეებით რომ უზიდავდა. ვნახოთ, როგორ შეეგუება ბებერი ჭოროხი ახალ დროებს. დათმობს კი თავის საუკუნოვან ნაშრომს?

ნაშუადღევს, სამი საათი იყო, იუსუფელში რომ ჩავედით. მურმან გორგოშაძე, ზურაბ შაშიკაძე, რეზო ქათამაძე, კახა შაშიკაძე, ალექო მიქელაძე და დათო ბურკაძე უკვე გველოდებოდნენ და ნერვიულობდნენ, ვერ ისვენებდნენ. სახელდახელოდ ვისადილეთ და პარხლის სანახავად წავედით.

პარხალი დაახლოებით 35 კილომეტრშია იუსუფელიდან. გზები ცუდი არ არის, მაგრამ ვიწროა და სიფრთხილედ საჭირო. შარშანაც მომიწია აქ ყოფნა. ვეღარ ვცნობ ამ პატარა ქალაქს. ტურისტებითაა სავსე. სასტუმროებში ჭირს ადგილები. ტურისტული ბაზები გაუხსნიათ პარხალშიც.

საღამოს 6 საათი იქნებოდა, პარხალში რომ ავედით.

დიდებული ტაძარია პარხალი, სამნავიანი ბაზილიკა, კარგად შენახული... ტაძრის ეზოში აღარ შეგვხვედრია ჩვენი ნაცნობი ბექირ სულეიმანოვლი, ამაყი დარაჯი წინაპართა ნაღვაწისა...

ვათვალიერებ ტაძარს უკვე მერამდენედ და ყოველ მოსვლაზე თითქოს რაღაც ახალს ვნახულობ, განვიცდი თითოეულ ჩუქურთმას, თითოეულ ხაზს... სულში სითბო გედვრება, იხიბლები მისი დიდებულებით... გინდა, მოეფერო როგორც ცოცხალ არსებას, რომელიც გაღიმებული გვხვდება და გაამაყებს...

შემოვუარე პარხალს და განვმარტოვდი წინა ეზოში. მინდა, ვუყურო და ვიფიქრო... წარწერას მივაშტერდი, ვცდილობ, ამოვიკითხო, მაგრამ ვერ ვახერხებ, ვერ ვარჩევ ნუსხურ ასოებს... თუმცა ზეპირად ვიცი წარწერა...

ხმაურობენ ბიჭები, სურათებს იღებენ, ერთმანეთს არქიტექტორულ დეტალებს აჩვენებენ, რამაზი მაღლა, კამარებს შორის მოთავსებულ წარწერას კითხულობს ხმამაღლა...

ხმამაღლა ფიქრობენ ბიჭები, გაამაყებულნი დადიან ტაძრის წმინდა ეზოში და უხარიათ. რა უხარიათ არც თავად იციან. უბრალოდ უხარიათ, რომ აქ არიან და განიცდიან ამ მშვენიერებას...

იუსუფელისაკენ მომავალი ვფიქრობდი დენის სესილ ჰილზის მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე, დიდი ხნის წინათ რომ წავიკითხე. მან გასული საუკუნის სამოციან წლებში იმოგზაურა ამ მხარეში. მკითხველისათვის, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მისი შეხედულება:

„დიდი ქრისტიანული ეკლესიის აღმოჩენა ამ ველურ და მიტოვებულ მხარეში ჩემთვის განსაცვიფრებელი მოვლენა იყო. ეკლესია წარმოადგენდა მშვენიერ, თანაბარი თლილი ნაცრისფერი ქვით ნაგებ ბაზილიკას, ქართველი ქრისტიანების მიერ აგებულს... ათასი წლის წინ. მისი ძირითადი სტრუქტურა კარგადაა შენახული. მსუბუქი, ყრუ თაღები, რომელნიც ორფერდა სახურავს იჭერდნენ გუმბათით დამთავრებული თაღოვანი ინტერიერის თავზე, აძლიერებდნენ დიდი სიმაღლისა და სივრცის შთაბეჭდილებას; არავითარი ზედმეტი ორნამენტაცია არ იყო: გარეთა კედლების სისადავეს აცოცხლებდა მხოლოდ ვიწრო სარკმლების ჭრილი. მრგვალი ხერელები ჩაღრმავებულ წრეებში, ცოტაოდენი მარტივი გეომეტრიული ორნამენტი და ზღაპრული ცხოველების ფიგურები. ციდან ჩამოვარდნილი უზარმაზარი თლილი მეტეორივით აღმართულიყო ეკლესია მის გარშემო მყოფ საცოდავ ქოხმახებს ზემოთ“ (ჰილზი 1972.: 132)...

უკვე ბნელდა იუსუფელში რომ დავბრუნდით. ბიჭებს ბათუმიდან არაყი წამოეღოთ და წავიქეიფეთ სასტუმროში.

აღტაცებას ვერ ფარავენ.

ზურაბი თამაღობს, მისებურად ენამზეობს...

მურმანი ფილოსოფოსობს, ამაღლებულ ხასიათზეა პარხლის ხილვის შემდეგ, კმაყოფილია, რომ წამოვიდა...

რეზო ქათამაძე აღტაცებას ვერ მაღავეს. ენად იკრიფება ეს უთქმელი კაცი...

მაღხაზი დარდობს. დარდობს ბებერ პარხალს და აქვს კიდევ სადარდებელი...

ნუგზარი ეზოში გაიპარა, დაღვევას განერიდა და ძველ ნაცნობებს ხედება იუსუფელის საჩაიეში...

მე კიდევ დაღლილი ვარ, ემოციებით დატვირთული, ქეიფის ხასიათზე, ბიჭებიც მომნატრებია და ქეიფიც.

თორნიკეს ეძინება, მაგრამ ზურაბი არ ანებებს, აბრაზებს მისებურად...

კახა და თამაზიც წავიდნენ დასაძინებლად.

აღეგო მიქელაძე, ზაზა და კახა შაშიკაძეები სხვა სასტუმროში წავიდნენ.

– დილით აღრიანად მოდიტ-მეთქი, – ვაბარებ.

დათო ბურკაძე ჩვენთან რჩება და იზიარებს ტრაპეზს...

ძილისთვის დრო აღარ გვემეტება, ერთად ყოფნა გვინდა. შთაბეჭდილებებს ვუზიარებთ ერთმანეთს. ხვალ კიდევ ბევრი ამაღლებული წუთი გველოდება.

ვასშმის შემდეგ იუსუფელის ქუჩებში გავისეირნე. ტაოელებს შეეხვდი, ძველ ნაცნობებს ელიასხევიდან. ვნანობ, რომ ძველი, ელიასხევი გადაღებული სურათები, არ წამოვიდე...

საჩაიეში გავიცანი ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენელი, შავშელი **ბესიმ მიქელაძე**. კარგი მექართულეა ბატონი **ბესიმი**, გვიყვება ამ კუთხის შესახებ, ვსაუბრობთ შავშეთზე...

შეეხვდი ძველ ნაცნობს, სასტუმრო „აიდინის“ მეპატრონეს, **სირალი აიდინს**. სირალი ქართულად ლაპარაკობს უკვე მოვიკითხე, როგორ ხარ-მეთქი.

კარგად ვარო, ჭოროხს ჩამოეყვე ბათუმში, მაგრამ ვერ მოვახერხე შენი ნახვაო...

ტურიზმი ჰყვავის იუსუფელში. ვის არ შეეხვებით აქ. მრავლად მოდიან ქართველებიც. დასანანია, რომ ეს პატარა ქალაქი, თანამედროვე ტაოს „დედაქალაქი“, მომავალში შეიძ-

ლება წყლის ქვეშ აღმოჩნდეს; ჭოროხზე კაშხლის მშენებლობამ შეიძლება შეიწიროს იგი...

შუალამე გადასული იყო, რომ დავიძინეთ...

ოთხი აგვისტოს დილა სამზადისით დავიწყეთ: შევაავსეთ ბენზინის ავზები, შევიძინეთ სადილისათვის პროდუქტები და... დაიწყო ჩვენი მოგზაურობა.

პირველად **ოთხთა ეკლესიას** ვნახავთ. იგი იუსუფელიდან ათიოდე კილომეტრშია. გავიარეთ ქალაქის სამხრეთით პარხლიწყალზე გადებული ხიდი და სპერის გზას დავადექით. გზად პირველი **თექ ყალე** გვხვდება, **კავკასისძეთა** ძველი სამკვიდრო. ამ გზაზე ამ ათიოდე წლის წინ, ამ კუთხეში პირველი სამეცნიერო ექსპედიციის დროს პირველ ქართველს შევხვდით, დაიღებზე მიმავალ სამოცს გადაცილებულ ვინმე **მაზმიშვილს**...

მახსოვს, მაშინ საღამო იყო და **სირალი აიდინი** მიგვიძლოდა ოთხთა ეკლესიის სანახავად მიმავლებს.

გავჩერდით, სურათები გადავიღეთ **თექ ყალესთან** და გზა განვაგრძეთ. რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ მარჯვნივ შევუხვიეთ და ოთხთა ეკლესიისაკენ მიმავალ გზას დავადექით. ავიარეთ აღმართები და ტაძარსაც მივადექით.

ძნელად სავალია ბილიკი ტაძრამდე. ბიჭებმა დაუბრკოლებლად აიარეს. აღმართები არ უჭირს თინას, არც მერი ეპუება მათ. ნუგზარი ჯენტლმენობს და ხელკავით მოჰყავს მერი...

დიდებულია ოთხთა ეკლესია. გრანდიოზული. ნაგებობა გარეგნულად პარხლისა და ოშკის ტაძრებს მოგაგონებთ; სამნავიანი ბაზილიკაა, მაგრამ – გაცილებით დიდი.

ჩანს, აქ უწინ დიდი სამონასტრო კომპლექსი იყო. ჩრდილოეთის მხრიდან მეწყერს დაუფარავს ეზო.

ტაძარი ნატიფად ნაგებია, მრავალფეროვანი ჩუქურთმებით მდიდრულად მორთული.

საისტორიო წყაროები თითქმის არაფერს გვეუბნება ამ დიდებული ტაძრისა და მისი აღმშენებელი ოსტატის შესახებ.

უსახელო ხუროთმოძღვარს გემოვნებით უქანდაკებია ყველა დეტალი...

ტაძრის კედლებზე რამდენიმე მცირე წარწერაა, რომელნიც რაიმე მნიშვნელოვან ინფორმაციას არ გვაწვდიან.

თავისი მშენიერებითა და სიდიადით **ოთხთა ეკლესია** დაამშვენებდა საქართველოს ძველ სატახტო ქალაქს – მცხეთასა და თბილისსაც. ვხეტილობ ტაძრის ეზოში. ვუსმენ აღტაცებული ბიჭების საუბარს. ვუყურებ და მიხარია, თუ როგორი გულმოდგინებით ათვალიერებენ ისინი ტაძარს, უბრალოდ კი არ უყურებენ, განიცდიან მის სიდიადეს. ცდილობენ, არაფერი დარჩეთ ყურადღების მიღმა...

ჩვენმა ხმამ, ქართულმა მეტყველებამ, გააცოცხლა ოთხთა ეკლესიის კედლები...

ამაღლებული განწყობა ეუფლება ყველას. განწყობა, როდესაც სიტყვა უძღურია, როცა შინაგანად განიცდი ყველაფერს, როცა გულისყურს უხილავი რაღაც მიიპყრობს... როცა წინაპრების ხმა გესმის, მათი იღუმალი ჩურჩული, როცა გესაუბრებიან, გიხსნიან და გაყვარებენ მათს შრომის ნაყოფს...

ტაძარი თავად არის დიდი წიგნი, გენიალური წიგნი, რომლის წაკითხვაც წარსულთან დიალოგის გარეშე შეუძლებელია.

ეკლესიის ეზოში მოსიარულენი სწორედ წარსულს ვესაუბრებოდით, განვიცდიდით მას და ბედნიერები ვიყავით, რომ გვქონდა საშუალება, კიდევ ერთხელ გვენახა ქართული გენიის ნაყოფი.

ღიას, გენიოსია ამ ტაძრის ამგები ოსტატი, ისეთივე დიდი გენიოსი, მსოფლიოს დიდი ხუროთმოძღვრების ძეგლთა შემოქმედნი რომ იყვნენ. ოთხთა ეკლესიის ამგები ოსტატი სხვა დიდი ქვეყნის შვილი რომ იყოს, ან თავად ოთხთა ეკლესია რომელიმე დიდი ქვეყნის დედაქალაქში იდგეს, მსოფლიოს ეცოდინებოდა ტაძარიცა და მისი ოსტატის სახელიც. გამოკვლევები და რომანები დაიწერებოდა მასზე და ქართველებიც დავაფასებდით მას, მაგრამ ჩვენ ხომ მცირე ერი ვართ (მცირე ერის შვილობა კი ყოველთვის არაა ბედნიერება), ზოგჯერ



უყურადღებონი, საკუთარი წარსულისა და ნიჭის დაუფასებელნი, ამიტომაც არ ვიცით ამ დიდებული ქმნილების ამგები ხუროთმოძღვრის სახელიც კი. გაგვიძნედა მისი დამახსოვრება...

ბარდი და ეკალი ამოსულა ოთხთა ეკლესიის კედლებზე...

მიუხედავად ყველაფრისა, უსახელო ოსტატის ქმნილება – ოთხთა ეკლესია ხიბლავს 21-ე საუკუნის მხილველსაც...

ოთხთა ეკლესიიდან იმიერტაოსკენ წავედით. იქ ორი ტაძარი უნდა ვნახოთ – **ხახული და ოში.**

საკმაო გზაა ხახულამდე. გარეთ ცხელა, საშინლად ცხელა. გავიარეთ ოცდაათამდე კილომეტრი და თორთუმის ტბას მივადექით, უფრო სწორად ზემოდან დავადექით. კარგი სანახავია ტბა ზემოდან, – გველემშაპივით გაწოლილი მთის კრატერში. წყალი კამკამა და სუფთაა. ტბაში, როგორც სარკეში, აირეკლება მზით გადახანძული მთების სილუეტები... თორთუმის ტბა ტურისტებისათვის საყვარელ ადგილად შეიძლება გადაიქცეს შესაბამისი იმფრასტრუქტურის შექმნის შემდეგ.

მანქანები გავაჩერეთ, სურათები გადავიდეთ ტბის ფონზე, დავტკბით გარემოს მშვენიერებით და გზა გავაგრძელებთ.

ფიქრები მომეძალა...

მრავალფეროვანი და ყველგან ღამაზია ჭოროხის ხეობა. უკვე მერამდენედ მივუყვები სათავისაკენ ჭოროხს და ბუნება ყოველთვის იტაცებს თვალს, იგი ჩვენს თვალწინ იცვლება, განსხვავებულია ამ მთების ფერები. თითქოს სხვადასხვა ფერის ქანებით უშენებიათ გარემო, შრეებად დაუწყიათ...

ზოგან ღრმა და ვიწრო ხეობაში მოედინება ჭოროხი, კლდეების ძირში; იმდენად ღრმაა კალაპოტი, რომ მზის სხივები ვერ აღწევენ მდინარემდე. გაშიშვლებული კლდეები დარაჯობენ გარემოს... სხვაგან კალაპოტი ფართო და ნათელია, სათავეებში კი ჭოროხის ანკარა წყალი გაშიშვლებული მთების კალთებზე მოედინება და აცოცხლებს გარემოს...

ტაოში ყველა დიდ მდინარეს ჭოროხს ეძახიან, ამიტომაც რამდენიმე ჭოროხია აქ. ერთმა ტაოელმა ქვაბაგში ამისნა,

დაბლა რომ მიედინება ჭოროხია, იუსუფელში რომ მიედინება, ისიც ჭოროხია და ყველა დიდი დეღე ჭოროხიაო...

უწინ ამ ხეობაში ცხენების, ზოგჯერ დაუჭკდავის, ჭიხვინი ისმოდა. აქ, ამ ხეობაში იქმნებოდა ქართული კულტურა, დნებოდა პირველი ქართული ფოლადი...

ამ ხეობაში დაირწა ქართული სახელმწიფოს აკვანი.

ასსოვს ჭოროხს მოყვარეცა და მტერიც, შენებაცა და ნგრევეც, ხანძარიც ასსოვს ჭოროხს – მომხდურის მიერ დახანძრებული მთებიცა და ველებიც.

ასსოვს ჭოროხს აქაური ბად-გენახები, ხოდაბუნები... ასსოვს მეფენი, დიდებულნი, უბრალო მოკვდავნიცა და წმინდა მამების უჩვეულო დვაწლიც...

ასსოვს და ამიტომაც გულდარდიანი მოედინება დედა მდინარე, ამღვრეული და დაფიქრებული...

რამდენი რამ იცის ჭოროხმა, მაგრამ ვერ ყვება, ლაპარაკი არ შეუძლია... აქ ხომ საუკუნეებია ყველა ლოდი, ციხე თუ ეკლესია-მონასტერი ყოველდღიურად უამბობს მას თავის არაკს... თუმცა, რატომაც არა. ბევრ რამეს მოგვითხრობს ჭოროხი, მთელი ცხოვრება ხომ თავად წერს მემუარებს... აქ ყველაფერი ჭოროხის ნაწერი, მისი ნამუშავეი. ჭოროხის თვალწინ, აქ იწერებოდა ჩვენი ისტორიის აქაური ნაწილი... ჰოდა, მივიდეთ და წავიკითხოთ. მკითხველი ჭირდება ჭოროხის მემუარებს, ჭეშმარიტი მკითხველი, თორემ მთელი ხეობა ხომ ღამაზად ნაწერი გადაშლილი წიგნია, თუმცა – ძნელად წასაკითხი. ჭოროხის მატყანის წაკითხვა ჩვენ უნდა ვცადოთ, თუ მოვინდომებთ, წავიკითხავთ კიდევ ნაწილს, სხვას ჩვენი შვილები წავიკითხავენ, შემდეგ შვილიშვილები გააგრძელებენ და ასე უსასრულოდ... მთავარია, დავიწყოთ...

გადაუხვიეთ ცენტრალური გზიდან და ხეობაში შევედით; მალე ხახულიც გამოჩნდა.

ხახული დიდი დასახლებაა. იგი მდებარეობს თორთომისწყლის მარცხენა შენაკადის ხეობაში. ტაძარი სოფლის განაპირასაა. მეჩეთი გაუხსნიათ ქარისტიანულ სალოცავში გამაჰ-

მადიანებულ ქართველებს, აქვე ასწავლიან ბავშვებს ყურანის სურებს...

იმამმა კარი გაგვიღო. ეკლესიის კედლები გადაღებილია. მადლა, გუმბათის ქვეშ (ვერ მიწვდნენ ალბათ და დარჩათ შეუთეთრებელი), ჯერ კიდევ შეინიშნება ძველი ფრესკები. ისე გულმოდგინედ კი უშლიათ ხახულში ქრისტიანობის კვალი, მაგრამ ბოლომდე ვერ მოუხერხებიათ, რამდენადაც ხახულის ტაძარი თავადაა ქრისტიანობის უპირველესი სიმბოლო...

ტაძარში შესასვლელ კართან ოსტატს ჯოჯოხეთის სცენა გამოუქანდაკებია – ცეცხლოვანი მგლის ხახაში კრავი ვარდება...

ხახულის პერანგი შემკულია მრავალფეროვანი ჩუქურთმითა და ორნამენტით. ჩუქურთმის განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა ხახული ტაძარში გადარჩენილ სხვა ტაძართა შორის. თვალს იტაცებს ბარელიეფები – ლომის თავდასხმა ხარზე, დიდი მამალი, იონას ამოსვლა ვეშაპის ხახიდან... სამხრეთის კედელზე გამოქანდაკებულია სურათი, – არწივს უპყრია შველი...

დიდებულია ხახული!

დავივიართ ტაძრის ეზოში და ვგრძნობთ წარსულის სუნთქვას, ეზოში წმინდა ბერებისა თუ მლოცველთა ნაფეხურებს გრძნობ კაცი...

ლოდებში ნაკვეთი ბილიკებით ავედით მადლა. ახლა ზემოდან დავცქერით ტაძარს. მურმანი, ზურაბი და მე ვსხედვართ გარინდებულნი და შევიგრძნობთ ხახულის სილამაზეს.

დაბლა კი ჩვენი ექსკურსიის წევრები ხმაურობენ, ათვალიერებენ, გულმოდგინედ სინჯავენ ყველა დეტალს, ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებებს...

არა, ასეთი ტაძრის მხოლოდ ხილვა არაა საკმარისი, იგი შენში უნდა შემოვიდეს, უნდა შევიგრძნო და განიცადო...

გული ვიჯერეთ ხახულით. კიდევ მეტხანს გვინდა გავჩერდეთ ამ გარემოში, მაგრამ დრო აღარ გვრჩება, წინ დიდი გზა გვიდევს – ოშკი და იშხანი გვაქვს სანახავი.

უკვე შუადღეა. იმამმა ეზანით შუადღის ნამაზის სალოცავად მიიწვია მორწმუნენი.

ქრისტიანული ტაძრის სანახავად მისულებს ხოჯის ხმა გვაცილებს... სიმბოლოურია. გული გვიმძიმდება, მაგრამ რას ვიზამთ, ესეც ჩვენი ისტორიის ნაწილია.

შემდეგი ოშკია. საკმაო გზაა ხახულიდან ოშკამდე...

ოშკი გრანდიოზულია მოცულობით, მდიდარი ჩუქურთმებით...

ისევე სესილ დენის ჰილზის შთაბეჭდილებებს მოვიშველიებთ: ოშკის კედლები „გარედან... ნაცნობი მანერით არის დეკორირებული მოჩუქურთმებული რელიეფით – წმინდანები, ცხოველები, სხვადასხვა გეომეტრიული, ყვავილოვანი და ვახისებრი ჩუქურთმები და წარწერები. სამხრეთ ფასადზე წმ. მიქელისა და წმ. გაბრიელის ფიგურებს შორის ქვის გასაოცარი რელიეფია: არწივს კლანჭებში უჭირავს შველი, ჩრდილოეთის კედელზე... გამოსახულია ლომი და ხარი..." (ჰილზი 1972.: 139).

ოშკი დღითიდღე ინგრევა ჩვენს თვალწინ, მშველელი კი არსაიდან ჩანს. ბევრი აკლია შარშანდელთან შედარებით. აქ ეზოში, ცენტრალური შესასვლელის მარჯვენა მხარეს ქანდაკება იყო, უფრო ნაქანდაკევი ქვა. შარშან ქანდაკება ჩამოვარდნილიყო და იქვე, კედელთან მიეყუდებინა ვილაცას. წელს იგი უკვე გამქრალა სადღაც...

ოშკის მნახველს სიამაყე გეუფლება და სევდა გიპყრობს დროის დაუნდობლობის გამო...

დავტოვეთ ოშკი. ყველა თავის ფიქრს მიეცა. ყველა თავისთვის დარდობს ოშკსა და ხახულს...

გზითა და ფიქრით დაღლილებმა გამოვიარეთ გზა ოშკიდან იშხნის გადასახვევამდე. თორთომის წყალზე გადებული ფართო ხიდი გავიარეთ და იშხნის აღმართებს შევუდექით. ირგვლივ უდაბნოა, მზით გადახანძრული. ოქროსფრად ელავენ ჩამავალი მზის სხივებით განათებული მთის ქანები.

წვალებით მიდის ჩვენი მანქანა იშხნის აღმართებში. გზის ქვემოთ ღრმა ქარაფებია... ავდივართ მადლა და სოფელში

შევიდვართ, მშვენიერ, მწვანეში ჩაფლულ სოფელში. სოფლის გარეთ იშხნის უბნებია. ზემოთ სოფელი აღარაა.

შევიდვართ ტაძრის ეზოში დასიცხულები და მოწყურებულები. იქვე საამო ცივი წყაროა. წყაროსთან ჩამოვჯექით ბათუმელი ტურისტები: მალხაზ ჩოხარაძე, მერი ცინცაძე, თინა შიოშვილი, ზურაბ, ზაზა და კახა შაშიკაძეები, რეზო ქათამაძე, ტარიელ დიასამიძე, თამაზ და კახა ფუტკარაძეები, მურმან გორგოშაძე, ალექო მიქელაძე, დათო ბურკაძე, მამია და თორნიკე ფადაგები. ვსაუბრობთ. მოგვწონს შემოგარენი, ვისუნთქავთ ტაოს ჰაერს და სურვილი გვიჩნდება კიდევ მოვიდეთ აქ მრავალჯერ, შვილები და შვილიშვილები მოვიყვანოთ და შევავაროთ აქაურობა, უფრო ბევრ ჩვენებურს ვურჩიოთ ნახონ ტაო, კლარჯეთი, სპერი, თორთომი, შავშეთი, ერუშეთი... მტკვრისა და ჭოროხის ხეობები... ნახონ და გაიზიარონ თურქეთის საქართველოს ტკივილი და სიხარული, შეისწავლონ აქაური კაცის ყოფა და გააცნონ მთელს საქართველოს... აქ ყველაფერი წარსულით სუნთქავს. ყოველი ლოდი, ტაძარი, ყოველი ხეობა, ციხის ნაშალი თუ ძველი მადარები ჩვენს ისტორიაზე მოგვითხრობენ. ამ დახანძრულ მთა-ველებს, ციხე-კოშკებსა და ტაძრებს ახსოვთ არაბთა ცხენების ფლოქვებიცა და თურქოსმადლთა დამპყრობლური ომებიც, ახსოვთ შენებაცა და ნგრევაც. ამ კუთხეებში აუგიათ მრავალი ციხე-კოშკი და ეკლესია-მონასტერი ძველად. ციხეები მიუვალ ადგილებში უშენებიათ, მაგრამ ზუსტად იქ, საიდანაც ყველაზე კარგად დაინახავდნენ სივრცეს მეორე ციხემდე, რომ უკეთ დაეცვათ ქვეყანა. ეკლესია-მონასტრები კი უშენებიათ გენი-ალურ შემოქმედებს. მნახველს ანცვიფრებს მათი არქიტექტურა, ჩუქურთმა, სივრცე. ამ პერიოდის ასეთი დიდი ტაძრები საქართველოს სხვა მხარეებში არ გვხვდება. საამაყო ესეც.

ჭოროხის ქვეყნებს ენატრება დანარჩენი საქართველო; მოფერებასა და სიყვარულს საჭიროებს იგი.

ჩვენი სიყვარული და ზრუნვა გადაარჩენს ხახულს, ოშკს, იშხანს, ოთხთა ეკლესიას, თექ ყალეს, თორთუმის ციხეს, პარხალს, არტანუჯს, ენი რაბათს (შატბერდს), დოლისყანას,

ნუკას საყდარს (ხანძთას), უსტამისის ბებერ ციხეს, ლაზეთს... დავაგვიანეთ და ვერაფერს ვუშველით ტბეთს, ანჩას... გადაარჩენს აქ სათუთად შენახულ ქართულსა და ლაზურს, აქაური კაცის ყოველდღიურობას...

ვემშვიდობებით იშხანს. ვიღებთ ბოლო კადრებს და მოვიდვართ მომავალში დაბრუნების იმედით.

წინ გრძელი გზა გვიდევს ბათუმამდე.

## ჩანაწერი მეორე

2009 წლის 31 ივლისიდან 16 აგვისტომდე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიცია მუშაობდა ისტორიულ შავშეთში, ტაოსა და ლაზეთში. ექსპედიცია ჩატარდა ორ ეტაპად. I ეტაპზე (31 ივლისი – 10 აგვისტო) სავსე შემკვრელობით სამუშაოებს ვაწარმოებდით შავშეთის მექართულე სოფლებში, II ეტაპზე კი სამეცნიერო-სადაზვერვო სამუშაოებს – ტაოსა და ლაზეთში.

2009 წლის ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: პროფესორი მამია ფაღავა (ხელმძღვანელი), პროფესორი თინა შიოშვილი, პროფესორი შოთა მამულაძე, ასოცირებული პროფესორები: მერი ცინცაძე, ზაზა შაშიკაძე, მალხაზ ჩოხარაძე, თამაზ ფუტყარაძე, ოპერატორი ნიკა ტულუში, მძღოლი ტარიელ დიასამიძე. ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდნენ არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი ნარგიზა სურმაგა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ყიფიანი.

ექსპედიცია მასალებს აგროვებდა რამდენიმე მიმართულებით:

- ა. შავშური დიალექტი და შავშეთის ონომასტიკა (პროფ. მამია ფაღავა, ასოც. პროფესორი მერი ცინცაძე, მ/კ ნარგიზა სურმაგა);
- ბ. შავშური ფოლკლორი (პროფ. თინა შიოშვილი);
- გ. შავშური ყოფა (ასოც. პროფესორი თამაზ ფუტყარაძე, ასოც. პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე, ასოც. პროფესორი ზაზა შაშიკაძე);
- დ. შავშეთის მატერიალური კულტურის ძეგლები (პროფ. შოთა მამულაძე, პროფესორი გურამ ყიფიანი);
- ე. ფოტო-ვოდეო მასალები (ნიკა ტულუში, ასოც. პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე).

ექსპედიციის II ეტაპზე (11-16 აგვისტო) მონაწილეობდნენ პროფესორი მამია ფაღავა, ასოცირებული პროფესორები: მალხაზ ჩოხარაძე, ზაზა შაშიკაძე, ოპერატორი ნიკა ტულუში, მძღოლი ტარიელ დიასამიძე. ექსპედიციამ მოიარა ტაო, სპერი და ლაზეთის რეგიონები. ჩაიწერა მასალები, გადაიღო ვიდეო და ფოტომასალები...

ბარემ აღვნიშნავთ, რომ ექსპედიციის პირველი ეტაპი ჩატარდა სამეცნიერო გრანტის – „შავშეთი – ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“ ფარგლებში, ხოლო მეორე ეტაპი – უნივერსიტეტის დაფინანსებით.

## გზაში

31 ივლისს, ადრე დილით, სარფის საბაჟოზე ვიყავით. ქართული მხარე მგზავრებით იყო სავსე. სხვებთან ერთად აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპედიციაც მიდიოდა – ტარიელ ფუტყარაძე თავის სტუდენტებთან ერთად. ისინიც იმერხევეში აპირებდნენ მუშაობას... იმარჯვეს ჩვენმა პოლიციელებმა და ურიგოდ გაგვატარეს, როგორც ექსპედიცია. თურქულ მხარეს უფრო გაგვიჭირდა – მეტი ბიუროკრატიაა თითქოს, მაგრამ არც იმათ შევეუწუხებოვართ დიდად. საბაჟო ფორმალობების გავლის შემდეგ შავშეთისაკენ გავემშურეთ. ამ მცირე ქალაქში დავიდებთ ბინას. ექსპედიციაში იგივენი მონაწილეობენ, რომელნიც – 2005-ში. ვერ წამოვიდნენ ნუგზარ ცეცხლაძე და რამაზ ხალვაში.

შოთა თავისი მანქანითაა წამოსული. ასე არჩია. ძეგლებზე დამოუკიდებლად ვივლიო, ასე უფრო მეტს მოვასწრებო...

პირველი, რაც გამვლელს აოცებს, ბორჩხის კაშხალია. ორი წელია, ამ გზაზე აღარ გამოძივლია და არ მინახავს წყლით სავსე კაშხალი, რამდენიმე მიმართულებით განტოტვილი და ხეობებში გაწოლილი ვეებერთელა ტბა. შოთა მამულაძეს ველოდებოდით და ერთხანს გზაში გავჩერდით.

ზემოდან დავეყურებით კაშხალს. კარგი სანახავია. ეს ხელოვნური წყალსატევი მომავალში ალბათ შეცვლის ამ მხარის კლიმატს, დაირღვევა ეკოლოგიური წონასწორობაც. ამდენი კაშხლების მშენებლობით ჭოროხის ხეობა რისკების ზონად გადაიქცა...

შუადღე გადასული იყო, შავშათში რომ ავედით. ვისადილეთ და სასტუმრო „7 მარტში“ დავბინავდით დღეში 20 ლირად... კარგი პირობებია. საღამოს ხვალის სამუშაო დავგეგმეთ. დადღილებს მალე ჩავგეგმინა...

## ეკლავ უსტამისელებთან

პირველი აგვისტო გათენდა. ადგილობრივი დროით 8 საათი იყო, რომ გავიღვიძე. გუშინდელი დღით დადღილს ადგომა შემეზარა, მაგრამ რას ვიზამდი...

ლამაზი დილაა. ცა მოწმენდილია. მზის სხივები მთის წვერებს ეფინება. ბარში ჩავედით, ვისაუზმეთ. იქვე, მაღაზიაში, საგზაღი შევიძინეთ და უსტამისისაკენ წავედით. უსტამისით უნდა დავიწყეთ წლევეანდელი საველე სამუშაოები. ვიმუშავებთ ორ ჯგუფად: შოთა მამულაძე და გურამ ყიფიანი წვეფთას ციხეზე (უსტამისის ციხეზე, როგორც მას ჩეულებერივ უწოდებენ) იმუშავებენ, დანარჩენები – სოფელში ან დაილაზე. ვნახოთ, სად უკეთესი სამუშაო პირობები იქნება.

**შენიშვნა:** წვეფთის ციხე გვხვდება ქართულ საისტორიო წყაროებში. სუმბატ დავითის ძის თხზულებაში „ცხოვრება და უწყება ბაგრატონთა“ ვკითხულობთ: „და განდგეს კუალად აზნაურნი, და მისცნეს ციხენი, ჩანჩახამან, ერისთავმან შავშეთისამან, მისცა ციხე **წვეფთისა**, და თვით წარვიდა იგინი საბერძენთს“ (ქ.ც.ხ. I, 385:33-24). შენიშვნაში (34) გატანილია ფორმა ცვეფთისა (Mm). იგივე ფორმა - „ციხე **წვეფთისა**“ გვხვდება თხზულების ექვ. თაყაიშვილისეულ გამოცემაშიც (იხ.: ექვთ. თაყაიშვილი 1949, §97).

დასახელებულ ციხეზე საუბრობს „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორიც: მემატინე მოგვითხრობს, რომ დავით კურაპალატი და ბაგრატ ქართველთა მეფე თავსა შავშეთისასა, გარდათხრილთა შეებნენ გურგენს, „გააქციეს გურგენ, და შთაიხვეწა მეოტი, და შევიდა ციხესა **წვეფთისასა**“ (ქ.ც.ხ. I:277). შენიშვნებში გატანილია ფორმები: „და შევიდა ც. **წვეფთისასა**“ (C), **წვეფთისასა**, **წვერბეთისასა**. იმავე თხზულებაში საუბარია, რომ „მას ჟამსა წარვიდა ჩანჩახი ფალელი საბერძენთს, მისცა ციხე გარელობისა, მიერთო ბერძენთა, და არჯევან ჰოლოლასქემან მისცა ბერძენთა ციხე **წვეფთისა**“ (ქ.ც.ხ. I:292). სქოლიოში გატანილია ფორმები: ციხე **წვეფთისა** (T), **წვერეფთისა** (Mm), **წვერქეფთისა** (C), **წვერბეთისა** (A), **წვეფთისა** (cet).

**წვეფთას** ახსენებს ვახუშტი ბატონიშვილიც თავის შრომაში: „იძლია გურგენ და შეიხუეწა ციხესა **წვეფთისასა**“ (ქ.ც.ხ. IV 139,13). იქვე სქოლიოში გატანილია **წვეფთისასა**. ხოლო 144-ე გვერდზე ვკითხულობთ: „...უკუნ იქცნენ და დაიპყრეს ციხე გარელობისა და **წვეფთისა**“. სქოლიოში კი ვკითხულობთ: **წვეფთისა** (ABRyz), **წვეფთისა** (X), **წვერფთისა**, **წვერბეთისა**, **წვეფთისა**..

როგორც ვხედავთ, საისტორიო წყაროებში დასტურდება რამდენიმე ფორმა: **წვეფთა**, **წვეფთა**, **წვერბეთი**, **წვერეფთა**, **წვეფი**, **წვერფი**.

ძნელია დანამდვილებით იმის მტკიცება, თუ რომელი ფორმაა ამოსავალი, მაგრამ, ვფიქრობთ, მაინც შეიძლება ვარაუდის დაშვება. მხედველობაში გვაქვს შემდეგი: საისტორიო თხზულებებში ნახსენები სხვადასხვა ფორმიდან ამოსავალი ჩანს **წვერბეთი**, დანარჩენი კი ფონეტიკური გარდაქმნის შედეგი უნდა იყოს. ტოპონიმში ძირეულ მასალად შეიძლება გამოიყოს **წვერბე|წვერფ (>წვეფ)**. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ **წვეფთა** ქვია ციხის მიმდებარე ადგილს ამჟამადაც.

**წვერბე|წვერფ (>წვეფ)** ფუძის მნიშვნელობაზე საუბარი, ვფიქრობთ, ნაადრევია.

**შავშათიდან** 18 კილომეტრში გზა მარჯვნივ აუხვევს ესკიყალესკენ (უსტამისისკენ). ხვეული გზა მალდა და მალდა მი-

იწვევს. უჭირს ჩვენ მანქანას. ბათუმში შეძენილი „ნაჩარი“ საწვავი (ასე უწოდებს თურქეთის ქართველობა ცუდ საწვავს) ახრჩობს მანქანას, მისი გამონაბოლქვი კიდევ – ჩვენ. მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს, უნდა გავუძლოთ. როგორც იქნა, სოფლის ქვემო უბანს მივალწიეთ. არ გავჩერებულვართ. გადავწვიტეთ, ზემო უბანში ავსულიყავით და იქიდან დაგვეწყო მუშაობა. შოთასა და გურამს გამყოლიც ვუპოვეთ, ახალგაზრდა უსტამისელი. ქართულად ლაპარაკობს, თუმცა უჭირს, სიტყვებს ეძებს... სოფლის ცენტრში ძველ ნაცნობებს შევხვდით. 2005 წელს გავიცანით ამ კუთხეში მოგზაურობისას, უსტამისის დაილაზე. ოჯახშიც მიგვიწვია იმ დღეს: ეუბ ბუღდუზი (ბოკვეროდლი – დათუნაშვილი), ნიზამეთინ დურმიში (გიზო მოსიაშვილი)... ვისაუბრეთ. „აქვერობაში თლათ გურჯია. შერთულიდან ასწიე და შეიდანლიქ თერეფი გურჯი...“ – გვიხსნის ეუბი. შვებულება აქვთ ბიჭებს და ოჯახებში დაბრუნებულან. სოფელში საქმე ბევრია. უნდა მოასწრონ ყველაფერი და ქალაქში დაბრუნდნენ. ეუბს კიდევ სახლის მშენებლობა წამოუწვია და საქმეც ბევრი აქვს, ბუნებრივია. პენსიაზე გასვლის შემდეგ ეუბ ბუღდუზი დაუბრუნდება სხვებთან ერთად მამა-პაპეულ სოფელს და აქ დამკვიდრდება. ამიტომაც აშენებს ახალ სახლს სოფელში ძველ საძირკველზე...

სოფელში გვირჩიეს, დაილაზე ავსულიყავით, იქ უფრო ვნახავდით მოსაუბრეებს. „თაზე გეობარგენო ბერები“, აგვიხსნეს. ერთმა გულისტკივილით თქვა:

– ხანდესან მოდიან აქვერებში. ესაც აქვერი გურჯია. ასე თქვენსავეფ მოდიან, მაშინ ვცნობილოფთ. წინათ საყიდლები მოქონდათ, აღარ მიაქვენ. შავშათში ვიდებდით, ართვინში ვიდებდით, აღარ მიაქვენ...

გუსმენტ უსტამისელებს და ვგრძნობთ, რომ ამ სოფელში თანდათან იკარგება ქართული ენა, იკარგება ფოლკლორი... თუმცა ამასაც გაიგონებთ:

– ხელი რომ გიმიჭრათ, ჩემი სისხლი ქართულათ დაწერავს...

სისხლი კი „დაწერავს“ ქართულად, მაგრამ ქართულად მოლაპარაკენი ილევთან. „ზათინდელმა ბერებმა“ იცოდნენ ქართული, იმდერებდენ ქორწილებში, ზამთრის გრძელ ღამეებში ჰეჩიებსაც მოყვებოდნენ, მაგრამ „გენჯებმა დეფიწყეს, გადაბრუნდენ“.

აქაურებს კარგადა აქვთ გაცნობიერებული, რომ ამდენი ქვეერი, მათ სოფელში რომ ნახულობენ, შემთხვევით არ დაუფლავთ; რომ ძველათ აქ „შარაფს“, ღვინოს აყენებდნენ.

– აქვერობა სულ ბაღები ყოფილან, აღარაა, – გვეუბნება ეუბი.

დღესაც ხარობს უსტამისში ყურძენი, განსაკუთრებით – ქვემო მაჰალეში. ზემო მაჰალეში ყურძენს ძნელად თუ ახარებ, მაღალზეა, 1500 მეტრი მაინც იქნება ზღვის დონიდან. სხვა ხილი კი არის: ბალი, მსხალი, ვაშლი...

აქაური ყურძნის ჯიშებია: თეთრი ყურძენი, შავი ყურძენი, ადესა.

ადესა ახალი ჯიშია, თეთრი და შავი – ძველი. უსტამისელებს აღარ ახსოვთ ვაზის სახელები. თეთრი და შავი ახალი შერქმეული სახელი ჩანს. ძველი – დავიწყიათ. არადა, ამ მხარეში ბევრი ჯიშის ვაზი ხარობს...

– ყალე გამოღმიდამ თერეფში დერგები იყო, იმდენი... შარაფხანე იყო თელი. ღვინო უკეთებიან. ჩვენ არ ვიცით ღვინის კეთება, – გვეუბნება ეუბი.

ნიზამეთინი აზუსტებს: „დერგებში ღვინო იქნება ბელქიდა. იმითანაა ვრა თანე დერგი იყო. ი ბევრია. ზველი ბინა იყო და... ამდენერთი იყო სავსე. ფიქალი დაბურული იყო.“

– არ დეგექციეს, შარაბი იყო იშტე, ბევრი ხნის, – საყვედურით ეუბნება ეუბი.

აქაურებსაც აწუხებთ ალთუნის ამბავი. ყველამ „იცის“ რომ ძველ ბინაში (საძირკველში) ალთუნია დაფლული. მახსოვს, ერთი ბაზგირელი გამენდო: ალთუნის მოსაძებნი მანქანა თუ გაქვს, ჩემ ბინაზე ვიცი ალთუნია დაფლული და ვნახოთო.

ასეთი ამბავიც გავიგონეთ: „ბაგენიდამ აბდულა ჩაუში იყო. ბათუმში ალთუნი ქონდა ჩაფლული. ყახანი ალთუნი ბათუმში ქონდა დარჩომილი. აბდულა ჩაუში ჩალოდლი ყოფილა. აქეთ რომ წამოსულა, ნენე ბათუმში დარჩა ალთუნის დასაცველა. უკანიხან გადმოიყვანაო“... აბდულა ჩაუში ტრახახობდა თურმე თავისი ქონებით. „ერთი ხალი ქონდა და ამბობდა, ეს ხალი მერდევანზე დაგებული მქონდაო, ისე შევარდითო,“ – გვიამბო მთხრობელმა.

დარწმუნებული არიან, რომ აბდულა ჩაუში ზენგილი კაცი იყო. დედამისი რომ გადმოიყვანა, ალთუნიც წამოიღო.

იქნებ ასეც იყო, ვინ იცის!..

ფუხრობაში ცხოვრობს შავშელი (და არა მარტო შავშელი), ხშირად „ფუში არ უძლება“, ოცნებობს გაზენგილებაზე; ყველა ძველ ნაგებობაში ალთუნი ეგულება და ეძებს. თვითონ ჯერ ვერ იპოვა; სამაგიეროდ იოლად იჯერებს ვიდაცის მოულოდნელი გაზენგილების ამბავს. თავადაც ოცნებობს გაზენგილდეს და თავი დააღწიოს ფუხრობას... ამიტომაც ყოველ მოსულს, ვინც აქაური სიძველეებით დაინტერესდება, ეჭვით უყურებს, განძისმაძიებელი ჰგონია; ზოგიერთი, კიდევ უფრო გაბედული, ერთად ძიებას თავაზობს...

რამდენადაც სოფლიდან ბერები „აილაზე გარეკილან“, ჩვენც აილაზე გადავწყვიტეთ ასვლა. შორია აილაამდე...

უსტამისის აილაზე ერთხელ ვიყავით, 2005 წლის ექსპედიციის დღეებში. მაშინ ფესტივალი ტარდებოდა აქ, მარიობის დღესასწაული. ილხენდა დაღლილი სოფელი. კარგად მოილხინეს ჩვენებმაც, ისამეს კიდევ „გულის გაკოჭვამდე“...

სოფლიდან აილაამდე 25 კილომეტრამდეა. ზღვის დონიდან 2000 მეტრი მაინც იქნება უსტამისის აილა. კარგი ამინდია, გრილა. ბათუმის სიცხეების შემდეგ სასიამოვნოა აქაური სიგრილე, შეიძლება ითქვას, სიცივე.

აილაზე კარგად მიგვიღეს. სახელდახელოდ კონცერტიც კი გაგვიმართეს. არც ცეკვა დაიზარეს მოხუცებმა და არც სიმღერა. თავისუფალ დროს მხიარულობდნენ მოიალაღენი. ჩანს, უყვართ სტუმარი...

ძველათ აქ ხალხი დიდხანს ცოცხლობდა, „ერთ ასი წელიწადი უცოცხლიან; ხუთმოცი და ათი წელიწადიც უცოცხლიან“, უფრო მეტიც... „ერთი თანე იყო ასი და ათი და ხუთი იცოცხლა“. „ხუთმოცი, ათი და ხუთი“ – შეუსწორა მეორემ, „გარგანი არ დეიჭირა იმან“. ამგვარ საუბარს ხშირად გაიგონებთ ამ კუთხეში.

უსტამისელებს მიაჩნიათ, რომ ქართველი თუ ხარ, „გურჯიჯა უნდა იცოდე. გურჯიჯა აღარ ილაპარაკა, აღარ ილაპარაკა, გამედცვალა კაცი“.

აილაზე ქალები რძის პროდუქტების დამზადებით არიან დაკავებული. ამზადებენ ფშნილას (ყველის სახეობაა ერთგვარი, შავშეთში ამზადებენ მხოლოდ), ერბოს - „ვარიში შედლობენ“ ხოლმე, ნადულს... უსტამისელებს საქონელი ბევრი აღარ ჰყავთ. ჩანს, უჭირთ რჩენა. სოფელში ახალგაზრდობა აღარ ჩერდება, ჩომას კი მოვლა-პატრონობა ჭირდება...

ქალს უსტამისელებიც ბაჯალას ან გოგოს ეძახიან. ქორწილიც ისეთივე იცინა, როგორც იმერხევეში. გოგო და ბიჭი „ერთმანეფ მეღწონებენ, ელჩ გაგზანიან, რაზი გახდებიან, მეფყვანებენ. დადიები ერთი ბაჯლი თერეფიდამ იქნება, ერთი ბიჭი თერეფიდამ. ქალ მეფყვანებენ, სიძე ყავარზე გევა, შექერ გადააყრის... მერე ბაჯლი მხარეს ბახშიშ მიცემენ, შიგან შეფყვანებენ...“. ქორწილში „ისამებენ ხორმოს, ქურთბარს, ორთაბათუმ... ზოგი იმღერებენ, გურჯულსაც“. აქაური ქორწილი ორ-სამ დღეს გრძელდება ხოლმე.

უსტამისელებს ნადირი აწუხებთ, მაგრამ ვერ კლავენ, „ჭუქუმეთიდამ დასაღიას“. გარეულმა ღორმა თუ ძალიან შეაწუხა, კლავენ. მემედ სანჯარმა გვითხრა: ,

– ვკლავთ აბან ტახს, ჰამა არ ჭეუამთ; იმა ჭეუამთ, აბან თხას...

მემედ სანჯარმა გულწრფელად მთხოვა, მაჭახელში „ჩემი ბიბოე ყოფილა გათხოვლი, იმისი ბაჯალა ართვინ, რესულ დედე იყო ერთი იმა ყავდა...“. ჩემი ბიბოე აღარ იქნება, ჰამა მისი შვილები იქნებიან, მომიკითხეო.

– რა გვარს იწერებიან შენი ბიბოღს შვილები, ან შენს ბიბოს რა ერქვა-მეთქი, – ვკითხე.

– ბიბოღს სახელი არ ვიცი, არც გვარი (სოფადი) ვიცი მისი შვილების, ჰამა მომიკითხეო, მთხოვა, – **იმისი სულაღე იქნება, ის მომიკითხეო.**

რადღას ვეცყოღი, მოგიკითხავ-მეთქი, დავპირღი. როგორ ვინღა, ამხელღა დუნიაში მემედღ სანჯღარის უცნობი ბიბიღღს შვილები ეძებო, ან მათი ნაგრამი?! არღღა, ისე გუღღწრღეღღად მთხოვღღა, უარი როგორ მეთქვღა?!

ერთი ძვეღი ამბავი გამახსენღღა, საბჭოთღა უშიშროების საღღიდებღღად შექმნიღღი თუ მოგონიღღი. თურქეთიღღან სიძეს-თან წერიღღი გამოავღღაენღღა მუჰღაჯირღღად წასუღღმა თუ საბჭოთღა წყობიღღებას გაქცეუღღმა კახაბრეღღმა დღა მისამართი ასე დღა-აწერიღღა: „კახაბერი, ბენუმ ენიშტე ახმედ“. რამდენიმე დღეში წერიღღი ადრესაღღტს ჩაბარღღა... ხღღებოღღა ასეც თურმე. ჩვენ ამდენს ვერ მოვახერხებთ.

ჩვენს დანახვღზე თანღღათღან შეგროვდენს უსტამისეღღები. ექსპედიციის წევრები ჯგუფ-ჯგუფად შეგროვიღღ ხაღღხთან ცდიღღობდენს მუშაობღას.

უსტამისის ზემო უბანში ასეთი სურათიღა:

მერის ვიღღაც დღაუმარტოხეღღებიღა დღა მისებურად, გაფაციცებით იწერს რღღაღღაცღას;

თინღა თხოვს მოხუცს, იქნებ რღღიმე ლექსი ან ღღოღღცვღა გაიხსენოს. მაგალითს თავად აძღღევს, თუ როგორი ლექსები აინტერესებს:

– ქორწიღღებში, დუგუნებზე სამღღერებელი, ყანაში, ნაღღზე სამღღერებელი... რღღადღი რომ გავღაჰერსებს, რღღაფერ დღაწვეღღელი?... ბაღღიში რომ გავღახარებს, რღღაფერ დღაღღოღღაც? ამღას ჩევწერ ახღღა დღა მერე ქითაბში დღავწერო, – ახაღღისებს თინღა თანამოსაუბრეს.

შოთღა მეგზურს ეძებს წეფთის ციხეზე წასასვღღეღღად. ეძებღა დღა იპოვღა კიღღეც. დღღეს ზღაზღაც მასთან ერთად წავღა ესკი ყაღღეზე (ასე უწოდებენ უსტამისეღღები წეფთის ციხეს. „ახაღღლი“ სახელი უსტამისსაც ესკი ყაღღე ქვიღა).

თამაზს ყვეღღაფერი აინტერესებს: ბავშვის მოღღღა, სახღღის მშენებღღობღა, რღღის დღამუშავებღა, სოფელში მოსახღღე გვარები დღა შტო-გვარები, ტანსაცმელი...

ნიკას ვიღღეოკამერღა აქვს მომარჯვებუღღი დღა ცდიღღობს ყვეღღაფერი გაღღაღღოს, არღღაფერი გამორჩეს...

გურამ ყიფიანი დღღღეს პირვეღღაღღა ჩვენთან ერთად ვეღღზე, სიგარეტს აბოღღებს დღა გვავაკირღღება...

ნარგიზღა სურმავასთვისაც სრულიად ახაღღი გარემოღა. მოუმარჯვებღა ვიღღეოკამერღა დღა ცდიღღობს, დიღღლოგები დღა ზოგაღღად მეტყვეღღება ფირზე დღააფიქსიროს...

ტარიელი შორიღღან უყურებს ჩვენს საქმიანობას. ხანღღახან ჩაერეღღა საუბარში, ძვეღ ნაცნობს თუ დღაინახავს ვინმეს. არღღა, ჰყავს აქ ნაცნობები; წინღა ექსპედიციის დღღეღებში მარობის ფესტივღღაზე ერთად ცეკვავდენს ხორუმს...

ყვეღღა საქმითაღა დღაკავებუღღი. ღღობის ღღარტყაზე ჩამომჯღღარი მეც ვიწერ ადგიღღის სახეღღებს, მიკრო თუ მაკროტოპონიმებს.

– მასწავღღეთ-მეთქი ადგიღღის სახეღღები, – ვთხოვ ეუბს.

ისიღც მაწერიღღებს (ცდიღღობს, არღღაფერი გამორჩეს).

– ადგიღღის სახეღღები აქ სუღღ გურჯიღაო, მისსნის ეუბი: **ხანღღაღღოს წვერი, მინღღორი, საბურთიღა, სამაღღაფათი, ხარი ათაღღი, წიფეღღა, ყვარღღანჯვარი, ბუღღა გოღღლი...**

**ბუღღა გოღღმა** დღამაინტერესღა.

– რღღატომ ქვიღა ბუღღა გოღღი? – ვიკითხე (სხვღა სოფღღებშიც ახსენებენ ბუღღა გოღღს, ზოგჯერ გაღღმოცემასაც მოგიყვებიან ამ ტოპონიმთან დღაკავშირებით).

– **ბუღღა დღა გოღღო ყოფიღღა გოღღში. ხაღღღ არ უშვებენ იქღა. ამოღღღულს წყაღღი, ქვიღღებს ყრის გარეთ. ახღღღოს ვერ მიხვღღაღღ. გოღღოს თმიები ასე ჩასუღღი აქ წეღღამღღე. წეღღზე ასწიღღო ნაწინები დღა... – დღღეღ ასე იტყოღღა.**

– ბუღღა გოღღში უშვიღღო ქაღღები ხომ არ მკურნაღღობდენს-მეთქი, – ვიკითხე.



– არა, ბუღა გოლში არა; მიქელეთში ამოდულს ცხელი წყალი. იქ ჩაუდებიან და უშვილოს შვილი ეყოლვისო – ამის სნეს.

სხვა სახელებია: ფეფელა, დიდნაზვი, სავათა თავი... გაღმა ჩინისხევის დაილალო, – მითხრეს.

– ჩხისხევისო, – დააზუსტა მეორემ...

– აქაური ბალახებისა და ხეების სახელებსაც ხომ არ მასწავლით-მეთქი, – ვიკითხე.

– დვალს, სამყურად, ქუბად, ხალი, ჟინჭარი, იფხვი\* (ეწერსაც ეტყვიან. იმერსევეში სოფელია იფხრეული//იფხრეელი. ჩანს, ამ გეოგრაფიული სახელის ფუძეა იფხრ’ი(<იფხერი) და ეწერნარს, ეწირანს ნიშნავდეს), ანწლი, მოცვი, თიყურძენად (მერცხალი//მოცხარი – მ.ფ.), მაცვალი, სოჭი, კატარი, ლეკი, უხრაგი, კო, წიფელა...

უსტამისში ძველათ პური უთესიათ, სიმინდიც. „ძველათ პურ კაცებზე გამააცხობდენ, ამ სიგძე პურებ“ (ხელით გვაჩვენებს მთხრობელი – მ.ფ.).

დილაზე იოლად გაგვიშინაურდნენ. არ გვერიდებოდნენ, სურათებს იღებდნენ ჩვენთან, მიკროფონთანაც არ მორცხვობდნენ. ერთი მოხუცი ქალბატონი ქმარს აგულიანებდა:

– „მოდი გამოგწიონ, ქითაბში’ნა დაგწერონ“.

ჩვენც გამოვწიეთ...

წამოსვლას ვაპირებდით, რომ გაღმა მაჰალედან ორი ახალგაზრდა მასწავლებელი გამოვიდა, ჩვენთანაც წამოდით, ჩვენს ნენესაც უნდაო თქვენთან ლაპარაკი.

მე და ნარგიზა სურმავა გავყევით. კარგი მოსაუბრენი გამოდგნენ მასპინძლები – სამი და ბექიროღლი და იმათი დეიდა. ცოტა კი უჭირდათ ქართული, მაგრამ რა ქნან, „წვრილმანი წესულან“ სოფლიდან, ქალაქში გადასახლებულან, გურჯული არ დაუვიწყიათ. აქედან წასულებს ქართულის მეტი არაფერი ცოდნიათ, ახლა ორი ენა იციან – თურქული და ქართული...

– ჩვენი დედე, ბექირა, აჭარადამ მოსულაო, – გვითხრეს. – ჭედელი ყოფილა. ერთი კაცი მოსულა. ასი წელი იქნება მას შემდეგ.

– ოთხი ასიც იქნებაო, – დააზუსტა მეორემ. – ოთხი ღარჭი ყოლია ბექირას: ოსმანა, ღისა, მუსტაფა, მურადა. ერთი წასულა, სამი თანე აქ დამჩადა...

– დრომან გედეარა, – განაგრძო დეიდა, წვრილმანი ვიყავით აქიდან რომ წვევით... ზაფხულში მოვალთ აქა, მერე წვევალთ. ძველათ აქა სიმინდ თესევდენ, პურ თესევდენ, იმით ცხოვრობდენ. აქ მარტო აზოვებენ. უსტამისურ სოფლებში სიმინდ თესენ, პურ აღარ თესენ. ახლა გათემბლდენ ხალხი...

ვემშიდობებით უსტამისელებს. „დრომან გედეარა“, მოსაღამოვდა და უკან დაბრუნების დროც დადგა. სასტუმრომდე 50 კილომეტრამდე გზა გვიდევს. ვფიქრობ უსტამისზე და უსტამისელებზე...

ტიპური ქართული სოფელია უსტამისი, რომელსაც ალამაზებს გულდია, ალაღმართალი ხალხი. ხალხი, რომელიც არ ივიწყებს მამა-პაპათა წეს-ადათებს, ძველ ბინებზე (სადირკვლებზე) აგებენ ახალ სახლებს და ასე ცდილობენ, არ მოწყდნენ წინაპართა მიწას, არ დაივიწყონ ქართული ენა, მთლად არ „გადაბრუნდენ“ თურქულზე. მათ ქართულში თურქული თუ გაერია, ეს ხომ მათი ბრალი არაა. დრომ მოიტანა ასე. ჩვენმა აქ მოგზაურობამ ეგებ აქაურები დააინტერესოს და შვილებსაც ასწავლონ გურჯული.

უკვე ბნელოდა, სასტუმროში რომ დავბრუნდით. გაწვიმდა. აცივდა კიდეც შავშათში. შოთა და გურამიც დაბრუნდნენ. კმაყოფილები არიან. კარგი ციხეაო, გრანიტით ნაგები, აღფროთოვანებას ვერ მაღავს გურამი. X საუკუნეზე ძველი არ უნდა იყოსო. დიდებულ ადგილას დგას, მთელ ხეობას აკონტროლებსო.

შოთა კიდევ უფრო შორს მიდის: შავშეთის ციხეებიდან ინფორმაცია წეფთაში იყრიდაო თავს; სხვაგვარად: შავშეთის თავდაცვის სისტემაში წეფთა მთავარი ციხე იყო.

ამ ციხეზე მეც ვყოფილვარ, სხვებიც, მაგრამ ციხის ეზოში ეკლესია არ შეგვინიშნავს, არადა ყოფილა...

## ჩაქველთასა და ჩაქველთას მალარებში

გუშინდელი წვიმის შემდეგ, 2 აგვისტოს, მშვენიერი დილა გათენდა. ჯერ მზე არ ამოსულა. ცივა. ღამით 20 გრადუსამდე დაეცა ტემპერატურა. ცაზე ღრუბლები ჩანს, მაგრამ, ვფიქრობთ, წვიმა არ იქნება. ასე რომ, წინ კარგი დღე გველოდება. გადავწყვიტეთ, ჩაქველთაში გვეგროვებინა მასალები, შოთა და გურამიც ჩაქველთას ციხეზე იმუშავენ. თამაზიც შოთას დაეხმარება დღეს.

უპირველესად ყურადღებას იქცევს თავად ტოპონიმი **ჩაქველთა**. ერთი შეხედვით გამჭვირვალე სახელია: **ჩაქველთა=ჩაქველების** (-თა მრავლობითობის სუფიქსი ჩანს, ტოპონიმებში ხშირად დადასტურებული: ჩიხეთა, ბერთა, პარეხთა...). თუმცა აქ ერთი წინააღმდეგობა იჩენს თავს: აქვს კი რაიმე საერთო **ჩაქველთა**'ს აჭარაში კარგად ცნობილ **ჩაქვ**თან? ძნელი საფიქრებელია. აქ წინათაც ვყოფილვარ. ბოლოს 2005 წელს ამოვედით. მასსოვს (ჩაწერილიც მაქვს), აქაურთა განმარტებით, **ჩაქველთა<ჩაქველ+მთა>**საგან (**მთა>**თა'ს მ'ს ჩავარდნით. **მთა>**თა ჩვეულებრივი მოვლენაა აჭარულისა და, საერთოდ, სამხრული კილოებისათვის). ვარაუდი თითქოს სარწმუნო ჩანს და, გამომდინარე აქედან, დასაშვებიც. მაშ ასე: **ჩაქველთა** რთული აგებულების ტოპონიმია – **ჩაქველ+თა(მთა)**. ეს ხალხური ეტიმოლოგია თითქოს რეალობასთან ახლოსაა, მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, კერძოდ: **ჩაქველთა** უკავშირდება **ჩაქურეთს** (**/\*ჩაქურეთელთა**), სათანადო ფონეტიკური გარდაქმნებით მივიღეთ **ჩაქველთა**. ჩვენი აზრით, **ჩაქველთა ჩაქურდიების** საცხოვრისია. ამ კუთხეში **ჩაქურდიები** მრავლად სახლობენ. ანალოგიური ტოპონიმები სხვებიც

გვხვდება რეგიონში: **თურმანეთი** (**/\*თურმანიძე/თურმანიზე**), **ნიოლეთი** (<ლეონიძე), **მანხატეთი** (**/\*მანხატიძე**)... ამდენად, **ჩაქველთა** არ უნდა უკავშირდებოდეს **ჩაქვს**. ბარემ აღვნიშნავთ, რომ **ჩაქვ** ფუძის ეტიმოლოგიის რამდენიმე ცდა არსებობს (ქ. ლომთათიძე, ს. ჯანაშია). მას კავკასიურ ენებს, კერძოდ, ჩერქეზულს უკავშირებენ. არსებული ცდები მთლად სარწმუნო არ ჩანს. ვფიქრობთ, **ჩაქვ** ფუძე კვლავაც მოითხოვს კვლევას...

მაშ ასე, დღეს ჩაქველთაში ვიმუშავებთ. ქალბატონები დროულად ჩამოვიდნენ. როგორც წესი, ნარგიზას რაღაც დარჩა სასტუმროში. ვთხოვე, დატოვე შენი ჩანთა მანქანაში, სხვა დროს მაინც რომ აღარ დაგრჩეს-მეთქი...

ხეობას ავუყევით. გაღმით გამოჩნდა ჩაქველთას ციხის ნანგრევები. ციხის გასწვრივ, კლდეში, გამოქვაბული მეგულეობა. წინა ექსპედიციის დროს იქ ასვლა ვერ მოვახერხეთ. არ მასვენებს ჩაქველთას ყოფილი მუხტრის ნათქვამი: ამ კლდეებში გამოქვაბულია, გვირაბები იტოტებაო შიგ. ძველი ქართული წარწერებიანო ქვაბებში... ნაწვიმარია. მანქანას უჭირს აღმართებში, მაგრამ მაინც ჯიუტად მიიკვლევს ატალახებულ გზას.

როგორც იქნა, ზემო მაჰალეში ავედით.

კარგი სოფელია ჩაქველთა. ძველებური შავშური ოდები, ტერასული მეურნეობა... ჩანს, ძველად აქ უთესიათ ხორბალი, ჭვავი, სხვა კულტურებიც. ახლა ჭალებად უქცევიათ ძველი ყანები. თესავენ ლობიოს, კიტრს, მცირეოდენ სიმინდს – საჭყინტელ.

– აზრი არ აქვს დათესვას, ჯობია მარკეტში ავიდოთ, დათვი და ღორი მაინც არ გვიჩერებსო, – შემოგვიჩვენეს ჩაქველთელებმა.

შეწუხებულია სოფელი აბეზარი ცხოველების შემოტევით...

თავიდან ჩაქველთელები თავს გვარიდებდნენ. პირველივე შემხვედრნი ფოტო და ვიდეოაპარატურის დანახვაზე შეშინდნენ.

– არ გამოგვწიოთ, არ გვინდა ჰუქუმეთთან საქმე დაქვჩოსო, – გვთხოვენ.

ვერ დავარწმუნეთ, რომ ჩვენ ტურისტები ვიყავით და მათი ცხოვრების წესი და მეტყველება გვანტერესებდა მხოლოდ. მანქანას როცა გაუჭირდა, თოხითა და ნიჩბით დაგვეხმარნენ, მაგრამ საუბარი არ ისურვეს. ასეთ საქმეში თინა ყოველთვის მარჯვეა, მაგრამ დღეს გაუჭირდა.

– ჩანს, აქ ფოლკლორიც არაა კარგად შენახული. არც წყველა იციან და არც ლოცვაო, – ჩივის თინა.

უჭირს მერისაც დიალექტოლოგიური მასალის ჩაწერა. არ ლაპარაკობენ და რა ჩაიწეროს. პასუხის გაცემას გამადლიან, ხელს სხვისკენ იშვერენ. უბრალო კითხვაზეც კი, რა გვარები ცხოვრობენო სოფელში, არ გაასუხობენ, თავს შორს იჭერენ. სხვამ იცისო, მე არ ვიციო, გუუბნებიან. ის სხვა კიდევ მისივე მიზობელია, რომელიც ასევე გარიდებს თავს...

რამ დააშინა-მეთქი ჩაქველთურები, ვფიქრობ. არ მსურს ხმამაღლა ვთქვა რაიმე. ჯერ კიდევ მაქვს რაღაცის იმედი. ვიფიქრე, ტოპონიმებს მაინც ჩავიწერ-მეთქი. ვიცოდი ზოგიერთი აქაური ტოპონიმი, ზოგიერთის დაზუსტება მჭირდებოდა მხოლოდ.

– აქ ჩაქველთაა, სხვა სახელები აქ არ არისო, – მიპასუხეს.

ექსპედიციის წევრებთან ერთად, ორღობეს მაღლა ავუყევი. ვფიქრობდი, იქ მაინც იქნება ვინმე დამლაპარაკებელი-მეთქი. გაჭირვებით ავიარეთ ატალახებული ბილიკი. არავინ შეგვხვედრია ორი ვეებურთელა ხარის, ერთი დიდი ნაგაზისა და დედა-შვილის მეტი. მართლაც ლამაზი და ჭკვიანი ხარები იყვნენ. ვიწრო ორღობეში ისე მოდიოდნენ ჩვენსკენ, გზის დათმობა გაგვიჭირდა. შევშინდი, არ გვირქინონ-მეთქი, მაგრამ იმდენად მშვიდად ჩაგვიარეს, დავმშვიდდი. შემოგვხედეს და გზა განაგრძეს. მოხუცი ქალბატონი რაღაცას თურქულად გვეუბნებოდა, არც გვესმოდა და ვერც ვხვდებოდით. შემდეგ, ახლოს რომ მოვიდა და გაიგო, ქართველები ვიყავით, ქართულად გვითხრა:

– ნუ გეშინიათ, არ გერჩიანო...

ჩანს, უყვართ ამ სოფელში ხარები. გამწვევ ძალადაც იყენებენ. ნაგაზიც ჭკვიანი და მორჩილი გამოდგა...

მაღლა ავედით, ზემო უბანში (ასე ვუწოდოთ პირობით). სამიოდე მიტოვებული სახლისა და სიმინდის ყანის მეტი არაფერი დაგვხვდა. ყანაში გადავედით, ბახჩა დავათვალიერეთ და უკან გამოვბრუნდით. გადავწყვიტეთ, გაღმა მაჰალეში გავსულიყავით, ჯამიკარზე. მაღლიდან კარგად ჩანს ჩაქველთას ქვემო უბნები, მშვენიერი ოდა სახლები... ნიკა და მალხაზი იღებენ ყველაფერს, „გამოსწიეს“ მთელი ჩაქველთა, არ დაუტოვებიათ გადაუღებელი არც ძველი ოდეები, არც ბუხრები და არც სახლთან ახლოს მდებარე დამხმარე ნაგებობანი, არც სახლის ქვემო სართულზე, სათავსოში შენახული ძველი იარაღები: ფოცხი, ურმის თვლები, კევრი, თოკი... ვხედავ, სახლიდან გარეთ იყურებიან და იმალებიან, არ გვიჩნდებიან. როგორც იქნა, თინამ ვიღაც დაიმარტოვა. შეეცადა, საუბარში გამოეწვია ჩაქველთური ქალი, მაგრამ გაუჭირდა... იქვე, წისქვილის უკან ცოლ-ქმარი თივას ფენდა. თინა მათთან დარჩა სასაუბროდ, მერიც იქვე დაუჯდა ვიღაცას, ზაზა და მე, ნარგიზასთან ერთად, მაღლა ავედით. ქალბატონმა გამოგვხვდა სახლიდან. საუბარი არ ინება ჩვენთან. ვისაც საქმე არ აქვს, იმას ელაპარაკეთ, მე საქმე მაქვსო, გვითხრა გაღიზიანებულმა.

ჩამოვედით დაბლა. ოდის აივანზე მოხუცი გადმომდგარიყო. მალხაზმა გადაღების ნება თხოვა. უარი არ უთქვამს. სახლში შეგვიპატიჟა. ავედით. დიდი სიხარულით არ შეგვხვედრიან, მაგრამ მიგვიღეს. ჯერ გვერიდებოდნენ, შემდეგ აეწყო საუბარი. დაგვთანხმდნენ გადაღებაზე. ნარგიზას ქალბატონი დაუჯდა სასაუბროდ... თანდათან გაიბა ნღობის ძაფები... ჩვენ დაბლა ჩამოვედით, წისქვილთან, სადაც მანქანა გვეყენა. ჰოი საოცრება... ვხედავ, მოსულან ჩაქველთელები და ისმის ხმამაღალი ქართულ-თურქული საუბარი, ხუმრობა, სიცილი...

რამდენიმე წუთის წინ ვერც კი წარმოვიდგენდი, ამ სოფელში ვინმე თუ იცინოდა. თურმე იცინიან! და როგორ შევინთ დიმილი!

მივესალმე შეკრებილთ. ჩვენები უკვე გაშინაურებულიყვნენ. მეც ჩავერთე საუბარში. ჰაჯის, რომელიც ყველაზე მეტად აქტიურობდა, ვკითხე:

– ოთხი წლის წინ, თქვენმა ყოფილმა მუხტარმა მითხრა, რომ დაბლა, ციხის გასწვრივ, კლდეში დიდი მადარააო. კედლებზე ქართული წარწერებიაო. ფეხები მტკივაო, მოიმიზეზა და ვერ გამოგვეყვა, ჩვენ კი ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ვერ მივაგენით-მეთქი. თან დავუმატე: – ოთხი წელია, ვდერდოფ, მადარები რომ ვერ ვნახე-მეთქი.

გაბრაზდა ჰაჯი: მაგას ფეხები ტკივა და მე არა ხომ? იტყუება. მატყუარააო ეს კაცი!

– არაფერში გარიაო, რომ იტყვიან, ისე გამოლანძღა ჰაჯიმ მუხტარყოფილი.

– მე გაგყვებით მადარაში, ოღონდაც იქ არ დამტოვოთო, – გვთხოვა ჰაჯიმ.

კარგა ხანს ვისაუბრეთ. ტოპონიმები ჩავიწერეთ საკმაოდ ბლომად: **თუქანსუკან** (\*დუქანსუკან?), **კლდეთუკანა**, **ვერხენაღლი**, **დარიები**, **ატიანი**, **თხინნარათი**, **ხუხულა**, **ბასილათი**, **კუნტიკალო**, **თეთრობი**, **საკირიათი**, **ვარების ყანა**, **ჩაკიდულა**, **გუბათი**, **ძვარეთი** (\*ზვარეთი?), **ვენახი**, **ციხიყელი** (ქილისა ყოფილა აქაო ძველათ), **ნახორავეები**, **მეთაბრა**, **საყავრიათი**, **დადიენთი**, **ლაზიენთი**, **გადმიენთი**, **სათრითავი**, **ყანითავი**, **ზედაურები**, **გოზალიენთი**.

მხიარული მასპინძელი და კარგი მოსაუბრე გამოდგა ჰაჯი თემელი (დემირჯოღლებიდან). შემდეგ მომშეულები იქნებითო და ნიგეზიანი დვეზელები მოგვართვეს. ოჯახშიც მიგვიწვიეს, დარჩითო ჩვენთან. ყველა ოჯახი დაგაყენებთო, გვითხრეს. თავაზიანი უარი ვუთხარი. ვთხოვე ჰაჯის, წაგვეყვი-მეთქი მადარაში.

დაბლა დავეშვით, იქ, სადაც ჩაქველთური ყიშლებია. ციხის ასასვლელთან მანქანა გავაჩერეთ, ბილიკით ციხის საპი-

რისპირო მხარეს 500-550 მეტრი გავიარეთ. შემდეგ მადლა წავედით. საკმაოდ ძნელი ასასვლელია. ხის ტოტებითა და ბარდის ლერწებით ვიმაგრებდით თავს და მადლა-მადლა მივცოცავდით. როგორც იქნა, დასრულდა უხერხული აღმართი და ქვაბს მივადექით. საკმაოდ დიდი გამოქვაბულია. სიგრძე 50 ნაბიჯამდეა, შეიძლება მეტიც, სიგანე – 20-25. ბუნებრივი გამოქვაბულია, ერთი შეხედვით კაცს კედლები დამუშავებული ეგონება, მაგრამ ასე არაა. ბუნებრივია, ვეძებთ წარწერებს, მაგრამ ამოდ. აქ ასეთი არაფერია. ვცდილობთ, კარგად დავათვალიეროთ, იქნებ გასასვლელი აქვს გამოქვაბულს მეორე მხარეს. ჩამოშლილია ქვები. ჩამოშლილი კედლის უკნიდან ჰაერი მოძრაობს თითქოს.... შესაძლოა, მართლაც გრძელდება ქვაბი სიღრმეში, ახლა იქით გასასვლელი არ არის.

ოქროსმადიებლები აქაც ამოსულან. უთხრიათ, უძებნიათ ალთუნი... ალბათ არაფერი უპოვიათ; ან რა უნდა ეპოვათ?!

მრავალი კითხვა მიტრიალებს გონებაში:

მართალია, ქვაბი ბუნებრივია, მაგრამ შეიძლება ძველი ადამიანის სადგომი იყოს იგი;

ნუთუ მართლა გრძელდება გამოქვაბული სიღრმეში და ახლა ვეღარ ვახერხებთ მის ნახვას? (ჯერ კიდევ მუხტარყოფილის ნაამბობის გავლენის ქვეშ ვარ);

წარწერები მართლა იყო აქ თუ იცრუა მუხტარყოფილმა? რაში დასჭირდა ასეთი სიცრუე?

მნიშვნელობა აღარ აქვს, რა გვითხრა მუხტარყოფილმა ამ ხუთი წლის წინ. ჩვენ ვნახეთ **ჩაქველთას ქვაბი** (ტერმინი ჩვენია –მ.ფ.), დავათვალიერეთ და კმაყოფილები დავეშვით დაბლა. აქედან 500-600 მეტრში ჩვენი მანქანა და ტარიელი გველოდებიან.

დადღილები ავედით ზემო სოფელში, ავიყვანეთ ჩვენი მეგზური, ბატონი ჰაჯი, ქალბატონები ჩავსვით მანქანაში და შავშათში დაგბრუნდით.

შოთა, გურამი და თამაზი უკვე დაბრუნებულიყვნენ სასტუმროში. მათ აზომეს ე.წ. ჩაქველთას ციხე (ციხის ნამდვილი სახელი უცნობია, უფრო საძიებელი ისტორიულ წყაროებში,

პოვნამდე ვუწოდოთ ჩაქველთას ციხე. სოფელში ისიც გვითხრეს, *მეთაბრას უწოდებდნენ ამ ციხესო*, თუმცა აღნიშნული სახელი ქართულ საისტორიო თხზულებებში ვერ დავადასტურეთ).

## ბაზგირეთსა და საზგირელზე

3 აგვისტოა. დღეს ბაზგირეთში მივდივართ. ამინდიც ხელს გვიწყობს. დილის საუზმისა და მცირე სამზადისის შემდეგ ბაზგირეთის გზას დავადექით. საკმაოდ შორია სოფლამდე, – შავშათიდან 57 კილომეტრი. გზად ხევწვრილის// ხევწრჭლის ციხე უნდა გადავიდოთ, შოთა და გურამი, ზაზასთან ერთად, აქვე უნდა დავტოვოთ სამუშაოდ. შესასწავლი და ასაზომ-დასათვალიერებელი, კაცმა რომ თქვას, არცთუ ბევრია, მაგრამ რაც არის, უნდა დაფიქსირდეს. ქართულ წყაროებში ამ ციხის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. ციხის ნამდვილი სახელიც არ ვიცით. **ხევწრჭლის ციხეს** სოფლის სახელის მიხედვით ეძახიან; არადა, იგი ორგანული ნაწილია სამხრეთ საქართველოს, ჭოროხის აუზის, ერთიანი თავდაცვითი სისტემისა. ასე რომ, მის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში მასალის შემოტანა რიგიანი საქმეა. სამომავლოდ იქნებ ამ ციხის ისტორიული სახელიც დადგინდეს...

დაახლოებით დილის 10 საათი იყო, ციხეზე რომ ავედით. რაღა ციხეზეა საუბარი, მცირე კოშკილა გადარჩენია დროსა და ადამიანის ხელს. ციხის ნაწილი ხეობაში გზის გაყვანას შეწირვია, ნაწილიც დროს უმსხვერპლია; რაც დარჩენილა, არც მას უწერია დიდი დღე, მალე ისიც ჩამოიშლება. ჩანს, აქედან უთვალთვალებდნენ მეციხოვნენი ხეობას. კჳონდა ამ ციხეს თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა. თუ რა, ამას მისი შესწავლა დაადგენს. ჩვენთვის დღეს მთავარი იყო, რომ ძეგლზე არქეოლოგები მივიყვანეთ და მათი პირველადი აზრიც მოვისმინეთ. ჩანს, ციხე IX საუკუნეზე ძველი არაა. პირ-

ველადი დათვალიერებით გაირკვა, რომ მასზე მომდევნო პერიოდის დანაშენიც იკითხება... ვფიქრობთ, მომავალში უფრო მეტი გვეცოდინება ხევწვრილის ციხის შესახებ.

გზა ბაზგირეთისაკენ გავაგრძელებთ. წინა ექსპედიციის შემდეგ სასოფლო გზები კარგად შეუკეთებიათ, გაუფართოებიათ კიდევ. როგორც გვითხრეს, მალე ბეტონსაც დააგებენ. ავედით ბაზგირეთში. ქვემო უბანში ძველი ნაგებობები შეგვხვდნენ. ახლა ჭალობაა. მოსახლეობა სათიბშია გასული. წელს ამინდები არ უწყობთ ხელს, ხშირად წვიმს, ჭირს თივის გაშრობა-დაბინაგება...

ქალბატონები – მერი, თინა და ნარგიზა – სოფელში დარჩნენ სამუშაოდ.

თამაზი, მალხაზი და ნიკა გადაღებებით არიან დაკავებული.

შოთა, გურამი, ზაზა, ტარიელი და მე საზგირელზე წავედით. მეგზურობას ძველი ნაგებობი ოსმან იშიქი გვიწევს. სათიბში მიმავალმა, დაგვინახა თუ არა, ცელი იქვე მიაგლო და ჩვენს მანქანაში ჩაჯდა. თან ხუმრობდა:

– ქალმა რომ გიმიგოს, თქვენ მოგვევებით, გამცვეთსო, **ამმან არ თქვათ, არ გააცვეთითო ჩემი თავით**.

აღმართებია. ხანგრძლივ წვიმებს დაუზიანებია მოკირწყლული გზები. უჭირს ჩვენს მანქანას, უჭირს ტარიელს, გვიჭირს ჩვენც. ხშირად ფეხით მივეყვებით გაჭირვებულ მინიბუსს, ვაწვებით, ვეხმარებით... ნელ-ნელა მივიწვეთ მალლა და მალლა. გავცდით გამეშეთს. აქედან ალპური მდელოები იწყება... ზემოდან დავცქერით გამეშეთის სათიბებს. თვალს უხარია აბიბინებული გაშლილი მდელოების ხილვა... გამეშეთლებს უკვე დაუწყიათ თიბვა, თივის ხორომებითაა მოფენილი ჭაღები...

გზად ოსმანი გვიყვება გუშინდელ ამბებს. სათავეში ფესტივალზე ყოფილა გუშინ. სტუმრებიც ბევრი ყოფილან. ბაიარ შაჰინიც, სხვებთან ერთად, უმღერია. ქორწილშიც ამოვალო, დაპირებია ბაზგირლებს.

– იცეკვე თუ იმღერე ფესტივალზე? – ვეკითხები ოსმანს.

– არა, მე არ მიცეკვია. დავლიე ბიჭების ერთად, – მპასუხობს.

– ბევრი დალიეთ? – ჩავეკითხე. ვიცი, უყვარს ქეიფი ჩვენს გიღს.

– ჰო, დავლიეთ, აბა!!!

– სასმელი ბლომად გქონდათ? – ვეკითხები ნიშნისმოგებით.

– ჰო, ჰოო, ჰოოო! ხელს აყოლებს და აღფრთოვანებას ვერ ფარავს ოსმანი...

როგორც იქნა, ავედით საზვირველზე (//საზვირველაზე, \*საცქირელზე?). ამართლებს ეს ალაგი სახელს. აქედან მართლაც ყველაფერი ჩანს: გაღმა კარჩხალის დაკბილული მთები, დაბლა – ბაზვირეთის დაილები, ჯანჯირ დაილა, როგორც აქ უწოდებენ; სულ დაბლა კარჩხალის ხეობა... ახალგაზრდები საქონელს მწყემსავენ, თამაშობენ კიდევ. რამდენიმე დღის წინ აქ თოვლი მოსულა, ძლიერ აცივებულა. ჭალაში მთიბავეებს მურთაზას ქოხისათვის შეუფარებიათ თავი.

– ახლა მიხტენ, რომ მურთაზად ჭკვიანია, აქ სახლი რომ ააშენაო, – ოხუნჯობს ოსმანი.

საინტერესო კაცია ჩვენი გამცილებელი, კარგი მოსაუბრე, ალაღმართალი, ხუმარა... გზაში არ ჩერდება, ათასნაირ ამბებს გვიყვება. ბაზვირეთლები სასაცილო ამბებს ყვებიან მაჭახლელებზე, სხვა სოფლებზეც. გვაწვრინებდა რა ტოპონიმებს, ოსმანმა ახსენა **ერბოს საშრობი**.

– რას ნიშნავს **ერბოს საშრობი**-მეთქი? – ვკითხე ინფორმატორს, ვიგრძენი უცნაურ სახელთან მქონდა საქმე.

– ოოო, ად გძელი ამბავია, ეშმაკები აუთამაშდნენ ოსმანს თვალეებში, ჰამა მოგიყვებით. ზათი მაგი გინდათ თქვენც. „მაჭახლელმა ერბო იყიდა და ცხენით მიჰქონდა. გზაში იფიქრა, ერბოს გავაშრობ, ასუბუქდება და ცხენსაც აღარ გუუჭირდებაო. გაფინა ერბო მზეზე, თვითონ ლოცვა დედაწყო. ლოცვა რომ გაათავა, ნახა, ერბო აღარ იყო. რაფერ გაჩერდებოდა მზეზე ერბო? გაჰერსებულმა ცხენს შუუტია:

– ამდენი ერბო მარტო შეჭამე? – შეეკითხა.

ცხენმა თავი დუუქნია... მაჭახლელმა დაქუხა და მოკლა ყათირი... ამიტომ დუურქმიან აქაურობიზა ერბოს საშრობი”, – დაასრულა ოსმანმა.

მშვენიერი ამბავია, ვერაფერს იტყვი.

მაჭახლელის „სიბრძნეზე” შოთა ხალისობს, იწერს წავაკითხებო ზოგიერთს.

გზად ოსმანი ბაზვირეთიდან მაჭახელში გადასასვლელ გზას გვასწავლის:

გერმანელ ტურისტს წავეყვი აქედან მაჭახელში მუხტრის დავალებით, შეიდნახევეარ საათში ჩავედითო:

– **აქედან ახვალ გამეშეთ, გამეშეთიდან – საზვირველაზე (საზვირველი დიდი დუზია, ბოლოში დაილაა), ქომოთ ემეში კარჩხალი არი, იქი ქომოთ არი თორმეტი სახლი... გაღმა ყორეზე გაკეთებულია ფენჯრები. ამბობენ, იქა თამარაა ყოფილაო... ჯანჯირი დაილაში ჩახვალ, იქნა აწავლებიო. ალაბალექ დიდვენახ უძახიდენ, გაღმა აშენებულია... გაღმი თერეფში, კლდიბირში, გზი თერეფისკე ფენჯრები აქ. მეც არ ვიცოდი. ბაბოე იქ ცხოვროფს, ბაბომ დამანახვა. ბაბოე მერაყლია, იქაო, ალთუნი არიო, წვედეთ, ვნახოთო...**

ნუკას საყდარზე გვესაუბრება ოსმანი. სჯერა, რომ აქ თამარ დედოფალი განძს ინახავდა. ასე ამბობს „ბაბოე”, ასე სწამს ოსმანს. შემდეგ განაგრძობს:

– **საზვირველიდან დაღის სადნობზე გახვალ, შემდეგ ლეკობნი სერი, – ხერთვისული დაილა, ხერთვის დაილიდან ქვაბითავ დაილაში გახვალ, ქვაბითავ დაილიდან ინაწმინდას, იქიდან ჩეხვალ მაჭენელში.**

მთა-მთა „გვატარა ოსმან იშიქმა – მჭედლიძემ მაჭახელამდე.

საუბარში საზვირველზე ავედით. თამარის სასვენიც ვნახეთ. გადაუთხრიათ ყველაფერი ოქროსმადიებლებს. შავშელთა რწმენით, ანდერძის თანახმად, თამარი აქ დაკრძალეს. საფლავის გასაიდუმლოების მიზნით, მხლებლებმა თავი დაიხოცეს. სადაც თამარა დედოფლის სასვენია, იქ ალთუნი იქნებო, უფიქრიათ „არქეოლოგებს” და გადაუთხრიათ საფლავები. წი-

ნა ამოსვლაზე ვნახეთ, საფლავეებიდან ამოეყარათ ადამიანის ნეშთის გადარჩენილი ნაწილები და მზის გულზე დაეყარათ. ვიდაცას ადამიანის თავის ქალა თბილისში წაუღია, ალბათ იმის ნიშნად, რომ საზვირველზე ვიყავიო. უტყუარი საბუთია, ვერაფერს იტყვის კაცი. ვაი ჩვენს თავს! საფლავეშიც აღარ ასვენებენ წინაპებს გონებააბნეული შთამომავლები...

ოსმანი გვიყვება:

– პროფესორი იყო გურჯისტანიდამ, იმან გვითხრა, აქ ალთუნი არ იქნება, საფლავეებს ნუ თხრითო, ნუ აწუხებთო მიცვალებულებს.

– მე ვიყავი ის პროფესორი-მეთქი, – მიუუბო.

– ჰოო, ისე გავ, შენ იყავიო, – დამიდასტურა ოსმანმა.

აღმოჩნდა, რომ საზვირველზე ეკლესიის ნანგრევებია. დი-ახ, აქ ეკლესია ყოფილა, მიშენებული ნაგებობებით.

კაცი იფიქრებს, ამ სიმაღლეზე (2300 მეტრზე მეტია ზღვის დონიდან) ვინ ამოდიოდა სალოცავადო. რადგანაც სალოცავი ააშენეს, ამოდიოდნენ კიდევ. ჩანს, აქ გზაც გადიოდა, რომელიც საზვირეთის ხეობას სხვა ხეობებთან აკავშირებდა. შესაძლებელია, აქ გზაგასაყარიც იყო და ამ გზასაც უფრო მეტი დატვირთვა ჰქონდა, ვიდრე ხეობების დაკავშირებაა. თუ ყველაფერს გავითვალისწინებთ, აქ, მთის მწვერვალზე, ეკლესია არაა გასაკვირი.

საზვირველზე ასულებს აუცილებლად გეტყვიან, რომ აქ წარწერებიანი ქვა იყო. ფიქალზე ეწერა რაღაც. ვიდაც ხოჯამ წაიღო ამ ათი წლის წინ სტამბოლში და დაიკარგაო...

სხვა იტყვის ქვა გატყდაო, დაიშალაო...

არავინ იცის მართლა იყო თუ არა წარწერიანი ქვა საზვირველზე. შეიძლება იყო კიდევ...

სხვამ კიდევ გადაწერა სიგარეტის კოლოფზე, წასაკითხად წაიღო ართვინში ქართულის მცოდნე ადვოკატთან, მაგრამ ადვოკატი სტამბოლში წასულიყო, შემდეგ კი დაკარგა ქვალადი...

იმასაც გეტყვიან, ფიქალზე ეწერა „თამარ დედოფლის სასვენო“...

საზვირველთან ახლოს ხარის საწოლია, „ხარი მათალი“, როგორც უწოდებენ. მეორე ხარი მათალიც აქვთ ბაზვირლებს, აქედან რამდენიმე კილომეტრით მაღლა, ღრუბლებში გახვეულ მთის წვერზე. იქაც აძოვებენ ხარებს. ნაიალადარი ხარი კი დიდი ძალაა აქაური კაცისათვის. უყვართ ბაზვირეთში ხარი და ჩომა. წუხს ოსმანი:

– ჩვენ რომ აღარ ვიქნებით, გენჯები ჩომას და ხარს აღარ შეინახვენო...

საზვირველს ქვემოთ მადარები მეგულებს. მე და ზაზა ჩაველით იქ. გაგვიჭირდა, მაგრამ მაინც ჩაველით. სიფრთხილეა საჭირო ქვაბებში ჩამსვლელისათვის, თორემ დაბლა ქარაფები...

რამდენიმე ბუნებრივი გამოქვაბულია აქ. შეიძლება, უძველეს პერიოდში თავშესაფარადაც იყენებდნენ აქაურები. ასე მე ვფიქრობ, თორემ სპეციალისტები ეჭვით უყურებენ ჩემს ვარაუდს. კაცმა რომ თქვას, მე იქ ვიყავი და ასეთი აზრი გამიჩნდა. სხვები, ზაზას გარდა, არავინ ჩასულა და განსხვავებული აზრი კი აქვთ. საინტერესოა...

შესწავლა სჭირდება ამ ქვაბებს. დასკვნებიც შემდეგ გაკეთდება. იქამდე მხოლოდ ვარაუდებია შესაძლებელი.

გურამმა შორიდან გადაუღო ქვაბებს სურათები, დაბლა აღარ ჩასულა, არც შოთა.

წამოსვლის დროც მოვიდა. გადავწვიტეთ, გვესადილა (თუმცა უკვე გვიანაა და მაღე ვახშმობის დრო იქნება). საზვირველს ქვემოთ, წყაროსთან, ვისადილეთ, ორიოდ ჭიქაც დაველიეთ ოსმანთან და მის ნათესავთან ერთად, საზვირველზე რომ შეგვხვდა. დავლოცეთ აქაური სალოცავები და ბაზვირლები.

ზაზა სადღეგრძელოებს ამბობს, მაგრამ არ სვამს. ოსმანი აძალებს, დალიე, კარგაო.

– რა დღე დამიდგა, მე ღვინოზე უარს ვამბობ და „ბაზვირელი ოსმანია მაძალებსო“, – ამოიხრა ზაზამ (უყვარს ზაზას ღვინოცა და ქეიფიც. დღეს განტვირთვას აკეთებს, ამიტომაც არც ჭამს და არც სვამს).

ოსმანი გვეპატიუება, კვირას ბაზგირეთში ქორწილია და „ილქენა ამოხედეთო“. ვნახოთ, მოვახერხებთ თუ ვერა. და-პატიუება კი თავაზიანად მივიღეთ.

P.S. უკვე ბნელდებოდა, სოფელში რომ ჩამოვედით. ყველა კმაყოფილია დღევანდელი დღით. კარგად გვიმასპინძლა ბაზ-გირეთმა, ბაზგირეთულად, ქართულად.

თინამ კარგი მასალები ჩაიწერა ფოლკლორული;

თამაზმა – ეთნოლოგიური;

მერიმ – დიალექტოლოგიური;

მალხაზმა და ნიკამ გადაიდეს, რა გამოვა არავინ იცის;

მე, შოთამ, გურამმა და ზაზამ, ბაზგირელი ოსმანის თან-ხლებით, საზგირელი მოვინახულეთ და დავიკმაყოფილეთ ცნობისწადილი. ბოლოსდაბოლოს პროფესიონალებმა გვით-ხრეს, აქ ეკლესია ყოფილათ და არა სხვა რამ.

ნარგიზა მთლად ბაზგირეთში დარჩა, იმუშავებს ამდღამ და ხვალ შემოგვიერთდება შავშათში...

## ჩიხისხევში, დასამობსა და დავლათში

4 აგვისტოს ჩიხისხევით ვიწყებთ.

ჩიხისხევს მიმავლები შერთულს ქვემოთ, ესკიყაღეს (უს-ტამისი) ასახვევს, გაცდით 2 კილომეტრამდე და მარჯვნივ ავ-უხვიეთ. გზა მალლა-მალლა მიემართება. კარგი, მოკირწყლუ-ლი გზაა. 5-6 კილომეტრი გავიარეთ და მივადექით სოფლის ქვემო მაჰალეს. მწვანით დაფარული ღამაზი სოფელია ჩიხის-ხევი. ჩანს, აქ მრავლადაა ხილი - მსხალი, ვაშლი, ყურძენი, კაკალი, ხარობს წაბლიც (შავშეთის სხვა სოფლებში იგი არ შეგვინიშნავს)... სოფელში ბევრია სიმინდის ყანები, თესავენ ღობიოსაც.

ჩიხისხევი რამდენიმე მაჰალესაგან შედგება, ესაა: **კოკბერეთი//კოკვერეთი, ზუბიენთი, წელწათი//წერწათი, დუღბიენთი, მოკლითი, ხოზაბირი//ხოლაბირი.**

ქვემო მაჰალეში (კოკბერეთი) ქართული ცუდად იციან (თითქმის დაუვიწყიათ მშობლიური ენა). გაჭირვებით ლაპარაკობენ ქართულად; თუმცა იმის გამოთქმა, რაც იციან, არ უჭირთ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩიხისხეველები მიმდობი და თბილი ხალხია. როგორც კი უცხო მანქანა დაინახეს, შე-იკრიბნენ სოფლის ცენტრში, ადვილად შემოვიდნენ კონტაქტში...

გვირჩიეს, ზემო სოფელში ადით, იქ უკეთესი ქართული იციანო. ასეც მოვიქეცით. 12 საათი იქნებოდა, ზემო მაჰალეში რომ ავედით...

ჩიხისხევი პირველ რიგში ყურადღებას იქცევს აქ მცხოვრები გვარებითა და შტოგვარებით:

**კოკბერეთში** ცხოვრობენ: ყავეჯოღლები (ღაზია რიხედან), ხოჯოღლები (ადანადან მოსულან), ჭიკვიები (ღაღაბია, პატარები არიანო, ჭიკვი), ზუბოღლები (ყირიმიდან მოვიდნენო)...

**ზუბიენთში:** ზუბოღლები, მამალიშვილები (ხოროზოღლები, მაჭახლიდან მოსულან), ბერიშვილები (იხტიაროღლები), ყარსელოღლები (ორი ოჯახია, ყარსიდან მოსულან)...

**წელწათში//წერწათში:** დელიოღლები (ღეჩიშვილები), თათოღლები (მაჭახლიდან)...

**დუღბიენთში:** გენჯოღლები, იხტიაროღლები...

**ბარებში** - ჯიკვიები...

**მოკლითში** – პაპიები...

უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მოსულს უწოდებს თავისთავს. „**ქართველები აქ არეველობის დროს მოკრებილან. არეველობა იყო მა, ქართველი მოჰაჯირათ წევდა... ერმენები იყვენ აქ, ართვინქალაქიამ. ქართველები მუჰაჯირათ წევდენ. ვინცხა ქი იქა წევდა, ოსმანდომ მიწა მიცა... აქ ძველი, ძერლი არავინ არიან**“ – მოგვითხრეს ზურბიენთში.

აქაც იგივე სურათია: დააჯერეს, რომაქ პირველად ერმენები ცხოვრობდნენ, ჩვენ მოსულები ვართ... ყურადღება მივაქციოთ, „ერმენები ყოფილან აქ ართვინქალაქიამ“, ჩანს არეველობის დროს მოსული.



თეიარ მირზა ავჯი (ყავეჯოღლი) ღურგალია, სახლებს ვა-  
შენებდო, გვითხრა. ვთხოვე, მოეთხრო სახლის მშენებლობის  
შესახებ. მოკლედ ასე აღწერა მშენებლობის პროცესი:

– ხეს მოჭრიდენ, გაახევიებდენ თახტას. გარე თერეფს  
ლამფას ვეტყოდით, შიგან – ფიცარი. ძანას ამოგჭრიდით,  
თახტას ერთმანეთზე დაგარიგებდით, გაკეთდებოდა... ქვეშ ჩო-  
მის ახორს, ზეით დასადგომ სახლს გაგაკეთებდით. სახურავს  
ყავარს დავახურევიდით...

ყავარს ასე ვხდიდით: მოგხევიდით ერთნახევარ მეტრო  
მორს, შუაზე გავხეთქავდით. თელი ხე არ იქს, გამორჩე-  
ვი'ნა იყოს. ერთი ხიდან ხუთას ყავარს გამევიდით...

ჩიხისხევილებიც, სხვა სოფლების მსგავსად, აღპურ მესა-  
ქონლეობას მისდევენ. საბურთიას დაილაზე დაჰყავთ საქონე-  
ლი. გვიან შემოდგომაზე სოფელში ჩამორეკავენ.

მოსახლეობის დიდი ნაწილი წასულია სოფლიდან. უმეტ-  
ესად ბურსასა და იზმითში გადასახლებულან. ზაფხულობით  
მოდინ ხოლმე მშობლიურ სოფელში...

შუადღის სამი საათი იქნებოდა, ჩიხისხევიდან წამოვედით  
და დასამობისაკენ გავწიეთ.

დასამობი შერთულს ზემოთაა, გზის პირას, ჩაქველთას  
ციხესთან მისვლამდე. უმჯობესია ითქვას, რომ გზის პირას,  
მდინარის გაღმა-გამოღმა ქვემო მაჰალეა, სადაც ზამთრობით  
ჩამოდინ დავლათიდან და ნიოლეითიდან.

დასამობი რამდენიმე მაჰალესაგან შედგება: ბრილი, დავ-  
ლათი, რაბათი, (გზის პირასაა, მას სხვა სახელითაც იხსენე-  
ბენ: ფხიკიური/ფხიკური), ნიოლეითი. დავლათი და ნიოლეითი  
ზემო მაჰალეებია, ბრილი და ფხიკიური – ქვემო.

დასამობის შესახებ ნიკო მარს ჩაუწერია ასეთი გადმოცე-  
მა: „აქ ცხოვრობდნენ და და ძმა, მაღალ მთაზე, ჩრდილოეთ-  
ით. და გაიქცა სათამაშოდ, ძმა გამოეკიდა. დაინახა, რომ და  
სამობს (ცეკვავს). აქედან დაერქვა დასამობი” (ნ. მარი  
1911.:35).

გონებამახვილური დაკვირვებაა. ძალიან საინტერესოა  
ხალხური ეტიმოლოგიები. მისი გამოწვევლივით შესწავლა

ეთნოფსიქოლოგიის ბევრ მნიშვნელოვან საკითხს მოჰყენს ნა-  
თელს. გონებამახვილური დაკვირვება ეთნომენტალობის გა-  
მოვლინებად მიგვაჩნია...

ჩვენი დაკვირვებით, დასამობი <\*დასამობი'დან (დასაწვი-  
სი). დასამობი ხომ სოფლის საწყისი უბანია.

დავლათში შუადღის შემდეგ ავედით. დასამობიდან დავ-  
ლათი არცთუ შორსაა, მაგრამ საკმაო დრო დაგვჭირდა, ვიდ-  
რე სოფლის აღმართებს ავივლიდით. სოფელი ლამაზია, მა-  
ღალ კლდისძირა ველზე გაშენებული. გაღმა სოფელი უფრო  
ფერდობზეა შეფენილი.

დავლათელებსაც იგივე პრობლემები აწუხებთ, რაც  
სხვებს:

– ზაფხულობით მოდინ, „ზამთარში წადიან“;

– გენჯებმა გურჯიჯა არ იციან, გეფგებენ, ვერ დუულაპ-  
არიციან;

– ჩვენი დაილაჲ კარჩხალაა, ზაფხულში ჩომას, კარს იქ  
წავასხამთ;

– უწინ აქ პურ თესევიდენ, ჭვავ თესევიდენ, ახლა ადარ თე-  
სენ, ფარას მიცემენ, ედებენ...

სოფელი ამართლებს სახელს, დოვლათიანია.

სხვადასხვა ჯიშის ხილს შეხვედებით დავლათში:

მსხალი: პაპაჲ, წარიჲ, ჩიხორულაჲ, ერბოჲ, ხრაშუნაჲ,  
თავრეჯულაჲ, სასელაჲ, ხეჭეჭურაჲ, აშილაჲ, ჭურაჲ... სხვაც  
არისო, გვითხრა ინფორმატორმა, ვერ მომიგონებიაო. აღვნიშ-  
ნავ, რომ ჩამოთვლილი მსხლის ჯიშებიდან ბევრი აჭარაშიც  
გვხვდება, სხვა მხარეებშიც...

ვაშლი: წითელვაშლი, ზიარეთი ვაშლი, ბუმბულაჲ, სინკო-  
თელაჲ, დემირალმა...

ქლიავი: ტყუბაჲ, შავი ქლიავი, თეთრი ქლიავი, დოდოფლო  
(დედოფალას||დოდოფალას ეძახიან ჩვენს სოფელში – მ.ფ.),  
ქლიავი, სართულაჲ...

ყურძენი: თეთრი ყურძენი, შავი ყურძენი, ადესაჲ.

ძველად ზამთარ-ზაფხულ სოფელი აქ ცხოვრობდა. ახლა ზამთრობით ბარში ჩადიან. ჩომას ჩარეკავენ, თივას ურმებით ჩაწიკავენ, ბარში, დასამობში გამოიზამთრებენ...

დავლათელებს რომ ჰკითხოთ, მათი ძველები „ბათომილამ მოსულან ზათი. ზველათ აქ ერმენებს უცხოვრიათ“.

მართლაც, გ. ყაზბეგი ახსენებს, რომ რაბათში (დასამობის უბანია) სომხები ცხოვრობდნენ, აქ ეკლესიაც ჰქონიათ. რაბათელები დღესაც გაჩვენებენ ადგილს, სადაც სომხური ეკლესია მდგარა, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ აქ სულ „ერმენები მსხდარან“. რაბათი სავაჭრო ადგილი იყო და სადაც ვაჭრობაა, იქაა სომხობაც. საფიქრებელია, რატომ გაჩნდა ამ კუთხეში აზრი, რომ აქ სომხების საცხოვრისი იყო ოდითგან, ქართველობა კი შემდეგ მოვიდა უმეტესად ბათუმიდან? რა, ოდესმე ვინმეს შეუტანია ეჭვი, რომ შავშეთი უძველესი ქართული რეგიონია? რამდენადაც ვიცი, არა. აქ რაღაც სხვა მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე. საძიებელია, საიდან იღებს სათავეს აზრი, რომ აქ „ზველათ ერმენები მსხდარან“...

დასამობშიც იშლება ტრადიციული ქართული მეურნეობა:

– აქა ზველათ ჭურებ ვაკეთებდით, ვყიდევდით. კეცებ ვაკეთებდით, ქოთან, დერგებ ვაკეთებდით... თიხას ზეიდან მოვტანდით, ფურუნში გამოვწვავდით... ახლა აღარ ვაკეთავთ.

– ზველათ ჯარებ შევნახდით, ახლა აღარ ვინახავთ. ადგა ად საქმე.

– ზველათ ჯარით დავხნავდით, ბუღდას დავთესევდით, ჭვავ დავთესევდით... ახლა აღარ ვთესავთ, მარკეტში ევლებთ... – მოისმენთ ასეთ, ვიტყვით, სევდიან ამბებს, დავლათელთაგან.

დავლათელებმა ისიც იციან, რომ ნუხ ფეილამბერის (ნოეს) ნავი „კარჩხალი თაზე დუშუბამან... ქვა გახრეტილი ყოფილა და ჰაღდა გამუშუბამთ სხვილი...“ იციან, სადაა „ჰაღდა გამობმული“, მათ დედებს უნახავთ, მათაც იციან, „ჰამა ვერ მიხვალთ, ძნელი მისასლელია...“

მოდით და ნუ დაიჯერებთ, დედებს ნათქვამი აქ გადასინჯვას არ ექვემდებარება! დედებ იტყობდა, ესე იგი ასე იყო...

ჩვენი ყურადღება მიიქცია სოფელში გაგონილმა ზოგიერთმა ტერმინმა:

ციყვს თათარზენას ეძახიან. ეს ტერმინი სხვაგან არ შეგვხვედრია. აღვნიშნავ, რომ ტაოში ციყვს კაკლიმყვარი ქვია. ამ კუთხეებში კაკალი ბევრია, ამიტომაც თათარზენა თუ კაკლიმყვარი „მოვა, მედპარავს კაკალს, გედპარვის“.

ფცქვინი – დიდი თაგვია...

ბალახეულიდან აქ შეხვდებით: წმინდა ბალახს, ღაგადარღვას (მრავალძარღვას – მ.ფ.), ფართო ბალახს, ლიხვინას, სამყურას, ჭინჭარს, კატაბალახას...

აქვე აღვნიშნავ, რომ ჯერ კიდევ შესაკრებია საქართველოს (სამხრეთ საქართველოს მაინც) მცენარეული საფარის დიალექტური სახელები. აშკარად ჩანს, რომ ბევრი ფიტონიმი, განსაკუთრებით ბალახეულის სახელები, დავიწყებას ეძლევა. სოფელში მოიკითხავ კონკრეტული ბალახის სახელს და აღარ ახსოვთ, გაასუხობენ: – ბალახია და... რაა ქვია არ ვიცი. ჰვლებთ ბერებს ეცოდინებათ...

ის ბერები კი დიდი ხანია, დაიხოცნენ.

დავლათში უზუნები ცხოვრობენ... ჩვენც ჯვერი და მუხამედ უზუნები გვმასპინძლობდნენ. ჩემი ყურადღება მიიქცია დავლათელების ქართულმა მეტყველებამ, მათმა ქართულმა გამოთქმამ. სულაც არ ეტყობათ, რომ ორენოვნები არიან და დომინანტი სწორედ ის მეორე ენაა...

მუხამედ უზუნს ვკითხე:

– ქართულად უკეთესად საუბრობთ თუ თურქულად?

– ქართულადო, – არც დაფიქრებულა, ისე მიპასუხა.

საღამოს დასამობის კიდევ ერთი უბანი - რაბათი ვინახეულეთ. იგი გზისპირა მაჰალაა. როგორც აღვნიშნეთ, რაბათს ფხიკიური/ფხიკურიც ქვია. ამათგან პირველი ახალია, მეორე – ძველი...

რაბათელებიც კარგი მექართულეები არიან. ჩვენი ერთი იმფორმატორი განათლებით ისტორიკოსი აღმოჩნდა. არზრუ-

მის უნივერსიტეტი გავათავო. მეო ვერ ვენდობი ვერც ქართველ და ვერც თურქ ისტორიკოსებს. **ქართველები გულით წერენ ისტორიას, თურქები – გონებით.** ამიტომაც უცხოელი ისტორიკოსები უფრო სანდოები არიან. მე ვიცი, ძველათ აქ საქართველო იყო...

ვერ შეეკამათები. აქვს საფუძველი მის უნდობლობას. ჩვენი ინფორმატორი თურქულ ისტორიოგრაფიაზეა აღზრდილი. ისტორიოგრაფიაზე, რომელიც ხშირად გონების ნაყოფია და არა დოკუმენტებით აღდგენილი ობიექტური სინამდვილე... მოვიყვანთ ერთ კონკრეტულ მაგალითს თურქული ისტორიოგრაფიის გავლენისა ხალხის ცნობიერებაზე:

შავშეთში, ყვირალას ხეობაში, ერთი ადგილობრივი მშობლიურენადაკარგული ქართველი, რომელმაც ჯერ კიდევ იცოდა **პანტა, მერცხალი** (მოცხარი – მ.ფ.), **თუთა, წყარო...**, გვიმტკიცებდა, რომ იგი **ყიფნალი (ყიფნაყი)** იყო, რომ აქ, ამ კუთხეში, უწინ **ურუმები** ცხოვრობდნენ და ისინი იმათი წასვლის შემდეგ მოვიდნენ. ყიფნაყობას იჩემებენ შავშეთის სხვა მკვიდრნიც (ათაბაგები შავშათიდან და სხვები). ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: ვინ ჩაუნერგა ამ ხალხს, რომ ყიფნაყები არიან? დასმულ კითხვას თურქულ ისტორიოგრაფიამდე მივყავართ. თურქულ საისტორიო ლიტერატურაში არაერთგზისაა მოცემული ცდა ქართველთა ვინაობის ახსნისა, ოღონდ ამ ცდებს უფრო მსოფლმხედველობითი დატვირთვა აქვს, ვიდრე მეცნიერული. ქვემოთ შევეხებით **თეფიკ ათასელიმის** (Tevfik Ataselim) „ნაზრეს“ ნაშრომში **„Kadim Türk Boglarından, Kolxitler (Megrellar), Gürgüler, Lazlar” (Istanbul 1993)**. სათაურიდანვე ჩანს, რომ მისთვის კოლხი მეგრელია მხოლოდ, ლაზი ცალკე ეთნიკური ჯგუფია. წიგნის ერთი თავი (გვ. 30-50) საქართველოს ეძღვნება. ავტორი ცდილობს, გაარკვიოს ქართველთა წარმომავლობისა და ქართული ენის ნათესაობის პრობლემები.

მკვლევრის აზრით, რომ ვამბობთ ქართველებიო, საკმაო მრავალფეროვნებასთან გვაქვს საქმე (ქართველთა ოთხ ეთნი-

კურ ჯგუფს ხედავს თ. ათასელიმი): 1. **გურ** (Gür), 2. **იმერეთი** (Imeret), 3. **ქართელ** (Kartel, „Kartvel”), 4. **მეგრელი** (Megrel). მეცნიერი იმოწმებს **ედიფ იაფუზს** და ამტკიცებს, რომ **გურჯი** ავარიული **გურში**დან მომდინარეობს. რადგანაც ავარები თურქული მოდგმის ხალხია, ქართველებიც თურქული მოდგმისანი არიან, გვიმხელს საიდუმლოს „მკვლევარი”.

„დაადგენს” რა ქართველთა თურქულ წარმომავლობას, თ. ათასელიმი გთავაზობს მისეულ „ეტიმოლოგიებს”:

ა. **Gurlar**’ებიდან ერთი ტომი **გურჯებია**. თუმცა **Gur-Gu**’ში **Gu** (ჯუ) აფიქსი თურქულია. აქედან მივიღეთ **გურჯ**’ები.

მკვლევარს ავიწყდება, რომ **გურჯი** ქართველთათვის მეორეული სახელია, სხვისი შერქმეული და, ამდენად, მისი ეტიმოლოგია, თუნდაც მეცნიერული, **ქართველის** წარმომავლობის დასადგენად ვერ გამოდგება.

ბ. **იმერლების** (Imeretler) შესახებ მეცნიერი წერს, რომ ძველი **ავარების** დროს **იმერეთს იბერია** ერქვა. **ბ/მ**’ს შენაცვლებით მივიღეთ **იმერია**. თ. ათასელიმის აზრით, **იმერეთი (<იბერია)** ავარული სიტყვაა.

გ. მკვლევარი, ფ. ქირზიოღლუზე დაყრდნობით, ამტკიცებს, რომ „იმერიის მეფე ვახტანგ გურგ-არსლანია (ვახტანგ გორგასალს გულისხმობს – მ.ფ.). როგორც ვხედავთ, აქ მაჰმადიანურ სახელს (არსლანი) წინ ქრისტიანული სახელი ახლავს. **გურქ-არსლან** = **გურლუ ასლან** (Gurk Arslan=Gur-lu-aslan) თურქული სიტყვაა. **ვახტანგი** (Vaxtang) კი იქაური, ე.ი. ქართული სახელია, რომელიც ამ თურქულ სახელს ახლავს”.

შენიშვნა: საკითხავია, არის თუ არა „**გორგ არსლანი**” (**Gurk Arslan**) თუ **გურ-ლუ-ასლანი (Gur-lu-aslan)**, როგორც ავტორი წერს, თურქული სახელი, მით უმეტეს, მაჰმადიანური.

„მეცნიერს” სხვა მრავალი „უტყუარი ფაქტი” მოჰყავს ქართველთა თურქული წარმომავლობის დასამტკიცებლად. მისი ეტიმოლოგიური მსჯელობანი იმდენად უსუსურია, რომ სერიოზულ განსჯას არც ექვემდებარება, რომ არა ერთი გარემოე-

ბა: თ. ათასელიმის, ფ. ქირზიოდლუს, ე. იაფუზისა და სხვათა „მეცნიერული ნაკვლეგების“ საფუძველზე იქმნება სახელმძღვანელოები, რომლებითაც სკოლებში ასწავლიან ისტორიას, და, სხვებთან ერთად, თურქეთის საქართველოს მკვიდრ ქართველებს უყალიბებენ აზრს, რომ ქართველები და თურქები მონათესავე ტომები, ყიფჩაყების ჩამომავლები არიან.

იქვე ავტორი მსჯელობს ქართული ენის შესახებ. იმოწმებს ფ. ქირზიოდლუს, რომელიც თავის მხრივ ემყარება რ. გროსეტის (R. Grosset) მოსაზრებას, რომ „ქართულ-იმერული ენა (Kartvel-Imeret Dilleri) უახლოვდება კასპიის ზღვის ახლოს მცხოვრები ბურუშასკების ენას“ და ამტკიცებს, რომ **ქართული ძალიან ძველი, შუა აზიის ენათა ჯგუფში შემავალი ენაა**. ფ. ქირზიოდლუ მოიხმობს ნ. აღონცის აზრს: „გურჯები და ლაზები არიან ურარტუს წარმომადგენლები და მათი ენა ძალზე ახლოა ურარტულთან“ და განაგრძობს: ურარტულები **ჰურრიების (Hurriler), გურების (Gurlar)** ტომისანი არიან. ეს უკანასკნელი კი თურქული ტომია. ასე რომ **გურჯები და ლაზები** ძველი თურქული ენის წარმომადგენლები არიანო, ასკენის თ. ათასელიმი. უფრო შორსაც მიდის მკვლევარი: იმერლები და ჰურრები ცხოვრობენ ლეკებთან ახლოს; რამდენადაც კავკასიაში ცხოვრობენ და ძველი სიახლოვეც აქვთ, ერთმანეთს შეხვდნენ **ჰურრები (გურები), იმერლები, მექრელები (Mekrilerle)** და შექმნეს საერთო ენა, რომელსაც **ქართული ქვა**“...

ასეთ ისტორიას ვერ ენდობა ჩვენი რესპოდენტი და მართალიცაა. ჩვენ მიერ მოყვანილი ერთი კონკრეტული მაგალითია თურქული ისტორიოგრაფიიდან და სხვა რამდენია კიდევ?...

გზისპირას ვსაუბრობდით. რაბათელებს რომ დაეშორდით, უკვე ბნელდებოდა. მზე მთებს უკან მოეფარა. ხეობაში ჩამობნელდა, მაგრამ მთის წვერებს ისევ ანათებდნენ მისი სხივები.

დღეს არქეოლოგებიც კმაყოფილები დაბრუნდნენ. მათ სათლელის ციხის შესახებ მოიპოვეს მნიშვნელოვანი მასალა, შემდეგ **იფხრეულის** ციხეც აღწერეს, საფორთეფიკაციო ციხეაო, დაასკვნეს; ალბათ იმავე ეპოქაში აგებული, რომელშიც სხვა ანალოგიური ციხეებია აშენებული. არქეოლოგებმა ასევე წინასწარი დასკვნები გააკეთეს იფხრეულის „მაღარებზე“. ძველთაძველიაო, – ბატონმა გურამმა, – მეორე ათასწლეული-სა უნდა იყოსო ჩვენს წელთააღრიცხვამდე; ძალიან საინტერესო ნაგებობაა და მნიშვნელოვანია მისი შესწავლაო.

## ნიოლეთიდან ტბეთამდე

5 აგვისტო ნიოლეთით დავიწყეთ.

ნიოლეთი დავლათის მეზობელი სოფელია, იმავე სამუხტროზე მიბმული. სოფელში მისასვლელი გზა კარგია, თუმცა – აღმართი. ლამაზი სოფელია ნიოლეთი, თვალშისაცემად ლამაზი.

ჯერ კიდევ დილა იყო, ნიოლეთში რომ ავედით. მანქანა წყაროსთან გააჩერეთ. ვათვალიერებთ სოფელს. პირველი ნიოლეთელი გამონდა გზაზე, – ენვერ სეჩგი. გავიცანით. აუუსენით ჩვენი ამ დილაუთენია მოსვლის მიზეზიც. გაგებით შეხვდა ბატონი ენვერი ჩვენს მიზანს, როგორც აქ იტყვიან, „იყაბულა“, ჩვენთან ეთანამშრომლა.

ენვერი საკმაოდ განათლებული კაცია; ყოფილი ხოჯაა, ახლა – ემექლი. სხვათაშორის, ნიოლეთში ბევრი ხოჯა თუ ხოჯაყოფილი ცხოვრობს.

ენვერმა, ჩანს, კარგად იცის თავისი სოფელი. ჯერ ადგილის სახელები ჩაგვაწერინა: **ნასეფართი, ჭერულთი, ქვაფდე-რები, ბარნაზილი, ნადრიენტ ჭალები, დვიანარები, ჭოჭნარი** (წყლიანი ადგილიაო), **ლომელათი, გარეყანები, დათვიეთ თავი, სალებე** (ქვიანი ადგილია და ასე დუურქმიან), **თხილებ უკანა, გვერთყანები, მიღმიეთ წინა**...

წინათ აქაც მისდევდნენ მეთუნეობას.

**დავლათი დამ ტალახს ზიდევდენ და ჭურებ აკეთებდენ. ჭურეფში ლახნი ჯავეს ჩადებდენ. წყალსასმელსაც აკეთებდენ ტარიანს, ქოთან, დერგ გააკეთებდენ... ახლა აღარ აკეთებენ. ზველი კაცები დეფსოცენ, ახლები აღარ აკეთებენ... – დაასრულა თხრობა ენვერმა.**

ბატონ ენვერს მოსწონს აქაურობა. განსაკუთრებით ზაფხულობითაა აქ კარგი. **ზაფხული აქ გერმელიაო,** – გვითხრა გულწრფელად.

ჩაუყვებით სოფლის ორღობეს და მივადექით მუზაფერ ბუღბუღის ოჯახს. ეზოში თავი მოიყარა რამდენიმე ნიოლეთელმა. ყველანი ერთად ცდილობდნენ ჩვენი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას. ცდილობდნენ, დამაჯერებლად აეხსნათ ყველაფერი, რაც გვინტერესებდა. გაიგეს რა, უნივერსიტეტის პროფესორები ვიყავით, უფრო მოგვენდნენ, როგორც იტყვიან, გაიხსნენ.

ნიოლეთელები კარგი ქართულით საუბრობენ. მათ მეტყველებაში რამდენიმე სიტყვაში ისმის კარი, ისიც – შესუსტებული. უფრო ხანი ისმის, ვიდრე კარი...

ეზოში კიდევ ერთი მამაკაცი შემოვიდა, მუზაფერის ბიძაშვილი ოსმან ბუღბუღი. ჭალიდან ცელით მოდიოდა ბატონი ოსმანი. უცხოები რომ დაგვინახა, ჩვენთან გაჩერდა. საუბარში ჩაერთო. ჩანს, იგი კარგად იცნობს მთელ კუთხეს, შემოვლილი აქვს აქაური სოფლები და ზუსტად იცის რომელ სოფელში იციან ქართული და რომელში – არა.

საინტერესოდ გვეჩვენა ასეთი ინფორმაცია:

- **ახალდაბაში** ქართული იციან;
  - **ციხისძირში** – ძველებმა იციან, ახლებმა – არა;
  - **კარაგათში** (თურმანეთის გვერდითაა) იციან ქართული.
- თურმანეთში** (თურმანიზე მაჰალე, შედის ჩაქველთას სამუხტროში, მასზე მიბმული სოფელია – მ.ფ.) ქართული არ იციან, „თურმანეთი გადაბრუნდა...“

საინტერესოა ეს ცნობები იმიტომაც, რომ დასახელებულ სოფლებში საუკუნეზე მეტი ხნის წინ ქართული თითქმის და-

ვიწყებული ჰქონდათ (ასეთ ცნობას ვკითხულობთ გ. ყაზბეგის შრომაში), ახლა აქ ქართულის მცოდნეთა ნახვა, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია. აუცილებელია ამ ცნობის გადამოწმება და გადავამოწმებთ კიდევ.

ყავა მოგვართვეს. ყავის დაღვევისას კი ბევრის მოყოლა და მოსმენა შეიძლება. აქ ერთგულნი არიან ცნობილი „ჭეშმარიტებისა“: „ყავის ერთ მოწვევას (მოთქმას) ერთი მესელე და მოაყოლო“. ჰოდა, ჩვენც ეს „მესელეები“ გვინტერესებს.

– **ა, ძუელი კაცი, ფოცხი მუაქ! აქათ თავდიდია ესა, ჯუმურ ბაშქანი,** – გაგვაცნეს ახალშემოსტუმრებული.

საინტერესო გამოთქმაა – **თავდიდი**, - მთავრობის კაცს მოიხსენებენ ასე. ამათთვის „თამარა დოდოფალიც თავდიდი იყო“.

– **„ბრილი გრილი ადგილია. მზე არ მიადგება. ბრილიც იმიტომ დუურქმია“** – აი ნიოლეთური ეტიმოლოგია ბრილისა, გონებადამხვილური და გამჭვირვალე.

– **მოგთა** (მოგვთა?) მეთურქულე შავშეთის სოფელია...

– **ვინც ქართული არ იციან, გპელჩოხიან ვუძახთ, ისინი ჩვენ ფის გვიზახიან (სობას ზედან დემირი რომაა, იმა ფის ეტყვიან, იმას გვიძახიან).**

– **ბურსას ვინც გურჯი არ იცის, იმ გურჯებს კუდიანებს ვეტყვიან...**

საინტერესო ცნობები მოგვაწოდეს ნიოლეთელებმა, ზოგი ხუმრობით, ზოგიც – სერიოზულად.

ნიოლეთელების საუბარში კარგად ჩანს, რომ ისინი დასცინიან იმათ, ვინც გურჯია და ქართული არ იცის. ცუდია, რომ თორუნებს „არ დააწავლეს თავისი ალამოზა“.

კარგა ხნის საუბრის შემდეგ დავემშვიდობეთ ნიოლეთელებს.

ნიოლეთიდან სინკოთში უნდა გადავიდეთ. რამდენიმე კილომეტრია აქედან.

სინკოთი მეთურქულეა, ქართულად აღარავინ ლაპარაკობს...

გავცდით ნიოლეთს, გამოჩნდა სინკოთის სანახები. ზემოდან დავეყურებთ სოფელს. პატარა, მაგრამ ლამაზი სოფელია სინკოთი, ველზე გაშლილი. შიშველი, მაღალი კლდეების ძირში გაუშენებიათ იგი. სოფლის თავში ეკლესიაა, საკმაოდ დიდი. იგი გუმბათიანი ბაზილიკაა. ახლა სახურავი ჩამოქცეულია, პერანგიც შემოდარცვია. ჩანს, ერთ დროს დიდებული ტაძარი უნდა ყოფილიყო. ეკლესია გათლილი ქვითა და კირხსნარით არის ნაგები. მისი სიგანე 16 ნაბიჯია, სიგრძე – 23. ეკალ-ბარდს დაუფარავს ეკლესიის შემოგარენი. საცოდავად გამოიყურება, საბოლოოდ დასანგრევად განწირული. შევლას ითხოვს ტაძარი. მშველელი არსად ჩანს. შეიძლება უკვე გვიანიცაა... შესწავლა მაინც მოგვესწრო მისი. უკვე მერამდენე ძეგლზე ვფიქრობთ ასე. ნუთუ ყველაფერი უნდა დაინგრეს? ნუთუ არავის აღარდებს ამათი ბედი? ჩვენ გვადარდებს, მაგრამ ჩვენი დარდი რას შეცვლის?...

ეკლესიის ეზოში ვიღაცას სახლი აუგია (ამაზეა ნათქვამი, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიანო). ეკალ-ბარდისაგან მაინც გაწმინდოს ტაძრისა და საკუთარი ეზოც სახლის პატრონმა. ჩვენს დანახვაზე ქალბატონი გამოვიდა ეზოში, გაბრაზდა, დაგვემუქრა ჰუჭუმეთს შევატყობინებო, რა გინდათ აქაო...

შეატყობინებს და შეატყობინოს. არაფერს ვაშავებთ. ტურისტები ვართ და ძველ ნაგებობას ვათვალიერებთ. ამისათვის კი არავის იჭერენ...

ეკლესიის ეზოში ორი მამაკაცი შემოვიდა. ერთი უფრო აგრესიული ჩანდა, მეორე – უფრო მშვიდი. საუბარი ძნელად, მაგრამ მაინც აეწყო. გვითხრეს, კლდის თავზე ციხეაო, უკვე დაშლილი.

შიშველი კლდეების თავზე მართლაც ჩანს რაღაც ნაგებობის ნაშთი, მაგრამ ასასვლელი არსაიდანაა... შეიძლება, მართლაც იყო აქ სათვალთვალო კოშკი ან ციხე. ადვილი შესაძლებელია. არ ჩანს, ჩვენთან მოსაუბრენი იქ რომ ასულნი იყვნენ. დედის ნათქვამს თუ არაკად გაგონილს ყვებიან. მიუვა-

ლი კლდის თავზე მდგარი ციხის კი არა, სახლის წინ მდგარი დიდებული ტაძრის შესახებ არ იციან თითქმის არაფერი...

სინკოთიდან **კოთხევი** გადავკედით. სოფლის სახელწოდება ისმის პარალელური ფორმებით: კოთხევი//ქოთხევი. ეს ფორმები, შესაძლებელია, ფონეტიკური ვარიანტები იყოს, შეიძლება სხვადასხვა სიტყვა. თუ კოთხევი (რაც დასაშვებია), მაშინ იგი კო'ს(<რკო) დაუკავშირდება და რკოთხევი (მუხათხევი) გვექნება. ხოლო თუ ქოთხევი, მაშინ ფორმა ასეთი გზით იქნება მიღებული: ქვათხევი (შდრ. ქვათახევი) > ქოთხევი (ვა>ო).

ორივე ფორმა დასაშვებია. არც **კოთხევი** (<რკოთხევი) უცხო ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურისათვის და არც **ქოთხევი** (<ქვათხევი).

კოთხევიც გადაბრუნებულა. დაუვიწყიათ კოთხეველებს ქართული...

ცენტრალურ გზაზე ჩამოვედით და **ახალდაბისკენ** წავედით. შეიდ კილომეტრამდე აღმა მივეყვებოდით შარას, შემდეგ მარცხნივ ავუხვიეთ და მიხვეუ-მოხვეული გზით მალა-მალა წავედით. შუადღე გადასული იყო ახალდაბაში რომ ავედით. ჩვენი მიზანი იყო, დავრწმუნებულიყავით, იციან თუ არა ახალდაბაში ქართული. ერთნი გვეუბნებოდნენ, რომ ახალდაბაში ქართული იციანო, მეორენი ამბობდნენ „**ახალდაბაში გურჯიჯა არ დამჩაღა**“.

მთის სოფელია ახალდაბა. რომ ავედით, სოფლის ცენტრში ექსკავატორი ქანებს თხრიდა, ვეებერთელა თვითმცდელები კი ეზიდებოდნენ მას გზების მოსაკირწყლად. ამ საქმიანობას სოფლის მუხტარი ხელმძღვანელობდა. შევატყვევთ, ჩვენი მისვლა მაინცდამაინც არ ესიამოვნა მუხტარბის. არც ჩვენ გვესიამოვნა მისი მხერა. ასე რომ, ბარიბარსა ვართ...

ჩაიხანასთან ჩამოვსხედით. გავესაუბრეთ სოფელელებს. **ქართული არაფერს იცისო ახალდაბაში**, არც მოხუცებმა, არც ახალგაზრდებმა. ერთადერთი **ხუსეინ კარაპანი** იყო ქართულის მცოდნე.

– დედა მეავს ჩაქველთური და მან მასწავლა გურჯულიო,  
– გვითხრა ხუსეინმა, – აქ ქართული არ დამჩალო.

**ახალდაბა ჩონი სოფელი, ახალი ტბათი,** – გვიხსნის ხუსეინი. მისი მტკიცებით, უნდა გვქონოდა **ახალტბა** და აქედან მივიღეთ **ახალდაბა (ტ//დ მონაცვლეობით)**. ფონეტიკურად დასაშვებია ასეთი ცვლილება. მაგრამ რატომ **ახალტბა** და არა **ახალდაბა**? ქართული ტოპონიმისათვის არაა უცხო არც **ახალდაბა**. საქართველოში რამდენიმე **ახალდაბა** გვაქვს, მათ შორის ერთი – შუახევის რაიონშიც...

ახალდაბაში გეოგრაფიული სახელების უმეტესობა ქართულია: **გაგათური, პაპათი, კაცათი, გოჯელეთი, გოშნიგილი (გოშნიგოლი?), წერი (წვერი?), ქილისა, პაპიეთი (პაპათი და პაპიეთი სხვადასხვა), შაული, კოთხევი, ქარიათი, კვლდიზირი (განსაკუთრებული ინტონაციით წარმოთქვამენ), ზირზირათი (ძირძირათი?)...** გაღმით **ქურდევანი** ჩანს.

ლამაზი სოფელია ახალდაბა. მისადგომად საკმაოდ ძნელი, ადგილზე კი – გაშლილი მინდორი. მინდვრის მიმდებარე ფერდობები დაუტერასებიან. აქ ახლა თესავენ სიმინდს, ყართოფს (ასე გამოთქვა ხუსეინმა), ლობიოს. ძველათ ხორბალი და ქერიც მოჰყავდათ. ახლა აღარ თესავენ. სახნავების უმეტესობა ჭალებად უქცევიათ. რამდენადაც ზამთრობით აქ თითქმის არავინ რჩება, მეცხოველეობაც ნაკლებადაა განვითარებული. თითო-ოროლა ძროხას ინახავენ...

– ახალდაბის ზემოთ, 5-6 კილომეტრში, **ციხისძირია**, ციხისძირს იქით – **გარყლობი**. ქომოთ **ტბეთი(//ტიბეთი)**, გაღმა **თოლიძე, მოგთა(\*მოგვთა?)** და **ხანთუშეთი...** – გვიხსნის ხუსეინი. მაღლა სერზე ქილისაა, უფრო - ნანგრევები. ჩანს, თავის დროზე მოზრდილი ნაგებობა იყო. დღეს აღარ გაირჩევა მისი კონტურები.

ხუსეინი გვესაუბრება გატაცებით, რამაც მუხტარი გააღიზიანა. დაურეკა კიდევ ჩვენს მეგზურს:

– ვის ელაპარაკები, რა უნდათო უცხოებს აქ, რას იწერენო.

ზაზამ აუხსნა ჭირვეულ მასპინძელს, ვინც ვიყავით; ისიც დაუმატა, არავის აუკრძალავსო სურათის გადაღება და რაიმეს ჩაწერა.

არ ვიცი, რამდენად დააჯერა ზაზამ მუხტარი. ერთი კია, ამ საუბრის შემდეგ თავი დაგვანება...

დავრწმუნდით, ახალდაბაში ქართული დაუვიწყიათ. გაღაბრუნებულა ახალდაბაც!

ახალდაბიდან ციხისძირში წავედით. სოფელი აქედან ხუთ კილომეტრშია, მაღლა, მთის უკან. კარგა ხანი მოვანდომეთ არცთუ შორი გზის გაგლას.

სოფელი ულამაზეს ადგილასაა გაშენებული. ფერდობებზე მრავალგვარი ხილი ხარობს. ციხისძირში ქართული აღარ იციან. **თემურ ხან ათაბაგი** გვესაუბრა. ამაყად გვითხრა გოროზი ფეოდალების ჩამომავალმა, აქ თუ მოხვდებით, თემურ-ბეგ ათაბაგი იკითხეთ და ჩემს სახლს ყველა გასწავლითო. ჩანს, თემურ ხანს ეამყება თავისი გვარი და წინაპრები, ეს მისი საუბრიდანაც იგრძნობა. მას მიაჩნია, რომ ახალციხელი ათაბაგების ჩამომავალია, გურჯია, თუმცა ქართული არ იცის. მახსოვს შევშათელი ათაბაგი, განსხვავებით თემურ ხანისაგან, გვიმტკიცებდა, ყიფნალი ვარო. ვერ დავარწმუნეთ, რომ არ იყო ყიფნაყო...

რამდენიმე ტოპონიმი ჩავიწერეთ ციხისძირში: **თეთრკვლდე** (ასე გამოთქვა თემურ ხანმა), **ასნიგილი** (ასნიგოლი?), **ჯინშარლარ** (<ჯინჭარლარ <ჭინჭარლარ?).

ციხისძირში დიდხანს აღარ გავჩერებულვართ, დაბაკეთილის გავლით ტბეთში ჩამოვედით.

**დაბაკეთილსა და ტბეთშიც** აღარ იციან ქართული.

კიდევ ერთხელ შევაველ თვალი ტბეთის დიდებული ტაძრის ნანგრევებს. რამდენიმე წელია ტაძრისთვის მცველი დაუნიშნავთ. კაცმა რომ თქვას, რაღაა დასაცავი? მცირე სავაჭრო გაუხსნია ტაძრის მახლობლად. მან იცის, რომ ტბეთი ქართული ტაძარია. ისიც იცის, რომ იგი 1959 წელს აუფეთქებიათ (ვიცოდით 1967 წელი). მიზეზი უცნაური დაგვისახელა: საბჭოთა კავშირი თურქეთთან ომს რომ აპირებდა, იმიტომ

აფეთქესო ტბეთი (მეორე მსოფლიო ომი ჰქონდა მხედველობაში).

სად მეორე მსოფლიო ომი და სად 1959 (1967) წელი? ან რა შუაში იყო ტბეთის ტაძრის აფეთქება ომის დაწყებასთან? ნუთუ ომის დროს გაცემული ბრძანება 20 წლის შემდეგ აღასრულეს? ბავშვობაში გაგონილი ანეკდოტი გამახსენა ამ ამბავმა: რაჭველს სამამულო ომის დროს უბრძანეს: მტერი რომ არ გადმოვიდეს, ხიდი ააფეთქეო. წავიდა რაჭველი დავალების შესასრულებლად და... 1962 –ში ააფეთქა ხიდი...

არ ღირდა, უფრო აზრი არ ჰქონდა, ტაძრის ძალად მოძღვართან კამათი. ასე ასწავლეს და ისიც იცავს „ჭკუშმარიტებას“.

იცის და დაიცავს, აბა, რას იზამს?!

## აგარა, ბრილი, ჯვარისხევი

დღეს, 6 აგვისტოს, მუშაობას აგარით დავიწყებთ. ხეობაში რამდენიმე აგარაა. ჩვენ პირველად დასამობის აგარაში ავდივართ. შერთულიდან ზემოთ მიმავალნი, გავცდით რა დასამობის ჯამეს (გზის მარჯვენა მხარეს დგას ორსართულიანი შენობა მინარეთით) დაახლოებით ნახევარი კილომეტრი, პირველივე ასახვევით მარცხნივ ავუსხვიეთ და შევუყვევით აღმართებს. ნაწვიმარია. ნიაღვარს გზა ჩამოურეცხავს. ჭირს მგზავრობა. ნელ-ნელა ავდივართ მაღლა. როგორც იქნა, სოფელში ავედით (შავშათიდან 24 კილომეტრი გამოვიარეთ, – 19 დასამობამდე, იქიდან კიდევ – 5 კილომეტრი მაღლა).

აგარა ორი მაჰალესაგან შედგება. ქვედა მაჰალე საკუთრივ აგარაა, ზედა – ზენაგარა. პირველად აგარაში გაეჩერდით.

აგარა არაა დიდი სოფელი. ათიოდე კომლი ცხოვრობს აქ. სხვა აქაური სოფლებისაგან განსხვავებით, იგი ფერდობზეა

გაშენებული. დღეს სოფელი თითქმის ცარიელია. მოსახლეობა ან ჭაღებშია და თიბავს, ან დაილაზხა მთაში.

აგარლები კარგი მექართულები არიან. ნაკლებად იგრძნობა მათ საუბარში თურქულის გავლენა, განსაკუთრებით – გამოთქმაში...

პირველად ლაზოლებს შევხვდით, მამა-შვილს. სახლში შეგვიპატიჟეს. ვარჩიეთ, გზისპირას გვესაუბრა. ბარემ აღვნიშნავ იმასაც, რომ აქაური სახლები ტიპური შავშურია, – ხის საკმაოდ დიდი ოდები. სახლის პირველ სართულზე ახორია, ზემოთ კი – ადამიანთა სადგომი.

ყურადღება მიიქცია სოფლის სახელმა „აგარა“. სახელწოდება სრულებით ვერ ასახავს ამ სოფლის ვითარებას. ჩვეულებრივ აგარა ან სააგარაკე ადგილია, ან სახნავ-სათესი. ეს სოფელი არც ერთი თვალსაზრისით არაა გამორჩეული, არც სახნავ-სათესია აქ გამორჩეული და არც წყალი და პაერი. მთაში მიმავალი კაცი თუ შეისვენებდა აქ...

ლაზოლებთან კარგა ხანს ვისაუბრეთ. გავშინაურდით. ნადირობის შესახებ მოგვითხრობდა მამა და ასეთი ფრაზა იხმარა: „გზაში შემეხალა დათვი“. შემეხალა **შემომეყარა/შემომხვდას** მნიშვნელობით სამხრულ მეტყველებაში პირველად დავაფიქსირეთ...

ჯამესთან ახლოს სოფლის ხოჯის, **ვაჰიდ სეჩკის**, ოჯახი ცხოვრობს. ხოჯა თავად ჩიხისხვეელია, ცოლი კი აგარელი შეურთავს. ვაჰიდი 39 წლისაა, სამი შვილის მამა. იგი შესანიშნავი მექართულეა და, რაც მთავარია, ალალი და სტუმართმოყვარე. გვერდიდან არ მოგვმსორობია ვაჰიდი: ჩაით გაგვიმასპინძლდა, გვთხოვა, სადილად დარჩით, ქალი **პურს ჩაასხამს**, პური ჭამეთო, ზარმელის დროაო.

შუადღეა. ლოცვის დრო მოახლოვდა. ჩვენ ზენაგარაში დავაპირეთ წასვლა. ხოჯა, ისე რომ ეზანიც არ დაუძახია, არამცთუ ულოცია, ჩვენ გამოგვევა. მალხაზის კითხვაზე:

– ხალხი ხომ არ გიგიბლებდებო, რომ არ ალოცეო?



– გაბღუდებიან, ჰამა მერე იტყვიან, ხოჯა საცხან წესულაო. ჩვენც წავდივართ ხანდახან, – გულწრფელად უპასუხა ვაჰიდმა.

ჯამიკარზე იუსუფ ჩოლახი (ჩოლახოღლი) გავიცანიო. იგი ჩიხორელია, ჩასიძებულია ამ სოფელში. უცხოთა დანახვაზე ჯამიკარზე შეიკრიბა ახალგაზრდობა, მათ შორის – ქალებიც; არ გვერიდებოდნენ, გვესაუბრებოდნენ...

ნარგიზას იმდენად მოეწონა აქაურები, რომ დარჩენა გადაწყვიტა. ამელამ დავრჩები, ხვალ დილით გამოვიძახებ მინიბუსს და ჩამოვალ შავშათშიო, – შემოგვთავაზა. ამ ამბავმა გაგვამხიარულა და ხუმრობის ხასიათზე დაგვაცენა:

– ამდენ ხანს ნარგიზა სადაც მივიდოდა, რაღაცას ტოვებდა, ახლა თავადაც რჩება-მეთქი, – ვიხუმრე...

აღარ დავტოვეთ, წავედით ზენაგარაში.

ზენაგარაში ვაჰიდ სეჩიკი გაგვევა თავის შვილთან, პატარა სემანუშთან ერთად. სემანუში 4 წლისაა. ქართულად ვერ ლაპარაკობს, მაგრამ ხვდება. მამა იმედოვნებს, რომ ისწავლის სემანუში ქართულს. ჩვენც გვჯერა.

ავედით ზენაგარაში. რა თქმა უნდა, მანქანამ ვერ გეზიდა და ფეხით მოგვიწია აღმართების ავლა. რასაც ჩვენი გამძცილებლის, მოლა ვაჰიდ სეჩიკის შენიშვნა მოჰყვა:

– აქეთ რომ მოხვალთ, იმფერი მანქანაა და წამეიყვანოთ, გასწიოსო. ჩემი არაბადთ ერთ ტონას დუუდუფ და ევიარ, არ გუუჭირდებაო.

აივლის ვაჰიდი თავისი ახალი „პიკაპით“, რაა ამაში საკვირველი! საკვირველია, ჩვენი ძველი „ფორდი“ რომ ამოვიდა აქამდე...

მართლაც, რამდენსაც ამ მხარეში დავდივართ, მუდმივად მანქანის პრობლემა გვაქვს. წელს კიდევ რა გვიჭირს, უარესიც გვახსოვს.

ვაჰიდ სეჩიკი შეგვიძღვა სოფელში. ქალები პირველსავე ოჯახში შეიპატუეს, სადაც მთხრობელიც ნახეს და მასპინძელიც. უნდა ვაღიაროთ, რომ ხოჯის ავტორიტეტი დაგვეხმარა ამ საქმეში. ვიფიქრე, სოფელს დავათვალიერებ-მეთქი და თა-

მაზთან ერთად ორღობეს გავუყევი. ერთ ოჯახს მივადექით. ქალი, ასე ორმოცდაათ წლამდე, ეზოში შემას ჩეხავდა, სახლიდან კი მამაკაცების ლაპარაკი ისმოდა. უცხოთა დანახვაზე ქალმა საქმე დააგლო და სახლში შევიდა. მალე ორი მამაკაცი გამოვიდა გარეთ. ძმები აღმოჩნდნენ. სტამბოლში ესაქმობოთო, გვითხრეს. მაინცდამაინც დიდი ხალისით არ შეგვხვედრიან. ნაძალადევად, მაგრამ მაინც, საუბარი გავაბით. ქალები ფანჯრიდან გვითვალთვალებდნენ, საუბარს აყურადებდნენ. ჩართული მაგნიტოფონი რომ შემნიშნეს, ვეღარ მოითმინეს, გარეთ გამოვიდნენ და, შეშინებულემა, მამაკაცებს მიანიშნეს, იწერენო თქვენს საუბარს. შეშინდნენ კაცებიც. უხერხული სიტუაცია შეიქმნა. რომ მიგვეტოვებინა და წამოვსულიყავით, არ ივარგებდა... გულწრფელად შემეცოდა ეს ხალხი. ავუსხენით, ვინც ვიყავით, მაგრამ ჩანს, არ დაგვიჯერეს.

ხასიათდამძიმებული წამოვედით. მინდოდა, მომხდარის ახსნა მომენახა, მაგრამ ვერ ვახერხებდი. ვინ დააფრთხო ეს ხალხი?! არა მგონია, ვინმეს საყვედური ეთქვა მათთვის ჩვენი იქ ყოფნის გამო...

ცხელა. საშინლად ცხელა. სოფელში ცივი წყალიც არაა, კაცმა წყურვილი რომ მოიკლა.

ჩვენი ექსპედიციის წევრები იზეთ გუნემის ეზოში შეკრებილიყვნენ. ბატონი იზეთი 87 წლისაა. ჯანმრთელი და კარგი მოლაპარაკე. ჩანს, სოფლის კვალობაზე შეძლებული ოჯახი აქეთ გუნეშებს: შავშური დიდი ფიცრული სახლი, როგორც გვითხრეს, საქონელიც ბლომად ჰყავთ... ოჯახი ზამთარ-ზაფხულს აქ ცხოვრობს, არ ტოვებს სოფელს სხეებივით...

ეზოში ჩამოყვა ბატონი იზეთი ექსპედიციის წევრებს. მხიარულ ხასიათზე იყო სტუმრების ნახვით გახარებული. გესაღილათო, გვთავაზობდა. ვერ გველეოდა, არ ვეთმობოდით მოხუცს. წამოსვლა გადავწყვიტეთ. გულწრფელად დაგვემშვიდობა:

– არ გვიგველოთ – გვითხრა ნახევრად ხუმრობით, შემდეგ ნარგიზას მიუბრუნდა:

– უნდა გელოდინო, მალე მოე, თვარა გეგბუკვი. მოხვალ, ერთ ღამე'ნა ვილაპარაკოთ...

– მალე მოვალო, – დაპირდა ნარგიზა.

დავემშვიდობეთ იხეთ გუნემს, სიტყვატკბილ მასპინძელსა და ალალ კაცს, დავემშვიდობეთ გუნემების დიდ ოჯახს.

ჩამოვედით აგარაში. სახლში დავტოვეთ ვაჰიდ სეჩი და მისი პატარა ქალი. ვაჰიდი გულწრფელად გვეპატიუებოდა, უკვე მერამდენედ, დარჩით, პური ვჭამოთო, მოშიებულები იქნებითო.

თავაზიანი უარი ვუთხარით ვაჰიდს. აღარ შევაწუხეთ მასპინძელი. წინ დიდი გზა გვიდევს. დღეს კიდევ უნდა ვნახოთ ამავე სექტორში მდებარე ორი სოფელი – ბრილი და ჯვარისხევი.

აგარიდან წამოსული ვფიქრობდი აგარასა და აგარლებზე.

მომეწონა აგარაცა და აგარლებიც. აქაურებს ჩანს, უყვართ თავიანთი სოფელი, ზრუნავენ მასზე... ამაცობენ თავიანთი გურჯობით, კარგად შეუნახავთ მშობლიური ქართული, ცდილობენ, ახალთაობასაც ასწავლონ იგი და, ვფიქრობ, ასეც იქნება.

აგარიდან, როგორც ვაჰიდ სეჩიმ გვასწავლა, **ამოვბრუნდით** და ბრილში გადავედით.

ბრილი აგარიდან ორი კილომეტრია (აგარიდან 1 კილომეტრი დაბლა უნდა ჩამოხვიდე, შემდეგ მარცხნივ აუხვევ და კიდევ ერთ კილომეტრს ივლი და ბრილშიც გადახვალ).

საკმაო დრო მოვანდომეთ სოფელში ასვლას.

უპირველესად სოფლის სახელი – **ბრილი** აღძრავს ინტერესს. ამავე სახელწოდების სოფელი ზემოაჭარაშიცაა, შუახევის რაიონში.

სოფელში შევედით. ვფიქრობდით, აქედან დაბლა ჩავალთ და ცენტრალურ გზაზე გავალთო, მაგრამ მოგტყუვდით. სულ ცოტადაა დარჩენილი გზების შეერთებამდე. ერთი ბრილელი ყანის გაჭრის საშუალებას არ აძლევს სოფელს. არადა, ძნელი აღმართების ავლა უწევს აქედან წასულ კაცს. რომ შე-

ვიტყვეთ, უკან უნდა აგვევლო აღმართები, შევიცხადეთ, რა გვეშეველება, თუ გაუჭირდაო ჩვენს „ფორდს“?!

ბრილი ფერდობზე გაშენებული ღამაზი სოფელია. აქ ბევრი ხილი და სიმინდის ყანაა. იგი არაა დიდი სოფელი, – ოცამდე ოჯახი თუ ცხოვრობს აქ.

სოფლის გზაზე ორი ბრილელი გავიცანით – ჯემალ და მეველუდ ჩელიქები. ჯემალი მეველუდის სიძეა, დის ქმარი, აქ ცხოვრობს სოფელში მეუღლესთან ერთად, შვილები სასწავლებლად არიან ქალაქში. მეველუდი კი – სტამბოლში ცხოვრობს, ზაფხულს ატარებს ახალგაზრდა პენსიონერი სოფელში. ორივე კარგად ღაპარაკობს ქართულად, თითქმის უაქცენტოდ.

მეველუდი განსაკუთრებით მხიარული კაცი ჩანს. უნივერსიტეტში უმუშავია მდივნად. 50 წლისაა და უკვე პენსიონერია. ჯემალი კი უფრო დინჯი და ფიქრიანი კაცია, მძიმედ საუბრობს, საინტერესო იდეები აწუხებს...

ოჯახში მიგვიწვია ჯემალმა. გვიბოდიშებს, მარტო ვარ, ქალი დაილაზება, ჩაის გასვამთ, სხვა რაღა ვქნაო, წუხს...

– რას უნდა ნიშნავდეს **ბრილი-მეთქი**, – ვკითხე მეველუდს.

– ვერ გეტყვი, „**ჭელბეთ გრილი ბრილზე გადააბრუნეს**“ და ისაა.

გონებამახვილური ახსნაა, მაგრამ რამდენად დამაჯერებელია, მეორე საკითხია. გრილიდან ბრილ'ის მიღება გაჭირდება.

როგორც ვთქვით, ბრილი პატარა სოფელია, მაგრამ საკუთარი დაილა აქვს:

– ეს ბრილი პაწა ადგილია, ჰამა დიდ ხალხს უცოცხლია. მე ათი წლის ვიყავი, აქ ათი კომლი იყო, ორმოცდაათი წლის ვარ, კიდო ათი კომლია. დავდივართ იშტე... – აგვიხსნა მეველუდმა.

სოფლის ორღობეში გავიარეთ. ქართული საუბარი ისმოდა ოჯახიდან. ხმამაღლა მხიარულობდნენ სტუმარ-მასპინძელნი – ერთი ყვებოდა, სხვები იცინოდნენ...

ბრილიდან ჯვარისხევში წავედით. ცენტრალურ გზას მაღლა აუყუყუეთ, გავცდით ჩაქველთას გადასახვევს და მარცხნივ შევეუსხვიეთ. რამდენიმე კილომეტრი გავიარეთ და ავედით ჯვარისხევში. სოფლის ცენტრში ახალგაზრდებს მოუყარათ თავი და ბანქოს თამაშობდნენ, ზოგიც საუბრობდა. უცხო მანქანის დანახვაზე თამაშს თავი ანებეს და ჩვენ შემოგვეხვივნენ.

– კარგი სოფელი გაქვთ-მეთქი, – შევუქვე სოფელი ჯვარისხევლებს.

– კარგი სოფელია, ჰამა ად ქვები აცხელებსო, – მიგვითითეს შიშველ კლდეებზე, სოფელს რომ ზემოდან დაჰყურებს.

გულაიდინ ლაზიშვილმა, რომელიც კარგად ლაპარაკობს ქართულად, აგვისხნა, რომ „დერლები აქ არ არიან“, მოსულეები არიანო ბევრი.

ჯვარისხევლებიც უმეტესად ზაფხულობით მოდიან აქ, წლის დანარჩენ დროს ქალაქში ცხოვრობენ, იქ საქმობენ, იქ ასწავლიან შეილებს სკოლაში...

ადგილის სახელები ჩავიწერეთ: **ონაგირა** (მთა), **შაქვაბები**, **სატრედო**, **ზულგართი**, **თავბრული** (<\*თავდაბურული? – მ.ფ.), **სამელე**, **ჩონჩხერი** (\*ჩანჩქერი? – მ.ფ.), **გალიმურევი**, **თათავრი** (მთამთავრი? – მ.ფ.), **აღჩირავლი** (\*არჩილავრი?), **ქორწინა** (\*ქორისწინაი? – მ.ფ.), **წინაგამთი**...

აქაურები უწინ მესაქონლეობას მისდევდნენ. მრავლად ყოლიათ ხარი. ისლამ თორუნმა დანანებით თქვა, რომ „წინწინ აქ სამასი თანე ჯარი იქნებოდა, ახლა ერთი ცალი ჯარი დარჩა“.

მოიშალა სოფელში ძველი მეურნეობა: მესაქონლეობა, მემინდვრეობა. სათესები ჭალებად იქცა (ხშირად ისიც გამოუყენებელია), სოფელი – აგარაკად.

## დიობანიდან ხობლევსა და მანატბაში

7 ააგვისტოს დილით დიობანში წავედით. თავად გვსურს, დავრწმუნდეთ, იციან თუ არა აქ ქართული. შერთულს ზემოთ დიობნამდე 28 კილომეტრია. გზა ფაფართის ხეობას მიუყვება. პარასკევი დღეა. მორწმუნეები ჯუმის სალოცავად ემზადებიან. შუადღისას ყველა ჯამეს მიაშურებს, ქალებიც კი, რომელთაც სალოცავში ცალკე აქვთ გამოყოფილი ადგილი და იქიდან უსმენენ ქადაგებას...

დილის ათი საათი იქნებოდა, დიობანში რომ ავედით. გზად წყალსიმერელი შეგვეხვდა დაილაზე მიმავალი, რომელიც დიობნიდან შუადღის ლოცვის შემდეგ აპირებდა გზის გაგრძელებას. მისგან გავიგეთ, რომ დიობანში ქართული აღარ იციან, გადაბრუნებულან დიობნელები თურქიაზე, თითო-ოროლა თუ ახერხებს გაჭირვებით ქართულად ლაპარაკს, ხოლო დიობნის მიმდებარე სოფლებში ქართული დაუცავთ...

**დიობანი** დაბის მსგავსი დასახლებაა. ყურადღებას იქცევს თვით ტერმინი დიობანი. შესაძლებელია, იგი მომდინარეობდეს **დიდი უბანი** საგან (დიდი უბანი > დიუბანი > დიობანი).

დიობნის ცენტრში, ჯამიკარზე, გავჩერდით მცირე ხნით. ვესაუბრეთ იქ შეკრებილებს, ზოგიერთი ცნობა დავაზუსტეთ და წყალსიმერისაკენ წავედით.

წყალსიმერში რომ ჩავედით, თორმეტი საათი იქნებოდა. მორწმუნეები უკვე ჯამესთან იკრიბებოდნენ. პარასკევობით აქ ვაჭრობაც იმართება. საქონელი ამოაქვთ ქალაქიდან და აქ ყიდიან. ასე რომ, წყალსიმერის ცენტრში მიღეთის ხალხი ირეოდა, ჩვენ რომ მივედით: ვინ ვაჭრობდა, ვინ სალოცავად ემზადებოდა და აბდესხანაში განბანვის რიტუალს ასრულებდა, ვინ ჩაის შეექცეოდა და ეხანს ელოდებოდა... ამ დროს სახლში თითქმის არავინ ჩერდება...

აღმოჩნდა, რომ თვით წყალსიმერში ქართული არ იციან. ზოგს ესმის ქართული, მაგრამ ლაპარაკს ვერ ახერხებს. მათ თურქულ მეტყველებაში ქართულის ელემენტებიც შესამჩნევ

ვია, რაც არაა გასაკვირი. ჩანს, დიდი ხანი არაა, რაც წყალსიმერში ქართული თურქულმა შეცვალა.

წყალსიმერი, სოფლის სახელწოდება, კომპოზიცია: წყალს-იმერი (<წყალს იმერი?). წყალს იქით რაცაა, ისაა წყალსიმერი. მართლაც, პატარა მდინარე ჩამოუდის წყალსიმერს. ჩანს, ამ მდინარის იქითა მხარეს უწოდეს ეს სახელი. შემდეგ კი ერთი კონკრეტული პუნქტის სახელი გაფართოვდა და მთელ სოფელს ეწოდა; თუმცა მიმდებარე სოფლებს თავისი სახელები აქვს...

წყალსიმერში დიდხანს აღარ გაგჩერებულვართ. მაღლა სოფლებში წავედით, სადაც ქართულად მოლაპარაკენი გვეგულებიან. წყალსიმერის მარცხენა მხარეს გზას აუყუევით და **პალეხლ**ში (<\*პარეხლი?) ავედით. ჩანს, სახელი მიღებულია **პარეს** ფუძისაგან **რ-ლ-ლ** ასიმილაციის გზით. **პარეს** ფუძე კი სამხრეთ საქართველოს არაერთ ტოპონიმში გვხვდება.

პალეხლი ქართულად მოლაპარაკე სოფელია. კარგად იციან აქ ქართული, მაგრამ მუშაობის საშუალება არ მოგვეცა, რამდენადაც ყველას შუადღის ლოცვაზე მიეჩქარებოდა. ვარჩიეთ, მაღლა სოფელში, ბზათაში (მეტყველებაში ისმის გზათა'ც), ავსუდიყავით.

**ბზათა** თუ **გზათა**? უმჯობესია, ამოსავალ ფორმად **ბზათა** მივიჩნიოთ, თუმცა სოფელში **ბზა** არ აღმოჩნდა და არც ბზათელებმა იციან, თუ რას ნიშნავს იგი, მაგრამ ჩვენი საუბრის შემდეგ შესაძლოა მომავალში იცოდნენ. თუ ამოსავლად **გზათა**'ს მივიჩნევთ, მაშინ ეს სოფელი უნდა იყოს **გზათა შესაყარი** თუ **გზათა გასაყარი**, ან რაიმე მისი მსგავსი. ორივე ფორმა ქართულია და მისაღებიც...

ჩანს, ბზათა მდიდარი სოფელია. სოფლიდან მიგრირებული მოსახლეობა ზაფხულს მშობლიურ კუთხეში ატარებს, სააგარაკედ იყენებს მამა-პაპულ სახლ-კარს. კარგი სახლებიც აუშენებიათ, რამდენიმესართულიანი აგურის სახლები. აქ იშვიათად შეხვდებით ძველებურ შავშურ ხის სახლს.

ბზათელები თავდაპირველად ცივად შეგვხვდნენ. მათ ქცევაში დიდი ქალაქის სიცივე იგრძნობა, შემდეგ თანდათან ყი-

ნული გალღვა და ნამდვილი სახე გვაჩვენა სოფელმა, – ხალხიც მოგვენდო და მასალის ჩაწერის საშუალებაც მოგვეცა. ჩაიხე და თურქულ ყაფაზეც მიგვიწვიეს... კარგა ხანს ვიტრიალეთ სოფელში. ჩანს, ძველი მეურნეობა მოშლილია ბზათაში. სოფელი აღარ თესავს პურს, ჭვავს, ქერს... აღარ ინახავს ჩომას. ჭალებადაა ქცეული ძველი საყანეები. მაღე ზაფხულის არდადეგები გაივლის, ქალაქში გაიკრიფებიან მოაგარაკეები, მომავალ შვებულებამდე გამოკეტავენ სახლებს და ვინღა მიხედავს საქონელს?

ჩვენი წამოსვლის დროც დგება. გაიგეს რა ჩვენი მოგზაურობის მიზეზი, აგვიხსნეს:

– დიობნიდამ მაღლა'და აბრუნდე, იქ გურჯის სოფლებია ქოქლიეთი, ივეთი, იფხრეველი. იქ უფრო ხასათ იციან გურჯული.

ბზათადან დაბლა დავეშვით და წყალსიმერიდან შოლტისხევში (შოლტისკვეში, როგორც ადგილობრივები გამოთქვამენ) ავედით. სოფელი რამდენიმე მაჰალესაგან შედგება: **სომეხეთი, ქეფენთი, ქურდიკეთი, თათუნთი, კვირიკეთი, მიქელეთი, ხოჯიენთი, ციციენთი, ბათინეთი.**

საინტერესოა, რომ გაღმა-გამოღმით სოფლის ორი უბანია – კვირიკეთი და მიქელეთი. ვფიქრობთ, მათი სახელები უკავშირდება კვირიკეწმინდასა და მიქელწმინდას. ანალოგიური სახელები სამხრეთ საქართველო გეოგრაფიულ ნომენკლატურაში მრავლადაა: **ადრიაწმინდა, ელიაწმინდა...**

ჩვენი ყურადღება მიიქცია ასევე შოლტისხევის ქვემო უბანმა **სომეხეთი**. საიდან აქ სომეხეთი? ნუთუ სომეხების უბანი იყო? ჭოროხის ხეობაში ტერმინი „სომეხი“ არ იციან, ხმარობენ ერმენს. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ აქ თითქმის ყველა სოფელში გეტყვიან, უწინ აქ ერმენებს უცხოვრიათო. სოფელში ვერაფერი გვითხრეს ამის შესახებ.

– არ მიყვარან სომეხები, – გვითხრა ამ უბნელმა ქალბატონმა.

ჩანს, **სომეხი** ამ უბანში მცხოვრებთა მეტსახელია, ძველია, როგორც აქ უწოდებენ. ერთი კია, „სომეხი“ ამ უბნის მცხოვრებთა ხასიათის რაღაც თვისებაზე მიანიშნებს...

როგორც აღვნიშნეთ, პარასკევია და სოფელი ჯუმის სალოცავად ჯამეშია შეკრებილი. დამლაპარაკეს ძნელად თუ შეხვედებით ამ დროს. ორღობეში მივდივართ მე და თამაზი. სომეხეთის მაჰალედან მაღლა უბანში ავედით, იქ სადაც ჯამეა. რამდენიმე დაგვიანებული მლოცველი შეგვხვდა, ჯამეში მიეჩქარებოდით, სასაუბროდ არ გაგვიჩერდნენ...

უცხო სოფელში ვართ. ვათვალიერებთ. ყველაფერი გვაინტერესებს, ყველაფერი ახალი და საინტერესოა. ორსართულიანი სახლის აივანზე ახალგაზრდა ქალი შევნიშნეთ. ახლოს მივედით და გამოველაპარაკეთ. იგი დემეთი ბოტოღლი აღმოჩნდა, აქაური მკვიდრი. გამოვკითხეთ სოფლის ამბები. სასიამოვნო მოსაუბრე გამოდგა იგი. ყველანი ჯამეში წავიდნენო სალოცავად, აგვისნა დემეთიმ, მე „პატარად ბაღვი მყავს“ და იმიტომ არ წავედიო. ორი შვილი მყავსო, „ერთი ბაღვი და ერთი ბაჭაღა“.

- მაღე დასრულდება ლოცვა? - ვკითხე.
- ლოცვა მაღე არ დასრულდება, ჰამა რომ დასრულდება, მერე კაცები ყავეში წადიან, სახში მაღე არ ამობრუნდებიან”, - გვითხრა დემეთიმ.

ჩანს, დღეს ისვენებს დაღლილი სოფელი.

შოლტისხევის ქვემო უბანი, ძველებური ოდებითა და ყანებით, შეფერდებაზეა გაშენებული, ზედა უბანი კი - გაშლილ ველზეა. აქ ძველი ხის შავშური ოდები ახალი ქვითკირის სახლებით იცვლება. სოფელში ბევრია სიმინდის ყანები, ჩანს მრავალგვარი ხილი: ვაშლი, თუთა, მსხალი, ყურძენი...

აქაურები უცხოთთან საუბარს არ გაურბიან, ქალებიც კი. ლაპარაკობენ გულახდილად და ამაყად. თამაზის კითხვაზე: „მამამთილთან ჩუმად ლაპარაკობ თუ ხმამაღლაო“, დემეთიმ უპასუხა:

- ჩუმათ ლაპარაკი ეიწია, ვლაპარაკოფ იშტე... რატომ არ’და ვილაპარაკო?

- უნდა ილაპარაკო, აბა რა უნდა ქნა, ძველი დრო ხომ არ არის?! - მოუწონა თამაზმა საქციელი დემეთის.

დემეთი ბოტოღლიმ გვითხრა, აყევით მაღლა, ვინმე იქნება დარჩენილი, ილაპარაკებთო.

ჩვენც ავუყვით ორღობეს. ზემოდან უფრო კარგად გამოჩნდა სოფლის სანახები. მნახველს შთაბეჭდილება ექმნება, რომ შოლტისხევი დიდი და მდიდარი სოფელია.

შოლტისხეველებმა კარგად იციან ქართული. იერთავენ ტიპური ქართველები არიან...

დაბლა ჩამოვედით, სომეხეთში, სადაც ჩვენი მანქანა იდგა და ექსპედიციის სხვა წევრებაც გველოდებოდნენ უკვე. მუშაობაში დრო უცებ გადის, განსაკუთრებით მაშინ, თუ სამუშაოც გიზიდავს...

ნარგიზამ შოლტისხევიშიც ნახა ქაღალტონი, რომელთანაც დარჩენა მოინდომა. ქვემოუბნელი, სომეხეთელი მოსუცი თავაზობდა მას: **დარჩი ჩემთან, ჩემი მოსაფირი იყავი, ამაღამ ვილაპარაკოთო.**

ნარგიზასაც ლაპარაკი უნდოდა. გავიგეთ რა, რომ ხვალ აქედან შავშათისაკენ მინიბუსი არ მოდის, შემთხვევით მომავალ მანქანას თუ დაემგზავრება კაცი, რაც ნაკლებსაიმედოა, ნარგიზა ვერ დავეტოვეთ შოლტისხევიში.

შუადღე გადასული იყო, შოლტისხევიდან იმ სექტორისაკენ რომ წავედით, სადაც განლაგებულია სოფლები: **აგარა, ხოხლევი/ვოკლევი (ხოხლოვი), მანატბა და მანხატეთი.** წეთილეთს ზემოთ, შავშათიდან 31-ე კილომეტრზე გზა მარჯვნივ აუხვევს და მაღლა მიემართება. პირველი სოფელი **აგარაა** (37-ე კილომეტრზე), სოფელს გაცდებით კარგა მანძილზე და გზა (მე-40 კილომეტრზე) ორად იყოფა: მარცხნივ **ხოხლევი** (42 კილომეტრი შავშათიდან), მარჯვნივ - **მანხატეთი** (42,5 - კილომეტრი) და **მანატბა** (43,5 - კილომეტრი).

პირველად ხოხლევიში ავედით. იგი მთის კალთებზე შეფენილი არცთუ დიდი დასახლებაა, ორმოციოდე კომლი ცხოვრობს სოფელში. გაღმით მანხატეთი და მანატბა ჩანს, განსაკუთრებით კარგად მოჩანს მანატბის სანახები.

ხოხლევის ხოჯა, **ენჩარ ათაქანი**, გავიცანით. საინტერესო კაცია ენჩარი, კარგი მოსაუბრე, თავისი სოფლის კარგი მცოდნე, სახელიანი პიროვნება. ერთად ვათვალიერებთ გარემოს. ხოჯა გვიხსნის: გაღმით რომ სოფელი ჩანს, მანატბაა. მანხატეთი (მანატბასთან მისვლამდე) მისი მაჰალეა, მასზეა მიბმული.

ეს დაყოფა ახალი ჩანს. ერთ სამუხტროშია გაერთიანებული ეს ორი სოფელი, მუხტარი მანატბაშია, ამიტომაცაა მანხატეთი მანატბის უბანი, თორემ მანხატეთი და მანატბა სხვადასხვა სოფლებია.

ენჩარი დაწვრილებით გვაცნობს ხოხლევს და მის უბნებს. თვით სოფლის სახელი ორი ფორმით იხმარება: ხოხლევი და კოკლევი (მეორე უფრო ძველია, ვიდრე პირველი), იქვეა **ეკლუანთი, ქომომთა, ხოზნები, ქვატაბლა...**

– რა ქვია იმ ტყეს, გაღმით რომ ჩანს? – ვკითხე ენჩარს.

– ტყეს? დადექ, მეგვონო!... ვერ მეგვონე... – პაუზის შემდეგ მითხრა ენჩარმა.

ხოხლევი მთის სოფელია, მაგრამ აქ კარგად ხარობს კაკალი, ვაშლი, თუთა, მსხალი, ბალი, ქლიავი... განსაკუთრებით – ბალი და კაკალი... დათვებიც ხშირად სტუმრობენ სოფლებს, ბალსა და პანტას მიერთმევენ, ზოგჯერ საქონელსაც ავნებენ;

– დათვები საქონელს არ ჭამენო, – გვიხსნის ენჩარი, – ბალს ჭამენ, პანტას, ჩომას არ ერჩიანო. თუმცა სოფელში იმასაც გაიგონებთ, რომ დათვმა კაცი გალახა სასიკვდილოდ, საქონელი მოკლა და დაფლა...

დათვები „გათამამებული“ არიან იმით, რომ მათი მოკვლა აკრძალულია, საკმაო ჯარიმას ახდევინებენ მონადირეს, ზოგჯერ ციხესაც უსჯიან აბეზარი დათვების მოკვლისათვის. ასეთია კანონი. უვლიან ბუნებას, ბუნებას კი დათვი სჭირდება, მაგრამ დათვი სოფელს რომ აწუხებს, ამაზე ნაკლებად ფიქრობენ...

საუბარში ნიაზ ლომადე ჩაგვერთო, სოფლის მკვიდრი. ჭაღლიდან სახელში მიმავალი გზისპირას ჩვენთან ჩამოჯდა. თან-

დათან სხვა ცნობისმოყვარენიც შემოგვიერთდნენ. გვინტერესებს სოფლის ამბები, მოსახლეობა, ტოპონიმია, გაღმოდცემები... ყველაფერი გვინტერესებს, რაც იციან. ზოგჯერ იმასაც ვითხოვთ სოფელში, რაც არ იციან, მაგრამ ჩვენ გვსურს, რომ იცოდნენ.

– ზველი გორი მესხაძეებია, იქითეში – ხევრაზე არიან; ქომიენთი (<ქომიენთი?) არიან, თუშები არიან. შუღლაზეები არიან აგარას. დაბლა მაჰალეს მესხიეთი ქვია, ქომოთ – ქომონთი... ხევრაზეები უკანეთში არიან... – გვიხსნის ნიაზი.

ხოხლევიში ჯერ კიდევ ინახავენ ხარებს.

– ჰარებით წიკავენ აქა შემას-მემას, ისე გუუკეთებიან ჯამე... – ბრძანებს ბატონი ნიაზი.

ენჩარ ათაქანი სოფლის ტოპონიმებს გვაწვრინებს: **დაბაწრული**, აქედამ ასე გზა წავაა, ჩვენი დაილაზე ავა; **სორწიო** – აგარული დაილაა, **ფიქალთი** – ტყეა, სოფლის გაღმა, **კლდეჭრელი**, **ყიშლითაგები**, **ოფიკევი**, **კურცხალთები** (სოფლის გაღმა), **ქათიჯვარი** (ხატიჯვარი?!), **სარი ჩაირი**, **კინიჯუარი**, **ხოხლოვი დელე**, **ნაფეტვარი** (მესხაძეებს ქვემოთ), **ბაკათი** (ბაკათი?!), **ნაკალი**...

ბალახთაგან აქ იციან: **დონჯა** (ითესება), **სამყური**, **თივაქერა** (გძელი თივაა ისა – აზუსტებს მთხრობელი – მ.ფ.), **ზინჭარი**, **ხალი** (ფანჯარი) – თაზე იზღება.

შევნიშნავეთ, რომ ბალახთა სახელები უკვე დავიწყებთ ეძლევა (თუ უკვე არ მიეცა დავიწყებთ). არ იციან **მრავალბარღვა**, **ქონდარი**... სხვაც ბევრი.

ჩავიწერეთ ხილის სახელებიც.

**მსხალი**: სასელა, ნასყიდი, შიშველა, პანტა, ოდრეველი (<\*ადრეველი<ადრეული?), თავრეჯული, წუწულა (წოწოლა?), – ფორმის გამო შეურქმევიათ...

**ვაშლი**: ჯავე ვაშლი, ტკიბილი ვაშლი, ჯანიანი ვაშლი...

**ყურძენი**: შავი ყურძენი, თეთრი ყურძენი, ადესა... თითქმის ყველა სოფელში ვკითხულობდით ვაზის სახელებს. ყველგან

ერთსა და იმავეს გვაწვრინებდნენ. სხვა? სხვა ჯიში შავშეთში არ იცინა.

**შეგნიშნავთ,** რომ ყურძნის ჯიშები მთელ შავშეთში დაუვიწყიათ. ვაზმა დაკარგა რა თავდაპირველი ფუნქცია, დაიკარგა, ან იკარგება ვაზის კულტურაც. საკმარისია, დააკვირდეთ იგივე შავ ყურძენს, დარწმუნდებით, რომ სახელი „შავი ყურძენი“ ზოგადია და სრულებითაც არ ასახავს რეალობას, რომ მრავალგვარია თავად შავი ყურძენი. ასევეა თეთრი ყურძენი... მნიშვნელოვანი იქნება, თუ დადგინდება ვაზის ოდინდელი სახელები... თუმცა ჯერ-ჯერობით ეს ვერ ხერხდება.

**ქლიავი:** თეთრი ქლიავი, წითელი ქლიავი, ჭანჭური, ტყემალი...

– ჭახე ფესტილ გავაკეთებ ტყემალიდან. სხალიდან ბექმეხს გავაკეთებ, ვაშლიდან ყორავას მოვადუღებ, გაათხელებ, სვამ, – გვითხრეს ხოხლევიში.

**ბეთმეხი|ბექმეხი|ბაქმახი** შავშეთის თითქმის ყველა სოფელში მზადდება, უმეტესად თუთისაგან და მსხლისაგან, ზოგჯერ – ყურძნისაგანაც, სხვა ხილისაგან კი – ფესტილი და ყორავო.

ყორავოს ჩვენთან კვაწარახსაც ეძახიან, ტყემლისაგან ამზადებენ და სანელებლად ხმარობენ – ლობიოს, ფხალეულს, ჩირბულს, ზოგადად ნიგეზიან კერძებს უხდება და განსაკუთრებულ არომატს მატებს, შავშეთში კი ყორავო სიროფია წყალში გასაზავებელი, სასმელის მოსამზადებლად, – დადუღებული ვაშლის წვენი.

– ად ნაფლატი ადგილი წუმპოა, – გვაცნობს ხოჯა სოფლის სანახებს, არც ის ავიწყდება, რომ აგვისნას: „მესხაძეები სისხაძეები არიან, ჰერსლი კაცები“.

– ლაღაბები თუ იცით-მეთქი თქვენს სოფელში, – ვკითხვნი ნიაზ ლომიძეს.

– ვიცით, ჰამა ხოჯა გვიკრძალავს დაძახებას, – გვითხრა ბატონმა ნიაზმა და ენჩარს გადახედა.

– რატომ უკრძალავთ ხალხს ლაღაბის დაძახებას? – ვკითხე ხოჯას.

– ცოდვია ლაღაბის დაძახება, არაა კამ, გონჯია, ეწყინება, ვინცხას დუუძახ, გეძუტვის, გეძუკვის... – გვაცნობს თავის მოსაზრებას ენჩარი.

ჩანს, ენჩარი ჰუმანური მოსაზრებით უკრძალავს მრევლს მეტსახელით, ძეგლით, „ლაღაბით“ მიმართონ ერთმანეთს. ჩვენთან ლაღაბს სიგელს ეძახიან. მისი დაძახება ხშირად სწყინდათ ადრესატებს (თუმცა ზოგი შეჩვეული იყო და ჩვეულებრივ დებულობდა მას). ახლაც მახსენდება ჩვენს სოფელში გავრცელებული სიგელები: ბაღაფ, პიტომ, შლაკატაფ, ბუღაფ, ჩესნი, პუღულაფ, ბზიკაფ, ლეწეფ, ჩოფიაფ, თავგოროხაფ, დემირაფ, დერგაფ, დედეფ, ქორაფ, ტუტუფ, ჩელოვეკაფ, კასოფ, ობეხე, ბოლშევიკი... არავის უხაროდა ამ, მეტწილად უწყინარი, მეტსახელით მიმართვა. ასე რომ, ხოჯა მართალია, „ლაღაბით არ'ნა დუუძახო ინსანსო“, რომ ქადაგებს...

კიდევ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: ლაღაბს შემთხვევით არ არქმევენ. მასში ჩანს პიროვნების რაღაც მახასიათებელი, ხასიათის ნიშანი, გარეგნობა, წარმომავლობა... თუ პიროვნების საკუთარი სახელი ნებისმიერია, შერქმეულია შეთანხმებით და მაშინ, როცა არავინ იცის, როგორი პიროვნება იქნება მისი მატარებელი, ლაღაბს, მეტსახელს პირიქით, არქმევენ გარკვეული ნიშნის მიხედვით. ლაღაბი ზუსტად მიუთითებს მისი მატარებლის გარკვეულ თვისებაზე...

მეტსახელი გავრცელებულია საქართველოს ყველა კუთხეში, ზოგან მეტად, ზოგან – ნაკლებად, გვხვდება იგი ძველ ქართულშიც...

სხვადასხვა კუთხეში მეტსახელების შეგროვება და მისი ენათმეცნიერული ანალიზი საინტერესოა მრავალი კუთხით. უპირველესად მნიშვნელოვანია გამოვლინდეს, სხვადასხვა დიალექტურ სივრცეში ადამიანის ხასიათის რა თვისებას მიაქცევენ ყურადღებას და რა ნიშნით სახელდებენ პიროვნებას... საინტერესოა ასევე საქართველოს კუთხეებში შეკრებილი მასალების შედარება ქართული ენის ძეგლებში დადასტურებულ მეტსახელებთან; საბოლოოდ დადგინდება მეტსახელით

სახელდების პრინციპი ერთი კულტურის შიგნით ისტორიულ და დიაქრონულ ასპექტში.

მეტსახელი დამახასიათებელია სხვა კულტურული სივრცეებისთვისაც.

მეტსახელის სახელდების პრინციპი ყველა კულტურაში გარეგნულად ერთნაირია, და მიუთითებს პიროვნების გარკვეულ ნიშან-თვისებაზე... მაგრამ განსხვავებულ კულტურებში ვლინდება შიდაკულტურული მახასიათებლები, რომელიც ამა თუ იმ კულტურული გარემოსათვის არის ნიშანდობლივი, ამიტომაც სხვადასხვა კულტურაში გავრცელებული მეტსახელების შესწავლა საინტერესოა ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით...

ბათუმთან კონტაქტს ხოხლევიც აღნიშნავენ. დედებიდან იციან, რომ „ბათუმ სიმინდი კაე ყოფილა, კოტორზე ევლოდით, არ გატყდებოდაო“, – იხსენებს ბაბუის ნათქვამს ბატონი ნიაზი.

ხოხლევი იციან ძერა – ქართალი, ყარაბუადც (ხარაბუად) იციან. ყურადღებას იქცევს **ქართალი|ყართალი**. ეს სახელი დასტურდება შავშეთში, კლარჯეთში, ტაოში და მთელს სამხრეთ საქართველოში, სადაც ქართული ჯერ კიდევ იციან. ხალხური ლექსიცაა ერთი, ტაოში ჩავიწერეთ 1995 წელს:

მადლა, მადლა რა ფრინავს?  
ქორია თუ ყართალი,  
ერთი რაცხა გეგონე,  
ტყვილია თუ მართალი?...

**ქართლ** (<ქართალ) ფუძე ჩანს სოფლის სახელწოდებაში **ქართლა** (კლარჯეთშია, მურღულის ხეობაში).

ქალები თამაზთან ერთად ხოხლევი გაიფანტნენ სამუშაოდ, – მასალების ჩასაწერად. მე, მალხაზი, ნიკა და მერი გაღმა სოფელში, მანატბაში წავედით მანქანით. არაა შორს ხოხლევიდან მანატბა. დაახლოებით ოცი წუთის შემდეგ გავიარეთ მანხატეთი და სოფელშიც ავედით.

მშვენიერია მთის მწვენი ფერდობზე შეფენილი მანატბა, თავისი ყანებითა და სათიბებით. როგორც მანატბა, ისე მანხა-

ტეთი, დაბის ტიპის დასახლებაა. საცხოვრებელი სახლები ერთმანეთის გვერდიგვერდაა.

სოფელში უცხო მანქანის შესვლა არ გამოპარვიათ. პირველად მულემ ჯაჯანიძესა (//ჯიჯანიძეს) და აიჰან კოსოლიძეს შევხვდით.

ბატონი მულემი ხოჯაა, განათლებული, კარგი მოსაუბრე და მასპინძელი... მანატბაში ჩვენი ყურადღება ერთმა, არცთუ უმნიშვნელო, ფაქტმა მიიქცია: ყველას ახსოვს თავისი ძველი, ქართული გვარი.

ხარბად ვათვალიერებთ სოფელს. მოგვწონს პირველყოფილი სილამაზე მანატბისა. ჩანს, მანატბელებსაც მოსწონთ მშობლიური სანახები. სოფლის გარეთ, ფერდობზე, მიგვიწვიეს მასპინძლებმა, აქედან უკეთესად ჩანსო ყველაფერი.

მანატბელი ხოჯის, ნიაზ ჯაჯანიძის (ჯიჯანიძის – ასე ჩაიწერა მერი ცინცაძემ) შესახებ ვკითხეთ მასპინძლებს, იმ ნიაზის შესახებ, „გურჯი ვაიზები“ რომ ჩააწერინა ქართველ მკვლევრებს.

– ჩემი ემოა ნიაზი, – გვითხრა მულემ ჯაჯანიძემ, – ახლა სახშია, პაწა ავათაა, თუ გინდათ შეგახვედრებთო.

– სიამოვნებით ვნახავ და ვისაუბრებ მასთან-მეთქი, – მივუბმე.

– ნიაზ ჯაჯანიძის დედეც ხოჯა იყო, განაგრძო მულემ-მა, დიდი ხოჯა, ისტამბოლ უკითხია...

– მასთან მოვლოდენ საკითხველად, ხვალ რა იქნებაო, – ჩაერთო საუბარში აიჰან კოსოლიძე. თან სასაფლაოსკენ მიგვახედა, სარულიანი (სასულიერო პირთა თავსაბურავზე შემოსხვეული თხელი ქსოვილი, ჩალმა) კაცის ქანდაკებას რომ ხედავთ სასაფლაოზე, ისაა მისი საფლავიო.

– დედემ თქვა პირველად, დრო მუა, ისტამბოლ კაცი რომ დედლაპარიკეფს, აქ დედნახავ და მუუსმენო, – გაიხსენა მულემმა.

დავინტერესდი უფროსი ჯაჯანიძის პიროვნებით. ბევრი ვერაფერი გაიხსენეს.



– „გურჯი ვაიხების“ ავტორი ის ხომ არაა-მეთქი, – ვიკითხე.

– არა, „გურჯი ვაიხები“ იმას არ უთქვია, სხვამ თქვაო, – ამისხნა მუღელმ ჯაჯანიძემ.

ვიდრე ნიაზ ჯაჯანიძე გამოვიდოდა, სოფლის მიწის სახელები გამოვიკითხე და ჩავიწერე: ნაფუზარი თავი, ნასახლევი, ზედვაკე, საკაჯე (\*საკაქე?), სერები, ოქროს საწველები (საწოლები?), საბადური, ზნელი, ზადლი პირაჲ, საყინაური, უხერეთი, ჩხავრიეთი, ღურღულეთი, სამათვარიელო, ყამჩიეთი, სარტყელაჲ, რობანეთი, ნაკალუევი, ჩახლი ახო, თუთუნები, შავტყეები, ჯავრიეთი, ტყიპირაჲ, ჯოშყუნა ვაკე, სამელიენთი, ღმადელითავეები, ვაჩანეთური, დიდ ახო, ცივ წყარო, ქათი ჯვარი, ზელ ქეთი (||ქელ ქეთი<გრძელ ქელი?)...

საინტერესო ტოპონიმებია უდავოდ. უპირველესად ყურადღება მიიქცია გეოგრაფიულმა სახელმა **ჩხავრიეთი**, რომელიც მიღებული უნდა იყოს **ჩხავერიეთი** საგან. **ჩხავერი** კიდევ ყურძნის ჯიშია, აჭარაში გავრცელებული. ჩანს, ჩხავერი აქაც ხარობდა. ასე რომ, გეოგრაფიული სახელი მნიშვნელოვან ცნობას ინახავს ვაზის ამ ჯიშის გავრცელების დასადგენად. აღნიშნული ტოპონიმი ამტკიცებს, რომ შავშეთის სოფლებში ვაზის სხვადასხვა ჯიშში უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ამ მხარის „გადაბრუნების“ შემდეგ დავიწყებთ მიეცა ვაზის ჯიშებიცა და მეღვინეობაც, გაქრა შესაბამისი ტერმინოლოგიაც.

საკვლევად ღირს ასევე **ოქროს საწველები**, **ჯავრიეთი**, **ქათი ჯვარი**, **საბადური**...

ბუნებრივია, დაისვას კითხვა: რა უნდა ამ მთის წვერზე, ღრუბლებში საბადურს? თუმცა სადაც **მანატბაა** (<\*მანატბა) იქ არც საბადურია უადგილო. შეიძლება სხვა ვარაუდის დაშვებაც: **საბადური** შეიძლება ის ადგილია, სადაც ბადეს აბამდენ ჩიტის დასაჭერად, სასირე, როგორც ჩვენში ეძახდნენ.

ყურადღება მიიქცია **ქათი (||ქეთი<\*ქელი?) ჯვარმა**. ვფიქრობთ, ამოსავალი **ქეთი ჯვარი** უნდა იყოს, ეს უკანასკნელი კი მიღებული უნდა იყოს **ქელი ჯვარი** საგან. თუ ეს ასეა, მა-

შინ აქ ისეთივე საგეოგრაფიო სახელთან გვაქვს საქმე, როგორც **ჯვარიქელი**...

ჩვენს საუბარში სოფლის გზაზე ხარებშებმული მარხილი გამოჩნდა. ხარიარაბაში შებმულ მუხლმაგარ ხარებს ჭარმაგი მოხუცი მოუძლოდა. აიჰან კოსოლიძის მამა აღმოჩნდა. ჩქარობდა უფროსი კოსოლიძე, გაწვიმებამდე მოვასწროო იქნებ გამშრალი თივის **ქორში** დაბინავება.

აიჰანიც დაგვემშვიდობა და მამის საშველად წავიდა.

ხარებშებმული მარხილითა და დასახლების ტიპით ძველებური, საუკუნის წინანდელი სოფლის ტიპური სურათი იშლება თვალწინ.

ორღობეში უღელი ხარი გამოჩნდა, ვეებერთელა მორს რომ მოათრევდა.

გვიხარია ასეთი სურათების ხილვა. თუ არა ვიდეოგადამღები და ავტომანქანა, გასული საუკუნის დასაწყისის სოფელში ეგონება კაცს თავი.

ნიკა და მალხაზი იღებენ ყველაფერს...

– სელიმ უსტა, აჲ ქეები ჩაგორება მიშველე და... – გადასცახა ერთმა მეორეს.

– ვერ გიშველი, სალოცავათ'ნა წევდე, – იყო პასუხი...

ღრუბელმა დაფარა ცა. ცოტა აცივდა კიდევ. საწვიმრად ემზადება. 1700 მეტრ სიმაღლეზე მაინც ვართ ზღვის დონიდან, მეტი თუ არა. ასე რომ, წვიმის წინ აცივება არაა გასაკვირი.

ამჟამად სოფელში 100-მდე კაცი ცხოვრობს. მუღელმ ჯაჯანიძის თქმით, 600 კიდევ გარშია წასული. არცთუ დიდი ხნის წინ აქ პურიც ითესებოდა და „კალოსაც ვლევევდით კარებითო“, – გვითხრა მუღელმმა. ახლა პურს აღარ ვთესავთ, კალოც აღარ გვაქვსო.

დაბლა ჩამოვედით, სოფლის ცენტრში.

მერი იწერს რაღაცებს. ცნობისმოყვარე ქალები ახვევია გარს...

რამდენიმე ჯაჯანიძე გავიცანით კიდევ. ნიაზ ჯაჯანიძეც გამოვიდა ჩვენთან შესახვედრად.

ოთხმოცს გადაცილებულია ბატონი ნიაზი. ცოტა შეუძლოდ არის. გაიგო რა ჩვენი მასთან შეხვედრის სურვილი, გარეთ გამოვიდა. მოგვესალმა. სოფელი განსაკუთრებული მოწიწებით შეხვდა მოხუცს. საღამო-ქალამის შემდეგ „გურჯი ვაიზები“ ვახსენე. გაიხარა, ინტერესი რომ შეგვატყო. სახლში შებრუნდა, რვეული გამოიტანა არაბული დამწერლობით ჩაწერილი „გურჯი ვაიზით“. შეუდგა კითხვას, დინჯად და ცხადად. არც მიკროფონს მორიდებია და არც ვიდეოგადამღებს. გარშემო მრავალმა მოიყარა თავი. ინტერესით უსმენდა ყველა, ვინ იცის, რამდენჯერ მოსმენილს. აკვირდებიან ბრძენი მოხუცის მიმიკას, კითხვის მანერას. აინტერესებთ მათი დამრიგებლის ყოველი მოძრაობა. ეს არცაა გასაკვირი. სოფელი განსაკუთრებული მოწიწებით ექცევა ბატონ ნიაზს, ამაგდარ ემეკლის...

ჩანდა, უჭირდა ნიაზ ჯაჯანიძეს კითხვა, იღლებოდა, ხმა უწყდებოდა დროდადრო, მაგრამ მაინც კითხულობდა. 20 წუთამდე გაგრძელდა „გურჯი ვაიზის“ კითხვა... ყველა ყურადღებით უსმენდა, ვუსმენდით ჩვენც:

### გურჯი ვაიზი

#### 1

ახლა უნდა ვთქვათ გურჯიჯა ენით,  
გამჩენელი დევჯეროთ, სულით, გულით,  
ვეხვეწნეთ გამჩენელს სულ ყოლა ენით,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

#### 2

კითხვა და ლოცვა მოგვცა მან,  
გვასწავლა თელი ჩვენ ფედამბერმან.  
ეყურბანოს მას ცოლმა და ქმარმა,  
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

#### 3

ამ დუნდაში ისე ბევრი'ნა ვიყოთ,  
მამა-ძმის საქმე ჰქმ'და ვიკითხოთ,  
რაცხას რომ გვთხოვს, ხელი ვუსაქმთო,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

#### 4

ამ დუნდაში ჩვენ მოსაფირი ვართ,  
პაწა ხან უკან მეზურში წავალთ,  
ღმერთის გამჩენელის უზურზე მოვალთ,  
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

#### 5

ეს ვახტი არის ახირზამანი,  
გათავდა დუნდაში კარგი ღინსანი,  
ენით იძახის, ვარ მუსლიმანი,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

#### 6

ლოცვა და კითხვა დეიკარქა, წვედა,  
ცოდვა და მისდა დუნიაში წვედა,  
ქალმა მაგ კაცის უმფოსი გახდა,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

#### 7

ულოცავი ქალი და კაცი თუ არი,  
ძალი და ღორი მასზე კად არი,  
დევსურუკვის ჯეკენემში მისი ხელი და გული,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

#### 8

შეიკერავს თურმე თუელი ურუბას,  
კიდონ აბარებს საბრალო მის ქმარს,

ასე არ იყოს, წამო მოგცემ ფასს,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**9**

ჰეზრეთი ფადიმე ამ ღუნდას მოვდა,  
ის არის ჩვენი სულ ყველასი დედა,  
თილას ურუბით იმ ღუნდას წევდა,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**10**

ჰეზრეთი ფადიმე, დიდი სულთანი,  
სულ თელი ქალი მისი ყურბანი,  
ფედამბრის გოგო, სული და ჯანი,  
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**11**

ახლანდელ ქალებ რა ედერდებიან,  
ნამეჰრამ კაცებ არ დეერიდებიან,  
ქმარის უიზნოთ სოფლებში დარბიან,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**12**

ვაიზ გეფონებენ, ბუკე მაარიდებენ,  
სიმღერის გამეერს თავ-პირ დეიჩხევენ,  
მეფებენ ცოდვას, სახლებში მოვლენ,  
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**13**

რაფერ ეწყობიან, ამ ტყვილ ღუნდაში,  
არ დარჩა დუქნებში ხასი ყუმაში,  
დარჩებიან ტიტველი შავ მიწის გულში,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**14**

ეზარებიან ლოცვა და სუფთობა,  
ზიბილია თავამდე მათი ურუბა,  
იმ ღუნდას გაყვება მისი გონჯობა,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**15**

ვინცხა ამ ღუნდას მლოცავი არი,  
გედება მისთვინ ჯენნეთის კარი,  
შეიყრებიან ღამაზათ ცოლი და ქმარი,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**16**

სულ ყველას გვიცდის დიდი სიკტილი,  
სულის მიცემა არ არის ტყვილი,  
მოსწყდება ინსანს გულის კაკალი,  
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**17**

ეზრაელი მოვა იმ ავატყოფზე,  
დაასობს ჩანგალს გულის კაკალზე,  
დაასობს თვალებს მაშინ თავანზე,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**18**

რათ გინდა ღუნდაში კად სმა და ჭამა,  
ბაგშვი გიტირის, დედა და მამა,  
მაშინ'ნა გეიყარონ ქმარმა და ქალმა,  
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

19

დეიკარქვის სინათლე, თვალიდან წავა,  
ქაფირი შედთან კემ მაშინ მოვა,  
ნესიბი თუ არ გაქ დასინის კითხვა,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

20

გეგონა სიკვდილი ზალიან შორათა,  
სავსე გაქ ქისა ჰერამ ფართა,  
ცოდვა-მადლი დევნახოთ იმდუნის თვალითა,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

21

დედლევა სული თუალში და პირში,  
ერთ დღეს ვიქნებით მემრე იმ სახში,  
მეორე დღეს გამუალთ ყედიმი კარში,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

22

გაყრა ძნელია ამ დუნდას დედა-მამაზე,  
გულის საყვარელ ქონორა ბიჭზე,  
გასკდება გული ჰამან იმ დროზე,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

23

მეიყრებიან ხალღი, ჯანას ილოცვენ,  
ორ-სამჯელ კალოზე შემოგაყენებენ,  
მერე მეზარში მიგვალაგებენ,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

24

დაგჩება ამ დუნდაში სახლი და კარი,  
ფარა, საქონელი, რაცხა რომ არი,  
მეზარში მოვა მუქერ-მექირი,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

25

წინ-წინ მოგკითხვენ ღმერთ გამჩენელ,  
მემრე მუხამედ ჩვენ ფედლამბერ,  
დუნდაში მოგებულ ჰელალ და ჰერამ,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

26

თუ წავყვა მეზარში შენი იმანი,  
მოქცილდება მაშინ ქორი შედთანი,  
გახდება მეზარი კად გულისანი,  
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრაღე!  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

27

ჰეზრეთი ყურანით მეზარში მოვა,  
ლამაზ ენგილოს სურეთში შევა,  
გაგვასინათლებს არსათ არ წავა,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

28

თუ არ გაქ იმანი, ჩახვალ მეზარში,  
დაგარტყმენ თოფუზს, წახვალ გეზაპში,  
არ გაგაქცევენ, წეხვიდე კარში,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

29

არ იქნება დუნდაში იმსოდ ღეზაბი,  
გახდები მაშინ ცეცხლის ქებაბი,  
არ მოვა შენთან შენი ბაღნები,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

30

ილოცე, იკითხე, ღმერთი დეიჯერე,  
ამ დუნდას ცხელი ცრემლით იტირე,

ჭკვაში მოი, ღუნდაში კარგა დეფიქრე,  
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრაღე!  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

**31**

რამეთი კდარი სამღბუსებიან,  
ყველა დღივ შენიდან მადლ ელიან,  
მოკდები მადლით მეზარში გელიან,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

**32**

მეფრებიან მეზარში კდარი შვილები,  
თუ გყავს იმ ღუნდას სები ბაღნები,  
რომ მიხვალ იმათთან, გულში ჩეეკრები,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

**33**

იმათვინ ამ ღუნდას დეისრუკა გულმა,  
გვარგოს იმ ღუნდას ღმერთ-გამჩენელმა,  
მეზარი გიგიხდეს ჯენნეთის კოშკად,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

**34**

მოვლენ მელაიქები, მოგიკვარებენ,  
ჯენნეთის კარებ ჰემ გიგიღებენ,  
აღარ გაქ შიში მუჟდას გიზამენ,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

**35**

არის ინსანზე ორ ადგილ შიში,  
გეშინოდეს ღმერთიდან ამ ღუნდაში,  
გადარჩი დერდიდან შენ იმ ღუნდაში,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

**36**

არ შეჭამ ჰერამს, ილოცებ ხუთჯერ,  
არ შეიუღლები დილა-საღამ მეზობელ,  
შეიყვარებ მუჰამედს, ჩვენ ფედამბერს,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

**37**

არ აწყენ დედას, მამას და ხოჯას,  
ბითთუმ მუერიდები იმათ ბედვას,  
ხიზმეთ თუ უზამ, შენ ედღებ დუვას,  
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრაღე!  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

**38**

დედ-მამას შენ თუ კარგა შეხედე,  
ღმერთი ფედამბერი რაზი გახადე,  
თუ შამუყვირე სა'ნა წეხვიდე,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

**39**

ილოცე, ინიეთლე, ქენი ჰაჯობა,  
შეიბრაღე ამ ღუნდას ფუხარა ყველაი,  
ბითთუმ რომ შეხედავ, გახდები კაი,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

**40**

გული გეისუფთე ღმერთის ჯამეზე,  
ნუ მეხასმები ჰემდა ხოჯაზე,  
ფედამბერი ვეჭილია მუსლიმანებზე,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრაღე!

**41**

ზექათი, სედეყე მიეცი ფუხარას ყველას,  
დაურიგე ლამაზათ თაღებეს და მოლლას,

კარქა შეხედე მუსაფირ ყველას,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**42**

მადლი, ნასაქმი მოვა თქვენ ხელში,  
დადგებით მაშინ მეშერის კარში,  
მაშინ გექნება ბევრი თალაში,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**43**

დაგიდებენ ცოდვა-მადლის დეფთრებ,  
ეწერება აქ რაცხა ისაქმე,  
გამოაჩენენ სულ თელ დამალულ ცოდვეფ,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**44**

ზოგ მისცემენ დეფთერ მარჯვენა ხელში,  
იმას უსაქმია მადლი ღუნდაში,  
ჰაზირია მისთვის დერი ჯენნეთში,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**45**

ზოგ მიცემენ დეფთერ მარცხენა ხელში,  
იმა უსაქმია ცოდვა ამ ღუნდაში,  
ჰაზირია მისთვის დერი ჯენნეთში,  
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**46**

ზოგი ჯეჰენნემს უყურებს, ტირის,  
ზოგი ჯენნეთის კოშკებზე იცინის,  
სასწორი დადგმულია ცოდვის და მადლის,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**47**

სახლის თახუმი ერთათ მეიყრებიან,  
ზოგი შვილი და დედ-მამა ერთათ შეიყრებიან,  
ებბელი ისინი ერთათ იქნებიან,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**48**

დამწველ, დამხრუკველ ამეფვანებენ,  
ჯენნეთის ზებზებით ტან დაბანებენ,  
მადლისდაგვარად ქოშკებზე ავლენ,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**49**

ჯენნეთი იცოდე, რაფერი არი,  
ერთ კაც ყოლვის შვიდასი ჰური,  
ტკბილათ ცხოვრება და სეფა არი,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**50**

მადალი არიან სელვი ფიდანზე,  
ურუბა შეწყობილია მათ ლამაზ ტანზე,  
ფერი ანათლებს მზეზე და თვარეზე,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**51**

ამ ღუნის ქალი გალამაზდება,  
შვიდასი ჰური დიდი იქნება,  
ზადიან კარგია იქ საყვარლობა,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**52**

ჯენნეთში ბეთი ზათი არ არი,  
გალამაზდება თუ არი აქ ნაჩარი,

ისტერ ქალი იყვეს, ისტერ ქმარი,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**53**

ხანუმი'ნა იყვეს ამ ღუნის ქალი,  
ემსახურებიან შვიდასი ჰური,  
ჩამოადგება ბუკზე ღამაზი ნური,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**54**

არ არის ჯენნეთში დერდი და ტკივილი,  
ჰემ არ იქნება ვინმეს სიკვდილი,  
არ არის სიბერე, ყველაჲ - ახალი,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**55**

არ არის ღოცვა, არს(ც)ა ნიეთლობა,  
არ არის ჯენნეთში ჰემდა რიდება,  
საყვარელია იქ ცოლ-ქმარობა,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**56**

რაცა რომ არიან ხისიმ-მაყრაბა,  
ჯენნეთის ქოშკებზე ერთათ მედყრება,  
ყოველთვის იქ არი ჰემ ჯუმბუშობა,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**57**

ჯენნეთში არის ზეების ირმალი,  
ერთ სუჯზე მოდის თაფლი და ძალი,  
აღთუნი და შუშე არის იბრილი,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**58**

ენა ვერ იტყვის ჯენნეთის საფას,  
ხელი არ შეხლება მიხდი ამ ღუნისას,  
ჯენნეთი უნდა მეგერ სულ ყველას,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**59**

ღოცვა არ გახსოვს სამია თუ ხუთი,  
რაფერ'ნა მოგცეს ინსან ჯენნეთი!  
გახსონდეს ყოველთვის ღმერთი გამჩენელი,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**60**

ღოცვებზე'ნა გქონდეს კარგა ხულუსი,  
ილოცე ერთჰალ თუ გაქ გენშიში,  
გულში'ნა გქონდეს ღმერთიღამ შიში,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**61**

ირზი, ნამუსი თუ გაქ ღუნდაზე,  
ჯენნეთში შეხვალ, ეხვალ ქოშკებზე,  
ნამუსიანათ'ნა იყვე ამ ღუნდაზე,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**62**

ირზი, ნამუსი თუ არ გაქ ღუნდაში,  
იმ ღუნდას შეხვალ ღორის სურეთში,  
გამორეზიდლები მეშერის მეღდანში,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**63**

ნაჩარი თუ გაქ ენა და გული,  
ნუ გეგექცევა სხვაზე თვალი,

იმ ღუნდას დეგეხვევა დიდი კვამლი,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**64**

იცოდე იმ ღუნდას ამ ღუნის ჰესაბი,  
თაგზე გადაგხდება თელი ჰესაბი,  
შენ ამ ღუნდას მეფე ცოდვები,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**65**

იცოდე ამ ღუნდას მადლი და კარგობა,  
შენი ქედვია, თუ გინდა გონჯობა,  
ბელქი იმ ღუნდას გაქ იგიობა,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**66**

შენ თუ არ ის(ცი) არაფჯა, თურქჩა,  
შენ ხოშ გეგონე ვაფი გურჯიჯა,  
ვერ იტყვი იმ ღუნდას, ვერ დევნახე ხოჯა,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**67**

აფსი ყედისი თელი დავწერე,  
რაცხა რომ გეგონე, თელი დეფერე,  
ილოცე, იკითხე, ჰემდა ითმინე,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**68**

წერავი, კითხველი, დამყურებელი,  
ღმერთო გოულე ჯენნეთის კარი,  
გურჯიჯა ვაფი გათავდა თელი,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

**69**

ეს ვაფი აგზე დედია თელათ,  
ათავდა აგზე ყველა ქემალათ,  
ამ დადევნაზე მედღე სელავათ,  
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!

დაასრულა ნიაზ ჯაჯანიძემ კითხვა. შეიძრნენ მსმენელები, თითქოს ყველამ ერთად ამოისუნთქა...

ბევრი რაღაცის გამოკითხვა მინდა, მაგრამ გაწვიმდა. დროა, წამოვიდეთ. ექსპედიციის დანარჩენი წევრები ხოხლევაში გვყავს დატოვებული იქაურ ხოჯასთან, ენჩარ ათაქანთან. წვიმამ არ დამაცალა მეკითხა ნიაზ ჯაჯანიძისათვის მისი დიდი პაპის, „გურჯი ვაფისა“ და შავშეთის ქვეყნის შესახებ. სხვაც ბევრი რამ...

ნაადრევად დავემშვიდობეთ ბატონ ნიაზს, ბრძენ მანატბელ მოხუცს და კეთილ მანატბელებს.

მანატბა კიდევ ერთი სოფელია შავშეთის ქვეყანაში, სადაც კვლავ მოსვლის სურვილი მრჩება; მინდა, კიდევ მოვიდე აქ და კიდევ ერთხელ ვეზიარო მის პირველყოფილ მშვენიერებას...

ჩვენი მინიბუსი ხოხლეველი ყმაწვილებით გაივსო, ფეხბურთი ეთამაშათ მანატბელებთან და შინ ბრუნდებოდნენ. ზოგი ქართულად ლაპარაკს ახერხებს გაჭირვებით, ზოგი – ვერა. რომ ესაუბრები, ხედებიან და თურქულად გასუსობენ, ქართულად ვერ ახერხებენ...

გავედით ხოხლევაში. ექსპედიციის წევრები მანქანაში ჩავისვით და შავშათისაკენ წამოვედით.

ნარგიზას მოსწონს ხოხლევი, განსაკუთრებით ხოხლევის ხოჯის ოჯახი...

თინა კმაყოფილია.

თამაზმა იპოვა სასურველი მთქმელი და ჩაიწერა მისთვის საინტერესო მასალა.



მერი ზის ჩაფიქრებული თავისთვის, წვიმით უკმაყოფილო. წვიმამ შეაწყვეტინა საინტერესო ინფორმაციებთან მუშაობა...

ზაზა, მალხაზი და მე მანატბით აღტაცებას ვერ ვმაღავთ, ხმამაღლა გამოვთქვამთ აზრებს...

## მანხატეთსა და აგარაში

8 აგვისტო. გადავწყვიტეთ, ჯერ მანხატეთში ვიმუშავოთ, შემდეგ აგარაში ჩამოვიდეთ.

მანხატეთი მანატბის ქვემო სოფელია. როგორც აღვნიშნეთ, დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით, მანატბის სამუხტროში შედის, მისი ნაწილია, მისი მაჰალა. ისე კი, მანხატეთი დამოუკიდებელი სოფელია. დასახლების ტიპითაც მანატბას გვაგონებს – ორღობის ორივე მხარეს განლაგებულია საცხოვრებელი სახლები, ყანები და ბახჩები მოშორებითაა. აქაური სახლებიც ტიპური შავშურია – დიდი; აივნისანი ოღები.

პირვეყოფლისა, ყურადღებას იქცევს სოფლის სახელი – **მანხატეთი**. **მანხატეთი//მანხათეთი<მანხა მთეთი** საგან. მთის სოფელია და იმიტომ ქვია ასეო, – გვიტხრა ალაათდინ აღ-თუნელმა, დარბაზიშვილმა.

მანხატეთი კია მთის სოფელი, მის გონებამახვილურ ეტიმოლოგიასაც გვთავაზობენ აქაურები, მაგრამ ფუძე მაინც მოთხოვს ახსნას.

სახელი ასე დაიშლება: მანხატ-ეთ-ი, შესაძლებელია მაპრეფიქსის გამოყოფაც. რას უნდა აღნიშნავდეს **მანხატ** ფუძე?

**მანქათელა** განმარტებული აქვს საბას, როგორც **მდამიორი**.

**მანქატელა** ინგილოურში ღამურას აღნიშნავს დღესაც...

**მანქათელა>მანქატელას**, ან პირიქით. აქვს კი რაიმე საერთო **ღამურას** მანხატეთთან? ფონეტიკურად დასაშვებია **მანხატ** ძირის დაკავშირება **მანქათ//მანქატ** ძირთან. აქ ერთი წინააღმდეგობა იჩენს თავს. მანხატეთლებმა არ იციან **ღამურა** (მდამიორი), არც **მანქატელა** (**//მანქათელა**). აქაურები ღამურას **ფარასას** ეძახიან. შეიძლება ოდესღაც იცოდნენ და ახლა აღარ იციან...

**მანხატეთს** ძველად **მანხატიძე** ერქვა (შდრ. **ნიოლეტი//ლეონიძე**). ამის მიხედვით **მანხატი** ადამიანის სახელია. **მანხატ** ფუძე დაუკავშირდება თუ არა ღამურას, მანქათელას, ამჯერად ძნელი სათქმელია. აქ შეიძლება გავიხსენოთ ძველი ქართულის ერთი ცნობა, კერძოდ: ჯრუჭის ოთხთავის ანდერძში გვხვდება ადამიანის, ქალის სახელი **თაგუნა**. **თაგუნა**, ბუნებრივია, უკავშირდება **თაგვ** (ძვ. **თაგუ**) ფუძეს. **თაგვი** თუ დასაშვებია ადამიანის სახელში, რატომ არ შეიძლება **მანქათი**?

სოფელში რომ ავედით, ჩვენი დროით (ერთი საათით ჩამორჩება ჩვენს დროს) 10 საათი იყო. წინა დღით ნაწვიმარია, შესაბამისად გზები – სველი. დღეს არ წვიმს, თუმცა ცა ღრუბლებითაა დაფარული.

სოფლის ცენტრში გავჩერდით. ვათვალიერებთ გარემოს. პირველად იბრაიმ ჩახმახი (გორაძე) გავიცანით. ავუხსენით:

– შავშეთზე ქითაბს ვწერთ და თქვენს სოფელზეც დავწეროთ ნა-მეთქი. გვასწავლე თქვენი სოფელი-მეთქი.

– **დაჯექ, დაბზანდი**. **არ მაგონდება ქი**. **ვერ მომიფერებია ქი...** – შეწუხდა იბრაიმი. ფიქრის შემდეგ განაგრძო: ... **დათვ გოგო მუუპარია**. **წუულია თავის სოროში**. **თაფლს უზიდავდა, ფუტკრის თაფლს, პალს**. **იქ ბაღები ყოლიან**. **სოფლიერი მოსულან**. **ესროლონნა**. **დათვმა ორი ტატი (ტოტი – მ.ფ.) მაღლა ასწია**, **გომა თავი დეიფაროს'და**. **ადარ ესროლენ**. **ქალი წამეფყვანეს**, **დათვი წასულა**. **ბაღეებიც წამუყვანიან**, **ჰამა იმა უკან არ ვიცი...**

ანალოგიური თქმულება ჩვენს სოფელში, ორთაბათუმშიც, გამიგონია ბავშვობაში: **დათვმა გოგო მოიტაცა და ტყეში წე-**

იყვანა. ბაღნები ეყოლა... დათვი ცავს, ქაღს არსათ არ უშვებს. ერთხელ ქაღმა ბაღანა აკვანში დააძინა, ცეცხლი დაანთო, კეცი მიაყუდა გასახურებლად. ჯენჯირზე გუგუმით წყალი ჩამოკიდა, მჭადის ფქვილი გაცრა და... წყაროზე წავიდა წყლის მოსატანად. დათვი დატია სახში. ქაღმა გეიპარა სოფელში. გავიდა ხანი, ბაღანამ გეიღვიძა, ტირილი დეიწყო, წყალი აღუდდა, კეცი გახურდა... ქაღი არ ჩანდა. დათვმა შეწუნდა და ქაღს დუუწყო ძახილი:

კეცი ხუხუ,  
წყალი დუდუ,  
ბაღანა ტიტი,  
ქაღო, მოდი...

დათვი შავშეთის სოფლებში ბევრია. ყოველ ღამე ჩამოდინ მანხატეთშიც, მანატბაშიც, სხვაგანაც, ანადგურებენ ნათესებს, ხილს, ზოგჯერ საქონელსა და ადამიანებსაც აზიანებენ... თქმულებებიც ბევრია დათვზე.

**გაღმა სოფელს (მანატბელს – მ.ფ.) დათვი დუუნახია. დათვს ბადვი ყოლია, ბელი, ესროლოს'და. ოცი წელიწადის წინ მოხდა ად. ბელსა დუუძახია: ანაა!!! აპა?! და აღარ ესროლა. უტირია ჩვენ ემესა, ანას, დედამის უძახის, მამარჩინოსო...**

– ტყის კაცების შესახებ თუ გაგიგონოთ-მეთქი, – ვკითხე იბრაიმს.

– ისენი იციან. იმ ზემოთ არიან, იგზე. ბერებმა იციან, და ბერებულმა კაცებმა. ტყი კაცებზე ესკიდან ილაპარაკებენ, ჰა-მა არ დუუნახვან...

– ჯაზი ნენედ თუ იცით-მეთქი, – ვკითხე.

– ჯაზი ნენედ გეგონე. ილაპარაკებდენ, ჯაზები არიანო. ინსანებსა არ გვანან... იტყვიან კი, ჯაზებსაო კული აქვანო.

– შედთნების შესახებ თუ ილაპარაკებდენ-მეთქი ამ სოფელში?

– შეითნები... თუ შენ არ ილოცავ?! დემეროს'და თხუო. ერთ დღეში ხუთჯერ'ნა ილოცო. თუ არ ილოცავ, იტყვიან, შეითნის გზახეაო.

ყოფილი ხოჯაა იბრაიმი, ამიტომაც თავისებურად ახსნა შეითნის ფენომენი... **შეითნის გზახე ყოფნა** (=ეშმაკის გზახე ყოფნა) კარგი ფრაზეოლოგიზმია...

– ჯინების შესახებ თუ გაგიგიათ რამე?

– ჯინები ქი დედნახვენ, ყურან იკითხებენ, წევდეს, არ დამმართოსო.

ასეთი თქმულება მოგვიყვა იბრაიმმა:

– ერთი კაცი ღამე წისქვილში დარჩენილა. ღამე ჯინები მოვდენ, ფერხულობენ. ჯინები ამბობენ ქი, „ოთხშაბათი“, „ოთხშაბათიო“... ასე სამობენ. ისაც, კაციც სამობს და „ოთხშაბათს“ ამბოფს. საბახლამაზიხან ჯინები დაფანტვილან. დაფანტვიხან უთქვამან ქი:

– ჩვენ ვისამეთ, ამანაც ისამა ქი, ჩვენ ოთხშაბათი ვთქვით, ამანაც თქვა ქი... რა ეილუგი ვუყოთო?

– კად კაცია. ად კუზი მოვხსნათ და გავასწოროთო, – უთქვიან ქი.

გაასწორეს და დეიფანტენ.

მოვდა ად კაცი სოფელში. ერთ მეზობელსაც კუზი ქონია ქი. აი კაცი გასწორებული რომ დედნახა, შეეკითხა, რამ გაგასწორაო. უთხრა ამ კაცმა წისქვილში ჯინებთან სამობის ამბავი. წევდა მიორე კაციც წისქვილში. შედქნა შეაღამე, მოვდენ ჯინები, დედწყენ ცეკვა. იზახიან: „ოთხშაფათი“, „ოთხშაფათიო“, არადა, დღეს ხუთშაფათია. ჯინები იტყვიან „ოთხშაფათი“, სოფლიერი კაცი – „ხუთშაფათიო“. დაპანტვიხან ჯინებმა თქვეს:

– ად კაცი ჩვენთან სამობდა, ამა ჩვენ „ოთხშაფათი“ ვთქვით, აგი „ხუთშაფათს“ იზახდა. რა ეილუგი ვუყოთო?

– მიორე კუზიც დავადგათო! – უთქვიან ქი ჯინებსა.

მოვდა ად კაცი სოფელში ორი კუზით...

ამფერი ამბავი გიმიგონია. ყოფილან იშტე ჯინები. ძველეები იტყოდენ, დაბერებული კაცები... – დაასკვნა მთხრობელმა.

ჯინების შესახებ ანალოგიური თქმულება ჩემს სოფელშიც გამიგონია, აჭარის სხვა სოფლებშიც მოისმენთ, ოღონდ ჩვენთან **ხუთშაბათი-პარასკევიო** – იტყვიან, აქაური ოთხშაბა-

თი – ხუთშაბათის ნაცვლად. ჩანს, მთარული ამბავია, თორემ სად მანხატეთი და სად ორთაბათუმი? თუმცა ისტორიულად ერთი რეგიონია და საერთოც ბევრია...

შემსო ალთუნერი ჩაგვერთო საუბარში. გაცნობის შემდეგ მკითხა:

- ბათუმიდამ ხარ თუ აჭარადამ?
- ბათუმიდან ვარ-მეთქი, – ვუპასუხე.
- ჩემი დედე დაჩიეთიდამ არი.

შემსომ იცის „დედე დაჩიეთიდამ“ (დარჩიძეები – მ.ფ.) რომ არის, მაგრამ გვარი არ ახსოვს მისი, არც სახელი ზუსტად...

„ღოდოფალი მოხეაგან,  
ნეფე თოფალი ხეაგან,  
საჩუქარი რად ხეაგანო?  
ერთი თოფალი თხად ხეაგანო“ –

მოგვიღებქსა შემსომ.

სურვილი გვქონდა, მეორე ქალბატონსაც ეთქვა ლექსი. თინა აქეზებდა, ცდილობდა, ეგებ ვათქმევინო რამე.

- მე არა, იმგვარი ააფერი ვიციო, – დაიჟინა.
- შენმა დედამთილმა „კად შაირი გვითხრა“, შენც თქვი რამეო, – მიეძალა თინა.

– დედამთილი არაა ქი, მუღია. აპა, ჩამოგიკითხა, ნახე? არ მესობა შენი მუხი! რძალს რძლის მუხი ესობა...

თინა და მე იქვე მეზობელ სახლში წაგვიყვანეს, დემურალი ქაიას ოჯახში.

ტყის პირას, ოდნავ შემადლებულ ადგილას, სამსართულიანი ოდა უდგას დემურალის. მისი აივნისა კარგად ჩანს მთელი მანხატეთი. სიხარულით მიგვიღო. გაუხარდა ბათუმელი სტუმრების მოსვლა. აქაური წესისამებრ, შესასვლელში გავიხადეთ ფეხზე და მისადებ ოთახში შევედით. ღუმელი გიზგიზებდა. გარეთ საკმაოდ გრილოდა და გვესიამოვნა სითბო...

მაჰმუდ ჩაქმახი, ზელიმ ალთუნერი, შემსინურ ალთუნერი, დემურალი ქაია, იბრაიმ ჩაქმახი და ჩვენ (მე და თინა) ვსაუბ-

რობთ. მასპინძლები ქართულად ლაპარაკობენ, მაგრამ ხშირად, უნებურად, თურქულზე გადადიან ხოლმე. ცდილობენ კი ქართულად ისაუბრონ.

ყურადღებას იქცევს თვლის სისტემა: ოთხმოცი, ხუთმოცი, ექვსოცი, შვიდოცი, ათოცი.. თუმცა იციან ასი და ორასიც.

თინას თხოვნით, მასპინძლები ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს, ხალხურ ანდაზებს იხსენებენ:

- კაკლის ხეჭპოლამ გამოსულა და ჩვენი თავი არ მოსწონს;
- გაზენგილებულა და ცხვირი გუუზდია;
- ანად ნახე, და ნახე, შვილი ნახე, მადლიაო;
- ბერი ხარი რქიებ დაბლა დედებსო...

ქალბატონ ჰუნქერს თხოვს თინა, იქნებ ძველი სიმღერა გაიხსენო.

– მე სამა-სიმღერა არ ვიცი, ამან არ მასამაო, – ღიმილიანი საყვედურით მიმართა ქმარს, დემურალი ქაიას, ქალბატონმა ჰუნქერმა.

– ბავლობით ღამაზი იყო. ფენა სხვამ არ შეხედოსო, არ ვასამე, – ხუმრობს ბატონი დემურალი, თუმცა რატომ ხუმრობს...

თინა მაინც თხოვს, იქნებ სხვა რამ გაიხსენო.

– რად გითხრა და... არ ვიცი, დამავიწყდა ქი...

ქალის გაჯიუტებამ კაცი ხუმრობის ხასიათზე დააყენა:

აქ (საფეთქელთან მიიღო თითი) ფინთათაა და არ ამბოფს, არ მააგონდა.

– ოქი არ ვისამე, არ ვიმღერე?! ჰად დემეწავლა? – არ ნებდება ქალბატონი ზელიმი.

ამასობაში ოჯახის უფროსმა ვაჟმა ლანგრით ჩაი, ჭიქები, შაქარში ამოვლებული თხილი და ვაფლი შემოიტანა. ჩაი დავლიეთ. გეთავაზობენ კიდევ დალიეთო. უკვირთ, ერთ ჭიქაზე მეტს რატომ არ ვსვამთ.

– არ ვართ ბევრი ჩაის სმას მიხვეული-მეთქი, – ვიმართლებ თავს მასპინძელთან...

– ქული გამოვაქციე ნისლი გავაქციე.

– გამააქციო, ვიტყვით. ჩვენი თქმით ნისლი არ წავა, ღმერთმა იცის, თუ წავა. ჩვენ ღმერთის ხელში ვართ; ის გააწვიმებს, ის დააყენებს, ის წვიფვანს... – ჩაერთო საუბარში მაჰმუდ ჩაქმახი.

თინა კვლავ მიუბრუნდა ქალბატონ პუნქერს:

– კაცი ან ბაღვი რომ გაგაბრაზებს, რაფერ დაწყველი?

ჯერ უარი თქვა წყველაზე ქალბატონმა პუნქერმა, წყველა არ ვარგაო, შემდეგ რამდენიმე ფრაზა გაიხსენა:

– შენ რუსო! შენ მოსკოველო! – ვეტყვი, ღმერთმა გააწყნაროს!...

აქაურთა საუბარში შეინიშნება 3 და 2 ირაციონალური ხმოვანი: ვარი, ხებო, კვლდე, ძემა...

– კურდღელისა შვილები ხყოლიაო, – ვიტყვით, ბაჭია არ ვიცით, ტავშან – ვიტყვით. გელის შვილი – ლეკვია, ცხვრის შვილია – კრავი, ჯამუშის შვილი – კოტიკი... – გვაცნობს ცხოველთა ნაშიერების სახელებს მასპინძელი. ჩვენც ვიწერთ ყველაფერს, ყველაფერი საინტერესოა ჩვენთვის, ოღონდაც მოვასწრებდეთ ყველაფრის ჩაწერას, რაც ჯერ კიდევ გადარჩენილა.

საყურადღებო ზმნური ფორმები დასტურდება აქაურთა მეტყველებაში: „ურბას **გუურცხი**, **გაგრცხი**...“ ხაზგასმული ფორმები კლარჯულშიც გვხვდება, სხვაგანაც. დიალექტებიდან სამწერლობო ენაშიც (დ. გურამიშვილი და სხვები)...

ამასობაში ხოჯამ ეზანი დაიძახა და მოუხმო მორწმუნეებს სალოცავად. უხერხულად ვგრძნობთ თავს. მასპინძლები მორწმუნეები არიან, ჩვენ კი წასვლას ვაგვიანებთ, მასპინძლებს ხელს ვუშლით შუადღის ნამაზის შესრულებაში. უხერხულობის გასაფანტავად ვკითხულობ:

– ჯამეში არ მიდიხართ? შუადღეა უკვე, ლოცვის დროა-მეთქი.

– ხოჯა კითხულობს ქი, მინდა მივალ, მინდა აქ ვილოცებ, – გაგვიმარტა მაჰმუდ ჩაქმახმა.

გხედავთ, მასპინძლებს სიამოვნებთ ჩვენთან მუსაიფი. ჩვენს ინტერესსაც ითვალისწინებენ. ცდილობენ, ბევრი რამ გვიამბონ...

– ჩვენ სოფელში ჰქონ თურქნა მაღაპარიკებელი არ იყო, ფოცხოველ ნენედ არ ვთლი, – იხსენებს დემურალი.

– რატომ არ'ნა დათვალო? – შეეპასუხა პუნქერი.

– ისენი ვერ გველაპარიკებიან გურჯულს, გადაბრუნებულან... ახლა ჩვენც გადავბრუნდით, – ერთგვარი სინანულით ამბობს დემურალი.

ბევრ სოფელში გაიგონებ, თურქულად მოლაპარიკე არ იყო ჩვენთან არცთუ დიდი ხნის წინათ. გვიან გადაბრუნდენ აქაურები თურქულზე. საჭიროებამ გადააბრუნა სხვათა ენაზე გურჯები. იძულებულნი გახდნენ, ესწავლათ თურქული, – სახელმწიფო ენა. სხვაგვარად ვერც სამუშაოდ წავიდოდნენ დიდ ქალაქებში და ვერც შვილებს შეიყვანდნენ სკოლებში. პირველყოფილი წესით ცხოვრება აღარ შეიძლებოდა. ჰოდა, შავშელმაც (კლარჯმაც, ტაოელმაც...) ისწავლა თურქული, ისიც გახდა იძულებითი მიგრანტი (მუჰაჯირი) გამხდარიყო და დიდ ქალაქში ან სამრეწველო ცენტრთან ახლოს გადასახლებულიყო და ახალი ცხოვრების მოწყობაზე ეზრუნა. შვილები-სათვის განათლება მიეცა, მეტი სარჩო-საბადებელი ეშოვა. მახსენდება ხევწვრილელი მოხუცის ნათქვამი, „აქაურ კაცს ფუში არ უძღებო“. გაჭირვებამ, ბუნებასთან ყოველდღიური ჭიდილით დაღლამ, აიძულა მანატბელი თუ მანხატელი, აგარელი თუ დაბელი, უბელი თუ ზაქიეთელი... დაეტოვებინა მშობლიური სოფელი და განიხნულიყო... იძულებული გახდა, მოეშალა ტრადიციული მეურნეობა, – მეცხოველეობა და მემინდვრეობა, დაეთმო ჩომისა და ვარის სიყვარული, ხელი აეღო ხორბლის, ქერის... თესვაზე და მზა პროდუქტი შეეძინა, მამა-პაპური სახნავები ჭალებად ექცია, დაიღებინა და სოფლის კერები – აგარაკებად და ახალი ცხოვრება დაეწყო... ყველაფერი ეს არ იყო იოლი. „თურქულზე გადაბრუნება“ იყო ხანგრძლივი და დამთრგუნველი პროცესი, რომელიც დღესაც გრძელდება. ხსოვნას შემორჩა, რომ მათ სოფელში ექვსასი

ვარი იყო, რომ სადაც ღრუბლებში გახვეულ მთის წვერზე ვარი დათვლია, რომ მათ სოფელში თესავდნენ პურს, – დიკას, დოლს, ქერს... რომ აქ კალოს ლეწდნენ... დღეს ეს საქმე აღგა...

ერთი კია, სოფლიდან წასული არ ტოვებს სოფელს; მშობლიური კუთხიდან გახიზნული სოფელზე ფიქრობს, მისთვის მზე ისევ მთებში ჩადის, მოიცლის და გული ისევ მშობლიური მთებისაკენ მიუწევს; აქ ჰავაც კარგია და წყალიც; ფესტივალს დაესწრება, ისამებს გულის გაკოჭვამდე, ძმებსა და ნათესავ-მეზობლებს ნახავს, გულს იჯერებს და...

აქ დიდი დედებს ნათქვამს სხვა ძალა აქვს... მთის წვერებზე გაშენებულ სოფლებში, რომელთა სიმაღლე ზოგჯერ ზღვის დონიდან 2000 მეტრს აღწევს, ჯერ კიდევ გადარჩა ქართული ენა, ქართული ადათი, ფოლკლორი, ცხოვრების ძველი წესი ზოგადად...

გამოვემშვიდობეთ მასპინძლებს და ფეხით მანატბისაკენ წავედით თინა და მე. გუშინდელი წვიმა გახდა მიზეზი, რომ ვერ ვიჯერე გული მანატბელებთან ყოფნით. ბევრი რამ საინტერესოა აქ. გამორჩეულად საინტერესო სოფლებია მანატბა და მანხატეთი. საინტერესო ხალხია მანატბელები და მანხატეთელები. მანატბელი მაჰმუდ ჩაქმახი მიგვიძღვება სოფელში. გზად გარემოს ვათვალიერებთ, ვსაუბრობთ.

– წუხელ, ღამით დათვი ჩამოსულა სოფელში, ბლები უმტრეგია და წასულა, – გვეუბნება მაჰმუდი და ტოტებდაღევილ ხეს გვაჩვენებს.

– ჩომას არ ერჩის დათვი? – ვკითხე მაჰმუდს.

– არა, ჩომას არ ერჩის. მეფას ჭამს: ბალს, პანტას, ჭყინტს, ჩომას – არა.

საუბრით გართულებმა, ვერც კი გავიგეთ, როდის ავედით მანატბაში. ალაათდინ ალთუნელის (დარბაზიშვილის) ოჯახში მიგვიწვიეს. ალაათდინს სოფლის ბოლოში დიდი ოდა უდგას. იგი ორმოცდაათიოდე წლის კაცია, ჯანმანგარი, მზით გარუჯული...

– აქ ვისაუბროთ-მეთქი, ეზოში, სახლში ნუღარ შევალთ-მეთქი, – ვთხოვე ალაათდინს.

ისირცხვილა. ხალხი იტყვის სტუმარი სახლში არ შეიყვანაო, ამას ნუ იზამთო, – გვთხოვა და ოჯახში შეგვიძღვა. თან მშვენიერი ანდაზაც მოაყოლა: „მოსლა შენი თქმით არი და წასლა შენი თქმით არ არიო, – სტუმარს უთხრა მასპინძელმაო”.

მასპინძელი ხუროა და სახლში ყველაფერი თავისი ხელით აქვს გაკეთებული: კარადა, მაგიდა, ტახტები, სკამები... ყველაფერი. მოსწონს თავი ოსტატს, კარგი ხელი მაქვსო, ამბობს. დიასახლისიც სტუმართმოყვარე ქალბატონი აღმოჩნდა. ქალები საუბრით გაერთნენ. დიასახლისი ჩაის სამზადისს შეუდგა, თან თინას კითხვებს პასუხობს. ალაათდინი სახელოსნოში ჩამიძღვა და მათვალიერებინებს: მერული, ფოცხი, კიბე, ზენჯირი, საბელი//თოკი, ვარიოზი, თოხი//ენოპინტრა, გოგორა, ჩაქუნი, სახვეწელი, სატეხი, რენდე ნაირსახეობებით: თაბლა რენდე, პლანია (შალაშინი), ქუშტარა (გვერდის სასწორებელი). აქვეა ფერგელი, მათხაფი (ბურღი), ჩიღვი, წერნაქი(\*//წარნაქი)...

საინტერესოა, რომ ზოგიერთი იარაღის სახელი რუსიზმია („პლანია”, „ვარიოზი”), უმეტესობა კი – ქართული. ყურადღება მიიქცია ასევე „ენოპინტრამ”. მას თოხსაც ეძახიან. იგი ორპირიანი იარაღია. ერთ მხარეს ცული აქვს, მეორე მხარეს – ეწო. იყენებენ ავაზანის და მისთანა ჭურჭლის ამოსაჭრელად.

– მოჭრილი რომ ქონდეს ცული, თოხი იქნებაო, – ამიხსნა მასპინძელმა.

**ენოპინტრა** ჩანს, კომპოზიტია: ეწო + პინტრა. ეწო ცნობილი იარაღია, საძიებელია **პინტრა**’ს მნიშვნელობა.

დავათვალიერეთ ალაათდინის სახელოსნო. შემდეგ გამიძეხო, მიბრძანა და მაღლა ავედით, მისაღებ ოთახში, სადაც თინა და მასპინძელი ქალბატონი გველოდებოდნენ.

დარბაზი (სალონი), სადაც ვსხედვართ, საკმაოდ დიდია, 50 კვადრატული მეტრი მაინც იქნება, შეიძლება მეტიც. დარ-

ბაზს შუაში ბოძი აქვს, მასზე მოდის სახლის მთელი სიმძიმე. ალაათდინმა არ იცის დედაბოძი, მაგრამ ბოძის დანიშნულება კარგად ესმის. იგი გამორჩეული ხითხუროა მთელს კუთხეში. კარგად იცის თავისი ხელობა, შეყვარებულია თავის საქმეზე:

– კაცსა რაცხაზე ქი ჭკუა უჭრის, იმას ასწავლებენო, – გვითხრა ალაათდინმა.

მასაც უყვარდა ხურობა, ამიტომაც ისწავლა ეს საქმე.

ქალბატონმა ჩაი მოგვართვა. ალაათდინი გამხიარულდა. ჩანს, უყვარს ჩაი და უფრო მეტად – საუბარი. ტელეფონმა დარეკა. მასპინძლის ვაჟი (სოფლის მუხტარია) რეკავდა ხოფიდან. წყალი გამოყავთ სოფელში და მიღების მოსატანადაა წასული ქალაქში. დედას თხოვა, ჩემს მოსვლამდე არ გაუშვას სტუმრები. არც გვიპირებს ალაათდინი გაშვებას...

ჩვენი ექსპედიის ნაწილი ბაზგირეთში წავიდა მარიობის ფესტივალზე. შორია ბაზგირეთამდე. ჰოლა, ვატყობ, მათ დაბრუნებამდე საკმაოდ ვერ ვიშუშაოთ მანხატეთსა და მანატბაში...

ჩაის შემდეგ დავემშვიდობეთ ალაათდინ დარბაზიშიღისა და მის ოჯახს, მადლობა გადაუხადეთ მასპინძლობისათვის და მანხატეთში დავბრუნდით.

კმაყოფილია თინა. კმაყოფილია მასპინძლობითა და მოპოვებული მასალითაც. კმაყოფილი ვარ მეც. უკმაყოფილო ვარ იმით, რომ მეტ დროს ვერ ვუთმობ ამ მართლაც მშვენიერ სოფლებს და მათ მკვიდრებს.

დიდებულია მანატბა! დიდებულია მანხატეთი!...

ჩავედით მანხატეთში. მერი სოფლის ორღობეში ქალბატონებთან ზის და იწერს რაღაცას, თან ჩაის მიირთმევს. ჩანს, დაღლილია.

– არის მასალები? – ვკითხვები ქალბატონ მერის.

– არა უჭირს, არის რაღაცა, – ჩვეული უკმაყოფილებანარევი ტონით მიპასუხა მერიმ.

–კამ სოფელი გაქვთ, – მიმართავს თინა მანხატლებს, – ძალიან კარგი სოფელი...

შუადღის სამი საათი იყო ბაზგირეთიდან ჩვენები რომ დაბრუნდნენ.

მანხატეთიდან აგარაში ჩამოვედით.

აგარა მოზრდილი სოფელია, ყანებითა და ბაღებით დამშვენებული. ერთმა აგარელმა სიამაყით გვითხრა: ჩვენს სოფელს აგარა იმიტომ ქვია, რომ აქ ყველაფერი კარგი მოდის: სიმინდი, კარტოფილი, ვაშლი, მსხალი. ამ გაგებით აგარა სახნავ-სათესი ადგილია და არა – დასასვენებელი. თუმცა, არც დასასვენებლადაა ურიგო.

სოფელში გეოგრაფიული სახელის, აგარა – ასეთ ახსნასაც მოისმენთ: „**ბათუმიდამ გოგო გამოქცეულა, აქ შეჰყრიან, უთქვიან ქი, აგერააო. დიერქვა აგარა**“.

საინტერესო დაკვირვებაა, მაგრამ ჭეშმარიტებიდან შორსაა.

აგარაში მაჰალეების სახელები აქ მოსახლე გვარებთანაა დაკავშირებული: მოსიძე, მარგაძე, შუღლაძე (აბაშიძე), ვარდიძე.

აგარელთა მეტყველებაში შევნიშნეთ **წვე** ნაწილაკი (სხვაგან არ შეგვინიშნავს), ერთი შეხედვით **ქვეს** ფუნქციური ექვივალენტი: წვე კამ არ არის; წვე წინ ნუ გადიხარ...

ზოგჯერ შეინიშნება ირაციონალური გ ხმოვანი: „ამ ცვხეა“ – რაღაც დატკეპნით გამოთქვამენ აგარლები ამ სიტყვას.

აგარაში რამდენიმე ტოპონიმი ჩავიწერეთ: **დარბაზუკანაჲ, კარწინათი, ქურდი ყანათი (კალო), ქვიტაური//ქვატაური, დიდვაკე, დაწვილი ტყე, თეთროზეთი, ბრინჯვალი, რუბანეთი, ქათიჯვარი, ქილისა, კაპაკურწ ახო, ავაზანათი...**

სოფელში არავინ იცის **დარბაზის** მნიშვნელობა, ტოპონიმი მა კი შეინახა ძველი ქართული სახელი;

**ქათიჯვარი** ალბათ **ხატიჯვარია**;

**თეთროზეთი** \***თეთროძეთი** < **თეთრაძეთი** (?) – დასაშვებია, აღნიშნული ტოპონიმი ასეთი გზითაა მიღებული. შდრ. დაბა-

კეთილში არის უბანი **თაუზეთი** (\***თაუძეთი**<**თაფძეთი**<**თავაძე-თი**?).

ყურადღება მიიქცია ტოპონიმმა **ქილისა**. აგარაში ეკლესია ყოფილა, როგორც ამბობენ, თხუთმეტი სოფლის ეკლესია.

– ტბეთის ქილისა ამაზე ყოფილა მიბმული. ქილისა 16 სვეტზე მდგარა, სამი ყათი მიწის ქვეშ ყოფილა, სამი ყათი – ზეთ. ამ ქილისაში თამარა დედოფალი მოსულა. უკანისან აქ უცოცხლია. ერთ კიდო იტყვიან, სასვენი აქ ქონია... – გვეუბნება სოფლის ხოჯა ვეისელ მარგაძე.

თამარ მეფეს რომ აქ „უცოცხლია“ იმიტომაც არის აგარაში დარბაზი, ვიფიქრე ჩემთვის. ნაფიქრი არავისთვის გამინდვია.

აგარის ეკლესია გამორჩეულ ალაგას მდგარა. ნანგრევებიდან ჩანს, დიდი ტაძარი ყოფილა. თუმცა წერილობითი წყაროები მის შესახებ არაფერს ამბობენ. შესაძლებელია, სადმე არის კიდევ ცნობა აგარის ტაძრის შესახებ, მაგრამ ჩვენ არ ვიცით.

ვეისელ მარგაძე, სოფლის ახალგაზრდა ხოჯა, განათლებული კაცია, კარგი მექართულე. ჩანს, კარგად იცის თავისი სოფელი და სოფლის ამბები. საქართველოშიც ყოფილა და ამაყობს ამით. ახლა ქართული ანბანის სწავლასაც ფიქრობს. თავად წაგვიძღვა ვეისელი ეკლესიის ნანგრევებზე, სადაც სხვებმაც მოიყარეს თავი. ვცდილობდი, რაც შეიძლება ბევრი გამეგო აგარისა და აქაური ტაძრის შესახებ. ინტერესი მას შემდეგ უფრო გაგვიღვივდა, როცა გავიგეთ, რომ „თამარ დედოფალს აქ უცხოვრია“ და მისი „სასვენიც აქ არის“.

ვფიქრობდი, ამ გადმოცემებს რაღაც სხვაც ეხლებოდა. არ გაგვიცრუვდა იმედი. ჩვენმა მეგზურმა ასეთი ამბავი მოგვიყვა:

– დიდი ქილისა ყოფილა. მიწი ქვეშ სამი თანე გზა არი, ჩვენ არ მოვწრივართ, ერთი წეთილეთ ჩადის, ერთი უხედ თერეფში ჩადის...

არაფერი გვეთქმის, კარგი თქმულებაა...

ვეისელი გზადაგზა კაფიობს კიდევ:

„ციხევ, მოგიკტეს ამშენებელი, გარედან გოშა მომშენებელი.

ან კიდევ:

წისქვილ პური დავაყარე,

სარეკველა უხდებოდა,

მე რომ იმ ღამაზე არ მეკოცნა,

მერაყისგან მოკლებოდა.

ოდესღაც დიდი ტაძრიდან ცოტა რამაა გადარჩენილი. ნაშთები მართლაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ აქ ერთ დროს დიდი ეკლესია მდგარა. გადარჩენილი კედლის სისქე ერთ მეტრზე მეტია. ეს ფაქტიც ჩვენს ვარაუდს უჭერს მხარს.

აგარლები სტუმართმოყვარენი არიან. ცდილობდნენ, დაეკმაყოფილებინათ ჩვენი ცნობისმოყვარეობა, ეპასუხათ ჩვენს კითხვებზე და მოეთხროთ ყველაფერი, რასაც გაიხსენებდნენ. დაბლა მაჰალეში, სადაც სპეციალურად ჩაგვიყვანეს, იმდერეს კიდევ. აგარლები განარჩევენ ცაკვას ცეკვისაგან: „ცქვიტათ სამას ცაკვა უთხრეს. ცეკვაიდან ცაკვა გახდა“...

კარგად დაბნელებული იყო, აგარიდან რომ წამოვედით.

ორი დღე ხოხლეში, მანხატეთში, მანატბასა და აგარაში ვიმუშავეთ. ოთხივე სოფელი გამორჩეულად კარგი მექართულეა, სტუმართმოყვარე და კეთილი ხალხით დასახლებული. უყვართ თავიანთი სოფელი და ეამაყებათ, რომ „თამარ დედოფლის სასვენი“ მათ სოფელშია...

## ხევწერილსა და წეთილეთში

9 აგვისტოს დილით ხევწრულში ავედით. დღეს აქ მუშაობას არ ვაპირებთ. ავედით მხოლოდ იმიტომ, რომ სოფლის ჯამის კარი გვენახა და გადაგველო. ამბობენ, იგი ეკლესიისა იყო ძველად. ვიცნობთ ამ სოფელს, კარგად ვიცნობთ, წინათაც გვიმუშავია აქ. ნაცნობებიც გვყავს ამ სოფელში...

დილის 9 საათი იქნებოდა ხევწვრილში რომ ავედით. სოფელი ახლად იღვიძებდა. წვიმდა. გრილოდა. ჯამესთან გაგახერეთ მანქანა. ახლო მცხოვრებნი ეზოში გამოვიდნენ უცხოთა დანახვაზე. სიხარულით მიგვიღეს.

თინა წინდახედულია. დიდი გამოცდილება აქვს ველზე მუშაობისა. წინა ექსპედიციის დროს ამ სოფელში გადაღებული ფოტოები წამოუღია და ურიგებს დამხვდურთ. უხარიათ ხევწვრილელებს ხუთი წლის წინანდელი ფოტოების ხილვა. იცინიან, მხიარულობენ...

მერი გადმოვიდა მანქანიდან, შესაფერის ადგილსა და მოუბარს ეძებს, რომ „დაკითხოს“ მისებურად...

ნარგიზა დაბნეულია; ისიც საკბილოს ეძებს ვიდეოკამერით ხელში..

თინა, როგორცა ვთქვით, ფოტოებს არიგებს, თან წყევლისა თუ დალოცვის ფორმულებს კითხულობს. ასეთ დიალოგს გაიგონებთ:

– რძალი რომ გაგაბღეზებს (გაგაჰერსებს – უქცევს თინა მათებურად), რაფერ დაწყევლი?

– გაგაჰერსდები, ჰამა არ დევწყევლები, ცოდვაა!

– გულში ხომ მაინც იფიქრეფ რაცხას? – არ ეშვება თინა.

– ჰო, გულში ზამან-ზამან გეფიქრეფ, ჰამა შენ'ნა გითხრა?

– მითხარ, ვერავინ გაიგებს, ჩავიწერ და ქითაბში დავწერ, – ეხვეწება თინა.

– შენ არ გეხარე! შენ არ გიგითენდა დილა! შე ხრისტიანო! შე ეჯვლის შვილო!... ერთმანეთის მიყოლებით მიაყარა მოხუცმა ქალბატონმა, არცთუ ხალისით.

თინა კმაყოფილია, ბედნიერად იღიმის (იმ კახური ანეკდოტისაც არ იყოს, ასე, კაცო, გამხიარულდიო, იმერელ სიძეს რომ უთხრეს ახალმა მოყვრებმა, გინების კორიანტელი რომ დააყენა), ქალბატონს კი უკვირს, რა უხარიაო.

ეს ის შემთხვევაა, როცა ორივე მართალია.

თანდათან ცნობისმოყვარენი იკრიბებიან ჯამიკარზე, სოფლის ცენტრში. ჩვენი ნაცნობი ჯემალიც გამოჩნდა, ბრილელი ჯემალ ჩელიქი.

– გუშინ ხევწვრულში ჩამოვედი, დამირეკეს, ფუტკარს დახედეო და იმიტომ ჩამოვედი, – აგვისნა ჯემალმა.

ჯემალი დღეს სახლში დაბრუნებას აპირებს. წინ გრძელი გზა აქვს ფეხით გასავლელი. გაიგო რა, აქ დიდხანს არ ვაპირებდით გაჩერებას, გვთხოვა, დაგელოდებით და გამოგყვებითო გზამდე.

ავედით ჯამესთან. განსაკუთრებული არაფერია. ერთი კია, ჯამე ეკლესიის საძირკველზეა აშენებული, უფრო სწორედ, ქრისტიანული ტაძარი ჯამეთაა გადაკეთებული. ეზოში მრავლადაა ძველი, ნათალი ქვები: ზოგი კიბედ გამოუყენებიათ, ზოგიც უფუნქციოდაა გვერდზე მიგდებული...

ყურადღებას იქცევს ჯამის მახლობლად მდგარი ძველებური სახლი. ქალბატონები ფუსფუსებენ ეზოში. თამაზმა სახლის დათვალიერება ითხოვა. ბუნებრივია, შეუძღვნენ შიგ...

ახალგაზრდა ქალბატონის ქართულმა მიიქცია ჩემი სმენა: გამართული, დინჯი ქართულით საუბრობდა, განსაკუთრებული, სხვებისგან განსხვავებული დიქციით. მის გამოთქმაში არ იგრძნობოდა სხვა ენის გავლენა... ვინანე, მაგნიტოფონი მანქანაში რომ დავტოვე. ყველაფერს, ბუნებრივია, ვერ გაითვალისწინებ. არადა ამგვარი მეტყველება ფირზე უნდა ჩაიწერო სამაგალითოდ...

ბიჭები იღებენ ყველაფერს... ჯამის კარებს, ეზოში მიმოფანტულ ქვებს, სახლებს... მოულოდნელად დაბლიდან სიმღერის ხმა მოგვესმა. ორი ახალგაზრდა ქალბატონი მთელი მონღოლებით მღეროდა აქაურ შაირებს. თინას მოუწყვია ეს მინი-კონცერტი, როგორც გავიგეთ.

მომღერლები კარგი იმპროვიზატორები არიან, თხზავენ და მღერიან კიდევ...

თინა იწერს ხელითაც და მაგნიტოფონითაც, შემდეგ აუდიოფირზე ჩაწერილს ასმენინებს ქალებს. მომღერლები საკუთარი ხმის გაგონებაზე ხმამაღლა იცინიან, ხალისობენ. რის



ჩაწერასაც ვერ ასწრებს თინა, ამეორებიანებს... ისინიც დაუზარებლად ასრულებენ თხოვნას.

დილაუთენია სახელდახელო კონცერტით რაღაცნაირად გააკვირვებული თუ დაბნეული ნარგიზა ვიდუოგადადებითაა დაკავებული...

მერი კი ზის და იწერს რაღაცას თავისთვის...

ბიჭებიც მოვიდნენ. ჩვენი წასვლის დროა. წეთილეთში ვართ ასასვლელი, სხვა სოფლებშიც. ასე რომ, უნდა შევწყვიტოთ კონცერტი...

თინა და ნარგიზა უკმაყოფილონი არიან ჩემი გადაწყვეტილებით, განსაკუთრებით თინა ვერ ფარავს უკმაყოფილებას. გულნაკლულია, ნამდვილი ავტორ-მთქმელები არიანო, მათგან კიდევ ბევრის ჩაწერა შეიძლებოდაო, – მისხნის.

მართალია თინა, მართალი ვარ მეც. ექსპედიციის ბოლო დღეებია და უნდა მოვასწროთ კიდევ რამდენიმე სოფელში მუშაობა. გვინდა, ამ ექსპედიციით დავასრულოთ შავშეთის მექართულე სოფლების ნახვა...

ჩავსხედით მანქანაში და ცენტრალური გზისაკენ დავეშვიტით. ჯემალი წყნარად ზის. დროდადრო თუ იტყვის ორიოდ სიტყვას. საერთოდ, საინტერესო კაცია ჯემალ ჩელიქი, დინჯი მოუბარი, ფიქრიანი, თავისებური ფილოსოფიის კაცი. ზამთარში სოფელში მარტოა, შვილები ქალაქში ჰყავს ჯემალს... უსაშველოდ გრძელ ზამთარში ფიქრობს მარტოკაცი. მარტოობა ფიქრს შეაჩვევს კაცს...

გარკვეული ხანს ჩაფიქრებული იჯდა ჯემალი. შემდეგ მომიბრუნდა და მთელი სერიოზულობით მითხრა:

– მამია, შენ ახლა პროფესორი კაცი ხარ. გამარკვიე, მუსლიმანობა ჯობია თუ ქრისტიანობა?!

კითხვა მოულოდნელი იყო, არ დავიბენი და ვუპასუხე:

– იცი, ჯემალ, ღმერთი ერთია, მუსლიმანობაცა და ქრისტიანობაც ღმერთისაკენ სავალი გზაა. კაცი თავად ირჩევს უფლისკენ სავალ გზას...

– რა ვქნა არ ვიცი, – განაგრძო შეწუხებულმა, – რემეზანში ვერ ვმარხულობ, ხანდახან დაბანის (ასეც ეძახიან გა-

რეულ ღორს) ხორცსაც ვჭამ, ღვინოსაც დავლევ... სოფელში ხრისტიანს მიძახიან; ქალი მებნევა, ჯენნეთში ვერ მოხდებიო...

– ჯემალ, ცუდს ნუ გაუკეთებ კაცს, გაჭირვებულს ხელი გაუმართე, კაცს არ უღალატო, ოჯახს ემსახურე და ... ჯენნეთი შენი იქნება-მეთქი, – გავამხნევე.

– მეც მასე ვფიქრობო, – მომიგო ჯემალმა.

პაუზის შემდეგ განაგრძო:

– ზამთარში აქ დიდი თოვლი მოვა. ტახები სოფელში ჩამოვლენ. სახლიდან გუუსლელად, ფენჯრიდან ვკლავ ხანდახან დაბანს. გერმელია დაბანის ხორცი, ჰამა ქალმა დიმისიქთურა (ამიკრძალა – მ.ფ.), სახში არ შამოიტანო. მეც არ შევტან. ქალი ღოცულობს, ვახტს არ გამოტევს, რემეზანში თმენს (მარხულობს)... მეც ვერიდები, აბა რა ვქნა?...

– პატივი უნდა სცე ქალის რწმენას, – მოვუწონე ჯემალს საქციელი.

ამასობაში გზაზე ჩამოვედით. ჯემალ ჩელიქი დაგვემშვიდობა და მანქიდან ჩამოვიდა. დავემშვიდობეთ ჯემალ ჩელიქს, ბრილელ მოაზროვნეს, ხალხური სიბრძნით დამშვენებულ კეთილშობილ კაცს, რომელსაც ღმერთისაკენ სავალი თავისი გზა აურჩევია, სიკეთის კეთებით ღმერთთან დაახლოების გზა...

გეზი წეთილეთისაკენ ავიდეთ. წინ საკმაო გზა გვაქვს (30 კილომეტრია შავშათიდან, 19 – ხევწრულიდან) გასავლელი. ვფიქრობ ჯემალზე, მისი სადარღებელი მაფიქრებს...

წეთილეთი მთის სოფელია, გზის პირას, მდინარის (ფაფართი) მარცხენა სანაპიროზე გაშენებული. სოფელში ქართული იციან, მაგრამ დამლაპარაკებლის ნახვა გაგვიჭირდა, თავდაპირველად მაინც.

წუხანდელი ნაწვიმარია. არც დღესაა კარგი ამინდი. წეთილეთლები ყოველდღიური საზრუნავით არიან დაკავებული: ვის შეშა მოუტანია და მანქანიდან ეზოში ცლის, მეზობლებიც ეშველებიან; ვინ ღუმელს ახურებს, პურის ჩასხმას აპირებს; ვინ კიდევ...

ბევრი საზრუნავი აქვს სოფელს. არ გვიკვირს, ჩვენთვის არავის რომ სცალია...

სოფლის შარახე მიმავალ ქალბატონს გამოველაპარაკეთ. ჩაცმულობაზე ეტყობოდა, აქაური არ უნდა ყოფილიყო. არ შევმცდარვართ. აქაური ყოფილა, დიდი ხანია სტამბოლში ცხოვრობს, ახლა წეთილეთს მოსულა, სახლის აშენებას აპირებს. ისიც შევიტყვეთ, მეზობელთან მოსვლია დავა მიწის თაობაზე და უჩხუბიათ კიდევ. შეიტყო რა ჩვენი მოსვლის მიზეზი, გაგვეცნო, **ფერუხე ილდიზი** ვარო, **პაპოღლი**. ჩვენც ჩვენი ვუთხარით.

– მალლა ნათესავებთან მივდივარ, თქვენც წამოდიოთ, – შემოგვთავაზა.

ორღობეებით ავედით მალლა. ჰავა ჯაფარიძის ოჯახში შეგვიძღვა. აქვე მოვიდა წეთილეთიდან სტამბოლს გადასახვლებული ალი ჯაფარიძე – შუა ხნის მამაკაცი, უკვე ემეკლი, ოთხი შვილისა და ცხრა თორუნის პატრონი.

წეთილეთელ ქალაქელებს არ ეზარებათ საუბარი, სიამოვნებით ყვებიან ამბებს, გაგონილს თუ მოგონილს, ოღონდ ერთია, ბევრი არ ახსოვთ. „დედემ იცოდა, ბაბომაც, ჰამა მე არ მახსოვს, არ ვიცი, დამაბიწყდა...“, – ბოდიშობენ ჩვენთან.

ოჯახის უფროსი, ჰავა ჯაფარიძე 94 წლისაა. ეტყობა ქართული კარგად იცის, მაგრამ ლაპარაკს ერიდება. მე და თამაზი ვცდილობთ, დავაცდენინოთ რამე.

– ნენი, მოგვიყვი რამე თქვენზე, თქვენს ოჯახზე, თორუნებზე... – ვთხოვე.

– ააფერი არ ვიცი მე... რად ვილაპარაკო? – მომიგო ქალბატონმა.

– ნენი, ერთი მითხარი, უშვილო ქალს რას ეტყვიო? – ჰკითხა თამაზმა.

– უშვილო ქალს ბერწს ეტყოდენ, ყისირსაც ეტყოდენ, – უპასუხა ქალბატონმა ჰავამ.

– ურწანს არ ეტყოდენ უშვილო ქალს? – ჩაეკითხა თამაზი.

– ურწანსაც ეტყოდენ, კი ეტყოდენ, – გაიხსენა გაკვირვებულმა ქალბატონმა, – თქვენ საიდან იცით ეს სიტყვა...

**ბერწი** და **ყისირი** გამიგონია: პირველი ქართული ჩანს, მეორე – თურქული, ან თურქულის გზით სამხრულ მეტყველებაში შემოსული რომელიმე აღმოსავლური ენიდან. **ურწანი** კი შავშურში დადასტურდა.

**ურწანს** განმარტავს საბა: „ურწანი – ცხენი უზვი“, ხოლო **უზვი** განმარტებულია, როგორც „ბერწი ცხოელი“ (საბა).

**ურწანი** განმარტებული აქვს ნ. ჩუბინაშვილსაც: „ურწანი (ოთხფ.) – უზვი, ბერწი კამბეჩი, ანუ ცხენი, яовая“ (ნ. ჩუბინაშვილი).

**ურწანი** დიალექტთაგან გვხვდება ქართლურში, ქიზიყურში, მოხეურში, ხევსურულში, ინგილოურში, მთიულურში (შეიძლება სხვა კილოებშიც) და აღნიშნავს ბერწ პირუტყვს (აღლლონტი 1984).

ჩანს, შავშურში **ურწანის** მნიშვნელობა გაფართოვებულა.

**ბერწი** და **ურწანი** საერთო ძირის (რწ) ლექსემები ჩანს, რაც საინტერესოა...

– ორმოცამდე ქალს სახლიდან არ გაუშვებდნენ, არსად წაიყვანდნენ... რატომ იცავდნენ ამ წესს? – იკთხა თამაზმა.

– ადეთი რატომია არ ვიცი, ჰამა გიმიგონია. ყირხი (ორმოცი – მფ.) გამუა სახში გააბანებდენ. შინილამ არსად არ წაიყვანებდენ. ვინცხა ქი გააბანებს, იგი იკითხავს, ხოჯას არ მოყვანთ ჩვენ... მელოგინე ავით გახთება, რაცხა თვალი ცემიაო, ხოჯას მეიყვანებდენ, დააწერიებდენ ნუსხას (ჯადოს – მფ.), მაარჩენდენ... ასე იტყოდენ, მე არ ვიცი, გიმიგონია იშტე, – გვითხრა ქალბატონმა ფერუხემ.

– ქალს ბაჯალა რომ ეყოლებოდა, რატომ ეწყინებოდათ? – არ ცხრება თამაზი.

– ეყოლებოდა ქი ბაჯალა, ეწყინებოდენ! – ადასტურებს ფერუხე ილდიზი.

– ფეხმძიმე ქალს ბაჯალა ყავდა თუ ღარჭი, რაფერ მიხედებოდნენ? – ჩაეკითხა თამაზი.

– გიმიგონია, ნენედ იტყოდა, ფეხბიძე რომ შამოვდოდა, ერთ ალაგზე მახას დადებდენ, მეორეზე – დანას. ფეხბიძე მახასზე თუ დაჯდა, ბაკალა იქნება, დანაზე დაჯდა – ღარჭი. იშტა მარილსაც დააყრიან. ქალმა წვერი თუ მეიფხანა, ღარჭია, ლოყა თუ მეიფხანა – ბაკალა. თქვენც რამდენი ამბავი გცოდნია?! – გვეუბნება ფერუზე.

– ჩვენთანაც იტყვიან ასე, - ვუდასტურებთ ფერუზეს, იქიდან ვიცით ჩვენც.

– ჩვენი და თქვენი ჰამან გავს ერთმანეთს. ხანდახან ზათინდელი კაცები დასახლდებოდენ, ილღე ბიჭი უნდოდენ, ბაკალას არ იყავულებდენ. ბიჭთან'და ეცხოვრენ. მაშინ გაამტყუნებდენ ანუ ბაკალასთან მომკტარაო. ახლა უბაჭლო ქალი შემეცოდებება, – ჩაერთო საუბარში ჰავა ჯაფარიძე.

მინდოდა, მცირე ხნით მაინც საუბრის თემა შემეცვალა და ვიკითხე:

– ზიარეთზე წასვლა თუ იცით-მეთქი?

– ვიცით, აბა არ ვიცით?! ავატყოფობა თუა, ზიარეთზე წვედოდენ, დაწობოდენ. ჩემ ბაბოს ცხრო ჰქონებია, არაფერ უშველია, მეზერზე დაწოლილა და ცხრო წესულა... – დამიდასტურა და ზიარეთის სასწაულზე მიმანიშნა ალი ჯაფარიძემ.

– ბაღვი ხელგაშლილი იქნება თუ ძუნწი (კობიწი//კუპეწი) რაფერ მიხდებით? – ისევ ჩაერთო საუბარში თამაზი.

– დედადვის, მომუჭული თუ აქ ხელი, კობიწი იქნებაო, – იტყვიან, თუ გაშლილი ექნება ხელი – ღენი იქნებაო, – იტყვიან.

რამდენიმე საინტერესო ტრადიციაზე მიგვანიშნეს მასპინძლებმა:

– მარტივი ქი დედადვის, ყურში ეზან უკითხევდენ, მლოცავი იყვესო;

– ღარჭ თმებ მოვკნატყვით, შეენახევით. ამფერი ადეთი იყო და...

– ბაღვ კბილი ამუუვდოდა, სიმინდ მუუხარშევით;

– პერანგ გაფხრეწენ ქი, ბაღვ კბილი დოლას ამუუვდესო. ვინცხა ბაღვ დეინახავს, იგი თავის პერანგს გახევეს, კბილი დოლას ამუუვაო. ამუუვდოდა კბილი, ბუღლას – სიმინდ არეველ მოვხარშვიდით, ვაჭამდით მიღეთს;

– ქალი თუ ჩეიტანს ახორში სიმინდ, საფურო კბო დედადვისო, კაცი თუ ჩეიტანს – საჯარე კბო დედადებაო;

– „ჭიპის კი მაატრენ, ჯამის ქოშაზე ჩამოდებენ, მლოცავი იყვესო...”

– სხვა სოფელში სხვა ადეთებია, ჩვენ სოფელში ჩვენი ადეთებია, – დასძინა ალიმ.

– გამოცლილ კბილ სახლის დენტოში შევდებდით, დუზი კბილი ამუუვდესო, – ჩაგვერთო საუბარში ქალბატონი ჰავა.

ზემოჩამოთვლილი თითოეული ადათი აქაურთა რწმენა-წარმოდგენაზე მიუთითებს. ასე სწამთ აქაურებს, სჯერავთ, რომ ასე თუ მოიქცევიან, კარგია, თუნდაც იმიტომ, რომ ასე იქცეოდნენ დედეები.

– ბაღვი ავად რომ გახდებოდა, როგორ უწამლებდით? – იკითხა თამაზმა.

(დღეს თამაზი ბავშვის პრობლემებითაა დაინტერესებული მუცლადყოფნიდან – გაზრდამდე).

ძნელი კითხვაა, მაგრამ მასპინძლები ცდილობენ, დააკმაყოფილონ თამაზის ცნობისმოყვარეობა. თავს ძალას ატანენ, გაიხსენონ ზოგიერთი რამ. და იხსენებდნენ კიდევც:

– ყაბა-ყულარი (ყბა-ყურა – მ.ფ.) დეემართებოდა, ყური გუუსივდებოდა ქი. სამი-ოთხი დღე იქნებოდა, თვითანად წვედოდა, – იხსენებს ფერუზე.

– აახველებდენ ქი, თაფლ ვასმევდით” – ჩაგვერთო ჰავა ჯაფარიძე, – „დანხვერვიდა, ჩიტის სკინტლ ვაყლაპევდით;

– თათრახანად გუუწთებოდა, იმასა ჭიპ მუუყრიდენ. ბარდაღში ცეცხლ ჩაანთებდენ, იმა დააბურებდენ, – გაიხსენა ქალბატონმა ფერუზემ კიდევ ერთი რეცეპტი.

– ჭია ექნებოდა, ყაბლი გულ მიართმიდენ, დააყრიებსო, – ბრძანა ჰავა ჯაფარიძემ.

კიდევ რამდენიმე ძველი ადათი გაიხსენა ჰავა ჯაფარიძემ, ადათი, რომელიც მის ახალგაზრდობაში სწამდათ. ახლა ექიმობაა და ასეთების ნაკლებად სჯერათ.

– ჩვენ ზიმეთ ვიტყვი. ზიმეთ ქალს ბევრ არ ასაქმებდენ. ზრუგში არ მოკიდებდენ (ჩვენთან ზრუგში მოკიდებდა, ბევრი საქმეა), ბაღვი არ მოწყდესო.

– ფეხზიმე მეზობლებში არ'ნა შევდეს, თაგვები შეხევებიანო, – იტყვიან;

– ბაღვს რომ იშოვს, დალოგინდაო, – იტყვიან...

ყოველ კუთხეს თავისი ცხოვრების წესი აქვს, გამონაკლისი არც შავშეთია. საინტერესოა ამ რწმენა-წარმოდგენათა აღნუსხვა, თორემ დავიწყებას ეძლევა ბევრი რამ. ამიტომაც ვცდილობთ, ჩავიწეროთ, რაც ჯერ კიდევ გადაურჩა დავიწყებას...

– ვინც ამშობიარებს, იმ ქალს რას ეტყვი? – სვამს კითხვას თამაზი.

– ვინცხა ქი დაალოგინეფს, იმას ბიბიას ვეტყვი, ებეს. ბიბოე სხვაა – ბაბოის და.

– მელოგინე ქალის ლოგინს „საბელ შამაველებენ“, ჯაზი (ავი სული – მ.ფ.) არ მოვდესო...

ფეტიქობ რა წეთილეთში გაგონილ წესებზე, ვრწმუნდები აღის ნათქვამის სიმართლეში: სხვა სოფელში სხვა ადეთია, ჩვენ სოფელში ჩვენი ადეთებიაო, – რომ გვარწმუნებდა. დიახ, აქაური სოფლები ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ განსხვავდებიან კიდევ. მთელი კუთხე კი მოსაზღვრე ქვეყნებთან ავლენს საერთოს...

აღის მივუბრუნდი და ვთხოვე:

– აქაური მიწის სახელები ჩამაწერინეთ-მეთქი, დევწავლო'და, – მოუქციე შავშურად.

აღიმ ჩამაწერინა ტოპონიმები, რაც გაიხსენა (სხვებიც ეშველებოდნენ):

**გოჩინთი, წიახტი (წიახთი?), ნასყიდი, შამორევი, ნამხუღარი, ნარევი ტყე, საფანახვარი, ნაფურნევი, მოსირაჲ, შარაბული, გვალყანა, ხერთული (დელიპირა, \*კვერთული? \*ხერთვი-**

სი?), **კოვრი, მარანთავი** (შესანახველი ადგილი, მარანს ეტყვიან – განმარტა აღიმ), **ჭარის საწოლი, ბეღელი, ბელენ ქვაბი** (ქვაბია კლდეში), **სანადირო...** მეტი ვეღარ გაიხსენა.

ორ საათზე მეტია, ჯაფარიძეების ოჯახის სტუმრები ვართ. ვხედავთ, მასპინძელი დავდალეთ. წამოსვლის დროა. დავემშვიდობეთ ჰავა ჯაფარიძეს, ფერუზე ილდიზს, ჩვენთან სასაუბროთ შეკრებილ მათ მეზობლებსა თუ ნათესავებს... აღი ქვემო უბნამდე ჩამოგვევა. გზადაგზა გვიყვება თავისი ოჯახის, შვილების შესახებ. ერთი შვილი ინგლისში მყავსო, დოქტორობას აკეთებსო, – გვითხრა სიამაყით....

წამოსასვლელად ვემზადებით. კიდევ ერთ სოფელში, **ოთხკლდეში**, უნდა ავიდეთ. იგი ქართულად მოლაპარაკე ბოლო სოფელია, სადაც არ ვყოფილვართ. ამით მთავრდება შავშეთის მექართულე სოფლები. გვრჩება მხოლოდ მაჭახელი, ზემო მაჭახელი, სადაც ჯერჯერობით შესვლას ვერ ვახერხებთ, არადა როგორ გეჭიქრდება!...

იქნებოდა შუადღის 2 საათი, ოთხკლდეში რომ ავედით. იგი მოზრდილი სოფელია.

– **ეფე ვართ, კირქ ბეშ (ორმოცდახუთი) სახლიო,** – გვითხრა შაჰინ მერჯანმა. მისივე თქმით, – **ჩვენ ზათინ ბათუმიდამ ვართო.**

ქართული უჭირთ ოთხკლდეში; საუბრისას, ქართულად თქმას რომ ვერ ახერხებენ, თურქულზე გადადიან და ეს ხდება იმდენად ბუნებრივად, რომ ვერც ამჩნევენ. მიუხედავად ამისა, ოთხკლდე მექართულე სოფელია...

– თქვენს კუთხეზე წიგნი მინდა დავწერო და აქაური ადგილის სახელები, ადათები, ამბები, ჰეჩები მასწავლე-მეთქი, – ვთხოვე ბატონ შაჰინს.

ჩაფიქრდა მასპინძელი. რამდენიმე მიკროტოპონიმი გაიხსენა: **ნაფუზარი, ქუცუნ ყანები, ჭონჭონი, მარგე ყანა, ყალეს ყანა...** ჩანს, წვალობს მთხრობელი, მაგრამ მეტს ვერ იხსენებს.

ნაფუხარით დაიწყო მასპინძელმა. რამდენი ნაფუხარია მაინც ამ მხარეში! სოფელი არაა, ნაფუხარი რომ არ იყოს. თუმცა ნაფუძარი კი არა, ნასოფლარიც საკმაოდაა. შესამჩნევია, რომ დღითი დღე მრავლდება ტოპონიმებად წინავითარების სახელები: ნასახლევი, ნაქილისევი, ნაყანევი, ნაგომარი და ვინ დათვალა კიდევ რამდენი ნა-ევ აფიქსით ნაწარმოები სახელი დასტურდება თურქეთის საქართველოში...

– დედემ იტყოდა, ფუხრობა იყო უწინ, – განაგრძო შაჰინმა, – სიმინდის კოკოტას დაფუქვევდით, ვჭამდითო; უწინ ფუხრობა იყოო... – შემდეგ ჩაფიქრდა, რაღაცას იხსენებდა, გონებას აწვალებდა...

– კიდევ რას იტყოდა დედემ-მეთქი, – ჩაკვიტხე.

– დედემ იტყოდა, შვიდი თანე დევს გუუვლია და ალთუნი ჩუუფლიანო, მარა არ ვიცი ჰადო!

შაჰინის დედესაც უფიქრია ჩაფლულ ალთუნზე, როგორც ჩანს. და ვინ აღარ ფიქრობდა. ჩვენც ალთუნისათვის მოსული ვგონივართ შაჰინს. ამიტომაც ჩამოაგდო ოქროზე სიტყვა. რას იზამ, უჭირს სოფელს და ოცნებობს დედეს მიერ ჩაფლულ ალთუნზე, რომ ნახოს და გაზენგილდეს, რომ ფუხრობას დააღწიოს თავი, რომ „ფუში გეიძლოს“. გულწრფელად გვთხოვს მასპინძელი:

– თქვენ ის მაწავლეთ, რაფერ ვნახო ალთუნი და გავზენგილდე, ფუხარა ვარო...

როგორცა ვთქვით, ფუხრობა აქაური სოფლის თანმდევია. ფუხრობამ აყარა ეს ხალხი წინაპართა საცხოვრისიდან და ბედის საძიებლად ქვეყნის სხვა პროვინციებში წაიყვანა; ფუხრობამ გააჩინა აქ ნაფუხარი და ნასოფლარი, მოშალა ძველი, ტრადიციული მეურნეობა...

უკვე ზაფხული იწურება და ემზადება სოფელი ქალაქში წასასვლელად, – სამუშაოდ თუ გამოსაზამთრებლად. დარჩენილები კი გრძელი ზამთრის გრძელ დამეებში ოცნებობენ იმ ალთუნზე, შვიდი აქლემით რომ მოიტანეს და ჩაფლეს. დედეს ნათქვამს ზომავენ, ამოწმებენ გონებაში. იპოვიან ნეტავი ალთუნს? იპოვიან, აბა რა იქნება...

წამოვედით ოთხკლდიდან. ვისადილეთ. ჯერ კიდევ არის დრო დაღამებამდე. შავშათს ზემოთ, მარჯვენა მხარეს, მეთურქულე შავშეთის რამდენიმე სოფელში შესვლას მივასწრებთ: **სამჯელი, სოფორო, ქოთეთრისი, ჩართულეთი, მამანგლისი, ქოშლიეთი, ნაღსითი...** ამ სოფელთა მცხოვრებთ ქართული დაუვიწყრიათ, მაგრამ ადგილის სახელები ჯერ კიდევ ქართულია, მიკროტოპონიმები მაინც.

უნდა ითქვას, რომ მეთურქულე შავშეთის სოფლები გაშლილ ველებზეა გაშენებული; ეს კუთხე მდიდარია ბალ-ვენახებით, სათიბ-საძოვრებითა და სახნავ-სათესებით... ჩანს, საქარავენე გზებიც აქ გაივლიდა ძველად. ყველაფერმა ერთად დაანქარა აქაურთა ასიმილაციის პროცესი.

ქოთეთრისის ციხესთან გავეჩრდით. გავცქერით მდინარის გაღმა-გამოდმა ნაპირზე გაშენებულ სოფელს, ბალ-ვენახებით მდიდარს. შორს შავშეთის მთები თანდათან შავი ნისლეებით იბურება, იქუხა კიდევ მთაში. ალბათ გაწვიმდება. ახლა ქოთეთრისის ციხის ეზოში ვართ. ციხე მაღალ გორაკზეა აშენებული. აქედან კარგად ჩანს ზემო და ქვემო ხეობები. ციხის დანიშნულებაც ხომ მიმდებარე ხეობების თვალთვალაია.

ციხე საკმაოდ დიდია. კარგად მოღწეულია ოთხსართულიანი კოშკი, ასე 10-11 მეტრი სიმაღლისა, და სამხრეთი და აღმოსავლეთი კედელი. ციხის საერთო არქიტექტურის წაკითხვა ჯერ კიდევ შეიძლება. კედლის სისქე ერთ მეტრზე მეტია. გადარჩენილი ნანგრევებით თუ ვიმსჯელებთ (სხვა რა დაგვრჩენია), ციხის სიგრძე 35 მეტრამდეა, სიგანე – 30-ზე მეტი. შესაძლოა, ციხე-კოშკს იქითაც გრძელდებოდა. ციხეს გარშემო გაღავანი ერტყა, 4-5 მეტრი სიმაღლისა მაინც. იგი გათლილი ქვითა და კირხსნარით არის ნაგები.

შესაძლებელია, საისტორიო წყაროებში რაიმე ცნობა იყოს დაცული ამ ციხის შესახებ. შესაძლოა, სხვა სახელითაც იყო ადრე ცნობილი. სანამ ციხის ისტორიული სახელი დადგინდებოდეს, ვუწოდოთ ქოთეთრისის//ქვათეთრისის ციხე, სოფლის სახელწოდების მიხედვით.

ქოთეთრისის ეზოშიც ჩანს ოქროსმადიებელთა ნაკვალევი: კოშკის კედლები უნგრევიანთ, განძი უძებნიათ. ამიტომაც ახლა კოშკს ორი შესასვლელი აქვს: ერთი ძველი, საპროექტო, ხუროთმოძღვრის მიერ დაგეგმილი, მეორე – ოქროსმადიებელთა ნახელავი...

აქედან შორს, მთის ქიმზე, თეთრი ციხე ჩანს. გადმოცემით, რძეში ზედღნენო ბათქაშს მშენებლები, ამიტომაც უწოდეს თეთრი ციხეო. ასე იტყოდნენ დედები, ასე ამბობენ მათი შთამომავლები. ქვათეთრისთან (ქოთეთრისთან) ახლოს თეთრი ციხე ნამდვილად არაა საკვირველი. აქ ხომ ყველა ქვა თეთრია. სოფელსაც ამის გამო უწოდეს **ქვათეთრისი//ქოთეთრისი** (ვა>ო).

ციხის გაღმა ხანთუშეთია. ვერანა კიდევ ხანთუშეთის უბანია, მაჰალეა.

ვერანა დიდი ველია. ახლა საძოვრები ან სათიბები. საინტერესოა, რატომ დაერქვა ვერანა? რამ ან ვინ გაავერანა იგი?! სოფელში არაფერს ამბობენ; არც წყაროებში დასტურდება რამე...

ხანთუშეთში გადავედით (4 კილომეტრი ვიარეთ ქოთეთრისიდან). გაღმა, კლდის თავზე ციხე ჩანს. აქედან იქ ასვლა სპეცილური მომზადების გარეშე შეუძლებელია. მისასვლელი ჩამოფლატულია. გამცილებელი გვიხსნის, რომ ყალეში გვირაბით ადიოდნენო. მართლაც ჩანს გაღმით, ბუჩქნარის პირას, გვირაბის მსგავსი... ისიც გვითხრეს, გვირაბში დათვები აფარებენ თავსო. ამ კუთხეში ნადირი ბევრია და არც ისაა გასაკვირი, მიუვალ გვირაბს თუ შეაფარეს თავი...

ციხე საკმაოდ დიდი ჩანს: კოშკი, გალაგნის ნაშალი... გალაგანი მაღალია, 7-8 მეტრი მაინც იქნება.

ხანთუშეთში აგვიხსნეს, ვერხვანალიდან (ახლანდელი ყარაადაჯი) მისვლება ციხემდეო.

დაბლა დავეშვით სათლელის ციხისკენ. გაღმით ზენდაბა ჩანს – ხეობაში გაშენებული სოფელი. სათლელის ციხის მარჯვნივ აუხვევ ზემოთ და ერთმანეთის მიყოლებითაა ცეცხლაური, გურნათელი, ვანთა.

ყურადღებას იქცევს გუნათლე და ვანთა.

**გუნათლეს ვანი** გიორგი მერჩულის თხზულებიდანაა ცნობილი. საფიქრებელია, აქვს კი საერთო შავშეთის **გურნათელს** ხანძთელისდროინდელ **გუნათლეს ვანთან**? შეიძლება აქვს ეს ხომ ერთი რეგიონია. ტოპონიმი გუნათლე სხვაგან არ გვხვდება, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია.

საინტერესოა ასევე ტოპონიმი **ვანთა**. რომელ ვანზეა საუბარი? რომელიმე ვანის კუთვნილება ხომ არაა იგი?

დაღამდა. შავშეთში დაგბრუნდით მოშიებულები და დაღლილები. ხვალ ექსკურსიის დღე გვაქვს. ამით დასრულდება ჩვენი ექსპედიციის I ეტაპი. ვუწოდოთ მას შავშური ეტაპი.

## P.S. კლარჯეთის წმინდა სავანეებში...

10 აგვისტოა. დღეს ფორთა და ნუკას საყდარი უნდა ვნახოთ.

დილით ადრე ავიშალეთ. დაეტოვეთ სასტუმრო „7 მარტი“ და ფორთაში წავედით.

შავშათიდან ართვინისაკენ მიმავლებმა 35-ე კილომეტრზე მარჯვნივ ავუხვიეთ, ამოვბრუნდით, როგორც შავშეთში იტყვიან. შევუყვეთ აღმართებს. კლდეები გაუჭრიათ მშენებლებს და გზა გაუყვანიათ, მოუკირწყლავთ კიდევ; ესაა, რომ იგი ვიწროა და შემხვედრ მანქანებს უჭირთ გვერდის ავლა. ზემოდან ღრმა ხეობაში ჩანს შავშეთისწყალი და მოასფალტებული სამანქანე გზა, გველივით გაწოლილი მდინარის ნაპირებს რომ მიუყვება. მაღლა მივიწვეთ. გზადაგზა უჭირს ჩვენს მანქანას, იძულებული ვხვდებით, ფეხით გავიაროთ აღმართები... მოსახვევებში მანქანა იმდენად ახლოს მიდის გზის ნაპირთან, რომ მგზავრი იფიქრებს, ცოტაც და ხევში გადავიჩეხებითო, – იქ, ქვემოთ, სადაც შავშეთის დიდი მდინარეა. მძღოლის ოსტატობასა და უფლის ნებას ვართ მინდობილები. ყველაფერი კარგად იქნება. ახლა მთავარია, გზაზე ზემოდან

მომავალი შემხვედრი მანქანა მოუხერხებელ ადგილას არ შეგვხვდეს და უკან დასახევი არ დავრჩეთ...

რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ გზა ორად იყოფა: მარცხნივ, მალლა, ოპიზაა, – ტაძარი (უფრო სწორად ტაძრის ნანგრევები) და იმავე სახელწოდების სოფელი, არცთუ დიდი ქართული დასახლება, სადაც ქართული დაუვიწყრიათ, თუმცა ოპიზართა თურქულ მეტყველებაში ქართული დაღეჭილა, ბუნებრივად ჩანერგილა, შეუფარებია თავი და განაგრძობს არსებობას (ჩვენ ვლაპარაკობთ თურქიზმებზე სამხრულ კილოებში, მაგრამ არაფერს ვამბობთ გურჯიზმებზე აქაურთა თურქულ მეტყველებაში...); მარჯვნივ კი ფორთაა, გზაგასაყარიდან ხუთ კილომეტრში, დაახლოებით ოპიზის სიმაღლეზე. ფორთისაკენ წავედით. დღეს ოპიზაში ვეღარ მოვახერხებთ ასვლას.

ორ საათზე მეტი მოვანდომეთ ცენტრალური გზიდან ფორთამდე 8 კილომეტრის გავლას. როგორც იქნა, გამონჩნდა ტაძარი. მანქანა გავაჩერეთ. აქედან ფეხით უნდა ავიდეთ ეკლესიამდე. ბილიკი არ ჩანს. პირველად რომ მოვედი ფორთაში, ამ 9 წლის წინათ, ხეობიდან ფეხით ამოვედით საცალფეხო ბილიკით. ბაწარი გზა მეორე მხრიდან, იქიდან, სადაც სახლი დგას, მიდიოდა ტაძრამდე. ახლა საპირისპირო მხრიდან მივდივართ. ძველი ბილიკი არ ჩანს, თითქოს წაშლილა...

ქალბატონი მერი მანქანაში დარჩა, გაუჭირდებოდა აღმართებში სიარული, დანარჩენები დავადექით გზას, თუმცა სადაა გზა. ჯერ სარწყავ არხს გავყევით, შემდეგ მე და ზაზა გამოვცალკევდით, ხევში ჩავედით და ფორთის ბაღების ტერასებით მივადექით ტაძარს. ექსპედიციის დანარჩენი წევრები მოგვიანებით მეორე მხრიდან მოვიდნენ...

ტაძარი სპეციალურად ამოყვანილ ფრაქციაზე დგას. ვეებერთელა გათლილი ქვებითა და დუღაბით ამოუშენებიათ კედელი. ფორთის ეზოში ვართ. ვათვალიერებ არემარეს. ყველაფერი მაინტერესებს, ყოველი კუთხე-კუნჭული, მოსახლეობაც კი. ინტერესი განსაკუთრებით მას შემდეგ გამიჩნდა, რაც დავიწყე ფორთისა და ხანძთის იდენტობის უარყოფა. დამატები-

თი მასალები მჭირდება. ჰოდა, მეც ვეძებ. დარწმუნებული ვარ, ფორთა არაა ხანძთა...

ჩემი აქ პირველად მოსვლის შემდეგ შეიცვალა აქაურობა. ორი წლის წინ გუმბათიც ჩამოინგრა. რამდენიმე საუკუნე ელოდა ტაძარი მშველელს, მაგრამ მოსვლას საშველი არ დაადგა. მოდიოდნენ, ნახავდნენ, ზოგნი სანთელსაც აანთებდნენ, უთქმელად მიდიოდნენ... შემდეგ მნახველსა და ჩუმად მლოცველსაც აეკრძალა აქ მოსვლა. მოსასვლელადაც ძნელი იყო ტაძარი: ძნელად სავალი საცალფეხო ბილიკებით თუ ამოაღწევდა კაცი. შემდეგ დაიწვეს კამათი – ფორთა ხანძთაა თუ არა. კამათობდნენ ისინიც, ვინც აქ არასოდეს ყოფილან, წიგნებით იცნობდნენ მხოლოდ აქაურობას. ვიდაცამ თქვა, ფორთა ხანძთააო, ვიდაცამ – არაო. მაინც რატომ უნდა იყოს ფორთა ხანძთა? ისტორიულად ცნობილია, რომ ფორთა ადრე შუასაუკუნეებში კათედრალი იყო, შემდეგ არა, მაგრამ რატომ ან როდის გადაარქვეს სახელი და ხანძთად მონათლეს, არსად ჩანს.

ტაძარი კი იდგა და ელოდა. ელოდა და უკვირდა კიდევ, რა აკამათებსო ამ ხალხს; უმჯობესია, მოვიდნენ, მნახონ მაინც, თუ ვერ მიშველიან, სანამ ჩემი ბებერი კედლები კიდევ დგასო. არავის ესმოდა ტაძრის გასაჭირი. ხანდახან მნახველები მოდიოდნენ: ჯერ უცხოელები, გვიან ქართველებმაც იწყეს სიარული... მოდიოდნენ, სურათს გადაუღებდნენ, წავიდოდნენ... ბოლოს დრომ თავისი გაიტანა. ბებერი გუმბათი ჩამოიქცა, ვეღარ გაუძლო ჟამთა სვლას. დარჩა უგუმბათოდ, თორემ პერანგი და ფიქალის სახურავი კარგა ხანია აღარ აქვს. გუმბათი რომ ჩამოიქცა, მაშინ გაახსენდა ქართულ მედიას ფორთა, რომ შველას ითხოვს ტაძარი, სხვა ტაძრებიც...

სათქმელი გამექცა. ფიქრებმა წამიღო, სევდაც შემომავწვა აქაურობის მხილველს...

ტაძრის წინ სამრეკლოა. საბძლად უქცევიათ უფუნქციოდ დარჩენილი...

ფორთის ტაძარი გუმბათიანი ბაზილიკაა. ჩანს, იგი იმავე ეპოქაში აშენდა, როცა განახლებით აიგო ოპიზა, ხანთა და სხვა ტაძრები, X-XI საუკუნეებში.

გუმბათიანი ტაძრის დაბლა სხვა შენობებია, დანგრეული და განწირული. იქ კიდევ ერთი ნანგრევია, მოცულობით საკმაოდ დიდი: სიგანე 18 ნაბიჯია, სიგრძე – 25. ტაძრის ქვეშ მოზრდილი სენაკია, უსარკმლო... ასეთი აქ შეიძლება ბევრი იყოს მიწით ამოვსებული...

დაბლა სართულზე მოზრდილი სენაკებია (ამთგან სამში შეისვლება). ვინ იცის, იქნებ წმინდა მამების საცხოვრებელი სენაკები იყო აქ?!

კიდევ ახლო-მახლო ნაგებობათა ნაშთები: სად სახლი გაუმართავთ, სად – ქორი. გათლილი ქვებიც გამოუყენებიათ სახლის თუ საბძლის ასაშენებლად.

როგორც ვთქვით, ტაძრის მარჯვენა მხარეს გათლილი ქვებით ნაგები კედლებია. რა თქმა უნდა, არა ბერების ხელით ნაშენი.

ქვემოთ ჩავედი. მინდა კარგად აღვიქვა ყველაფერი. ამ კედლებს ჯერ კიდევ ატყვია წინაპართა ოფლისა და სისხლის ნაკვალევი. აქ ჯერ კიდევ ისმის წმინდა ბერების იდუმალი ხმა, ლოცვა ცად ავლენილი უფლისა და ქვეყნის სადიდებლად.

სევდა მეუფლება. ვდარდობ, რომ ვერ ვუპატრონეთ ღვთის სახლს, წინაპართა ნაჯაფ-ნაამაგარს ვერ მოვუარეთ. ამაში ყველას მიგვიძღვის ბრალი, მეც მათ შორის.

ფორთის გარშემო ბადია: კომში, ვაშლი, შინდი, კაკალი, თხილი... ხარობს საუკუნეების წინ ნაგებ ტერასებზე. მახსენდება გიორგი მერჩულეს თხზულების ის ეპიზოდი, როცა წმინდა გრიგოლ ხანძთელი მიმართავს მამა ზენონს:

– „ძმაო, შთავიდეთ ვენაჰად, რომელ არს გზასა თანა ოპიზისასა. რამეთუ ჟამი იყო სთულისად. და შთავიდეს ორივე ზოგად ვენაჰსა მას შენებულსა მისსა, კეთილად ნაყოფიერსა. და ჟამსა მას შინა მოვიდა სანატრელი მამად მაკარი ოპიზელი ხილვად მოძღურისა თუსისა, მამისა გრიგოლისა...“ სად-

დაც აქ დადიოდა იმ საღამოს წმინდა გრიგოლი, ესაუბრებოდა სულიერ ძმებს – ზენონსა და მაკარი ოპიზელს. ღამეც ერთად გაათიეს, სადღაც ამ ბაღებში...

წმინდა მამების ნაკვალევი ამ კუთხეში დღემდე არ წაშლილა. ისევ დგას მათი ლოცვითა და შრომით ნაგები ტაძრები. დგანან, მაგრამ უჭირთ, ინგრევიან. მათთან ერთად იშლება ამ მხარეში ქართველთა ნაკვალევიც...

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი წარსულით, მაგრამ არ ვუფრთხილდებით მას;

ვამაყობთ დიდი წინაპრებით, მაგრამ გვაგიწყდება მათი ნაანდერძევი, ვშლით მათ ნაკვალევს...

ფორთის ტაძრის ეზოში სურათები გადავიდეთ. ნიკამ ვიდუოფირზე აღბეჭდა ყველაფერი.

წყაროზე გამოვედით. ცივი წყალი დავლიეთ. ეს წყარო იმდენი ხნის მაინცაა, ფორთის ახალი ეკლესია რომაა. ბევრი მნახველი ახსოვს ამ წყაროს, ბევრს მოუკლავს აქ წყურვილი, დაუსვენია საუკუნოვანი კაკლის ჩრდილში და მადლიერებით მოუხსენებია ამ წყაროს ამგებიც...

აქ ჯერ კიდევ დადიან წმინდა მამათა აჩრდილები... გვმოძღვრებენ, გვაფრთხილებენ, გვაამაყებენ. მათი ხელით ნათალი ლოდები გვიამბობენ წარსული დიდების შესახებ...

ჩვენი წამოსვლის დროა. მოვდივართ მანქანისაკენ და გვაცილებს ფორთის დიდებულება. გვაცილებს და გვთხოვს, ნუ დავივიწყებთ მას...

ფორთა უნდა გადარჩეს, სხვა ტაძრებიც, რომელთა გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლება. ქართული ადათ-წესი გვასწავლის წინაპართა ნაღვაწის მოვლა-პატრონობას და მომავალი თაობისათვის გადაცემას. ჩვენი წინა თაობები ოცნებობდნენ ამ კუთხეში მოგზაურობაზე და იმის ნახვაზე, რაც ძველი ფოლიანტებიდან თუ სიგელ-გუჯრებიდან იცოდნენ... ჩვენ თაობას ისტორიული შანსი მიეცა, არა მარტო იმოგზაუროს ჭოროხის ქვეყნებში, დატკბეს აქაური ძეგლების სიდიადით, არამედ იზრუნოს მასზე, დროს გამოსტაცოს, გადაარჩინოს და მომავალ თაობას შეუნახოს, როგორც ნიშანი წინაპართა ტი-



ტანური შრომისა და სულიერი ღვაწლისა. ამ შანსზე ჩვენმა თაობამ უარი არ უნდა თქვას...

მე მჯერა, ფორთა გადარჩება, დიდებული ოთხთა ეკლესიაც, ოშიცი, ხახულიც, პარხალიც, იშხანიც... სხვებიც.

წამოსვლამდე იქვე მცხოვრებ ქალბატონს ვკითხეთ, თუ სად მდებარეობდა ნუკას საყდარი.

– აქედან შვიდი კილომეტრია. ფეხით თუ წახვალთ 3-3.5 საათი დაგჭირდებათ, მანქანით მალე მიხვალთო, – გვიპასუხა.

ვიცი, რომ ნუკას საყდარი ამავე სექტორშია, აქედან არცთუ შორს. პირველად რომ ამოვედით, საყდრამდე ვერ მივაღწიეთ, გაღმიდან მივაღქით. საერთოდ გზას იოლად ვიმახსოვრებ, ძნელად თუ დამავიწყდება ერთხელ ნახული. მახსოვს, სადღაც ფორთის უკანა მხარესაა... ამ მთის უკან მეგულება ნუკას საყდარი, მაგრამ სად?

მეგულება და მივალთ კიდევ, მივაგნებ...

ზემო ფორთაში გადავწყვიტეთ ასვლა. 9 კილომეტრშია ტაძრიდან ზემო სოფელი. იქედან უფრო იოლია გზის გაკვლევა. მალლა მივიწვეთ გაჭირვებით. ხან ფეხით, ხან – მანქანით. გაფაციცებით ვათვალიერებთ გარემოს. საყდარი არსად ჩანს. ავედით ზემო ფორთაში.

ნისლი დასწოლია სოფელს. ცრის. გრილა, უფრო ცივა. ფორთა აღპურ ზონაშია, ლამაზ ველზე გაშენებული. სიმინდისა და კარტოფილის ყანებია ირგვლივ. აქა-იქ სხვადასხვა ხილიც ჩანს... მოსახლეობა ქართული არაა. ყოველ შემთხვევაში, ქართული არ იციან.

შუა ხნის ქალი და მამაკაცი ჭაღას თიბავდა. გამოველაპარაკეთ და გამოვეკითხეთ ნუკას ადგილმდებარეობა. ჩვენს კითხვაზე, ნუკა ქილისასთან როგორ მივიდეთო, კაცმა გვიპასუხა:

– ქილისა დაბლაა (ფორთაზე მიგვითითა), სხვა ქილისა აქ არ არისო.

ქალბატონი ჩაერთო საუბარში:

– ქილისა სადღაც დაბლააო, გვითხრა და ხეობაზე მიგვითითა, კარჩხალის ხეობაზე...

იქვე ახალგაზრდები იდგნენ და საუბრობდნენ. ეტყობოდათ, აქაურები არ იყვნენ. ზაფხულის არდადეგებს ატარებდნენ სოფელში. მათაც ვკითხეთ ნუკას შესახებ.

– იქ, დაბლაა ქილისა, – გვითხრა ერთმა მათგანმა და ხეობაზე მიგვითითა, – გზიდან ჩანს, ყურადღებით თუ იქნებით, დაინახავთო.

მეც იქ მეგულება ნუკას საყდარი.

სოფელ ფორთიდან გზა მეორე მხარეს, კარჩხალის ხეობაში, გადადის. უნდა ითქვას, რომ ეს გზა უფრო ძველი ჩანს. ჩვენ ახალი გზით ამოვედით.

გადავწყვიტეთ, კარჩხალის ხეობაში გადავსულიყავით და იქ გვეძებნა საყდარი. საიდანაც ამოვედით, იმ გზით უკან დაბრუნებას აზრი არ ჰქონდა.

მანქანა ნელა ეშვება ხეობაში. ირგვლივ წიწვოვანი ტყეა. დაახლოებით ხუთი კილომეტრის გავლის შემდეგ ნიკამ დაიძახა, დაბლა საყდარი ჩანსო.

მანქანა გავაჩერეთ.

დაბლა, გზიდან არცთუ შორს, ჩანს საყდარი, მასთან მისასვლელი ბილიკი კი – არა. გზას ვნახავთ თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს, უნდა ჩავიდეთ ნუკასთან, ყველა შემთხვევაში უნდა ჩავიდეთ. ქალები მძლოლთან ერთად მანქანაში დავტოვეთ. ზაზა, მალხაზი, ნიკა, თამაზი და მე ნელა დავეშვით საყდრისაკენ. თავს ხის ტოტებზე და ბუჩქებზე ვიმაგრებთ. წინ მე მივდივარ. ყველას ვთხოვ, ფრთხილად იარონ, ქვა არ დააგორონ, ან თავად არ დაგორდნენ ციცაბოზე... მივდივართ. გზა არ ილევა. გვეწვენება, თითქოს უფრო გვშორდება საყდარი. გზიდან უფრო ახლოს ჩანდა ნუკა. ჩამოშლილ ქანებზე, ღორღზე ჭირს სიარული... წინ მივიწვეთ. ტაძარი თავისკენ გვიზიდავს თითქოს... როგორც იქნა, ჩავედით საყდართან: ჯერ მე და ზაზა, შემდეგ – სხვებიც...

საყდარში შესასვლელი არ ჩანს, ჩამოშლილია მისასვლელი...

ადამიანის ხელით ჩამოთლილ კლდეს შეეუყვია არცთუ პატარა ნუკა. ვისხენებ გიორგი მერჩულის თხზულებიდან იმ

ეპიზოდს, როცა ბერები შეუდგნენ ხანძთის შენებას: „... და იწყეს საქმედ სენაკებისათვის ქუეყანისა დავაკებად. რამეთუ კლდე იგი ხანძთისად უფიცხლვს არს უფროდს ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა და შრომითა დიდითა ქმნეს ადგილი იგი...”

დიდი შრომის გარეშე მართლაც შეუძლებელია აქ რაიმეს აშენება. კლდეზე გამოკვეთილ საფეხურზეა აშენებული ნუკა. ჟამთა სვლაში თავადაც კლდისფერი მიუღია. კარგად თუ არ დააკვირდები, შეიძლება, ვერც შენიშნო კლდეს შენივთებული საყდარი.

ვსხედვართ საყდრის ახლოს. ვათვალიერებთ გარემოს. ზუსტად უნდა აღვწეროთ ყველაფერი, გადავიდოთ, ჩავინიშნოთ...

უპირველესად საყდარს ვათვალიერებთ. ბაზილიკაა, ბოლნისის სიონის მსგავსი. სიგანე 10 მეტრი, სიგრძე 15 მეტრამდეა. 10 მეტრზე მეტი იქნება კლდეზე ამოშენებული კედელი, რომელზეც საყდარი დგას.

ძნელად დაიჯერებს კაცი, აქ თუ ოდესღაც სამონასტრო კომპლექსი იყო. ამიტომაც არ სჯერა ბევრს, რომ ეს ხანძთაა. ბევრი ფიქრობს, რომ აქ მხოლოდ მცირე საყდარია და მეტი არაფერი. მაგრამ კარგად თუ დააკვირდება კაცი აქაურობას, დაინახავს, რომ ნუკას მოპირდაპირე მხარეს დიდი, გათლილი ლოდებით ნაშენი შენობის ნაშთია. იქვე, ნუკას გვერდით, ოქროსმადებლებს „არქეოლოგიური თხრილი” გაუკეთებიათ, ქვალორღში დამუშავებული ქვებით ნაშენი კედელია... ჩანს, აქ ოდესღაც არქიტექტორული კომპლექსი იყო. ნუკა მარტო არ მდგარა. საყდრის ორივე მხარე ჩამოშვავებულია. ქვასა და ლორღს დაუფარავს ყველაფერი. გადარჩენილა კლდეზე შეკუპული საყდარი, ახლა ნუკად წოდებული.

უდავოა, ჩვენ ხანძთაში ვართ...

ვფიქრობთ, აწინდელი ნუკა ის ტაძარია, გაბრიელ დაფანჩულის შემწეობით რომ ააგო გრიგოლ ხანძთელმა, – პირველი ქვითკირის ეკლესია. შემდგომ სტიქიამ შეიწირა ხანძთა. გადარჩენილ საყდარს ნუკა უწოდეს მოგვიანებით.

კიდევ ერთი უნდა აღვნიშნოთ: ნუკას საყდარი იმავე ეპოქისაა, იქვე მეზობლად მყოფი სხვა ტაძრები რომაა, მაგრამ ძველ წყაროებში იგი არ გვხვდება. ბუნებრივია, დაისვას კითხვა: რატომ არ იხსიენება ძველ წყაროებში ნუკა? პასუხი ერთია: იმიტომ, რომ ამ სახელის ტაძარი მაშინ არც არსებობდა. გვიან უწოდეს ხანძთას ნუკა. თუ რატომ, ამას დამატებით კვლევა სჭირდება.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ არსად წერია, ხანძთა მაინცდამაინც მამათა დიდი სამონასტრო კომპლექსი იყო. საპირისპიროზე კია მინიშნება: გრიგოლ ხანძთელი ხშირად მოწაფეებს სხვადასხვა მონასტრებში ამწესებდა, რატომ?

იმიტომაც, რომ ხანძთა ვერ იტევდა ბერებს.

დაბლა ვეშვებით ხეობაში, სადაც ადიდებული კარჩხალის წყალი ხმაურობს. ძნელი სავალია. მანქანა ნუკას გაღმით, ვერანაბალეში, გველოდება. ჭირს სიარული. გამოჩნდება საცალფეხო გზა, გავყვებით, ცოტას გავივლით, დაიკარგება... როგორც იქნა, ჩავვლით მდინარესთან. მდინარეზე თაღოვანი ხილია. ზემოთ – მეორეცაა. იქნებ აქ გადიოდა გზა. შესაძლებელია, ამ გზით უკავშირდებოდა ხანძთის მონასტერი მეზობელ სავანეებს თუ კუთხეებს. ყოველ შემთხვევაში, აქ ხიდებს ტყუილად არავინ ააშენებდა...

ხილით გადავვლით მდინარის მეორე ნაპირზე. ძველ გზას დღესაც შენიშნავს დაკვირვებული თვალი. როგორც ჩანს, გზა კარჩხლისწყლის მარცხენა ნაპირს მოუყვებოდა აქამდე. შემდეგ მარჯვენა მხარეს გადადიოდა, მალე ისევ მარცხნივ და მიუყვებოდა მალა... ბილიკებს ავუყვით მალა, სადაც ჩვენი მანქანა გველოდება.

კარჩხლისწყლის მარცხენა მხარეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი: შაინ ახო, გოგა, ვერანა ბაღი, დიდვენახი. ყურადღებას იქცევს ორი უკანასკნელი: ვერანა ბაღი და დიდვენახი. პირველი ნუკას გაღმითაა, მეორე უფრო ზემოთ.

დასრულდა ჩვენი დღევანდელი მოგზაურობა, ძნელი, მაგრამ საინტერესო.

დღევანდელმა მოგზაურობამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა რომ:

ფორთა არაა ხანძთა, ფორთა ფორთაა;

ნუკას საყდარი არაა მარტომდგომი მცირე ბაზილიკა. იგი ნაშთია სამონასტრო კომპლექსისა;

აწინდელი ნუკა ხანძთაა ოდინდელი.

\* \* \*

### P.S.1. ტაოსა და სპერში

10 აგვისტოს მ. ცინცაძე, თ. შიოშვილი, ნ. სურმავა და თ. ფუტყარაძე სარფის სასახლურ პუნქტამდე ჩამოვაცილეთ და ბათუმში გამოვისტუმრეთ. ზაზა, მალხაზი, ნიკა, ტარიელი და მე დავრჩით. დაგვემძლი გვაქვს, მოვიართო ტაო და სპერი, თუ შევძელით, თორთუმი და ოლთისიცი. 11 აგვისტოს დამე ხოფაში გავათენეთ. დილით მანქანა სახელოსნოში მივიყვანეთ, ხელოსანს შევახედეთ, როგორც მძღოლები იტყვიან, და სპერისაკენ წავედით. წინ დიდი გზა გვაქვს გასავლელი: **ბორჩხა > ართვინი > იუსუფელი > სპერი.**

დილის 10 საათი იყო, სარფიდან რომ გამოვედით. გადავიარეთ ჩხალისა და ართვინის უღელტეხილები და ჭოროხის ხეობაში შევედით. მივუყვებით ნაცნობ შარაგზას იუსუფელისაკენ.

ჭოროხის ზემოწელში დიდი მოძრაობაა, კაშხლის მშენებლობისათვის მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. სამანქანე გზა ახლა მდინარის ნაპირებს მიუყვება, მომავალში მთებზე გაივლის. ამჟამად სწორედ გზებს აკეთებენ – მთის ფრიალო ფერდობებზე კლდეებს კვეთენ და გზა გააყვანთ, თხრიან გვირაბებს, მთიდან-მთაზე ჰკიდებენ ხიდებს, აფეთქებენ კლდეებს... ქანების ჩამონაშალი გზებზე ცვივა, ჭირს მოძრაობა. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვაჩერებენ, გზის გაწმენდის სამუშაოები მიმდინარეობსო, გავლა საშიშია, ქვები ცვივანო მალდიდან. ჩვენც ვჩერდებით. სხვა რა გზა არის, უნდა დავემორჩილოთ აღმნიან მოძრაობის მომწესრიგებლებს, საქმიან

კაცებად რომ მოაქვთ თავი. უსაქმურობით დაღლილები მგზავრებთან ლაყობით ერთობიან და ელოდებიან, მეორე მხრიდან რაციით როდის აცნობებენ, გზა გაიხსნაო.

– ამათ კარგი სამსახური უმოვიათო, – ხუმრობს ზაზა, საღამომდე დგანან აღმით ხელში და საქმეს აკეთებენ. თან ერთი ძველი ანეკდოტისმაგვარი ამბავიც გაიხსენა, მამისაგან გაგონილი:

– კომუნისტების დროა. შუახვეში საავადმყოფოს დარაჯად მუშაობს ერთი. მაშინ საღამოს ხუთი საათიდან უშვებდნენ მნახველს ავადმყოფთან. ასეთი წესი იყო. ეხვეწებოდნენ დარაჯს, გვეჩქარება, სოფელში უნდა წავიდეთ, ავტობუსი გვასწრებს, შეგვიშვიო ავადმყოფთან.

რა თქმა უნდა, დარაჯი არ (უფრო ვერ) უშვებდა. ერთხელაც, თავმოებურებულმა და შეწუხებულმა, ჩაილაპარაკა:

– ამას ხომ ჯობდა, სხვა რამე მესწავლა, მაინცდამაინც დარაჯობა რამ მასწავლა, ამ დღეში ხომ არ ვიქნებოდიო, – დააფასა თავისი „განათლება“ კარის მცველმა...

ყველას მოგვეწონა ზაზას დროული ხუმრობა.

ამდენად, ჭოროხის ხეობაში ახალი გზები გააყვანთ. ახლა თუ მგზავრი ხეობიდან მაღლა უყურებს გაშიშვლებულ მთებს, მომავალში აქ გამგლელი ზემოდან დახედავს ხეობას და შეგუბებულ ჭოროხს...

შუადღე იყო, იუსუფელში რომ ჩავედით. ქალაქში არ გავჩერებულვართ, გზა სპერისაკენ გავაგრძელეთ. გავიარეთ თექე ყაღე, სოფელი ოთხთა ეკლესია (დორთ ქილისა), და ვიწრო გზებით ჭოროხის ხეობას ისპირისაკენ ავუყვით. რამდენიმე კილომეტრი გავიარეთ და ჩვენგან მარჯვნივ, სოფლის თავზე, ციხე დავინახეთ. ნაგებობა კარგადაა შენახული. შეიძლება ითქვას, ასეთი სიმაგრე ამ მხარეში არ შეგვხვედრია. გზაზე არავინ ჩანს, რომ მოვიკითხოთ, რა ჰქვია ამ ციხეს, ან სოფელს ახლა, ან რა ერქვა ძველად. თუმცა უფრო საინტერესოა, ძველად რა ერქვა...

ცოტაც გავიარეთ... შუა მინდორში, ჩამორეცხილი კლდის თავზე, რაღაც კედლის ნაშალი ჩანს. ძველად **ერსისი** ერქვაო, გვითხრეს. საკმაოდ დიდი ციხეა...

ერსისი სტრუქტურით ქართული სიტყვა ჩანს, -ის მაწარმოებლით, მაგრამ საინტერესოა, რას ნიშნავს იგი?

გზა იუსუფელიდან ისპირამდე ვიწროა. იმდენად ვიწრო, რომ ზოგჯერ შემხვედრ მანქანაზე გვერდის ავლა ჭირს და იძულებული ვართ, გაჩერდეთ. ჭოროხის (სპერისწყლის) ხეობაში, მდინარისპირებში, სოფლებია გაშენებული და, როგორც ჩანს, დაბლარი ვენახიც.

სიცხე და ყინვა შლის მთებს, ჩამონაშალი კი ქმნის მდინარისპირა დაბლობებს, მერეებს. სწორედ ასეთ დაბლობებზეა გაშენებული იმიერტაოსა და სპერის სოფლები.

სოფელს მივადექით. ეს **ჭალაა**. საჩაიეში შევედით. ცხელა. პაპანაქება სიცხეში სოფლებელთან ერთად ვსვამთ ცხელ ჩაის და ვსაუბრობთ. გვწაღია, ადგილის სახელები მაინც ჩავიწეროთ, ციხეების სახელები გავიგოთ, გზაში რომ შეგვხვდა. ბევრი არაფერი იციან. იციან, რომ დიდი მდინარე ჭოროხია, პატარა ხეობა – ქისკიმი, სოფელი – ჭალა. ესეც კარგია ჭაღლებისგან გაგონილი.

ჩაის შემდეგ გზა გავაგრძელებთ. შემდეგი სოფელი **ოშნაკია**.

არ უნდა იყოს **ოშნაკი** ქართული სიტყვა. გარეგნულად **ოშკს** გვაგონებს, ადგილობრივები **ოშქვან**საც რომ უწოდებენ.

სოფელთან ახლოს **ოშნაკის ციხეა**, უკვე დანგრეული. შეინიშნება, რომ ციხე კირხსნართა და დამუშავებული ქვითაა ნაშენები... **ოშნაკში** ბრინჯის ყანებიც ვნახეთ. სამ ტონამდე ბრინჯი მომყავსო, გვითხრა ერთმა **ოშნაკელმა**.

**ნისახი** ციხეა, ამავე სახელწოდების სოფელში, **მოსურგუთის** ციხესაც ეძახიან მას.

ნისახის ციხე მაღალ სერზეა აშენებული. გაღავანი მაღალია, 7-8 მეტრი მაინც იქნება, ზოგან – ათიც. ციხეს მდინარის მხრიდან კლდე იცავს, სოფლის მხარეს კი - გაღავანი. გაღავანი მტკიცე ჩანს. კირხსნართა და დუღაბით ნაშენი

კედლის სისქე ერთ მეტრზე მეტი იქნება. შეიმჩნევა კოშკის ნარჩენებიც.

ნისახში ველებზე ბრინჯი მოჰყავთ. აქვეა სიმინდის ყანებიც. საერთოდ აღვნიშნავთ, რომ ჭოროხის სათავეებში ბრინჯი ითესება. ჩანს, აქ იგი ბლომად მოჰყავთ და კარგადაც ფასობს.

ვაგრძელებთ გზას. გაგვაჩერეს. საგზაო სამუშაოები მიდისო და უნდა მოიცადოთო მცირე ხანს. ალბათ სადღაც ქანებს აფეთქებენ, ან უკვე ააფეთქეს და გზას ასუფთავებენ. ჩვენთვის სულ ერთია. მთავარია, გზას ვეღარ ვაგრძელებთ. მომაბეზრებელი ლოდინის შემდეგ გზა გაიხსნა. მივდივართ ხეობაში. არაფერი ჩანს, – არც სოფელი, არც ყანები. არცაა სამოსახლოდ გამოსადეგი ადგილები. ხეობაში, სადაც კი პატარა სავარგული უპოვიათ, ბაღ-ვენახები გაუშენებიათ. მივადექით ჩირქინისა და ბაღჩელის ხიდს. ჩირქინის ბოლოს ეკლესიის ნანგრევებია. პატარა ბაზილიკაა: სიგანე 10 ნაბიჯია, სიგრძე – 12. კედლის სისქე თითქმის ნახევარი მეტრია. გადარჩენილ კედლებს ჯერ კიდევ ეტყობა ბათქაშის კვალი. შესავლის მარცხენა მხარეს საღებავიც შეინიშნება. ჩანს, ეკლესია მოხატული ყოფილა.

ეკლესიის კედლებს ეტყობა მოყვარული არქეოლოგების ნამუშავევი, „არქეოლოგიური გათხრები“ უწარმოებიათ განძისმაძიებლებს, ხაზინა უძებნიათ. ნახეს თუ არა, არ ვიცით...

მიუყვებით სპერისწყალს. მაღლა, კლდოვან ხეობაში, მღორედ მოედინება, არსად ეჩქარება, ზღვამდე შორი გზა აქვს გასავლელი, მაგრამ მაინც. ვჩქარობთ ჩვენ. დაღამებამდე ისპირში უნდა ჩავიდეთ...

ისპირთან ახლოს ციხის ნანგრევებია. იგი საკმაოდ დიდია. 1514 წელს ციხე გადასულა ოსმალთა ხელში. გადარჩენილია მხოლოდ გაღავნის ნაშთები.

სპერი ფეოდალურ ხანაში საქართველოს სამხრეთი კარიბჭე იყო. პირველად დებულობდნენ სპერელნი მომხდურთა დარტყმებს. სპერის ციხის ბებერ კედლებს ბევრი რამ ახსოვსთ, – ავიც და კარგიც, მტრულად მოსულიცა და მოყვა-

რეც, მოყვარე მტერიც ახსოვთ... მის კედლებთან არაერთს უსახელებია თავი და ქვეყანაც და საფლავიც იქვე უნახავს. მათი სახელები იცის ამ ციხეში, სათითაოდ ახსოვს ყველა; რა დაავიწყებს, ისინი ხომ მის კედლებთან გაიზარდნენ, აქვე დავაჟაკდნენ, აქ ისწავლეს ხმლის აღესვაცა და ხმარებაც, გუშაგობაცა და სამხედრო წყობაც. მან ჩაუნერგა ბიჭებს სპერის მდინარის, ჭოროხის სიყვარული, და იმ ქვეყნისაც, საითკენაც მიედინებოდა დედა მდინარე...

იცოდნენ ბიჭებმა, რომ სადღაც, ცხრა მთას იქით, სატახტო ქალაქია, დიდი და მშვენიერი, რომ იქ მეფე ზის სრულიად საქართველოსა... მათ არასოდეს უნახავთ არც მეფე, არც სატახტო ქალაქი. ისინი აქ დაიბადნენ, აქ დავაჟაკდნენ და აქვე მიედინება მათი ცხოვრება. ხანდახან, განსაკუთრებით ღამით გუშაგობისას, ბიჭები თვალს აყოლებენ მდინარის ტალღებს და ოცნებობენ უცნობ საქართველოზე, ოცნებობენ ზღვაზე, რომელსაც ჭოროხი ერთვის... ვინ იცის, იქნებ ერთ დღეს გაყვნიდნენ მდინარეს და ნახონ ჭოროხისპირა ქვეყნები: მათი მეზობელი ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, ლაზიკა... აინტერესებთ ყველაფერი, მაგრამ იქ ვერ წავლენ. მათი ხედრი აქ დგომა და გუშაგობაა. ზოგჯერ, მოცალებობისას, სანადიროდ დადიან ყმაწვილები სპერისა და ლაზეთის მთებში. ნადირის დევნა გაიტაცებთ ხოლმე და შორს მიყვებიან კვალს. მთის მწვერვალზე ასულთ, შორიდან დაუნახავთ ზღვა, სპერის ზღვა, გველვეშაპივით რომ გაწოლილა უკიდვეგანო სივრცეში... ოცნებობენ ბიჭები იმ დროზე, შიშინობა რომ აღარ იქნება და წავლენ აქედან, წაყვებიან ჭოროხის ნაპირებს, ნახავენ ზღვას, სატახტო ქალაქს, იქაურ ამბებს მოისმენენ, მათებურსაც ეტყვიან. სახლში დაბრუნებულები კი მოყვებიან დიდი საქართველოს შესახებ...

მაგრამ ეს საუკუნეების წინათ იყო. დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა.

შევედით ქალაქში. აქედან კარგად ჩანს სპერის ციხე. ქალაქის მხრიდან აღდგენილია იგი. შიგნით ჩანს ჯამე მინარეთით, ტაძრის ნანგრევები.

ჯამე ძველია. მინარეთი, შესაძლოა, სათვალთვალ კომპის ფუნქციასაც ასრულებდა საჭიროებისას.

ქალაქი ისპირი არაა დიდი. მოსახლეობა 10 000-მდეა. სპერი კარგა ხანია გათურქებულია. იშვიათად შეხვდებით ამ კუთხეში ვინმეს, საკუთარი ქართული წარმომავლობა რომ ახსოვს. აღარ არიან ის სპერნი, რომელთა შესახებაც ვახუშტი ამბობდა: „კაცი იუწყე მზგავსნი სამცხისანი, და აწ მოჰმადიანნი სრულად, ენითა ქართულითა და ზნითა ოსმალთათა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973.: 686,11-13).

XVIII საუკუნეში სპერი გამაჰმადიანებული ყოფილა, მაგრამ ქართული ჯერ კიდევ ახსოვდათ.

ქალაქ ისპირში „გურჯიოღლი ოტელში“ დაუბანაკდით. სასტუმროს სახელის გამო ვკითხეთ მის ახალგაზრდა მებატრონეს, გურჯი ხარო აღბათ.

– რაღაცას იტყოდენ ამის შესახებ ოჯახში, – გვიპასუხა მან.

ტიპური მდგომარეობაა. სპერელთა ხსოვნაში წაიშალა, რომ ისინი გურჯები არიან. აღარაფერს ვამბობ ქართულის ცოდნაზე. მიუხედავად ამისა, სპერის შესწავლა ქართული მეცნიერებისათვის აუცილებელი საქმეა. აქ საინტერესო სამუშაო ელოდება არქეოლოგს, ეთნოლოგს, ენათმეცნიერსაც კი. ქართულის კვალი აქაურთა ყოფაში უნდა გამოვლინდეს და აღინუსხოს. ერთ რამეს წინასწარ უნდა შევეგუოთ: ძნელი იქნება ამ ხალხთან მუშაობა. ჩანს, ძნელად ეგუებიან ისინი უცხოს, არ ნდობენ, ღიზიანდებიან... მაგრამ ამ მხარეში ტურიზმი თუ განვითარდა (გზების დასრულების შემდეგ ეს მოსალოდნელია), უცხოობის ბარიერი მალე დაიძლევა...

ქალაქში არ არის მეტ-ნაკლებად ნორმალური სასტუმრო. ჩანს, აქაურთათვის ტურიზმი ჯერ უცხოა. თუმცა თურქეთში აღნიშნავენ, რომ ჭოროხის ხეობა ტურიზმის ალტერნატიულ წყაროდ ყალიბდება. განვითარდება ტურიზმი, გაჩნდება შესაბამისი ინფრასტრუქტურაც. იუსუფელიდან ისპირამდე არაერთი საყურადღებო ძეგლი ჩანს, რომელიც დაინტერესებს მნახველს. ტურისტს მოიზიდავს აქაური ბუნებაც...

სპერში ქართველთა ნაკვალევი ყოველდღე იშლება. ინგრევა ძველი ძეგლები – ციხეები, ეკლესიები... სპერნი, როგორც ვთქვით, კარგა ხანია გათურქდნენ. ჯერ კიდევ ვახუშტის დროს სპერს – ისპირი უწოდეს, თვით გეოგრაფიულ სახელს თურქული ჟღერადობა შესძინეს. ერთადერთი სპერის მდინარეა – ჭოროხი, რომლის ნაკვალევს ვერ შლიან ახალსპერელნი...

8 აგვისტოს დილით ადრე გავიღვიძეთ. ახალი გათენებულია. იშვიათია ქუჩაში გამვლელი. პირველად სპერის ციხეზე ავედით. ციხე საკმაოდ დიდია, ორი ჰექტარი მაინც იქნება. გაშენებულია მაღლობზე. მას ჰქონია ქონგურები და გოდოლი....

ციხის ეზოში, აღმოსავლეთ მხარეს, ეკლესიის ნანგრევებია. ჩანს, ტაძარი გუმბათიანი იყო, დამუშავებული ქვით ნაგები, გარედან პერანგით ყოფილა შემკული, შიგნიდან – მოხატული. აქ ოსმალთა გაბატონებისა და სპერთა გათურქების შემდეგ ეკლესიამ დაკარგა ფუნქცია, შემდეგ კი დაინგრა სულაც. ეკლესიის ოდნავ ქვემოთ, სამხრეთით, ჯამე აუგიათ მიწარეთით, ტიპური ოსმალური არქიტექტურის ნიმუში.

ჯამე ახლაც მოქმედია და კარგადაც მოვლილი.

კარგა ხანს ვიტრიალეთ ციხის ეზოში. სურათები გადავიღეთ, ვიდეოფირზე აღვბეჭდეთ ბევრი რამ.

წამოვედით ისპირიდან.

ჭოროხს მივუყვებით სათავეებისაკენ. ხეობაში მოსახლეობა კლებულობს. გვხვდება თითო-ორი რამდენიმე სახლიანი დასახლებული პუნქტი. მათ შორის ქოფრიმაშია შედარებით მოზრდილი დასახლება...

ზევით და ზევით მივიწევთ. გაღმა, შიშველი მთის წვერებზე, დასახლებები ჩანს. გზაზე დადგმული ფირნიში მიგვანიშნებს, რომ სადღაც ახლოს, ხეობაში ფაზარილია, 4900 მცხოვრებიანი დასახლება. ჭოროხი დაბლა დარჩა, მარტოდ-მარტო, უკაცრიელ ხეობაში.

აქ, სპერის მთებში, უკვე შემოდგომაა. გადაყვითლებული ველები. შორს, ჰორიზონტზე უდაბური, გაუდაბნობელი მთები ჩანს. აქედან იღებს სათავეს სპერის წყალი – ჭოროხი.

რამდენიმესაათიანი მოგზაურობის შემდეგ გოლიურთის უღელტეხილზე ავედით – 2300 მეტრ სიმაღლეზე. მანქანა გავაჩერეთ, შესვენება გადავწყვიტეთ, მუხლის გამართვა, როგორც იტყვიან. უღელტეხილზე სიგრილვა, ჯერ კიდევ არ დამდგარა შუადღის ხვატი...

დაბლა ვეშვებით. ტოპრაკყალე (მიწის ციხე?) გამოჩნდა გზიდან. არ ვიცით მისი ძველი სახელწოდება. საინტერესო კია. იქნებ სადმე რომელიმე ისტორიულმა წყარომ შეგვინახა იგი...

აქამდე ალპური მდელოები იყო, – სათიბებითა და თივის ბულულებით. მოსახლეობა მცირეა. მეფუტკრეების სახელდასხელო დასახლებები თუ შეგვხვდება, – მომთაბარე მეფუტკრეებს ფუტკარი გამოუყვანიათ „საძოვარზე“ და გზისპირებში გაუშლიათ კარავი... სპერიდან 77-ე კილომეტრზე, დაბლა, კრატერში, ტბა ჩანს. გზად გავიარეთ დასახლებები: რიხეკენტი, ედერთი, სორქუნლუ, ესკიპოლატი, დონჯალიკი, ლონყაია...

ესკიპოლატს გაღმა, კლდეში, ჰესია. საინტერესო ნაგებობა ჩანს: კლდე გამოუკვეთავთ და შიგ ელსადგური აუშენებიათ...

თანდათან ვუახლოვდებით ერზრუმს. 116-ე კილომეტრზე გზა გაიყარა: პირდაპირ ერზრუმია, მარჯვნივ ერზინჯანი. სამხრეთიდან შევედით ერზრუმში. რაღაც წვრილმანების ყიდვა გვსურს, თან ერზრუმის ციხესაც დავათვალიერებთ, არქეოლოგიურ ექსპედიციასაც შევხვდებით, გათხრებს რომ აწარმოებს აქ. ვნახეთ ქეიქუბადის მედრესე და ლალა მუსტაფა ფაშის მეჩეთი.

განსაკუთრებით ქეიქუბადის მედრესე იქცევს ყურადღებას – არქიტექტურითა და გრანდიოზულობით.

ოსმალური არქიტექტურის ნიმუშიაო, – გვიხსნის ზაზა.

ბოლოს ერზრუმის ციხეს მივადექით. მანქანა დაბლა გავაჩერეთ. ვიკითხეთ, არქეოლოგიურ ექსპედიციას თუ შევხვდებითო.

– გათხრები დასრულდა და ექსპედიციაც გაიბარგაო, – გვითხრეს.

ბილეთები ავიღეთ და ციხეში შევედით. ერზრუმის ციხე მოცულობით დიდია, გონიოს ციხის ნახევარი მაინც. სამხრეთ კედელთან კოშკი აქვს ციხეს. იგი მაღალია, ხუთსართულიანი სახლის სიმაღლე იქნება, შეიძლება მეტიც. 65 სააფხურია კოშკში (ასე დავითვალეთ). აქედან კარგად ჩანს ერზრუმი... ციხის ეზოში ვიტრიალეთ კარგა ხანს. დავათვალიერეთ იქ დაცული სიძველეები (თუმცა არცთუ ბევრია სანახავე) და დაგტოვეთ ქალაქი. იუსუფელისაკენ წამოვედით. გამოვცდით ერზრუმის მისადგომებს, მარჯვნივ დარჩა ბასიანი. ბევრი რამ ახსოვს ამ ველს. ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს:

I. დავით აღმაშენებელმა „იენისს განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბასიანი, ვიდრე სპერამდე და მოსრნა თურქობა, სადა ვინ პოვნა და ტყუე-ყვნა; მუნით ჩამოვლო ბუიათ-ყური, დაწვა ოლთისი და მოვიდა თრიალეთს გამარჯვებული“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973.:162, 3-7).

II. „ხოლო დავით (იგულისხმება დავით სოსლანი), მისრულმან ბასიანს, იხილნა სპანი სულტნისა დაბანაკებულნი, ბოლოკერტს, რომელნი თვალუწვდენელნი და დაუტყველნი იყვნენ მუნ, არამედ ესრეთ ლაღნი, რამეთუ არა ჰყვათ დარაჯა-ტაღანი; მაშინ აჩინა დავით მხარგრძელი ზაქარია, შალვა და იოანე ახალციხელნი და თორელნი. ხოლო ერთკერძ იმიერ აფხაზნი, ერთკერძ ამერნი – ჰერ-კახნი და მიმართეს ცხენ ჩქარად; არამედ მათ რა იხილნეს ფიცხლად მომავალნი, და სცათ ღმერთმან ზარი და მირიდნეს სიმაგრეთა. ამას ზედა განკმდნენ სპანი თამარისანი, მიეტყვენ და მოსწყდნენ ურიცხუნი ბრძოლასა იმიერ და ამიერ და დაუტოვნეს ცხენნი ზაქარიას, შალვას, იოანეს, გრიგოლის, მათთანანი სხუანცა. გარდავდნენ და ბრძოდნენ ქუეითნი ძლიერად, გარნა ისე განძლიერდა, რამეთუ კინლა და არა მისდრკნენ სპანი თამარისანი, არამედ მხილველთა დავით და ამირსპასალრმან ზაქარია მირიდნეს ქუეითთა მათ ამიერ და იმიერ, რათა არა დაითრგუნონ და მოუკდნენ სიმრავლესა მას, დასცეს რისხვა

ღვთისა, განხეთქნეს რაზმნი მათნი და ივლტოდნენ სულტანი-სანი. მაშინ აღსდნენ ქუეითნიცა იგინი და მიეტყვენ, მოსვრიდნენ, ტყუე-ჰყოფდიან, რომელ ერთი ასსა მოიყვანებდა...“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973.:187, 7-25).

სხვაც ბევრი ახსოვს ბასიანს. დღეს იქ ვრცელი სათიბეები და საძოვრებია ოდენ...

გამოვცდით ბასიანს. აქედან იწყება ისტორიული საქართველოს საზღვრები. ბარემ კიდევ ერთ ამონარიდს მოვიყვანოთ ვახუშტის თხზულებიდან: „ხოლო ამის დასავლით (იგულისხმება თორთომი) არს და შიფაქლუს მთის იქით გურჯი ბოლაზის ჳეობა, ანუ საქართველო ეელისა, რამეთუ ოდეს დაიპყრეს ოსმალთა არზრუმი, მიერ ჟამით უწოდეს სახელი ესე. სიგრძით არს დევაბონისს მთებიდამ სპერის მდინარემდე. გამოსდის დევაბონისს მთასა, მოდის სამჳრიდამ ჩრდილოთ, და ხენძორეთის გადასწვრივ არს გურჯი ბოლაზი დასავლეთით. და ესე ჳევი არს საზღვარი, ბაიბურდის მთამდე, საქართველოსა და ბერძენთა. და ჳეობა ესე არს ფრიად ვიწრო, კლდინი და ტყიანი“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973.:688, 6-9).

დაახლოებით 15 კილომეტრი, შეიძლება მეტიც, ვიარეთ ერზრუმიდან და თორთუმის სანახებს მივადექით. ჩვენგან მარჯვნივ, მდინარის გაღმა, კლდის თავზე თორთუმის ციხეა. ციხეზე ასვლას დღეს ვერ მოვახერხებთ. ჯერ ერთი, მდინარე აღიდებუღია და გაღმა შეუძლებელია გასვლა, ხიდი კი აქედან ძალზე შორსაა. მეორეცაა და, რომც მოვხვდეთ ციხის ძირში, ციხეზე ასვლას საკმაო დრო დასჭირდება, ორი საათი მაინც.

გაღმიდან ვათვალიერებ ციხეს უკვე მერამდენედ და ერთხელაც ვერ მოვახერხებ ასვლა. ჩანს, ციხე საკმაოდ დიდია, შემორჩენილია ქონგურები და კოშკი.

სოფელ ენგუზექთან (დიქიარი) ჩაი დავლიეთ. ადგილობრივებმა გვითხრეს, სამანქანე გზა ადის ციხემდე, მაგრამ კიბეები ჩამოშლილია და ციხეზე ასვლა გაგიჭირდებათო. თორთუმის ციხეზე ვერასვლით გამოწვეული დარდი ცოტათი მა-

ინც გაგვინელდა. სხვა დროისათვის უნდა გადავლოთ თორთუმის ციხეზე ასვლა...

ხეობაში ქარი ამოვარდა. ამასობაში თორთუმის ტბამდე მივალწიეთ. გავჩერდით. კიდევ ერთხელ გვსურს, ზემოდან დაეხედოთ ხეობაში გაწოლილ ტბას, დავტკბეთ მისი მშვენიეობით.

ქარი თანდათან ძლიერდება. ტბა იქონრება, ყალყზე დგება. თითქოს ცდილობს, გაარღვიოს ზღუდე და მდინარედ იქცეს ისევ, უწინ რომ იყო... თუმცა დღეს ისეთ არტახებშია მოქცეული, ვერ აიშვებს, ვერსად წავა... ტბიდან მდინარე გამოდის, მისგან ნაშობი და მისივე მოსახელე. გაივლის საკმაო გზას და თავგანწირული გადაეშვება სალი კდიდან, კდეზე გადაიჩხება, რომ უფრო გაძლიერდეს და განაგრძოს სიცოცხლე. მშვენიერი სანახავია თორთუმის ჩანჩქერი. მაღალი კლდიდან (50 მეტრამდე მაინც იქნება) ეშვება მდინარე, გაკვეთს კლდეს და ნელა დაუყვება დაღმართს, რომ შეხვდეს ჭოროხს და მასთან ერთად იაროს ზღვამდე...

კარგა ხანი ვტრიალებდით თორთუმის ჩანჩქერთან. დაბლა ჩავედით, სურათები გადავიღეთ, დავისვენეთ და გზა გავაგრძელეთ. საღამო იყო, იუსუფელში რომ ჩავედით. ბინა სასტუმრო „კოშკში“ დავიდეთ. საღამოთი იუსუფელის საჩაიეში ტაოელ ქართველებს შევხვდით. მეგზურიც ვიშოვეთ, აქაური ქართველი, ყურბანა. ხვალ დილით ტაოს მექართულე სოფლებში ვაპირებთ წასვლას...

## ტაოს მექართულე სოფლებში

13 აგვისტოს დილის 8 საათი იყო, იუსუფელიდან რომ გავედით. მშვენიერი დილაა. ნათელი. მზის სხივები კაჩკარის მთის წვერებს ეფინება. იღვიძებს ხეობა. მაღლა მივუყვებით პარხლისწყალს. 14 წლის შემდეგ კვლავ მივდივარ იმ სოფლების სანახავად, სადაც ჯერ კიდევ ახსოვთ ქართული. 1995

წლის ექსპედიციის წვერთაგან დღეს მარტო მე მივდივარ ელიასხევში. წინ საკმაო გზა გვიდევს, – 40 კილომეტრამდე. ვფიქრობ ტაოზე და ტაოელებზე. ისტორიამ საოცარი ხვედრი არგუნა ამ კუთხეს: აქ დაირწა ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი. ქართველი კაცის მოღვაწეობის ნაკვალევი ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება აქ: ციხეები, ეკლესია-მონასტრები, სამლოცველოები... მნახველს აოცებს ოთხთა ეკლესია, იშხანი, პარხალი, ოშკი, ხახული... მთის მწვერვალზე ნაშენი ციხე-კოშკები... ერთ დროს ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა ტაოს ქვეყანა და, შესაბამისად, ტაოური დიალექტი. დღეს კი ტაოური მეტყველება რამდენიმე სოფელშია გადარჩენილი. მასშიც ხელშესახებია თურქული ელემენტი... ტაოელთა დიდი ნაწილი გათურქებულა. მათი ასიმილაციის პროცესი გასულ საუკუნეში დასრულდა. მექართულე ტაოელთა ნაწილი თურქეთის შიგა პროვინციებში – ბურსა, ადაფაზარი, სხვაგანაც, გადასახლებულა. ეს შიგა ემიგრაცია კი ხელს შეუწყობს მათ ასიმილაციას. ერთი რამ ნათელია: ტაოური დიალექტისა და საერთოდ ტაოს მკვლევარი მარტო ტაოს ქართული სოფლებით არ უნდა დაკმაყოფილდეს, მიგრირებული ტაოელების ყოფაც უნდა ვიკვლიოთ ახალ საცხოვრისში. კომპაქტურად დასახლებულ ტაოელთა ადგილ-სამყოფელი ცნობილია; ასე რომ, შეიძლება მათთან მისვლა, მაგრამ სტუმრობა უნდა დაიგეგმოს არა ზაფხულში. უნდა ვიკვლიოთ ტაოს მეთურქულე სოფლებიც. ქართული ელემენტი უნდა დაიძებნოს მეთურქულე ტაოელთა ყოფასა და მეტყველებაში. ერთი სიტყვით, ჩვენს მიერ 1995 წელს დაწყებული საქმე უნდა განედლდეს და შეიქმნას მონოგრაფია ტაოს ქვეყნისა და ტაოელთა შესახებ. საამისოდ მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია...



\* \* \*

**ჩანართი.** „მოხეტიალე ჟურნალისტის ჩანაწერები“

ტაოში მიმავალი ძველ, 1995 წლის ჩანაწერებს, ვისხენებ: ვფიქრობ, საინტერესო იქნება ჩემი მაშინდელი შთაბეჭდილებები, რომელსაც ჩანართის სახით აქვე გთავაზობთ:

თოთხმეტი წელი გავიდა იმ დღიდან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუდმივმოქმედმა ფოლკლორულ-დიალექტოლოგიურმა ექსპედიციამ პირველი გასვლა რომ მოაწყო თურქეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთ პროვინციებში, იგივე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. ყველაფერი კი უფრო ადრე დაიწყო. **80-იან** წლებში ასპირანტურის კურსს გავდიოდი თბილისის უნივერსიტეტში ახალი ქართული ენის კათედრაზე და ვცხოვრობდი ბაგების სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში. აქ გავიცანი „თურქი ქართველები“, რომლებიც იმხანად თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდნენ. ესენი იყვნენ: **ალი ალთუნი** (ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტი, შემდგომ ახალი ქართული ენის კათედრის ასპირანტი), **ჰასან** (მე ვარჩევდი ფორმას **ხასანი**, იგი უფრო ქართული ხმოვანებისაა) **ჩელიქი**, **გიგი თევზაძე**, **აჰმედ ილდიზი** (ქებაძე ვარჩევდი ფორმას **ახმედი** იმავე მიზეზით.) და სხვები. არც ერთმა საქართველოში ჩამოსვლამდე ქართული არ იცოდა, უნივერსიტეტში ისწავლეს მშობლიური ენა. უნდა ითქვას, რომ კარგადაც ისწავლეს, განსაკუთრებით ეს ითქმის ხასანზე...მათი ქართულის შესახებ ამჯერად არ ვისაუბრებთ, ახლა სხვა რამ გვაინტერესებს. მათთან ხშირად ვსაუბრობდით თურქეთში მცხოვრებ ქართველებზე. სხვადასხვაგვარ იმფორმაციებს ვიღებდით: ალი უფრო ქალაქებში მცხოვრებ ქართველებზე გვიყვებოდა. ჩანდა, მის ოჯახს კონტაქტი თითქმის აღარ ჰქონდა სოფელთან, უფრო სწორად, მშობლიურ კუთხესთან. ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ხასანის მონათხრობები. იგი წარმოშობით შავშეთიდან იყო, ახსოვდა ძველი გვარიც – **მელიქიშვილი** და გვიხსნიდა, რომ მის სოფელში დღესაც ლაპარაკობდნენ ქართულად. ბუნებრივია, ვი-

ცოდი თურქეთის საქართველოს შესახებ და შეძლებისამებრ ვიცნობდი მათ მეტყველებასაც აკად. ნიკო მარის ჩანაწარებიდან, – იმერხეულს რომ უწოდებდა დიდი მეცნიერი და არა მარტო ის. ძალიან დიდი იყო სურვილი თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან ურთიერთობისა, მაგრამ მაშინ ეს არცთუ იოლი იყო. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობდით, რომ გვეთხოვა რომელიმე მათგანზე მათი სოფლის მკვიდრთა მეტყველების აუდიო ჩანაწერები ჩამოეტანა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, თუ არ მოვახერხეთ, რამდენადაც შეიძლებოდა ამას გარკვეული უხერხულობები მოჰყოლოდა. ინტერესი კი გვრჩებოდა. გამოსდა ხანი. ხასანი, გიგი, ახმედი დაბრუნდნენ სამშობლოში (ალი ერთხანს თბილისში მოღვაწეობდა, მოგვიანებით გადაბარგდა ანკარაში). ჩვენც მოგვეცა საშუალება, ტურისტად ვწვეოდით თურქეთს. მას შემდეგ „თბილისელი თურქი ქართველები“ აღარ მინახავს. მათ მიერ დახატული თურქეთის საქართველო კი არ მავიწყებოდა. პირიქით, მიძლიერდებოდა სურვილი, ადგილზე გავცნობოდი იქაურ ქართველებს. ალბათ ამიტომაც გავიხადე ჩემი კვლევის საგნად ისტორიული სამხრული მეტყველება.

\* \* \*

**1995** წლის ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა, ბატონმა **აზიზ ახვლედიანმა**, დამიბარა და მიბრძანა, მომემზადებინა ექსპედიცია თურქეთის საქართველოში გასამგზავრებლად. წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, – დიდი ხნის ოცნება მისრულდებოდა. უნდა გვეზრუნა უცხოურ პასპორტებზე, ექსპედიციის შემადგენლობაზე, მარშრუტზე, ტრანსპორტზე და ათას წვრილმანზე. რამდენიმე დღის ფიქრის შემდეგ ბატონ აზიზს წარვუდგინეთ ექსპედიციის შემდეგი შემადგენლობა: **დოც. მერი ცინცაძე**, **დოც. რეზო დიასამიძე**, **დოც. ელგუჯა მაკარაძე**, **მასწ. ლილე თანდილავა**, **დოც. ლევან ხალვაში** (ვერ მოახერხა წამოსვლა), **მ/კ ნ. კახიძე** (ავადმყოფობის გამო ვერ წამოვიდა), **დოც. მამია ფაღავა და მძღოლი** (ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი თუ ვინ იქნებოდა იგი). აღმოჩნდა, რომ არ გვქონდა ექსპედიციისათვის

აუცილებელი ნივთები: ფოტოაპარატი, დიქტოფონები, ვიდეოკამერა...კალამი და რვეული, ღვთის წყალობით, ყველგან იყიდებოდა. მალე ჩვენი ძალებით მოვაგვარეთ ყველაფერი. ვითხოვეთ ფოტოაპარატი „ზენიტი“, შევიძინეთ დიქტოფონები, სხვა მეგობრების დახმარებით „შარფის“ ფირმის ვიდეოკამერაც ვიყიდეთ. ასე გავემზადეთ საექსპედიციოდ. გადაწყდა, 31 აგვისტოს უნდა წავსულიყავით თურქეთში. ბატონი აზიზი ესაუბრა საქართველოს კონსულს ტრაპიზონში გიორგი ჯანჯღავას, რომელმაც აღუთქვა დახმარება. წერილები გავამზადეთ ტრაპიზონში საქართველოს კონსულის, ერზრუმის უნივერსიტეტის იმუამინდელი რექტორის **ეროლ ორალის** და ერზრუმის ვილაეთის ხელმძღვანელის სახელებზე. მალე უცხოეთის პასპორტებიც გავემზადეს. საზრუნავი დაგვრჩა ტრანსპორტი. ეს პრობლემაც საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხელმძღვანელობამ გადაგვიწყვიტა, – გამოგვიყვებს ავტომანქანა „ტოიოტა“ და მძღოლი **ტარიელ ნიჟარაძე**.

ექსპედიცია მზად იყო გასამგზავრებლად.

\* \* \*

31 აგვისტოს ჩვენი ექსპედიცია თურქეთისაკენ გაემართა. შუადღის ორი საათი იქნებოდა, სარფის საბაჟოს რომ მივადექით. მებაჟეები თბილად შეგვხვდნენ, დროულად გაგვიფორმეს ყველა საჭირო დოკუმენტი და გაგვისტუმრეს. არც თურქ მებაჟეებს გაუჩნებიათ დიდხანს. გარკვეული ფორმალობების შესრულების შემდეგ იმათაც დაგვილოცეს გზა. პირველად ტრაპიზონში უნდა ჩავიდეთ. იქ საქართველოს გენერალურ კონსულს, ბატონ **გიორგი ჯანჯღავას** უნდა შევხვედეთ და ჩვენი უნივერსიტეტის რექტორის წერილი და თხოვნა გადავცეთ. მისი შემწეობის იმედი გვაქვს...

გარეთ საშინლად წვიმდა. ადიდებულ მდინარეებს ცენტრალური გზის რამდენიმე ხიდი წაეღო. ჭირდა მგზავრობა. მოგეხსენებათ, თურქეთის რესპუბლიკაში ძირითადი ტრანსპორტი ავტომანქანაა, ამიტომაც გზები მუდმივად გადატვირთულია და ადვილი წარმოსადგენია, ასეთი შეფერხებების

დროს რა საცობები იქნებოდა გზებზე. ასე იყო თუ ისე, საღამოთი ტრაპიზონში ჩავედით. ქალაქის ცენტრში ერთ იაფფასიან სასტუმროში გადავწყვიტეთ ღამის გათევვა.

I სექტემბერს დილიდანვე მივაშურეთ საკონსულოს, მაგრამ იმედები გაგვიცრუვდა. კონსული, ბატონი **გიორგი**, ადგილზე არ დაგვხვდა, თბილისში წაბრძანებულიყო. მას **რაულ მჭედლიშვილი** ცვლიდა. 12 საათზე (ადგილობრივი დროით) მიგვიღო ბატონმა რაულმა. როცა ჩვენი თხოვნა მოისმინა, შეწუხდა, აგვიხსნა, რომ ძალიან ძნელ საქმეს ვითხოვდით, რომ შესაძლებელი იყო, ადგილობრივ ხელისუფლებას ასე ნაჩქარევად არც შევეშვით ჩვენთვის საინტერესო რეგიონში სამუშაოდ. თუ ოფიციალურად დავაყენებდით საკითხს თურქეთის რესპუბლიკის ცენტრალურ ხელისუფლებაში, კერძოდ შინაგან საქმეთა სამინისტროში, პასუხს ექვსი თვე მაინც დასჭირდებოდა...

სანუგეშოს ვერაფერს ვხედავდით. უმჯობესი იყო, სხვა გზა გვეძებნა. ამ ძებნამ ერზრუმის უნივერსიტეტისაკენ წავიყვანა. იქ ჩვენი ძველი ნაცნობები გვეულებოდნენ. აქ კი ყველაფერი ბატონი **რეზო დიასამიძის** დიპლომატიურ ნიჭზე იყო დამოკიდებული.

**ჩანართის ჩანართი გახსენებისათვის. 1993** წლის ზამთარში **მე, რეზო დიასამიძე** და **როლანდ კომახიძე** მივლინებული ვიყავით ერზრუმის უნივერსიტეტში. ჩვენი მასპინძელი იყო პროფესორი **ახმედ ჩარიქი** (წარმოშობით ჩერქეზი), იმხანად ფაკულტეტის დეკანი, შესანიშნავი პიროვნება, ნამდვილი კავკასიელი. მივლინების მიზანი იყო მოგვემზადებინა საფუძველი ბათუმისა და ერზრუმის უნივერსიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების დასადებად. ჩვენი ვარაუდით, ხელშეკრულება უნივერსიტეტის **5 (60)** წლის საიუბილეო დღეებში უნდა გაფორმებულიყო. ჯერ შევხვდით უნივერსიტეტის პრორექტორს, პროფესორ **ზექიბების**, შემდეგ მიგვიღო პროფესორმა **ეროლ ორალმა**, – უნივერსიტეტის რექტორმა სხვა ხელმძღვანელებთან ერთად. საინტერესო და და-

სამახსოვრებელი შეხვედრა იყო. იგი ცალკე საუბრის თემაა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ბატონმა ეროლმა აღვითქვა სამეცნიერო მუშაობაში თანადგომა. პროფესორმა **ენვერ კონიუნქციმ**, – ისტორიის განყოფილების იმჟამინდელმა ხელმძღვანელმა (მოგვიანებით იგი დააწინაურეს, – ფაკულტეტის დეკანად გადაიყვანეს) თანამშრომლობის კონკრეტული გეგმებიც შემოგვთავაზა...

დასანანი, რომ ჩვენი თანამშრომლობა ვერ შედგა...

\* \* \*

ტრაპიზონიდან დავურეკეთ არზრუმის უნივერსიტეტის პრორექტორს, ბატონ **ხეჩიბების** (გვაცნობეს რექტორი ორშაბათამდე არ იქნებოდა ერზრუმში), რომელიც დაგვიპირდა, რომ ბატონ **ეროლთან** მოგვიხერხებდა შეხვედრას. წინ შაბათი და კვირა იყო, – ორი უქმე დღე. ჩვენც ამ დღეებში ტურისტები ვიქნებით. გადავწყვიტეთ **იუსუფელში** წასვლა, იქ დაბინავება და ჩვენთვის საინტერესო ადგილების მონახულება.

სადამო იყო (უკვე ბნელოდა), **ბორჩხაში** რომ ჩავედით. ვიფიქრეთ, ღამეს აქ გავათევთ და აქაურებსაც გავიცნობთო. პირველივე შემხვედრი ქართველი აღმოჩნდა, რომელმაც მიგვასწავლა, სასტუმრო ხიდს გაღმავაო. მისი ქართული ერთი მოსმენით არაფრით განსხვავდებოდა ჩვენი სოფლის მეტყველებისაგან. მხოლოდ აქაურთა გამოთქმა სხვაგვარი, თითქოს უფრო დარბაისლური და დინჯი... ხიდგაღმა ორ ქართველს გადავეყარეთ, აქაური **ბაიაძეები** იყვნენ. ბათუმშიც ყოფილიყვნენ ერთი წლის წინათ. საერთო ნაცნობებიც აღმოგვჩნდა. გადმოცემით ვიცოდი, რომ აქ, ბორჩხაში, ჩვენი შტოს ფაღავეები ცხოვრობდნენ, ბაბუას ბიძაშვილების ჩამომავლები, სამი ძმის (ხასანი, ფაშია, ახმედი) ნამრავლი. ჩემს ბავშვობაში, **60-იან** წლებში, მახსოვს, მიმოწერაც გვქონდა მათთან. განსაკუთრებით ხშირად მოგვდიოდა წერილები და საოჯახო სურათები ახმედის ოჯახიდან. მახსოვს, მამაჩემმაც გადაგვიღო მთელს ოჯახს სურათი და გამოუგზავნა აქაურ ნათესავეებს.

**60-იანი** წლების ბოლოს მამა სადღაც დაიბარეს...ერთ დღესაც იგი რაღაც ნაწყენი მოვიდა, შემდეგ მიმოწერაც შეწყდა... თუ რატომ, ალბათ გასაგებია.

მამას შვილებისათვის განმარტება არ მოუცია...

გამახსენდა და ვიკითხე, ფაღავეები ხომ არ ცხოვრობენ-მეთქი ამჟამად აქ?

– ცხოვრობენო, დამიდასტურეს, ავტოპარკის უფროსებად მუშაობენო!

კარგი იქნებოდა მათთან შეხვედრა, მაგრამ ამჯერად ამის საშუალება არ იყო.

ბორჩხელმა **ბაიაძეებმა**, გაიგეს რა ჩემი გვარი, მითხრეს, აქაური ფაღავეები ჩვენი ნათესავეები არიანო, თანაც ამისხნეს, რომ ორთაბათუმიდან ჩვენი ნათესავეები (ფაღავეები) დადიანო სტუმრად. სახელებიც მითხრეს. გამიკვირდა, უბრალოდ იმიტომ, რომ ჩვენი ოჯახის გარდა ახლო ნათესავი მათ ორთაბათუმში არავინ ჰყავთ... ძველები ცოცხლები აღარ იყვნენ, ახლებთან კი ამ თემაზე საუბარი არ ღირდა, გაუგებარიც იქნებოდა. მამა რომ ცოცხალი იყოს, ან აქაური ძველები, სხვა საქმეა.

**ბორჩხაში** მეტ-ნაკლებად ნორმალური სასტუმრო ვერ ვიპოვეთ (მაიცდამაინც არც დიდი არჩევანი იყო) და ღამის გასათევად **ართვინში** წავედით. დაახლოებით ნახევარ საათში ადგილზე ვიყავით. ავტოსადგომთან ქართველი ახალგაზრდა შეგვხვდა, გვარად **ხალვაში**, ზედა მარადიდელი. ბორჩხაში ვცხოვრობ და აქ ვსაქმობო, – აგვიხსნა.

მანქანა სადგომზე დავაყენეთ, დავბინავდით სასტუმროში, რომელიც ზემოდან დაჰყურებდა ჭოროხს.

ხვალ, ადრე დილით, იუსუფელში წავალთ.

\* \* \*

**2 სექტემბერს** იუსუფელში ჩავედით. იგი პატარა დასახლებაა **პარხლისწყლის ხეობაში**, დაახლოებით **3200** მცხოვრებით. იუსუფელები გარეთ გამოფენილიყვნენ. საშინლად ცხელოდა. სასტუმრო „აიღინში“ დავბინავდით. ბუდად სას-

ტუმროს მეპატრონე კარგი მოლაპარაკე და განათლებული ახალგაზრდა აღმოჩნდა.

**სირალ აიღინი** – ასე გაგვაცნო თავი. ორი ვაჟის მამა ვარო, წაგვეტრაბახა. ჩაიხე მიგვიწვია. მდინარეზე გადამდგარ ფართო აივანზე თითქმის ორი საათი ვსაუბრობდით.

ჩვენ არ ვქარობდით ჩასვლის მიზეზის ახსნას. არ გვინდოდა, გაეგო ჩვენი განსაკუთრებული დაინტერესება ამ კუთხით, აქაური ქართველობით... თავად შემოგვთავაზა მასპინძელმა, რომ ამ ხეობას გაგვაცნობდა, დაგვათვალიერებინებდა ისტორიულ ძეგლებსაც. დიდხანს ისაუბრა **იშხნის** მონასტრის ისტორიაზე, საკმაოდ დაწვრილებითაც. აღმოჩნდა, აქ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ინსტიტუტის ექსპედიცია ყოფილიყო ჩვენამდე და ბატონ **ნოდარ ჯანბერიძეს** ეამბნა მისთვის იშხნის მონასტრისა და მისი აღმშენებლის შესახებ და „ქართული ხელოვნების ისტორიაც“ უსახსოვრებია.

ჩანდა, აქ ტურიზმის განვითარებაზე ოცნებობდა **სირალ აიღინი**.

სასტუმროშივე გავიცანით **ბესიმ შარაძე** – გეოლოგი. პარხლის ხეობაში გეოლოგიური ექსპედიცია სადაზვერვო სამუშაოებს აწარმოებდა, ოქროსა და სპილენძს ეძებდა. ოქრო ცოტა ენახეთო, სპილენძი კი ბლომადააო, – გვიმტკიცებდა მათი ქურთი ხელმძღვანელი. ჰოდა, **ბესიმ ბეი** ამ ექსპედიციის წევრი იყო.

**ბესიმმა** აგვიხსნა, რომ ჩვენი სოფელი **შავშეთშიაო**, დედაჩემი **შობილაძის** ქალიაო. დედ-მამა ქართულად კარგად ვერ ლაპარაკობენ, მე უკეთესი ქართული ვიციო. აჭარაში ნათესავებიც მყავსო, **თამაზაშვილები**. აჭარელ **შარაძეებზე** არაფერი სმენოდა. ქართული ანბნის სწავლა მინდაო, – გაგვენდო. დავპირდით, დაგეხმარებითო.

\* \* \*

შუადღის ოთხი საათი იყო, **ოთხთა ეკლესიის (დორთ ქილისა, როგორც აქაურები უწოდებენ, ოთხნი ეკლესიანიც გვხვდება წყაროებში)** მოსანახულებლად წავედით. იგი იუსუფელის სამხრეთით **14-15** კილომეტრშია, მდინარე **ოთხთა ეკლესიის წყლის (დორთ ქილისა სუ)** შუაწელში.

გავცდით თუ არა იუსუფელს, დაიწყო სოფელი **ოთხთა ეკლესია** (დორთ ქილისა დერე). მოკრძალებით ვიკითხეთ, სახლობენ თუ არა აქ ქართველებიო. არაო, – გვიპასუხა „გიდმა“. აქ მთლიანად თურქული მოსახლეობააო. მეც ამ სოფლიდან ვარო. თავდაპირველად სიცრუე გვეგონა. ჩვენი „ინფორმაციით“, აქ ყველგან ქართველები ცხოვრობდნენ, ქართულად მოლაპარაკენი, რომ აქ ისმოდა ქართული სიტყვა... პიველად გაგვიჩნდა კითხვა – **ნუთუ?**... არადა, დაეჭვებასაც ვერ გამოვხატავდით, მასპინძლის წყენინებას ვერიდებოდით. არც ის გვინდოდა, ქართველი მოსახლეობისადმი ჩვენი განსაკუთრებული ინტერესი შეემჩნიათ...

გზად კლდის მიუვალ თხემზე რაღაც ნაგებობა შევნიშნეთ. რა არის-მეთქი, – ვიკითხე. ოთხთა ეკლესიის ერთ-ერთი ეკლესიააო. შენობა შორიდან ციხეს მოგვაგონებს, თავისი გალავნითა და კოშკებით. ასეც არის. ეს თქვალეა, კავკასისძეთა სამფლობელო. დასავლეთის მხრიდან კარგად გამოჩნდა მოზრდილი ნავიანი ეკლესია, რომელიც, ჩანს, საკმაოდ დაზიანებულია, სახურავი ჩაქცეულია, პერანგიც შემოძარცვული. გვერდით პატარა ნაგებობაც შეიმჩნევა, ალბათ – სამლოცველო... ეკლესიასთან მისასვლელი გზა ოთხივე მხრიდან ჩამოქცეულია. ასე რომ, მოუმზადებლად იქ ასვლა შეუძლებელია.

განვაგრძეთ გზა. საოცარი ბუნებაა. მთები გაშიშვლებულია, მხოლოდ მდინარის ნაპირებზე მოჩანს ოაზისი, – მწვანეში ჩაფლული სოფელი. ნელა მივდივართ სოფლის ორლობეებში. ვათვალიერებთ ყველაფერს. გვინდა, არაფერი გამოგვიჩვენოს. საინტერესოდ თუ მოეჩვენება რომელიმე მგზავრთაგანს რაიმე, მთხოვენ, გადავიდო. გზის გაღმა, კლდის თავზე, გარეული თხა გადმოდგა. ჯერ კარგა ხანს გზა ზვერა, შემდეგ

ქვემოთ დაეშვა. ჩანს, წყალის დასალევად. როგორც კი შეგვნიშნა, გაჩერდა და კაიხანს გვიყურა. ამაყად, ყელმოღერებული გადმოგვცქეროდა ზემოდან... ჩვენმა მანქანამ წყალი აადულა, რამაც გვაიძულა შეგვესვენა. გზაზე მოხუცი მოდიოდა. გამოველაპარაკეთ. ზემო სოფელში, მეზრეში (იაილაში) მივდივარო, გვითხრა. ზაფხულობით იქ ვცხოვრობთო, ზამთრობით ჩამოვდივართო ქვემო სოფელში. სამოციოდე წლის თუ იქნებოდა. ეტყობა, არცთუ იოლი ცხოვრებით ეცხოვრა, იმდენად მოხუცი ჩანდა.

– რა მიღეთის ხართ? – ვკითხეთ.

– ქართველი ვარო, – მოგვიგო.

გხედავ, ლილე ცრემლმორეული ეხვევა და კოცნის. მოხუცს უკვირს, რა ხდებაო.

აღხანაშვილი ვარო, ასე ვიცოცხლე ვინაპრებიდან, ქართული კი საერთოდ არ ვიცოცხლე.

– თქვენთან სოფელში თუ სახლობენ-მეთქი ქართველები? – ვკითხეთ.

– სახლობენ, მაგრამ ქართული არავენ იცისო.

– სხვა რა გვარები ცხოვრობენ-მეთქი ამ სოფელში?... –

ვერაფერი მიპასუხა. შემდეგ ერთგვარი სინანულით დასძინა:

– ჩვენ ქართველები ვართ, მაგრამ ქართული აღარავენ ვიცითო.

რას ვიზამდით... მალე მანქანაც „შევაკეთეთ“ და გზა გავაგრძელებთ. ფიქრებმა წაგვიღო. რამდენი საუკუნე იცხოვრა აქ ამ კაცის წინაპარმა, რამდენი აშენა, რამდენი იბრძოდა... რამდენჯერ დაუნგრის ნაშენები, გაუჩხეხეს ბაღ-ვენახი... ბოლოს მაინც გატეხეს. იცის ამ კაცმა, რომ ქართველია, რომ აქ ქართული ქილისაა, რომ მის სოფელში სხვებიც არიან მისნაირი ქართველები. ამას იქით მისი ცოდნა აღარ მიდის...

ამ ფიქრებით აღმართს მივადექით და ჩვენს წინ ასწლოვანი კაკლების ტვერში მშვენიერი სამნავიანი ეკლესია ამოიშართა. ეს ოთხთა ეკლესიაა. მანქანას გაუჭირდა ქვიანი აღმართის ბოლომდე ავლა და ჩვენც ფეხით გავიარეთ ტაძრამდე დარჩენილი გზა.

ეკლესიის ეზოში შევედით. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ აქ საეკლესიო კომპლექსი იყო. ნაწილი შენობებისა დღემდე შემორჩენილა, ნაწილი კიდევ ზგავს დაუნგრევია და მიწის ქვეშ აღმოჩენილა. მიწით დაფარულა ის გვირაბიც, რომელიც, გადმოცემით, მონასტერს ეპისკოპოსის სასახლესთან აკავშირებდა. სასახლე ეკლესიის გაღმა მდებარეობდაო, – გვითხრეს.

ჩრდილოეთ ფასადზე, ფანჯრის თავზე, წარწერა მოჩანს, რომლის მარცხენა მხარე დაზიანებულია. მისი შორიდან ამოკითხვა ვერ შევძელით, სურათები გადაგუდეთ იმ იმედით, რომ ფოტოზე მაინც მოვახერხებთ მის გაშიფრვას.

რაც შეეხება ტაძრის მდგომარეობას შიგნიდან:

ჩანს, ოდესღაც მოხატული იყო. დღეს ალაგ-ალაგ საღებავილა მოჩანს. ასევე ძნელად განირჩევა ფრესკის ნარჩენები. ესაა და ეს. დროის მსახვრალი ხელი მძიმედ დატყობია ოთხთას.

დღემდე ადრევეოდალური ხანის არაერთი ტაძარი მინახავს, მაგრამ ასეთი გრანდიოზული ნაგებობა – არცთუ ბევრი...

იქვე, მდინარის გაღმა, მოჩანს კიდევ ერთი ეკლესიის ნანგრევები. ძალზე მცირე ნაწილია შემორჩენილა. წყალდიდობას შეუწირავს იგი.

ზემოთ, ორი საათის სავალზე, ოთხთა ეკლესიის კიდევ ერთი ტაძარი არისო, – გვითხრეს. იქამდე სამანქანე გზა არ მიდის. ფეხით უნდა იაროთ ტყე-ტყეო. აგვისსნეს, უკვე საღამოა და არ გირჩევთ იქ წასვლასო.

ბარემ ვიტყვით, რომ აქაურთა გაგებით „დორთ ქილისა“ „ოთხი ეკლესიაა“ და არა „ოთხთა ეკლესია“ და ცდილობენ დავისახელონ ეს ოთხი ტაძარი. სხვათაშორის ქართულ წყაროებშიც გვხვდება „ოთხნი ეკლესიანი“.

ცდუნება დიდი იყო, მაგრამ წასვლა ვერ გაგვხდებოდა. უცნობი მეტყვევის ნათქვამი გვამცნო გიღმა, კარგადაა შენახული ოთხთა ეკლესიის ეს მეოთხე (პირობით) ტაძარიო. ჩანს, არც სირაღიმ იცოდა კარგად მისი ადგილსამყოფელი. თანაც მან-

ქანაც გაგვიფუჭდა, გამუდმებით წყალს გვიდუღებდა. როგორმე დროულად უნდა დაებრუნებულიყავით სასტუმროში. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქართველთაგან იქ ჯერ-ჯერობით ფეხი არავის დაუდგამს (ჩვენი თაობიდან მაინც). თუ საშუალება მოგვეცა, აუცილებლად ვნახავთ მას. ტყე-ტყე სიარული ნამდვილად არ გვაშინებს.

ოთხთა ეკლესიის გაღმით, კლდის ქიმზე, მოჩანს შენობის ნანგრევები. სანიშნეო – აგვისხნეს. შიშიანობის დროს აქ ცეცხლს ანთებდნენ და მოსახლეობას ატყობინებდნენ მოსალოდნელ საფრთხესო. ასეთი ნაგებობები ამ ხეობაში (სხვაგანაც) მრავლადია.

**შეიძლება ვთქვათ:** ჩვენ მოვინახულეთ ამიერტაოს ერთი ხეობა – ოთხთა ეკლესია.

აქ შემორჩენილია ქართული კულტურის ძეგლები, უფრო სწორად „ნაშთი ძველი დიდებისა“, შემონახულია ქართული ტერასული მეურნეობის სტილი; მოსახლეობის ნაწილში შემორჩენილია ხსოვნა, რომ ისინი ქართველები არიან, მაგრამ არ იციან ქართული ენა. საინტერესოა, აქაურთა თურქულმა მეტყველებამ თუ შემოინახა ქართული ელემენტი... ვფიქრობთ, ქართულის ნაკვალევი აქ (და არა მარტო აქ) მომავალი კვლევით უნდა გამოვლინდეს.

\* \* \*

**3** სექტემბერს, დილით, **პარხლის** მონასტრის მოსანახულებლად წავედით. იგი იუსუფელიდან **35** კილომეტრშია. გიდად ამ კუთხის კარგი მცოდნე, ადგილობრივი თურქი **დურსუნ ბეი** გაგვყვა.

საოცარი კაცია ჩვენი გიდი. ენაწყლიანი, კარგი მოლაპარაკე, ჭარმაგი (ასე 65 წლის), მაგრამ ენერგიული. მთელი გზის განმავლობაში არ გაჩერებულა. მან შესანიშნავად იცოდა ამ კუთხის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა.

გზა პარხლისწყალს მიუყვება. გავცდით იუსუფელის დასახლებას და აღმოჩნდით მაღალი, გაშიშვლებული მთებით გარემოცულ ხეობაში. სოფლები მდინარის ნაპირებზეა გაშე-

ნებული, სხვაგან ხე არ ხარობს. ჩანს, აქ სავარგული მიწის ნაკლებობაა. ამიტომაც გამრჯე ხელს არც ერთი მტკაველი მიწა დაუმუშავებელი არ დაუტოვებია. საგულდაგულოდ გაკეთებულ ტერასებზე უხარებია ვაზი და მსხალი, კომში და ატამი, ვაშლი და შინდი...

გაშიშვლებული მთების ფონზე მდინარის სანაპიროები ნამდვილ ოაზისად მოჩანს.

შეგუდექით აღმართს. ჩვენი „ტოიოტა“ ჯერ კარგად მიდის. გვეშინია, წყალი არ აგვიდუღოს კიდევ.

– აქ ძველად ქართველები სახლობდნენო, – მიგვითითა გიდი პირველივე სოფელზე, – ახლა თურქები ცხოვრობენო.

მძლოლმა მანქანა ცოტა შეასვენა და გზა განვაგრძეთ. მივადექით სოფელს, რომელშიც ქართველები აღარ ცხოვრობენ. შეგვხვდა ჩამოსახლებული ქართველი, რომელმაც იცოდა ზოგიერთი სიტყვა, გამოთქმა, მაგრამ ქართულად ლაპარაკი მას აღარ შეეძლო. ხემო სოფლიდან ვარო, – აგვისხნა, ჩემს სოფელში კარგად იციანო ქართული. გუშინდელი დღის შემდეგ, ვფიქრობთ, კარგი ინფორმაციაა. ცოტაც გავიარეთ და მივადექით სოფელ **ჭილათს** – ქართულად მოლაპარაკე პირველ სოფელს ხეობაში. მდინარის გამოღმა სოფელი ქართველებითაა დასახლებული, გაღმა სოფელი თურქებისაა. თვალს ახარებს კარგად მოვლილი ბაღ-ვენახები... ჩუმად ვზვერავთ, ეგებ სულიერი ვინმე გამოჩნდესო გზაზე, მაგრამ ამაოდ. ჩანს, **ჭილათლებს** მაიცდამაინც არ უყვართ სტუმრებთან საუბარი, ძნელად თუ გაეხსნებიან ვინმეს...

ცოტაც გავიარეთ და დუქანს მივადექით. ცივად მიგვიღო გამყიდველმა. ქართველი გვეგონა და ნაადრევად ვცადეთ გაშინაურება. მოვტყუვდით. ცოტა წაგვეუხეშა კიდევ. ანკარის უნივერსიტეტში ვსწავლობო სამშენებლო ფაკულტეტზე, – აგვისხნა. დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვა.

დურსუნ ბეიმ, ჩვენმა ენამოსწრებულმა გიდი, შენიშნა:

– **განათლება კაცს ვერაფერს უშველის, თუ თავად არ ვარგა. ხომ ხედავთ, ჰაივანიო** (პირუტყვიო).

ამ მოსწრებულ შენიშვნაზე ყველამ ვიცინეთ. განსაკუთრებით ელგუჯა მოიხიბლა დურსუნ ბეის „პედაგოგიური ალლოთი“.

განვაგრძეთ გზა. მალე **სარიგიოლში** მივედით. აქ ამერიკელი ცოლ-ქმარი წამოგვეწია, პარხალს მიდიოდნენ (ქმარი სტამბულები თურქი აღმოჩნდა). ჩაი მივირთვი და გზას დავადექით. მწვანეში ჩაფლულ ხეობას ავუყვებით. ტიპური ქართული სოფელი, მდინარის პირზე პატარა წყლის წისქვილებით, ჩვენს სოფლებში რომ იციან, ისეთი... პარხალთან მისასვლელი სამანქანე გზა დასრულდა. ჩვენი „ტიოტა“ გზის პირას დავტოვეთ და ფეხით წავედით ტაძრისაკენ. მალე მონასტრის ეზოში შევედით.

პარხალი კარგადაა შენახული. მუსლიმანებს შიგ მათი სამლოცველო (ჯამე) გაუხსნიათ, ამანაც გადაარჩინა ტაძარი.

პარხალი სამნავიანი ბაზილიკაა, სიგრძით დაახლოებით 40 მეტრი, სიგანით ასე 20 მეტრამდე. სამხრეთის ფასადზე VI და VII კამარაზე წარწერაა წითელი საღებავით შესრულებული, რომელიც საკმაოდ კარგადაა გადარჩენილი. იგი ასე იკითხება:

*„სახელითა ღმრთისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, წმიდისა იოანე ნათლისმცემლისაჲთა, აღიღენ ღმერთმან ქრისტეს მიერ ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთის პატრიარქსა იოვანეს, პარხალს ეკლესიასა ზედა ჩასდუღარაჲ კურაპალატსა აეშენა, არღარავის ეკაზმა და მან შეკაზმა, ჰგიესმცა დიდებაჲ მისი უკუნისამდე! წინამძღუარსა გიორგი დღლისასა შეეწიენ ღმერთმან. ამენ ეყავნ იოანე წინამძღუარჲ“* (მდრ. ექვთ. თაყაიშვილი, 1917 წლის...ექსპედიცია...გვ. 89.). ამ წარწერაში საყურადღებოა ტერმინი **ჩასდუღარაჲ**. სპეციალურ ლიტერატურაში მოცემულია მისი ახსნის ცდა (რომ იგი კომპოზიტია: **ჩას** (ცას)+**დუღ** (კოლხური)+**არ** (მრ. სუფიქსი, შენახული სვანურსა და სომხურში). ეტიმოლოგია ეკუთვნის **ნიკო მარს**), მაგრამ იგი გაზიარებული არაა ქართველოლოგიაში. მისი მნიშვნელობა ჯერ კიდევ საძიებელია.

ტაძრის დათვალიერებით გართულებს არც შეგვინიშნავს, რომ ეზოში ყავარჯენს დაყრდნობილი კოჭლი მოხუცი შემოვიდა. გავიცანით. ქართველი აღმოჩნდა. შეილები სამუშაოდ არიან წასული სხვაგან, აქ მარტო ვცხოვრობო. **ბექირი** ერქვა მოხუცს, **სულეიმანოღლი** იყო გვარად. ქართული გვარი არ ახსოვდა. ჩემი ერთი ნათესავი **ჩურუქსუში** (ქობულეთში) ცხოვრობსო. ქართული სიტყვები იცოდა ოდენ, ლაპარაკს ვერ ახერხებდა. ჩანს, განიცდიდა ამას. ქართული ანბანი მოგეთხოვა. დავუწერეთ და მივეცით. თითოეულ ასოს შესაბამისი სიტყვა მივუწერეთ. მახსოვს მ ასოზე რა მიგვეწერა, შევყოვნდით... **მარილი** – შემოგვაშველა მოხუცმა.

– **ძველი წიგნები ხომ არაფერი დარჩენილა-მეთქი აქ?** – ვკითხე ბექირ ბეის.

– **არაფერიო, იყო და ყველაფერი განადგურდაო,** – მიპასუხა მოხუცმა.

ეკლესიაში შესვლა ვერ მოვახერხეთ. მუხტარი ადგილზე არ იყო და გასაღები სხვას არავის ჰქონდა. ძველი ამბები მოგვიყვა ბექირმა. შემდეგ გვითხრა, ჩრდილო ფასადზე საიდუმლოება ვიცი და წამოღით, გაჩვენებთო. წავყვით. გვაჩვენა შესანიშნავი ჩუქურთმა, მზის სხივებში ჩაწული ვაზი. ეშმაკები უთამაშებდა გაამაყებულ მოხუცს თვალებში. ეამაყებოდა, რომ ამ მშვენიერების პატრონი იყო. თავად იცოდა მხოლოდ ამ ჩუქურთმის ფასი. უხაროდა, რომ ჩვენც გაგვხადა თავისი საიდუმლოს თანაზიარი.

თავს გადახდენილი ამბები გვიამბო ბატონმა ბექირმა. ისიც გაიხსენა, მარადილში დავდიოდითო ყოველ გაზაფხულს, ომში დაღუპული მეგობრების გასახსენებლად...

დრო მოვიდა, უნდა გამოვმშვიდობებოდით ჩვენს კეთილ მოხუცს. მას თვალებში სევდა ჩასდგომოდა. ამ წუთებში ერთმანეთში ირეოდა დარდი და სიხარული. უჭირდა ჩვენთან დამშვიდობება. რაღაცის თქმა უნდოდა კიდევ, მაგრამ ვერ ახერხებდა. თავს ებრძოდა ბექირ სულეიმანოღლი. ბოლოს თქვა სათქმელიც:

– თქვენ რუსები არჩიეთ და ახლა ამიტომ ვართ ამ დღე-შიო, – მოგვახალა გახელებულმა. ქართულის არცოდნას ვერ ეგუებოდა მოხუცი. ალბათ ვერც იმას, რომ მის მეტი არავინ ჰყავდა პატრონი ამხელა დუნიაში მისი წინაპრების ამ ნახელავს, – პარხლის დიდებულ ტაძარს, რომ ვერავინ გრძნობდა მასავით ქვაზე ნაკვეთ სილამაზეს...

წამოსვლისას მოვეფერეთ ბატონ ბექირს. ატირდნენ გამომშვიდობებისას მერი და ლილე.

– **სისხლი ერთია და იმიტომ ტირითო**, – მოგვაძახა თავდაც ცრემლმორეულმა მოხუცმა და გაგვეცალა; გაგვშორდა ისე, რომ არც დაგვმშვიდობებია...

დუნიაზე იყო გაბრაზებული ბექირ ბეი. ჰქონდა კიდევ გასაბრაზებელი...

გაკვირვებული უყურებდა ამ უცნაურ სცენას ჩვენი გიდი, მაგრამ არაფერი უთქვამს...

– **ქართული ნამცოდნი პარხალ არ იქნებიან**, – აგვიხსნეს ელიასხევში.

– **ხალხმა ქართული არ იცის, ბელქი ჭრიჭინამ იცის**, – იხუმრა რეჯებ ქესკინმა.

\* \* \*

იუსუფელისაკენ წამოვედით. ჯერ კიდევ დიდი დრო იყო დაღამებამდე და გადავწყვიტეთ, **ჭილათში** – გზისპირა ქართულ სოფელში – შეგველო. დურსუნ ბეის ნაცნობი ჰყავდა აქ და მასთან შევიდა. გზაზე მამაკაცი გამოვიდა, ასე, 45 წლის იქნებოდა. ქართულად მოგვესალმა. როცა გაიგო, ქართველები ვიყავით ბათუმიდან, საქმე მაქვსო, მოიმიზეზა და გაგვშორდა. მალე დაებრუნდებიო, კი დაგვიპირდა, მაგრამ... მაგრამ აღარ დაბრუნებულა.

დურსუნ ბეი კი გვაიმედებდა, აუცილებლად მოვაო...

სოფლის ორღობეში შევედით. ქალბატონი მუშაობდა ბოსტანში. ლილე თავმდაბლად გამოელაპარაკა. წყურვილი მოვიმიზეზეთ.

– **ბუზდოლაბიდამ მოგიტანთო** და წავიდა. რამდენიმე წუთში წყალი მოგვართვა.

– **აიშა** მქვიაო, – გაგვეცნო, – აქ ვცხოვრობო, კაცი (ქმარი) ამჟამად სახლში არ არისო. შვილები მყავსო, ბევრნი, ბიჭები.

– რა გვარები ცხოვრობენ-მეთქი სოფელში? – ვიკითხე.

– არიან **ფესტილიანი, იამაღიანი**... არიან და რა ვიცი, რა **სოიადები** არიან. **ყველაფერი მე**’ნა გითხრათო?! – შემოგვწყრა და წასვლა დააპირა. აშკარად ეტყობოდა, ჩვენთან ლაპარაკს გაურბოდა.

დავემშვიდობეთ აიშეს და გავეყვით შუკას.

იქვე ეზოში სამი ქალი საუბრობდა. ერთი მოხუცი და ორიც ახალგაზრდა. ისევ წყურვილი მოვიმიზეზეთ და გამოველაპარაკეთ. ახალგაზრდა ქალბატონმა წყალი მოგვართვა. საუბარს თავს არიდებდნენ. მოხუცმა ქალბატონმა, რომელიც, ეტყობოდა, კარგი მოლაპარაკეც იყო და ჩინებულადაც ლაპარაკობდა ქართულად, გვეკითხა:

– საიდან ხართო?

რომ გაიგო ბათუმელები ვიყავით, ჩაგვეკითხა:

– **რა ჩამეტანეთ საყიდლათო?**

– არაფერი, ჩვენ უნივერსიტეტის ლექტორები ვართ-მეთქი, – ვუპასუხე.

ჩვენს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა (თუ საერთოდ შეიძლება, ამას საუბარი ეწოდოს):

– რა ჰქვია ამ სოფელს?

– **ამ სოფელსა? ჭილათი!**

– სოფელში ბევრი ცხოვრობს?

– **ბევრნი არიან. ზაფხულ მიდიან დაილაში.**

– შორია აქედან დაილა?

– **შორია, ჰო! ჩვენ დაილასა ქვაბაღს დაილა ჰქვია.**

– **თქვენი ნალაპარაკავი ვერ მივხტი, ანი!!!**

– ეს რა ხეა?

– **თუთი (თუთ).**



- ეს?
- **ბრეწეული! (დენახე ვერ მიხტი?)**.
- შვილები სად არიან?
- **მურღულ წვედენ! მე თქვენთან ვერ ვილაპარაკეფ, კაცი არაა სახში!**

- სადაა თქვენი ქმარი?  
 - **მომიკტა... ჩავდევი მიწაში!**  
 უხერხულობა ჩამოვარდა. სიტუაციის გასამუხტავად მეორე ქალბატონს შევეკითხე:  
 - რამდენი შვილი გყავთ?  
 - **ბევრნი არიან, ფშვიდნი!**  
 - დიდები არიან?  
 - **დიდები! დიდი ასკერშია, ანკარას! ახლა წვედა. არ მოსულა ხებერი. ოცი და მეექვსე დღე წვედა...**

- **ოოო, მე მივალ და რაცხა გინდა, ის ქენით, - თქვა მოხუცმა ქალბატონმა და წასასვლელად გაემზადა.**

- **ზაარმობა არ უნდა!** - დაუმატა ახალგაზრდამ.  
 რაღას ვიზამდით. გული დაგვწყდა, რომ ვერ შევძელით საუბარი. რაღაცის გამო თავს გვარიღებდნენ. ალბათ იმიტომაც, რომ სოფელში მარტო ქალები იყვნენ. მამაკაცები იალაღებზე, ან სამუშაოდ იყვნენ წასული. მოხუცმა ქალბატონმა შენიშნა კიდევ:

- **ბველი ამბები ვიცი, ჰამა არ გეტყვით, კაცი არ მყავსო.**  
 ჩვენც დაუშვით შეცდომა. უცხო მამაკაცებთან არ ისურვეს ქალებმა საუბარი, ალბათ ესეც იყო მიზეზი, თორემ დალაპარაკებას რატომ დაგვამაღლიდნენ ჩვენებურები? ჩვენ ამხელა გზა გამოვიარეთ მათთან შესახვედრად, ისინი კი მოგვერიდნენ, არ ინებეს ჩვენთან საუბარი, წავიდნენ. ბექირ ბეის სიტყვები გამახსენდა: „**არ მოგვხედეთო**“, რომ გვისაყვედურა, - **„რუსები არჩიეთ ჩვენს თავს, მიგვატოვეთ და ამიტომაც ვართ ამ დღეშიო“.**

სხვა მიზეზიც იყო, ალბათ ამიტომაც არ გაგვხადეს მათთან საუბრის ღირსად ჭილათელებმა.

- თქვენ რა შუაში იყავითო? - იკითხავთ ალბათ.  
 - ვართ! შუაშიც ვართ და თავშიც. წინაპართა ქმედებისათვის ჩვენც უნდა ვზლოთ. არც ჭილათელებს, არც მრავალი სხვა ქართული კუთხისა თუ ხეობის მკვიდრთ დაუშვავებიათ რაიმე, მაგრამ მამა-პაპათა „მიუხედაობით“ გადაქართველდნენ, მათი მცირე ნაწილი ძლივსდა ხვდება ქართულს; მათ მეხსიერებაში დღესაც არის დაღეკილი, რომ გურჯები არიან, ამყობენ კიდევ ამით, მაგრამ ჩვენ ვერ გვპატიობენ. კაცმა რომ თქვას, არც გვეპატიება და ნურც ვეცდებით...

იუსუფელში ჩამოსულებს **დურსუნ ბეიმ** აგვიხსნა, თითქოს მოგვიბაღიშა, მძიმე ხალხიყო ჭილათელები. ზემო სოფლებში თუ წახვალთ, კმაყოფილი დარჩებით, იქ გულიანი ქართველები სახლობენო.

ხვალის იმედმა გაგვახალისა.

\* \* \*

საღამოს ხუთი საათია. იშხნის მონასტრის სანახავად მივემგზავრებით. ბატონი რეზო უარს ამბობს მგაზავრობაზე. როგორც წესი, წნევა აქვს. კვლავ დურსუნ ბეი მიგვეყვება გიდად. იშხნისაკენ მიმავალი გზა პირველად მიმსვლელისათვის განსაკუთრებით საინტერესოა. გადაუხვევ რა ერზრუმისაკენ მიმავალი ტრასიდან, გზა მაღლა და მაღლა მიიწევს. ირგვლივ „უდაბნოა“, შიშველი კლდეები, ზოგი რუხი, ზოგიც ყვითელი, ალაგ-ალაგ კი - თეთრი.

საშინლად ცხელა. ჩვენი მანქანა კვლავ აღუღებს წყალს, რაც საშუალებას გვაძლევს, უკეთესად დავათვალიეროთ გარემო. რაც მაღლა ავდივართ, მით უფრო უჭირს ჩვენს ავტოს. რამდენჯერმე წყლის დამატება და გამოცვლაც დაგვჭირდა. იძულებითი შესვენებების დროს ღილე ყვაილებს კრეფს და თაიგულს აკეთებს. ტრაბახობს ღილე, რომ ეს უკვდავი ყვაილებია და სახლში უნდა წავიდლო. თქვენც დაგიკრეფთო თუ გინდათ, - გვპირდება.

ამ ყვაილებმა მაღე აგრძობინეს ღილეს თავისი ძალა, მისმა მტვერმა საშინელი აღერგია შეჭყარა. ამის დამნახავთ,

ბუნებრივია, თაიგულების სახლში წადების სურვილი დაგვე-  
კარგა, თუმცა არც მანამდე გვექონია მაიცდამაინც...

ღამაზი სანახავია მთის ფრიალოები ზემოდან ჩამავალი  
მზის ფონზე.

ნელა მივიწვევთ მალლა. ჯერ კიდევ არაფერი ჩანს. მოულ-  
ოდნელად შორს სახლები გამოჩნდა.

– ესააო იშხნის დასახლება, – ბრძანა გიღმა.

როგორც იქნა, აველით.

თვალწინ გადაგვეშალა უღამაზესი სოფელი. საინტერე-  
სოა, როგორ მიაგნეს წმინდა მამებმა ასეთ წარმტაც ადგილს.  
ქვემოდან მომავალი, ამ გაშიშვლებული მთების შემყურე, ვერ  
იფიქრებ, აქ რომ ასეთი სიღამაზეა, რომ აქ ვაკეცაა, ბაღ-ვე-  
ნახებიც და საამო წყაროც. ნუთუ მართლა ღვთიური გამოც-  
ხადება იყო, თუ გზა უწინ მთებზე გადიოდა?!

ვინ იცის, იქნებ ერთიცა და მეორეც.

შევედით იშხნის ეზოში. იქვე ბავშვები ფეხბურთს თამა-  
შობდნენ. უცხოები რომ დაგვინახეს, შემოგვეხვივნენ. მე ვიდე-  
ოკამერით გადაღება დავიწყე. ვჩქარობდი. დამდებოდა უკვე  
და მიხლოდა, ცოტა რამ მაინც მომესწრო.

– **კამერა აკრძალულიაო, იასალიაო გადაღება,** – მითხრა  
ერთმა ყმაწვილმა.

– **თუ აკრძალულია, რას გაეწეობა-მეთქი,** – ვუთხარი  
ქართულად და კამერა გამოვრთე.

ჩემი ნათქვამი „კანონის დამცველს“ მართალია, არ გაუგ-  
ია, მაგრამ რომ დავემორჩილე მის ნათქვამს, შევატყვე, ძალი-  
ან ესამოვნა. ამასობაში საქმეში დურსუნ ბეი ჩაერია. შეურ-  
აცხყოფად მიიღო ყმაწვილის ნათქვამი. სოფლის თავი, მუხ-  
ტარი მითხროვა.

– ადგილზე არააო, ქვევით წავიდაო, – უთხრეს.

რამდენიმე წუთში მუხტრის მოადგილე მოვიდა. გიღმა  
აუხსნა მას, რაც მოხდა, თან აცნობა, რომ პროფესორები  
მახლავანო ბათუმის უნივერსიტეტიდან.

მუხტრის მოადგილემ აგვისხნა, რომ გადაღება კი არა, აქ-  
ედან ქვების წადებააო აგრძალული. მოსულები იპარავენო  
ქვებს ეკლესიიდან...

გადაღების ნება კი დამრთეს, მაგრამ უკვე დამე იყო და  
ჩემი სამოყვარულო კამერით ვერაფრის დაფიქსირება ვეღარ  
შევედელი...

დავათვალიერეთ მონასტერი. ქალბატონმა მერიმ და მე  
სამხრეთის კარებთან მოთავსებული წარწერა ამოვიკითხეთ  
გაჭირვებით. აღარ გადმოგვიწერია, რადგანაც არაერთხელ  
გამოცემულია უკვე 1917 წელს ექვთიმე თაყაიშვილის ექსპე-  
დიციის მიერ ამოკითხული.

იშხნის სახურავი ჩამოქცეულა, გუმბათი ჩამოვარდნის პი-  
რასაა. მცირე მიწისქვეშა ბიძგები და ისიც ჩამოიქცევა. პე-  
რანგიც შემოძარცვია ტაძარს. კარები აღარ აქვს. ჩანს, კარგა  
ხანია. ამიტომაც, ეტყობა საქონელიც შედის ხშირად. კოცო-  
ნიც უნთია ვიდაცას. მოუფლელია ეკლესია. უჭირს იშხანს.  
პატრონობა ჭირდება მას. თუ არ იზრუნა ვინმემ, მალე ამ დი-  
დებულ ტაძარსაც შეიწირავს ჟამთასვლა...

უკან დაბრუნებულებს უცხო მამაკაცი დაგვემზავრა. მუხ-  
ტარი აღმოჩნდა. დურსუნ ბეი მოუყვა იშხნის ეკლესიის ეზო-  
ში მომხდარი გაუგებრობის შესახებ, თან ჩვენი თავი გააცნო,  
ბათუმის უნივერსიტეტიდან არიანო, – უთხრა.

მუხტარი გაბრაზდა ბავშვებზე, მოგვიბოდიშა და აქით  
გვთხოვა თავაზიანად, ტურისტებმა მისწერეთო თურქეთის  
კულტურის სამინისტროს, ეგებ ფული გამოგვიყოს, რომ იშ-  
ხნის ეზო შემოვლობოთ და როგორმე ვუშველოთო ქილისას.  
მომავალში აქ კარგი სამანქანე გზა გაკეთდება, ტურისტებიც  
ივლიან და შემოსავლებიც გვექნებაო.

ჩვენდა გასაკვირად, მუხტარმა კარგად იცოდა იშხნის ეკ-  
ლესიის ისტორია და, რაც მთავარია, როგორც კულტურის  
ძეგლის ფასი. მართალი იყო მუხტარი იმაშიც, რომ ეკლესიას  
შველა უნდა. ჯერ კიდევ შეიძლება ტაძრის რესტავრაცია ან  
კონსერვაცია მაინც და კარების შეკიდვა.

გზად მიმავალი ვფიქრობდი: ჩვენი გიდი, დურსუნ ბეი, ეს ხანდაზმული კაცი როგორი ხალისით დაგვეყვებოდა მთელი დღე უცხოელებს, როგორ ცდილობდა, ეჩვენებინა ყველაფერი, რაც, მისი აზრით, საინტერესო იყო, როგორ გვიცავდა უცხოებს ჯერ ჭილათელი დახლიდარის უხეშობისაგან, შემდეგ იშხნელი ყმაწვილების უსამართლობისაგან; როგორი სიამაყით ეუბნებოდა მუხტარს პროფესორები მივიყვანეო ბათუმის უნივერსიტეტიდან... საღამოთი, გამომშვიდობებისას, კიდევ ერთხელ მოგვეფერა, სიტბო და სიყვარული დაგვიტოვა და წავიდა. დაგვიპირდა, რომ ხვალ ისევ მოვიდოდა...

\* \* \*

კვირას, 4 სექტემბერს, იუსუფელიდან ერზრუმში წავედით. ორშაბათს 12 საათზე უნივერსიტეტში გველოდებიან. საღამოს უკვე ერზრუმში ვიყავით. მეორე დღეს შევხვდით უნივერსიტეტის პრორექტორს, პროფესორ **ზექიბეის**, რომელმაც რამდენიმე წუთში მოგვიწყო მიღება რექტორთან.

ბატონმა **ეროლ ორალმა** გულისყურით მოისმინა ჩვენი თხოვნა, გაეცნო ჩვენ მიერ ჩატანილ წერილებს და თანამშრომლობა აღგვითქვა, თან თხოვა შესაბამის სამსახურებს, ჩვენთვის დახმარება გაეწიათ. როცა გუბერნატორთან წარსადგენი წერილი ვაჩვენეთ, იწყინა, სამეცნიერო საკითხებს აქ მე ვწყვეტ და არც არავის ვეკითხები, რას ვაკეთებო, თუ მაიციდამაინც – ჩვენს მინისტრს მოვახსენებო და გვაგონობინა, რომ ჩვენი თხოვნის დასაკმაყოფილებლად იგი არავის ჩარევას არ აპირებდა. თავად იტვირთა ჩვენზე მზრუნველობა.

ერთი მომენტი მახსენდება რექტორთან შეხვედრიდან. მე, როგორც ექვედციის ხელმძღვანელს, მევალებოდა საუბრის წარმართვა. ბატონი რეზო თარჯიმნის ფუნქციას ასრულებდა. მე ბატონ ეროლს გადავეცი ბათუმის უნივერსიტეტის რექტორის მოკითხვა და საღამო-ქალამი, თავადაც დიდის ამბით მოიკითხა ჩვენი რექტორი. რეზო თარჯიმნის ჩემს ყოველ ნათქვამს, მაგრამ ვატყობ, ზოგიერთ რაღაცას ცვლის, მისი აზრით, უფრო „დიპლომატიურად“ ამბობს. იქნებ ასეც იყო სა-

ჭირო. წერილები რომ გადავეცი ბატონ რექტორს, ჩემი მისია ამოწურულად ჩავთვალე, თან რეზოზე ჯავრიც ვიყარე ზემოხსენებული „დიპლომატიურობის“ გამო და ბატონ ეროლს და სხვა დამსწრეთ ვუთხარი, რომ დანარჩენს ჩემი თარჯიმანი მოგახსენებთ-მეთქი. მან კარგად იცის ყველა პრობლემა, რაზეც უნდა თქვენი ყურადღება მივაქციოთ-მეთქი. ერთი სიტყვით, ბატონ რეზოს დავეუთმე ბურთი და მოედანი. მე კი ჩაის შევექეცი.

ვატყობ, გაბრაზდა „თარჯიმანი“, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და სერიოზულად განაგრძო საუბარი ჩვენს უნივერსიტეტებს შორის მომავალ თანამშრომლობაზე...

რექტორთან შეხვედრის შემდეგ ჩვენ იუსუფელში წამოვედით, ბატონი რეზო კი ხელშეკრულების პროექტზე სამუშაოდ დარჩა ერზრუმში.

მოგვიანებით რეზო ამაყად მეუბნებოდა, ხომ კარგად მოვახერხე თარჯიმნობა და საუბარიო.

– რა ვიცი, ყველა სიტყვის შემდეგ რექტორი „თამამ, თამამო“ ამბობდა, შენ კი „მოქ პრობლემო“ – იძახდი; არადა პრობლემებით დატვირთულები ჩამოვედით აქ-მეთქი. ლილე-მაც, თურქოლოგმა, იგივე თქვა-მეთქი.

– თქვენ რა უნდა გელაპარაკოთო, – გაბრაზდა რეზო.

– სამწუხაროდ, ფაკულტეტის დეკანი **ახმედ ჩარიქი** ადგილზე არ იყო და არც უახლოეს დღეებში ელოდნენ (საზაფხულო არდადეგების დრო იყო და სტამბულში იყო წასული). სამაგიეროდ ისტორიის განყოფილების გამგემ ენვერ კონიუქჯიმ (პროფესიით არქეოლოგმა) გამოთქვა ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი და დაგვიპირდა, რომ პირველ ეტაპზე საქართველოს შესახებ თურქეთის წიგნთსაცავებში დაცულ ოსმალურ დოკუმენტებს თანამედროვე თურქულზე გადმოიტანდნენ და მოგვაწოდებდნენ.

ეს, რა თქმა უნდა, ფასდაუდებელი დახმარება იქნებოდა.

გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი უნივერსიტეტის საიუბილეო დღეებამდე ჩამოვიდოდა ერზრუმის უნივერსიტეტის რამდენიმეკაციანი ჯგუფი ხელშეკრულების პროექტის საბოლოო რე-

დაქციის მოსამზადებლად, იუბილეზე კი უშუალოდ რექტორები მოაწერდნენ ხელს.

ბათუმისა და ერზრუმის უნივერსიტეტების მომავალ თანამშრომლობას კარგი პირი უჩანდა.

\* \* \*

ერზრუმიდან წამოსულებმა იმავე დღეს მოვინახულეთ **ოშკი (ოშქუ, როგორც ადგილობრივები უწოდებენ)**. იგი მოზრდილი დასახლებაა **კინალიჩამიდან 8–10** კილომეტრში. აქაც ქართველებს უცხოვრიათ ძველად, მათი ნაკვალევი ჩანს ტოპონიმიკასა და მეურნეობაში, თავად კი აყრილან აქედან, ან გათურქებულან. არც ერთი ქართულად მოლაპარაკე სოფელში არ შეგვხვედრია. ერთი ლაზი გავიცანით ოშკში, ოთხმოცსმიტანებული მოხუცი, რომელმაც „გვიმასპინძლასავით“ სოფელში, შემდეგ კი მეგზურობა გაგვიწია ხახულში. იგი კარგად ლაპარაკობდა ლაზურად, მაგრამ ქართულის არა გაეგებოდა რა.

ოშკელებმაც კარგად იციან, რომ აქ ძველად ქართველები სახლობდნენ, რომ ეს ქილისაც ქართულია, ქართველის აშენებული. დედოფალ თამარას შესახებაც მოგიყვებიან გადმოცემებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, თურქულად:

**ტაძრის მშენებლობისას ფული შემოაკლდათო მშენებლებს. თამარ დედოფალმა ნაწნავები მოიჭრა, გაყიდა და იმ ფულით დაასრულაო ეკლესიის მშენებლობა.**

ოშკის ტაძარი დღეს საცოდავ დღეშია, მოუფლელი და განანაგებული. ვიღაცას მანქანის სადგომად გამოუყენებია, უკანა მხრიდან კი ბოსელიც მიუშენებიათ. ერთი ბოძი გამოცლია და უცნობ ტურისტს, კედელი არ ჩამოიქცესო, კაკლის ხის კუნძი შეუყენებია; ვიღაცას ტაძარში ცეცხლი უნთია, ქვაზე ნაკვეთი ჩუქურთმები უტეხია, ჩრდილო ფასადისათვის პერანგი გაუხდიათ და იქვე აშენებული მუსლიმანური სამლოცველო შეუმოსავთ... ერთი სიტყვით, მნახველზე მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს ნახული.

ოშკი შველას ითხოვს, თუ გამოჩნდება ოდესმე მისი შემწე.

ოშკელი ლაზის თანხლებით წავედით **ხახულში**. კინალიჩამიდან ერზრუმისაკენ 30 კილომეტრს გაივლით, მარჯვნივ გადაუხვევთ და 10–15 კილომეტრსაც ხეობაში ივლით.

დიდებული სოფელია ხახული, მოზრდილი მდინარის ხეობაში გაშენებული, ხილითა და ყანა-ბახჩით მდიდარი.

**ხახულში** დღეს არაეინ იცის ქართული. ქართველთა ნაკვალევი შემორჩენილია ხახულის ტაძრის სახით. იგი კარგადაა შენახული. მასში მეჩეთი გაუხსნიათ, რასაც გადაურჩენია ეკლესია. შენარჩუნებულია გალავანიც. მუსულმანური ტრადიციიდან გამომდინარე, სადამდეც მივწვდნენ, ხახული შიგნიდან თეთრად გადაუღებავთ, ბუნებრივია, წაშლილია ფრესკები და წარწერები...

ჩვენ უკვე მოვიარეთ ოთხთა ეკლესია, პარხალი, იშხანი, ოშკი, ხახული... ამიერთაოს საკმაოდ დიდი ნაწილი. აღნიშნულ ხეობათა მკვიდრთ ქართული აღარ ახსოვთ, დაუვიწყიათ.

\* \* \*

5 სექტემბერს პარხლიწყელის ხეობას ავუყვებით მალდა, სადაც, ადგილობრივთა ცნობით, ქართულად მოლაპარაკე სოფლებია: **ჭილათი, ელიასხევი, ბალხი, ქვაბაგი**... ეს დასახლებები მდ. ელიასხევის ხეობაშია გაშენებული. სოფ. ელიასხევში როცა ავედით, დილის 10 საათი იქნებოდა. სოფლის დუქანში გავიცანით **ბექირ მოლაოღლი**, ქართველი, რომელიც ლაპარაკობდა ქართულად, ოღონდ კარგად თუ დაუგდებდით ყურს, მაშინ გაიგებდით მის ქართულს.

ჩვენს შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

- გამარჯობათ!
- **ხოშ გელდიმზ!**
- იქნებ ქართულად გველაპარაკა?
- **ქართული პარიკობა აბლი დარჩა, აბლი.**
- თქვენ რა გვარი ბრძანდებით?
- **გაურქ!**

– ძველი გვარი?  
 – **ხოჯა ედიმ მოლლა ედემიდამ!**  
 – სახელი?  
 – **ბექირ!...**  
 – პარხალი ვნახეთ, იქ გურჯი არ არის!  
 – **იმ თერეფში გურჯი არ არი. აქოს არი, ქუაბად არი, ბალხი არი... აღარ დარჩა, გათავდეს. აქა იშტა გენჯებ არ იციან. ჩემი პეტერად ბიჭი ზოლორი უხლართა, არ იცის. მიხტება ვითაო, ვერ უთქვია...**  
 – რას აკეთებთ აქ?  
 – **ძროხებ ვინახავთ, ბოსტნეულსა ვთესავთ, ზამთარს კიდო მივდივართ, ვსაქმობთ ემეში, ანკარას, სტამბულ, ბურსას, ალმანიას.**  
 – ძველათ რა მოყავდათ აქ?  
 – **ძველათა? ძველათ დიკა, ჭვავი, ქერი, ღებოლ... ხარით ითესებოდა...**  
 – ამ მდინარეში თევზი არის?  
 – **თევზებ არიან, ყოლამფრით ვიჭირავთ. ნაილონის წმინდა ძაფით. გურჯიჯა ანკისი? ჩუენც ანკის ვებნევით. ანკესზე კედ ვაბამთ, კედზე – ჯაყელი...**  
 აქ, ელიასხევეში, ყველა ქართულად ლაპარაკობს, ყველა ქართველი ვართო, – აგვისსნეს.  
**ბექირ ბეიმ** ჩაიხე მიგვიწვია. აქვე მოვიდნენ სხვა ელიასხეველი ქართველები, – ადემი და რეჯები. ბევრი ვისაუბრეთ, ჩავიწერეთ მექტველების ნიმუშები.  
 ჩანს, ელიასხევეში უჭირთ ქართული.  
 – **ქართული ლაპარაკი აბლი დარჩაო, – გვითხრა ბექირ ბეიმ. – დიდრუანი ლაპარაკობენ, წურილნი-წურილნი აღარ ლაპარაკობენ... ქობაკი სულ გურჯი ყოფილა.**  
 მოგვიანებით გუდასხევეში აიშე **მაზიჯმა**, ახლგაზრდა ქალბატონმა, გულნაკლულმა გვითხრა:  
 – **ჩუენი გურჯიჯა თქუენი არ დეაჭირვის, ვერ მივმხტარვარო.**

ადემ ჰაჯიასხემელოლიმაც გაუსვა ხაზი ამავეს:

– **ჩუენ გურჯები ვართ, ჰამა ჩუენი პარიკი თქუენ გურჯულ არ ეწყობა...**

– **ამ სოფელში სუყველა ქართველია, სხუა არ არი. ქართველი ვარ, ქართველი ვიყო. სისხლი არ იცლებო... – გვითხრა რეჯებმა.**

– **„დელე ვიცით. დელე პეტარაა, დიდი – ჭოროხი. ართვინში რომ მივა, იმის სახელი ჭოროხია, ჭოროხ ერევა. პარხალიც ჭოროხია. ნაკადი ვებნევით, სარწყავის ჩამოსაგდებათ რომ იქნება” – აგვისსნა ადემ ფოლადმა.**

ყველა დიდი მდინარე ჭოროხიაო, – კარგი დაკვირვებაა. შეადარე: ქელაში საჭამანდზე ზომაზე მეტი წყლის დასხმას **დაჭოროხებას** ეძახიან. „**ვინ დააჭოროხაო**”, – იტყვიან. ქართველის ცნობიერებაში რიონიც დიდი მდინარის ზოგადი სახელია. „**რიონი მოვარდაო,**” – იტყვიან ზემო აჭარაში წყალდიდობაზე.

შემდეგ შემოგვთავაზეს, მაღლა სოფლებში წაგყვებითო. ჩვენც მეტი რაღა გვინდოდა. ელიასხევიდან 20-25 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს **ქუაბაგი// ქვაბაგი// ქობაკი//ქუაბაი.**

– რატომ ქვია ეს სახელი ამ სოფელს- მეთქი, – ვიკითხე.  
 – **აქ სულ ქვა და ბუქიაო, – იყო პასუხი.**

ჩუენი ექსპედიცია, ელიასხეველი ბექირის, ადემისა და რეჯების თანხლებით, ავიდა **ზედა ბალხში**. აქ ქართული არავინ იცის. სოფლის ყოფილი მუხტარი, ამჯერად მაღაზიის მეპატრონე, ხვდებოდა ჩვენს საუბარს, მაგრამ ქართულად ვერ ლაპარაკობდა. ქართული არ იცოდა არც მისმა ძმამ, არც სხვებმა, ვინც იმ დროს სოფელში დაგვხვდა.

ვიფიქრეთ, შეიძლება ქალებმა მაინც იცოდნენო ქართული.

ლილე წავიდა ქალებთან სასაუბროდ. აღმოჩნდა, რომ ქალები მეტ-ნაკლებად ახერხებდნენ ქართულად ლაპარაკს... ბალხის ქვემოთ **ბალხიბარია, ქვემო ბალხი** (ვინ იცის, იქნებ ჩაღმა ბალხი, ან ჩაბალხეთი?!).

გზად წითლიკვარში შევიარეთ (თურქულად **დაღმორჩა** ქვია). სოფელში რამდენიმე ადგილობრივი გავიცანით. ჩვენს შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

– **ეს ქართლია** (კარტოფილი – მ.ფ.). **ჩვენ ნაჭამ პური დიკის პურია. ჩვენ ქერის პურ არ ვჭამთ.**

– **ამას წისქვილ ვეტყვით!**

– იმ ადგილებს რა ქვია?

– **ის ლიტრვია, ლიტრევ მეელე!**

– რამდენი შვილი გყავთ?

– **ჩოჯუდი... ურთანე, სამი შვილი მყავს. ორი გოგო, ერთი ბიჭი.**

– გოგო რამდენი წლისაა?

– **გოგო დოქუზ, ცხრისაა. ბიჭი ოცი და ორი წლისაა. პატრად ათ და ხუთი წლისაა.**

– **შვილებმა არ იციან ქართული?**

– **არ იციან!**

შემდეგ ვისაუბრეთ სხვადასხვა თემაზე. ბეჭირმა მრავლობითის ფორმა საინტერესოდ აწარმოა, ბოლოს დააზუსტა:

– ერთანე **მივლოდა**, ორნი შეიქნეს **მივლოდეს**. სამნი, ოთხნი, შვიდნი, რვანი **მიდიოდეს**. ერთი **მიდიოდა**, **ბევრი მიდიოდეს!**...

**წითლეკვარიდან ქვაბაგში** ავედით. ჩვენდა სასიხარულოდ, სოფელში ბევრნი დაგვხვდნენ; მოხუცებმა და ქალებმა ქართული იციან, ახალგაზრდებმა – არა. შორიდან გვათვალთვლებდნენ ქართული სოფლის დაიღვებ და მათ შესახებაც გვიყვებიან თქმულებებს. ძველად გზები მთებზე გადადიოდა, აქედან დავდიოდითო **მურღულში, ართვინში, ზღვისპირეთში**. სოფლებიც მთის კალთებზე იყო გაშენებული. ამ **20-25** წლის წინ აქ გზა შემოვიდა და მოსახლეობამაც ხეობაში დაბლა ჩაინაცვლა, გზასთან ახლოს, ძველი სოფლები კი საზაფხულო სადგომებად იქცაო.

**შემსუთ ბეი** მაჩვენებს ქვაბაგს გადმით ნასოფლარს, სადაც ახლა დაილაა. მოსახლეობის ნაწილი, ეკონომიკური სივიწროვის გამო, აიყარა და ქალაქში გადასახლდა, ძირითა-

დად ბურსაში, სხვები კიდევ იძულებულნი არიან ყოველწლიურად საშოვარზე იარონო მთელს თურქეთში. ამიტომაცააო, რომ აქ ქვაბაგში, კაცს ზამთრამდე იშვიათად ნახავთო.

შემსუთ ბეისთან ერთად სოფლის ორლობეში გავისეირნეთ. მასპინძელი მიხსნიდა:

– **ქართულებ აქ ბევრნი იყვნენ და დააბლდეს. ბურსას წვედეს, მუშაობენ. ჩვენ თხოულობა თურქებთან დოქ...**

– გაღმა სოფელს რა ჰქვია?

– **იქა? დაილადა. აგრები ვეტყვით მას. სადამოს ზროხები ჩამოვლენ მთიდან, ქალები ზროხებ მოსწველენ, დილაზე მოსწველენ კი ჩობანს შამუუქცევენ, ჩობანი წაასხამს, ააძოვებს...**

– ამ ნაკელს გარეთ რატომ აშრობენ?

– **აარ ვიცი, დამსუბუქდება.**

– შეშად ხომ არ ხმარობენ?

– **შეშათ ქარქაშ შეშას ვხმაროფთ, ამ ძელს ვხმაროფთ, სხვას არა!**

– ხის შეშას ხომ?

– **ჰო. ძველისგან ბევრი ტყე იყო აქეთ. რუსეთი მოდიოდეს, იმათ დაწვეს. აქეთ გეაბრს გზად, ართვინ გადავა, ეს გზა მურღულ მიდის, ეს – ფინდიქს! (ხელით მაჩვენებს მთებზე გადასავალ ბილიკებს).**

– იმ დელეს რა ჰქვია?

– **ბუ დელე? ეს წყალი წამუა. იქ გოლებია. ეს მასისია, ეს მოგლესილი, იქ გოლია მთის ძირზე, იქითკე მივა, გურჯი გოლ ეტყვიან, იქითკე სავიღვილეს ეტყვიან, იქითკე თხელპა ეტყვიან...**

– ცოლი სადაური გყავთ?

– **ცოლიც აქაურია, ქართველი. ჩვენ თექ გარედან არ დავქორწილდებით. ჩვენ ჩვენებურად ვილაპარაკებთ. გარეთული კაცი ჩვენ ჭად არ მოგვიხმარდება. ჩვენებურად არ იქნება.**

მოხუცი ქვაბაგელი გამაცნეს, **96** წლისააო, – ამისხნეს, – ბევრი ძველი ამბავი იცისო. ბევრი რამაც გადახდენია საუკუნეს მიტანებულს და სათქმელიც ბევრი აქვსო.

მზეს ეფიცებოდა მოხუცი.

გახარებულმა მოვიმარჯვე დიქტოფონი ჩასაწერად. მოგვიყვი-მეთქი რაიმე თქვენს შესახებ, – ვთხოვე.

– **რა უნდა ამას?** – ხმამაღლა იკითხა.

– **ბათუმიდან სტუმარია და ძველი ამბები აინტერესებსო,** – აუხსნეს.

– **ძველი ამბები?! – დაფიქრდა.**

– **ერთი მითხარი გორბაშოვმა კარნარი რომ გახსნა, კაი იქნა თუ არაო,** – აქეთ დამისვა კითხვა.

– რა თქმა უნდა კარგი იქნა, სხვანაირად მე ვერ ვიქნებოდი თქვენთან-მეთქი, – ვუპასუხე...

მოსუცს რული მოერია. საუბრის გაგრძელება აღარ მოხერხდა.

ამასობაში **შემსუთ ბეის** მეუღლემ სუფრა გაშალა და სახელდახელო სადილი მოგვართვა: **სირსვალი ღობიო, ყველი, მაწონი** და, რა თქმა უნდა ჩაი...

კიდევ ერთ ქვაბაგელთან მიმიყვანა **შემსუთმა**, ჩვენმა მასპინძელმა. კარგი მექართულეაო, გამაცნო.

ამბის მოყოლა დაიწყო მოხუცმა, თავდაპირველად ქართულად ლაპარაკობდა, შემდეგ, ისე რომ თავადაც არ შეუმჩნევია, თურქულზე გადავიდა.

– ქართულად ისაუბრეო, – შეახსენეს.

აშკარად გაუკვირდა, რას მეუბნებიანო...

\* \* \*

მომდევნო დღეებიც ექსპედიციამ ელიასხევის ხეობაში იმუშავა, ტაოს ერთადერთ ქართულად მოლაპარაკე ხეობაში. ჩვენი ექსპედიციისათვის გამორჩეული დღე იყო ელიასხევის დაილებში მგზავრობა. 8 სექტემბერი იყო. იმ დღეს ელიასხეველი **რეჯები** გაგვყვა გიდად. იგი 26 წლისაა. კარგად ლაპარაკობს ქართულად. იცის აქაური გადმოცემები და თქმულებები. თავდაპირველად გაგვიკვირდა, საიდან იცისო ამ ყმაწვილკაცმა ამდენი ამბავი. შემდეგ სოფელში გავიგეთ, რომ დედამისი, **ფემბე ებე**, ძველი ამბებისა და ჰეკიების კარგი მცოდ-

ნეაო. რეჯებს ბევრი ვეხვეწეთ, მაგრამ ოჯახში არ მიგვიყვანა. ბაბუა კვდება და დედა სახლში არააო, – მოიმიზეზა.

ფეხით წავედით დაილებში, მანქანა ხეობაში დაგვტოვეთ. გზად რეჯები გვაცნობდა ადგილის სახელებს: ეს **საფლაფყანაა**, ის **კუპრეთია**, შორს კი **ბოწმინდა** მოჩანს...

– საინტერესო სახელური ფუძეებია **საფლაფყანა** და **ბოწმინდა**-მეთქი, – ვეუბნები ელგუჯას.

– **ელიასხევი, ბალხი, ბალხიბარი, ბოწმინდა...**მთელი მითოლოგიაო, – აღფრთოვანებას ვერ ფარავს იგი.

საცადფეხო ბილიკებით გავედით **ბოწმინდაზე**.

რეჯებმა ერთი უცნაური ამბავი მოგვიყვა:

**აჰა, ეს კელი** (//ქელი-მ.ფ.) **ბოწმინდა**, გაღმე **კუპრეთი**. ესეც ჩემი ნათქვამი. ყოველ ქარჩაზე გამუაღთ აქა, ერთი ათი ცვალი იქნება თუ ფშვიდი, თუ ვრა ცვალი ცხუარი, რაცხა იმრეთი იქნება, ის ხალხი მისხამ წაართუამს, ფულ არ გამუღებს. ის ხალხი მოიკრიფებიან, გამუაღთ აქა, დაგჰკლავთ, დაგჰჭკრით. ვადუღებთ, იმა შეგჰჭამთ. აქო დაგებენ ქილიმებსა, ილოცვენ. ღმერთ ეხლწებიან კი, აქო ნაწოლი გულისთუნ ჩონი ხლწნები გეგონეო და ასე, ასე.

აქო ნაწოლზე რუს გუმულია//გმულია და ერთი სამი თანე თურქეთისი ასკერები მუკდუნებია, იქა კუპრეთში. იმ კაცებ ის თავებ უხუჭიან კი, მოსულან აქონ დაკარქულან. იმ ჯარის თავრობაა უთქვია კი, მე ასე სიცოცხლე რაღა ვქნა კი, ასე კაცები მუკდუნე, იმასაც თავი მუკდუნებია. აქო ჩაწყობილან და დაკარქულან. იმის მერე ესლანდელი ხალხი, ერთი ორმოცდაათი წლის მალე აქ ნავალში აქ რო მუახლოვდებიან, ყურანი ქერიმის კითხვა იგონებს. მის მერე იტყვიან ქი, ეს ადგილი კაა ადგილი, უცადი ადგილია. ხალხსაც უთქვია კი, ჩვენც გეგნეთ იქა, ღმერთისთუნ დაგჰკლავთ რამენი ცხვრები, ღმერთ ვეხლწოთ ჩვენ ხალხს გაუმარჯოს, ფინთი არ მუვდე-სო, წყალი მოვდეს, არ იყოს სეპტყვა, ღვარი...

ამ მონათხრობში წმინდა ელიას კულტის ელემენტები ჩანს. უკვე გასაგები იყო, რატომ ერქვა ამ ადგილს **ბოწმინდა**, ხეობას – **ელიასხევი**, სოფელს კი – **ელიაწმინდა**.

იმ დღეს მთებში ფეხით 20 კილომეტრზე მეტი გავიარეთ. ვაჟაკურად იარეს მერიმ და ლილემ (რეზო არ გაგვეოღია იმ დღეს. წნევა ჰქონდა მაღალი, როგორც წესი). დასამახსოვრებელი იყო შეხვედრა გუდასხევის დაილაში. ახალგაზრდა მემთევრე ქალბატონს, აიშე დაზიჯს, შევხვდით. ზოგიერთი რამ ჩაგვაწერინა, მათ შორის, ძროხების სახელები: შეველაა//შეველაა, მიჭვრიტი, ფახლაა...

– რძიდან რას აკეთებთ? – ჰკითხა მერიმ.

– ძიდან ვიჯებით ყველი, სადველ ვიჯებით, ერბო ვიჯებით. ნაწველ ვასხამთ მაქინაში, ვაბრუნებთ – კამაღი, კამაღიღამ – ერბო. დოფაფა იცი? ადრანში ფქვილ ჩაჰყრი, მუურეგ, აღუღებ, თამამ, – მიუგო აიშემ.

დაილაზე ოჭივარა გაემართათ, ისეთივე, ჩვენთან, მთაში რომ იციან.

– ეს ორჭვანია, სხენან და ბრუნვენო – აგვიხსნა აიშემ.

ელგუჯამ და რეჯებმა ბავშვობა გაიხსენეს, კარგა ხანს უსინჯავდნენ ერთმანეთს მკლავის ძალას...

შემდეგ ქალბატონებმა სახელდახელო სადილი მოგვართვეს: ჩაი, მოხარშული კარტოფილი, ლობიო... უცხო ჩვენთვის ყველი იყო, უფრო სწორედ ყველის ის სახეობა, აქ რომ ამზადებენ. ყველს მწვანე ობი ჰქონდა მოდებული. ეს ბუნებრივი ასპირინიაო, – აგვიხსნა რეჯებმა...

რეჯების რჩევით, გავსინჯე ყველი. პირველად გამიჭირდა შეუჩვეველს, მაგრამ შემდეგ შევძელი. ყველი საერთოდ დიდი აღმოჩენაა, არც ტაოური ყველის ეს სახეობა იყო ურიგო.

დავემშვიდობეთ აიშე დაზიჯის, დაილის დიასახლისს და ელიასხევისაკენ წამოვედით...

გუდასხვიდან ტყე-ტყე, ძნელად სავალი ბილიკებით ცუცკეარში ჩამოვედით. სამიოდე კომლი ცხოვრობს აქ. ქალები იყვნენ მარტო სოფელში. თბილად მიგვიღეს, შინდით გაგვიმასპინძლდნენ. საუბარშიც აგვეყვნენ:

- ეს დარჭები ვისია? – ვეკითხები მოხუც ქალბატონს.
- დარჭია და? – მპასუხობს.
- შეილიშვილია?

- დოქ, იმისია!
- ეს შინდია?
- გიჭამია ხომ? გერმალია, გერმალი!
- რას აკეთებთ შინდიდან?
- ემე ვიჯებით, კონსერვ ვიჯებით, შუშებში ვდებთა, შექერ ვაყრით...ეზმა ვიჯებით. კილოვ შექერ ვაყრით, ფესტილ ვიჯებით...
- ფესტილს როგორ აკეთებთ?
- ფესტილ? ამა მოეწუწავთ, ფქვილს ვაყრით, ვადუღებთ, ბეზზე ვახმოვბთ.
- თქვენ აქ საიდან ხართ გამოთხოვილი?
- სოფელი ამ ქვეიდან ვართა ამ სოიში გამოთხოილი.
- რა გვარის ქალი ბრძანდებით?
- სოიადი? აივა!...ჩორაფნი იყო ძველი. მე ჩორაფნი დამ ვარ მე.
- ძველ ამბავს არ გვეტყვი?
- რა ვიცი ძველი? ჩემი ემე, მამამთილი აქ არ არი, ბურსას არი, იმან იცის...
- ბურსაშიც ვნახავ შენს მამამთილს!
- იცნობა და? მისი სახელი ოსმაანი! ისე დაზიჯი კაცი. ძველი ემენი ბევრი იცის, ჰამა აქა არ არი. ძველი ზათინდელ კაცებ იციან, ახლებ არ იციან.
- ეს რძალია შენი?
- ესენი ჩვენ განაყარი ვართ. ძველიდამ განაყარი არიან, ძველი დამ!
- თქვენც ამ სოფლიდან ხართ?
- ესეც ამ სოფს იყო, ამ სოფში გათხოვდა.
- გუდასხვიდან ფეხით ჩამოვედით, დიღია გზა.
- დიღია აბა! ჩვენ ზემოთ, ზემოთ დაილაში ფეხით მივდოდით. ახლა აღარ ვიარებთ.
- რა გქვიათ? – შევეკითხე მეორე ქალბატონს.
- სახელუა? ჩემი სახელი ფატმაა!
- ფატიმე?
- ჰო, ფატიმეა, ფატიმე, ფატმა და?



- მიწას რწყავთ, არა?
- **ჰო, ვრწყავთ!**
- რა მოგყავთ?
- **აყი'რო, კიტრი, სოღა'ნი, თომათე'სი, ლები'ო...**
- **ეს შენია, თუ ის?** – მკითხა ჩვენს ქალბატონებზე.
- ეს ჩემი მასწავლებელია, ეს კიდევ ამხანაგი!
- **ამხანაგი ვერ მიუხტი რაცხა...**
- ღოსტი!
- **ასე თქვი, „ამხანაგი“ თქვენი რა ვი'ცი.**
- ჭალას რითი თიბავთ? – ვეკითხები მე.
- **თირფნით! ზოგი თირფნით, ზოგი მანგლით. ბებრები**

**მა'ნგლით, კაცები – თირფნით.**

- ბაღებმა გურჯიჯა იციან?
- **იციან და გურჯი'ჯა, ბა! ჰამა იმეში ძარები'ან და...მექ-თეფში...**

- ჭალებს რამე სახელები არა აქვთ?
- **ჭალა და?! აქვან, აქვან! საჩახი, ყორიეთყანა, მილონჯა, სალიანყანა, წითლიანჭალა...ბეური...**

მათ საუბარში ერთი რამ ხვდებოდა კაცის ყურს – მახვილი, ტონური მახვილი სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალზე (ტექსტში ' აღვნიშნავთ ტონურ მახვილს). აღვნიშნავთ, რომ ეს ქალბატონები ამ სოფლის მკვიდრნი არიან. სხვათა შორის, ერთი მათგანის მეუღლეს – ალის ვესაუბრეთ ელიასხევიში, მაგრამ მის მეტყველებაში ტონური მახვილი ისე გამოკვეთილად არ იგრძნობოდა.

ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ აქაურთა მეტყველებისათვის დამახასიათებელია კითხვითი ა ნაწილაკიც, რომელზეც ეცემა კითხვითი ინტონაცია...

**ცუცეკარიდან** წამოსულები **ცუცაგარაში** ჩამოვყვით. იქ ვიღაცა ყანას რწყავდა.

- **მუსო, როგორ ხარა?** – შეეკითხა რეჯები.
- **კაა ვარ, კაა!**
- **კაა იყავ, კაა და!**
- **რას შერები მაგასა? წყავხარ?**

- კი...

\* \* \*

უკვე ბნელდებოდა, სოფელში რომ ჩამოვადწიეთ. საღამოს ღოცვა დამთავრებულიყო და მღოცველები **ჯამიკარზე** საუბრობდნენ. უცხოები რომ დაგვინახეს, მიგვიპატიუეს. ჩამოვსხედით ძელსკამზე. სიტყვა იმ მსხვერპლ შეწირვაზე ჩამოვუგდეთ, გაზაფხულზე რომ იციან ბოწმინდაზე. იმათაც იგივე გვითხრეს, რაც რეჯებმა. თან აშკარად წყენა შეეცყოთ, იქ წმინდა ადგილია და რატომ მიდითო. როცა გაიგეს, რომ ბათუმიდან ვიყავით, თავისიანად მიგვიჩინეს და საუბრის ტონიც შეიცვალეს. ბევრი ვისაუბრეთ იმ საღამოს ამ მთისა და იმ მთისა. განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენა გადმოცემები სომხებისა და მათი გენოციდის შესახებ.

ძველათ ერმენები აქ ყოფილან. ერთი ფაფაზი ყოლიათ. ერთხელ თის წვერზე ცოტა გათოვლებულა. ერთი კვირა დამჩალა, იმდენი გათოვლებულა. იმ კაცებ გუუგზანია, ერთი შეხედეთ, ის რა არიო, ფორი. არ დგებაო. ცოტა გასულან, ბიჭებ უნახიან კი თოვლი, ცივი. ხელში უწევნიან, ხელებ უტკივნებიან, გამქრალა, გამდნარა. ჰოდა უთქვიან იმ ფაფაზის-თუნ ასე: გაველით, ხელში ვწევთ, ხელს გვატკივნებს, მოგვაქვს, იკარქვის. იმას უთქვია კი: აქ აღარ იცხოვრებაო, ადექით, წვედეთო. ასე ილაპარაკებენ, წოლორი, მართალი, არ ვიცი.

ასეთი ამბავიც გაიხსენეს ძველებისაგან განაგონი:

**ინგლისურებ დაომებულა თურქეთი.** აქ ერმენებ უცხოვრიან. ყველა ერმენები ყოფილან. ისინი ოქი ინგლისურებ ეომებოდა, თურქულებ არ გარეველან. ჩვენ სომხები ვართ და რათ გვენაღლება, არ გარეველან. ერთიც არ უქნიან. აქოვრობაში სუყველა ერმენები ყოფილან. ოქი თურქეთი საომებლად წასულან. იმათ აქ ქალები უხეთქიან, რაცხაფერა უჭრიან, უკდუნებიან ქალები, დარჭები. ოქი ომება გათავებულა თურქეთში. ათათურქი იცით? მას უთქვია კი: სუყველა ერმენები გადაჰყაროთ თურქეთში. ეს არის თარიღში. მაშინ რა უქნიან? უყრიან გარესკე. ოქი უთქვიან კი, მოდიან თურქელები, ჩვენდა დაჰკვლან სუყველა, მაშინ ამდგარან, გაქცეველან. მაშინ ბეური ფულები ქონებიან, ალთუნი ფულები. ისინი მიწაში ჩუ-

უღვიან, გამქცარან. აქ ბევრნი მოვლნეს თურისტები. ღამით თხრიან, იღებდეს, ბევრი ამეფდეს.

მოგვითხრეს ერთი ტრაგიკული ამბავი ქართველ გოგოზე შეყვარებული სომეხი ბიჭისა:

„ქ ერთი სომხი ბიჭი ყოფილა, საქორწინებელ წელში, ოც-დაერთი წლის თუ რა ყოფილა. ის აქვერ გოგოზე თვალი ქონებია ქი. გურჯი გოგო, სომხი ბიჭი, გეფე? სომხი ბიჭი ო გოგო უთხოვნია კი: გოგო მომეცით და ჩემთვის ქალი ვქნაო. ქართველებთა უთქვიან მისთვის, იმა არ მოქცემთ შენაო.

აქ ერთი კილდე ყოფილა, ფინთი კილდე გასაჭრელი, წყალი მოედეს, სარწყავი წყალი. უთქვიან იმისთვის: იმ კილდე თუ გამოჭრავ, მოქცემთ, თუ არ გამოჭრავ, არ მოქცემთო. იმანაც იმ რიყეში შიშა მოზიდა, მუუზიდა, დუუჯონია კილდეზე, უნთია ო შიშა, ქვა გუუცხელებია, იმის მერე წყალი დუუხსმია, ო ქვა ისე გუუფრეწია იქა, ისე გუუჭრია, წყალი მუუყვანია. მის მერე კილო არ მუუცემიან ო გოგო მისთუნ და უთქვიან, დავკარქოთო ეს. აქ ერთი მაღალ კილდე არი, იქ ჩუუყვანიან, იქიღამ გუდუგდიან ო სომხი ბიჭი. დაბლა ჩავარდნამდი უძახია კი: ღმერთმა იმ წყლით მოსარწყავი ჭალა-ყანა ქვიანი ქნასა და არ ამოედესა. ჰოდა ის დაილა ისე ქვიანია, მეტი კად ჭალა-ყანა არაა... იმ დაილას კუპრეთი ქვია.

გვიან ღამით დავბრუნდით იუსუფელში.

აღსანიშნავია, რომ ფოლკლორი ამ მხარეში ცუდადაა შენახული. აშკარად ჭარბობს თურქული ელემენტი. რამდენიმე ლექსი ჩავიწერეთ, არცთუ გამორჩეული მხატვრული თვალსაზრისით:

ჰაიდუ, წევდეთ რუს უკან,  
რა შეგხვდება ჩემს უკან.  
ღელე-ღელე შევვარე,  
ღელე ტალახიანი იყო,  
ერთი გოგო დვენახე  
ზოვლა კად იყო.

\* \* \*

მაღლა მაღლა რა მივა?

ორბია თუ ყართალი?  
ერთი რამე გეგონე,  
ტყვილია თუ მართალი?!

ჩავიწერეთ ერთი შელოცვაც (მერიმ ჩაიწერა აიშე აბდუ-ლიანისაგან ელიასხევიში):

ჭიაო, ჭიაო, ჭიადედაო,  
რა ეძგერები ვერძსათვენ?  
რა ბღუიხარ ხარსათვენ?  
რა ბრუნავხარ ნართსათვენ?  
უმოსავლეელი ხარ, ამეარე.

ექსპედიციის ბოლო დღეებიც ელიასხევისა და პარხლის ხეობაში გავატარეთ. ვიმუშავეთ იქაურ ქართულ სოფლებში, დავათვალიერეთ ქართული კულტურის ძეგლები.

საინტერესო იყო ჩვენი ასვლა პარხლის ეკლესიის გაღმა მდებარე სამლოცველოზე.

13 სექტემბერს, დილით ადრე, ავედით პარხალში. აქედან მე, ლილე თანდილავა და ელგუჯა მაკარაძე (ექსპედიციის დანარჩენი წევრები ხეობაში დარჩნენ) ბილიკით ავუყვებით მთის ციცაბოებს. ძნელი სავალი იყო. გვიჭირდა სიარული. დამძიმდა ჩვენი ტვირთიც... როგორც იქნა, ავედით. იქ ნანგრევებია შემორჩენილი. სამლოცველო ან რაღაც ამგვარი თუ იყო ძველად აქ. რაიმე დიდი ნაგებობის ნაკვალევი არ ჩანს. ისე დიდი მინდორია, სადაც დიდი ტაძარიც გაიმართებოდა თავისუფლად. ცოტა ქვემოთ, ბილიკის ქვეშ, რაღაც ნაშენი კედელი მოჩანს. დავინტერესდი და ხის ფესვებს ჩავყევი. ადგილზე მისულს ასეთი რამ დამხვდა: კლდის თავზე დაუმუშავებელი ქვით ნაშენი კედელია. მდინარის მხარეს სარკმელია. კედელში პატარა ქვევრია ჩატანებული (წყალს თუ აგროვებდნენ მასში). ნაგებობის ადგილმდებარეობა გვაფიქრებინებს, რომ აქ სათვალთვალო პუნქტი ან კოშკი უნდა ყოფილიყო. აქედან კარგად ჩანს პარხლის ხეობა...

დაღლილები დავბრუნდით ხეობაში...

ეს დღეც და ჩვენი ექსპედიცია მუშაობას დაასრულებს ტაოში. ხვალ უკვე ბათუმში ვიქნებით, თუ მანქანამ არ გვიმ-

ტყუნა და სადმე არ გაგვიჩერდა. რისი ალბათობაც ძალიან დიდია. მთელი ექსპედიციის განმავლობაში ხომ ყველა ფეხის ნაბიჯზე გვიდუღებდა წყალს. ღამისაა, თითოეული ჩვენგანი მექანიკოსი გავხდით. გამოცდილი მძღოლივით ძრავის ხმაზე ვხვდებოდით მანქანის გასაჭირს. ბევრი გაჭირვება გადაიტანა და ჩვენც გადაგვატანინა ჩვენმა „ტოიოტამ“ ტაოს სოფლებსა და მთებში. ისეთ ადგილებში გვატარა, კიდევ კარგად გაუძლო...

ვემშვიდობებით ტაოს იმ იმედით, რომ ისევ დავბრუნდებით აქ სამუშაოდ. დავბრუნდებით და ჩამოვუტანთ ტაოელებს ერთად გადაღებულ სურათებს, ვიდეოკასეტას, სხვა სახსოვარსაც.

ვემშვიდობებით სასტუმრო „აიდინს“ და მის მეპატრონეს – **სირალი აიდინს**.

ვემშვიდობებით იუსუფელის სტუმართმოყვარე მოსახლეობას, ვემშვიდობებით **დურსუნ ბეის** – ჩვენს მეგზურს ტაოში...

\* \* \*

ჩვენმა ექსპედიციამ ტაოში გარკვეული სამუშაო ჩაატარა. ახლა უკვე დაბეჯითებით შეგვიძლია ვისაუბროთ ტაოური დიალექტის მოღწეულობაზე, ასევე – ტაოში შენახულ ფოლკლორზე, ტაოელთა ყოფაზე. მოპოვებული მასალები გამოყენებული იქნება მომავალ კვლევა-ძიებაში. დღეისათვის კი ვიტყვით შემდეგს:

ჩაწერილი მასალა საშუალებას გვაძლევს, ვთქვათ, რომ ტაოური გვერდში უდგას სხვა სამხრულ კილოებს – აჭარულს, შავშურს, კლარჯულს. ტაოურისათვის დამახასიათებელ რამდენიმე თავისებურებას აღვნიშნავთ, კერძოდ:

ა. მისთვის დამახასიათებელია ტონური მახვილი, რომელიც მიღებულია, მაგრამ მაინც ყველა სამხრულ კილოში შეინიშნება. ტაოურში იგი სისტემურად იხმარება და მოუდის სიტყვას ბოლოდან მეორე მარცვალზე. სამხრული კილოები ამ თვალსაზრისით გვერდში უდგანან ქართული ენის სხვა

დიალექტებს და იმეორებენ სხვა ქართველურ ენებში დაცულ ვითარებას. ჩანს, ტონური მახვილი ქართველურ ენათა სტრუქტურის უძველესი ნიშანია.

ბ. ყურადღება მიიქცია ტაოში შენახულმა თვლის არქაულმა სისტემამ: **ათ და ორი, ათ და ხუთი, ათ და ვრა... ოროცი, ხუთოცი, შვიდოცი... ხუთმოცდაათი, ექვსოციდახუთი...**

ბუნებრივია, ტაოელთა მეტყველებაში ბევრია თურქიზმები. თავად აგვისსნეს: **„ქართული ძველებმაც აღარ იციან, ერთ სიტყვაზე ხდებიან, გამოცლილია სიტყვები, ჩვენში თურქი გარეგლია“.**

გ. საინტერესოა, რომ ტაოს ტოპონიმის დიდი ნაწილი ქართულია (ყოველ შემთხვევაში, ჯერ კიდევ ახსოვთ ტაოელებს ქართული სახელწოდებანი): **კუპრიეთი//კუპრეთი, ქორეთი, მახათეთი, საჯვარეთი, ნაცრაქელი, დიდვაკე, ტყვენარა, ცუცუკარი, ხუცუკარი, ჭედლიანკარი, ვაჩეკარი, ელიაწმინდა, ბოწმინდა, საფლაფყანა, ბალხი, არტანისი, ბანნალი//ბარნალი (ბალნალი), გუდასხევი, დევსაკარი, დეთისა, დოლეკარი, ვანისხევი, აგარები//აგრები, კევრალეთი, კრაფეკარი, ონორეთკარი, პარხალი, პატრახევექი, საჯვარეთო, ქონუბანი, ქორეთი, ცუცაგარა, ჭილათი, ხევეკი...**

დ. ტაოურს დაუცავს კითხვითი ა ნაწილაკი, რომელსაც ეცემა კითხვითი ინტონაცია.

ტაოში ძალზე ცუდადაა შენახული ფოლკლორი. იშვიათობაა ქართული ლექსი, სიმღერა, ზღაპარი... ჩვენს კითხვაზე: ძველათ აქ სიმღერები თუ იცოდნენო, გვიპასუხეს:

– **სიმღერა იყო, იყო. ძველათ აქ სიმღერე სიტყვებ კაცები (მომღერალი კაცები-მ.ფ.) ყოფილან. უმღერიან. ახლა ვერაა.**

ჟამთა სვლაში დაუვიწყრიათ ქართველებს მამა-პაპური გადმოცემები. ზღაპრები „**ჰექსიაჯმა ბერებმა**“ იცოდნენო, – გვითხრეს ცუცუკარში.

ქართული ელემენტი კარგადაა შენახული ყოფაში. მეურნეობის ტიპიც ბევრ მსგავსებას ამჟღავნებს საერთოქართულთან.

**P.S.** ექსპედიციიდან დაბრუნებულებმა მუშაობის ანგარიში წარუდგინეთ უნუვერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს. საბჭომდე წერილობით ანგარიშს გაცნობოდა ბატონი აზიზი, უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი და ზედ ასეთი რამ წაეწერა: „**რა არის ეს, სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელის ანგარიშია თუ მოხეტიალე ჟურნალისტის ჩანაწერები?**“

„**მოხეტიალე ჟურნალისტის ჩანაწერები**“- მეთქი, გავიფიქრე ჩემთვის.

28 სექტემბერი 1995 წლისა.

\* \* \*

მივიღვართ ხეობაში. ყურბანა, ჩვენი გიდი, არ ჩერდება, საუბრობს, გვიხსნის... უპირველესად ადგილის სახელებს გვაცნობს: **მოგლესილი** (მთაა), **ლომბიტბა**, **სამი გოლი**, **გოდ-დეკარი**, **ხევაისი**, **ელიასხევი**, **ქონობანი**, **ბასლეკარი**, **დოლენჯნიკარი**, **კრაეკარი**, **ჭვილანკარი**, **დოლეკარი**, **ვაჩეკარი**, **სამფიანკარი**, **ფიშნახევი**, **ქედაზორი**, **დევესეკარა**, **იეთი**, **ობლეკარი**, **ველითა**, **ჭოროხლაქეთი**, **სადგიყანა**, **კუპრეთი**||**კუპრეთი**, **ბოწმინდა**, **ფიშნარა ხევი**, **ხევაძს დედე**...

**ბალხი**, **ბალხიბარი**, **საფრეთი**, **ქარამანლები**, **ხუცეკარი**, **ფერუზიანკარი**, **ბალხი დაილა**, **წითლეკარი**, **ლიტრეილიტრევი**, **გონდი**, **ჭილათი**, **ქობა**, **მახათეთი**, **ოხშიანი**, **გურგვალი**, **ხევენარი**...

**მასისი** (მთა), **სანაცრია**, **ლოდნარი**, **ჭიშკარი**, **ქორსანაცრე**, **შორადი**, **ალთიპარმალი**, **ნატბეილნატბევი**, **ცერეკარი**...

როგორც ვხედავთ, გეოგრაფიული სახელები ქართულია. ახსოვთ ტაოელებს ადგილის ძველი სახელები. საინტერესოა ტოპონიმთა სტრუქტურაცა და ეტიმოლოგიაც.

– მაღლა ტბებში თევზი თუ არის-მეთქი, – ვიკითხე.

– იქ თევზი არ იქნება, მოძრება. მატლიანი თოვლი არ იქა, – გვითხრა მემედ გენჯთურქმა (თოვლი ხევებში დიდხანს ჩერდება, ზაფხულამდე არ დნება ზოგჯერ. ამბობენ, თოვლს მატლი უჩნდებაო ასეთ დროს).

მდინარეებში კი კარგი კალმახი იცის. უყვართ აქაურებს თევზიცა და თევზაობაც, მაგრამ აუკრძალავს ხელისუფლებას თევზის დაჭერა, ჯარიმა და ციხეცააო, თუ შეგიტყვეს, – გვითხრა ყურბანამ.

– ფერუზიანკარი რატომ ქვია-მეთქი, – ვიკითხე.

– ფერუზად დეკაცი ყოფილა, მისი სახელი ქვია, – გვითხრა ნეზირ ბათმაზმა (დოლონჯოლიმ).

საინტერესოდ მეჩვენა ზოგიერთი ზმნის ფორმა: **კაცებ მივჭყრით**; **საქმე’და გავაჰსწორო**; **ქილიმ ვჰსწავთა**...

– რომელი ხილი ხარობს-მეთქი აქ? – ვიკითხე ყურბანას.

– კაკალა, ბირყიმი (სხალია, – განმარტა მთხრობელმა), ტყიმალი... იხარებს არდუჯი||არდუნი, ძეწკნი, შავი ველაჲ, წითელი ველაჲ, – მომიგო გამყოლმა.

ამასობაში ზედა სოფელში ავედით; მუითინ ყარაყუმს ვეწვიეთ.

სამი ოცი და რვაჲა, – გვიხსნის ყურბანა.

ყურბანა, ჩვენი გიდი, შინაური კაცია ამ სოფელში. ყველას იცნობს.

ეს ჩემი ბიბიადს სახლიაო, გვაჩვენებს ერთ ფიცრულს და ვილაცას ეძახის. ჩვენ ბატონ მუითინთან ვსაუბრობთ.

– ბევრი ცხოვრობთ ქართულის მცოდნე ამ ხეობაში? – ვეკითხები მასპინძელს.

– **ბევრი არიან აქა... ე ქალები დაბრნეს, აღარ ესმიან**... – თითქოს მოგვიბოლიშა მოხუცმა, დაძახებაზე არავინ რომ გამოსედა.

მაღხაზი ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციის მიერ გადაღებულ ხევეკის სურათს აჩვენებს მუითინ დედეს (ასე ეძახის ყურბანა, ჩვენც ასე ვახსენოთ) და ვიკითხება:

– ხომ ვერ გვეტყვი, რომელი სოფლის სურათია?

ყურბანაც მოვიდა. ბევრი ვარაუდი გამოითქვა, მაგრამ ვერ ამოიცნეს სურათი.

მე კიდევ ქვაბაგის გაღმა სოფელს ვამსგავსებ სურათზე გამოსახულს...

– ფარული ქრისტიანების შესახებ ჰკითხო, – მახსენებს მალხაზი.

მეც ვეკითხები:

– ბატონო მუითინ, აქ ძველათ უწუმარად ქრისტიანულად ხომ არ ილოცებდენ? ხომ არ გიგიგონია დედებისგან ამფერი ამბავი? არმენხევშიც ულოცნიან ხრისტიანულად, ქითბებში წერია-მეთქი, – მოვუქციე ტაოურად.

– არმენხევში პარხალი თერეფშია. იქ გურჯები არ არიან. ჩვენი სოფელი ხევშია ხრისტიანი გურჯი ყოფილა. ბაშქან უწუმა ულოციან. დაჰა წინ ულოციან. ენხან უწუმალად ულოციან. ბათუმიდამ ერმენები მოსულან, გადაბრუნებულან მუსლიმანზე. ხრისტიან გურჯები მათი ფაფაზი ყოლიან... გურჯები გუდუკაფიან, ერმენები დამსხდარან, გურჯები დუუკლიან. ამ მეჰელეზე არმენ ხევში უთქვიან. აქ სოფელში ბითეფ ხრისტიან გურჯი ყოფილან...

მუითინ ბატონი საუბრის თემას ცვლის. ჩანს, ვეღარაფერს იხსენებს ფარულ ქრისტიანებთან დაკავშირებით. ფაქტებსაც ურევს ჩვენი მოამბე: „ერმენები ბათუმიდამ მოსულან“, „გურჯები დუუკლიან“... ასეთი ფაქტები არ დასტურდება.

შემდეგ საოჯახო ნივთებს გვაჩვენებს მასპინძელი: კალათი, გოდორი, მახალა (პატინა კალათი), ცხრილი (პერხაფ), ცხად (დიდი)...

– ჯარებით კალოს გავლევდით, სახენელ მოფთერძვით; მერულით – ვანიავებდით დიკასა, ქერსა... – გვაცნობს ძველი ყოფის ერთ მომენტს მუითინ დედე. შემდეგ საფქვაზე ჩამოაგდო სიტყვა:

– საფქვაგ გავაცხავებდით, წისქვილში წევვებდით, გამუფქვიდით (ღამუფვქვიდით), საცერში გავცრიდით, პურ ვიქმოდით. კეცებ დეკაცები იქმოდენ..

ყურბანას ადგილის სახელებს ვეკითხებით:

– ამისი სახელი – დოლეკარი, ფიშნარა ხევი (მეზრე), სუმან წყარო... ესკიდან გურჯი ყოფილა, თურქზე გადაბრუნებულა. ენა დაკარქა, გურჯი აღარაა; ბასლიკარი (მთა), დევსეკა-

რად, შაბანაკარი, ცერეკარი, სანაცრიე, ვაკიტყეფ, ყულის წვერი (კოშკიწვერი)...

მადლობა გადაგუხადეთ მუითინ ბატონს. მანქანით ზემო სოფლისაკენ წავედით. მადლა-მადლა მივიწვევთ, ყურბანას დაილას ვუახლოვდებით. აღმართები ავიარეთ, ცოტა გავივაკეთ და დავადექით ზემოდან ჩვენი გიდის სახლს. ვხედავთ, მოლზე სამი ტაოელი ახალგაზრდა გამოსულა, გუდა-სტვირი გამოუტანიათ და უკრავენ. მანქანა გავაჩერეთ და ბიჭებთან მივედით. ყურბანა გამხიარულდა:

– ერთი დუუკარით, ვიფერხულოთო, – სთხოვა მეზობლებს.

გავიცანით ტაოელები. განსაკუთრებული სითბოთი გაგვეცნენ. კარგი ვაჟკაცები ჩანან, შავვრემანები, დაკუნთულები, თვალანთებულები... ესიამოვნათ ჩვენი გამოჩენა. მალხაზმა მომენტი არ გაუშვა ხელიდან, კიდევ უფრო გულწრფელი გახდა სიტუაცია, – რამდენიმე ბოთლი შავი ღვინო მიართვა დამხვდურებს. უცხოობა დაეძლიეთ, გავშინაურდით, კარგი ვითარებაა გავიცნოთ აქაურობა.

პირველ რიგში გარემოს გვაცნობენ ტაოელები: დაბლა ყურბანასი დაილაა, ჭოროხაქეთი (<\*ჭოროხაქეთი? დაბლობშია, ჭინჭყო ადგილი ჩანს – ავტ.), გაღმა – დეთისი დაილა, ობლიკარი, იქეთ – ყულისწვერად. ესკი ყულე იყო, დაკარქულა. ეს თიქურძენაა (<თიყურძენაა, მერცხალი|მოცხარი – მ.ფ.), ეს კიდევ – ტიკიგუდა (გუდა სტვირი – მ.ფ.).

– თივას სად ინახავთ? – ვეკითხები მასპინძლებს.

– სათივემი ვინახავთ თივას, დაჯოხავ და ისე. ზამთრ მართმეფ ფურებ...

ჯაბარ გუდარმა (ჭედლიშვილმა) დაუკრა. მუსიკის ხმაზე მრავლად გამოვიდნენ გარეთ: მუსტაფა დოლენჯიშვილი, რამაზან და მეველუდ გუმუშოდლები, ფაადი ჩაუშოდლი, ჰასან დოლენჯიშვილი, მიქაილ დოლენჯიშვილი, სხვებიც. ბავშვები ცნობისმთქვარეობით გვიყურებენ... უკრავს ტიკი-გუდა, ბიჭები ცეკვავენ, ცეკვავენ ხელიხელჩაკიდებულნი, გარკვეული ტაქტის შემდეგ ვაჟკაცური შეძახილებით ამხნევენ ერთმანეთს. ხმა გაღმა ქედს ეხეთქება და ექო უბრუნდება მოცეკვავეებს.

როკავენ ტაოელი ბიჭები...

ხორუმიო ეს ცეკვა, – გვიმტკიცებენ მასპინძლები...

მიჭირს დავიჯერო, რომ ეს ხორუმიოა. სხვადასხვა ცეკვის ნარევეთან უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე ერთიან ცეკვასთან; არც მუსიკაა მთლად ქართული საცეკვაო. დროთა განმავლობაში ფერი უცვლია ჩვენს ხორუმს, იქნებ ხორუმის ცალკე ვარიანტთან გვაქვს საქმე, იქნებ იყო ოდესღაც ტაოური ხორუმი სხვებთან ერთად... ერთიც უნდა აღინიშნოს კიდევ: ხორუმს ჭოროხის ყველა ქვეყანაში ცეკვავენ, ზოგს კიდევ თავისი ხორუმი ჰქონდა... ახლა მთავარი ისაა, რომ აქ, მაღალ მთებში, ძველი, ამაყი ტაოელების ჩამომავალთ შეუნახავთ ხორუმი და როკავენ ჩვენს წინ... ვუყურებ მათ ცეკვას და რაღაც საოცარ კავშირს ვგრძნობ ამ ხალხთან, აქ, მაღალ მთებში რომ ცხოვრობენ და ინახავენ ქართულ გენს, ქართულ ენასა და ადათ-წესებს. შრომობენ. ებრძვიან მკაცრ ბუნებას (თავადაც მკაცრები), ებრძვიან სიღარიბეს... თავისუფალ დროს ცეკვაც უყვართ და სიმღერაც. ახლაც ერთობიან, უფრო – ჩვენი ხათრით; ცეკვავენ ფერხულს, ხორონს, თითრამას, ჩიფთე ხორონს, ჭანის, ართვინ ბარს, ათაბარს, ჰემშინს...

მეველად გუმუშოვლიმ გამოართვა სტვირი ჯაბარს, ჩაბერა, დაუკრა... სმენად იქცა ყველა. უკრავდა მეველად, ფიქრებში წასული გაღმა მთებს გასცქეროდა, მათ სადიდებლად უკრავდა... გრძობამორეული ვერც გვამჩნევდა ახლომდგომთ... დასრულდა მუსიკა. გამოფხიზლდა მეველად, დაუბრუნდა ცნობა...

გაკვირვებას და აღფრთოვანებას ვერ ვფარავთ. გვამჩნევენ მასპინძლები:

– ყველანი ვუკრავთო ტიკი-გუდაზე, სხვა საკრავებზეცო, – გვითხრა რამაზან გუმუშოვლიმ...

ჩვენი წასვლის დრო დგება. კმაყოფილი ვართ ტაოელთა შეხვედრით. გულწრფელ მადლობას ვუბნებით აქაურებს და გზას განვაგრძობთ...

მაღე ყურბანას ოჯახში მივედით დაილაზე. სახლი ხისაა. პირველ სართულზე საქონლის სადგომია, მეორეზე ოჯახი ცხოვრობს. ვიწრო კიბით ავედით მეორე სართულზე, გავიარ-

ეთ ღია, საკმაოდ ფართო აივანი და ოთახში შევედით. დიასახლისი მოგვესალმა და სუფრის გაშლას შეუდგა. ძველებურ დაბალ მაგიდაზე დააღაგა: ვარელი (ცომი ტოლმა, „ჩვენებურად ვარელ ვამბობთ-და“, – გაგვიმარტა ყურბანამ), დიდი სინით მოხარშული კარტოფილი და ცერცვი, ქათმის შეჭამანდი, წვნიანი, ოჯახში გამომცხვარი პური... და ჩაი...

მაგიდას მივუსხედით. მიუჩვენებებს გაგვიჭირდა დაბალ მაგიდასთან კომფორტულად დაჯდომა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია მასპინძელს:

**ფენშუნი დაბალი მევედა, კოფოზე (ჯორკოზე) დასხენით, – გვირჩია ყურბანამ...**

მოშიებული ვიყავით და მაღიანად შევექცეთ სადილს. მე არც დღეს დავარდვიე აკრძალვა და ქათმის შეჭამანდზე უარი ვთქვი. ჩანს, ყურბანას გაუკვირდა, რატომო. რამდენჯერმე შემომთავაზა. უარი ვუთხარი. როგორ გინდა აუხსნა კაცს, რომ ქათმის ხორცი არასოდეს გამისინჯავს. რომ შემეკითხოს, რატომ არ ჭამო, რა ვუპასუხო?

მოგვიანებით შენიშნა მასპინძელმა:

**– საჭმელი არ ჰქამე შენ, იმიტომ ხარ დამჯავებული. ერთი ბარდადი დაველიოთ, ადარ დამჯავდები, გაჰსწორდებიო.**

სადილის შემდეგ ქვაბაგში წავედით. ყურბანა გვაცნობს გარემოს: ქვაბაგი|ქობაკი|ქობაკარი|ქობაკარი, ძველაგარა, ქეთქეთარი, ნეკნარარი, თხელპა, სავილიო (სავილევილო), გორჯიგოლი, ხევეკი|ხევეკარი.

ქვაბაგს გაღმით ძველი ყიშლები იყო, 1995 წელს აქ რომ ამოვედით. დაუნგრევიათ. მაშინ უკვე უფუნქციოდ იყო. რეჯებ დაზიჯი (თოფიანი) გვისხსნის:

**აბაზიან მააღე იყო, დაანგრიეს. ბურსას წვენეს, ვერანათ შეაქნეს...**

მახსოვს, წინა ექსპედიციის დროს ქვაბაგში ძლივს ამოვედით. გზა ახალი გაჭრილი იყო, უჭირდა მანქანას სიარული. ახლა გზები გაუკეთებიათ, მაღე დასრულდება ელიაწმინდიდან ქვაბაგამდე მობეტონებული გზის მშენებლობა. თურქე-

თის პარლამენტში ყოფილა აქაური დეპუტატი და იგი თავის ამ გზის საქმეს...

ქვაბაგიდან დაბლა დავეშვიტ ბალხისაკენ. ყურბანა ლაპარაკობს, გვიხსნის, გვაჩვენებს, არის ერთ საქმეში: „ტაკვანა ხელით საქმე არ გაკეთდება...“ – შემნიშნა, ცაცია რომ ვიყავი და კომენტარიც არ დააყოვნა.

– მანქანა დააყენე, გუმოსწიე (გუმოსწიე – უფრო გისმის ყურბანას გამოთქმაში...), – ურჩევს ყურბანა მალხაზს. აქედან მართლაც კარგად ჩანს მთელი ხეობა, კად „გამოსაწიე“ ადგილია... შემდეგ ტელეფონის ნომრებს გვთხოვს გიდი, „ტელეფონი მაქვს, დიჯიტალური“, – გვიპირდება.

ჩავედით ბალხიბარში. უკან პარეხი ხეგია, სოფელიცაა პარეხი, რამდენიმე კომლი ცხოვრობს. ზემოთ საგრეთია – ბალხიბარის უბანი. თავად ბალხიბარი ფერდობზე გაშენებული ლამაზი სოფელია. სიხარულით შეგვხვდნენ ბალხიბარელები. წინა ჩამოსვლაზე ჩვენთან საუბარს ერიდებოდნენ ტაოს ბევრ სოფელში, ახლა ვიდეოკამერა რომ დაინახეს, სიამოვნებით პოზიორობდნენ გადაღების მოლოდინში. შეეჩვია ეს ხეობები ტურისტებს, უცხო ადამიანების მოსვლას, შესაბამისად – კომუნიკაბელურები გახდნენ...

ბალხიბარიდან ცენტრალურ გზაზე, პარხლის გზაზე, ჩამოვედით და არმენხევისაკენ წავედით. აქედან 18-20 კილომეტრია არმენხევამდე. გზას აფართოებენ და ჭირს სიარული, ხშირად გვაჩერებენ... შებნელებული იყო, არმენხევში რომ ავედით. დიდხანს აღარ გაჩერებულვართ, დავტოვეთ ყურბანა და სასტუმროში დავბრუნდით.

ამით დასრულდა ჩვენი ექსპედიციის მეორე ეტაპი.

2010 წლის 26 ოქტომბერს აწ უკვე „ქართველოლოგიის ინსტიტუტის“ მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიცია სამუშაოდ შავშეთს გაემგზავრა. დაგეგმილი გვექონდა ზაფხულში, აგვისტოში, წავსულიყავით ველზე სამუშაოების ჩასატარებლად, მაგრამ საგრანტო ტრანშმა დაიგვიანა და უსახსრობის გამო ექსპედიციაც გადაიდო, როგორც ბევრი სხვა საქმე. ოქტომბერში გვეგმიური თანხა კი ჩამოგვირიცხა რუსთაველის ფონდმა, მაგრამ წვიმები დაიწყო (ეს პერიოდი წვიმების დროა ჩვენს მხარეში). ბათუმურმა შემოდგომის წვიმებმა არ მოგვცა შავშეთში წასვლის საშუალება, შემდეგ სხვა საქმეც გამოჩნდა, მათ შორის I სემინარის კონფერენცია ბათუმში, უნივერსიტეტის იუბილე და მისდამი მიძღვნილი კონფერენცია... ორივე კონფერენციაზე მოხსენება წავიკითხე... საბოლოოდ გადავწყვიტეთ, ოქტომბრის ბოლო კვირაში გაემგზავრებულიყავით. ამინდებიც თითქოს გამოსწორდა და წვიმები მუშაობაში აღარ შეგვიშლიდა ხელს. საექსპედიციო სამზადისისათვის დიდი ჯაფა არ დაგვედგომია, ზოგიერთის (გვარს არ დავასახელებ) ბიოროკრატიულმა დამოკიდებულებამ თუ უნიათობამ, ალბათ უფრო მეორემ, შეგვაფერხა. საბოლოოდ ყველაფერი მოგვარდა და 26 ოქტომბერს, სამშაბათს, ექსპედიცია თურქეთში გაემგზავრა. ამჯერად ჩვენი მიზანია შავშეთის მატერი-ალური კულტურის ძეგლების შესახებ მასალების შეგროვება, განსაკუთრებით მეთურქულე შავშეთში. წინა ექსპედიციის დროს მონიშნულ ძეგლებზე უნდა ვიმუშავოთ, რომელთა უმეტესობა საისტორიო ლიტერატურაში არ ფიქსირდება. აუცილებელია ამ უსახელო ძეგლების აღწერა და იდენტიფიკაცია წყაროებში მოხსენებულთან, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. თუ არა და, მათი გაცნობაც კარგი საქმეა ქართველი მკითხველისათვის.

ასე რომ, 26 ოქტომბერს ექსპედიცია შეიკრიბა: პროფესორი შოთა მამულაძე, ასოცირებული პროფესორი ზაზა შაშიკაძე, ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე, არქიტექ-

ტორი გიორგი ღუმბაძე და პროფესორი მამია ფაღავა (ექსპედიციის ხელმძღვანელი).

აქვე ვსარგებლობთ შემთხვევით და გულწრფელ მადლობას ვუხდით ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორს, პროფესორ ამირან კახიძეს, გაწეული ქველმოქმედებისათვის, დაგვითმო რა თავისი კუთვნილი ჯიბი კომფორტული მგზავრობის საშუალება მოგვცა. წელს მაინც აღარ ვიწუწუნებთ გაუმართავი მანქანის გამო შექმნილ სიძნელეებზე...

საღამოს 8 საათზე გზას დავადექით. დაახლოებით სამ საათში შავშათში ვიყავით. ჩვენი დროით საღამოს 11 საათია, თურქეთის დროით – 10 (კვირის ბოლოს კიდევ ერთი საათით გადასწიეს თურქებმა დრო. ახლა ჩვენთან სხვაობა უკვე ორი საათია). ვივარდით და სასტუმრო „7 მარტში“ დავიდეთ ბინა. აქ კარგად გვიცნობენ, ნორმალური სასტუმროა, ფასებიც მისაღები. ერთია, შარშანდელთან შედარებით ფასები ყველაფერზე მომატებულია საგრძნობლად. ვერაფერს შევცვლით. საქმე გვაქვს გასაკეთებელი, დავრჩებით იმდენ ხანს, რამდენსაც ჩვენი ბიუჯეტი გასწვდება.

## სინკოთსა და ახალდაბაში

27 ოქტომბერს მზიანი დილა გათენდა. შემოდგომის მზე სუსტად, მაგრამ მაიც ათბობს გარემოს...

პირველად სინკოთის ეკლესიის ნანგრევები უნდა ვნახოთ. იგი ბაზილიკაა, შედარებით კარგად მოღწეული.

ეკლესიის ახლოს დაგვინახეს თუ არა, ცნობისმოყვარენი შემოგვეხვივნენ. სინკოთში ამოსვლამდე ვიხსენებდით აქაურებთან ჩვენს შარშანდელ სტუმრობას, არცთუ სტუმართმოყვრულ შეხვედრას. ვიხსენებდით ტაძრის ეზოში მცხოვრებ ქალბატონს, პოლიციაში დავრეკავო, რომ დაგვემუქრა. არც ვეებერთელა ნაგაზი დაგვეიწვია, იქვე რომ ყავდათ დაბმული. დღეს ის ქალბატონი არ ჩანს. ახალგაზრდა, ასე 40-იოდე

წლის, კაცი მოვიდა, მოგვიკითხა... ხოფაში მუშაობს, ქართული ესმის, თუმცა ვერ ლაპარაკობს. გვიხსნის, ეკლესიის მეორე მხარეს არ გახვიდეთ, ავი ძაღლიაო ეზოში, მეც ვერ ვეკარებო, იკბინებაო. ეს ბატონი იმ ავზზე ქალბატონის მეუღლე აღმოჩნდა, ზემოთ რომ ვახსენებდი.

ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ შავშეთში გამორჩეულად კარგი ძაღლები ჰყავთ, ვეებერთელა ნაგაზები. დათვი და ღორი აწუხებს სოფელს, ანადგურებს ნათესს, ხილს, ზოგჯერ პირუტყვს. ასე რომ, ძაღლი აქაური კაცისთვის დიდი ნუგეშია. თვალმისაცემია კიდევ ერთი: აქაური ძაღლი ადამიანს არ ერჩის, თვინიერია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ შეგუწუხებივართ...

სიტყვა გამიგრძელდა. დავუბრუნდეთ სათქმელს.

სინკოთის ტაძრის ეზოში ასეთი სურათი შეიძლება წარმოვიდგინოთ:

შოთა და გიორგი ზომავენ ეკლესიის კედლებს, სწავლობენ ნაგებობის არქიტექტურას. ცდილობენ, დაადგინონ ძეგლის ტიპი. ბოლოს ბატონი შოთა ასკენის, ორნავიანი ბაზილიკააო. სახურავი ჩამოშლილია, პერანგი შემოდარცული, კედლები დგას ჯერ კიდევ... მაგრამ რამდენ ხანს გაძლებს, ძნელი სათქმელია.

ტაძარი საკმაოდ დიდია. ჩვეულებრივ სოფლის ეკლესია ამ ზომისა არ გვხვდება. იგი საგანგებოდ შერჩეულ შემადღებულ ადგილას დგას. დასავლეთის მხრიდან მიწაყრილია, ჩანს, ხელოვნური. სინკოთელებსაც აინტერესებთ იგი. შესაძლებელია აქ, ტაძრის ეზოში, სასაფლაოები იყო ძველად, ამიტომაც ამ ადგილებს არავინ ამუშავებს. საერთოდ, ტაძრის ეზოში სამეურნეო საქმიანობას ტრადიციულად ერიდება ქართველი კაცი...

მალხაზი იღებს სურათებს თუ ვიდეოკადრებს, ვინ იცის, რას გეგმავს...

მე შეძლებისდაგვარად შოთას ვშველი;

ზაზა გართულია სინკოთელებთან საუბარში. შარშანდელ სტუმრობას იხსენებს, სოფლის ამბებს, ახალს თუ ძველს,



კითხულობს, უფრო ძველი აინტერესებს, თუმცა ახალიც მნიშვნელოვანია ჩვენთვის...

სინკოთის ეკლესიის ეზოში ცნობისმოყვარენი მოგროვდნენ. ჩანს, ამათაც ოქროსმადიებლები ვგონივართ. ყველა ასე ფიქრობს და გამონაკლისი რაღა სინკოთელები იქნებიან...

ჩაი მოგვართვეს. ეს უკვე იმის ნიშანია, რომ სოფელმა მიგვიღო...

ზაზა ესაუბრება სინკოთელებს, უხსნის. იგი კარგად ფლობს თურქულს და არც კონტაქტის დამყარება უჭირს აქაურებთან...

მალხაზი ვიდუფირზე აფიქსირებს ყველაფერს. ზაზას შეუშინეველი არ რჩება მისი საქმიანობა და ხუმრობს:

– კაცს ოქროსმადიებელი ვგონები, ისე ატრიალებ კამერას. ხან ფუნდამენტს იღებ, ხან კედლებს... აეჭვებ ხალხს.

– რა, გადაღების გარეშე არ ეჭვობენ? ჰოდა, იეჭვიანონ, რა გაეწყობა. მე კი გადავიღებ კადრებს, ფილმისთვის დაგეჭვირდება..., – მიუგო მალხაზმა.

როგორც იქნა მოვრჩით სინკოთის ტაძრის აზომვას და არქეოლოგიურ დათვალიერებას. შოთამ გულმოდგინედ ჩაინიშნა ყველაფერი, გიორგიმ ჩაიხაზ-ჩაიხატა... ბოლოს შოთამ სინკოთელებისთვისაც მოიცალა. რაღაცები გამოკითხა ადგილობრივებს, შემდეგ გზებით დაინტერესდა.

– აქედან აჭარაში როგორ გადავალ? – მთელი სერიოზულობით ჰკითხა ერთ-ერთ მოსაუბრეს.

სინკოთელმა ჯერ ეჭვით შეხედა, გაუკვირდა კიდევ, აქედან აჭარაში როგორ უნდა გადავიდესო, რომც გადავიდეს, რა უნდაო. ალბათ ისიც იფიქრა, ოქროს თუ ნახავს, ასე უფრო იოლად გადაიტანს საქართველოშიო... ვინ იცის, რა იფიქრა სინკოთელმა, თუ იფიქრეს სინკოთელებმა. ერთი კია, ზაზას ჰკითხეს:

– საიდან მოხვედით აქ? გაქვთ ნებართვა, აქ რომ მუშაობთ?

ზაზა უხსნის: სარფიდან მოვედით, ნებართვაც გვაქვსო. შოთას ძველი, ისტორიული გზები აინტერესებს, თორემ ახლანდელი ჩვენც ვიცითო.

როგორც იქნა, დაწყნარდა „მასპინძელი“, აქამდე თუ ოქროსმადიებელი ვგონეთ, ახლა კინაღამ საზღვრისდამრღვევები აღმოაჩინა ჩვენში ჩვენივე წყალობით...

– მალლა, კლდის თავზე სამლოცველოაო, – გვისხნის ერთი.

– არა სათვალთვალო კოშკიაო, – აზუსტებს მეორე.

მართლაც, მიუვალი კლდის თავზე სამლოცველო წარმოუდგენელია. უფრო დასაჯერებელია სათვალთვალო კოშკი. აქედან ხელისგულივით ჩანს სინკოთი, მთელი ხეობა... შორს წეფთას ციხეც მოჩანს (ბინოკლით შესაძლებელია მისი გარჩევა). ასე რომ, სათვალთვალო კოშკისთვის შესაფერისი ადგილია სინკოთის კლდის თავი.

შოთამ მაინც ვერ „დასტყუა“ სინკოთელებს აჭარაში გადასავალი ბილიკები. იქნებ არც იცოდნენ!

ახალდაბაში უნდა ავიდეთ დღესვე.

შარშანაც ვიყავით ახალდაბაში. მაშინ დიდი სიხარულით არ შეგვხვედრიან ახალდაბელები, განსაკუთრებით მუხტარმა დაგვამახსოვრა თავი. თუმცა ბოლოს ყველაფერი კარგად დასრულდა. ვშიშობთ, დღესაც იგივე არ განმეორდეს... ლაპარაკით გართულებმა, ავადწიეთ ახალდაბას. მთელს სოფელს მოეყარა თავი ჯამიკარზე. ქალაქიდანაც ამოსულიყვნენ მანქანებით. ჩანს, რაღაც მნიშვნელოვანი ხდება აქ. გაირკვა, სოფელში დაკრძალვა იყო. უცხო მანქანის დანახვაზე მუხტარი გამოეყო მეზობლებს და ახლოს მოვიდა, მოგვიკითხა.

– ამ მხარეში ვიყავით სტუმრებთან ერთად და თქვენთან მოსვლა გადავწყვიტეთო, – მოკითხვის შემდეგ უხსნის ზაზა.

კარგად მიგვიღო მუხტარმა. ხელი ჩამოგვართვა თითოეულს, შემდეგ საქმიანი კაცის იერით გვითხრა: დაათვალიერეთ, რაც გინდათ გადაიღეთ, პრობლემა არ შეგექმნებათო. თან მოგვიბოდიშა, დაკრძალვა არის და მე იქ უნდა წავიდეთო...

მუსტრისაგან ასეთი ქცევა, გულწრფელად რომ ვთქვა, გაგვიკვირდა. რა შეიცვალა შარშანს შემდეგ? ალბათ შეიცვალა...

ახალდაბელებს ერთი ახალგაზრდა გამოეყო, მოგვიახლოვდა, მოგვესალმა და ქართულად გეითხრა:

– გაბაიძე ვარ, მამიდა გარდამეცვალა და დაკრძალვაზე ვარ ჩამოსულიო...

ჩვენც მივუსამძიმრეთ...

საინტერესო კაცი ჩანს ახალდაბელი გაბაიძე, მაგრამ, გასაგები მიზეზის გამო, მასთან საუბარი ვეღარ გავაგრძელებ...

დავშორდით ახალდაბელებს და სოფლის თავისკენ, იქ, სადაც ეკლესიის ნანგრევებია, გავემართეთ.

მალა, ბექობზე, არცთუ პატარა ეკლესიის ნანგრევებია. ჩანს, შავშური დარბაზული ტიპის ტაძარია. შოთამ გულმოდგინედ დაათვალიერა ნაშთები, აზომა, იანგარიშა და დასკვნა შემდეგ გააკეთა. თუმცა რაც გადარჩენილა ახალდაბის ეკლესიისაგან, რაიმე დასკვნის საშუალებას ძნელად იძლევა... მაგრამ რატომაც არა, გამოცდილი მკვლევრის გამოცდილ თვალს შეუძლია ტაძრის „არქიტექტურის“ წაკითხვა.

ეკლესიიდან კარგად ჩანს ახალდაბის სანახები: დაბლა, ჩვენგან მარცხნივ, ხალვაშია – გაშლილ ველზე გაშენებული დასახლება (ასე ოცამდე კომლით), ახლა ახალდაბის უბანი, თუმცა ძველ რუკებზე იგი დატანილია როგორც სოფელი. ერთ დროს სახნავ-სათესი ტერასები სათიბებად უქცევიათ. აღარავინ თესავს პურს, ქერს, ბოსტნეულს თუ ბახჩეულს, ურჩევნიათ, მაღაზიაში შეიძინონ საჭირო საქონელი... აქა-იქ კარტოფილისა და სიმინდის ყანები ჩანს, ღობიოც ალაგ-ალაგ, – ისიც იმათ კარ-მიდამოში, ვინც ზამთრობითაც სოფელში რჩება. ასეთები კი ცოტაა დარჩა – რამდენიმე კომლი.

ახალდაბიდან ციხისძირისაკენ ავუყევით გზას. ციხისძირს ახლა ყაიადიბი (სიტყვასიტყვით კლდის ძირი) ჰქვია. ჩანს, სახელი ციხისძირის ანალოგიითაა შექმნილი – ყაიადიბი ყალუდების ნაცვლად; თუმცა ყაიადიბიც რელიეფის მიხედვითაა შერქმეული. სოფელი მართლაც კლდის ძირშია გაშენებული.

საქმე იმაშია, რომ ციხისძირის ციხე, რომელიც კლდის თავზე მდგარა, ახლა საძირკვლამდე დანგრეულია. ჩანს, სოფელმა ციხე დაივიწყა და მოხდა ტოპონიმის გადააზრებაც, რამაც თავი იჩინა სოფლისათვის თურქული სახელის შერქმევისას.

ამჟამად ციხისძირში ქართულის მცოდნე თითო-ოროლა თუ შეგხვდებათ, ისეთები, რომელთაც დედა მექართულე შავშეთიდან ჰყავთ. მიუხედავად ყველაფრისა, მიკროტოპონიმები აქ უმეტესად ქართულია: თეთრ კვლდე, ჯინშერლერ (ჯინჭარლარი<ჭინჭარლარი<ჭინჭარნარი), სასონგილი...

გეითხრეს, ციხისძირში ორი ეკლესიააო: ერთი სამანქანე გზის ზემოდან, მეორე – მის წინ, გზის გადაღმა. ადგილზე თუ არ მიხვალთ, გზიდან მისი შემჩნევა შეუძლებელიაო. დღეს ვეღარ მოეძებნით ციხისძირის სიძველეებს, მოგვიანებით დავბრუნდებით ამ სოფელში.

დღეს გარყლობშიც (ჩორახლი) უნდა ვიმუშაოთ... ციხისძირიდან მალე **შალჯში (ჭუარები/ჯუარები)**, ამჟამად გარყლობის მაჰალეში, ავედით. სოფლის გზაზე ადგილობრივ მამაკაცს შევხვდით. მან ქართული არ იცის, მაგრამ გვაწერინებს ტოპონიმებს. ბარემ აღვნიშნავ, რომ გეოგრაფიულ პუნქტთა უმეტესობას ახალი, თურქული სახელი ჰქვია, მაგრამ სოფელში ახსოვთ ძველი, ქართული სახელწოდებებიც. საუბრისას ტოპონიმებს იმდენად ბუნებრივად იყენებენ, რომ მსენელს ებადება ეჭვი, რომ ძველი ტოპონიმები ცოცხალი ლექსიკური ერთეულებია სოფლის მეტყველებაში. ჩანს, აქაურებმა მართალია, დაივიწყეს ქართული, მაგრამ შეინახეს ქართული ყოფა, ზოგიერთი ტრადიცია, წინაპართა ხსოვნა...

**ათალარი**, ძველი **წიწვეთი** – სოფლის უბანია. სხვა ადგილის სახელებია: **ნადირაული**, **ჩემი ყანა**, **ურემა ძირი**, **სერი ყანა**, **პატარა ჭალა**, **წისქვილ თავ**, **ლექტი ყანა**, **უგულო ზირ**... სოფელს დაილა აქედან შორს, არდაანთან, აქვს – **ჯენგირეკი**.

შესამჩნევი და დასანანი, რომ თანდათან იკარგება გეოგრაფიულ სახელთა ქართული ფორმა, ქართული გამოთქმა: **წისქვილ თავ**, **უგულო ზირ**... რაც ბუნებრივი მოვლენაა ორენოვნობის პირობებში, როცა ადგილობრივთა მშობლიურ ენაზე

მძლავრობს სახელმწიფო ენა. ენობრივი სიტუაციის თვალსაზრისით თურქეთის საქართველოს სოფლებში მართლაც საინტერესო სურათი იკვეთება. სოციოლინგვისტური სურათი ამ კუთხისა შესასწავლია, იგი მნიშვნელოვანია ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც.

საუბარში ბინალი სუთჯი ჩაგვერთო. იგი 80 წლისაა. მეტნაკლებად იცის ქართული. **მნიშვნელოვანი ცნობაა, რომ ჭუარებში და მის მიმდებარე სოფლებში მოხუცებმა ჯერ კიდევ იციან ქართული.**

შოთა მამულაძე შემთხვევას არ უშვებს ხელიდან და აჭარაში გადამავალ გზებს კითხულობს.

– აქედან როგორ გადავალ აჭარაში? – ეკითხება ბინალი სუთჯის.

– ფაფართილამ არის მოკლე გზა, – პასუხობს მოხუცი.

– აბა, გადამიყვანე აჭარაშიო, – აქეხებს შოთა ბინალის და საგულდაგულოდ ინიშნავს მოხუცის ნაამბობს...

ჩანს, ახსოვს ბატონ ბინალის ძველი გზები, უგვლია კიდევ ყმაწვილკაცობაში ამ ბილიკებზე.

ჩვენი საუბარი თითქოს დასრულდა და... ახლა მე ვკითხე ბინალი სუთჯის:

– იქნებ ფირალების შესახებ გვიამბოთ რამე. გამიგონია, თქვენს კუთხეში ძველად ფირალები ყოფილან... ბათუმშიც გამიგონია აქაური ფირალების შესახებ...

– არაფერი ვიცი ფირალებზე! – მომიგო ჩემი კითხვით ერთგვარად შეწუხებულმა მოხუცმა. შემდეგ იქინდის ღოცვის დროაო, მოიმიზეზა და გაგვეცალა. მოხუცისათვის შეუფერებელი ჩქარი ნაბიჯით შევიდა ეზოში.

რა მოხდა? იქნებ უნებურად ვაწყენინე ბატონი ბინალის? გაკვირვება არ დამიმაღლავს და შეწუხებულმა ვიკითხე, თუ რისთვის გაგვინაწყენდა მოხუცი.

იქვე მდგომმა ჭუარელებმა აგვისსნეს, რომ ბინალის მამა ცნობილი ფირალი იყო. უბრალოდ, არ ინდობა ამ თემაზე საუბარი უცხოებთან. ჩანს, იცოდა კი ბევრი რამ...

რას ვიზამდით. არის თემები, რომელზეც საუბარი არ გვსიამოვნებს, განსაკუთრებით – უცხოებთან. არის თემები, რომელთა გახსენებას გაგურბივართ, თუნდაც იმიტომ, რომ ძველი, მძიმე დღეები თუ განცდები არ გაგვიცოცხლდეს...

მინდოდა კი რაიმე ჩამეწერა. ამ მხარეში მოგზაურობისას ნ. მარს მოუსმენია ფირალის ღექსი საუკუნის წინათ. მაინტერესებს, თუ შემორჩა ხალხის მეხსიერებას ფირალის შესახებ ღექსი თუ თქმულება.

თინა შიოშვილმაც მოხოვა, იქნებ იპოვო რაიმე.

ვერ მოვახერხე...

ბნელდება. ვბრუნდებით შავშათში. დღით კმაყოფილები ვართ. მიუხედავად ყველაფრისა, საკმაო ინფორმაცია მოვიპოვეთ. ფირალის შესახებაც მოგვიყვება ალბათ ვინმე რომელიმე სოფელში. დღეს თუ ვერ გვენდო ბინალი სუთჯი, მომავალში აუცილებლად გვენდობა. მამის ფირალობამ შეიძლება დაუფრთხო სიყმაწვილეში ძილი მასა და მის ოჯახს, მეზობლები და მთავრობაც სხვა თვალთ უყურებდნენ ფირალის ოჯახს... დღეს ხომ სხვა დროა და ჩვენც ხომ ცნობისმოყვარენი ვართ და სხვა არაფერი. ჩვენ ვიცით, რომ ასეა, მაგრამ ბატონმა ბინალიმ ხომ არ იცის... ვინ იცის, იქნებ იფიქრა მოხუცმა, ვიღაცის მოგზავნილები არიანო ეს გურჯები. ასე რომ არ იყოს, ამ სადამოხანს, ამ მთაში ფირალის მოსაკითხად ხუთ კაცს რა ამოიყვანდა? დაეჭვდა კაცი... ვერ გავემტყუნებ, თუ გავითვალისწინებთ ბინალის მამის ფირალობას და მასთან დაკავშირებულ ოჯახის სიძნელეებს...

## ფიქრები სათლელის ციხეზე

შოთა დიდიდან სათლელის ციხეზე ფიქრობს. დღევ ხომ ამ ციხით დავიწყეთ. წინა ექსპედიციების დროსაც ვყოფილვართ აქ. 2009 წლამდე ეკალ-ბარდით იყო დაფარული ყველაფერი. ახლა აქ არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს –

ყარსის უნივერსიტეტი აწარმოებს სამუშაოებს. პროფესორი ოსმან აითეჟინი, წარმოშობით ჩიხისხეველი ქართველი, ხელმძღვანელობს ექსპედიციას... ერთხელ კიდევ ვათვალიერებთ სათლელს. ციხის ეზო გაუწმენდათ, საკმაო ფართობი გაუთხრიათ, კოშკი გადაუხურავეთ... ერთ ადგილას კერამიკული მასალა ჩაუყრიათ ორმოში, ქართული კერამიკული მასალა. შოთას ენაება მისი ასე დატოვება. რამდენიმე კარგადგადარჩენილ კერამიკულ ნივთს იღებს და მოაქვს, თან დაბეჯითებით გვიხსნის, რომ ქართული კერამიკა უფრო ძვირფასია, ვიდრე თურქული, უფრო დახვეწილი და ნატიფია, ამის გადაყრა არ შეიძლება, რომ თურქ არქეოლოგებს მხოლოდ თურქული მასალა აინტერესებთ...

დაეჯერება ბატონ შოთას ამ საქმეში ყველაზე მეტად, განსაკუთრებით – ფეოდალური ხანის საქართველოს არქეოლოგიაში; მან ხომ შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლას მოანდომა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ჩვენთან იტყვიან, ახალგაზრდობა შეაღია მას. ამიტომაც ებრალება გასანადგურებლად გამეტებული კერამიკული მასალა სათლელის ციხიდან. მაგრამ ახლა ეს არაა მთავარი, სათქმელი სხვა გვაქვს, უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებო. თუმცა არც მეგობრის შემოქმედების დეტალებზეა საუბარი უმნიშვნელო და ნაკლებსაინტერესო, რაც გვიჭირს ხშირად.

დავუბრუნდეთ ძირითად სათქმელს.

არსებობს ისტორიული ცნობა, რომ საბამ, მტბევარმა ეპისკოპოსმა, ბიზანტიელებისაგან დასაცავად ტბეთთან ახლოს ააგო „ციხე სუეტისა“. მეტი სიზუსტისათვის მოვიყვანოთ შესაბამისი ადგილი „ქართლის ცხოვრებიდან“: „მატიანე ქართლისაჲ“ მოგვითხრობს:

„რახან იხილა საბა, მტბევარმან ეპისკოპოსმან, რომელ შავშეთს არღარა იყო სხვა ღონე, ააგო ციხე თავსა ზედა ტბეთისასა, დაიჭირა ქუეყანა შავშეთისა... (ქ.ც.ხ. I, 292, 8-9)

„სუმბატ დავითის ძის ქრონიკა“ აზუსტებს ამ ცნობას: „რამეთუ მიიქცეს ერნი მსოფლიონი უგუნურ-უსუსურნი ცნო-

ბითა და გონებითა და გამოადგინეს ლაშქარი სუეტსა მას ტბეთისასა, რომელი აღეგო საბა მტბევარ ეპისკოპოსსა ციხედ“ (ქ.ც.ხ. I, 293, ჩანართი D).

დღეს პრობლემა „ტბეთის სუეტის“ იდენტიფიკაცია ტბეთის ახლო-მახლო მდებარე რომელიმე ციხესთან, რადგანაც ტაძრის სიახლოვეს არ დასტურდება არც ტოპონიმი სვეტი და არც ამავე სახელწოდების ციხე. ტბეთთან ახლოს მხოლოდ სათლელის//სათლეს ციხეა. უფრო მოშორებით, ტბეთს ზემოთ, ციხისძირის (აწინდელი ყაიადიბის) ციხე, რომლის ძველი სახელი არ შემორჩენილა, დღეს სოფლის (ციხისძირი) მიხედვით უწოდებენ ამ სახელს, მაგრამ იგი იმდენად შორსაა ტბეთისაგან, რომ გაჭირდება მისი იდენტიფიკაცია სვეტის ციხესთან. არც ციხისძირის ნაშთები იძლევა ასეთი დასკვნის საშუალებას.

რაც შეეხება **სათლელის ციხეს**: ადრეულმა წყაროებმა არ იცის **სათლელის ციხე**. ვახუშტი ბაგრატიონთან ვხვდებით პირველად ამ სახელს. მოვიყვანოთ ამონარიდს ბატონიშვილის შრომიდან: „... ამათ მდინარეთ შესართავს ზეით მიერთვის ჭილოვნის ჳევს შავშეთისავე მდინარე სათლესი და ტბეთისა. ... ამ წყალზედ არს სათლე, ქალაქი მცირე და მოსახლენი ვაჭარნი მას შინა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973:679, 6-11). მოყვანილი ციტატიდან ჩანს, რომ თითქოს **სათლე** მდინარის სახელიცაა და ქალაქისაც. მნიშვნელოვანია, თუ რომელია აქ პირველადი, მდინარის სახელი თუ ციხის, სხვაგვარად: ციხის სახელისაგან მოდის მდინარის სახელი თუ, პირიქით – ციხეს ჰიდრონიმის მიხედვით შეერქვა აღნიშნული სახელი. თუ გავითვალისწინებთ, რომ სამხრეთ საქართველოში უმეტეს შემთხვევაში მდინარეებს საკუთარი სახელი არ აქვთ და სახელდებენ რომელიმე გეოგრაფიული პუნქტის მიხედვით, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს შემთხვევაშიც „სათლე“ პირველ რიგში გეოგრაფიული პუნქტის სახელია, მისგან მიიღო იგივე სახელი მდინარეც. ეს ჩანს ვახუშტის ცნობაშიც – „მდინარე სათლესი“.

## ქოთეთრისისა და ხანთუშეთის//თუ ვერხნალის ციხეზე

რამდენადაც ძველმა წყაროებმა არ იცის ტოპონიმი „სათლეს ციხე“, არც უბრალოდ „სათლე“, არადა დღეს სათლელის სახელით ცნობილი ციხე გაცილებით ძველია (X-XI საუკუნისა მაინც), საძიებელია ციხის ადრინდელი სახელწოდება. სავარაუდოდ, სათლელი ამ ციხეს გვიან, რაბათის აშენების შემდეგ, უნდა შერქმეოდა. ამის ერთ-ერთ დასტურად „სათლეს“ მნიშვნელობაც გამოდგება. კერძოდ: „სათლელის//სათლეს“ ამოსავალი ფორმა ჩანს „სათველი“//„სათლი“, რაც, საბას განმარტებით, ნიშნავს „საწყავე“. საბა ადასტურებს „სათლელსაც“, იგივეა რაც „გათლად შესაძლისი“. ამ უკანასკნელთან, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს კავშირში აღნიშნული ტოპონიმი.

სათველი//სათლი (>სათლელი „საწყაო“) შესაძლებელია დაუკავშიროთ „სათლელსაც“, იმას „რაც ითვლება“, – ფული შავშელთა გაგებით.

ამდენად, სათლელი//სათლე ციხის თავდაპირველი სახელი არ არის, იგი მეორეულია. თუ გავითვალისწინებთ ტბეთის მდებარეობას, უწინდელ გზებს, ციხის სტრატეგიულ მნიშვნელობას, შეიძლება დავუშვათ, რომ აწინდელი „სათლელის ციხე“ უწინდელი „ციხე სუეტისა“, რომელიც, მემატიანის ცნობით, მტბეგარმა ეპისკოპოსმა საბამ ააგო. ბარემ აღვნიშნავთ, რომ სახელი შეუცვლია მდინარეებსაც: დღეს აღარ გვხვდება არც „ჰილონის ხევი“ და არც „მდინარე სათლესი“ ვიმეორებთ: ტბეთთან ახლოს სხვა რაიმე ციხე არ დასტურდება. უახლოესი სათლეს//სათლელის ციხეა, ტაძრიდან 13 კილომეტრით დაშორებული. ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასაშვებია სვეტის ციხის სათლელთან იდენტიფიკაცია.

გუთხარი შოთას ჩემი დაკვირვების შესახებ. რამდენად დამაჯერებელია იგი, მომავალი კვლევა გვიჩვენებს, მაგრამ არსებობის უფლება, ვფიქრობთ, აქვს.

28 ოქტომბერს ხანთუშეთში, იგივე ვერანა ხანთუშეთში, წავედით. ხანთუშეთისაკენ მიმავლები ჯერ შავშეთიდან დაბლა დავეშვიტ, 1 კილომეტრში მარცხნივ გადავუხვიეთ და 11,5 კილომეტრი მალლა ვიარეთ (გზად გავიარეთ: **ვანთა, გურნათელი, ზიარეთი (ცეცხლაური), მორღხოზი**, შემდეგ მარჯვნივ შევუხვიეთ, კიდევ სამი კილომეტრი გავიარეთ და ხანთუშეთში ავედით. გზად ვათვალიერებდით ყველაფერს. ეს მეთურქულე შავშეთია, გაშლილი ველებითა და ნოყიერი ნიადაგებით. ეს კუთხე ისტორიულად პურის ბეღელი იყო. დღეს აქ მარცვლეულს აღარ თესავენ. ოდესღაც დიდი შრომით მოწყობილი ტერასული მეურნეობა ჭალებად ქცეულა, ნაყანეგებზე კი ცხვარი და ძროხა ძოვს. შავშეთის ამ მხარეში (**ხანთუშეთი, ჩართულეთი, ვერხნალი, ქოთეთრისი, გურნათელი, ვანთა...**) ქართული აღარ ისმის. ჩართულეთელი (ჩამლიჯა) ეუბ ქაია გვისხნის, რომ აქ ქართველები აღარ არიან, ძველი გურჯები არიან, ახლა დოღმები. ჩემი დიდი დედეი 200 წლის წინ მაჭახლიდან მოსულაო...

ეუბ ქაია 78 წლისაა და ბევრი რამ ახსოვს ამ კუთხის ისტორიიდან – წინაპართა მონათხრობიცა და თავსგადახდენილიც. ერთი რამ თვალშისაცემია: მეთურქულე შავშეთის სოფლებშიც ხშირად შეხვდებით ადგილობრივებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მათი დედეები მაჭახლიდან თუ ბათუმიდან არიან მოსული. ან კიდევ, მათი დიდი დედეი ბათუმში „ჩარჩენილა“ და იქვეა დამარხული. ბუნებრივია, ჩნდება კითხვები, რომელთაც უნდა გავცეს პასუხი: მექართულე შავშეთში თუ გეტყვიან, რომ მათი წინაპარი „ბათუმიდამ“, ანდა „მაჭახლიდამ მოვიდა“ და აქ დასახლდა, გასაგებია, ამით ხაზს უსვამენ თავიანთ ქართველობას, თავიანთ იდენტობას და ამით შინაგანად ემიჯნებიან არაქართულს; მაგრამ იგივეს მეთურქულე შავშეთშიც რომ გაიგონებთ, იქ სადაც, იგივე მექართულე

შავშელების თქმით, ქართველები არ ცხოვრობენ, სხვაგვარი განცდა გეუფლება კაცს. უპირველესად გრძნობ, რომ მეთურქულე შავშეთის მკვიდრთა უმეტესობა მშობლიურენადაკარგული ქართველია, რომელთა წინაპრებმაც უმეტეს შემთხვევაში დაივიწყეს ქართული ენა, გადაბრუნდნენ, როგორც მექართულე შავშეთში გეტყვიან, გათურქდნენ, მაგრამ შეინარჩუნეს ხსოვნა მათი ქართველობისა. მათში რაღაც მცირედი ნაპერწკალი ქართველობისა ჯერ კიდევ ბუუტავს, თუნდაც იმით, რომ არ ივიწყებენ მათი წინაპრების მაჭახლიდან თუ ბათუმიდან მოსვლის მითს. მაშინაც კი, როცა „ქართველმა შავშმა“, იმერხვეველმა, უსტამისელმა თუ ჩიხისხვეველმა არ აპატიო ქართულის დავიწყება, თურქად მონათლა და მეტსახელიც უწოდა – გქელჩოხიანი. ამით გაემიჯნა იგი ქართულის დამკარგავ თანატომელს და ხაზი გაუსვა ერთ მთავარ იდეას: ეროვნული იდენტობის უპირველესი ნიშანი ენაა.

ხაზგასმით უნდა ითქვას: **მეთურქულე შავშებს ხშირად ახსოვთ მათი ქართული წარმომავლობა**, რაც მრავლისმთქმელი ფაქტია.

ქართველი კაცის ნაკვალევი აქ ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. ენა დაიკარგა, მაგრამ ჯერ კიდევ გადარჩენილია მიწის ენა, ტოპონიმები, რომლებიც აქ ქართველთა ცხოვრების ისტორიას მოგვითხრობენ. აქვე თუ გავითვალისწინებთ, რომ აქაურთა თურქულ მეტყველებაში ქართული ელემენტი ხელშესახებია, აქაურთა ყოფაში, აქაურ მეურნეობაში ქართული ცხოვრების წესი ჯერ კიდევ არსებობს, კიდევ უფრო გაგვიმტკიცდება აზრი, რომ აქ ქართული ფენომენი ჯერ კიდევ ცოცხალია. აქვე არ უნდა დაივიწყოთ მეთურქულე შავშეთში გაბნეული ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები, ქართველთა სულიერი მოღვაწეობის მეტყველი მატრიანე...

ქოთეთრისის ციხეზე რომ ავედით, დილის 12 საათი იყო. ციხე მდინარის მარცხენა ნაპირზე, მაღალ ბორცვზე დგას. არც ეს ციხეა ცნობილი ქართული წერილობითი წყაროებიდან (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ შეგვხვედრია). ქოთეთრისის/ქვათეთრისის ციხე სოფლის სახელის მიხედვით პირო-

ბითად ვუწოდეთ. თუ მოხერხდა მისი ისტორიული სახელის დადგენა, ხომ კარგი, თუ არა, იყოს ქოთეთრისის ციხე. იგი არ განსხვავდება სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობებისაგან: საუკუნეების წინ დარაჯად მდგარი, დღეს ზემოდან დაჰყურებს ხეობას დაღერემილი და ბებერი, კედლებმორღვეული და კოშკომშლილი.

ქოთეთრისის ციხის შესახებ წინა თავებში ვსაუბრობდით და აქ თხრობას აღარ გავაგრძელებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ იგი IX-X საუკუნის ნაგებობაა, იმავე ეპოქისა, რომელშიც აშენდა ამ კუთხის არაერთი ციხე: წყფთა, ჩაქველთა, იფხრეული, ხევწრული... ეს ციხეები, როგორც შავშეთში იტყვიან, „ერთმანეთს უყურებენ“ და ერთად დარაჯობენ ქვეყანას...

ქოთეთრისის შემდეგ ხანთუშეთისაკენ წავედით. გზა მაღლა-მაღლა მიდის. ერთმანეთზე ლამაზი და მიმზიდველი სოფლებია: ქოთეთრისი (ქვათეთრისი), ხანთუშეთი, ვერხვნალი... განსაკუთრებით გამრიელია აქაური ხილი. ბარემ ერთ „ცოდვასაც“ გაგიმხელთ: ვერხვნალში ვაშლი „მოვიპარეთ“, თეთრი ვაშლი იყო, ასეთი გამრიელი და არომატული ვაშლი იშვიათად თუ მიგვმია... გზად ვაგროვებთ ინფორმაციას ხანთუშეთის ციხის შესახებ. გვიხსნიან, ორი ციხეაო იქ ერთმანეთის გვერდიგვერდ, ერთი ხანთუშეთში, ერთიც ვერხვნალში. ასასვლელი ვერხვნალიდან არისო. ხანთუშეთიდან ჩანს ციხის ქონგურები და კოშკი, მაგრამ იქიდან ციხეზე ასვლა შეუძლებელია, კარგად მომზადებული მეკლდეური თუ შეიძლება იმ სიძველეების დაძლევა, ხანთუშეთიდან ციხეზე ამსვლელს რომ გადაეღობება ფრიალო კლდეების სახით. 2009 წლის ექსპედიციის დროს გვაჩვენეს ხანთუშეთს გაღმა „გვირაბი“, აქედან შეიძლებაო ციხემდე აღწევა; თუმცა არავის უთქვამს გვირაბამდე როგორ შეიძლება მიღწევა. ისიც დაამატეს, გვირაბში დათვებიც შეიძლება ბინადრობდნენო... ჩანს, აქედან კარგა ხანია არავინ ასულა ციხეზე და არც არავის გამოუყენებია ეს „მაღარა“. ხანთუშეთელებმა უფრო გადმოცემით იციან, რომ აქედან ასვლა შეიძლება ციხეზე. ასე რომ, სჯობს, ვერხვნალში ავიდეთ და იქიდან ვცადოთ ციხის დალაშქვრა.

წავედით ვერხენალში. სოფლის თავში ვერხენალელი ქემალ სუბაში გავიცანით, კარგი მოსაუბრე, ალაღმართალი კაცი. ბატონმა ქემალმა გვასწავლა ციხისკენ მიმავალი ბილიკები, რამდენიმე ტოპონიმიც ჩაგვაწერინა: **ჯორყანა (\*ჯვარყანა?), კორნაულა/ყორნაულა, საყდარი//სახტარი, ტაბათი//ტბეთი...** ქემალმა ქართული არ იცის და უჭირს ქართული ტოპონიმების სწორად წარმოთქმა, ამიტომაც პარალელური ფორმები ჩავიწერეთ ჩაკითხვის შემდეგ. საინტერესოა, რომ არის ტოპონიმი „საყდარი“, მაგრამ ნასაყდრალიც აღარსადაა სოფელში, წაშლილა პირისაგან მიწისა, ინფორმაცია მისი არსებობის შესახებ მხოლოდ ტოპონიმმა შემოინახა. ჩანს, შავშეთის ყველა სოფელს ჰქონია თავისი ეკლესია, დიდ სოფლებს, ორი და ზოგჯერ მეტიც, მაგრამ ჩვენამდე ცოტამ მოაღწია, ისიც – ნანგრევების სახით.

ზაზა, მალხაზი, გიორგი და მე ავუყვებით ბილიკებს მალლა, ციხისაკენ. შოთამ უარი თქვა წამოსვლაზე, დარდობს, ვერ შეეძლება, ჯობია, სოფელში დაგელოდებითო, თან გიორგის არიგებს, რა ჩაიხაზოს და გადაიღოს...

წინ მე და გიორგი მივდივართ, უკან – ზაზა და მალხაზი. მალხაზი ხშირად ჩერდება და იღებს ყველაფერს. ისე, კაცმა რომ თქვას, გადასადებიც ბევრი არაფერია, მაგრამ გადაღებაში ისვენებს, არ კადრულობს, აღმართში სიარული რომ უჭირს...

არც სხვები ვართ უკეთეს დღეში... 20 კილოგრამს ტყუილად ვატარებო, ჯავრობს თავის ზედმეტ წონაზე ზაზა. ვერხენალის ბილიკებზე ახსენდება თავისი წონა...

ზაზა ზედმეტ ოც კილოგრამს თუ ატარებს, მე რაღა ვთქვა, რომელიც 30-მდე ზედმეტ კილოგრამს ვატარებ კარგა ხანია და ასაკსაც – ამათზე მეტს. მიუხედავად ამისა, არ მიჭირს სიარული. თანაბარი ნაბიჯებით ნელა მივუყვები ბილიკს...

ვერხენალიდან ციხისაკენ ბილიკი ჯერ მალლა მიდის, შემდეგ – განზე და თანდათან მალლდება, ციხის ძირიდან კი

მცირე, მაგრამ საკმაოდ ძნელი აღმართია ასავლელი პირველ კოშკამდე.

ავედით ციხეზე.

ვერხენალის ციხე მთის ბექობზეა აშენებული. იგი სამიარუსიანია: მთავარ კოშკს, რომელიც მეტ-ნაკლებად კარგადაა გადარჩენილი, სახურავიც შერჩენია. მარცხნივ მეორე კოშკის ნანგრევებია, ოქროსმადიებელ „არქეოლოგებს“ აქაც ამოუღწევიათ და „კარგადაც“ დაუტყვიათ „მზრუნველი“ ხელი. მალლა, პირველი კოშკიდან დაახლოებით 30-35 მეტრში, კიდევ ერთი კოშკია. სწორედ ეს ზედა კოშკი ჩანს ხანთუშეთიდან. ციხე ორივე მხარეს აკონტროლებს – ხანთუშეთსაც და ვერხენალსაც...

ციხე სიგრძით 50 მეტრზე მეტია, სიგანე – 7-8 მეტრი. იგი ყველა მხრიდან ბუნებრივი ზღუდეებითაა დაცული: ხანთუშეთის მხრიდან – ფრიალო კლდე, ვერხენალის მხრიდან – ტყე და არცთუ იოლად სავალი აღმართები; ჩრდილოეთიდან ციხე მიუვალია, არც სამხრეთიდანაა იოლად მისასვლელი...

დადლილები ვართ, მაგრამ სასიამოვნოდ დადლილები, კმაყოფილები, რომ ამოვედით.

გიორგი ზომავს, იხატავს, იღებს... ცდილობს, ციხის გეგმა დაიტანოს ქალაქზე, გადაიღოს დეტალები...

მალხაზი ვიდუოგადადებითაა დაკავებული.

ზაზა ათვალისებრებს გარემოს: ხან ხანთუშეთისაკენ მიაპყრობს მზერას, ხან – ვერხენალისაკენ. გაოცებას ვერ მალავს, ვინ ააგო ამ სიმაღლეზე ციხე.

მე კოშკთან ვზივარ და რაღაცას ვინიშნავ უბის წიგნაკში. დაბლა, სოფლის თავში შოთა დგას და ბატონ ქემალს ელაპარაკება თურქულ-ქართულად.

საათზე მეტი დაყვავით ციხეზე. ციხის შესახებ მსჯელობა სასტუმროში გავაგრძელებთ...

მოვდივართ ვერხენალიდან. მალე გურნათელში ჩამოვედით.

ზაფხულის ექსპედიციის დროსაც ვიყავით გურნათელში. მაშინ სოფლის მუხტარი, ყოფილი მასწავლებელი მიქაელ დე-

მირჯი, გაგვიძღვა **ბალათში** (ბალაძეების უბანი) მონასტრის ნანგრევებზე. **სუსუზი** (სიტყვასიტყვით **უწყლო**) – ასე უწოდებენ ახლა უბანს. მანქანა გავაჩერეთ და ფეხით ჩავედით ტყეში, სადაც ვანის ნანგრევებია. ადგილზე მისულეებს გულსაკლავი სურათი დაგვხვდა: მონასტერი დანგრეულია, ქვების გროვაა მხოლოდ. უცნობ ოქროსმაძიებელს გულმოდგინედ უმუშავია, ღრმა თხრილი გაუკეთებია, ალთუნი უძებნია. ჩანს, ძალიან მოუხდომებია... ამ ადგილას გურნათელის ერთერთი საყდარი უნდა ყოფილიყო, თუმცა დღეს ძნელია თქმა, თუ რა ტიპის ნაგებობა იყო – დარბაზული ბაზილიკა თუ რაიმე სხვა ტიპისა.

ადგილის სახელებს გვაცნობს ბატონი მიქაელი: ბალათი, გურნათელი, ვანი...

– ყველაფერი ეს ქართულიაო, – ვუბნებით.

– ალბათ ჩვენც ქართველები ვართო, – დაასკვნა მიქაელმა.

– ასეაო, – დავუდასტურეთ ჩვენც.

როგორც ვთქვი, მეთურქულე შავშეთის მკვიდრთა დიდი ნაწილი მშობლიურენადავიწყებული ქართველები არიან. ალბათ, მათ შორისაა მიქაელ დემირჯიცი.

სოფლის ბოლოს ყოფილი მუეძინი, ახლა ემექლი ისმაილ ალთუნი, გავიცანით. საინტერესო მოსაუბრეა ბატონი ისმაილი, დაუზარელიც; დაგვიპირდა, ხვალ ადრე თუ ჩამოსვალთ, გაგყვებით სოფელში და ძველ ნანგრევებს გაჩვენებთო **ქინბაურში**.

ქინბაურში სამი ეკლესია იყო, სამივე დაინგრაო.

უკვე ბნელოდა, სასტუმროში რომ დავბრუნდით.

## ვანთას ეკლესია და სხვა...

29 ოქტომბერს, დილით, ისმაილ ალთუნს მივაკითხეთ დათქმულ დროს. მოხუცი **ვანთას** ეკლესიისაკენ გაგვიძღვა. თითქმის არაფერი გადარჩენილა, დროსა და ოქროსმაძიებლებს გაუნადგურებიათ ძველი.

– ამ სოფელში უწინ ქართველები ცხოვრობდნენ, მეც ქართველი ვარ, ბაბუაჩემი ბათუმიდან ჩამოსულაო, – აგვიხსნა ისმაილ ალთუნმა და დასძინა: – სხვებიც მეუბნებიან, ქართველები ვართო, მაგრამ ქართული აღარავინ ვიცითო.

ერთი საინტერესო ამბავიც გვითხრა ჩვენმა გიძმა: ბათუმი მდიდარია (ზენგილია), იმდენად მდიდარი, რომ სტამბულსაც ჭარბობსო. არგუმენტი გინდათ? კი, ბატონო: „ბათუმი რომ დეინგრეს, სტამბული ვერ ააშენებს, სტამბული რომ დეინგრეს, ბათუმი ააშენებსო“. ასე გაუგონია ბატონ ისმაილს და სჯერა მისი ჭეშმარიტებისა. იგი ბათუმში არასოდეს ყოფილა, სოფელმა მითხრაო ასე. უთხრეს და დაიჯერა. იწამა თავისი წინაპრების ქალაქის სიმდიდრე და სიკეთე...

– ავაზანათშიც არისო ეკლესია, ქოთეთრისთან ახლოს, – ბრძანა შემდეგ ბატონმა ისმაილმა.

**ვანთას** გაღმით **მორღელი** მოჩანს, თავისი უბნით – **ჭალჭალათი**.

ორივე ტოპონიმი ქართულია. მეორე ცნობილი ფუძეა, თუმცა საკმაოდ უცნაური კომპოზიტი. პირველი კი – **მორღელი** არაა გამჭვირვალე ფუძე. მასში – ელ სუფიქსია უდავოდ. საძიებელია **მორღ** მარტივი ფუძის მნიშვნელობა.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ასევე გეოგრაფიულმა სახელმა **საბღარა** <\*საბუღარა – ლამაზი უბნის ლამაზმა სახელმა.

დღეს პარასკევია. ისმაილ ალთუნს ჯუმის (პარასკევის) ლოცვაზე ეჩქარება (მორწმუნე კაცია და ვერ გამოტოვებს ნამაზს), ამოტომაც აღარ ვაჩერებთ, ჯამიკართან ვემშვიდობებით.



ჩვენ **შირათხევისაკენ** მივდივართ. მაღლა ავუყევით ორღობებს. ღამაში სოფლებია, აღტაცებას ვერ ვფარავთ; გვსურს, ვინმეს გამოველაპარაკოთ, ადგილის სახელები მაინც ჩავიწეროთ, ჩავინიშნოთ სოფლის შესახებ ცნობები...

არავინ ჩანს. მივიწვევთ მაღლა. რამდენიმე წუთის შემდეგ საშუალო ასაკის მამაკაცი გამოჩნდა, გზაზე სანიაღვრე არხს წმენდდა. მანქანა გავაჩერეთ, მივესალმეთ, გავეცანით...

ბარი იქვე მიაგდო, შეიძლება ითქვას, ერთგვარი სიამოვნებითაც და ჩვენთან საუბარი გააბა.

იაშარ გულერი ვარო, გაგვეცნო, ამ სოფლის მკვიდრი, სკოლაში ვმუშაობდიო, ახლა ემექლი ვარო.

იაშარი კარგი მოლაპარაკეა; ჩანს, კარგად იცის თავისი კუთხე. ჩვენც მეტი რაღა გვინდოდა.

– სოფლის ადგილების სახელები გვასწავლეთ-მეთქი, – ვთხოვ იაშარს.

ზაზა უთარგმნის.

– **ანკლია, შირათხევი/შრატხევი (შირატხევი>შირათხევი), ჩიფთლიქი** (ძველი ქართული სახელი არ იცის), **სათაფლია, ცორცელი** (ჩავდარლი) – 25 კილომეტრია აქედან მაღლა, **მოგთა** (<მოგეთა), **სამწყარი/სამწყარი** (\*სამწყალი? უჩირმალარი), **მაღლისა, ავაზანათი, თურთლათი/თურთულათი, მორხოზის** წინ...

ადგილის სახელები, როგორც ვხედავთ, ქართულია (ერთადერთია ჩიფთლიქი, რომლის ქართული სახელი არ ახსოვთ, შეიძლება ახსოვდეს კიდევ ვინმეს). ყურადღებას იქცევს, რომ აქაურ ადგილთა ახალი, თურქული სახელები ხშირად ქართულის თარგმანია: ცორცელი – ჩავდარლი, სამწყარი – უჩირმალარი...

საინტერესოდ გვეჩვენება **მოგეთა** (სოფელია მთაზე გაშენებული). იგი ქართულ წყაროებშიც დასტურდება. რატომ დაერქვა ეს სახელი? „მოგვი – ვარსკულავთმრიცხველი, გინა გრძნეული” – განმარტავს საბა. ნუთუ მართლა ვარსკულავთმრიცხველნი, ანდა გრძნეულნი, ცხოვრობდნენ აქ? ერთი კია,

სოფელი იმდენად მაღალზეა, რომ მართლაც მოსალოდნელია მოგეთა სამყოფი იყო იგი ოდითგან. ვინ იცის, იქნებ!

შოთა მამულაძეს თავისი ინტერესი აქვს, – გზები:

– გვასწავლე, როგორ გადავალოთ აქედან არტანუჯში უმოკლესი გზით? – სთხოვს იაშარს.

იაშარ გულერი ჩაფიქრდა, შემდეგ აგვისხნა:

– უნდა გაიაროთ: **კოთხევი, ანკლია, ჩიფთლიქი, მოგეთა, ცორცელი, ბიჯა, ირმაქლარი** (ალბათ ირმაღლარი – ქართული გამოთქმით) და მიხვალთ არტანუჯში.

ყურადღება მიიქცია ტოპონიმმა **ბიჯა**.

**ბიჯა** – რას უნდა ნიშნავდეს ტოპონიმში **ბიჯ** ფუძე? ნუთუ იგივე ძირია, რაც ნა-ბიჯ-ში? ნუთუ ერთი ნაბიჯია ეს სოფელი?

მოდით, **ბიჯიც** ვნახოთ რას ნიშნავს. საბა განმარტავს: „ბიჯი და ნაბიჯი განიყოფებიან: ნაბიჯი არს ერთისა ფერჯისა გარდადგმა, ხოლო **ბიჯი** მეორისა გარდანაცულება, რომელი ზომით იქნების ხუთი ტერფი”...

იაშარი ცდილობს, ჩვენთვის საინტერესო ამბები გაიხსენოს. არც ისე იოლია, როცა ვთხოვენ, სახელდახელოდ გაიხსენო სოფლის ტოპონიმები, გზები, განსაკუთრებით ძველი, თქმულებები, გადმოცემები... რა აღარ გვაინტერესებს, ბალახის სახელებზე მისვლამდე ყველაფერი. აბა, ვცადოთ ერთი, როგორი გასახსენებელია! ამიტომაცაა, რომ პირველ შეხვედრაზე ინფორმატორი ხშირად ვერ ახერხებს ჩვენი თხოვნის შესრულებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ახლადგაცნობილს ვთხოვთ სიმღერას ან ცეკვას, დალოცვას ან დაწყევლას, ფირალის ლექსს ან ზღაპარს, სოფლის ტოპონიმებს თუ აჭარისაკენ გადამავალ გზებს... იაშარი ახერხებს, გაიხსენოს ზოგიერთი რამ:

– სარაი სირთხე ქუფები (ქვევრები) ყოფილა, შარაბი (ღვინო) უკეთებიან, დაბლიდან უზიდვან ყურძენი... სარაი სირთი ავაზანათშია, ახლა ნანგრევებია მხოლოდ. ადრე თურმე ბავშვები აქ რკინის მონეტებს ნახულობდნენ...

საინტერესოა, რომელი ქართველი დიდებული ცხოვრობდა სარაი სირთზე მდებარე სასახლეში... სოფლის მეხსიერებას არ შემოუნახავს მასზე ცნობა, ყოველ შემთხვევაში, იაშარმა არ იცის. საინტერესოა ისიც, თუ რა მონეტებს პოულობდნენ ბავშვები...

ერთი უცნაური ამბავიც მოგვიყვა მთხრობელმა:

– სარაის დიდი გველი იცავსო, ამ ბოძის ხელაო (გვითითებს ელექტროდენის ბოძზე). იქ ჩამოყრილი ქვებია, გველი რომ შიგ შევა, ქვები იბერებაო... ამბობენ, ღამ-ღამობით გამოდისო გველი გარეთ. ტრაქტორისტმა თქვა, ვნახეო. ცხვარს, კურდღელს ჭამს გველიო. სხვაგანაც დასტურდებაო ასეთი რამ, იხსენებს იაშარი. ოლთისში გზის მშენებლობისას ორი გველი გამოვარდაო მიწიდან, ერთი მოკლეს, მეორე – გაიქცაო. იქაც ცხვრები იკარგებოდა, გველს აბრალებდნენო...

ამ გადმოცემებში მნიშვნელოვანია ის, რომ მთქმელს თავად არ უნახავს, სხვამ ნახა და თქვა...

– ქილისე თეფეზე ძველათ მღვდლები ყოფილანო, – დასძინა იაშარმა.

ქილისე თეფეზე, სავარაუდოა, ეკლესია იყო. ეკლესიაში კი, ბუნებრივია, მღვდლები იქნებოდნენ. ამ ცნობაში მთავარია, რომ მეთურქულე შავშეთის მეხსიერებასაც შემოუნახავს ქრისტიანობის კვალი ამ კუთხეში.

იაშარმა ჩაგვაწერინა მცირე თქმულება ტოპონიმ **ქილის** შესახებ.

წინათ საპონი რომ არ იყო, სარეცხს აქაური ქვიშით, ქილით რეცხავდნენო; ადგილის სახელიც ამ ქვიშის, ქილის მიხედვით გაჩნდაო, – აგვიხსნა იაშარმა.

ამ ცნობის მიხედვით, **ქილი** ქვიშაა.

საბას „სიტყვის კონაში“ ქილი არ გვხვდება.

აჭარულში, იქნება სხვა დიალექტებშიც, „ქილის მიყრა“ „მსხილის მიყრაა (ბუხებისაგან) ხორცზე – ჩამსხმილვა“ (შ. ნიჟარაძე), ხოლო ქილი „კრკილი – გამხმარი ხორცის მღრღნელი ჩრჩილი, მატლი“ (შ. ნიჟარაძე). საბას განმარტებითაც „მწერთ კვერცხი“ მხმილია. ქილი ქვიშის მნიშვნელობით

შავშურში დადასტურდა, მეთურქულე შავშეთში. შეიძლება აქ ქილის მნიშვნელობის გადააზრებასთან გვეკონდეს საქმე. ქილის კვერცხი ქვიშის მარცვალივითაა, შეიძლება ამიტომაც შეარქვეს ქვიშას კილი//ქილი.

ამავე სოფელში ჩავიწერეთ სხვა ტოპონიმებიც: ნარი კოლა (\*ნარი კოლა//<ნარი ყალა?), საბზელეთი, სიანთეური (<სანთეური<სამთეური?), მუხობანი (<მუხუბანი), თოთიძელარი (\*თოთიძეები, სირა სინკოთის ახლოს), შინდობანი.

შინდობანში ძველად თავადებს უცხოვრიათო, ამბობენ. აქ ძველი ხიდიც ყოფილა, დანგრეულია...

ჩვენი წახვლის დრო დგება. ზემო სოფლებში უნდა ავიდეთ. დავემშვიდობეთ იაშარ გულერს. გვთხოვს, ჩამოვლისას ჩაიხე გეპატიუებით, აუცილებლად მნახეთო. ორ საათზე მეტი გავიდა, უკან რომ დავბრუნდით. იაშარს სამოვარი გზის პირას გამოეტანა, რითაც გვანიშნებდა, აქ ვცხოვრობო და გელოდებითო.

მანქანა გაგაჩერეთ და ეზოში გადავედით. გაიხარა. დატრიალდა, მოიტანა ჩაის ჭიქები, დაბალი სკამები, სამოვარს შეშა ჩაუმატა... უხაროდა, რომ მასთან მივედით...

უნებლიედ ერთი ძველი ამბავი გამახსენდა, ბატონი აზიზ ახვლედიანის მონაყოლი: 60-იან წლებში ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივს ექსპედიცია ჰქონდა ბეშუმში. ბეშუმის დარაჯი რიზალი ჯიმშერაძე დაუახლოვდა ექსპედიციის წევრებს და ერთხელ ვახშმადაც მიიწვია ახალგაზრდები ოჯახში, მაგრამ ბატონი აზიზი და სხვებიც სადღაც შემორჩნენ და დაავიწყდათ, რომ დაპატიუებული იყვნენ. ელოდა თურმე რიზალი დიდხანს სტუმრებს... მეორე დღეს შეხვდნენ გუშინდელი ნაქეიფარები.

– გამარჯობაო, – მიესალმენ.

ხმა არ გასცა მოხუცმა, სალამს არ უპასუხა.

– რა მოგივიდაო? – ეკითხება ბატონი აზიზი...

– ეზიზავ, დამთლი, დაგთლი, არ დამთლი და არც მე დაგთლიო, – კბილებიდან გამოცრა ნაწყენმა და გაჯავრებულმა.

რა თქმა უნდა, გამოასწორეს უნებლიე შეცდომა ექსპედიციის წევრებმა და „დათვალეს“ რიზალი ჯიმშერაძე.

„რომ დავთვალეთ“, ეს ახარებდა ბატონ იაშარს.

პირველი ჭიქა ჩაი თავად დალია, ჩვენთვის არ შემოუთავაზებია. შემდეგ აგვიხსნა: პირველი ჭიქა მასპინძელმა უნდა დალიოსო, უნდა გასინჯოს, გემრიელია თუ არა ჩაი. რომ დარწმუნდება, სტუმრების შესაფერისი ჩაი მაქვსო, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიართვას სტუმრებსო.

არის იაშარის ახსნაში რაღაც ჭეშმარიტება.

შემოდგომის მზიანი ამინდია. ვსხედვართ იაშარ გულერის ეზოში და ჩაის შევექცევით. თან ვსაუბრობთ. იგონებს მასპინძელი ქვეყნის ამბებს. აშკარად ეტყობა, ნასიამოვნებია ჩვენი სტუმრობით...

ზაზამ მეორე ჭიქა ჩაიზე უარი თქვა. იწყინა იაშარმა, ჩაის ხომ არ მიწუნებო. შემდეგ, უხერხულობის გასაფანტავად, ნახევრადხუმრობით თქვა: სტუმარი ერთი ჭიქის მეტს რომ არ დაღვეს, მასპინძელი იფიქრებს, არ მოეწონაო. ორზე მეტს რომ დაღვეს, იტყვის, რამდენს სვამსო... ორი მაინც უნდა დალიო, უთხრა ზაზას.

მოვრჩით ჩაის. დავემშვიდობეთ იაშარს და გურნათელისაკენ დავეშვით. იქ სოფლის მუხტარი მიქაელ დემირჯი გველოდება. ამ დღით შევხვდით, ძველი ნაცნობია, გაიხარა და გვითხრა:

– მაღლა სოფელში ჯანაზაა, ახლა იქ უნდა წავიდე. შუადღის შემდეგ მეცლება და გაგყვებით გურნათელის დასათვალიერებლად. ხვალისათვის შეიძლება ვეღარ მოვიცალო, სჯობს, დღეს შევხვდეთო.

ჩვენც დღეს გვერჩია. შემოდგომაა. ვინ იცის, ხვალ იქნებ ამინდიც გაფუჭდეს და ვეღარ მოვახერხოთ გურნათელის დათვალიერება...

შუადღე გადაცილებული იყო, გურნათელში რომ ჩამოვედით და მიქაელ დემირჯის შევხვდით.

მიქაელმა კიდევ ორი თანასოფელი გამოიყოლა და ქილისისაკენ გაგვიძღვა. ფეხით მივდივართ. წინ რამდენიმე კი-

ლომეტრი სოფლის ბილიკი გვიდევს გასავლელი. ნელი ნაბიჯით მიფუყვებით ორღობებს. მიქაელის სახლის მახლობლად, საბძელთან, ყურძენია ხეზე. გარეგნულად ჩვენებურ ჩხავერს ჰგავს; ჯერ კიდევ ასხია, გავსინჯეთ, გემოთიც ჩამოგავს ჩხავერს.

– ვამბობ, ჩხავერია-მეთქი.

– რუსული ყურძენიაო, – გვეუბნებიან.

არ არის ეს ყურძენი ადესა, სხვა ჯიშია; საუბედუროდ, არ ახსოვთ გურნათელებს მისი ძველი, ნამდვილი სახელი. საერთოდ მაინტერესებს ყურძნის ჯიშების სახელწოდებები, რაღაც ჩანაფიქრიც მაქვს, ყველგან ვკითხულობ, მაგრამ ჭკოროხის ხეობაში ბევრს ვერაფერს ვპოულობ; არადა, ცნობილია, ჭკოროხის ქვეყნებში ვაზიც რომ ხარობდა სხვა მრავალფეროვან ხილთა შორის...

გზად სოფლის უბნებს გვაცნობს მიქაელი:

**ბალათი** – ბალაძეებს უცხოვრიათ აქ. მაჭახლიდან მოსულანო გურნათელში ბალაძეები, ასე იცინა გადმოცემით. აქ დასახლებულან და სოფლის უბანსაც შერქმევია სახელი ამ გვარის მიხედვით. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მაჭახელში ბალაძეების კვალი არ ჩანს, შეიძლება ოდესღაც სახლობდნენ. გურნათელთა ხსოვნამ შემოინახა ეს ცნობა...

**ზენდაბა, მოროხოზი, ფიქალთა, ანკლია, ჯურმული, კოკოშაური, წიწელთი, გძელყანა, აღნაური, ნატაძრევი, ნაურმე...**

ნატაძრევიში ტაძარი ყოფილა ძველად. ტაძარი აღარსადაა, სახელი დარჩა. გეოგრაფიულმა სახელმა შემოინახა ცნობა აქ ტაძრის არსებობის შესახებ. სოფლის მეხსიერებაში დიდხანს რჩება ხსოვნა არსებული მატერიალური კულტურის ძეგლისა თუ რაიმე ისტორიული ფაქტის შესახებ; და რაც ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, ტოპონიმები ქართულია. ჩამოთვლილ გეოგრაფიულ პუნქტებს აქვთ თურქული სახელწოდებაც, მაგრამ სოფელს ქართული ახსოვს; იმ სოფელსაც, რომლის მკვიდრნი საუკუნეზე მეტია, ქართულად ვეღარ ლაპარაკობენ.

სამი ეკლესია ყოფილა გურნათელის სხვადასხვა უბანში. ვვარაუდობთ, რომ ამ სამიდან ერთი გუნათლეს ვანია, დედათა ის მონასტერი, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ რომაა ნახსენები, მაგრამ რომელი?

ამ ეტაპისათვის მნიშვნელოვანია, რომ გურნათელი//<გუნათლე (რ შემდეგაა განვითარებული) გეოგრაფიული პუნქტი აღმოჩნდა და სხვაგან აღარაა საძიებელი. გუნათლეს ვანიც ამ არეალში უნდა ვეძიოთ. ვნახოთ, რას მოგვცემს შემდგომი ეკლესია. იქნებ დადგინდეს გუნათლეს ვანის ადგილი...

უჯამურთა კლდე (\*<უჯამურთა კლდე? ჯქ მონაცვლეობა დასაშვებია ქართულისათვის). უჯამო (>უჯამური, შდრ. უდლეო > უდლეური) კი ქართულში ცნობილი სიტყვაა და ნიშნავს „უდროს“, უჯამური კი – „უდროულს“. თუ ჩვენი დაშვება სწორია, მაშინ ტოპონიმი „უჯამურთა კლდე“ გარკვეულ ფიქრებს აღძრავს, თუ რატომ დაერქვა ასეთი უცნაური სახელი გეოგრაფიულ პუნქტს, რას ფარავს ეს საგეოგრაფიო სახელი თვისთავეში?...

**ჯაფარას ხარო, აღმა-დაღმა, ჭილღული (\*<ჭილათი), ბუნათი...** საინტერესო ფუძე ჩანს ბუნა/\*ბუჯა... მისი მნიშვნელობა უცნობია.

მივივივართ ორთვალას ხეობაში „გურნათელის ქილისას“ სანახავად. ერთი საათის სავალზეაო აქედან ეკლესია, – გვითხრეს მასპინძლებმა. შოთა სოფელში დარჩა, მიქაელის ოჯახში. გავცდით სოფელს და დავადექით საცალფეხო გზას, რომელმაც ტაძრამდე უნდა მიგვიყვანოს. გზად გავიარეთ **დახმეთური, ყარადაღი, ბენათი...**

ტაძრის მისაღვომებთან ფერდობზე ნანგრევებია, ტაძრის მხარესაც ჩანს ნამოსახლარი. შესაძლებელია, აქ ძველად სოფელი იყო, ვინ იცის.

ეკლესია, უფრო ეკლესიის ნაშთები, მდინარისპირა კონცხზეა. იგი საკმაოდ დიდი ჩანს, თუმცა მოღწეულით მისი არქიტექტურის განსაზღვრა შეუძლებელია.

განძისმაძიებლებს გულმოდგინედ უმუშავიათ, დრმა თხრილი გაუკეთებიათ, სიდანაც კარგად ჩანს ეკლესიის მყარი საფუძველი.

ეკლესიის ეზოში სასაფლაო ყოფილა. „არქეოლოგებს“ გაუთხრიათ სამარხები და მიცვალებულთა ნაშთები იქვე მიუტოვებიათ. ვერ მოვუწონეთ გურნათლეებს ასეთი საქციელი, ვერც ანკლიელებს!... ტაძრის ეზოში სასაფლაოებმა გაგვახსენა გიორგი მერჩულის თხზულებიდან ერთი ეპიზოდი, გაბრიელ დაფანჩულს რომ ათქმევინებს: „და, ვითარცა მიცვალებულთა მამათათუს ხანძთად განმიწესებია, ეგრეთვე იყოს სამარხავი მიცვალებულთა დედათად აწ შენებულთა მათ“. გრიგოლმა „ძიება ყო გულისმოდგინედ და პოვა ადგილი კეთილი გუნათლეს მახლობლად, ჯუარი დასწერა და მუნ აღაშენეს მონასტერი დედათად, რომელსა აწ ქვიან გუნათლეს ვანი“.

გიორგი მერჩულის ცნობაში ჩვენთვის საინტერესოა ცნობა იმის თაობაზე, რომ დედათა მონასტერი გუნათლეს მახლობლად მდებარეობს და არა უშუალოდ გუნათლეში. ჩვენს მიერ ორთვალის ხეობაში ნახული ტაძრის ნანგრევები სწორედ გურნათელის მახლობლად მდებარეობს, სოფლის გარეთ. ეს ფაქტი გვაძლევს უფლებას, დავუშვათ ერთი უწყინარი ვარაუდი: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ნახსენები გუნათლეს ვანი და ორთვალის ხეობაში მდებარე ეკლესიის ნაშთები ერთი და იგივეა. სხვაგვარად: გუნათლეს ვანი ორთვალის ხეობაში უნდა ყოფილიყო.

ვფიქრობთ, გუნათლეს ვანის სხვაგან ძიებას აზრი არ აქვს. გუნათლეს ვანი გურნათელში (<გუნათლეში) უნდა ვეძიოთ.

ტაძარი დამუშავებული ქვებითა და კირხსნართაა ნაგები. შემორჩენილი ნაშთები მის სიძველეზე მიგვანიშნებს...

გიორგიმ აზომა ეკლესია, ჩაიხაზა, გადაიღო... მალხაზმა ვიდეოფირზე აღბეჭდა ყველაფერი.

უკვე ბნელოდა, ეკლესიის მახლობლად, ყირმიზი ყაიას ახლოს ტყეში „წარწერებიანი“ ქვის სანახავად რომ წავედით. დაახლოებით 15 წუთში დანიშნულ ალაგას მივედით.

ქვა საკმაოდ მოზრდილია. ერთი კვადრატულ მეტრამდე იქნება მისი დამუშავებული ზედაპირი. რაიმე კონკრეტული წარწერა მასზე არ იკითხება; ზედაპირზე გაირჩევა რამდენიმე ამოკაწრული ნიშანი: ..... მარჯვენა მხარეს სწორი, ვერტიკალური ხაზია, თითქოს ჯოხი დანაჭდევებით...

ქვის დათვალიერების შემდეგ რამდენიმე კითხვა დაგვებადა: რას უნდა ნიშნავდეს ეს ნაჭდევებიანი ჯოხი? რაზე მიგვანიშნებს ისრები? ასევე კარგად გაირჩევა ქვის მარცხენა და მარჯვენა მხარეს ორი მორკალური ღარი. მიქაელის თქმით, ეს ყილიჯი (ხმალი) უნდა იყოს. მოგვაგონებს კიდევ ეს ღარები რაღაცით ხმალს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია...

რაიმე კონკრეტულის თქმა ამ ლოდის შესახებ ძნელია.

უკვე ბნელა. უკან ფეხით სოფელში ასვლა გაგვიჭირდება. ამას ემატება საწვიმარი ღრუბლებიც, გურნათელის თავზე რომ გროვდება. მასპინძლებმა გადაწყვიტეს, დაერეკათ სოფელში და მანქანები გაღმა სოფელში, ანკლიაში ჩამოეყვანათ.

ღარეკეს კიდევ. რამდენიმე წუთში შემოვლითი გზით მოვლენო ანკლიაში, – გვეუბნება მიქაელი.

ახლა საჭიროა, გადავლახოთ მდინარე და სამანქანე გზაზე გავიდეთ. ამ აღმართების ავლას გვირჩევენია, ფეხზე გავიხადოთ და გავიაროთ თუნდაც ცივ მდინარეში.

ვიდრე წყალში შევიდოდით, მასპინძლებმა კარგად დაათვალიერეს, ეგება სადმე საცალფეხო ხიდი იყოსო და იმით გადავიდეთ გაღმა ნაპირზე. ასეთი არაფერი აღმოჩნდა.

– **წანწალაქი** არ არის მდინარეზეო, – წყენით ჩაილაპარაკა მიქაელმა.

ყური ვცქვიტეთ.

– რა არ არის-მეთქი მდინარეზე? – ვთხოვ ზაზას უთარგმნოს მიქაელს.

– **წანწალაქი**, – მპასუხობს გაღიმებული მიქაელი.

ვერ ხვდება მასპინძელი ჩემი დაინტერესების მიზეზს. წანწალაქი ხომ მდინარეზე გადებული საცალფეხო ხილია. საბას ლექსიკონში შეტანილი აქვს წანწალა. „ჭილთან ნახეო“ გვირჩევს ლექსიკოგრაფი.

საბა ხიდის რამდენიმე სახეს განარჩევს:

„მდინარეზე გადებულს დიდსა და ვრცელს კილი ჰქვან; მომცროს ბოგირი;

და ერთს ხეს გადებულსა **წანწალა**;

ხოლო უსურვახით დაწნულ გაბმულს ბონდი“.

**წანწალას** განმარტავს ნ. ჩუბინაშვილიც.

რადგანაც მდინარეზე **წანწალა/წანწალაქი** არ იყო, ფეხსაცმელები გავიხადეთ და გაღმა ნაპირზე გავედით. მაღლა, სოფლის შარაზე კი შოთა გველოდებოდა მიქაელ დემირჯის შვილთან ერთად მანქანებით.

სავახშმოდ დემირჯებმა ოჯახში მიგვიწვიეს.

გზად ტელეფონის ზარი გაისმა. იაშარ გულერი, შირათ-ხევიდან, ურეკავდა გურნათელს მიქაელ დემირჯის:

– გურჯები იყვნენ, შენ გეძებდნენ, რა იქნა, ნახეთ ალთუნო?

– ასეთი არაფერია, ესენი თავიანთ ისტორიას ეძებენ აქო, – უპასუხა ბატონმა მიქაელმა.

ჩვენი სათქმელიც ეს არის: ამ კუთხეში „ჩვენს ისტორიას ვეძებთ“, სხვას არაფერს. მიქაელ დემირჯის მოსწრებული ფრაზით შეიძლება შეფასდეს მთელი ჩვენი საქმიანობა თურქეთის საქართველოში.

მშვენიერი გამართული ოჯახი აქვს მიქაელ დემირჯის; საგულდაგულოდ მოვლილ კარ-მიდამოს ეტყობა მზრუნველი ხელო.

მიქაელის ცოლი მამანელისიდანაა. ჰყავთ სამი ვაჟი და ერთი ქალი. ქალი გათხოვილია და ცალკე ცხოვრობს...

როგორც აქაური სტუმარ-მასპინძლობის წესია, სასტუმელოთახში შეგვიყვანეს, ხელი დაგვაბანინეს, შემდეგ სურნელოვანი წყალი გადაგვავეღეს ხელზე და ვიდრე სუფრას გაშ-

ლიდნენ, ტკბილეული შემოგვთავაზეს. ცდილობდნენ, შინაური ატმოსფერო შეექმნათ, რომ უხერხულად არ გვეგრძნო თავი.

დაიწყეს სუფრის გაშლა. დედა კარებში ვაუებს აწვდიდა კერძებს, მათ მომცრო მაგიდაზე დააღაგეს: ქაღები (ყველითა და ნიგვზით), ოჯახში გამომცხვარი პური, სუთლი (რძეში მოხარშული ბრინჯის ფაფა), ერბოში ჩამდნარი ყველი (აქაური ფშნილა, მოხრაკულის თუ ბორანის მსგავსი, ზემო აჭარაში რომ იციან, ისეთი), ასკილის ჯემი, შინდის ბეთმეზი, თაფლი, ერბო-კვერცხი და ჩაი, განუყრელი ატრიბუტი შავშური, თუ საერთოდ თურქული, სუფრისა. აღვნიშნავთ ერთ გარემოებასაც: ცნობილია, რომ მუსლიმანური ტრადიციით ქალი მაგიდას არ ემსახურება, ამ საქმეს მამაკაცები ასრულებენ, უფრო სწორად, ქალი უცხო მამაკაცებთან არ ჩნდება საერთოდ, ეკრძალება, „დასაღია“. თუმცა ჩვენი მასპინძელი ამ მხრივ გამონაკლისია. არ მოგვრიდებია, შემობრძანდა, გაგვეცნო სათითაოდ, მოგვიბოდიშა, ბევრი ვერაფერი მოვასწარი, ნაუცბათე ვად მოვამზადე ყველაფერიო... აქ ერთგვარი სინთეზი დავინახე ქართული და თურქული ტრადიციისა. მიქაელის მეუღლე ისევე იქცეოდა, ჩვენთან რომ იციან ქალბატონებმა: გიმასპინძლებენ, გაუჩნებენ გაგიჩნენ, ბოლოს ბოდიშს მოგიხდიან, უკეთესის ღირსი ხართ, მაგრამ მეტი ვერ მოვასწარიო. დემირჯების ოჯახში ისეთივე სიტუაცია დამხვდა, ჩემი ბავშვობის სოფლიდან რომ მახსოვს...

სუფრას მივუსხედით. დადგა ყველაზე ძნელი მომენტი – ჭამა. მაგიდაზე არ მოუტანიათ სტუმრებისათვის თეფშები, მხოლოდ ჩანგლები ელაგა. ჩანდა, საერთო თეფშიდან უნდა მიგვერთვა კერძები, რაც შეუჩვეველი კაცისათვის ერთობ ძნელია. მასპინძელს ვუყურებდით, თავად როდის დაიწყებდა ჭამას, ჩვენც რომ ისე მოვქცეულიყავით. უხერხულობა შეგვატყო. გვეპატიუებოდა, „ბრძანეთო“, თავად და მისი ვაჟებიც მაღიანად შეექცეოდნენ. აქ შოთამ და მაღხაზმა იმარჯვეს. მაღლე სძლიეს თავს და მასპინძლის მიბაძვით ერთმანეთის მიყოლებით დააგემოვნეს ყველა კერძი...

ზაზა, გიორგი და მეც ნელ-ნელა ჩავერთეთ ამ მეტად ძნელ საქმეში.

ყველაფერი გემრიელი იყო, მაგრამ განსაკუთრებული არ-ომატიო ხასიათდება აქაური თაფლი, აქვს რაღაც მომჟავო-მოტკბო გემო. თაფლის დიდი მოყვარული და მცნობელი არა ვარ, მაგრამ ასეთი გემრიელი თაფლი არ დამიჭაშნიკებია.

შევუქე, გემრიელი თაფლია-მეთქი.

– ჩვენი ოჯახის თაფლია, აქაური მინდვრის ყვავილი თავისებურ არმატს აძლევსო მას, – გაგვიმარტა მასპინძლის ვაჟმა.

– განთქმულია შავშური თაფლი მთელს თურქეთში და ძვირადაც ფასობს, 30 ლირამდე ღირსო, – დაამატა მიქაელმა.

მარტო აქაური საქონლისა და თაფლის ნახვამ საკმარისი, რომ დარწმუნდეთ, რაოდენ მდიდარია მეთურქულე შავშეთის ბუნება, აღარფერს ვამბობ აქაურ ხილზე. უძველესი დროიდან უშენებიათ შავშელებს ტერასები პურეულისა და ბახჩეულის მოსაყვანად, ამიტომაც იყო შავშეთის ეს ნაწილი საუკეთესო მარცვლეულის ქვეყანა. შავშური პური ბათუმის ბაზარზეც იყიდებოდა ძველად.

საერთოდ მდიდარია შავშეთის ქვეყნის ეს ნაწილი: ნოყიერი ნიადაგები, ვრცელი საძოვრები და იალაღები იძლეოდა საშუალებას მეცხოველეობისა და მემინდვრეობის განვითარებისათვის. ტყე კიდევ სავსე იყო მრავალგვარი ხილითა და მხალეულით, რასაც ვერ ვიტყვით მექართულე შავშეთზე, სადაც დიდი ჭაპანწვევტა სჭირდება კაცს ოჯახის გამოსაკვებად. „აქაურ კაცს ფუში არ გაუძღებო“, – შემომჩივლა ერთმა იმერხეველმა...

კიდევ ერთი, შავშურ ოჯახში რომ გეცემათ თვალში: აქაური კაცი კარგად იყენებს ტყის ნობათს, წლის შესაბამის დროს აგროვებს ასკილს, შინდს, მოცვს, სხვა კენკროვნებს, ტყის ხილს... და ამზადებს ჯემებს, მურაბებს, ბეთმეზს, ფესტილს (თელაპს), ჩირს, სხვადასხვა ჩაის სამკურნალოდ...

უხვად გვიმასპინძლა დემირჯების ოჯახმა. წამოსვლისას დიასახლისმა კიდევ ერთხელ მოგვიბოდიშა, საკადრისად ვერ დაგხვდითო.

ვიდრე ვვახშობდით, გაიგეს რა ბათუმიდან მეცნიერები არიან ჩამოსული და აქაური სიძველეები აინტერესებთო, დემირჯების ეზოში ქვემოუბნელი კოპაძეები ამოსულიყვნენ და გვთხოვეს, ჩვენთანაც ჩამოვლით, ეზოში ძველი ქვა გვაქვს, წარწერებიანი, ეგებ აგვიხსნათ, რა წერიაო ზედ.

კოპაძეები მაჭახლიდან მოსულან გურნათელში ორი საუკუნის წინ. მათ წინაპარს მშობლიური ეზოდან წამოუღია გათლილი ქვები ადგილის დედის გასახსენებლად. აქ, ორთვალ-წყალის ნაპირას სახლი გაუმართავეს, გამრავლებულა... მაჭახლიდან წამოდებული ფუძის ქვა არ ავიწყებდა გურნათელ კოპაძეთა თაობებს მშობლიურ კუთხეს. ასეთი ქვა მაჭახელშიც დარჩაო, გვიხსნიდა მასპინძელი.

ასე იშვა ლეგენდა კოპაძეთა ერთი ოჯახის შავშეთში გადასახლებისა და ახალ სამოსახლოში ფუძის ქვის წამოდების შესახებ.

მოზრდილი, გათლილი ქვაა სადა ორნამენტებით. წარწერები ზედ არ არის. ეს ქვა ძველი სახლის კედელში ყოფილა ჩაშენებული, ახლა ეზოში დევს...

კოპაძეების სამოსახლოში კიდევ ერთი სიძველე გვიჩვენეს, – ძველი წყარო. ზამთარში თბილიაო წყალი, ზაფხულში – ცივი. წყარო იქვე გამოდის, გათლილი ქვებით აუზი ამოუშენებიათ, იქიდან კი მიღებით ოჯახებშია გაყვანილი...

ვსაუბრობთ კოპაძეების ეზოში. წვიმა წამოვიდა. აცივდა კიდევ. ხვალისათვის კარგი ამინდი გვსურს, კიდევ რამდენიმე სოფელი გვაქვს სანახავი.

## დაბაწვრილსა და ციხისძირში

30 ოქტომბერი გათენდა. წვიმს, ცივა. მთები დაუთოვლია ღამით. ჩვენი დროით დილის 10 საათი იქნებოდა, ყარაგოლისაკენ მიმავალ გზას რომ დავადექით.

ყარაგოლი ტბაა შავშეთის მთებში, მთის კრატერში გაწოლილი მოზრდილი ტბა. ირგვლივ წიწვოვანი ტყეა დაბურული, სუფთა და კარგად მოვლილი. ტურისტების მოსაზიდად გზა გაუკეთებიათ, ბაზებიც აუშენებიათ სასტუმროთი და რესტორნით. მართალია, გვიანი შემოდგომაა, მაგრამ ტურისტები მაინც არიან ყარაგოლზე. ჩვენ რომ მივედით, 12 კარავი იყო გაშლილი ტბის სამხრეთით...

შემოდგომაზე ნაძვის ყვავილობის დროა და ჰაერიც განსაკუთრებით ჯანმრთელია ახლა.

წვიმს გადაუღებლად. მაინც გვსურს, დავათვალიეროთ გარემო, დავტკბეთ ბუნების მშვენიერებით... მაღლა აუყევით გზას, რამდენიმე კილომეტრის გაგლის შემდეგ მანქანას გაუჭირდა, გზა ზვავს წაეღო და იძულებული გახვდით, უკან დაავრუნებულიყავით...

ყარაგოლიდან დაბაწვრილისაკენ წავედით. შორიდან კოშკი გამოჩნდა. ეს დაბაწვრილის ციხეა. გვიხარია, კიდევ ერთ ძეგლს ვნახავთ.

დაბაწვრილი ველზე გაშლილი მთის სოფელია. სოფლის თავში, შემადლებულ ადგილას, დგას ციხე, უსახელო დარაჯი სოფლისა და მისი მიმდებარე რაბათისა. ვუწოდოთ მას დაბაწვრილის ციხე. მისი ისტორიული სახელი აქაურთა სსოვნას არ შემორჩენია; რამდენადაც ვიცით, არც ისტორიული საბუთები მოგვითხრობენ მასზე. იგი ტიპური საფორტეფიკაციო ნაგებობაა...

სოფლის ის უბანი, სადაც ციხე დგას, რამდენიმე წლის წინათ გადამწვარა და ხელისუფლებას აღუდგენია: ახალი სახლები, ორღობები გამოარჩევს ციხის უბანს სხვათაგან.

უცხო მანქანის გამოჩენაზე ეზოში რამდენიმე დაბაწვრილელი გამოვიდა.

- თუ შეიძლება, ციხეზე ავიდეთ-მეთქი, - ვიკითხე.
- მიბრძანდითო, გვიპასუხეს და გზაც გვაჩვენეს.

შოთა, მალხაზი, გიორგი და მე ციხეზე ავედით. ზაზა დარჩა დაბაწვრილელებთან სასაუბროდ.

წვიმს.

ციხე არაა დიდი. ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ კოშკი, ჩანს კედლის ნანგრევები.

დაგვინახა რა ციხეზე ვიყავით, ერთი დაბაწვრილელი, აიჰან კობიძე, ამოვიდა ქოლგითა და რეზინის ჩექმებით. მელაპარაკებოდა ციხისა და სოფლის შესახებ...

შოთა და გიორგი ზომავენ ციხეს, ინიშნავენ, იხაზავენ, იღებენ - მასალებს აგროვებენ სამომავლოდ.

მალხაზმაც გადაიღო, რისი გადაღებაც შეიძლებოდა. ამჯერად ჩვეულებრივზე ადრე მორჩა გადაღებებს...

მე და აიჰანი, შემდეგ მალხაზიც, დაბლა დავეშვიტ, სადაც ზაზა გაცხარებული რაღაცას უმტკიცებდა შეკრებილებს...

წვიმდა, ვჩქარობდით. სველ კორდზე დამიციდა ფეხი, უხერხულად დავეცი, მაგრამ გადავრჩი...

რამდენიმე წუთის შემდეგ მოსაუბრეებს შევეურთდი.

- რატომ ჩხუბობ-მეთქი,- ვეკითხები ზაზას.

- სომხები იყვნენო აქ, ვერაფრით გავაგებინე, რომ ეს ქართველების მიწაა და არა სომხების, - ცხარობს ზაზა.

- ზაზა, დაბლა რაბათია, სადაც რაბათია, იქ სომხებიც გაჩნდებიან. ალბათ რაბათის სომხებზე გეუბნებოდნენ-მეთქი, - ვამშვიდებ.

- არა, აქაურობა სომხებისააო, ვერაფრით გადავათქმევი-ნე, - ბრაზობს ზაზა.

- ზაზა, სოფლის თავზე, ნ. მარის ცნობით, სომხური ეკლესია უნდა იყოს, ქართული ეკლესიის საძირკველზე დაშენებული. ჩანს, აქაურ თავადს სომხისთვის მიუყიდა მიწა, ახალ პატრონს ეკლესია აუშენებიაო, - ამშვიდებს მალხაზი ზაზას.

- მერე რა, რომ სომხური ეკლესიაა აქ. თავად ამბობენ, რომ ადგილის სახელები ქართულია, იცინან ძველი ქართული გვარებიც და მაინც მიმტკიცებენ, აქაურობა სომხურიაო, - არ ჩერდება ზაზა.

- მე პროფესორი ვარ, ისტორიკოსი და კარგად ვიცი, რასაც ვლაპარაკობ, - ეუბნება ზაზა, უკვე დაწყნარებით, ერთ-ერთ კობიძეს.

- მე რა, კეპით რომ ვარ, იდიოტი ხომ არ გგონივარ? - კითხულობს კობიძე...

ბოლოს ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, მოვირგდით: ადგილის ძველი სახელები ქართულია, ადგილობრივთა ძველი გვარები ქართულია, ბუნებრივია, აქაური მიწაც ქართულია. თუ რომელიმე სომეხმა ადგილობრივი თავადისაგან მიწის ნაკვეთი იყიდა და იქ სომხური ეკლესია ააგო, ეს საერთო ვითარებას არ ცვლის. სხვათაშორის, ზაზამ ვერ გაუგო ახალგაზრდა კობიძეს, თორემ ისიც ხომ იმას უმტკიცებდა, აქაურობა სომხის იყო ძველად...

ტოპონიმებს ვიწვრთ: **თაუზათი//თავზეთი, ჭოღაძეღარი//ჭოღაზეღარ <\*ჭოღაძეები, აგარა, მუყაღელღარ, კობაძეღარი//კობაზეღარი<\*კობაძეები, დემურჯიღარ<\*დემურჯები, ხარაძეღარ//ხარაზეღარ<\*ხარაძეები, მანსურათი, ბაგათი, თეთრობი, ხარი მათაღი, კოღითავი, წინობანი, ღურეთბა(\*ღურეტბა<\*მღვრიეტბა?), ქიღისეღარ, ვაკე, ბითაური, თეთრი სათიბი, დაჭერული, წაღკოტი, მორბედეღა, გორგოშა...**

დაბაწვრილის ტოპონიმიაში რამდენიმე მომენტს უნდა მიექცეს ყურადღება, კერძოდ:

მიუხედავად იმისა, რომ სოფელი მეთურქულეა, ტოპონიმთა უმრავლესობა ქართულია.

ზოგიერთი ტოპონიმის ფუძე ქართულია, სუფიქსი (მრავლობითობის -ღარ) თურქული: ჭოღაძეღარ, კობაძეღარ... ქართული მრავლობითობის -ებ სუფიქსის თურქული -ღარ'ით ჩანაცვლება, ვფიქრობთ, ახალი მოვლენაა. მას შემდგომდროინდელი, რაც ქართულენადაკარგული ქართველი იძულებული გახდა, გადაეაზრებინა ძველი სახელი. გაუგებარი დარჩა, მა-



გალითად, კობაძეები, ამიტომაც ხელახლა გააფორმა ტოპონიმი – კობაძეღარ და ახალი ვითარება ასახა. ცნობისათვის, სამხრეთ საქართველოს ტოპონიმიაში უფრო ძველი ჩანს კობიძე, ჭოლაძე, დევაძე, ლეონიძე და მისთ. მრავლობითით გაფორმებული ამ ყალიბის გეოგრაფიული სახელები შემდგომდროინდელია, მეორეულია. შემთხვევითი არაა, რომ ეს ტოპონიმები XIX ს-ისა და XX საუკუნის დასაწყისის ჩანაწერებში მხოლოდითი ფორმით გვხვდება.

ყურადღება მიიქცია ტოპონიმმა გორგოშა. რამდენადაც მახსოვს გორგოშა მცენარის სახელია. იგივე ფუძე ჩანს გვარში გორგოშაძე. გორგოშა ლაღაბი, ძველი უნდა იყოს, გარკვეული აგებულების კაცზე შერქმეული.

საინტერესო ტოპონიმი ჩანს თაუზათი//თაუზეთი, მაგრამ მასზე რაიმეს თქმისაგან ამჯერად თავს შევიკავებთ.

მნიშვნელოვანია, რომ კობაძის, ჭოლაძისა და ხარაძის, – საქართველოში კარგად ცნობილი გვარების – სამკვიდრებელი შავშეთის ეს მთიანი სოფელია...

სხვაც ბევრია საინტერესო და საკვლევი შავშეთის ტოპონიმიაში...

ჩვენს საუბარში შოთა და გიორგიც დაბრუნდნენ ციხიდან, შეცივებულები და გაწუწულები.

შოთამ უბის წიგნაკი მოიმარჯვა და ჩასაწერად მოემზადა.

ზაზა, უთხარი მაგათ, აქედან აჭარაში გადამიყვანონ!

ისევე აჭარაში მოინდომა წასვლა, – ჩავილაპარაკე ჩემთვის.

შოთა გაბრაზდა, გაიბუტა, სასწრაფოდ მანქანაში ჩაჯდა, თავისთვის ლაპარაკობდა რაღაცას.

მალხაზი ამშვიდებდა:

ამ სოფლის შესახებ ყველაფერი ჩავიწერეთ და მოგაწვდითო.

მე თვითონ უნდა ჩამეწერა, თქვენი ჩაწერილი არ გამომადგებაო, – ცხარობდა შოთა. მუშაობას არ მაცლითო, გვსაყვედურობდა.

შოთას წყენინება გულშიც არ გამივლია, ვიხუმრე, უფრო ვიცინე, არ მეგონა, თუ ეწინებოდა... ბოლოს შევერიგდით; არ მწყენიაო, მიმტკიცებდა.

მეც ეს მინდოდა.

დაბაწერილიდან დაბლა ჩამოვედით. რამდენიმე ძველი გვაქვს სანახავი დაბაკეთილსა და ციხისძირში.

დაბაკეთილის ეკლესია ცენტრალური გზის ზემოთაა, გზიდან კარგად ჩანს. მანქანა გავაჩერეთ და ავედით ეკლესიის ნანგრევებზე. აქ წინადაც ვყოფილვარ. საკურთხევლის კედელია გადარჩენილი. ჩანს, სოფლის ეკლესიის კვალობაზე არცთუ პატარაა. შოთას დასკვნით, დარბაზული ტიპის შავშური ეკლესიაა.

დაბაკეთილიდან ციხისძირში ავედით. აქ რამდენიმე ძველი გვეგულება: ციხე, ეკლესია ჯამიმაჰალეში და ერთი ეკლესიაც გზის ქვემოთ, დაბაკეთილის ეკლესიის წინ.

ჩანს, ძველად დაბაკეთილი და ციხისძირი დიდი დასახლებები იყო, სხვაგვარად სოფელში რამდენიმე ეკლესიის არსებობა აუხსნელია.

ავედით ჯამიმაჰალეში. ქალბატონმა, რომლის დედაც ჩაქველთური ყოფილა და მეტ-ნაკლებად იცის ქართული (საერთოდ მეთურქულეა ციხისძირი), გვაჩვენა ეკლესიის ნანგრევები, უფრო სწორედ, ეკლესიის საძირკვლის ნაშთები.

ზემოთ, სოფლის თავში, ციხეა საძირკვლამდე დანგრეული. წვიმს, ახლა იქ ვერ ავალთ, თუმცა ვინმე რომ გამომყვეს, უარს არ ვიტყვი... ისე კი არაფერია სანახავი... ერთია, მაღლიდან დახედავ ციხისძირს (ყაიადიბს). კი ღირს ამ სიამოვნებითვის მაღლა ასვლა, თუნდაც წვიმაში.

დაბლა ჩამოვედით. დაბაკეთილის ეკლესიის მახლობლად გავაჩერეთ მანქანა. აქ, გზის ქვემოთ, კიდევ ერთი ეკლესიააო, გზიდან ვერ დაინახავთ, სიღრმეში უნდა შეხვიდეთო, – გვითხრეს ციხისძირში.

ეს უბანი ციხისძირს ეკუთვნის. ახლა უკაცრიელია, ასწლოვანი კაკლების ხეივანი და ყანებია მხოლოდ. ჩანს, უწინ აქაც იყო მოსახლეობა...

წვიმს. თანდათან ძლიერდება წვიმა.

ბათუმელებს არ გვიკვირს წვიმა, მაგრამ მთაში შემოდგომის ცივი წვიმით დასველება არც მთლად სასიამოვნოა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ. რაც უნდა მოხდეს, უნდა მოვუძებნოთ ეკლესია. კარგი იყო, მეგზური გველოდა ვინმე ადგილობრივთაგანი – ციხისძირელი ან დაბაკეთილელი, მაგრამ ვერავინ ვიპოვეთ. ციხისძირში ერთი ქალბატონი შეგვხვდა ჩაქველთური ქალის შვილი, რომელმაც გვასწავლა ციხისძირის ეკლესიის ნანგრევები ჯამიკართან, კაკლითაც გაგვიმასპინძლდა, გზის ქვეშა ტაძარზეც მიგვითითა, მაგრამ აღარ წამოგვეყოლია. მეორე ციხისძირელსაც შეგვხვდით, აჭარლების სიძეს (ცოლი ყავს ქედელი, შარაბიძის ქალი), მაგრამ იგი შავშათში ცხოვრობს და სოფელი მაინცდამაიც კარგად არ იცის, საკუთარ სახლთან ახლოს ეკლესიის ნანგრევების არსებობა არ იცოდა, არათუ გზის ქვეშ, კაკლების ჭაღაში არსებული ეკლესიისა. ერთი სიტყვით, წავედით მეგზურის გარეშე.

უნდა ვნახოთ ეკლესია... გავცდით მინდორს და კაკლებში შევედით. ვსველდებით... კაკალი დაბერტყილია უკვე, მაგრამ თითო-ოროლა ნიგოზს ვპულობთ ფოთლებში, ვკრებთ, მიუხედავად წვიმისა და ტალახისა, ვერთობით კიდევ. უფრო ვცდილობთ, მხნეობა არ დაგვკარგოთ, თავს ძალას ვატანთ და ვეძებთ ტაძარს თუ ტაძრის ნანგრევებს...

მაინც ვიპოვი-მეთქი ეკლესიის ნანგრევებს, ვფიქრობ ჩემთვის და ძებნას ვაგრძელებ. ვცილდები ამხანაგებს, ვწინაურდები, რუს გაღმა გავდივარ, ახალ ხეივანში, არც აქ ჩანს არაფერი. არადა, აქ ყველაფერს სიძველის ნიშანი აზის, თითქოს სწორად მივდივართ და აქვე უნდა იყოს ტაძარიც, მაგრამ ვერ ვპოულობ; ჩანს, ამოდ განვაგრძობ ძებნას...

გაღმიდან ზაზას ხმა მესმის:

– წამოდი, მეველემ თქვა აქ ქილისა არ არისო!

მოვბრუნდი. შემდეგ ვუსაყვედურე ზაზას, რატომ მომაბრუნე, აბა სადაა მეველე-მეთქი.

– ამ თავსხმაში რომელი მეველე გამოვა გარეთ? – უკვირს ზაზას.

ჩანს, მეც გადამეწურა იმედი და დაბრუნების საბაბს ვეძებდი. ვიპოვე და ძებნაც შევწყვიტე. გამიჭირდა კიდევ... მაგრამ ციხისძირის ეკლესიას, მეორე ეკლესიას კაკლების ხეივანში რომ გვეგულება, მაინც ვიპოვი; მოვალ კიდევ და ვიპოვი...

მომავალში ციხისძირში მოსვლის მიზეზი მაქვს და მოვალ კიდევ.

შუადღის ოთხი საათია. გაწუწულები, ტალახში ამოსვრილები და მოშიებულები ვართ. დროა, დავბრუნდეთ შავშათში.

თუ გადაიღებს და ხვალ კარგი ამინდი იქნება, ფორთასა და ნუკას (ხანძას) მოვინახულებთ, ვერანაბალებში ზემოხილსაც გადავიღებთ, ვერანაბალებთან და დიდვენახელებთან ვიმუშავებთ, იქნებ ახალი გავიგოთ ნუკას შესახებ, იქნებ ხალხის მესხიერებას შემორჩა კიდევ რაიმე, რაც ჩვენ ჯერ არ ვიცით... შოთაც მოიკითხავს აქედან აჭარაში გადამავალ გზებს და ამით დავასრულებთ კიდევ ჩვენს ექპედიციას.

ღამდებოდა, სასტუმროში რომ დავბრუნდით. მოვწესრიგდით და სავანშიმოდ რესტორანში ჩავედით. „ხარმან სუფრასი“ (ხვავრიელი სუფრა) – ასე ჰქვია რესტორანს, სადაც ამ ქალაქში ყოფნის დროს ვსადილობთ ხოლმე...

31 ოქტომბერი გათენდა. შავშათში წვიმს, მაღლა სოფლებში თოვს. ფორთასა და ნუკას საყდრის ნახვა დღეს შეუძლებელია. ზემო ფორთაშიც თოვს ალბათ, გზებზე კი მეწვერია ჩამოწოლილი (ყოველთვის ასეა ოპიზისა და ფორთის გზებზე წვიმების დროს და გამონაკლისი რაღა დღეს იქნება?).

კიდევ მოვალთ ამ რეგიონში, უკეთეს დროსა და ამინდში კიდევ ერთხელ ვნახავთ ნუკასა და ფორთას, ზემო ფორთასაც ვესტუმრებით და ვერანა ბალებსაც, დიდვენახსაც, სხვა სოფლებსაც... სანახავსა და საკვლევს რა დალევს შავშათში!...

**დასკვნები:**

ექსპედიციამ 2010 წლის 27-31 ოქტომბერს იმუშავა მეთურქულე შავშეთის სოფლებში მატერიალური კულტურის ძეგლებისა და ყოფის შესასწავლად. შავშეთის ეს ნაწილი საინტერესოა მრავალი მიზეზის გამო, კერძოდ:

- მეთურქულე შავშეთს ქართული ენა კარგა ხანია, დავიწყებული აქვს, მაგრამ თუ ვინმე ქართულის მცოდნე მაინც გხვდება, მას ან დედა ჰყავს მექართულე შავშეთიდან, ან სხვა რაიმე ნათესაური კავშირი აქვს ამ კუთხესთან.
- მეთურქულე შავშეთის ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობა მშობლიურენადაკარგული ქართველები არიან. ხელშესახებია შავშელთა ცნობიერებაში შემდეგი: „არ იცი ქართული, არ ხარ ქართველი“. ენის ცოდნაა უპირველესი ნიშანი ეროვნული კუთვნილებისა. სწორედ ეს უღვეს საფუძვლად მექართულე შავშელთა მსოფლმხედველობას: „შავშეთი ქართული არ არის, შავშეთი თურქია“.
- მეთურქულე შავშეთში ახსოვთ ქართული გეოგრაფიული სახელები. ხშირად ახლადშექმნილი თურქული ტოპონიმები ქართულის პირდაპირი თარგმანია, ანდა შექმნილია ადგილის რაიმე მახასიათებლის მიხედვით: ჯევიზლი (ნიგეზიანი) – ტბეთის თურქული სახელი.
- მეთურქულე შავშეთის თურქულ მეტყველებაში დალექილა ქართული ლექსიკა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტია: წანწალაქი, მერცხალი (მოცხარის მნიშვნელობით), პანტა, თუთა, კაკალი (ცალის მნიშვნელობით) და სხვა მრავალი. ასეთი სიტყვები იმდენად ბუნებრივია მეთურქულე შავშელთა მეტყველებაში, რომ იგი მათი ლექსიკის აქტიურ ნაწილად უნდა ჩათვალოს.

- ხელშესახებია მეთურქულე შავშელთა ყოფაში ქართული ელემენტი, ეს უპირველესად ჩანს საოჯახო ყოფაში, სტუმარ-მასპინძლობის წესში, ტრადიციულ მეურნეობაში (მეცხოველეობა, რძის პროდუქტების დამუშავების ტრადიციები, მემინდვრობა, დასახლების წესი...). აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად ე.წ. თურქი შავშელი თავის წინაპარს უკავშირებს ბათუმს თუ მაჭახელს (საქართველოდან მოსულად თვლის), სათუთად უფრთხილდება წინაპართა მიერ მოტანილ ქვასაც კი... მართალია, შავშეთის ამ ნაწილში აღარ ისმის ქართული, აქაურთა ასიმილაციის პროცესი შორსაა წასული, მაგრამ მათი სრული ასიმილაცია არ მომხდარა. მეთურქულე შავშეთის მკვიდრნი ჯერ კიდევ არ არიან თურქული ეთნოსის სრული წარმომადგენლები, ისინი „მელეზები“ არიან (ასე უწოდებენ იმერხევში სხვადასხვა ტომის წარმომადგენელთა ნაჯვარს). ასე რომ, მეთურქულე შავშეთის ეთნოლოგიური შესწავლა მნიშვნელოვანია ქართული ეთნოლოგიის თვალსაზრისით.
- მეთურქულე შავშეთში არაერთი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლია, დასტური ქართველი კაცის სულიერი შემოქმედებისა, ესაა: ეკლესიები (თითქმის ყველა სოფელში, დიდ სოფლებში ზოგჯერ ორიც), საფორტიფიკაციო ნაგებობები (ციხე-კოშკები), რომლებიც ჩართული იყვნენ ქვეყნის თავდაცვის ერთიან სისტემაში, ხიდები და სხვა საგზაო ნაგებობანი. უნდა აღინიშნოს, რომ შავშეთის ამ მხარეშიც გეტყვიან, რომ ეს ციხეები თუ ქილისეები ქართულია, ესკი გურჯების ნაშენები.
- მრავალ თქმულებას ტრანსფორმაცია განუცლია მეთურქულე შავშეთში და ისე მოღწეულა ჩვენამდე, რაც ასევე მნიშვნელოვანი ფაქტია. მაგალითისათვის მოვიყვანთ ერთ გადმოცემას, რომელიც ჩავიწერეთ ფორთაში 2010 წლის ზაფხულის ექსპედიციის დროს:

“უხსოვარ დროში ამ მიდამოებში ხეზრეთი ალი მოსულა. მას ბერთის მხრიდან გადმოუვლია, თან ორი შვიდი (წმინდა კაცი) ხლებია. მხლებლები ძეგლად წოდებულ ადგილას გამოქვაბულში დაუტოვებია, თვითონ სადღაც წასულა. როცა დაბრუნებულა, ორივე დახოცილი დახვედრია. იქვე დაუსაფლავებია. იქ ახლა ზიარეთია. ხალხი ამ ზიარეთზე არტანუჯიდან, ტრაბზონიდან, აქჩაბაადიდან ჩამოდიოდა.

ხეზრეთი ალი რომ მოსულა, აქ ერთი თამარა ყოფილა.

თამარასთვის უთქვამს, გამუსლიმანდიო. ან საკუთარი სურვილით უნდა გამუსლიმანდე, ან სისხლს დავღვრი, თავებს დავაჭრი ყველას და ისე გავამუსლიმანებო.

თამარას უთქვამს, სად მედინა და სად ფორთა, შუაში ექვსი თვის გზაა და როგორ მომწვდებიო?

ეს რომ გაიგონა, ხეზრეთი ალი შეჯდა ფრთოსან რაშზე, გაიქროლა და თამარას ჰკითხა:

– შენი რჯული უფრო ჭეშმარიტია, თუ ჩემიო?

– თამარამ უთხრა, ჩემიო.

– რატომ შენიო? – ჰკითხა ხეზრეთი ალიმ.

– აქ სალოცავია, იქ ღმერთის სახლიო, თან დაამატა, თუ შენი სარწმუნოებაა მართალი, მთებში რომ გველეშაპია, ის მოკალიო.

ამ გველეშაპს თურმე ერთი კაცი მიჰყავდა ყოველდღე არტანუჯის ტყეში და ჭამდა.

ხეზრეთი ალი ავიდა მთაში (მთხრობელი ძეგლის მთაზე მიუთითებს) და დაუძახა გველეშაპს. ის კიდევ გადმოხტა და გაიქცა ართვინის მიმართულებით. ხეზრეთი ალიმ ქვა ესროლა, მაგრამ ვერ დააწია. მერე აიღო და ხმალი ესროლა. მთა შუაზე გადაიხსნა, ხმალს გზა დაუტოვა. მახვილი გველეშაპს დაერჭო და მოკლა. ხეზრეთი ალიმ გამარჯვების ყიჟინა დასცა...

თამარამ დუა (ლოცვა) ჩაიკითხა: „ლა ილლაჰ, ილ ალლაჰ“-ო.

ამის შემდეგ ხეზრეთი ალიმ კიდევ ერთ გველეშაპს მოაჭრა თავი. მალე ყველა გამუსლიმანდა და აქაურობას შერჩენ ქართველები. იმის მერე რუსი მოვიდა...

თამარამ იცოდა, ხეზრეთი ალი რომ უნდა მოსულიყო და მიუვალ კლდეზე თავისი ოქროსა და სიმდიდრის დასამალად ააშენა ნუკა ქილისე. აქედან არის დარჩენილი სახელწოდება “ნუკა საყდარ”, ანუ “ნუქი სახლა”. “ნუქი” ოქროს ნიშნავს, “სახლა” იგივეა, რაც “დამალე”, “შეინახე”.

ამ „ეტიმოლოგიით“ „ნუკა საყდარი“ „ოქროს სამალავს“ ნიშნავს.

\* \* \*

ამით დასრულდა ჩვენი ექსპედიციები შავშეთში. მალე გამოკვლევასაც დავამთავრებთ, – მკითხველს მივაწოდებთ მრავალფეროვან სურათს შავშეთის ქვეყნის შესახებ.

სამჯერ ვიმოგზაურეთ საექსპედიციო მისიით შავშეთში. მოვიარეთ როგორც მექართულე, ისე მეთურქულე შავშეთის უმეტესი ნაწილი, შევაგროვეთ მრავალფეროვანი ფოლკლორული, დიალექტოლოგიური, ეთნოლოგიური, ფოტო, ვიდეო და აუდიო მასალები. უკვე გვაქვს გარკვეული ხატი „შავშეთის ქვეყნისა“ და შეგვიძლია, ვიმსჯელოთ ისტორიული საქართველოს ამ მხარეზე.

ექსპედიცია მუშაობდა:

- მექართულე შავშეთის შემდეგ სოფლებში: ბაზვირეთი, გამეშეთი, ზიოსი, ხევწრული, ზაქიეთი, დაბა, უბე, სვირევანი, უსტამისი, ივეთი, იფხრეული, ჩაქველთა, მანატბა, მანხატეთი, ნიოლეთი, ბრილი, აგარა, ზენაგარა, წეთილეთი, პალეხლი, დავლათი, ჩიხისხევი, დასამობი, ოთხკლდე, ჯვარისხევი, ბზათა, ხოხლევი, შოლტისხევი, კოკბერეთი.

ვერ ვიმუშავებთ **ბოჯანეთსა** და **ქოქლიეთში**.

- მეთურქულე შავშეთის სოფლებში: დიობანი, ივეთი, წყალსიმერი, ყვირალა, ზენდაბა, ჯინალი, მიქელეთი, ჩიხვთა, ჯუარები, კარავეთი, თურმანეთი, კოთხევი, ახალდაბა, ციხისძირი, დაბაკეთილი, ველი, გარყლობი, შავთა, წიწვეთი, სამჯელი, სოფორო, ქოთეთრისი, ხანთუშეთი, ვერხენალი, მოროხოზი, ცეცხლაური, გურნათელი, ვანთა.

ვერ ვიმუშავებთ სოფლებში: **მამანელისი, ოქრობაგეთი, კუჭენი, შავქეთი, ზედა სულისი, ქვედა სულისი, ბაღვანა, ჩართულეთი, ნახსითი, ანკლია, ჯარათი, მოქთა, გოროშეთი, სირა სინკოთი, ჭიდილა, მუნობანი.**

მეთურქულე შავშეთის სოფლებში ვიმუშავებთ მატერიალური კულტურის ძეგლების შესასწავლად და ტოპონიმიკური და ეთნოლოგიური მასალების შესაგროვებლად.

ირკვევა, რომ მეთურქულე შავშეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი მშობლიურენადაკარგული ქართველები არიან. მექართულე შავშეთის მკვიდრნი მათ თურქებს უწოდებენ, რადგანაც ქართული დაივიწყეს, „თურქულზე გადაბრუნდნენ“. შავშთა გაგებით, „იცი ქართული, ქართველი ხარ, არ იცი ქართული – ხარ თურქი“.

ბუნებრივია, გაჩნდეს კითხვა: რა გვაძლევს საფუძველს იმის მტკიცებისათვის, რომ მეთურქულე შავშეთის მკვიდრთა დიდი ნაწილი მშობლიურენადაკარგული ქართველია? ბევრი რამ, კერძოდ:

- მეთურქულე შავშთა თურქულში დალექილია ქართული ლექსიკა. ისინი იმდენად ბუნებრივად იყენებენ ამ ლექსიკურ ერთეულებს, რომ იგი მათი ლექსიკის აქტიურ ნაწილად უნდა ჩაითვალოს;
- მეთურქულე შავშეთში ჯერ კიდევ ცოცხალია ქართული ტოპონიმები, განსაკუთრებით მიკროტოპონიმია;
- მეთურქულე შავშეთში გაიგონებთ ქართულ ისტორიულ თქმულება-გადმოცემებს, განსაკუთრებით თამარ მეფეზე;
- მეთურქულე შავშეთში ხშირად გაიგონებთ, რომ მათი წინაპრები ბათუმიდან, მაჭახლიდან, აჭარიდან ... მოსულან. სხვაგვარად: მეთურქულე შავშეთის მკვიდრნი მათ ისტორიულ სამშობლოდ საქართველოს მიიჩნევენ, რაც სრულებითაც არ არის უმნიშვნელო ფაქტი. მათ ხსოვნაში ჯერ კიდევ ცოცხალია რწმენა, რომ ისინი ქართველები არიან.
- ქართული ელემენტი ხელშესახებია ეთნოლოგიურ ყოფაში, კერძოდ: ტერასული მეურნეობა, სტუმარ-მასპინძლობა, რძის დამუშავება, – ამზადებენ იმავე პროდუქტებს, რასაც მექართულე შავშეთში...

შეიძლება სხვა ნიშნების დაძებნაც.

დასკვნის სახით ვიტყვით: მიუხედავად იმისა, რომ მეთურქულე შავშეთში ქართული დაივიწყეს, რაც გახდა მიზეზი მათი თურქებად სახელდებისა, აქაურთა ასიმილაციის პროცესი ჯერ არ დასრულებულა. ჯერ კიდევ ხელშესახებია ქართული ელემენტი შავშელთა ყოფაში, მეტყველებაში, ფოლკლორში, ტოპონიმიაში...

ქართული ელემენტის კვლევა მეთურქულე შავშეთში ჩვენი მეცნიერების მნიშვნელოვანი პრობლემაა.

\* \* \*

მექართულე შავშეთის სოფლები განლაგებულია იმერხევში, უსტამისსა და ჩიხისხევში. სოფლები უმეტესად გაშენებულია მთის ფერდობებზე. აქაური ნიადაგები შედარებით მწირია, ვიდრე მეთურქულე შავშეთში.

მეთურქულე შავშეთის მკვიდრნი უმეტეს შემთხვევაში ორი ენის – ქართულისა (მშობლიური) და თურქულის (სახელმწიფო) – მატარებლები არიან. ქართული ენა იციან საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენლებმა, ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა მშობლიური ენა არ იცის. ამის მიზეზია ის, რომ ისინი იზრდებიან მშობლიური სოფლის გარეთ, ქალაქებში, სადაც მათი მშობლები მუშაობენ, იქვე დებულობენ განათლებას...

მექართულე შავშეთში შენახულია ქართული მეტყველება, რომელსაც ჩვენ შავშურ კილოს ვუწოდებთ, ფოლკლორი, ეთნოლოგიური ყოფა, ქართული ტოპონიმია, ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები...

\* \* \*

ჭოროხის აუზის ქართულს სამხრულ მეტყველებას, ხოლო მისი დიფერენციაციის შედეგს სამხრულ კილოებს ვუწოდებთ. შავშური ერთ-ერთი სამხრული კილოა. ზოგჯერ მას იმერხევულ დიალექტსაც უწოდებენ. რამდენადაც იმერხევი შავშეთის ქვეყნის ნაწილია და აქაურთა ქართული მეტყველება, იმერ-

ხევს გარდა, სხვა ხეობების სოფლებშიცაა გავრცელებული, უმჯობესია შავშთა მეტყველებას **შავშური კილო** ვუწოდოთ.

შავშურ კილოში პირობით შეიძლება გამოიყოს ორი კილოკავი – იმერხეული და მაჭახლური.

მიუხედავად იმისა, რომ მექართულე შავშეთის მეტყველება განიცდის თურქულის ძლიერ ზეწოლას, შავშურმა კილომ შეინარჩუნა სტრუქტურული თვითმყოფადობა. თურქულის გავლენა ხელშესახებია ლექსიკაზე, რაც შეეხება შავშურის გრამატიკულ სტრუქტურას, იგი ქართულია და მისი რღვევის პროცესი ნაკლებად შეინიშნება, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ არ შეინიშნება. ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე – ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, შენარჩუნებულია დიალექტისათვის ნიშანდობლივი მახასიათებლები.

სტრუქტურულად შავშური გვერდში უდგას სხვა სამხრულ კილოებს, მაგრამ ზოგიერთი მახასიათებლით იგი განსხვავდება მათგან. ეს ნიშნებია:

- შავშურში გვხვდება **ჭ, ძ, ჭ, გ**, იშვიათად **ჩ** და **ჭ** უმლაუტები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შავშურში **ჭ**-ს პოზიციონება, ოღონდ იგი ვერ ქმნის ოპოზიციას ხ-სთან.
- შავშურში ფონეტიკურ დონეზე დასტურდება რიგი თავისებურებები, რომლითაც იგი განსხვავდება სხვა კილოებისაგან: **გემისკდა, დეგვიტეხეს, დეგვივიწყოს... დეგისხა, დეგიდგეს, ჩეგისხა...**

**ოი>ეი>იი: მიმიკდენ (<მემიკდენ<მომიკდენ), მიმიარა (მემიარა<მომიარა)...** ეს მოვლენა არ გვხვდება სხვა სამხრულ კილოებში.

**ოა>აა'ს**, როგორც აღმოსავლურ კილოებში გვხვდება: **გამახედა (<გამოახედა), გამაატარა (<გამოატარა)...**

დასტურდება სუბსტიტუციის შემთხვევები, რომლითაც იგი განსხვავდება სხვა კილოებისაგან:

**ვინ: მახსონს, კიდენ...**

**შიჯ:** ჯაგე, ამჯაგდა (ანალოგიური ცვლილება გვხვდება ტაოურში)...

**ცქს:** ვისით (<ვიციით), მივსემ (<მივცემ)...

**სქს:** იმაჰაც, ამაჰაც...

**მეტათეზისი:** გერმელი (<გემრიელი), გააგერმელებს (<გააგემრიელებს)...) (გვხვდება ტაოურშიც), ჭვამთ, ხვედაგ, უგრევ (<ვურევ)...

გვხვდება: სვაგ (<ცსვაგ<ვსვამ) ფორმა, რომელიც ქართულში დასტურდება.

შავშურმა კილომ მოახერხა და თურქულიდან ნასესხები სიტყვებიც თავის ყალიბში მოაქცია.

მორფოლოგიიდან აღსანიშნავია შემდეგი თავისებურებანი:

- შავშურში **ჯინჭველი** არქაული ფორმითაა შენახული. ხმოვანფუძიანია **წამწამა** (შდრ. წამწამი), **ჭარხალა** (შდრ. ჭაეხალი)...
- ხმოვანფუძიან სახელებს მთხრობითში ხშირად –მა მოუღის: **მამამა თქვა, ნიაზამა მოიტანა...** (ანალოგიური ფორმები დასტურდება კლარჯულშიც).
- დაფიქსირდა შემთხვევა, როცა –თა სუფიქსი შეზრდილა ფუძესთან და დაურთავს ბრუნვის ნიშანი: **ორთამა მოიდენ...** ასეთი ფორმები იშვიათია.
- შავშურში, სხვა კილოებისაგან განსხვავებით, დასტურდება ასეთი ფორმები: **გზეები (<გზაები), ყანეები (<ყანაები), ხოჯეები (<ხოჯაები)...** გვხვდება მოყვანილი ნიშუშების დისიმილირებული ფორმებიც: **გზიები, ყანიები, ხოჯიები, ქეიები...** ეს უკანასკნელნი აჭარულშიც დასტურდება.

ზოგიერთი თავისებურება გვხვდება ნაცვალსახელებშიც:

**რა =რომელი:** რა ალაგიდან ხართ?

**ყველაგინ=ყველა:** ყველაგინ ვერ დაწერს;

**თავეთ=თავად:** თავეთ იცის იმან.

ზმნური ფორმებიდან საყურადღებოა:

• თავისებურებანი პირის ნიშანთა ხმარებაში: **მოჰკლავ, ვჰჭამთ, სწყველი, მივსცემდი...**

• დასტურდება ზმნისწინთა მონაცვლეობის საინტერესო შემთხვევები:

გა//შე: **გავწუხდი, გაწუხული, გაგპირდი;**

გა//მო: **გატყვილება...**

• შავშურ კილოში დაცულია „მრავლის წაყვანის“ მნიშვნელობით **სხამ/სხ** ფუძის ხმარების წესი: **წავასხი, მასსხეს, ვასსამთ...**

• **ზი, ჯდ, ჯედ**’ს ენაცვლება **სხედ: დასხდნენ, დამსხდარან...**

კიდევ მრავალი მახასიათებლის დაძებნა შეიძლება, რომლითაც შავშური განსხვავდება მომიჯნავე კილოებისაგან.

\* \* \*

შავშეთის ტოპონიმის შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა ძველი ქართული მწერლობის ძეგლები: „ქართლის ცხოვრება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, „ასწლოვანი მატინე“, ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოისა საქართველოისა“, „ტბეთის სულთა მატინე“ და სხვ. ასევე მნიშვნელოვანია მოგზაურთა და მეცნიერთა ჩანაწერები, რომლებიც ამ მხარეს ეხება. შავშეთის ტოპონიმის მნიშვნელოვანი მასალები მოვიპოვეთ საველე ექსპედიციების დროს (3000-ზე მეტი ლექსიკური ერთეული). ყველა არსებული მასალის გათვალისწინებით:

• აღმოჩნდა, რომ მიუხედავად მრავალი მიზეზისა, შავშეთში ახსოვთ ქართული გეოგრაფიული სახელები, - მიკრო და მაკროტოპონიმები. რაოდენობრივად მცირეა თურქული წარმომავლობის სახელები (28%-მდე).

• წარმომავლობის მიხედვით შავშეთის გეოგრაფიული სახელები რამდენიმე ჯგუფად იყოფა: ა. ქართული ტოპონიმები; ბ. თურქული სტრუქტურისა და სემან-

ტიკის ტოპონიმები; გ. ქართულ-თურქული სიტყვებით გაფორმებული ტოპონიმები; დ. ზანური ტოპონიმები.

- წარმოების მიხედვით შავშეთის ტოპონიმურ მასალაში გამოიყოფა: 1. უაფიქსო სახელები; 2. აფიქსიანი სახელები: ა. პრეფიქსური წარმოების სახელები; ბ. სუფიქსური წარმოების სახელები; გ. პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები სახელები; 3. რთული გეოგრაფიული სახელები.

შავშეთის ტოპონიმია ერთიანი ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურის ნაწილია. ბუნებრივია, მასში გათვალისწინებულია ადგილობრივი თავისებურებანი.

შავშეთის ტოპონიმკური მასალები მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესასწავლად.

\* \* \*

შავშურ ფოლკლორში თანამედროვე ეტაპზე დომინანტობს საყოფაცხოვრებო-საწესჩვეულებო თემატიკა, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენლობითი უბანია საქორწილო პოეზია; ამ ჟანრის წმინდა ქართულმა ხასიათმა, სხვა ადგილობრივ საწესჩვეულებო რიტუალებთან და ფოლკლორთან ერთად, განაპირობა ამ უძველესი ქართული რეგიონის ყოფა-ცხოვრებაში ქართული ტრადიციების შენახვა, რაც უმნიშვნელოვანესი პირობაა უცხო გარემოცვაში მცხოვრები ჩვენებურებისათვის იდენტობის შესანარჩუნებლად.

- შავშურ სატრფიალო ლექს-სიმღერებში გამოხატულია ქართველი კაცის ოდინდელი შეხედულებები სიყვარულზე, ტრფობის ობიექტზე, მიჯნურთა გულისთქმაზე, სატრფოსადმი მოკრძალებასა და მისადმი სწრაფვაზე, ქალის გარეგნულსა და სულიერ სილამაზეზე და, საერთოდ, ადამიანურ ურთიერთობათა ზნეობრივ ღირებულებებზე. შავშური სატრფიალო ლექს-სიმღერები ქართული ფოლკლორის ორგანული

ნაწილია, რომელმაც ერთის მხრივ შემოინახა ტრადიციული მოტივები და სახეები და, ამავე დროს, მშვენიერად გამოხატა ამ რეგიონში მცხოვრებ ქართველთა განცდები.

- შავშურ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულია რელიგიურ-ფოლკლორული ხასიათის ვრცელი ლექსის – „გურჯი ვაიზის“ – ვარიანტები, რომელიც სამოძღვრო – დიდაქტიკური ხასიათისაა; იგი ქართულ ენაზეა შექმნილი და ღვთისმსახურებისას გამოიყენება ქართულენოვან სოფლებში.
- შავშური ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი უბანია საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერები, რომლებიც საუკეთესოდ გამოხატავს ჩვენებურთა ხასიათს.
- სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზე აღმოცენებული არქაული ფოლკლორული ჟანრები – შელოცვა, დალოცვა და წყევლა – კარგად არის შემონახული შავშურ ფოლკლორში. ისინი ზოგადქართული ნიმუშების ვარიანტებია და, ამავე დროს, ადგილობრივი კოლორიტითაც არის ნასაზრდოები.
- შავშთა საანდახო მეტყველება გვაცნობს ჩვენებურთა ყოფიერებისა და სულიერების შუქჩრდილებს, მათ მსოფლგაგებას, ზნეობრივ იდეალებსა და ინტერესებს...
- მართალია, შავშურ ზეპირსიტყვიერებაში დღეისათვის ზეპირ ბრუნვაში ძირითადად პოეტური ჟანრებია, მაგრამ აქაურთა მესხიერებას მაინც შემორჩა მითოლოგიური თქმულება-გადმოცემები დემონოლოგიურ პერსონაჟებზე, ტოტემისტური რწმენა-წარმოდგენების ამსახველი ლეგენდები და ცალკეული ფრაგმენტები სხვადასხვა მითური თუ ლეგენდური სიუჟეტებისა, რაც ადასტურებს, რომ შავშთა მითოპოეტური აზროვნება ზოგადქართულის იდენტურია.



- შავშურ ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე შემონახულია ზოგადქართულ ფოლკლორში კარგად ცნობილი თამარ მეფის ციკლის საისტორიო თქმულება-გადმოცემები და ლეგენდები, რომლებიც გვაცნობენ თამარის ეპოქის გრანდიოზულ აღმშენებლობას, თამარის სიკვდილსა და გასაიდუმლოებული დასაფლავების თემატიკას;
- შავშთა შორის ვხვდებით ამინდის მაგიურ მართვასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებსა და თქმულებას „ქვაკაცების“ შესახებ, რაც ამ რეგიონის ფოლკლორული აზროვნების საერთოქართულ ძირებზე მიუთითებს.
- შავშეთში პოპულარულია ანეგდოტი (საცინარი). აქაურთა ყოველდღიურობა სავსეა ანეგდოტებით ბაზგი-რეთლებზე, ლაზებზე, მაჭახლელებზე და მოლა ნასრედინზე, რომლებშიც კომიკური სიტუაციის შექმნის გზით დაგმობილი და გაკიცხულია სიბრიყვე, სიძუნწე, მიუხევედრელობა და სხვა. შავშური ანეგდოტებიც, სხვა ფოლკლორულ ჟანრებთან ერთად, საერთოქართული აზროვნების განუყოფელი ნაწილია.

\* \* \*

- შავშეთი გამოირჩევა ყოფისა და კულტურის ზოგადქართული ბუნებითა და ლოკალური თავისებურებებით. იგი მეტად რთული სტრუქტურისაა დასახლების მორფოლოგიის თვალსაზრისით. მასში აშკარად ჩანს გვართა ადგილმონაცვლეობანი, შიგა „მიმოქცევები“. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გადასახლებული ფენები. ამას მკაფიოდ ადასტურებს რეგიონის გვარობრივი სტრუქტურის ანალიზი. აქ მრავლადაა **ძე, შვილი, ში, ია, ურ, ულ, ენთი** - დაბოლოებიანი გვარები. მათი ნაწი-

ლი აშკარად მიუთითებს შესაბამისი გვარის წარმომავლობაზე, **მაგალითად: მეგრელი შვილები, დარჩიძეები, ერგელი, ხებელი, ლაზოდლი** და სხვა.

- ისტორიული ბედის შედეგია, აგრეთვე, ქართულ ანთროპონიმთა ფონდში თურქული სახელების გაჩენა. მართალია, ამ სახლებიდან ზოგიერთი ადრეც იყო ცნობილი საქართველოში, მაგრამ მათი რაოდენობა ოსმალთა ექსპანსიის შემდეგ გაიზარდა და ფაქტობრივად განდევნა ქართული საკუთარი სახელები.
- შავშეთი გამოირჩევა დასახლების თავისებურებების თვალსაზრისითაც. იგი წარმოდგენილია ჯგუფ-ჯგუფად გაფანტული სახლებით, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია სამლოცველო ადმინისტრაციით და სამლოცველოთი. შავშეთის დასახლება თავისი მორფოლოგიური და ბუნებრივი თავისებურებებით ემსგავსება მთიანი აჭარისთვის დამახასიათებელ ტიპს და ხასიათდება დასახლების მაღალი სიმჭიდროვით, კომლთა საშუალო რაოდენობით და ტერასობრივი განლაგებით.
- ბუნებრივ-გეოგრაფიულმა პირობებმა და მიკროკლიმატმა ხელი შეუწყო შავშეთში საცხოვრისის სხვადასხვა ტიპის წარმოშობას და განვითარებას, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების ლოკალური სახესხვაობები. კარმიდამო თავისთავში აერთიანებს როგორც საკარმიდამო მიწის ფართობს, ისე – მასზე განლაგებულ საცხოვრებელ და სამეურნეო კომპლექსს, რომელთა მშენებლობის ტექნიკა, ესთეტიკური გემოვნება, კულტურათა შეხამების თავისებურებანი, ბუნების აღქმის სახე ეფუძნება ხალხის ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებას.

- ოჯახისა და საოჯახო ცხოვრების წესებთან დაკავშირებული მატერიალური კულტურის ელემენტებს შორის განსაკუთრებულია კერა, როგორც საოჯახო ურთიერთობის ძირითადი მაკორდინირებელი მრავალფუნქციური ცენტრი. ტიპოლოგიური თვალსაზრისით შავშური კერა საკლასიფიკაციო სისტემაში უნდა განვიხილოთ, როგორც „ორთვალა კერა“, რომელიც ფუნქციონალურად სამზარეულო საქმიანობას უკავშირდება, ქრონოლოგიურად, უძველესი მარტივი კერის შემდგომი საფეხურია, გენეტიკურად კი ქართული კერის შავშურ სახესხვაობად უნდა იქნას მიჩნეული.
- მეურნეობრივი პროფილით, მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების სიმბიოზური განვითარებით, ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებებით შავშეთი ძალიან ახლოს დგას მთიან აჭარასთან. თითქმის იდენტურია ხალხური კერძები და მათი მომზადების ტექნოლოგია. თითოეული კერძის უკან დგას შავშთა თავისებურება, ბუნებრივ-კლიმატური გარემო, ყოფა და კულტურა.
- შავშეთი გამოირჩეოდა სამეურნეო კულტურის განვითარების მაღალი დონით. მემინდვრეობის, მეხილეობის, მებაღეობის, მესაქონლეობისა და სხვა დარგების ზედაპირული განხილვაც კი ცხადყოფს ქართველთა ემპირიული ცოდნის შედეგად დაგროვილი გამოცდილებისა და სამეურნეო ტრადიციების სიცოცხლისუნარიანობას, რაც ქართულ სამეურნეო კულტურასთან გენეტიკური ერთიანობის უტყუარი საბუთია. შავშებს სხვა კულტურის გარემოცვაში ხელიდან არ გაუშვიათ ტრადიციული გუთანის და თოხის, ამრავლეს მარცვლეულის ადგილობრივი ჯიშები (ქერი, ბუდაი, თეთრი, ჭვავი, წმინდა, დოლის პური...), სათუთად შეინახეს მარცვლეულის მოვლა-მოყვანის

ძველქართული წესები, თაობიდან თაობას გადასცეს ენდემური ხორბლის თესლი, შეინარჩუნეს ეროვნული სამურნეო ტრადიციები.

- შავშეთი საინტერესოა საზოგადოებრივი ყოფისა და სულიერი კულტურის თავისებურების თვალსაზრისითაც. ზოგიერთ რიტუალს, წესს, ჩვეულებას, შესაძლოა, ჰქონდეს თურქული სახელწოდება, მაგრამ შინაარსი ქართულია. სავლელ ექსპედიციების დროს ისეთი რიტუალებია დაფიქსირებული, რომლებიც ქართულ ყოფაში ტრანსფორმირებულია ან –სრულიად გამქრალი, მაგრამ შემორჩენილია თურქეთის ქართულ მოსახლეობაში. ამ თვალსაზრისით შავშური ქორწილი (საქორწილო ურთიერთობის წინაპირობები, ოჯახში ახალი წევრის ინკორპორაცია, ოჯახის წევრთა უფლებრივი მდგომარეობა და ზოგიერთი სხვა საკითხი) იქცევის განსაკუთრებულ ყურადღებას. ქორწილი იქცა იმ მძლავრ ინსტრუმენტად, რომელმაც ხელი შეუწყო ჩვენებურთა ეთნიკური იერსახის შენარჩუნებას.
- შავშებმა დღემდე თითქმის სრულად მოიტანეს სტუმარ-მასპინძლობის, ნათესაობის სისტემის, ოჯახისა და საოჯახო ურთიერთობის, ოჯახის წევრთა უფლებრივ მდგომარეობასა და სტატუსთან დაკავშირებული ძველქართული ნორმები და თავისებურებანი. სოციალური ქცევის ნორმები, გენდერული აკრძალვები სქესობრივი და ასაკობრივი დიფერენციაციის ტრადიციულ პრინციპებს ექვემდებარება.

ტრადიციული ელფერი შეინარჩუნა ხალხურმა დღესასწაულმა – **მარიობა// შუამთობა, ბერობნობა//ბერიკაობა, ხიდირილეზი** – საახალწლო ციკლის დღესასწაული, თამაშმა – **ლეფიკი**, სიმღერებმა – „პატარა გოგო“, „მერია“, „მაყრული“, „ჯინჯელო“, „თეთრო მამალ“, „მგზავრული“; ცეკვებმა – **ხორუმი**,

**დუხსორუმი, ორთაბათუმი, თექიანები, შემორბენილაი, გაზრო-  
მილაი, ბაზგირულაი, ყოლსამა, ჯაყდანანაი, თარინანინაი და ა,  
შ.**

ყოფისა და კულტურის საკითხების ზედაპირული შესწავ-  
ლაც კი ნათელყოფს, რომ შავშეთი, როგორც უცხო კულტურულ  
სივრცეში მოქცეული სამეურნეო- კულტურული ტიპი და ისტო-  
რიულ-ეთნოგრაფიული ოლქი, ჩვენს დრომდე ინარჩუნებს ქარ-  
თული ეთნოსის რეალიებს, სამეურნეო, მატერიალურ, საზოგა-  
დოებრივ თუ სულიერ მემკვიდრეობას.

\*\*\*

მთელი შავშეთი მოფენილია მატერიალური კულტურის ძეგ-  
ლებით; ესენია: ციხეები, საკულტო ნაგებობანი, ხიდები, დარანე-  
ბი...

- შავშეთის საფორტიფიკაციო ნაგებობების ადგილ-  
მდებარეობიდან ჩანს, რომ თითოეულ ხეობას (იმერ-  
ხევი, ბაზგირეთი, სათლედი, ფიქალთა და სხვა) თავისი გამაგრების სისტემა ჰქონდა. ისინი, თავის  
მხრივ, ჩართული იყვნენ მთლიანი ქვეყნის ერთიანი  
თავდაცვის სისტემის ქსელში. აქაური ციხეების დი-  
დი ნაწილი (იფხრეველი, დაბაწვრილი, ციხისძირი,  
ხანთუშეთი, ქოთეთრისი და ა.შ.) აშენებულია არსი-  
ანის მთაგრეხილის ძირში, მთისა და ბარის გასაყარ-  
ზე. ისინი იფხრეველიდან არტანუჯის საზღვრამდე  
უზრუნველყოფდნენ მთის წინა ზოლსა თუ ბარში  
არსებული უზარმაზარი სასოფლო-სამეურნეო და-  
ნიშნულების მიწების, მთისა და ბარის დამაკავშირე-  
ბელი, და, რაც მთავარია, არსიანის მთებზე არსებუ-  
ლი უღელტეხილებით შავშეთსა და ნაწილობრივ არ-  
ტანუჯში შემომავალი გზების კონტროლს. სხვაგვა-  
რად რომ ვთქვათ, შავშეთის ქვეყნის მთისწინა ზო-

ლი, ზურგი „ქვეყნისა“, მთელ სიგრძეზე საგულდაგუ-  
ლოდ იყო დაცული.

რაც შეეხება ქვეყნის ჭიშკარს, შესასვლელს, მის გაკონ-  
ტროლებას, **წვეთის ციხესთან** ერთად, უზრუნველყოფდა **სათ-  
ლელის ციხე**. ეს უკანასკნელი სწორედ იქაა აშენებული  
(მერთისა და სათლელის წყლის ხერთვისი), სადაც თავს იყ-  
რის ქვეყნის სიღრმეში მეზობელ მხარეებთან თუ გარე სამყა-  
როსთან დამაკავშირებელი გზები.

შავშეთის ციხეების ძირითადი ნაწილი IX-X საუკუნეებშია  
აშენებული, სათლელის ციხე კი – XI საუკუნეში.

- შავშეთში თითქმის ყველა სოფელში გვხვდება დარბა-  
ზული ტიპის საკულტო ნაგებობები; ასეთია გურნა-  
თელის, დაბაკეთელის, ახალდაბის, ციხისძირის და  
საზგირელის ეკლესიები... ამ ტიპის ნაგებობანი ფარ-  
თოდაა გავრცელებული ტაო-კლარჯეთსა და შავ-  
შეთში. ისინი ძირითადად IX-X საუკუნეებით თარიღ-  
დებიან. საზგირელის ეკლესია კი XI საუკუნის ნაგე-  
ბობად მოჩანს.

დასასრულს ვიტყვით, რომ შავშეთის ისტორიის, ფოლკლო-  
რის, მატერიალური კულტურის ძეგლების, მეტყველების (რო-  
გორც შავშური დიალექტის, ისე შავშელთა თურქული მეტყვე-  
ლების) პრობლემების სიღრმისეული კვლევა მომავალშიც უნდა  
გაგრძელდეს.

**ციტირებული ლიტერატურა და შემოკლებანი:**

- ბ. მარი 1911** – Н.Я. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию. ТРАГФ, т 7. СПб.
- გ. ყაზბეგი 1995** – სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი.
- თ. შიოშვილი 2005** – იმერხეული ფოლკლორი. „ჭოროხი“, №11, ბათუმი.
- მ. ფაღვაძე, მ. ცინცაძე 2007** – იმერხეული ტექსტები. რსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „კრებული“, V, ბათუმი.
- რ. ხალვაში 2007** – იმერხეული ფოლკლორი (სოფელი ბაზვირეთი), რსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „კრებული“, V, ბათუმი.
- აღ. ჭინჭარაული 2006** – „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის საღაურობის საკითხისათვის. XXVI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.
- ა. ჭინჭარაული 1960** – ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი.
- ვახუშტი ბაგრატიონი 1885** – საქართველოს ისტორია, ტფილისი.
- ვახუშტი ბაგრატიონი 1973** – აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ.IV, თბილისი.
- ექვთ. თაყაიშვილი 1890** – სამი ისტორიული ქრონიკა. ტფილისი.
- ექვთ. თაყაიშვილი 1949** – სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, III გამოცემა, თბილისი.
- პ. ინგოროყვა 1954** – გიორგი მერჩულე, თბილისი.
- ირ. გივიაშვილი,**

- ი. კობლატაძე 2004** – ტაო-კლარჯეთი, თბილისი.
- შ. ამირანაშვილი 1971** – ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი.
- ნ. აღექსიძე,**
- დ. ხოშტარია 1991** – ახალი ცნობები ტაო-კლარჯეთის სიძველეთა შესახებ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, №1, თბილისი.
- გიორგი მერჩულე 1981** – გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ქართული პროზა, ტ. I, თბილისი.
- მრავალთავი 1959** – სინური მრავალთავი აკ. შანიძის რედაქციით, თბილისი.
- ივ. იმნაიშვილი 1975** – სინური მრავალთავი, თბილისი.
- ზ. სარჯველაძე 1984** – ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი.
- ჟამთააღმწერელი 1959** – ქართლის ცხოვრება, ტ.II, თბილისი.
- შ. ნიჟარაძე 1971** – ქართული ენის აჭარული დიალექტი. ლექსიკა, ბათუმი.
- ო. ქაჯაია 1967** – მოხეური კილოს ლექსიკისათვის. სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, თბილისი.
- ქეგელ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. I-VIII, 1950-1964, თბილისი.
- ილ. აბულაძე 1973** – ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბილისი.
- ვესტათი მცხეთელი...1981** – უცნობი ავტორი, ვესტათი მცხეთელის ცხოვრება. ქართული პროზა, ტ.I, თბილისი.
- ბასილი ზარზმელი 1981** – სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება. ქართული პროზა, ტ.I, თბილისი.
- ლიმონარი 1960** – იოანე მოსხი, ლიმონარი. გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი.

ს.ს. ორბელიანი 1948	–	სიტყვის კონა ქართული... თბილისი.
მროველი 1955	–	ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი.
ჰილზი 1072	–	დენის სესილ ჰილზი, ჩემი მოგზაურობა თურქეთში, ძველ ღაზეთში. მიმომხილველი, 6-9, თბილისი.
ქ.ც.ხ.	–	ქართლის ცხოვრება, თ.I, 1955; ტ.II, 1959; ტ. IV, 1973.
თეფფიკ ათასელიმი 1991	–	Tevfik Ataselim. Kadım Türk Bağlarındanö Kolxıtlar (Megrellar), Gürgüler, Lazlar. İstambul.
შ. ფუტყარაძე 1993	–	ჩვენებურების ქართული, ბათუმი.
რ. ჟორდანიას 1997	–	ქართველი ზოოლოგები თურქეთში, თბილისი.

**სარჩევი**

წინასიტყვაობა	3
<b>ჩანაწერი პირველი</b>	<b>6</b>
გზა ბათუმიდან შავშათამდე	8
ტბეთის საკათედრო ტაძარში	11
ბაზვირეთი	13
ზიოსში „ორთაბათუმი“ ვნახეთ	27
ზაქიეთში	40
უბესა და უბურ ხანძთაში	47
სვირევანში	69
ქორწილი ბაზვირეთში	75
უსტამისელებთან უსტამისურ დაილაზე	82
ივეთსა და იფხრეულში	88
ყვირაღას ხეობაში „მიქელეთის კარს“ ზემოთ	97
იმერხეველთა საუბრიდან	103
P.S. ექსკურსია ტაო-კლარჯეთის სავანეებში	120
<b>ჩანაწერი მეორე</b>	<b>133</b>
გზაში	134
კვლავ უსტამისელებთან	135
ჩაქველთასა და ჩაქველთას მაღარებში	145
ბაზვირეთსა და საზვირელზე	151
ჩიხისხევი, დასამობსა და დავლათში	157
ნიოლეტიდან ტბეთამდე	166
აგარა, ბრილი, ჯვარისხევი	173
დიობანიდან ხოხლეუსა და მანატბაში	180
მანხატეთსა და აგარაში	207
ხევწერილსა და წეთილეთში	220
P.S. კლარჯეთის წმინდა სავანეებში	234
P.S.I. ტაოსა და სპერში	243
ტაოს მექართულე სოფლებში	253

<b>ჩანაწერი მესამე</b>	300
სინკოთსა და ახალდაბაში	301
ფიქრები სათლელის ციხეზე	308
ქოთეთრისსა და ხანთუშეთის//ვერხვნალის ციხეზე	312
ვანთას ეკლესია და სხვა	318
დაბაწვრილსა და ციხისძირში	332
<b>განსჯა</b>	343
ციტირებული ლიტერატურა და შემოკლებანი	357

გამომცემლობის რედაქტორი      ზვიად ტყაბლაძე  
 კომპიუტერული უზრუნველყოფა      ნინო ფალავა

შპს გამომცემლობა პოროსი XXI



თბილისი, პუშკინის ქ. №13 ტ. 997078. მობ. 892 779941